114
1981/3

ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

1

1981

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 57-ე № 1 იანვარი, 1981 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შ ი ნ ა ა რ ს ი


### სკკპ XXVI და საქართველოს კპ XXVI ყრილობების შესახვედრად

კარლო კალაძე — პასუხი ყველა შეკითხვაზე. ლექსი . . . . . . . . . 3
შალვა ამისულაშვილი — ქამთასვლას კაცის ხელი მართავს. ნარკვევი . . . . . 5

ზურამ გეგეშიძე — ხმა მღაღადებლისა. რომანი. გაგრძელება . . . . . . . . 11
კოლაუ ნადირაძე — ორი ლექსი . . . . . . . . . . 39
ნანა თარბამაძე — ლექსები . . . . . . . . . . . 41
ჯემალ ინჯია — ორი ლექსი . . . . . . . . . . . 43
გიორგი ქავთარაძე — ლექსები . . . . . . . . . . 44
ზურაბ თორია — ხე ხორციელი. მოთხრობა . . . . . . . . 46
მამუკა დოლიძე — მოთხრობები . . . . . . . . . . 76
გრიგოლ ჩიქოვანი — რწმენა. რომანი. დასასრული . . . . . . . . 84
თენგიზ გოგოლაძე — ცისფერი ცეცხლი. დოკუმენტური მოთხრობა. გაგრძელება . . . 100
საფო მგელაძე — ლექსები . . . . . . . . . . . 117
თანამედროვე ინგლისელი პოეტები — ლექსები. თარგმნა გ. ნიშნიანიძემ . . . 120
ნარ-დოსი — სიკვდილი. ნაწყვეტი რომანიდან. თარგმნა მ. მამაცაშვილმა . . . . . 124
ვლადიმერ ჯანჯღავა — ერთგულება. დივიზიის მეთაურის ჩანაწერები. გაგრძელება 136

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ლალი ავალიანი — „სიკეთესა და ბოროტებას შორის“... . . . . . . . 146
მამუკა შელეგია — გადამწყვეტი არჩევანი . . . . . . . . . 154
სოლომონ ხუციშვილი — ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის საბუთები . . 159
ვალერიან ითონიშვილი — ღვაწლმოსილი მეცნიერი . . . . . . . . 162

### პ ო ლ ე მ ი კ ა

გიორგი თევზაძე — პასუხი შენიშვნების ავტორებს წიგნზე „რუსთაველის კოსმოლოგია“ . . . . . . . . . . 167

### ფაქტები, მოგონებანი

ლევან ასათიანი — უბის წიგნაკიდან. გაგრძელება . . . . . . . . 177
სულხან ქეთელაური — დიდი მგოსნის გახსენება . . . . . . . . . 182

### წიგნების მიმოხილვა

იმედი ჯახუა — „მივჩერებივარ ნათელს მიღმიერს“ . . . . . . . . 188



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. ბიბინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული. რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რუსუდან ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 3/XII-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/I-81 წ., ანაწყობის ზომა 7¼X12, ქაღალდის ფორმატი 70X108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი თაბახი 16,58.

უე 08313. ტირაჟი 23800. შეკვ. 3124. ნაბეჭდი ფურცელი 13. საალრ-საგამომცემლო

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1981.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




კარლო კალაძე

# პასუხი ყველა შეკითხვაზე

„ათასში ერთი მეცა ვარ“ — ასეთი პასუხი გასცა შესანიშნავმა ქართველმა პოეტმა კარლო კალაძემ კითხვას, თუ როგორ ხვდება ქართული მწერლობა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას; პოეტი თავისი სახელითა და თავის თანამოკალმეთა სახელით პატაკს აძლევს ხალხს, პარტიას, გამარჯვებულთა ყრილობას, პატაკით წარუდგება ყველა იმათ, ვინც აშენებს კომუნიზმს, პატაკს აძლევს და უდასტურებს, რომ საბჭოთა პოეზია უშუალო მონაწილეა ყოველივე კარგის და ამაღლებულის, ყოველივე კეთილის, ყოველივე ლამაზის შექმნისა და შენებისა.

ძლიერი და ღონიერია ქართული სიტყვა; მისი მადლი და ღონე საძირკველშივე ჩაჰყვება ახალ ქალაქებსა და ახალ ზვრებს, რათა სამარადისო გამძლეობა მისცეს მათ, სამარადისო სიცოცხლე მიანიჭოს ძველ ქართულ მიწას — განახლებულსა და აყვავებულს.

— აქ რას აკეთებ? — იკითხავს კაცი
ჩემივე კალმით აქ დახატული
და ამ ნაპერწკლით გულ-განაკაწრი
მეც ღიმილს მმატებს მისი ქართული.

აქ რას ვაკეთებ? ამ ღამის მზეზე
აქ რას ვაკეთებ, იცის ზეცამაც —
მდინარის ფსკერზე ვარსკვლავებს ვეძებ,
ვწერ, და ათასში ერთი მეცა ვარ!

აქ რას ვაკეთებ, მკითხოს მინდორმა
როცა ჩაბალახს გამიშლის ქარი, —
კარდაკარ, ვინც კი მეკვლედ მინდომა —
მომაქვს სიუხვე... გამიღოს კარი.

სანამ ქალაქებს არ გადავუვლი
მთებს იქით, ზღვაში აღარც მზე ჩავა.
ვინც მოაშორა ბერმუხებს მუმლი,
დღეს იმ ათასში ერთი მეცა ვარ!

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო. რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ, ამ შრიალა ბაღ-ვენახებში
ლაღი მე განა მარტო დღესა ვარ, —
თუმც არ მიჭირავს სასხლავი ხელში,
ვწერ, და ათასში ერთი მეცა ვარ!

აჰყვება მთიდან მთაში თვალი თოფს,
და თუმცა ზამთრის იქით ვერ წავალ —
მაინც ვინც ჯიხვს და ირემს დაინდობს
იმ მონადირის ტყვია მეცა ვარ!

არ შევეჯიბრო ამ ახალგაზრდებს,
ვისაც ეს გული ენათესავა?
ოღონდ გზა, ოღონდ გზა ახალ განცდებს
ვწერ, და ათასში ერთი მეცა ვარ!

ვხედავ, რომ ქალაქს ქვით ამშვენებენ,
და აქ არათუ დღის მოწმეცა ვარ —
ცაში ავყვები აღმაშენებლებს,
და იმ ათასში ერთი მეცა ვარ!

ვერ შეელევა ჩემს ხელს ვერცერთი
დღის ფიცხი მოსვლა, ღამის გათევა —
ჩვენი ანბანი როგორც ბეჭედი
რაა, თუ ქვასაც არ დაეჭდევა!

არადა ავი სიმართლეც ვიცი,
როცა ქვა აგრე არ აგვიწყვია —
უკითხავს გამვლელს: ვისია, ვისი?
და უთქვამს კიდეც: არავისია...

ოთხმოციანი წლების ზარის ხმით
ფეხზე ამდგარი სალი კლდეცა ვარ, —
თრიალეთებო, ფრთები აისხით —
მხრებდათოვლილი ერთი მეცა ვარ!

აჰა, მხედრული ხელწერა ვაზის,
და აჰა ქვათა ტვიფრი მცხეთური
მზე როგორც დაღი მეც ბეჭზე მაზის
და მეც ხელს ვაწერ ვით წამხედური...

ეს მე ვარ. მე ვარ. იცოდეთ მინდა
რას ვფიქრობ რა მსურს. და რას ვაკეთებ.
მოვიდეს, ვისაც თვალი აქვს წმინდა —
სხვას — მე ჩემს გულში არ ჩავახედებ!..

დიახაც, მთელი არსებით ვიცი,
რომ თქვენც გამიგებთ გულახდილობას.
დიახაც მინდა წარვუდგე ფიცით
გამარჯვებულთა ამ დიდ ყრილობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

# ჟამთასვლას კაცის ხელი მართავს

მძღოლმა რომ მანქანა შემოატრიალა, მერცხალი ვერ შემობრუნდებოდა ისე. მე და ვალიკო გუჯაბიძე ხელდახელ მალთაყვაში გავჩნდით... აქეთ — ეგნატე ნინოშვილის კალმით ნაკურთხი პალიასტომი, იქით — ოდესღაც ევქსინის პონტად წოდებული შავი ზღვა, შუაში ქართველ მეომართა რკინა-ბეტონის უზარმაზარი მემორიალი, რომელსაც ჰაერში შავი ზღვის სამი მრისხანე ტალღა გაჰქვავებია. იქვე მაღალ კვარცხლბეკზე მდგარი ბრინჯაოს კოლხი მზეჭაბუკი მშვიდად გაჰყურებს შაბიამნისფერ უსასრულობას.

ამ გრანდიოზული ნაგებობის წინაშე ერთხანს ისე დავპატარავდით წიგნის კაცები, მეგონა კვამლივით გავქრებოდით კოლხეთის ცის ქვეშ. წიგნის კაცები-მეთქი. დიახ, ვალიკო გუჯაბიძეც წიგნის კაცია. მას ხომ ფოთის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა აბარია და წიგნი და მისი მკითხველი მისთვის ამქვეყნიური ცხოვრების ანი და ჰოე გახლავთ.

დავპატარავდით, მაგრამ მემორიალის უჯანსაღესმა ჩანაფიქრმა ჩვენ ისევ ჩვენი ელფერი და სულიერი სიმაღლე დაგვიბრუნა და სიხარულისაგან ბრინჯაოს ჭაბუკს თვალს ველარ ვაშორებთ: თითქოს გაოცების ცისფერი ჭავლი უთამაშებს თვალებში მას, ხელში დაფნის ტოტი უჭირავს და თავზედაც დაფნის გვირგვინი ადგას, როგორც სიმბოლო ბნელ ძალებზე გამარჯვებისა.

მემორიალს ახლა პალიასტომის მხრიდან შევხედეთ, შთაბეჭდილება არ შემცირებულა. მგონი, პირიქით მოხდა კიდევაც... რა ახლოს ყოფილა მალთაყვასთან პალიასტომი, ვფიქრობ ჩემთვის. თითქოს ჩემი ფიქრის ძახილი მოესმაო, — მალთაყვა პალიასტომის ყელი გახლავთ, — მიხსნის ვალიკო გუჯაბიძე, — არხი, რომელიც მდინარე კაპარჭინას აკავშირებს მასთან, სწორედ მალთაყვის მონაკვეთზეა გაჭრილი. პალიასტომი მრავალ მდინარეს უყრის თავს და აგერ აქვე, შავი ზღვის მახლობლად ჰქმნის სრულიად ცალკე აუზს. მალთაყვის არხი და მდინარე კაპარჭინა თუ არა, პალიასტომი თავად ჩაიქცეოდა შავ ზღვაში. ახლო მომავალში აქაც ბევრი რამ შეიცვლება. ასე ფიქრობენ ფოთელები და ასეც იქნება, მალთაყვა ხომ ფოთის განუყრელი ნაწილია...

ვუსმენ გუჯაბიძეს და მეც ოცნებაში მესახება მალთაყვის მომავალი. ვხედავ მრავალსართულიან ფერად-ფერად სანატორიუმებს, ხეივნებს, მწვანე გაზონებს, წითელი აგურის ბოკონებზე შემდგარ საცხოვრებელ ოდა-სახლებს ლამაზ-ლამაზი ეზოებითა და კოინდრებით, ევკალიპტების მინდორსაცავ ნარაფოვან ტყეებს, ჩაის პლანტაციებს, ციტრუსოვან მცენარეებს, და რაც მთავარია, კომუნიზმის მშენებელთა ბედნიერ სახეებს. ვხედავ ყოველივე ამას და ჩემს თვალში ერთიათად ფართოვდება ფოთის, როგორც საზღვაო ქალაქის მცნება...

ვბრუნდები უკან... გუჯაბიძე მანქანის ფანჯრებიდან ნამდაუნჯუმ ხან შავი ზღვისკენ იყურება, ხან პალიასტომის ტბისაკენ და მეუბნება, შენ უნდა ნახო, რა სანახაობაა მაშინ, როცა ერთდაიმავე დროს შავი ზღვაც ღელავს და პალიასტომის ტბაც. გგონია, ქვეყანა დაინგრეოდა, უძლეველ ბურჯად გმირთა ეს მემორიალი რომ არ ედგესო. მერე იხსენებს ქანდაკების ავტორს — ელგუჯა ამაშუკელს და მადლიან მარჯვენას ულოცავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ჩვენი ცენტრალური მოედანიც! — წამოიძახა ახალგაზრდა მძღოლმა, როცა მანქანა ქალაქკომის წინ გააჩერა.

მძღოლი შინ გავუშვით. ახლა ფეხითა სჯობია სიარულიო, შევთანხმდით მე და გუჯაბიძე. მივდივართ. ვსაუბრობთ. იგი ცდილობს, ყველაფერი მითხრას, ყველაფერი გამაგებინოს, რაც უშუალოდ ფოთთან არის დაკავშირებული:

— ფაზისი და ევქსინის პონტი!.. ხომ ლამაზად ჟღერს ეს სიტყვები, მაგრამ ფოთი და შავი ზღვა მაინც დანა-სისხლად არიან ერთმანეთთან. შავი ზღვა უტევს ფოთს, კოლხეთს, საბოლოოდ, მთელ საქართველოს, რადგან მისი ამ ჭირნაცადი ქალაქის ყოველი ტკივილი საქართველოს ტკივილიც არის. აკი ამიტომაც ზრუნავს იგი ფოთის შეურყევლობაზე, ფოთის მტკიცე ბალავრიანობაზე... ისტორიის მოყოლას არ შევუდგები, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი, ფოთი ანუ იგივე ფაზისი უძველესი ქალაქია, მხოლოდ არც ისეთი უძველესი, როგორც მაგალითად, მის უბეშივე ნაპოვნი მამონტის ეშვი, თორემ სიძველის უკეთეს ემბლემად სხვა რა საგანი გამოდგებოდა კიდევ?!

რიონი ოცდაათიან წლებში მთლიანად ნაბადას ტერიტორიაზე ყოფილა გადაგდებული. არხი დროთა განმავლობაში დაკალაპოტებულა. მას ქალაქის მახლობლად აქვს მარეგულირებელი რაბი, საიდანაც წყლის განსაზღვრული ნაწილი გამოდის და რკინიგზის სადგურის მიდამოებთან ორ ტოტად იყოფა. ერთი ტოტი არხით, ხოლო მეორე — ძველი კალაპოტით შავი ზღვისაკენ იღებს გეზს. ისე კი, ზღვაში შესვლა ორივეს უჭირს ჯერ კიდევ.

აი, მე და გუჯაბიძე უკვე რიონის ძველ შესართავთან ვიმყოფებით. ძველად ამ ადგილს ახალსოფლის უბანი რქმევია, ამჟამად ბარათაშვილის უბანს უხმობენ. ცოტა სამხრეთისაკენ, მოშორებით იწყება ჭაობიან მიწაზე აღმოცენებული ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა. იქვეა დამშრობი სატუმბო სადგური, რომლის მეშვეობითაც ხდება მეურნეობის ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექებისაგან წარმოქმნილი წყლების ამოტუმბვა და რიონის ძველ კალაპოტში გადაგდება. აქ ხუთიოდე წლის წინათაც ვყოფილვარ. მაშინ „კოლხიდმშენის“ ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი კაკო კარტოზია მახლდა თან. ვაკვირდებოდი ნარიონალს, ვერ გავარჩიე წყალი საით მიდიოდა. ვიფიქრე, ჭაობის წყალმა ასე იცის-მეთქი. კაკომ ჭადრის ფოთოლი გადააგდო ნარიონალში. ზღვისაკენ დასაძვრელი ფოთოლი ქალაქისაკენ დაიძრა. გამიკვირდა. აქ უკვე კაკოს ჩარევა იყო საჭირო და ჩაერია კიდევაც:

— შიგ მარტო ჭაობის წყალი კი არა, რიონის წყლის საკმაო ნაწილიც არის, მაგრამ ზღვაში შესვლა ისე უჭირს, თითქოს თავის დახრჩობისა ეშინოდეს. ამიტომ გადაწყვეტილია, ძველ კალაპოტში ძველებურად დავძრათ რიონი, რომ ზღვის თავხედობას ბოლო მოვუღოთ. ხოლო კალაპოტის ორთავე მხარეზე საჭიროა რკინა-ბეტონის მაღალი ჯებირების აგება, რომ წყალმა ნაპირები არ გადალახოს. მოსამზადებელი სამუშაოები დავიწყეთ კიდეც. გზა იქითკენა გვაქვს და დაგათვალიერებინებთ, ახლა კი ცოტა ახლო ვნახოთ ფოთის საბჭოთა მეურნეობა.

ვნახეთ... სადღა იყო ჭაობი, ჭაობის ლორწო, აორთქლებული ხაშმი, ტლაპო და ტბორი, წითელი ხავსი, წებოვანი მიწა, წურბელა, ლელი და ლაქაში, ქვეწარმავლები, გომბეშოები... ხანდახან აქა-იქა თუ გაისმოდა გაწწირული კოლოების წივილი. გალაღებულ, გათამამებულ ციტრუსებს: ლიმონს, ფორთოხალს, მანდარინს ნათლის სვეტებივით დასდგომოდნენ თავზე ალვისა და ევკალიპტის ტანლატანა ხეები...

ეს იყო ხუთი წლის წინათ, დღეს იგი ნამდვილი წალკოტია და ეგაა! გუჯაბიძე მაცნობს მის ახალ დირექტორს — გრიგოლ არჩაიას, მაგრამ უმალვე მივხვდი, რომ ადრევე ვიცნობდი მას. გეგმებზე აღარაფერს შევკითხებივარ, მის ნათელ შუბლზე კარგის მეტი არაფერი იკითხებოდა... მან დაღლილობა შეგვატყო მე და გუჯაბიძეს და გვთხოვა, ცოტახანს დაისვენეთ აქა და მერე მეც თქვენთან ერთად წამოვალო.

გუჯაბიძისა რა მოგახსენოთ და მე კი ვერ დავისვენე, სულ ხუთი წლის წინანდელ ამბებს ვიხსენებდი: აი მე და მაშინდელი ჩემი მასპინძელი კაკო კარტოზია ისევ რიონის ძველ კალაპოტს მივყვებით ნაპირ-ნაპირ, მხოლოდ დაღმა კი არა, აღმა, რათა რიონის ნაპირსამაგრი სამუშაოები ვიხილოთ...

მალე ნაპირსამაგრ სამუშაოებსაც მივადექით. სამტონიანი პრევმატურ უროს თუ ჩაქუჩს, რომელსაც „ურნალი“ ერქვა, სახელგანთქმული მეურნალე ალექსანდრე სოსელია მართავდა... იგი თანამედროვე ბაყბაყდევის დახმარებით თორმეტმეტრიან რკინა-ბეტონის ხიმინჯებს არჭობდა მიწაში და ყოველ დარტყმაზე ძველ კალაპოტში ჩამდგარი წყალი ხან მარცხნივ დაიტალღებოდა ხოლმე და ხან მარჯვნივ.

კაკომ იხუმრა: ზვიადმა ზღვამ ახლა მაინც გაუხსნას უბეო ამ ატორტმანებულ წყალს. მის ხუმრობას სოსელიას ხუმრობაც მოჰყვა: იცის, რომ რიონის წყალს ჭაობის წყალიც მოჰყვება და თან უბეს არავითარ შემთხვევაში არ გაუხსნის, დასნეულებისა ეშინიაო...

ნაპირსამაგრი სამუშაოების დათვალიერების შემდეგ ვიარეთ, ვიარეთ, რომელიღაც ხიდზე გადავედით და ბოლოს ფოთის სამხრეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთისაკენ განვაგრძეთ სვლა და მივადექით ერთ უსიერ ჭაობიან ტყეს, რომლის გაჩეხვა და ამოძირკვა სულ ახალი დაწყებული იყო...

ტრაქტორზე მომუშავე მალთაყველ ჭაბუკს ვკითხე: ამ წვრილად აყრილ ჭაობიან ტყეს რომ ჩეხავ, გარეული ნადირი თუ შეგხვედრია-მეთქი... შველი, ბატონოო, და ირემიც ზედ მიაყოლა. მე გამეცინა, იმ ტყეში ირემს კი არა, ლერწმოვანების კატასაც გაუჭირდებოდა გავლა. დაუჯერებლობა რომ შემამჩნია, ახლა, ტახი შემხვედრიაო, მომახალა. მე კიდევ გამეცინა. რა გაცინებსო. კაკოს გავხედე, იმასაც ეღიმებოდა და სიტყვას სითამამე მივეცი:

— ის რა ტახია, რკო და კირკიტი კაკალი თუ არ ამტვრია კბილებით!...

— ამტვრიოს, ბატონო, ვინ უშლის მერე?

აქ უკვე კაკო წამომეშველა ცოტათი:

— ამტვრიოსო, რომ იძახი, ის რკო და კაკალი თხმელის ხეებსა სცვივა?!.

მე, როგორც გამარჯვებულმა, ჩემთვის ჩავილილინე:

— ტახო, ამ არეში-მარეში, გამო და გამოთარეშდი!..

ჩემს ნათქვამს კაკომაც მიუმატა:

— ეშვი ამოჰკარ გომბეშოს, ჭაობის ლოშქრით გალეშილს!..

ჩვენს თავშეუკავებელ სიცილზე მალთაყველმა ჭაბუკმა ისევ ააგუგუნა თავისი ტრაქტორი, ჩვენ კიდევ მოკლეზე გადავჭერით გზა და ძველი რიონის პირას გავედით. რიონში ვეშაპივით გაშხლართულიყო ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი ქარხნის მიერ დამზადებული მიწისმწოვი ვეება დანადგარი, რომელიც მდინარეში სილისაგან და შლამისაგან წარმოქმნილ პატარა კუნძულს შლიდა, იწოვდა და ორასმეტრიანი მსხვილი მილსადენით ღვინის ლექივით აქცევდა რიონის მარცხენა მხარეზე... მიწისმწოვ რკინის ვეშაპს სრულიად ახალგაზრდა კაცი მართავდა.

ფიქრებიდან არჩაიას ხმამ გამომარკვია: გვეყოფა დასვენება, დროა ქალაქში გავიდეთო... გუჯაბიძე ჩემზე ადრე წამოდგა სკამიდან და თან ისიც მკითხა, რაზე ფიქრობდიო. ვუთხარი რაზედაც ვფიქრობდი. არჩაიას ჩაეცინა:

— ზოგს კოლხეთის ამოშრობის პრობლემა იოლი ამბავი ჰგონია, ზოგს — პირიქით, ზოგსაც სრულიად დაუძლეველი, სულ იჭვნეულად, სულ სკეპტიკურად უყურებს მას. ამბობს, კაცი გულით არის მაგარი, მცენარე კი ძირითაო. ჰოდა, რა ძირით იამაყოს მცენარემ, რომელსაც ფესვები წყალში ულპებაო. ამბობს და, არკი იცის, რომ მცენარეც ადამიანის გულისა და გონების იმედით არის მაგარი... კოლხეთის დაბლობის წალკოტად გადაქცევის ამბავი თაობათა უწყვეტი საბრძოლო საქმეა. სწორეთ ამ დიდი გრძნობითა და შეგნებით დგანან დღეს შრომის ვახტზე კოლხი მშრომელები... მხოლოდ პირველ რიგში ბოლო უნდა მოეღოს ერთხელდასამუდამოდ რიონისა და შავი ზღვის ერთმანეთში უთანხმოებას. ეს კი ისევ ჩვენზეა დამოკიდებული.

საუბარში ჩვენდაშეუმჩნევლად რუსთაველის რკალურ ქუჩაზე აღმოვჩნდით. დიახ, რუსთაველის რკალურ ქუჩაზე, რომელიც ქალაქის შუაგულს მართლაც რკალივით ერტყმის გარეშემო და ჰქმნის ერთგვარ მზისებურ დისკოს, საიდანაც მზის სხივებივით იშლებიან და იფანტებიან ფოთის უმშვენიერესი ქუჩები.

— მეგობრებო, რომელ ქუჩას ვენდოთ, ჩემთვის სულერთია, ცუდ ადგილას არცერთი არ მიგვიყვანს! — თქვა გრიგოლ არჩაიამ.

— მაშინ დაადექი, რომელ ქუჩასაც გინდა, და ჩვენც მოგყვებით.

დაადგა ისიც და იმ გზამ, იმ ქუჩამ საზღვაო ვაგზალში მიგვიყვანა. პირველად მოსაცდელ დარბაზში შევედით, სადაც ჩემზე ნარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა უწარმაზარმა საჭე-საათმა. საათი მართლაც შტურვალის წრიულ ჩარჩოში იყო ჩასმული და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჟამთასვლასაც — ადამიანი მართავდა იმ შტურვალით... მეორე სართულის ვერანდიდან ჩვენ ვიხილეთ სატვირთო ნავსადგური თავისი ფერადი პორტალური ამწეებით და ულამაზესი საზღვაო ჭიშკარი, რომელსაც ზღვაში სქლად ჩაშენებული ორად გაყოფილი სპეციალური კედელი ჰქმნიდა.

თითო ჭიქა ლუდმა ზღვაზე გასეირნების გუნებაზე, დაგვაყენა ყველანი. ვალიკო გუჯაბიძემ ნაცნობი ლოცმანი მოძებნა, რომელმაც სალოცმანო კატარლით საზღვაო ჭიშკარში გაგვიყვანა და იქიდან გემსატვირთო პორტისათვის შეგვავლებინა თვალი. ზღვაში ჩაშენებულ ქვიტკირის ორად გაყოფილ კედელს მართლაც საპორტო მყუდროება დაემკვიდრებინა ირგვლივ. დასაბმელი გემების მოლოდინში აქა-იქ, ხის მერქანზე ამოსული სოკოების მსგავსი ვეებერთელა შავი შამანდურები ტივტივებდნენ...

გაგვიტკბა ზღვაზე ყოფნა, გამოსვლა აღარ გვინდოდა, მაგრამ ქართველი ლოცმანი უცხოეთის გემს უნდა შეხვედროდა სალოცმანო კატარლით და ნაპირზე დაბრუნებისთანავე გრიგოლ არჩაიამ ახლა „კუნძულის უბნისაკენ“ გაგვაფრინა თავისი მომლოდინე მანქანით. ვიდრე ნავსადგურს მივეფარებოდით, თვალი ვერ მოვაშორე მის ახლო-მახლო მიდამოს. ცისა და ზღვის ლურჯ ფონზე წითელი, თეთრი და ყვითელი ფერები ისე მკვეთრად და ისე ცოცხლად მესახებოდა ხომალდებისა და პორტალური ამწეების მოქანა-

ვე ტევრში, კაცს ეგონებოდა, ეს-ეს არის, ახლა დაიბადაო მთელი ქვეყანა...

გზად ნიკო ნიკოლაძისეული კოშკის ძველებური საათის რეკვაც მოვისმინეთ. იგი შორეულ წარსულისაკენ გვიხმობდა, მაგრამ „კუნძულის უბანმა“, უფრო ზუსტად ზღვის პირას მდებარე ომისდროინდელმა სამხედრო სასაფლაომ, შუაზე რომ იყო გაგლეჯილი ზღვის მიერ, ნება არ დაგვრთო. მართლაც ერთხელ ისე გაგიჟებულიყო ევქსინის პონტი, რომ სასაფლაოც არ დაუნდვია. ფოთელ კომკავშირელებს ეს ამბავი გულთან მიუტანიათ და სათაყვანებელ მეომართა ძვლები სხვაგან გადაუსვენებიათ.

იმ დღეს ვიხილეთ კოკაიას ჭადრების ხეივანიც, ფოთსა და ჭალადიდს რომ აერთებს ერთმანეთთან მშვენიერი გზატკეცილით. მისთვის არავის დაუვალებია ამ დიდებული საქმის გაკეთება. იგი დროთა განმავლობაში თავისი სურვილით რგავდა და რგავდა თითო პაწაწინა ჭადარს, მერე დაიზარდნენ ისინი, აშრიალდნენ მისი სახელის სადიდებლად...

მაინც ვინ იყო იგი? ვინ უნდა ყოფილიყო? ალბათ უბრალო კაცი, უბრალო გლეხი, მიწასთან შეჭიდებული ადამიანი, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა მშობლიური ბუნება. უყვარდა და დაუფასდა კიდეც ეს სიყვარული. ბუნებას ხალხმაც აუბა მხარი და შთამომავლობას შეუნახა სახელი მისი...

## წყალქვეშაფრთიანი ხომალდები

— ხომალდი ლოცვით დადისო, — უთქვამთ ძველად... უთქვამთ, მაგრამ თანამედროვე ხომალდებზე, მათ შორის თბომავალ „კომეტაზე“ ამას უკვე ველარავინ იტყვის...

ფოთის გემთშემკეთებელ ქარხანას მრავალი საამქრო აქვს. ერთ მათგანში, მეთექვსმეტეში, შემკეთებლობის ნაცვლად მშენებლობითი საქმიანობაა გაჩაღებული... აქ, ამ საამქროში, 1961 წელს, ლენინური პრემიის ლაურეატის — რ. ალექსეევის პროექტის მიხედვით, ქართველმა გემთმშენებლებმა ააგეს მსოფლიოში ყველაზე დიდი წყალქვეშაფრთიანი თბომავალი „კომეტა“. მან წარმატებით განახორციელა პირველი რეისი — „ფოთი-მოსკოვი“ და „მოსკოვი-ფოთი“, ხოლო შემდეგ — „ფოთი-იზმირი“ და „ფოთი-ლონდონი“.

ევროპულ და ამერიკულ წყალქვეშაფრთიან თბომავალთა შორის ჩვენმა „კომეტამ“ პირველმა იმოგზაურა ევროპის გარშემო.

დასახელებულ საამქროს ხელმძღვანელობას უწევს შუახანსმიტანებული სიტყვაძუნწი, საქმით კი მრავალნაცადი და ხელხვავიანი კაცი — ჯემალ ცომაია... მისი მოადგილეა სრულიად ახალგაზრდა ინჟინერი გენადი სახოკია, საამქროში მომუშავეთა თითქმის ოთხმოცი პროცენტი ახალგაზრდობაა. აქ ხშირად გვხვდებიან კომუნისტური შრომის დამკვრელები, სოციალისტურ შრომაში გამარჯვებულები, მათ შორის, ზურაბ ზარანდია, როინ გორდელაძე და ემზარ ქაჯაია.

ამავე საამქროში მუშაობს და ახალ წყალქვეშაფრთიან ხომალდ „კოლხიდას“ მშენებლობაში მონაწილეობას იღებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალექსეი შალინი. აქვე ერთ-ერთ დამკვრელურ ბრიგადას მუდმივ წევრად ჰყავს ჩარიცხული გემთშემკეთებელი ქარხნის ყოფილი მუშაკი, დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპული ჯარისკაცი — გულიკო სარდიონის ძე გაბუნია. მისი სპეტაკი სახელით ბრიგადის თვითეული ახალი წევრი ორმაგად იღვწის ხოლმე გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მეთექვსმეტე ანუ ახალი გემების მშენებელი საამქრო თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალურია. საამქროს მიერ დამზადებულ გემებს სიამოვნებით იძენენ ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რუმინეთი, პოლონეთი და მსოფლიოს მთელი რიგი სხვა ქვეყნები.

ასეთი დიდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ქართული „კომეტების“ გამოშვება თითქმის ყოველწლიურად მატულობს. მას „მფრინავი დელფინი“ ტყუილად კი არ უწოდეს უცხოელმა სპეციალისტებმა. ხომალდი აღჭურვილია რადიოაპარატურით, რომლითაც მსოფლიოს ნებისმიერ ნავსადგურს უკავშირდება ხოლმე ნაოსნობის დროს.

მალე „კომეტას“ მოჰყვება ამავე კლასის სხვა სახელწოდების უფრო მძლავრი ხომალდები. ესენი არიან: „ალბატროსი“ და „კოლხიდა“. მათგან მეორე ხომალდი ამოქმედდება და ვრცელ საზღვაო გზას გაუდგება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეექვსე ყრილობის გახსნის წინადღეებში. ეს იქნება ჩვენი გემთმშენებლებისა და ჩვენი რესპუბლიკის დიდი გამარჯვება.

— თქვენ ისე არ გაიგოთ, — მეუბნება გემთშემკეთებელი ქარხნის დირექტორი ზაურ არჩაიძე, — რომ ქართული ხომალდების ბედ-იღბალი მარტო მეთექვსმეტე საამქროს აბარია. არა გეთაყვა, მისთვის ქარხნის ყველა საამქრო ზრუნავს. ავიღოთ მაგალითად, მექანიკური საამქრო. მან რომ გემის დიზელების საკისრები, ორთქლის მანქანებისა და ტუმბოების როტორთა ლილვები დროზე და კარგად არ დაამზადოს, განა წარმოსადგენია გემის აგება, გემის აშენება...

აი, მე და ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანი — ინჟინერ-ფიზიკოსი სოსო გვაძაბია დირექტორის შუშაბანდიან ჯიხურთან ვდგავართ. დირექტორიც ჩვენთანაა, მაგრამ ლაპარაკს არ აცლიან. კარები ღიაა, წამდაუწუმ რეკავს ტელეფონი, ხან რომელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მუშა გამოჩნდება და რაღაც გასაჭირზე ელაპარაკება, ისიც ხელდახელ პოულობს გამოსავალს და მომსვლელს უკანვე ისტუმრებს...

ზაურ არჩაიძე შუახანს გადაცილებული, ზორბა შესახედაობის კაცია, მაგრამ უაღრესად სწრაფი რეაგირებისა და მოქმედებისა. თავზე ცეცხლივით უნთია მოწითალო ქოჩორი. ქერა წარბები და ჭროლა თვალები საოცარ ბუნებრივობას ანიჭებს მის დაუდგრომლობას.

— კომეტა კუდიან ვარსკვლავს ნიშნავს, რა საერთო აქვს თბომავალ „კომეტას" კუდიან ვარსკვლავთან? — რატომღაც ასეთი კითხვა დავუსვი დირექტორს.

ზაურს ჭროლა თვალებში სინათლე აუკიაფდა:

— რა საერთო აქვს და, კუდიანობაში არაფერი! ისე, ისიც კუდიანი ვარსკვლავივით ლამაზი, იშვიათი, სწრაფი და ელვარეა. ზღვაზე მისი გამოჩენა ციური კომეტის გამოჩენას ჰგავს. ერთი გაიციმციმებს, გაიელვებს და ჰორიზონტს იქით გადაიკარგება ხოლმე.

და აი, ზაურ არჩაიძის შუშაბანდიანი ჯიხურის მახლობლად, ზედ ზღვის ნაპირთან დგას კიდევ ერთი, შევარდენივით შეკრული მორიგი ქართული „კომეტა".

როგორ მოგწონთ ეს მხარტიტველა ზღვის შევარდენიო, გვეკითხება ქარხნის დირექტორი. მოწონების ნიშნად ჩვენ ცერ თითს ვუჩვენებთ, ის იცინის:

— ამ სახით რომ ახლა შავ ზღვაში ჩავუშვა, ყორნები დამიკორტნიან ნამდვილად. ჩვეულებრივ შევარდენს თუ ბუმბული ამშვენებს, ამას კიდევ საღებავი და მოპირკეთება უნდა. ჰოდა, სადურგლო და სამღებრო საამქრო რომ არ იყოს ქარხანაში, მარტო მეთექვსმეტე საამქრო რას გახდებოდა... აგერ, მისი უფროსიც აქეთ მოდის, გაიცანით, იქნებ დასათვალიერებლად მაღლა, „კომეტაზედაც" აგიყვანოთ.

სადურგლო და სამღებრო საამქროს უფროსი სურვილს მართლაც გვისრულებს. ორსართულიანი რკინის კიბით ავდივართ ქართული „კომეტის" სანახავად.

შევედით შიგნით, სადაც თორმეტამდე ქალი და კაცი ფუსფუსებდა და საქმიანობდა. ზოგს შალაშინი ეჭირა ხელში, ზოგს საღებავიანი ვედრო და ფუნჯი, ზოგს წყლით სავსე ვედრო, ზოგსაც — ცოცხი... იდგა საღებავების, სპირტისა და ყვითელი ბურბუშელის ძლიერი, მძაფრი სუნი. ცხელოდა. ყველა ხვითქში ცურავდა. მცირე ხანს დავრჩით, მაგრამ ჩვენც კარგად გავიხვითქენით. იმ მცირე ხანში მოვასწარით კაბინიდან ზღვის მხარეზე გადახედვაც, სადაც შეკეთების მოლოდინში გარინდებულიყვნენ ვეებერთელა ტრაულერები: „ბათუმი", „მცხეთა" და „წყალტუბო".

დაბლა ჩამოვედით თუ არა, ქარხნის დირექტორის შუშაბანდიან ჯიხურთან გავჩერდით. ზაურ არჩაიძემ გვირჩია, ახლა მეთექვსმეტე საამქროს გალვანური უბანი გვენახა. მასპინძლები კარებში შეგვეგებნენ, ალბათ ზაურ არჩაიძემ ტელეფონით თუ გააფრთხილა: სტუმრები მოდიანო...

გალვანური, ანუ მომთუთიებელი უბანი, როგორც უბნის უფროსისაგან შევიტყვეთ, მეთექვსმეტე საამქროს განუყრელი ნაწილია მუდამ. აქ სრულდება მეტად რთული და საინტერესო ქიმიური ოპერაციები, როგორიცაა მაგალითად, პატარა, მაგრამ თვალსაჩინო და დიდმნიშვნელოვანი დეტალების მოთუთიება, ქრომირება და კადმირება.

ისეთ კომფორტაბელურ თბომავალს, როგორიც ჩვენი ქართული „კომეტაა", დასამონტაჟებლად მხოლოდ სიფაქიზემდე დამუშავებული დეტალები ესაჭიროება თურმე. მისი ტიპის ხომალდები ხომ საექსპორტოდ იგზავნება ჩვენი პლანეტის სხვადასხვა მხარეს... მეთექვსმეტე საამქროს ამ უბანს თორმეტი მუშა ემსახურება. მათ შორის ნახევარზე მეტს მამაკაცები შეადგენენ. ისინი, ქალებისაგან განსხვავებით, მუშაობენ დანადგარებზე, სადაც ხდება დეტალების ძირითადი დამუშავება შემდგომი ქიმიური ოპერაციებისათვის.

ფოთში ოცამდე მსხვილი სამრეწველო საწარმოა. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხანაც ერთი იმათგანია. იგი არც გემთმშენებლობაში იხევს უკან, რის გამოც მთელ რიგ მის ობიექტებზე პარალელურად მიმდინარეობს დიდმნიშვნელოვანი რეკონსტრუქციები.

აქამდე თუ ერთი ტიპის წყალქვეშაფრთიანი ქართული ხომალდები სერავდნენ ზღვებსა და ოკეანეებს, ხვალიდან მათ რიცხვს მიემატება წყალქვეშაფრთიანი სხვა სახის ქართული ხომალდებიც. ამაზე უკვე გარკვევით ითქვა ზემოთ, განსაკუთრებით „კოლხიდაზე", რომელიც სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გახსნის წინა დღეებში რკინის მაღალ სტაპელებიდან საახპარეზოდ მშობლიურ ზღვაში გადაინაცვლებს.

ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, ვიცი იქ, შავი ზღვის პირას, რკინის იმ მაღალ სტაპელებზე კიდევ ერთი მოპირკეთებული „კომეტა" დგას წყალში ჩასაშვებად. იმრავლოს მათმა რიცხვმა, ისინიც ქართველი ხალხის დიდ შრომითს აღმავლობაზე მეტყველებენ.

## ნაბადას უბანში

მანქანით მიმავლებს უეცრად გზა გადაგვიჭრა ვიღაც ახალგაზრდა კაცმა. ხელში ჟანგბადის ბალიში ეჭირა. ვინ იცის, როგო-

ეროვნული

რი მოუთმენლობით ელოდა ავადმყოფი უკანასკნელ იმედს. მძღოლმა მანქანა დროზე დაამუხრუჭა და „წესრიგის დამრღვევისათვის“ მაინცდამაინც მკაცრი მზერა არ დაუდევნებია.

მივქროდით, თვალწინ ხან ჟანგბადის ბალიშიანი კაცი მედგა, ხან ის ავადმყოფი, რომელიც არასოდეს არ მენახა. ცუდ გუნებაზე დამდგარმა ჩემთვის ჩავილაპარაკე: კიდევ კარგი, ასე ადვილი საშოვნელი მაინც ყოფილა-მეთქი... რაო? — გაკვირვებით მკითხა მძღოლმა. მე მშვიდად, მაგრამ ხაზგასმით მივუგე: ჟანგბადი!.. ჰოო, ჟანგბადი? ჟანგბადის მეტი რა არის ფოთში... იმ ქარხანაში, სადაც ახლა ჩვენ მივდივართ, სპეციალური სადგურია, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს ამარაგებს, მშვიდად მომიგო მან.

— როგორ, ჰიდრო-მექანიზაციის მანქანათმშენებელ ქარხანაში ჟანგბადსაც ამზადებენ?

— დიახ, ამზადებენ!

— მარტო სამედიცინო საჭიროებისათვის?

— არა, ტექნიკური საჭიროებისთვისაც!

— ვინაა იმ ქარხნის დირექტორი?

— ქართველი კაცია, დანიელ მალალაშვილი. ლიტერატურა უყვარს ძალიან. თქვენს ვინაობას რომ გაიგებს, ცას დაეწევა სიხარულით. მხოლოდ ეგ არი, ბევრი ლაპარაკი არ უყვარს.

ამ ლაპარაკში ქარხნის ჭიშკარსაც მივუახლოვდით. მანქანა მოხერხებულ ადგილას დავაყენეთ.

დარაჯმა კარუსელივით მბრუნავ ბარიერს ახლოსაც არ მიგვაკარა, ვიდრე დირექტორს ტელეფონით არ დავუკავშირდით... როგორც იქნა შევედით, მხოლოდ ქარხანაში კი არა, ქარხნის ეზოში, რომელიც თავისი ასფალტირებული გზებით, ნარგავი ხეივნებით, პატარ-პატარა შადრევნებიანი მოედნებით, მწვანე გაზონებითა და ფათალოიანი ფანჩატურებით მშვენიერ ბაღს უფრო ჰგავდა.

ეზოში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ფოტოსტენდმა შემდეგი წარწერით: „მათ წარჩინებული სწავლით ასახელეს მშობლები“ მოსწავლეთა სურათებს საკუთარი სახელის, გვარისა და მამის სახელის გარდა თან ახლდა პატარა განმარტებებიც მათი მამების პროფესიული ვინაობის შესახებ, მაგალითად: „მოსწავლე ელისო მიხეილის ასული სიჭინავა... თავათ მიხეილი — სარემონტო უბნის მებეტონე“.

დანიელ მალალაშვილს ჩვენთან თავისი მოადგილე ვიქტორ ტიხოვი გამოეგზავნა, მთავარი კორპუსის შესასვლელთან შევხვდითო... მივდიოდით, წინ ვიქტორ ტიხოვი მიგვიძღვოდა. ისეთი წყნარი სიარული და ლაპარაკი ჰქონდა, მისთვის ის გვარი ზედგამოჭრილი იყო პირდაპირ.

დანიელ მალალაშვილი ჩემი სიყრმისდროინდელი ნაცნობი აღმოჩნდა. საკუთარ თავზე კარგი ვერაფერი ვათქმევინე. ჩემს ყოველივე ცდას ოსტატურად იცილებდა და სულ სხვების წარმატებებზე მელაპარაკებოდა, თუმცა ამგვარ ლაპარაკშიც ბრწყინვალედ ჩანდა მისი საქმიანობის, მისი ორგანიზატორული ნიჭის მასშტაბურობა... ერთადერთი რაც მან მიამბო თავის პირადი ცხოვრებიდან, გახლდათ სიყმაწვილისდროინდელი ეპიზოდი, ისიც არ ვიცი, მართალი იყო თუ არა, იმდენი ირონია და დაცინვა იგრძნობოდა მასში საკუთარი თავის მიმართ:

„გვყავდა ორი უჯიშო ხარი, გვქონდა ერთი ხისღერძიანი ურემი. ბუჩუნტო სახლში კიდევ კართოფილის სანთელი გვენთო და მიდიოდა ასე ჩვენი ცხოვრება... ერთხელ შევაბით ურემი, დავუდეთ რიყის ქვები და გავუდექით გზას, სადღაც მთის სოფელში უნდა აგვეტანა, იქ მამაჩემის ძველი მეგობარი სახლს აშენებდა. ხალხური ლექსი ხომ გაგიგონიათ: „მე მაშინ მოგაგონდები შავი ალმართის ყელშია, შეგებას წვრილი მოზვრები, იკლაკნებოდნენ წელშია“, სწორედ ასე დაემართათ ჩვენს დამჭლევებულ ხარებსაც. მიდიოდნენ, მიაჭრიალებდნენ ხისღერძიან ურემს...

მამაჩემმა მითხრა, დამწვრის სუნი მეცა, ურემი გავაჩეროთ, ცეცხლი არ გაუჩნდესო... უარზე დავდექი... ცეცხლი მართლაც გაუჩნდა... ვისკუპე აბრიალებულ ურმიდან და ტყეს შევერიე მაშინვე. მამაჩემს გამოსადევნებლად სადღა ეცალა, აპეურები უნდა შეეხსნა ხარებისათვის... სამშვიდობოს რომ ვიგრძენი თავი, ცოტახანს გავჩერდი. შემომესმა დაგორებული ურმის რახრახი და გავარვარებული ქვების ჭახა-ჭუხი, ყუმბარებივით რომ სკდებოდნენ. ისმოდა მამაჩემის სამსართულიანი გინებაც: დამაცა, მე შენი ასე და ისეო, შიმშილით რომ კუჭი ამოგიხმება, არც მაშინ დამიბრუნდებიო უკან?!. მას შემდეგ ფეხი არ მიმიდგამს შინ, სულ გარე-გარე დავიარებოდი... ახლა აღარ მკითხოთ, ვინ შემიფარა, ვინ გამზარდა, ვინ მასწავლა, უმაღლესი როგორ დავამთავრე და ამხელა ქარხანაში დირექტორად რანაირად მოვხვდი...“

ირაკლიმ თვალი ჩამიკრა, ალბათ მანიშნა, ნუ შეეკამათებიო. მეც გავჩუმდი, დანიელ მალალაშვილი საუბარს განაგრძობდა, ქარხნის ისტორიას ჰყვებოდა იგი. ისე რომ — მძღოლის ნათქვამი — ლაპარაკი არ უყვარსო, მთლად არ გამართლებულა.

□დასასრული იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გეგეშიძე

# ხმა მღაღადებლისა

## რომანი

13.

აუხდა ნესტორს დიდი ხნის ნალოლიავები ოცნება, როგორც იქნა ფეხი დადგა საქართველოს მიწაზე. ისე ეშურებოდა მშობლიურ ქვეყნის გაცნობა-დათვალიერებას, რომ ველარ გაჩერდა მამისეულ სახლში. მეორე დღესვე, იმ მშვენიერი ნადიმის შემდეგ, ყაფლან ბატონმა რომ გაუმართა უცხოეთიდან დაბრუნებულ შვილს, რძალს და ნაყმევს, ცოლი და ძმა ჩაისვა ეტლში და ქუთაისს გაემართა. ქუთაისის გუბერნატორს უნდა გამოცხადებოდა, რათა მისგან გუბერნიაში ცხოვრების ნებართვა მიეღო. ქუთაისიდან აპირებდა იგი მთელი საქართველოს მოვლას, უპირველეს ყოვლისა კი, გორში, თავისი ერთგული მეგობარი ოთარ აზილახვარი უნდა ენახა. მოგზაურობის დაწყების წინ, ბეგლარი იხმო და საქართველო უნდა დავათვალიეროთ, თუ გნებავს წამომყევიო, მაგრამ ბეგლარმა უარი უთხრა. მას ხმელეთი არ აინტერესებდა, გული ისევ ზღვისკენ უწევდა. უკვე განზრახული ჰქონდა ფოთში დაბრუნება, რომ მერე იქედან, რომელიმე გემს გაჰყოლოდა სადმე. ნესტორმა ჯამბაკურთან და მადლენთან ერთად სოფელი დატოვა, ხოლო ბეგლარი შინ დარჩა, ჯამბაკურის ძიძიშვილები კი ფოცხოში დაბრუნდნენ.

შინ დარჩენილმა ბეგლარმა ძალზე მოიწყინა. ერთხელ, ოქროპირას ოჯახში სახლიკაცები შეგროვდნენ და პურმარილი გამართეს, მაგრამ მაინც ვერ გაერთო ბეგლარი. წლების განმავლობაში მახლობლებს. მონატრებული, მახლობლებთან საერთოს ველარ პოულობდა. ყანის თოხნას და საქონლის მოვლას გადაჩვეულს, მათი არ ესმოდა და მისას, ისინი ვერ გებულობდნენ. მხოლოდ სიმონა ნიგურიანს ჰქონდა ნანახი ზღვა, მაგრამ გემისა იმას არაფერი გაეგებოდა. ბეგლარი ყრუმუნჯივით იყო თვისტომთა თვისთა შორის. დადარდიანდა, ხალისი დაჰკარგა, მოდუნდა, მოეშვა. ზოგჯერ წისქვილში მიჰყვებოდა ძმას, მამას ან ბიძას. მთვარიან ღამით, ხეთა ჩრდილში გრძელ ჯორკოზე მჯდარს, ესმოდა დოლაბის მონოტონური გუგუნი და სარეკელას კაკუნი, უსმენდა წყლის დაუღალავ შხუილს და ჩაბალახიანი გლეხების საუბარს, რომლებიც ხან ზღაპრებს ყვებოდნენ, ხან მომავალზე მსჯელობდნენ, ხან სიმინდის მარგვლის და მორწყვის საქმეებს უზიარებდნენ ერთმანეთს. ხან კი ბეგლარს თხოვდნენ რამე მოეთხრო ქვეყ-

გაგრძელება. იხ. „მნათობი", 1980 წ. № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერების საკვირველებაზე. ბეგლარი ხათრს არ უტეხდა მეზობლებს, ხალისით უამბობდა მაღრიბ-მაშრიყზე, ციმბირის ყინვაზე და ტროპიკების პაპანაქებაზე, და პირდაღებულნი უსმენდნენ გლეხები მას, თვითონ კი ამ საუბრის დროს, თვალები უბრწყინავდა, გული მძლავრად უცემდა, სხეული უმსუბუქდებოდა, თითქოს ფრთები გაეშალოს და კვლავ შერთვოდეს ოდესღაც ნანახ საოცარ სამყაროს, მოსვენებას რომ არ აძლევდა მშობლიურ კერაზე დაბრუნებულს. მაგრამ ამ საუბრებსაც ჰქონდა ბოლო და წისქვილიდან შინ რომ მიდიოდა, ისევ მოწყენა ეუფლებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს, ეკლესიაში მიაკითხა საბას. შუადღე იდგა. ცაცხვების ჩრდილი გადაჰფენოდა ხავსმოკიდებულ საფლავის ლოდებს. ეკლესიის ეზოში სიჩუმე იყო. ხასხასა მოლი სულს ამშვიდებდა. საყდარში მხოლოდ ერთადერთი კანდელი ბჟუტავდა მაცხოვრის ხატთან, ეს ეკლესია მაცხოვრის სახელს ატარებდა. ბეგლარმა საკურთხევლის გვერდით, ხის კარი ჭრიალით შეაღო და პატარა, ბნელ სენაკში შეიხედა, სადაც საბას უყვარდა განმარტოება და წიგნის კითხვა. ახლა საბა არ დახვდა აქ. საკმევლისა და თაროებზე დაწყობილი დამტვერილი წიგნების სუნი იდგა სენაკში. ვიწრო, გრძელი სარკმლიდან ერთადერთ ზოლად შემოდიოდა დღის სინათლე. აქ, ამ კედელთან, ფარდაგდაფენილ ტახტზე ჯდებოდა საბა, პატარა მაგიდას იდაყვებით დაყრდნობილი სარკმლიდან შემოსულ შუქზე გადაშლილ წიგნს წინ დაიდებდა და ჩაჰკირკიტებდა ხოლმე. საათობით იჯდა თავჩაქინდრული, ზოგჯერ ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე და ნაღვლიანად შესცქეროდა ცის ნაფლეთს, სარკმლიდან რომ მოჩანდა. მერე ისევ კითხულობდა, ოხრავდა, ტიროდა, რა იყო ნეტავ იმ წიგნებში, რა ეწერა ასეთი? ბეგლარს უყვარდა ბიძა, მაგრამ თან ერიდებოდა მისი. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაღაც იცოდა საბამ, სხვისთვის დაფარული. ბნელი სენაკიდან გარეთ გამოვიდა, ეკლესიას ირგვლივ შემოუარა, და საბას წააწყდა, კედლის ჩრდილში ჯორკოზე მჯდარს. ბეგლარი ბიძას მიესალმა, მოლზე დაჯდა და გალავნისკენ გაიხედა, სადაც ორი სკა იდგა. ჰაერში ფუტკრის ზუზუნი ისმოდა.

— გამოსამშვიდობებლად მოხვედი, შვილო? — ჰკითხა საბამ ძმისწულს.

ბეგლარი გაოცდა, მართლა გულთმისანი ხომ არ არის ეს კუზიანიო?

— რა იცი, შენ?

— გატყობ. არ გიჩერდება გული სოფელში. ისევ წასვლას აპირებ, მაგრამ თქმა გერიდება.

ბეგლარს ხელში ბალახის ღერო ეჭირა და სივრცეს გასცქეროდა. ეკლესიის გალავანს მიღმა, მოჩანდა ხეთა გრძელი რიგი, დაუსრულებლად მიმავალი შორი მთებისკენ.

— ნუ გერიდება. შვილო, წადი! შენ აწი სოფელს ველარ იგუებ.

— კი, მინდა წასვლა. ცოტა ფული მაქვს გადანახული...

— ცოტას ჩვენ დაგიმატებთ...

— მეყოფა, რაც მაქვს. გემის მართვა მინდა ვისწავლო. რა ვქნა, ბიძია, ოჯახსაც მსურს მოვეხმარო, მარა... შენ რას მირჩევდი?

— ხვალვე წადი, შვილო. შენ ბედს ეწიე!

მეორე დღეს, ბეგლარი სოფლიდან გაემგზავრა. ბესიამ გააცილა სადგურამდე. ურემზე დაუდო ევროპიდან ჩამოტანილი სკივრი, შიგ ცოტა სიმინდი და ლობიო ჩაუყარა ბაბალემ. ტანისამოსი, რაც კი ებადა, შინაურებს დაუტოვა ბეგლარმა. სადგურზე რომ მივიდნენ. ძმას გამოემშვიდობა, უცებ ძლიერ დაწყდა გული, უკანასკნელი ოქროს ფული ამოიღო და აჩუქა, სკივრი ურმიდან ჩამოიღო, ფოთისკენ მიმავალ მატარებელს დააჯდა და ასე ცარიელ-ტარიელმა კვლავ ზღვისკენ გასწია.

იმ ზაფხულს არარაფერი მომხდარა სოფელში ყურადსაღები. მხოლოდ ეს იყო, რომ ხმა გავრცელდა, თათრის ქალს ახლა ჯამბაკურის ნაცვლად, გლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუნა უნდილაძე ყვარობსო. თითქოს ვილაცას ენახოს ისინი ერთად, შუაღამეზე, ნალიაში. ეს ხმები, რა თქმა უნდა, თანდილას ყურამდეც აღწევდა, მაგრამ ღმერთმა უწყის, სჯეროდა თუ არა. შემოდგომაზე კი თათრის ქალს აშკარად დაეტყო ფეხმძიმობა და ახლა იმაზე შეიქნა ბჭობა, თანდილასაგან არის დაორსულებული, ჯამბაკურისგან, თუ გლახუნასგანო, ხოლო თანდილა იმასაც კი ფიქრობდა, იქნებ, ჯაშინიკასაგან დაჰყვა მუცელიო. არავინ იცოდა ვისგან ელოდა მაშო შვილს, მათ შორის არც ქალბატონმა მენიკამ, რადგან ყველა შეკითხვას თავჩაქინდრული მაშო უჯიათი დუმილით პასუხობდა. საშობაოდ, მაშოს გოგო შეეძინა, ხოლო შობა დილას ნესტორი, ჯამბაკური და ქალბატონი მადლენი მოგზაურობის შემდეგ შინ დაბრუნდნენ.

მხიარულად გაატარეს შობა, ახალ წელსაც მხიარულად შეხვდნენ. ერთ საღამოს შეზარხოშებულმა ჯამბაკურმა თათრის ქალის ნახვა მოინდომა, მაგან წამომაყენა ფეხზეო. თავის ოთახში იხმო მაშო და მაშოც ეახლა ბავშვიანურთ. ჯამბაკურმა ოქროს ფული ჩაუდო ხელში ქალს და ბავშვს დახედა. მაგრამ იმდენად არ მოეწონა ახალშობილი, რომ სიტყვის ამოღებაც კი ვერ მოახერხა, ვეღარც ჰკითხა ქალს რის კითხვაც სწადდა. მხოლოდ ესღა ამოღერღა, რა დაარქვი ამ ბავშვსო.

— პისტი მინდა, ბატონო, — უპასუხა მაშომ.

— პისტი იყოს, თუ გინდა, წადი ახლა! — სწრაფად გამოისტუმრა ოთახიდან.

ბავშვი მართლაც შეუხედავი იყო. დიდი თავი ჰქონდა, დიდი ცხვირი, დიდი პირი, გომბეშოსებური. მოახლე გოგოებს ვერ გაეგოთ ვის ჰგავდა, რადგან დედისა იმას არაფერი ეცხო, მაგრამ რადგან არავინ იცოდა ვინ იყო მამა, ვერც იმის თქმას ახერხებდა ვინმე, ზედგამოჭრილი მამააო. უცნაურ გამოცანად ქცეულიყო ეს ბავშვი, რომელიც დაბადებიდან სამი თვის თავზე ისე ავად გახდა, რომ არავის [illegible] გადარჩებოდა. სწორედ, მაშინ ინება ქალბატონმა მენიკამ მისი მონათვლა, რათა უმანკო სული წარწყმედილი არ წარმდგარიყო საიქიოს.

იმ დღეს, დილიდანვე წვიმდა, ცივი, უჟმური ამინდი იდგა. მსახური ყვაჭიჭა მღვდლის მოსაყვანად გაგზავნეს. სანამ მღვდელი მოვიდოდა, ქალბატონმა მენიკამ თათრის ქალი სამოახლოდან სასახლეში გადმოაყვანინა. ჯორზე ამხედრებული მღვდელი მალე მოვიდა. თავიდან ფეხამდე გალუმპული ყვაჭიჭა უკან მოსდევდა. არც მღვდელი იყო უკეთეს დღეში. მართალია, დიდი შავი ქოლგა გაეშალა და შეფარებოდა, მაგრამ ისეთი თავსხმა იყო, რომ ქოლგა ვერ იფარავდა, გრძელი ანაფორა გასაწური შეიქნა. სასახლის უკანა მხარეს, ერთ მცირე და ბნელ ოთახში შედგა ნათლობა. სანთლები აანთეს, ემბაზი და თბილი წყალი მოამზადეს. ყველანი ჩქარობდნენ, რადგან პატარა პისტი სულს ღაფავდა, საბრალობლად კნაოდა, ძუძუს პირს არ აკარებდა, ხელში არ ჩაგვაკვდესო შიშობდნენ, მაგრამ მოხდა სასწაული! მონათლეს თუ არა, ბავშვმა მოიხედა, მომჯობინდა, მალე კნავილი შეწყვიტა და ძუძუც მიიღო. ერთ კვირაში სრულიად გამოჯანმრთელდა, გახალისდა, მადაც დაუბრუნდა. ამის შემდეგ, გულკეთილი ქალბატონი მენიკა მეტ ყურადღებას იჩენდა ნათლულისა და მისი დედის მიმართ. ისინი სასახლეში დატოვა და ის პატარა ოთახი მიუჩინა, სადაც ბავშვი მოინათლა, იყვნენ იქ მუდროდ.

ამასობაში, ზამთარიც მიიწურა და როგორც კი გამოზაფხულდა, ბატონიშვილი ნესტორი შეუდგა თავის ადგილმამულის მოვლა-მოწყობას. გადაწყვეტილი ჰქონდა მამული ევროპულ ყაიდაზე გაეშენებინა. საქართველოში მოგზაურობამ დაარწმუნა თავისი ქვეყნის ჩამორჩენილობაში. საზოგადოება დუნე ცხოვრებით ცხოვრობდა და ყოველდღიური მიზნებით იფარგლებოდა. დამონებულ ერს ვერც მოსთხოვდი მაღა-

ლი საზოგადოებრივი ინტერესებით გატაცებას, ქართულ ენას, ოფიციალური სკოლისა და ეკლესიის მიერ აბუჩად აგდებულს და შეურაცხყოფილს, მხოლოდ გლეხობა ინახავდა ერთგულად, მაგრამ გლეხობა იყო ბნელი, უსწავლელი, ჩამორჩენილი და მას არ შეეძლო მაღალი კულტურის შექმნა. სწორედ იმ ხანებში, საუკეთესო ქართველებმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" ჩამოაყალიბეს, და ნესტორმაც განიზრახა სოფელში სკოლის დაარსება. ამისათვის აუცილებელი იყო სკოლისთვის საჭირო შენობის აგება. ნესტორმა თავი მოუყარა გლეხებს, განუმარტა ამ საქმის დიდი მნიშვნელობა და დაითანხმა დახმარებაზე, ზოგი ფულით, ზოგი მუშაობით და ხარ-კამეჩით. თვითონაც გაიღო მოზრდილი თანხა. გუბერნატორსაც ეახლა და უფლება გამოსთხოვა, და სოფლის ცენტრში, მთავარი გზის პირას, სკოლის ასაშენებლად ადგილი გამოჰყო. როგორც კი დათბა და გაშრა მიწა, მუშაობას შეუდგნენ. მთელი სოფელი გარეთ გამოვიდა, ზოგი კალატოზობდა, ზოგი ხუროობდა, ზოგი ურმით რიყედან ხრეშს ეზიდებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს, ხრეშით დაზვინულ ურემზე მჯდარი თანდილა მდინარიდან სოფელში ბრუნდებოდა. გზა უნაპიროდ გაშლილ მინდვრებს შორის მიიკლაკნებოდა, სადაც თავისუფლად დანავარდობდა თბილი ნიავი. გაზაფხულს მწვანედ აეხასხასებინა ქვეყანა. ღველფადქცეული მზე ნელა ჩადიოდა ცის დასავალთან და მისი მკვდარი, მოთენთილი შუქი საოცარ ნაღველს ჰფენდა ირგვლივ ქლალ სივრცეს. მიმწუხრის სევდა დაუფლებოდა თანდილას სულს, მოწყენით გასცქეროდა იგი ხარებს, ტაატით რომ ეწეოდნენ ჭაპანს მძიმე ულლის ქვეშ კისერდადრეკილნი, ლაფში დასვრილ ფეხებს ზანტად მიათრევდნენ, ჰაერში კი ბადაგივით დაღვრილიყო ფრთოსანთა კრიალა გალობა, რომელსაც ურმის თვლის გულისგამაწვრილებელი ჭრიალი ეხმიანებოდა.

ურემი ნელა მიგორავდა და სოფლის სანახებს რომ მიაწია, თანდილამ გზის სიახლოვეს, ბუჩქნართან შეჩერებული ქალი შეამჩნია. თანდილამ ხარები შეაჩერა და „რომელი ხარო?!" — გასძახა, მაგრამ ქალმა პასუხი არ გასცა, სახეზე მანდილი აიფარა, თხემლის შტოები გასწი-გამოსწია და ტევრში გაუჩინარდა. ალი არ იყოსო, გაუელვა თანდილას, მაგრამ მაინც გადმოხტა ურმიდან და მიჰყვა მოჩვენებას. თხილნარი გაარღვია, მდელოზე გავიდა და ნორჩ თხმელის ხეს ამოფარებული ქალი დაინახა, რომელიც შემკრთალი იყურებოდა მისკენ. ეს ქალი მაშო იყო და იცნო თუ არა, შეკრთა, გულმა ძლიერ დაუწყო ძგერა, რადგან მაშოს დანახვა ამ კაცს მუდამ ორ გრძნობას ულვიძებდა სულში, სიხარულს და ბოღმას. ახლაც დაიბნა, რადგან გაუხარდა უკაცრიელ ჭალაში სრულიად მოულოდნელად სასურველ არსებას რომ წააწყდა, და არანაკლებ დაიბოღმა, ეს არსება ოდესღაც ჩიტივით რომ გაუფრინდა ხელიდან. კიდევ უფრო მოიღუშა, მოიქუფრა და ხაფი ხმით ჰკითხა:

— რას აკეთებ, ქალო, აქანა?

— წამლებისთვის ბალახს ვაგროვებ, — უნებურად გაეღიმა მაშოს თანდილას დანახვაზე.

თანდილამ ირგვლივ მიმოიხედა და შეეჭვებულმა იკითხა:

— ეგება, ვინმეს ელოდები?

— ვის უნდა ველოდებოდე? — წარბები შეკრა მაშომ.

— რა ვიცი მე?

— არავის მე არ ველოდები!

ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო, სრული სიწყნარე და სიმარტოვე სუფევდა, მხოლოდ ჩიტები დანავარდობდნენ ჰაერში ლაღად.

— ის ჩათუქესანი ჯამბაკური ქე წამოაყენე ფეხზე და... კიდევ დაგრჩა ვინმე მოსარჩენი?

— მაგი არ არის, თანდილა, შენი საქმე! — გაალმასდა ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ შე ქალო, ვითომ ნამეტანი უცხოები ვართ თუ?

— სწორედ უცხოები ვართ. შენი წყალობით თათრის ქალი დამარქვეს. ჩემი ჯაშინიკას სიკვდილის მერე, დასანახად მეჯავრები, შენ შემაცდინე, შენ წამომიყვანე აქეთ, მიმატოვებინე სახლი და კარი, დამლუპე და დამანგრიე, თავი მომჭერი და სამარე გამითხარე... — დაუნდობელი სიძულვილით ახლიდა სიტყვებს, თითქოს ქვას ესროდა ვიღაც უკეთურს, ულირსს, მდაბალს, ხოლო თანდილას ხმა გაბზარვოდა:

— რას ამბობ, ქალო?

— რაც გეიგონე!

— კაი, თუ ღმერთი გწამს?! — ხელზე წაეპოტინა მოულოდნელი ბრალდებისგან გაოგნებული, მაგრამ ქალი ხეს მოშორდა, გზისკენ გადადგა ორიოდ ნაბიჯი, და მაშინ თანდილამ ორივე ხელი შემოხვია მხარზე:

— მოიცა, თუ ქალი ხარ, დედა ნუ წაგიწყდება, დავივიწყოთ რაც იყო, გლახუნა და ჯამბაკური არ გარგია შენ, წამეიყვანე შენი ბალანა და წამომყევი სახლში, იყავი ჩემთან, ვიყოთ ტკბილად... — მათხოვარივით ემუდარებოდა, ჩვეული სიმტკიცე წართმეოდა, მოუთმენელი სურვილით აპირთავებულ ვნების ქრუანტელი ძარღვებში უვლიდა და მუდარის სიტყვებთან ერთად. მისი არსების მრუმე ჯურღმულში მთვლემარე ბოლმა ილვიძებდა, სასტიკი და უმისამართო.

— ხელი გამიშვი! — იძახდა მაშო.

— ხელის გულზე დაგისვამ, — ემუდარებოდა თანდილა, — ჩიტის რძეს არ მოგაკლებ, ოღონდ წამომყევი სახლში, ოღონდ ყოველდღე შენთვის მაყურებინე...

მაგრამ ქალი ზიზლის კედლად ქცეულიყო, ურყევ და უტეხ სალ კლდედ აღმართულიყო მის წინაშე, რომელსაც ამაოდ ეხლებოდა თავდავიწყების გახელებული ტალღები და:

— ხელი გამიშვი-თქვა, შე გლახა, პირშავო, მახინჯო! — ჯიუტად, გაბოროტებით გაიძახოდა და გაშმაგებით ცდილობდა მამაკაცის მძიმე ტორსის მოშორებას.

მაშინ ამოხეთქა სულის სიღრმიდან შემზარავმა სიავემ, ელვის სისწრაფით წაავლო თმაში მაშოს მარცხენა ხელი, თავი უკან გადაუწია, მარჯვენათი ყამა დააძრო და ყელში ჩასცა. მერე უკუდგა და თვალებში შეხედა ახროტინებულ ქალს, რომელსაც ჭუგები გაფართოებოდა, გაშეშებოდა, ცას შეჰყურებდა, თითქოს გაკვირვებული, თითქოს შვების მომლოდინე, ხელები კისერზე წაევლო, თითქოს დანის ამოძრობას ლამობდა, ხოლო ჭრილობიდან გადმოღვრილი სისხლი წითლად ულებავდა თითებს, ყელს, მკერდს, ახლა უკვე მუხლებზე დაცემულს და კვლავ თავაღმართულს, ახროტინებულს, პირიდანაც წამოაღებინა სისხლი, ზურგზე გადაესვენა, ფეხი გაათართხალა, თითქოს სადღაც წინ გახოხვას, გაძრომას ცდილობდა, და უცებ, გაშეშდა, გაყინული თვალები გახელილი დარჩა. თანდილამ დახედა ბალახზე გართხმულ სისხლიან გვამს, წელში მოიხარა, გაქვავებულ გულზე ხელი დაადო. მერე ბალახი მობღუჯა და ხელები შეიწმინდა. ხელშენაწმენდი სისხლიანი ბალახი გვამს დააყარა. გასწორდა, გამობრუნდა ურემზე დაჯდა და ხარებს სახრე გადაუჭირა. კუდის ქნევით გაუდგნენ გზას ზანტი ხარები და კვლავ ააჭრიალეს ურმის ბორბალი.

დაღამებულში მივიდა შინ. მაშოსეული თხა გამოიყვანა და დაკლა. გაატყავა, აქნა, ხორცი და ტყავი ტყემლის ტოტზე ჩამოკიდა. ამის შემდეგ, ცოტათი დამშვიდდა, ხოკერით წყალი გადმოისხა და ხელები გადაიბანა. ერთხანს, ჩუმად იჯდა. მერე ურემი ეზოში შემოიყვანა, ხარები უღლიდან გამოხსნა, სილითა და ნარიყით სავსე ურემი კონკილაზე შეაყენა, არც კი გახსენებია, რომ ხრეში სკოლის ასაშენებელ ადგილას უნდა მიეტანა. ხარები სასიმინდესთან მიაბა. საპირე ჩალით აავსო, და ქოხისკენ გაემართა. კარის ზღურბლს გადააბიჯა და სოხანეზე შე-

დგა ფეხი. კერიის სითბო ესიამოვნა, შვილის საწოლს მიუახლოვდა, თავზე დაადგა მშვიდად მძინარე ბავშვს და დიდხანს უყურა. ამასობაში, ელპიდეს გაეღვიძა.

— თანდილა, შვილო, მოუწევქი დარისპანს და დეიძინე!

— რა დროს ძილია, დედია, ქვეყნის საქმე მაქვს.

— რა საქმე გაქვს, შვილო, ამ შუღამისას?

— ქვეყნის საქმე მაქვს მოსასწრები.

კვლავ გარეთ გამოვიდა. ხარებს ჩალა დაუმატა. წალდი აიღო, ღობეს მიადგა, გაასწორა, გაამრთელა. სანამ ხარები ჩალას ახრამუნებდნენ, ლაფაროდან გუთანი გამოათრია და გამართა. ამასობაში, მამლებმაც იყივლეს პირველად და ტყეში დამალული გაბერილი, მძიმე მთვარე ამობობლდა ცაზე. ხარები ბოსლიდან გამოიყვანა, გუთანში შეაბა და ქოხის უკან რომ საყანე ჰქონდა, იმის ხვნას შეუდგა. მთელი ღამე ხნავდა მთვარის შუქზე. როცა მესამედ იყივლეს მამლებმა, კიდევ ჰქონდა სამი სვრელი დარჩენილი. როცა მთვარე ჩავიდა და უკუნი სიბნელე ჩამოწვა მცირე ხნით, ვიღაც თეთრად შემოსილმა ახმახმა კაცმა ეზო გადაჭრა, ყანა გადაიარა და გაუჩინარდა. „რომელი ხარო?“ — უნდოდა ეკითხა მქრქალი ლანდისთვის, მაგრამ აღარ ჰკითხა. როცა ირიჟრაჟა, ყანა გადახნული ჰქონდა. კვლავ გამოხსნა გასავათებული ხარები უღლიდან, ბოსელთან მიაბა და ჩალა დაუყარა. მამლები აყივლდნენ, ძაღლები აყეფდნენ, ღორები აჭყვიტინდნენ, საქონელი აბღავლდა. ძროხა საბალახოზე გაიყვანა, ქათმები დააპურა, ღორებს როფში სალაფავი ჩაუყარა. მზე ნელა ამოდიოდა, ელპიდე რომ კარში გამოვიდა, თანდილა ხის ძირში იჯდა და გოდრებს წნავდა.

— ადექი, შვილო? — ჰკითხა დედამ, მაგრამ პასუხი არ გაუცია. ხოლო როცა პატარა დარისპანს გაეღვიძა და აუღურტულდა, დედა იხმო და თხოვა: სიმონას თავისი ხარი მიუყვანე, ბალანაც თან გაიყოლე, უთხარი, [illegible] მოვიდეს მერე და ურემი დაცალოს, მე არ მეცლება მაგისთვისო.

დედა და შვილი რომ გაისტუმრა, ქოხის შეკეთებას შეუდგა. მზე უკვე კარგა მაღლა ამოსულიყო. დილის ნამი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. თანდილამ მომპალი ზედა ფიცრები მოარღვია და ორი გადანახული, გაშალაშინებული ახალი ფიცარი ჩადგა მათ მაგივრად. ამ საქმეს რომ მორჩა, სასიმინდეს ისლი დაუმატა იმ ადგილზე, სადაც ზამთარში წვიმა ატანდა. ამის შემდეგ, ცული დაიორხელა და ქოხის უკან დაყრილ შეშას ჩეხვა დაუწყო. და სწორედ იმ დროს, როცა უკანასკნელი მორი დააპო, ჭიშკარს სისო მოურავი, ღლახუნა უნდილაძე და ყვაჭიჭა მოადგნენ.

— მობრძანდი, თანდილა, ერთი წუთით! — დაუძახა სისო მოურავმა.

თანდილამ ცული მხარზე გაიდო და ჭიშკარს მიუახლოვდა. სისომ სისხლშემხმარი დანა დაანახა.

— ეს დანა შენია?

— კი, ბატონო, ჩემია!

— მაშინ წამოდი, ყაფლან ბატონს გაეცი პასუხი!

ნაჯახი დააგდო და უსიტყვოდ გაჰყვა. მხოლოდ ერთხელ მოიხედა უკან, საკუთარი კარმიდამოსკენ.

შუკაში მიაბიჯებდნენ, აქეთ-იქეთ სისო და ყვაჭიჭა ედგნენ, ღლახუნა უკან მოყვებოდა.

— რა გიქნია, ბიჭო? — შეეკითხა სისო, მაგრამ თანდილამ ხმა არ ამოიღო. არც ყვაჭიჭას გასცა პასუხი, რომელმაც ცოტა ხნის მერე ჩასჩურჩულა:

— ვერ გეიქეცი, თანდილავ, ტყეში, ვერ უშველე თავს?

დუმდა, როცა სასახლეში მიიყვანეს. რასაკვირველია, ყველანი გარეთ გამოვიდნენ, აღელვებულნი, აღშფოთებულნი. ამ დილით, მდინარისკენ ცარიელი ურმით მიმავალ გლეხს შემთხვევით ეპოვნა მაშოს გვამი, ურემზე დაედო, სასახლეში მოეტანა, და ახლა სამოახლოს გვერდით, კაკლის ხის ძი-

17/130

რში, მიწაზე დაესვენებინათ, ზემოდან საბანი გადაეფარებინათ, მოახლე გოგოები თავს დასდგომოდნენ და ზოგჯერ მოსთქვამდნენ, მაგრამ თანდილას არ გაუხედავს იქეთ. სამოახლოს წინ, კუნძზე ჩამოჯდა, ფეხები გაფარჩხა, ცალი ხელი მუხლზე დაიდო, მეორე ხელს თავით დაეყრდნო და ეს ჯმუხი, შავი კაცი უჯიათოდ მიაშტერდა მიწას. თავი არ აუწევია, როცა ყაფლან ბატონი მობრძანდა, ფეხზეც არ წამომდგარა, არ განძრეულა.

— რა გიქნია, ბიჭო, შენ შეგარცხვინა ღმერთმა?! რატომ გააკეთე ეს საქმე, შე ღვთის გარეგანო?! — მკაცრად ეკითხებოდა ყაფლან ბატონი, მაგრამ თანდილა ისე მედგრად, ჯიუტად დუმდა, რომ ღმობიერი ყაფლანი ბოლოს და ბოლოს, შეეჭვდა კიდეც და გარშემომყოფთ მიმართა, იქნებ, ამ კაცს არ მოუკლავს და ტყუილად ვაბრალებთო?

— რავა გეკადრება, ბატონო, თანდილას ყამას ათას ყამაში გამოვიცნობ! — თქვა გლახუნამ.

— შენია, ბიჭო, ეს დანა? — კიდევ ერთხელ შეეკითხა ყაფლან ბატონი, მაგრამ ვერც ამჯერად მიიღო პასუხი. მაშინ: ბოქაულს მიუყვანეთო! — ბრძანა და სასახლეში შებრუნდა.

თანდილა წამოაყენეს და ხელები შეუკრეს. ხელებს რომ უკრავდნენ, მორჩილად იდგა. ამის შემდეგ, გლახუნამ, სისომ და ყვაჭიჭამ ბერდანის თოფები გადაიკიდეს, თანდილა წინ დაიყენეს და გზას გაუდგნენ. თან ერთი შეიარაღებული ჩაფარი ახლდათ. მთელ სოფელს გაეგო სამწუხარო ამბავი. როცა ორღობეში ჩამოატარეს მკვლელი, გლეხები შარაზე გამოდიოდნენ, ზოგიერთები დანანებით ეკითხებოდნენ: „თანდილა, შე უბედურო, ეს რა გიქნიაო?“ მაგრამ თავჩაქინდრული თანდილა მეზობლებს არ უყურებდა, წინ შეუპოვრად მიაბიჯებდა, და არც მაშინ შეუნელებია ნაბიჯი, როცა დედის კივილი მოესმა.

— ბიჭო, დედაშენი მორბის ეგერ და თუ გინდა უთხარი რამეო! — შესთავაზა სისო მოურავმა, მაგრამ თანდილას ვითომც არც დედის კივილი გაეგონა და არც სისოს სიტყვა, ამჯერადაც არ მიუხედავს უკან, ფეხი არ შეუცვლია, თითქოს ამ სოფლად არაფერი აკავებდა. კივილ-კივილით სდია ელპიდემ შვილს სოფლის ბოლომდე, მერე შარაზე დაეცა მტვერში, აქვითინდა და მიყუჩდა. თანდილამ კი მხოლოდ მაშინ ასწია თავი, როცა ორღობეს გასცდა და თვალწინ ფართო სივრცე გადაეშალა.

დაბინდებამდის იარეს. როცა ჩამავალმა მზემ უკანასკნელ სხივებსაც მოუყარა თავი და უკუიხმო, ერთ ადგილას, გზიდან გადაუხვიეს და დასასვენებლად მდელოზე დასხდნენ. დასავლეთისკენ ტყე იყო ხშირი, წინ მწვანე მინდორი გაშლილიყო კორომებით და ბუჩქნარით დაფარული. სისო მოურავმა ყალიონი ამოიღო და გააბოლა, ყვაჭიჭამ თოფი დადო და ბალახზე მიწვა, ჩაფარს გუდა გაეხსნა და ცივ მჭადს ლოღნიდა, მხოლოდ გლახუნას ეჭირა მომარჯვებული თოფი და თვალს არ აშორებდა თანდილას, რომელიც გულისყურით მისჩერებოდა მინდორში რაღაცას. თანდილა ხედავდა იმ უცნაურ არსებას, რომელიც ღამით, ორჯერ გამოეცხადა. ახლა კი, როცა ჯერ კიდევ სინათლე იდგა ქვეყანაზე, შავ ანაფორაში გახვეულიყო ის ახმახი უცხო კაცი, ხელში გრძელი ცელი ეჭირა, ტანაყრილ ბალახს თიბავდა მინდვრის ბოლოს, და თანდათან აქეთ მოდიოდა, ახლოვდებოდა. თანდილამ თანამგზავრებს თვალი გადაავლო და მიხვდა, რომ ჯერ ვერცერთი ვერ ამჩნევდა უცნაურ მთიბავს, კვლავინდებურად რომ მოდიოდა, ახლოვდებოდა, თიბავდა, უეცრად თიბვას შეწყვეტდა, თავს აილებდა, თანდილას გამოხედავდა და ისევ აგრძელებდა თავის საქმეს. თანდილა ფეხზე წამოდგა, მთიბავი კი სულ ახლოს მოვიდა და შეჩერდა. ცელი მხარზე გადაიდო და თანდილას ხელი დაუქნია. თანდილამ უნებური ნაბიჯი წარსდგა მისკენ. მთიბავმა კიდევ ერთხელ დაუქნია ხელი, მერე წელში მოიხარა და ნელა

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ...

გაიქცა, ჯაგებს მიაშურა, და იმავ წამს თანდილაც მოწყდა ადგილს, მისი მცველებიც წამოიშალნენ.

— გაჩერდი, ბიჭო, სად გარბიხარ?! — გასძახა სისო მოურავმა, მაგრამ თანდილას ამათი ხმა აღარ ესმოდა, მთელი არსებით სურდა მთიბავს დასწეოდა, საკითხავი ჰქონდა რაღაც, პასუხს მის გარდა არავისგან ელოდა, მთიბავი კი ბუჩქებს ეფარებოდა.

— გაჩერდი, თანდილავ, თორემ გესროლე! — ღრიალებდა გლახუნა, რომელსაც თოფი გადმოეღო და გაქცეულისთვის დაემიზნებინა, მაგრამ მთიბავმა უკან მოიხედა, კიდევ ერთხელ დაუქნია ხელი და ბუჩქებს მიეფარა, და თანდილამაც უმატა სირბილს და იმავ წამს ,იქუხა თოფმა, და უცბად, წელში შეიზნიქა თანდილა, შედგა, შეტორტმანდა, გადადგა ნაბიჯი, ერთი, მეორე, სისხლმა ზურგი შეუღება, ხოლო მთიბავი უსაშველოდ გაზრდილიყო, აღარც კი ჩანდა, გრანდიოზული შავ[illegible] რა გადაეხსნა, გაეშალა, [illegible] კაბადონი, და ამავე დროს, ანაფორის შავი კალთები ელვის სისწრაფით მოჰქონდა მისკენ, თითქოს თანდილასთან ერთად, მთელი ქვეყნიერების შთანთქმას ლამობდა.

მწვანე მინდორზე გულაღმა დაეცა ხელებდაბორკილი თანდილა.

— რა ქენი, გლახუნა, შე სულწამწყდარო, კაცი მოკალი?

— აბა, რა მექნა, ვერ დეინახეთ რაფრა გარბოდა?

— გაქცეულიყო მერე, სად წევიდოდა?

— დაბორკილი კაცის მოკვლა და ისიც მეზობლის, არ გამიგია მე!

— გეიგებთ, მაგი რაა? მეიცათ, პატარა ხანს და უარესსაც გაიგებთ! — იღრინებოდა გლახუნა, და თან ოთხივე მცველი მინდორში გულაღმა გართხმული გვამისკენ მიძუნძულებდა.

## ნაწილი მეორე

1.

ომიდან დაბრუნებულ სიმონა ნიგურიანს, გარდა ოქროს დასტანაგისა, ოქროს ფულიც ჩამოჰყვა თან. სამაჯური მისთვის გურულთა ქვეითი რაზმის მეთაურს თავად გურიელს ეჩუქებინა, რომელიც სიმონამ უეჭველი სიკვდილისაგან იხსნა. ეს უკვე ითქვა. ამგვარად, საშოვარზე გასული სიმონა შინ შეძლებულ კაცად დაბრუნდა. ქვეყანა მოიარა, მატარებლით იმგზავრა, ნახა ზღვა და გემები. ომის ფათერაკებსაც იღბლიანად გადაურჩა. ღმერთი მოწყალე თვალით უყურებდა და რაკი ღმერთი წყალობდა, სიმონამ ისლიანი ქოხის ნაცვლად, ოდა-სახლის დადგმა გადაწყვიტა. ამ დროისათვის, ეს ძნელ საქმეს აღარ წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც რკინიგზა გაიყვანეს, ჭალადიდიდან და ანაკლიიდან გამოზიდული ხე-ტყე გაიაფდა. სწორედ ამავ ხანებში, თავქარიანმა ქართველმა თავადებმა აჯამეთის უსიერი ტყე ერთ სომეხ მრეწველს მიჰყიდეს, ისიც შეუდგა რეწვას, და ოდა-სახლისთვის საჭირო მასალა: თელა. ძელქვა, რცხილა, მუხა, — იოლად იშოვებოდა. ყველამ, ვისაც ცოტა რამ ებადა, სახლების წამოჭიმვა დაიწყო.

არც სიმონა ჩამორჩა სხვებს. ერთ მშვენიერ დღეს ურემი გამართა და ჭალადიდში გაემგზავრა. აქ, მას ერთი ნაცნობი კაცი ეგულებოდა, ბარდღა ადამია, რომელთანაც ერთად, ინგლისელ ინჟინერს მელორის მეგზურობას უწევდა. ბარდღა ადამია სიმონას ცოცხალი და ჯანმრთელი დახვდა. ერთმანეთის ამბები მოიკითხეს. ბარდღა ერთხანს, თურმე, მელორის ხლებია, რომელსაც საქართველოში დასახლება გადაუწყვეტია. ამ ინგლისელს ვანში მა-

მული შეუძენია, ინგლისური ყაიდის სახლი აუშენებია და ქართველი აზნაურის აგიაშვილის ქალი შეურთავს. მცირე ხანს ყოფილა მასთან ბარდღა მოურავად თუ მოჯამაგირედ, მერე შინ გამოუწევია. სიმონამაც უამბო ოდის დადგმა რომ ჰქონდა განზრახული. ჭალადიდში მასალა, მართლაც, მუქთად იშოვებოდა. მეორე დღეს, ბარდღამ სიმონა ხე-ტყის მწარმოებელ კაცებთან მიიყვანა და საქმე გაარიგებინა. ამის შემდეგ, სიმონა შინ დაბრუნდა. მოკლე ხანში, ბარდღა ადამიას წყალობით, საშენი მასალა მოუვიდა. სიმონამ რაჭველი ხუროები დაიქირავა და ოდის წამოჭიმვას შეუდგა. თავისი ვრცელი ეზოს შუაგულში გამოჰყო ახალი სახლისთვის ადგილი. ხუროები ფიცრებს ამალამინებდნენ, ლარტყებს თლიდნენ, ბუდაურებს არუქურთმებდნენ და ბირკვილებს ახარატებდნენ. ახმაურდა ნიგურიანების კარმიდამო. პატარა მიხაკო ეზოში დაბაჯბაჯებდა და მუშებს ფეხებში ებლანდებოდა. ზოგჯერ, გოგიელა მიხაკოს ხელს მოჰკიდებდა და ჭიშკართან წაიყვანდა, კუნძზე ჩამოჯდებოდა, ბავშვს მუხლზე დაისვამდა და უკაცრიელ შარას გასცქეროდა. შორიდან, დროგამოშვებით, სკოლის ზარის რეკა ისმოდა. ნესტორის თაოსნობით აგებულ სკოლაში, რომელსაც ახლა აზნაური კოჭია პირველი ედგა სათავეში, მეცადინეობა მიმდინარეობდა. ერთხელ, თვით ნესტორმა ჩამოიარა შარაზე ორთვალა ეტლით. გზის პირზე, ჭადრის ჩრდილში, შვილიშვილთან ერთად მჯდარი გოგიელა რომ დაინახა, ეტლი შეაჩერა და სალამი თქვა. მერე ბავშვს დააცქერდა, მოეწონა და გაეღიმა.

— სიმონას ბიჭია?

— კი, ბატონო!

— ღმერთმა გაგიზარდოს, კარგი ბიჭი ჩანს! რომ წამოიზრდება სკოლაში მიაბარე უთუოდ.

— კი, ბატონო!

ნესტორმა ბავშვს ვერცხლის მანეთიანი აჩუქა და ეტლი დასძრა.

იმ ხანებში ნესტორი მამ[illegible] გამოეყო, ცალკე დასახლდა. ყაფლან ბატონი და ჯამბაკური ძველ სასახლეში დარჩნენ. ნესტორმა თავის მამულში ბამბის, ენდროს და აბრეშუმის წარმოება დაიწყო, იმედი ჰქონდა, რომ ეს საქმე მომავალში კარგ შემოსავალს მოუტანდა. მან ბათუმიდან გერმანელი მშენებლები გამოიწერა და მეტად უცნაური სახლი აიშენა, ასეთი რომ ამ მხარეში ჯერ არავის ენახა. სახლს წვეტიანი სახურავი ჰქონდა, ფართო ფანჯრები, გრძელი აივნები, ნათელი შუშაბანდი. ლამაზი და მოხერხებული შენობა იყო, გერმანულ ყაიდაზე აგებული. სახლის ირგვლივ, ნესტორმა პარკი გააშენა, სადაც ფარშევანგები დაგოგმანებდნენ. დარგო ნაძვები, ფიჭვები, საროები; ჭადრები და ცაცხვები ისედაც ხარობდნენ ამ ადგილას. პატარა ტყე ამოიცენდა თავისი ხეივნებით, ხელოვნური ტბით, სადაც გედები დაცურავდნენ. ნორჩი ხეების ტოტებზე ფრინველებმა დაიდეს ბუდე და აახმიანეს ის ყრუ ადგილი.

მაგრამ ნესტორს შინ გული არ უდგებოდა. არც გერმანული სახლი, არც ფრანგული ავეჯი, არც ბელგიურად გაშენებული ტყე-ბაღი არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ოჯახური სითბო და სიმყუდროვე განეცადა. ოჯახს დიასახლისი სჭირდებოდა მზრუნველი, თბილი და მახლობელი; ქალბატონი მადლენი კი, რომელთანაც მხოლოდ ცარიელი და მშრალი ენება აკავშირებდა, აწ უკვე მინავლებული, სრულიად უცხო გამხდარიყო მისთვის. აუტანელი სირცხვილის მოგონებად ქცეულიყო ქალბატონი მადლენი, თუმცა თავის დროზე, სწორედ, ამ ქალის წყალობით სურდა იმ სირცხვილისგან დარჩენილი უკმარობის შეგრძნების დაძლევა. მაგრამ ახლა თავისი თავისთვის ვერ ეპატიებინა, რომ ბედი ამ ქალს დაუკავშირა. მისი სულისთვის სრულიად უცხო და შემთხვევით ადამიანს, რომლის ქცევებს, ჩვევებს და ხასიათს ვერაფრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ ეგუებოდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ანალვლიანებდა ნაჩქარევი გადაწყვეტილება და კიდევ უფრო ულვივდებოდა უკმარობის განცდა. მათ თითქმის არაფერი ჰქონდათ საერთო და ნათესაური, სარეცელს გარდა. მარტო ზიარი სარეცელი არ კმაროდა ურთიერთ სიყვარულისა და პატივისცემის წარმოსაშობად. არადა, რამდენი მშვენიერი ქალი იყო ირგვლივ, მშვენიერი ქართველი ასული, მიმზიდველი, სათნო არსება. შორიდან ყველა იმათგანი ხორცშესხმულ ანგელოზად ეჩვენებოდა და გული წყდებოდა, რომ ბედმა თუ საკუთარმა სულმოკლეობამ არცერთი არ არგუნა, ვერ შეიქნა ღირსად იმისა, თავისი ჭირვარამის გამზიარებელი ჰყოლოდა, თანამგრძნობი და თანამდგომი საქმიანობაში, მამულისთვის გარჯაში. მაგრამ კაცური კაცისთვის თავის მოღვაწეობაში ნუთუ აუცილებელია დედაკაცის მხარდაჭერა? განა სიმარტოვეს უფრო მტკიცედ არ მივყავართ მიზნისკენ? თანაგრძნობა და მოფერება სუსტს სჭირდება მხოლოდ, ხოლო ძლიერი — თბილი და ნაცნობი მიწიდან ცივი და შეუცნობელი ცისკენ მიისწრაფვის ამირანის მსგავსად, ღმერთს რომ ცეცხლი მოსტაცოს და ღვთიური ცეცხლის მომპოვებელ კაცს განა სიმარტოვე უნდა აფრთხობდეს? ასეთ გუნებაზე მყოფს მხნეობა ემატებოდა, ცდილობდა უდიდესი ადამიანებისთვის მიებაძა და არა თვალსაჩინოებისთვის, მზად იყო თავი დაედო მამულისთვის, საკუთარი საწუხარი ავიწყდებოდა, წვრილმანად ეჩვენებოდა, რწმენა უყალიბდებოდა და უმტკიცდებოდა, ხან ილია ჭავჭავაძე მოაგონდებოდა, ხან აკაკი წერეთელი, ხან იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ნიკოლაძე, რამდენი იყო მათ გარდა ირგვლივ კაცი კაცური, სამაგალითო. ეტლს დააჯდებოდა და ქუთაისში გავარდებოდა ხოლმე სამერმისო გეგმებით და წამოწყებებით გამსჭვალული. კარგად ხედავდა, რომ ხალხს ძლიერ უჭირდა, თუმცა ზოგი შენდებოდა, მაგრამ მამულის აღორძინებას ოდა-სახლების სიმრავლე ვერ უშველიდა, თუ არ აღსდგებოდა დაკარგული სულის სიმხნევე და მიზანი.

ქუთაისს გარდა, ხშირად ჩადიოდა ბათუმსა და თბილისში. ბანკის საქმეებში მონაწილეობდა, თავადაზნაურთა კრებებს ესწრებოდა. ზოგჯერ ძველ მეგობარს ოთარ ამილახვარს ჩააკითხავდა გორში. ამ ოჯახში უხვად ხვდებოდა ის სითბო და ყურადღება, რომელიც შინ აკლდა. ოთარის უმცროსი და, თვრამეტი წლის ნინო თავს დატრიალებდა და თვალებში შესციცინებდა უფროსი ძმის მეგობარს, რომ როგორმე რითიმე ესიამოვნებინა მისთვის, და ამ მშვენიერი, ნაზი, ნარნარი ქალიშვილის შემყურეს, ზოგჯერ, საამური ოცნებები იტაცებდა, წარმოიდგენდა ნინოს თავისი დიდი სახლის დიასახლისად, ხედავდა მას თავის ეზოში მოფუსფუსეს, თითქოს მისი კრიალა ხმა ესმოდა ვრცელი და ყრუ ოთახებიდან და როცა ტკბილი ოცნებიდან გამორკვეული სინამდვილეს უბრუნდებოდა, გრძნობდა, არ უყვარდა ცოლი, ეს ადამიანი ბოჭავდა, ბორკავდა, სიხალისეს უხშობდა, მისგან თავდახსნა სწყუროდა, გულის სიღრმეში, იქნებ, მისი სიკვდილის მოსურნეც კი იყო, რადგან სხვა გზას ვერ ხედავდა ამ უდანაშაულო ადამიანის თავიდან მოსაშორებლად, თვითონ ხელს ვერ ჰკრავდა, ვერ გაეყრებოდა ამ უთვისტომო და უსუსურ არსებას, და საკუთარი სიფლიდე, შენიღბული, მაგრამ ერთბაშად გამომჟღავნებული და გაცნობიერებული, აფორიაქებდა, დიდი ხნობით არ აჩერებდა მეგობრის ოჯახში, კვლავ შინ მოეშურებოდა, სადაც ელოდა გაწყობილი სახლი. მოწყენილი და ცარიელი, სახლის ორგვლივ გაშენებული წალკოტი, და სიტყვაძუნწი, ცივი მეუღლე. წიგნებში ეფლობოდა, აივანზე გამოტანილ საქანელა-სავარძელში ჯდებოდა და თავაუღებლივ კითხულობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო კითხვისგან დაღლილი გახედავდა ხოლმე სივრცეს და საოცარი სევდა იპყრობდა, თითქოს დრო და სივრცე თავის დაუსაბამო ჯურღმულებში ითრევდა, სადაც ყოველივე ბნელით იყო მოცული. „ღმერთო, ზემო, რისთვის ვარსებობთ, სად მივდივართ, რა მოგველის?“ — გაიფიქრებდა ხოლმე, — „რა საჭიროა ეს ყველაფერი“.

სწორედ ასე იჯდა ერთხელ, მუხლზე გადაშლილი წიგნი ედო, როცა ჭიშკარში ცხენოსანი შემოვიდა და ნელა გამოჰყვა სახლისკენ კვიპაროსების ხეივანს. ეს ცხენოსანი ჯამბაკური გახლდათ. ჯამბაკური ჩამოქვეითდა, სადავე მოჯამაგირეს გადასცა, რომელმაც ქურანა ლაფშას წინა ფეხებზე დუშაყი დაადო და მოლზე მიუშვა. ჯამბაკური აივანზე ავიდა და ნესტორს მიესალმა. ბოლო ხანს ისინი ვერ ხვდებოდნენ ხშირად ერთმანეთს, საერთოც ბევრი არაფერი ჰქონდათ, რადგან ძლიერ განსხვავდებოდნენ ხასიათითა და ზნით, მაგრამ ჯამბაკური მაინც მოწიწებითა და პატივისცემით ექცეოდა უფროს ძმას. ერთმანეთი რომ მოიკითხეს, ჯამბაკური სავარძელში ჩაჯდა და აივნიდან ბაღს გადახედა. ნესტორმა მადლენს გასძახა, ჯამბაკური მოვიდაო, მაგრამ მადლენს პასუხი არ გაუცია, საკერავი მანქანის ტრიალი ამჯობინა. თუ ხასიათზე არ იყო, ეს ფრანგი ქალი არაფრად დაგიდევდათ სტუმარ-მასპინძლობის წესებს. ვინც არ უნდა მოსულიყო, თავის ოთახიდან არ გამოვიდოდა.

— რა არის ახალი? — უხალისოდ ჰკითხა ნესტორმა ძმას, ცოლის უყურადღებობით განაწყენებულმა.

— ცოლის შერთვას ვაპირებ! — უპასუხა ჯამბაკურმა.

— დიდებული საქმეა, — ორაზროვნად გაეღიმა ნესტორს, — არ გვეტყვი ვინ არის სარძლო?

— არის ერთი ქალი, მაგრამ შენს ჩაურევლად ეს საქმე ვერ გამოვა, ნესტორ!

— რატომ, ბატონო?

— ნინო ამილახვრის ქალი ჩამივარდა გულში, ოთარის და. მისი ხელი მინდა ვითხოვო, შენ უნდა გამიწიო დახმარება.

ნესტორმა შეშფოთებული თვალები მიაპყრო ძმას. გულში რაღაც ჩაწყდა. მცირე დუმილის შემდეგ ცივად ჰკითხა:

— ქალის თანაგრძნობის იმედი გაქვს?

— კი, ბატონო!

— მაშინ ამაღამვე გავემგზავრები გორს, — სწრაფად წამოიჭრა და სახლში შევიდა მოსამზადებლად. ერთი თვის შემდეგ ნიშნობა შედგა, მალე ქორწილიც გადაიხადეს. კიდევ ერთი ოჯახი შეიქმნა და ერთ უნიადაგო ოცნებას გამოეცალა საფუძველი.

ამასობაში, სოფელი შენდებოდა. შემოდგომაზე, სიმონა ნიგურიანმაც დაიდგა ხუთი თვალი ოდა. ერთი ძალზე დიდი ოთახი იყო, დარბაზად წოდებული, ორი მომცრო, დანარჩენი ორი კი — სრულიად მცირე. სიმონას ოდას რიკულებიანი გრძელი აივანი ჰქონდა, რომელიც კავკასიონის მთებს გაჰყურებდა. სახლი ისე იდგა, რომ ზაფხულობით დახაშმულ ქარშოშინას, ხოლო — ზამთრობით, სუსხიან ქარბორიას ზიანი არ მიეყენებინა და არ შეეწუხებინა ბინადარნი. ქვენა ქარისგან ოდას საგანგებოდ გაკეთებული ქარბანდი იცავდა, ხოლო ზენა — თელის მტკიცე კედლებს აწყდებოდა. წიფობისთვის დამლევს, სიმონას ჯალაბი ისლის ქოხიდან ოდა-სახლში გადასახლდა. საოჯახო დგამი ბევრი არაფერი გააჩნდათ, მარტო ტახტები და კიდობანი გადაიტანეს. ნათესავ-მეზობლებს დაუძახეს, კურატი დაკლეს და ახალი კერა დალოცეს. ამიერიდან, ისლის ქოხში მხოლოდ სადილი მზადდებოდა შუაცეცხლზე და ხორაგი ინახებოდა.

იმ დროისთვის, როცა სიმონამ ოდა ააშენა, მის ოჯახს ახალი წევრები შემოემატნენ. სიმონას მეორე ვაჟი შეე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძინა, სახელად იასე, ალათი მესამეზე იყო ფეხმძიმედ. გლახუნა უნდილაძის მიერ მუხანათურად მოკლული თანდილა ნიგურიანის ერთადერთი ობოლი შთამომავალი დარისპანიც სიმონასთან იზრდებოდა.

თანდილას სიკვდილის შემდეგ, დედამისს დიდხანს არ უცოცხლია. ელპიდეს სიკვდილის შემდეგ, უპატრონოდ დარჩენილი დარისპანი ქალბატონ მენიკის სურვილისამებრ სასახლეში წაიყვანეს, რადგან მენიკის სურდა დარისპანი მამამისის მიერ მოკლული თათრის ქალის ქალიშვილთან, პისტისთან ერთად აღეზარდა. მაგრამ ამ თავისებურ განზრახვას წინ აღუდგა კუზიანი საბა, ნიგურიანები ჯერ არ გადავშენებულვართ, ერთ ბაღანას როგორმე მოვუვლითო, და დარისპანი სიმონას მოუყვანა ოჯახში. თანდილასეული მამულის მეურვეობაც სიმონამ იკისრა. ასე რომ, ოჯახი გაიზარდა. საქმე კარგად მიდიოდა. მაგრამ გიორგობისთვის დამდეგს, პატარა მიხაკოს ყვავილ-ბატონები შეეყარა. მიხაკო მშვენიერი, ბუთხუზა ბავშვი გაიზარდა, ბაბუამისს გოგიელას მზე და მთვარე ამ ბავშვზე ამოსდიოდა, და ახლა, ბატონებიან შვილიშვილს დღე და ღამე სასთუმალთან უჯდა, სათამაშო ურმებს უთლიდა, წისქვილებს უწყობდა, ზოგჯერ, თუკი ბატონი ინებებდა, ბავშვს საბანში გაახვევდა და ხელით დაატარებდა ოთახში, რომელიც ვარდ-ყვავილებით იყო მორთული, საკმეველისა და ხილის სურნელით გაჟღენთილი, ჩონგურის ტკბილი წკრიალით აჰმოვანებული, რადგან ბატონებს მოფერება უყვარდათ, და მოდიოდნენ მეზობლები, მოჰქონდათ მოსაკითხი, უკრავდნენ ჩონგურს, რომ ბატონების გული მოეგოთ. პატარა მიხაკო მაინცდამაინც არ ჭირვეულობდა, ავადმყოფობა იოლად გადაიტანა, მაგრამ სენი ბაბუას გადასდო, რომელსაც ეს სახადი არ ჰქონია მოხდილი, და როცა მიხაკო გამოკეთდა, გოგიელა ჩაწვა ლოგინად. თავის სიცოცხლეში პირველად გახდა ავად გოგიელა. [illegible] ზე გამოაყარა, კანი ღუდუდოებმა დაუფარა და ერთბაშად დაკარგა ძალა. მაშინ გოგიელამ ითხოვა, ისევ ისლიან ქოხში გადამიყვანეთო. მყისვე აუსრულეს სურვილი, კედელთან ლოგინი გაუშალეს და ექიმბაში მოჰგვარეს. ექიმბაშმა ვერაფერი სთქვა სანუგეშო, თუ ბატონები ინებებენ, დაილოცა მათი სახელი, გადარჩებაო. ერთი კვირა იწვა გოგიელა ლოგინში, ხმას არ იღებდა და არაფერს ჭამდა. როცა საბა შეეკითხებოდა, რავა ხარ, ბიჭოო? არა მიშავსო, პასუხობდა. როცა ალათი ეხვეწებოდა, მიირთვი მამა, საჭმელიო, არ მინდა, შვილოო. ღამღამობით სიცხე უწევდა, არ ასვენებდა, შუბლზე სველ ტილოს იდებდა, მაგრამ არ შველოდა, ან რას უშველიდა სველი ტილო, ბორგავდა მაინც. დღისით, გატრუნული იწვა, არავის აწუხებდა, და ყველანი შეეჩვივნენ გოგიელას ავადმყოფობას, თუმცა მანამდე, ძნელი წარმოსადგენი იყო ამ ვეება კაცის ლოგინში წოლა, რომელმაც ისე გაიარა წუთისოფელი, რომ ფრჩხილიც კი არ წამოსტკენია არასოდეს. საღამოობით, მნახველები მოდიოდნენ და ბაასობდნენ კერიის ცეცხლის ირგვლივ შემომსხდარნი. საბანში გახვეული გოგიელა მდუმარედ უგდებდა მათ ყურს. ერთხელაც, ავად გახდომის კვირის თავზე, როცა მნახველები დაიშალნენ, გოგიელამ საბა და სიმონა იხმო. ქოხში ნახევრად ბნელოდა, შუაცეცხლი ძლივსღა ბჟუტავდა. გოგიელას საოცრად შეწუხებული, ნაღვლიანი სახე ჰქონდა. რაღაცით ძლიერ შეშფოთებული ჩანდა.

— რა იყო, ბაბა? — ჰკითხა სიმონამ.

— ჩემი თოხი მომიტანე, ბაბა! — უთხრა გოგიელამ. მერე ლოგინზე წამოჯდა და ღრმად ამიოხრა. მის ხმაში ისეთი უსასოობა და მუდარა ჟღერდა, რომ სიმონას გაუკვირდა კიდეც, რა არის აქ სახვეწიო. წავიდა და მამას ორრუყიანი, მოკლეტარიანი თოხი მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანა, რომლის მსგავსი მთელ სოფელში არავის ჰქონდა. გოგიელამ დაუძლურებული ხელები თოხს ჩასჭიდა.

— აჰა, შვილო, შენ გაბარებ ამ თოხს, შენც, ჩემო საბა, თქვენ იცით, მე რომ მოვკვდები, ეს თოხი მიხაკოს შეუნახეთ, იმის სახელზე იყოს, გამოადგება.

— კი, ბატონო, შევუნახავ, — უთხრა სიმონამ და თოხი გამოართვა.

— აბა, აწი მოსვენებულად ვიქნები, — შვებით ამოისუნთქა გოგიელამ, საბანში გაეხვია და კედლისკენ გადაბრუნდა.

იმ ღამეს, საბაც ქოხში დარჩა დასაძინებლად, თუ საჭირო იქნებოდა ავადმყოფს წყალს მაინც მიაწვდიდა. მაგრამ ღამით, ქოხში სიჩუმე არ დარღვეულა. ნარიყრაყევზე, როცა საბას გამოეღვიძა, გოგიელა მკვდარი იყო. ისევ ისე იწვა, კედლისაკენ პირშექცეული და მოკუნტული.

გოგიელას სიკვდილი ყველას ეწყინა. თვინიერი კაცი იყო, უბოროტო, მშრომელი, არავინ ჰყავდა მომდურავი და უმადური. ბატონები რომ არ შეხვედროდა, ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს იცოცხლებდა. მისი ჯანის პატრონს თითქოს დღე გრძელი უნდა ჰქონოდა, მაგრამ უფლის ნებას ვინ ჩასწვდება და ვინ გადაუვა? მოკვდა საწყალი გოგიელა და დამარხეს. ათმა კაცმა ძლივს ასწია მისი ცხედარი. ურემზე დადეს და ისე წაიღეს სასაფლაოზე. ეკლესიის გალავანთან, მამამისის, ივანე ნიგურიანის გვერდით, მყუდრო ადგილას გაუთხარეს სამარე. საფლავის ბორცვს ქვა დაადეს და გამობრუნდნენ. ბატონმა ყაფლანმა ხელი გაუმართა ოჯახს, ორი ტომარა სიმინდის ფქვილი და ერთი ტომარა ლობიო შემოსწირა ქელეხისათვის. მექელეხენი გვიან, ღამით დაიშალნენ და ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა. სოფელი წყვდიადში ჩაძირულიყო. სიმონას ეზოში ციცინათელები ციმციმებდნენ. სადღაც ლიწინით გადატყდა ღობეში ფიჩხი. სადღაც, ძალიან შორს, უსიერ ტყეში, ისე ცივად და განწირულად კიოდა ტურა, თითქოს უშველას თხოულობდა.

ასე გაიტანეს პირველი კუბო ახალი სახლიდან.

2.

შემდგომად ამისა, სიმონას კიდევ სამი ვაჟიშვილი შეეძინა. სულ სიმონას ხუთი ვაჟი ჰყავდა ალათისაგან. ესენი იყვნენ მიხაკო, იასე, პაპუნა, კონსტანტინე და ვენე.

როცა წამოიზარდა, მიხაკო სოფლის სკოლაში მიაბარეს, სადაც მან წერა-კითხვა შეისწავლა, ქართული და რუსულიც. იმავ ხანებში, სამტრედიიდან ბათუმამდე რკინიგზა გაიყვანეს. ბათუმი უშუალოდ დაუკავშირდა თბილისსა და ბაქოს და ამ ზღვისპირა ქალაქმა სწრაფად იწყო ზრდა. ბევრი ბედის მაძიებელი ჩადიოდა ბათუმში, ახლო-მახლო კუთხეებიდან. ღარიბი გლეხების შვილები და უფრო შეძლებულნიც ტოვებდნენ ოჯახებს, რომ რაიმე ხელობა შეესწავლათ და სარჩო-საბადებელი ეშოვათ. ნიგურიანებმაც გადაწყვიტეს ორკლასდამთავრებული მიხაკოს მიბარება რომელიმე ხელოსანთან ან ვაჭართან შეგირდათ. მაშინ მიხაკო თერთმეტი წლისა იყო. ერთ მშვენიერ საღამოს, მეზობლები სიმონა ნიგურიანის ჭიშკართან შეიკრიბნენ. ზოგი აკაციის მორზე ჩამოჯდა, ზოგიერთი ბებერი ჭადრის ფესვებზე, და ჩვეულებისამებრ მასლაათი გააბეს. სიმონამ მეზობლებს უთხრა, მიხაკოს გაბარება მინდა შეგირდათო. მეზობლებმა სიმონას განზრახვა მოუწონეს და ბავშვის ბათუმში წაყვანა ურჩიეს, მაგრამ სიმონას და საბას ბათუმი ეშორათ. მაშინ ერთმა დროულმა გლეხმა, შევარდენა კირკიტაძემ, რომელსაც და ჰყავდა ხონელ ბახტაძეზე გათხოვილი, ქუთაისი ურჩია. ბახტაძე ქუთაისში ცხოვრობდა და ვაჭრობდა. სიმონა მის ოჯახს იცნობდა და მეზობლის რჩევა ჭკუაში ჩაუჯდა. გადაწყვიტა მიხაკო ქუთაისში ჩაეყვანა და ბახტაძისათვის მიებარებინა...

მანამდე სიმონა ორჯერ იყო ქუთაის-

ში ნამყოფი, ორიოდეჯერ სავაჭროდ. ეს მოხდა, როცა ქარებისგან შეწუხებული ალათი წყალტუბოში წაიყვანა ცხელ წყლებზე სამკურნალოდ. ცხელი წყალი მიწიდან ამოდიოდა და საგანგებოდ გაჭრილ თხრილებში იდგა. ავადმყოფები და მათი ჭირისუფლები ურმებით მოდიოდნენ ამ ადგილას, სახელდახელო კარვებს დგამდნენ, ქალები და მამაკაცები ცალცალკე ტანთ იხდიდნენ და ცხელი წყლით სავსე ორმოებში და თხრილებში ბანაობდნენ, რომელსაც ორთქლის ოხშივარი ასდიოდა, ირგვლივ კი, მობანავეთა ჭრელი ტანსაცმელი იყო მიმობნეული და ურმებიდან გამოშვებული ხარები მოსდებოდნენ მიდამოს. ცხელი წყლის აბაზანები ზოგს ძლიერ უხდებოდა, ალათისაც არგო. ეს ადგილი, წყალტუბოდ წოდებული, ქუთაისთან ახლოს იყო, და სანამ ალათი მკურნალობდა, სიმონა ორჯერ ჩავიდა ქუთაისში სავაჭროდ, ზოგი რამ შესასყიდი ჰქონდა, ზოგი რამ გასასყიდი. ამჯერად, ქუთაისში მესამე გზობად მიდიოდა.

სიმონა დილიდანვე შეუდგა მზადებას, ურემი გამართა, ახალი ტაბიკები გამოთალა, აპეურები გაამზადა, თვლები გაზეთა და ხარებს ჩალა ბლომად დაუყარა. ალათი შვილისთვის ქვეშაგებს და ტანისამოსს ამზადებდა, თან ჩუმად იცრემლებოდა, ხოლო საბა მეათედ არიგებდა მიხაკოს: „პატიოსნად უნდა მოიქცე ბაბა, თუ რამე იპოვო დუქანში, პატრონს ჩააბარე აუცილებლად, შეიძლება, პატრონმა გამოსაცდელად ოქროს ფულიც კი დაგიგდოს სადმე კუთხეში, არამც და არამც ჯიბეში არ ჩაიდო“. მიხაკო უსმენდა საბას და მომავალი მგზავრობა სასიამოვნოდ ეხატებოდა, მაგრამ როცა საღამოს ბინდი ჩამოწვა და მშობლიურმა ეზომ მოწყენილი იერი შემოიხვია, — განშორების სევდა შემოეპარა გულში, გუნება შეეცვალა. იმ საღამოს, დედამ უკანასკნელად დაბანა, ტანისამოსი გამოუცვალა, დააპურა და ლოგინში ადრიანად ჩააწვინა, რადგან უთენია ეზოში წამომდგარიყო და გასდგომოდა შორეულ გზას. მაგრამ მიხაკოს დიდხანს არ დაეძინა. როცა წარმოიდგინა, რომ ხვალიდან თავის ოჯახში ველარ გაათევდა ღამეს, თვალებზე ცრემლი მოადგა, უნუგეშობა ყელში მოებჯინა და ჩუმად ატირდა ბალიშში თავჩამხობილი. დიდხანს ტიროდა უტყვად, უჩუმრად, და ვერც კი გაეგო როგორ წამოეპარა ტკბილი და უზრუნველი ძილი. ალიონზე ძლივს გამოაღვიძა დედამ. ცივი ღამე გარს შემოხვეოდა სახლს. ღამის სიღრმიდან მამლის ყივილი ისმოდა. მიხაკოს ძლიერ გაუჭირდა თბილი ლოგინიდან წამოდგომა, მაგრამ დედა მოეფერა, ანუგეშა: „ნუ გეშინია ჩემო მიხაკუნა, კაცი დადგები, ჩემო თვალის ჩინო, შინ თუ დარჩი, თოხის ბაყუნის მეტს რას ისწავლი, შემოგევლოს დედაშენი!?“ აივანზე გაიყვანა და პირი დაბანინა. სიმონა ურემთან ტრიალებდა, ხარები გემრიელად ახრამუნებდნენ ჩალას. ბნელ ცას განთიადის მღვრიე ნათელი მოსწოლოდა აღმოსავლეთით. ნამძინარევი ბავშვი წყალმა გამოაფხიზლა და გაამხნევა, და როცა დედამ დიდ ოთახში შეიყვანა, სადაც ახლად გარეცხილი და დაკემსილი შარვალ-ხალათი ჩააცვა, ხოლო ბაბუა საბამ წინადღით ახსმული ქალამნები ამოუკრა ფეხებზე, — უკვე სიხარული იგრძნო ბავშვმა, საგარეო ტანსაცმელმა გაახალისა, გუნება გაუნათდა, ალათი კი თავშლის წვერით იმშრალებდა ცრემლებს, ვიდრე თბილ ბუხართან მიდგმულ ტაბლასთან მჯდარი მიხაკო რძეს და ხაჭაპურს შეექცეოდა.

ბოლოს დაიძრა ურემი. ზედ მიხაკოს ქვეშაგები და გასაყიდად ტომრებში გამზადებული სიმინდი იდო. მიჰყვა მიხაკო ურემს, რომელსაც ახალი გზით მიჰყავდა უცნობ მხარეში, და გადაადგა ფეხი მშობლიური ჭიშკრის ზღურბლს. ჭიშკრამდე დედამ და საბამ გამოაცილეს, დარისპანს და უმცროს ძმებს ჯერ კიდევ ეძინათ. ისევ და ისევ ყიოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამლები და გარიჟრაჟის ნათელი უფრო და უფრო უხვად ელვრებოდა დაცვარულ ქვეყანას. მიხაკო ბოგირზე შეჩერდა და უკან მოიხედა, აცრემლებულმა დედამ ხელები მოხვია და გულში ჩაიკრა, თვალები დაუკოცნა, და უკანასკნელად იგრძნო მიხაკომ დედის უბის სითბო. მერე „წალმა იარეო“, სამჯერ შემოატრიალა საბამ და წინ წასული ურმისკენ უბიძგა, და მისდია მიხაკომ ურემს, რომელსაც ჩაფიქრებული მიჰყვებოდა მხარზე სახრე გადებული მამამისი.

მთელი დღე იარეს. ურემი ვიწრო შარაზე მიხრიგინებდა. გრილი დღე იდგა ადრიანი გაზაფხულისა, ხეები ის-ის იყო იფოთლებოდნენ. მიხაკო გასცქეროდა ბებერი ცაცხვებით დამშვენებულ მიდნვრებს და ლობეშემორტყმულ კოხტა ეზოებს, თხმელის ტყეებს, ხოდაბუნებს, მყუდრო სოფლებს და ეკლესიებს, ღელეებს, წისქვილებს, ჭებს და წყაროებს, ურემი მიჰყვებოდა ალვების ხეივნებს, ზოგან ჯაგებს მოემწყვდიათ გზა, ზოგჯერ ხიდან ხეზე ჩხავილით გადაფრინდებოდა ყორანი, შორს კი მოჩანდა კავკასიონის ყინულოვანი მთები, რომლებიც თანდათან ახლოვდებოდნენ, მკაფიოდ ისახებოდნენ, ლილისფერ მთლიან მასას ბაცი შეფერილობის ქედები ეყოფობდნენ, და მიხაკოს სურდა ვრცელი ვაკიდან იმ შორეულ მთებთან მისვლა, თითქოს მის ძარღვებში ღვიძებდა წინაპართა სისხლი, მუდამ თან რომ ატარებდა იმ მთებიდან გამოტანილ მთვლემარე მოგონებებს. მერე თანდათან ჩამოწვა თალხი ბინდი და სიმონამ ურემი ერთ პატარა სოფლის ფარღალალა წისქვილთან მიაყენა, რომელსაც მოწყენილი ეწერი შემოხვეოდა. ის ღამე იქ გაათიეს. წისქვილი ძველი იყო, ყავრით გადახურული. ფიცრებს შორის დარჩენილი ღრიჭოები ჩვრებით იყო ამოტენილი. თოვლივით დასდებოდა ირგვლივ ყოველივეს ფქვილის ფენა. კედლებზე განიერი აბლაბუდები ეკიდა. მეწისქვილე [illegible] უხვი კაცი გამოდგა, სიამოვნებით მიიღო სტუმრები. კოკით ღვინო გამოიტანა და სახელდახელოდ შეკოწიწებულ მაგიდაზე დადგა. სიმონამაც გაშალა შინიდან წამოღებული საგზალი, ხარებიც გამოუშვა უღლიდან. მეწისქვილემ ჭრაქი აანთო, ხვიმირში ერთი ტომარა სიმინდი ჩაცალა და სუფრას მიუჯდა. აქეთურ-იქეთურზე იმუსაიფეს. მეწისქვილემ მოუწონა სიმონას განზრახვა ბავშვის შეგირდად გაბარებისა. ვახშამს რომ მორჩა, მიხაკო ვიწრო ტახტზე დააწვინა მამამ და ზემოდან თავისი ნაბადი გადააფარა. თვითონ ისევ სუფრას მიუჯდა და განაგრძო მეწისქვილესთან ერთად ღვინის სმა და ბაასი. კარგა ხანს ესმოდა მიხაკოს მათი ყვირილი, რადგან წყლის ჩხრიალი, დოლაბის გრიალი და სარეკელას კაკუნი ხმადაბლა ლაპარაკის საშუალებას არ იძლეოდა. მერე მიხაკოს ჩაეძინა.

ალიონზე მამამ გააღვიძა. მზე უკვე წამომდგარიყო და მეწამული თითებით ოქროსფერ თმას იშლიდა. ნიგურიანებმა ხარები ურემში შეაბეს, მასპინძელს მადლობა მოახსენეს და გზა განაგრძეს. ნაშუადღევს ქუთაისს მიაღწიეს. ქუთაისში ჩასვლისთანავე ბახტაძის დუქანს მიადგნენ. ეს დუქანი ერთი ვიწრო და მოუკირწყლავი ქუჩის თავში იდგა. ქუჩის ორივ მხარეს დუქნები იყო ჩამწკრივებული, სადაც დაბალები ტყავს თრიმლავდნენ, ხარაზები წუღა-მესტებს ახარაზებდნენ, მჭედლები რკინას კვერავდნენ და ნალებს ჭედდნენ, მიკიტნები ღვინოს ჰყიდდნენ. ბახტაძეს ღვინის დუქანი ჰქონდა. მან სიმონა კარგად მიიღო. ორმოცს გადაცილებული კაცი იქნებოდა, სახელად ბარნაბა ერქვა. მაგარი აგებულებისა ჩანდა, ოღონდ მომეტებულ ღვინის სმას ოდნავ გაესქელებინა. ქღალი ჩოხა-ახალოხი ეცვა, მაგრამ რატომღაც თავზე რუსული კარტუზიანი ქუდი ეხურა. ვაჭრობით ირჩენდა თავს. სვირიდან, ვანიდან და ბაღდადიდან რუმბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ჩამოჰქონდა შემოდგომაზე ღვინო და მერე მთელი წელი ჰყიდდა. ორი შვილი ჰყავდა, ქალ-ვაჟი, მიხაკოზე ორი-სამი წლით უფროსები, ორივე სასწავლებელში დაუდიოდა. როცა სიმონას თხოვნა მოისმინა, ნიგურიანები ოჯახში მიიყვანა. იქვე ახლოს, ფერდობზე, ხის პატარა სახლი იდგა. ბახტაძის ცოლმა, ხვარამზე კირკიტაძის ქალმა სტუმრებს სუფრა გაუშალა. ისადილეს, ილაპარაკეს, მახლობლები და ნათესავები მოიკითხეს. „დაგვიტოვე, ბატონო, ეს ბავშვი, შვილივით ვუპატრონებთ და თუ რამეს ისწავლის, ჩვენც გვეგიხარდებაო". დაიმედეს ბოლოს სიმონა ცოლ-ქმარმა და შინ გამოისტუმრეს.

ასე დარჩა პატარა მიხაკო ქუთაისში, სადაც მან ორი წელი გაატარა. ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ ნახა და შეისწავლა. ანგარიშში და წერა-კითხვაში ისე გაიწაფა, რომ ზოგჯერ ბარნაბას დავთრების შედგენაშიც კი ეხმარებოდა. თვინიერი და დამჯერე ბიჭი გამოდგა, დაუზარებლად ასრულებდა ყოველგვარ დავალებას. ხან ბაზარში ეგზავნებოდა პატრონს სანოვაგის საყიდლად, ხან დუქანში დასალევად შემოსულ მუშტრებს ემსახურებოდა. აქ უფრო მდაბიო ხალხი ეძლეოდა ლხენას, წარჩინებულნი მდიდრულ რესტორნებში ატარებდნენ დროს. ოჯახებშიც იხდიდნენ წვეულებას და ღვინოს ბახტაძის დუქანში ყიდულობდნენ. ღვინით სავსე ტიკჭორა მიხაკოს უნდა მიეტანა მყიდველის ბინაზე. სხვა ათასგვარ წვრილმან დავალებასაც ასრულებდა. სულ დუქანში ტრიალებდა და ღამესაც იქ ათევდა, დუქანზე მიდგმულ პატარა ფიცრულში, სადაც ერთი დანჯღრეული ტახტი იდგა, რომელზედაც შინიდან წამოღებული ქვეშაგებელი ჰქონდა დაგებული. აქვე საუზმობდა, სადილობდა და ვახშმობდა, როცა ვაჭრობის საქმე ბარნაბას შინ არ უშვებდა. საჭმელი ხან ხვარამზეს მოჰქონდა დუქანში კალათით, ხან ბახტაძეების ქალიშვილს [illegible] ბახტაძის ვაჟი შალიკო ძალზე იშვიათად თუ შემოიხედავდა დუქანში. როცა დუქანში მუშტარი არ იყო, ბახტაძე კარებს გამოიკეტავდა და მიხაკოსთან ერთად შინ მიდიოდა, სადაც ლობიო და მჭადი ყოველთვის ჰქონდათ. ზოგჯერ, აქ მიხაკო დიდხანს რჩებოდა. თვალს ადევნებდა შალიკოს მეცადინეობას. შალიკო ბეჯითი მოსწავლე იყო. ფანჯარასთან მდგარ საწერ მაგიდას მიუჯდებოდა, გიმნაზისტის ფორმაში გამოწყობილი, წინ გადაშლილი წიგნები და რვეულები ეწყო და ჩაჰკირკიტებდა. მიხაკო მოწიწებით შესცქეროდა შორიდან. შალიკო მაშინ თოთხმეტი წლისა იქნებოდა, ფერმკრთალი, ნერვიული და ჯიუტი ბიჭი იყო. მეცადინეობას რომ მოათავებდა, აივანზე გამოვიდოდა, მოაჯირზე ჩამოჯდებოდა და მიხაკოს ებაასებოდა. უყვარდა მიხაკოსთან ბაასი, შეიძლება იმიტომაც, რომ მიხაკო დიდი ინტერესით უგდებდა ყურს. უცნაურ რამეებს ეუბნებოდა, ეს ქვეყანა უნდა დაინგრესო, მეფე ტახტიდან უნდა გადმოვაგდოთო, თავადაზნაურები ერთიანად უნდა ამოვწყვიტოთო, ყველა თანაბარი უნდა შეიქნესო. ყველა თანაბარი როგორ შეიძლებაო, უკვირდა მიხაკოს. შეიძლებაო, ეუბნებოდა შალიკო, თუ ხალხს წურბელებს ჩამოვაშორებთო. ზოგჯერ ის საკუთარ მამასაც კი წურბელას ეძახდა, რასაკვირველია, პირსუკან, მაგრამ მიხაკოს ეს ვერაფრით ვერ გაეგო და როცა ხედავდა, რა უხეშად და გამომწვევად ექცეოდა ზოგჯერ შალიკო მშობლებს, რომლებიც მას არასოდეს ხმამაღალ სიტყვას არ კადრებდნენ, არ ჯეროდა, რომ შალიკოს ვინმეს სიყვარული ჰქონდა გულში.

საღამოობით, მიხაკო დუქნის წინ ჯდებოდა და ქუჩას გასცქეროდა. ზოგჯერ, ეტლი ჩამოივლიდა და მოჰყავდა სტუმრები მეზობლად მცხოვრები მიქელაძეების ოჯახში. მოხუც მიქელაძეს სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავ-

და, ერთი მეორეზე უფრო ლამაზები. უფროსი ქალიშვილი ერთ ახალგაზრდა ოფიცერზე იყო გათხოვილი, დანარჩენები ჯერ კიდევ სწავლობდნენ. მიქელაძეები თავადები იყვნენ, მათ ოჯახში წარჩინებული საზოგადოება იყრიდა თავს, ახალგაზრდა ოფიცრები, სტუდენტები და სხვანი და სხვანი. ღია ფანჯრიდან ისმოდა ხოლმე ჭურჭლის წკრიალი, ქალების კისკისი, გიტარის ჟღერა და ტკბილი სიმღერა. ეს სიმღერა მიხაკოს საკუთარ სახლს და დედას ანატრებდა, აგონდებოდა, რომ ოჯახს მოწყვეტილი იყო. საღამოს ბინდი და მგრძნობიარე ქართული გალობა სიმარტოვის შეგრძნებას ულვიძებდა, და როცა მიქელაძეების ოჯახში ილხენდნენ, ბახტაძის დუქნის წინ ჯორკოზე მჯდარი მიხაკო ჩუმად ტიროდა ხოლმე...

მაგრამ დრო გადიოდა და მიხაკოც თანდათან ეჩვეოდა ახალ ყოფას. ქუთაისი მაშინ პატარა ქალაქი იყო, რომელსაც რიგიანი ფეხსადგილებიც კი არა ჰქონდა. იყო ერთი კაცი, რომელმაც საიდანღაც ბათუმში ქალები ჩამოიყვანა, საროსკიპო გახსნა და გვარიანი ფული იშოვა. ამ კაცმა საკმაოდ დიდი თანხა შემოსწირა ქუთაისის ეკლესიას, მაგრამ გაბრიელ ეპისკოპოსმა ბინძური გზით ნაშოვნი ფული ეკლესიას არ მოახმარა და ქუთაისში ფეხსადგილების აშენება ბრძანა თურმე. არც წყალსადენი ჰქონდა ქუთაისს მაშინ, წყალს სახედრებით ეზიდებოდნენ რიონიდან მეთულუხჩეები. ბაზრობა კარგი იცოდა ამ ქალაქმა. შემოდგომით, როცა დაყანგული ფოთლები დაეფინებოდნენ მიწას, ურმებით ჩამოჰქონდათ სოფლებიდან ქარვისფერი ყურძენი და პირდაპირ ქუჩებში ჰყიდდნენ. ძველი ბაზარი და გაღმა ყაფანი ათასი სანოვაგით იყო სავსე. მზის გულზე სხვადასხვაგვარი კეცები, დოქები, ჭურები ეწყო, დახლი სავსე იყო ხილით და სიმინდით. აქ ჭრელი ხალხი ირეოდა, გარეგნობითაც განსხვავებული, ზოგს ფაფახი ეხურა, ზოგს ყაბალახი, ზოგს კარტუზი, ცილინდრი, ან წვეტიანი ყელმუხის ქუდი, ვის არ ნახავდით, თეთრწვერა მოხუცებს, ულვაშდამშვენებულ ახალგაზრდებს, უწვერულვაშო გიმნაზისტებს, ჩინოვნიკებს, პოლიციელებს, გლეხებს და აზნაურებს, ერთმანეთში არეულიყო ქართველი, ებრაელი, რუსი, ლეკი, თათარი და სომეხი. მიხაკო ტრიალებდა ამ ხალხში და ამ ადგილებში თავის თანატოლებთან ერთად, ეცნობოდა ბაზარს და ხალხს, მედუქნეებს, ჭონებს, ხელოსნებს, ეცნობოდა ქუთაისს, ვიწრო ქუჩაბანდებს, ბორანს, თეთრ ხიდს, სხვადასხვა უბნებს, სოფლური ყაიდის ეზოებს და სახლებს...

ქარიანი ადგილი იყო ქუთაისი და ზამთრობით, როცა ქარს მიჰქონდა ქვეყანა, უკუნი სიბნელე ჰნთქავდა ცარიელ ქუჩებს, ისმოდა მხოლოდ სტიქიონის მოუსვენარი ბორგვა. ნესტიან, ცივ ოთახში მარტო დარჩენილ მიხაკოს ყველასაგან მიტოვებული ეჩვენებოდა ქვეყანა, ბავშვური შიში იპყრობდა ქარიშხლიანი ღამის წინაშე, თითქოს ფარღალალა ოთხკედელს მიღმა ჩამკვდარიყო ყოველი სულიერი. მაგრამ ცხოვრება არ იყო ჩამკვდარი, სწორედ იმ დროს, როცა ძრწოლამორეული მიხაკო ღვინის მხუთრით გაჟღენთილ ბნელ ფიცრულში საბნის ქვეშ მოკუნტულიყო, ქუთაისის თეატრში ქართული წარმოდგენები იმართებოდა, რომელსაც ხალისით ესწრებოდა საზოგადოება, თეატრის შემდეგ ოჯახებში რომ იკრიბებოდნენ და სუფრასთან განაგრძობდნენ ამაღლებულ თემებზე ბაასს. ქუთაისს მაშინ დარბაისელი საზოგადოება ჰყავდა. კარგ ამინდში, ეს ხალხი ბულვარში გამოეფინებოდა ხოლმე, აქ იყო მათი თავშეყრის ადგილი. მიხაკო ხშირად ხედავდა ბულვარში მოსეირნე თავადაზნაურობას, ევროპულად გამოწყობილ ინტელიგენტებს. ერთხელ, როცა შალიკო ბახტაძეს წიგნის მაღაზიაში ახლდა, ეტლში მჯდარ აკაკი წერეთელსაც კი მოჰკრა თვალი, რომელსაც დიდი და პატარა აღფრთოვანები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და უზომო მოწიწებით შესცქეროდა.

ამ წარჩინებულ საზოგადოებას შორიდან შეჰხაროდა მიხაკო, მაგრამ მერე გაიგო, რომ იმ წრეშიც იყო ბევრი უბედური და ცხოვრებისგან გატეხილი. ღრმად ჩარჩა მეხსიერებაში ბარნაბას მონაყოლი, სვანეთის უკანასკნელი მთავარი მურზაყან დადეშქელიანი იმ ზომამდე გაამწარეს, რომ ქუთაისის გუბერნატორი გაგარინი და მისი რამდენიმე დამქაში შემოაკვდაო, მერე კი მკლავში დაჭრილი შეიპყრეს და გაუსამართლებლად მეორე დღესვე ძაღლივით დახვრიტესო.

არც ერეკლე მეფის შთამომავლებს დაადგათ თურმე უკეთესი დღე, ყველას ერთად მოუყარეს თავი და მშობლიური მიწიდან შორეულ ქვეყანაში გადაასახლეს, სოლომონ მეფემაც ბევრი იწვალა თურმე, საკუთარი სამეფოდან განდევნილმა და გახიზნულმა. და როცა ასეთ რამეებს უამბობდა ბარნაბა, ვინ იცის, პატარა მიხაკო იქნებ მაშინვე ბუნდოვნად ხვდებოდა, რომ მარტო გვარიშვილობა არ კმაროდა ბედნიერებისათვის, თურმე ბედი გაუხედნავი და დაუმორჩილებელი ურა კვიცივით მიაჭენებს ყველას თავის ნებაზე.

ერთხელ, მიხაკომ თვითონაც ნახა ბედისაგან გარიყული კაცი, რომელსაც მაღალი წოდება ვერაფერს შველოდა. ბახტაძის დუქანში შემოვიდა შემთხვევით, შავ ჩოხაში გამოწყობილი, მაღალი და ძალზე გამხდარი კაცი, ხუჭუჭთმიანი, წვეროსანი. თმა და წვერი გაჭაღარავებოდა, მთვრალი იყო, წამდაუწუმ ახველებდა და დარაიას მანდილით იხოცავდა პირთან მომდგარ სისხლს. ბარნაბა ფეხზე წამოიჭრა და დიდის პატივით შეეგება. დუქანში შემოსულმა თავადიშვილმა ღვინო მოითხოვა, ერთი ჭიქა გასინჯა, მოეწონა და ბარნაბას უთხრა ერთი ტიკჭორა შინ გამატანეო, ოღონდ თან ფული არა მაქვს და ბიჭის ხელით გამოგიგზავნიო. „როგორც გენებოთ, ბატონო“, უთხრა ბარნაბამ, ტიკჭორა მყისვე [illegible] მიხაკოს მისცა და იმ გალეშილ თავადს გააყოლა. ყველა გამვლელი თვალს აყოლებდა ბარბაცით მიმავალ აყლაყუდას, რომელსაც ტიკჭორამოკიდებული მიხაკო მისდევდა უკან, ეტყობოდა, ამ კაცს მთელი ქუთაისი იცნობდა. ბოლოს, სადღაც, რიონის პირას, ბალახვანის უბანში, ერთ ვიწრო შუკაში შეუხვიეს და ღარიბულ ქოხმახს მიადგნენ. მოხუცი დედაკაცი გამოეგება თავადს და ოთახში შეიყვანა. მიხაკოც შეჰყვა, ტიკჭორა კედელთან დადო და ოთახი მოათვალიერა. კუთხეში დანჯღრეული ტახტი იდგა, რომელზედაც ფარდაგი იყო გადაფარებული, მაგიდაზე ლამპა და ჭურჭელი ეწყო, თუნუქის ღუმელზე სადილი კეთდებოდა. დედაბერმა თავადი ტახტზე მიასვენა, თან ისეთი მოწიწებით ეპყრობოდა, ეტყობოდა მსახური იყო მისი.

— ფული გინდა ხომ ბიჭო, შენ? — პირველად მიმართა თავადმა მიხაკოს, თითქოს ახლა დაინახაო. მიხაკოს ხმა არ ამოუღია, თავი ჩაღუნა.

— ერთხელ, თუ გახსოვს, სალომე, კინტრიშთან ომის დროს, ერთმა ყაზახმა სიკვდილს გადამარჩინა. მოვიხსენი ოქროს სამაჯური და ვაჩუქე. მარა ახლა გახვრეტილი შაურიანი არა მაქვს და რა მივცე ამ ბავშვს?

— დაწექი, ბატონო, მოისვენე, მერე გადაუხდი, როცა გვექნება.

— ჭკვიანი ქალი ხარ, სალომე! წადი, ბიჭო, და ასე უთხარი შენ მიკიტანს, როცა ექნება მაშინ გამოგიგზავნის-თქო.

მიხაკო გარეთ გამოვიდა და დანაბარები მიუტანა პატრონს. მაგრამ ბახტაძეს არ წყენია შემონათვალი.

— დიდი გვარის კაცი იყო, წარჩინებული თავადიშვილი. თურქებთან უკანასკნელი ომის დროს დიდად გამოიჩინა თავი. მერე აერია ცხოვრება. გაკოტრდა, რადგან ძალზე ხელგაშლილად ცხოვრობდა, ცოლი გაეყარა, შვილი პეტერბურგში ჰყავდა პაჟთა კორპუსში და თავი მოიკლა. ამის მერე თანდათან

წახდა ეს კაცი, გალოთდა და გაღარიბდა. ბევრი სიკეთე ჩაუდენია თავის დროზე, ალალი იყოს მაგაზე ჩემი ლვინო, — ჩაილაპარაკა ბარნაბა ბახტაძემ.

ასე ცხოვრობდა პატარა მიხაკო ქუთაისში, ბახტაძის დუქნით შემოფარგლული. ნელა და მდორედ გადიოდა ბავშვობის ერთფეროვანი დღეები. ზოგჯერ შალიკო ბახტაძეს აკრძალული წიგნები მოჰქონდა და მიხაკოს ფიცრულში, ლეიბის ქვეშ მალავდა, მაგრამ ის წიგნები არასოდეს გადაუშლია მიხაკოს, ეშინოდა კიდეც მათი, რადგან შალიკო აფრთხილებდა, ვინმემ რომ გვინახოს კარგი დღე არ დაგვადგებაო. ზოგჯერ სიმონა ჩამოდიოდა ქუთაისში შვილის სანახავად. ერთი დღე დარჩებოდა, ხილს და ჩირს ჩამოიტანდა და ისევ უკან ბრუნდებოდა. მამის ჩამოტანილ ნობათს დედის ხელი ეტყობოდა და ყოველი ასეთი სტუმრობის შემდეგ, ოჯახს მონატრებული მიხაკოს დარდი უმძაფრდებოდა. ერთხელ, გაზაფხულის პირზე, დედის ძმამ ჩამოაკითხა, ალია შაინიძემ. შემოვიდა დუქანში ხმაურით, მიხაკოს აკოცა, ბარნაბა ცალკე გაიხმო და რაღაცაზე ელაპარაკა. მიხაკოს უყვარდა ბიძა, რადგან ალია ბავშვების მოყვარული კაცი იყო. მიხაკოს გაუხარდა მისი დანახვა.

— გინდა, მიხაკო, სახლში დაბრუნება? — ჰკითხა ალიამ, როცა ბარნაბასთან ლაპარაკი დაასრულა.

— კი, მინდა! — მიუგო მიხაკომ.

— ჩაიცვი, აბა, მოემზადე, წაგიყვან სახლში!

გახარებული მიხაკო ფიცრულში გავარდა და სასწრაფოდ შეუდგა მზადებას. სიხარულისგან გული ამოვარდნაზე ჰქონდა. არც კი სჯეროდა, რომ შინ დაბრუნებას ელირსა, ამ ათასგზის ნაოცნებარ, სანეტარო დღეს. მაგრამ ასე უცებ არ გამოუშვეს. ბახტაძემ ალია სადილად დაპატიჟა. ალიამ გემრიელად ისადილა, ღვინოც ბლომად სვა, მასპინძლებს დაწვრილებით უამბო თურქებთან ომის დროს ტყეში ოჩოკოჩს რომ გადაეყარა, და მერე წამოდგა. მიხაკო მზად იყო, ხელში ფუთა ეჭირა. ნარმაში გახვეული ქვეშაგები მიხაკოსი ალიამ მხარზე შეიგდო. „აბა, მიხაკო, არ დაგვივიწყო!“ — გაუღიმა და ლოყაზე ხელი მოუთათუნა ხვარამზე კირკიტაძის ქალმა. „ა, ეს შენ გქონდეს!“ ოქროს ხუთმანეთიანი აჩუქა ბარნაბა ბახტაძემ. ოლიკომ და შალიკომ მიხაკო ძმასავით გადაკოცნეს და გამოისტუმრეს.

გაბადრული მოყვებოდა მიხაკო ბიძას. მართალია, ბახტაძეები კარგად ეპყრობოდნენ, მაგრამ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ტყვეობიდან დაეხსნას თავი. ალიამ რკინიგზის სადგურში მიიყვანა, ბილეთი აიღო და ვაგონში ავიდნენ. იმ დღეს, პირველად ჩაჯდა მიხაკო მატარებელში. მატარებელი ნელა დაიძრა, არახრახდა ბორბლები, ვაგონის ფანჯრიდან გამოჩნდა მოწყენილი ქალაქი, რომელსაც თანდათან ეხვეოდა საღამოს ბინდი. აქა-იქ სინათლეები ციმციმებდნენ, მაგრამ ყოველივე ეს თვალს ეფარებოდა და მოქუფრული დაბლობი იშლებოდა წინ. რიონის სადგურს რომ გამოსცდნენ, ალიამ მხარზე ხელი მოხვია დისწულს.

— გიხარია, ხომ შინ დაბრუნება, მიხაკო?

— კი, მიხარია!

— მარა კაი ამბავი რომ ვერ დაგხვდება, ბიძია?! დედაშენი ავადაა, შენს ძმას ვენეს ბატონები სჭირდა და გადასდო. ჩემი მიხაკო მომიყვანეთო, იძახის დედაშენი.

მიხაკოს ცრემლები წამოუვიდა და სახეზე ხელები აიფარა. თავი ასაკეც მაგიდაზე ჩამოდო. ალიამ თმაზე ხელი გადაუსვა. ვაგონის ფანჯრებში უკვე ბნელოდა, ფანრებში სანთლები ციმციმებდნენ და ილვენთებოდნენ, ბორბლები მონოტონურად გრიალებდნენ. ამ ხმამ დაღონებულ მიხაკოს რული მოჰგვარა. შუაღამისას, ბიძამ გამოაღვიძა და სამტრედიის სადგურში ჩამოიყვანა. მკრთალად განათებულ მოსაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელ დარბაზში შეიყვანა, თავქვეშ ფუთა დაუდო, ვიწრო მერხზე დააწვინა და ზემოდან თავისი ნაბადი გადააფარა. დარბაზში მყოფი გლეხები, შორეულ სოფლებიდან ჩამოსულნი, ყაყანებდნენ და თამბაქოს ეწეოდნენ. მიხაკოს ერთხანს ესმოდა მათი ყაყანი, მაგრამ მერე თანდათან მიწყდა გარე ხმები და მიხაკომ დაინახა თავისი ეზოს ჭიშკარი და ღია ჭიშკართან მდგარი დედა, რომელიც ღიმილით უყურებდა მისკენ მიმავალ შვილს. აუწერელი სიხარული იგრძნო მიხაკომ, გაიქცა დედისკენ, მაგრამ დედა აღარ დახვდა ადგილზე და ისე ეწყინა, ისე შეეკუმშა გული, რომ შეკრთა და გამოეღვიძა. მკრთალად განათებულ დარბაზში ისევ ისმოდა ვიღაცის ხმამაღალი ლაპარაკი და მძღარი ხვრინვა. მიხაკომ გვერდი იცვალა და გულდაწყვეტილი კვლავ მინებდა რულს. და კვლავ გამოჩნდა ღია ჭიშკარი მშობლიური კარმიდამოსი. მიხაკომ ეზოში შეაბიჯა, არავინ იყო ირგვლივ. ვაშლის ხის ძირში ტახტი იდგა, ზედ ქვეშაგები იყო გაშლილი და ლოგინში იწვა მიხაკოს დედა. ვაშლის ფოთლები და თეთრი ყვავილები ეყარა საბანზე და მიხაკომ ძლივს დაინახა საყვარელი სახე დედისა. დედამ უცხოსავით, ცივად შეხედა შვილს და წარმოუდგენელი გულისტკივილი იგრძნო მიხაკომ, ისე უნდოდა დედის უბეში ჩახუტება, მისი ალერსიანი სიტყვის გაგონება, დიდი ხანი რომ ელოდა უსაშველოდ მონატრებული, მაგრამ დედა ხმას არ სცემდა, თითქოს სრულიად გაუცხოვებულიყო და მიხაკო ატირდა, რადგან მიხვდა, რომ ავად იყო დედა. გულამოსკვნილი ტიროდა და თითქოს უსაზღვრო შვებას პოულობდა, სურდა აღარ შეწყვეტილიყო ტკივილნარევი შვების წამი, მაგრამ ვიღაც თუ რაღაც ხელს უშლიდა, არ აძლევდა გულის მოოხების საშუალებას.

ერთბაშად დედაც სადღაც გაქრა, მშობლიური ეზოც, ჩამობნელდა ირგვლივ, მერე წყვდიადი გაიფანტა, საგნებს დაუბრუნდათ თავისი ხმა და მიხაკო როდის-როდის მიხვდა სადაც იყო ამჟამად. მერხზე იჯდა სადგურში, გარედან ორთქლმავლის შიშინი ისმოდა, მაზუთისა და ქვანახშირის სუნი შემოდიოდა, ბიძა ანჯღრევდა, გამოფხიზლდი ბიჭო, რა გატირებსო. მიხაკომ თვალები მოიფშვნიტა და ბიძას შეხედა. ბიძამ ხელი მოკიდა და სადგურის უკან, რიყის ქვებით მოკირწყლულ მოედანზე გამოიყვანა, სადაც ეტლები და ერთცხენიანი ორთვალები იდგნენ მუშტრის მოლოდინში. ნათდებოდა. ალიამ ორთვალა დაიქირავა და გაუდგნენ წიფლნარისკენ მიმავალ შარას. წვრილად ცრიდა, თეთრი ნისლი სუდარასავით შემოხვეოდა ქვეყანას. ნისლის ფარდის მიღმა, აქა-იქ, თავი ამოეყოთ ხეთა კენწეროებს, ბაყაყების ყიყინი ისმოდა. ნამძინარევ მიხაკოს კიდევ უფრო შესცივდა და აკანკალდა. ცხენის ფლოქვები რიტმულად კაკუნებდნენ, თვლები ჭრიალებდნენ, ბიძის ნაბადში გახვეული მიხაკო ამთქნარებდა და ძაგძაგებდა, რატომღაც სულ აღარ ახარებდა მშობლიური კერის სიახლოვე, რომელსაც ნესტით გაჟღენთილი ჰაერის სურნელშიც კი გრძნობდა. მერე ორთვალა გაჩერდა, ალიონის ბინდბუნდში მიხაკომ საკუთარი კარმიდამო იცნო. ნისლი ირეოდა, თავის თეთრ ქსელში ხლართავდა ხეებსა და ღობეებს. მიხაკომ ჭიშკარი შეაღო და ეზოში შევიდა. ისე ჰგავდა მცირე ხნის წინ სიზმარში ნანახი ცხადს, რომ გაუკვირდა კიდეც, მოეჩვენა, თითქოს სულ ერთი წამის წინ დასტოვა აქაურობა. ვაშლის ხისკენ გააპარა თვალი, მაგრამ ახლა ცარიელი იყო ეზო, მხოლოდ მკრთალი შუქი ბჟუტავდა ნისლში ჩაძირული სახლის ერთ-ერთ ფანჯარაში. აივანზე ავიდა, სწორედ ამ დროს დიდი ოთახის კარი გაიღო და სიმონა გამოვიდა გარეთ.

— მიხაკო, ბაბა, ვერ მოუსწარი დედაშენს, აღარ გყავს დედია! — დაიბღავლა მან და შვილს მოეხვია. ამ სიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვების გაგონებაზე ალიამაც წაიშინა თავში ხელები, საიდანღაც აქვითინებული საბა გამოჩნდა და ნისლით დაფარულ ეზოს კუთხეში ძაღლი აყმუვლდა. თავზარდაცემულმა მიხაკომ ვერც კი გაიგო როგორ მიიყვანეს დედის ცხედართან. სასთუმალში დადგმული კელაპტარი ანათებდა მიტკალივით გაფითრებულ მკაცრსა და გულგრილ სახეს, აღარაფერი რომ ედარდებოდა ამა ქვეყნისა. უეცრად მიხაკო მიხვდა, რომ გაქრა, გაუჩინარდა იმედი, სამუდამოდ გამოეცალა, დაეშრიტა ნუგეში, მთელი სამყაროს სიკეთისა და სითბოს დამტევი, და მუხლები მოეკვეთა...

ორი დღის შემდეგ, ალათი მაცხოვრის ეკლესიის ეზოში დამარხეს, გოგიელას გვერდით. როცა ხალხი დაიშალა, ნასვამმა ალიამ მიხაკო ცხენზე შემოისვა და შინ წაიყვანა, იყოს ცოტა ხანს დედულეთს, გულს გადააყოლებსო. მიხაკოსთვის სულერთი იყო სად იქნებოდა. ხმა არ ამოუღია ისე მოხვია ბიძას წელზე ხელები და თავი ზურგზე მიადო. ალიას ნელა მიჰყავდა ცხენი. ზოგჯერ ღიღინებდა, ზოგჯერ წამოიტირებდა, ზოგჯერ თავის თავს ელაპარაკებოდა, ვიღაცას ეკამათებოდა. გზა დიდ მინდორზე გადიოდა, მდინარეს რომ ეკრა. ალიას სოფელი მდინარის გაღმა იყო. გაღმა გამოღმა სოფლელები ნავით გადიოდ-გამოდიოდნენ, ცხენოსნები ფონსაც პოულობდნენ. მინდორს ირგვლივ დაბურული ტყე შემორტყმოდა. ციოდა, სადღაც შორს, ელავდა, ცა გრუხუნებდა, შუა მინდორში იყვნენ, როცა წვიმამ დასცხო. საშინელი ჭექაქუხილი ატყდა. ისე დაბინდდა, თითქოს მეორედ მოსვლისთვის ემზადებოდა ქვეყანა. გაღმა მხრიდან ვიღაც კაცი მოძუნძულებდა, ზურგზე ტომარა მოკიდებული.

— რომელი ხარ, კაცო, შენ? — ცხენი შეაყენა ალიამ.

— კულაშელი მეწვრილმანე ვარ, შალომა მორდეხაშვილი.

— რა ამბავია, შალომ, თუ იცი, ამრევა ქვეყანა?

— ის ამბავია, ბატონო, რომე, მაღლა ცაში ჩემი ღმერთი თქვენ ღმერთს ცემს, — გაიხუმრა შალომამ.

— აბა, შენი ღმერთი თუ ჩემს ღმერთს ცემს, მე შენ დაგიზელ გვერდებს აქანა, — იყვირა ალიამ, ცხენიდან გადმოხტა და მეწვრილმანე ებრაელს ლაზათიანი პანღური ამოსცხო.

ამგვარად, მეორე კუბოც გაიტანეს სიმონას სახლიდან.

3.

გლახუნა უნდილაძეს თავისი ღარიბული ქოხის ლაფაროში დაბალ ჯორკოზე უყვარდა ჩამოჯდომა. აქედან ის ხედავდა ვრცელი დაბლობის ბოლოში მძლავრად აღმართულ გურია-აჭარის ქედს. ეს გრძელი ქედი, დასავლეთით დადაბლებული, თითქოს ზღვიდან ამოდიოდა ხმელეთზე და ქვეყნის სიღრმეში თანდათან შლიდა განიერ მხრებს, ხან ლურჯად ლივლივებდა ლაჟვარდში, ხან თეთრად კაშკაშებდნენ მისი დათოვლილი კეხები მზის ბრჭყვიალა სხივებზე, ხოლო მწვანე გორაკებსა და ტყით აბუჩუჩებულ სერების სერებს ზურგს უკან ედგნენ ხასხასა იალაღები, თვალშეუდგამ ფერდობებად ჩამოფენილი ღრუბელთა საუფლოდან მყარი და ბებერი მიწისკენ. იმ შორეულ მთებს დიდხანს გასცქეროდა ხოლმე თავისი ქოხის წინ ჯორკოზე მჯდარი გლახუნა, თუმცა ისეთი კაცი არ იყო, რომლის თვალს ბუნების სილამაზე იტაცებს და ახარებს. გლახუნას თავისი სიდუხჭირე აფიქრებდა და აწუხებდა. თანდილა ნიგურიანის მკვლელობის მერე, მთელი სოფელი ალმაცერად უყურებდა. მას შემდეგ, რაც ჯამბაკურმა ცოლი შეირთო, ვარდანიძეების ახალმა რძალმა, ნინო ამილახვრის ქალმა, გლახუნას ფეხი ამოაკვეთინა ნათლიმამის ოჯახში, ეს წითური მკვლელი არ დამანახო-

თო. ახლა გლახუნა თავისი პატარა ნაკვეთის ამარა დარჩა. მოაკლდა წყალობა თავადის სახლიდან. მწირი ყანა ვერ აძლევდა საკმაო სარჩოს გაზრდილ ოჯახს. ამბაკოს მერე გლახუნას ქალიშვილი შეეძინა, ანეტა. ბავშვები წამოიზარდნენ და გლახუნას უჭირდა მათი გამოკვება. წელებზე ფეხს იდგამდნენ გლახუნა და მისი ცოლი კეკელა, მაგრამ მაინც ვერ მომაგრდნენ, რადგან არც მიწა ჰქონდათ სამყოფი, არც საქონელი უბლაოდათ საღამო ჟამს ჭიშკართან, არც ფრინველი დაუდიოდათ ეზოში. ცარიელი და გალოკილი იყო გლახუნას პატარა ეზო, გამოუვალ სიღარიბეში გადიოდა წლები.

ერთ მშვენიერ დღეს, გლახუნამაც განიზრახა საშოვარზე გასვლა. გუდანაბადი აიკრა და იმ შორეულ, ცისფერ მთებს მიაშურა, რომლებსაც ყოველთვის ხედავდა თავისი კარ-მიდამოდან. მას არ ჰქონდა გარკვეული მიზანი, მაგრამ ჰქონდა იმედი, რომ რაიმეს სახარბიელოს გადაეყრებოდა და მერე ღმერთი იქნებოდა მოწყალე. ამგვარი ფიქრებით გამხნევებულმა საღამო ხანს რიონის ჭალებს მიაღწია. მწვანედ აბიბინებულ მინდორს ნახირი მოსდებოდა. მეჯოგეები შოლტებს ატყლაშუნებდნენ, ბოლვერა ძაღლები გარს უვლიდნენ ჯიშიან ხარებსა და ძროხებს, მოზვრები, უშობლები, ხბორები ყუათიან ბალახს ძოვდნენ, ხოლო რქებდალესილ ვეებერთელა ბუღას ქედი ამაყად აღემართა, ნესტოები დაებერა და ზმუოდა. გლახუნა შეჩერდა. სწორედ ამ დროს, ცხენზე ამხედრებულმა ერთ-ერთმა მეჯოგემ ჩამოუარა და იმას ჰკითხა, ვისია ეს საქონელიო? კვარაცხელიას ჯოგია, საირმის მთებისკენ მივერეკებითო, უთხრა მეგრელმა მეჯოგემ.

ასეთ ჯიშიან საქონელს გლახუნა პირველად ხედავდა. მან ნახირს შურით მოავლო თვალი. სამი წლის წინ, ნესტორ ვარდანიძემ თავის მამულში ფერმა გააშენა. თეთრი, გრძელი შენობა, რომელსაც ვიწრო სარკმლები ჰქონდა, წითელი კრამიტით გადახურული [illegible] თიდან უზარმაზარი ჭრელი ძროხები ჩამოიყვანა და ამ ფერმაში შერეკა. თვითეულს თავისი ბაკი მიუჩინა, დასუფთავებული და დაწმენდილი. საქონლის მომვლელებად სოფელში ქალები დაიქირავა და კარგ ჯამაგირს უხდიდა. საბალახო მავთულით შემოღობა და ეს ვეებერთელა ძროხები მთელი დღე მშვიდად ძოვდნენ. დილა-საღამოს თითო ვედროს იწველიდნენ თურმე და კარგ შემოსავალს აძლევდნენ პატრონს. მაგრამ ის რუსული ძროხები არ მოსწონდათ გლეხებს, ეუცხოებოდათ. ამიტომაც იყო, რომ კვარაცხელიას ჯოგის დანახვაზე გლახუნამ გაიფიქრა, საქონელი ამას ჰქვია, ერთი წყვილი ხარკამეჩი, ან თუნდაც ძროხა რომ მომცა ამ ჯიშისა, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო. საკუთარი სიღარიბე კიდევ უფრო ცხადად შეიგრძნო და გულდაწყვეტილი, მოჯადოებულივით მიჰყვა ნახირს შორიახლო. მეჯოგეები ჯოგს ალმა მიერეკებოდნენ.

საღამო რომ გამკვრივდა, რიონის პირზე დაიბანაკეს და ცეცხლი დაანთეს. გლახუნა ხეზე ავიდა და ყვირილი მორთო. ხესთან მოზვრისოდენა ძაღლები მოვარდნენ ყეფით და მაღლა ხტებოდნენ, რომ მსხვილ ტოტზე ჩამომჯდარი აყვირებული კაცი ძირს ჩამოეთრიათ და დაეგლიჯათ. ამასობაში, ერთი მეჯოგე მოახლოვდა, და როცა გაიგო, რომ გლახუნას მეჯოგეებთან მისვლა და გასაუბრება სურდა, მაგრამ ძაღლების შიშით ამას ვერ ბედავდა, ძაღლები გარეკა და სტუმარი ცეცხლთან მიიპატიჟა. უცხო კაცს მწყემსები თავაზიანად შეხვდნენ, მიესალმნენ, ცეცხლთან დასვეს, ვახშამი შესთავაზეს, ელარჯით და ღომით გაუმასპინძლდნენ. მერე საუბარი გაუბეს და ჰკითხეს, ვინ ხარ, რა კაცი ხარო? გლახუნამ თქვა, ცხენისწყლისპირა სოფელ წიფლნარიდან ვარო, მეზობელი თავადის ოჯახი გადამეკიდა, ამოწყდა მათი სახსენებელი, საშველს არ მაძლევსო, ჯერ იყო და იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახქორმა ნადირობისას მამა მომიკლა, დამაქცია, მაგრამ ზარალი არ ამინაზღაურა, შვილი მომინათლა, ვითომ ძალიან მჭირდებოდა მაგათი დამოყვრება, შევარცხვინე მაგათი ნათელ-მირონი, მაგათ სამსახურში სისხლი მაქვს დაღვრილი, მაგრამ ვინ დაგიფასა, ახლა იმის ტეტია ცოლს არ მოვეწონე თვალში, გასაქანი აღარ მომცეს, შემავიწროვეს, დავტოვე ოჯახი და საშოვარზე გამოვედი, ეგება სადმე ორი კაპიკი ვიშოვოო!

მეჯოგეებმა თანაგრძნობის თვალით შეხედეს გლახუნას, რას იზამ, ბევრი უსამართლობა ხდება ქვეყანაზეო. გვიანობამდე იბაასეს და ის ღამე გლახუნამ მეჯოგეებთან გაათია. მეორე დილით, უთენია წამოიშალა ბანაკი, ისევ აღმა გარეკეს საქონელი და ისევ მიჰყვა გლახუნა ჯოგს. საღამო ხანს, დაწრეტილ რიონზე ფონი მონახეს, შოლტების ქნევით და სტვენა-ყვირილით შერეკეს საქონელი ტირიფებით ნაპირებშემოძენძილ მდინარეში და გაღმა გავიდნენ. თანდათან მთებს მიუახლოვდნენ. გლახუნა შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მწყემსებს და იმ ღამესაც მათთან დარჩა. როცა აბიბინებული დაბლობი მოლიეს და ჯოგიც ვიწრო ხეობაში შევიდა, რომელსაც ორივე მხრიდან ზღუდავდნენ ცამდი აზიდული ტყიანი მთები, გლახუნა ისევ მწყემსებს ახლდა. აქეთ იშვიათად ხვდებოდათ სოფლები და მოსახლეები, მაგრამ მეჯოგეებს არ უკითხავთ გლახუნასთვის საითა გაქვს გეზი აღებულიო, და არც გლახუნას უთქვამს არაფერი, რადგან ჯერ თვითონაც არ იცოდა რად მიეკედლა ამ ხალხს და ამ ჯოგს. ერთი კვირის მერე ხასხასა იალაღებს მიაღწიეს, სადაც შარშანდელი ნაბინავარები დაუხვდათ. მიუჩვეველი გლახუნა მთის ჰაერმა დასცადა, გული აუფრიალდა და თავი წამოსტკივდა. სანამ მწყემსები მუშაობდნენ ბანაკის წესრიგში მოსაყვანად, გლახუნა ერთი ვეებერთელა ლოდიანის ძირში მიეგდო და სულს ძლივს ითქვამდა. რა ყოფილა მთა, აქ მე ვერ გავძლებო, გაიფიქრა და შინ დაბრუნება განიზრახა. ძლივს-ძლივობით აითრია წელი და უფროს მეჯოგეს, კვარაცხელიას უთხრა:

— ა, ბატონო, ქე მოგაცილეთ აქამდე, და აწი დავბრუნდები!

— რაღას დაბრუნდები, შე კაცო, იყავი ბარემ და უკანა გზობაზე ერთ ძროხას გაგატან შინ, — უთხრა კვარაცხელიამ.

ეს რჩევა გლახუნას ჭკუაში ჩაუჯდა. იმდენად მისავათებული იყო, რომ ადგილიდან დაძვრა ეზარებოდა, გარდა ამისა, უკაცრიელ და უცნობ ხეობებში მარტოდ-მარტო ხეტიალი აფრთხობდა, შეიძლება გზა აბნეოდა, არც იარაღი გააჩნდა, ერთი დაჟანგული ხანჯლის გარდა, ვერც ნადირს გაუმკლავდებოდა, ვერც ყაჩაღს. ამოდენა გზიდან ხელცარიელი დაბრუნებაც უჭკუობა იქნებოდა, მეტადრე როცა გაურჯელად საქონელს პირდებოდნენ.

ასე დარჩა იმ ზაფხულს გლახუნა უნდილაძე მეჯოგეებთან საირმის მთებში.

მეჯოგეებს ბინა ტიტველი მთებით გარშემორტყმულ ჭალაში ჰქონდათ დადებული. კლდიდან ნაკადული ჩამოჰქუხდა, რომელიც ბუჩქნარში ფშანად გუბდებოდა და მდორედ მიედინებოდა. ამ დატბორილ ფშანში ილავდა წუურვილს სამასი სული საქონელი. საქონლის ნაჩლიქარით ალუფხული იყო წყლით დამბალი მიწა. შორიახლო მეჯოგეებს სიპი ქვით ნაგები ქოხები ედგათ. სახელდახელოდ შეკოწიწებულ ტახტებზე ხმელი ნეშო ეფინათ, ნაბდებში და ღართში გახვეულნი, ღამით ამ ნეშოზე იძინებდნენ. ირგვლივ ნაკელის სუნი იდგა. ერთ-ერთი ქოხი ქოთნებით და გუდებით იყო სავსე. ქოხის გვერდით, ჩარდახქვეშ, ყველი ამოჰყავდათ. მერე ამ ყველს ცხენებს ჰკიდებდნენ საპანლეებად და ბარში ეზიდებოდნენ. თვითონ კვარაცხელია სულგუნის ამოყვანის დიდი ოსტატი იყო, რას არ აკეთებდა ყველისგან, ხარებს, ძროხებს, ცხენებს, ურმებს და ათასგვარ

სათამაშოებს. გლახუნა პირველ ხანებში დიდად არ იყო დატვირთული, მაგრამ მერე ოციოდე სულ საქონელს მახლობელ გორაკის წვერზე გაირეკავდა ხოლმე და საღამომდე მწყემსავდა.

ერთხელ, იალაღზე გამოსული გლახუნა ლოდიანზე იჯდა. მწვანე კორდზე შეფენილი საქონელი ბალახს ძოვდა. დაფლეთილი ღრუბლები უძრავად ეკიდნენ ცაზე. ისეთი სიჩუმე იყო, რომ სადღაც, შორს, გაფრენილი ქორის ფრთების ტყლაშუნი ისმოდა. ირგვლივ მხოლოდ მდუმარე მთაგრეხილები ჩანდა. უეცრად ერთი ძროხა დაფრთხა და კატაბარდებში შეჯლიგინდა. სწორედ ამ დროს, დამრეცილ ველზე, აჭარულ ჩაქურაში გამოწყობილი ყაბალახიანი კაცი გამოჩნდა. ახალგაზრდა კაცი იყო, ულვაშებაწკეპილი და ცივად მზირალი. მხარზე თოფი ჰქონდა გადაკიდებული და სარტყელში — დამბაჩა გარჭობილი. უცნობი პირდაპირ გლახუნასკენ გამოემართა და შორიდანვე მიესალმა.

— გამარჯობა შენი, ჭოვ!

ალბათ, ვინმე გურული ფირალი იქნებაო, გაიფიქრა გლახუნამ და სალამზე სალმით უპასუხა. მან იცოდა, რომ ზოგჯერ ყაჩაღები სტუმრად მოდიოდნენ მწყემსებთან და რამდენიმე დღე დასასვენებლად რჩებოდნენ, თუმცა გლახუნას აქ ყოფნაში ჯერ არავინ მოსულიყო.

— როგორ ბრძანდები? — იკითხა მოსულმა.

— რა მიჭირს, ქე ვარ გვარიანად, — აღრენილად მიუგო გლახუნამ.

— შენია საქონელი?

— ჩემი კი არა, ის არ გინდა?! — ბოლმა მოერია გლახუნას.

— აპა, ვისია?

— ვისია და, კვარაცხელიას ჯოგისაა. წამომიყვანეს მაგ უპატრონოებმა, უკანა გზობაზე ერთ ძროხას მოგცემთო და ა, ვზივარ ახლა ამ კლდე-ღრეში და სხვის საქონელს ვმწყემსავ. მამა არ მყავდა მენახირე და პაპა, მარა უტვინო რომ იქნება კაცი, უარესი მოგივა, რა მინდოდა აქანა, წავშავებულიყავი ჩემ გზაზე, ეგება რამე მეშოვა.

— შე კაცო, ნაშოვნი არა გაქვს? საითაც გინდა, იქეთ უქენი ამ საქონელს პირი.

— რავა?

— რავა და, გადავრეკოთ აჭარაში, გავასაღოთ იქანა და გივიყოთ ფარა.

გლახუნამ თვალები მოჭუტა და სახეში შეხედა უცნობს, რომელიც თავის მხრივ დაჟინებული მისჩერებოდა გლახუნას. გლახუნას მოეწონა ეს კაცი.

— შენ ჭკვიანი კაცი ყოფილხარ, მარა გამოვა მაგ საქმე? — იკითხა მან.

— რიზა არ გამოვა? ისეთი გზები ვიცი, ჩიტი ვერ დაგვეწევა.

— კაი, აბა! — უყოყმანოდ დაყაბულდა გლახუნა, წამოდგა, საქონელს თავი მოუყარა და ამ ახლადგაცნობილ კაცთან ერთად აჭარისკენ გაუყენა გზას.

სამი დღე უვალი გზებით მიერეკებოდნენ ნახირს. მდევრის შიშით ტყეს აფარებდნენ თავს, მაგრამ არავის გამოუყენებია მდევარი, ისე გადავიდნენ აჭარის მხარეს, კაციშვილი არ შეხვედრიათ. ამასობაში, ერთმანეთსაც გამოეცნაურნენ. დურსუნა ვარ, კომახიძე, ხულოდანო, უთხრა გლახუნას თავისმა ახალმა ამხანაგმა. გლახუნა ვარ, უნდილაძე, სამტრედიიდანო, მიუგო გლახუნამ დურსუნას. მეტი არაფერი უკითხავთ ერთმანეთისათვის. მესამე საღამოს, ერთ პატარა სოფელს მიუახლოვდნენ, რომელიც უღელტეხილზე იყო გაშენებული. სოფელს ლოდიძირი ერქვა. აქ საზაფხულო სადგომები ჰქონდათ ზემოაჭარიდან ოჯახებიანად ამოსულ მწყემსებს. ხის კოხტა, მკვრივი სახლები ედგათ, პირველ სართულს საქონლის სადგომად იყენებდნენ, ზედა სართული საცხოვრებლად ჰქონდათ. ტყრუშული ლობით შემოღობილ ბოსტნებში კარტოფილი და ბოსტნეული მოჰყავდათ. საღამო ხანი იყო. ირგვლივ, წიწვიანი ტყეები ჩამუქებულიყვნენ და ჰაერი ფისის სუნით იყო გაჟღენთილი. ნიავი მელაკუდაობდა ფერ-

დობზე. მწვანედ ახასხასებულ კორდებზე მინდვრის ყვავილების გრილი სურნელი ტრიალებდა. ტანისამოსმობლარდნილი, მშიერ-მწყურვალი დურსუნა და გლახუნა განმარტოებით მდგარი ბებერი ფიჭვის ძირში ჩამოსხდნენ. შიმშილისაგან დაოსებულნი იყვნენ, რადგან სამი დღის განმავლობაში მხოლოდ დიყის ღეროებს ჭამდნენ.

— აჰა, აფერი გვიჭირს. აქანა ახალციხიდან ამოდიენ თათრები და იგინს მივყიდოთ საქონელი, — თქვა დურსუნამ.

— კაი, დაეთანხმა გლახუნა.

ის ღამე სოფლის მახლობლად გაათიეს. მეორე დილით, დურსუნა უთენია ჩავიდა სოფელში. მთების წვერებს აბრეშუმივით შემოხვეოდა გამსჭვირვალე ნისლი, თვალისმომჭრელად ბრწყინავდა ნამი. დურსუნა პირველსავე მოსახლის ღობეს მიადგა და ბოსტანში მოფუსფუსე თეთრჩადრიანი და წითელკაბიანი ქალი დაინახა.

— გამარჯობა მასპინძელო, მობრძანდი აქეთ! — გასძახა დურსუნამ.

— ვინ ხარ შენ, არ გცნობ მე შენ! — მკაცრად შემოუტია ქალმა, — კაცია ეგერ და იმას ელაპარაკე!

თეთრ პერანგში და იისფერ ელეჩში გამოწყობილი ყაბალახიანი კაცი სახლის გვერდით, წალდით ხეს სხეპავდა. დურსუნა მისკენ მიიწია და მიესალმა.

— სადაური ხარ, ჰოვ? — შეეკითხა მასპინძელს.

— დიოკნისიდან ვარ, მაჰმუდა იაკობიძე, შენ ვინ ბრძანდები?

— ქობულეთელი ვარ, დურსუნა კომახიძე, ამხანაგი მახლავს, სამტრედიელი, საქონელი ჰყავს გასაყიდი...

მაჰმუდამ წალდი დადო და სტუმარს მიუახლოვდა. შუახნის კაცი იყო, მაღალი, ხმელი, მაგარი, წელწვრილი და ბეჭებგანიერი, სახეზე ღიმილი უთამაშებდა. დიდი და თბილი ცისფერი თვალები ჰქონდა.

— საქონლით აქანა, ერთი ახალციხელი ოსმალო დალალობს, ბაირამალი ეფენდი...

— ვიცნობ ბაირამალი ეფენდის...

— მარა, ერთი თვეა არ გამოჩენილა...

— რა ვქნათ, აბა?

— მეიყვანე ამხანაგი და მევიფიქროთ რამე...

დურსუნა გლახუნასთან აბრუნდა, რომელიც ფიჭვის ძირში იჯდა და საქონელს მწყემსავდა, და ამცნო საქმის ვითარება. ამის შემდეგ საქონელი სოფლისკენ გამორეკეს. მაჰმუდა თავისი ეზოს ჭიშკართან შეეგება სტუმრებს, გლახუნას თავაზიანად მიესალმა, ნახირს თვალი გადაავლო და საქონლის უკანა ბარკალზე ამოშანთულ დამღას დააკვირდა.

— ეს დაღი მეცნობა, — იჭვნეულად ჩაილაპარაკა, მაგრამ მეტი აღარაფერი უთქვამს.

ამის შემდეგ დურსუნა და გლახუნა მაჰმუდა იაკობიძის სტუმრები გახდნენ. კვარაცხელიას ჯოგიდან მოპარულ საქონელს მაჰმუდას უმცროსი ვაჟი ათი წლის რესანი მწყემსავდა, რესანი ქერაკულულებიანი ლამაზი და წყნარი ბიჭი იყო, მშობლებს და და-ძმას ის გამორჩეულად უყვარდათ. ისეთი ლურჯი თვალები ჰქონდა, როგორც იალალზე შეფენილი შალანის ყვავილია გაზაფხულზე.

ერთი კვირა იცხოვრეს გლახუნამ და დურსუნამ მაჰმუდას ოჯახში, კარგად დაისვენეს და ინებივრეს, მაგრამ მოპარული საქონლის ჯავრი არ ასვენებდათ. ერთხელ, საღამო ხანს, როცა ნაჯაფარი მაჰმუდა სათიბიდან დაბრუნდა, კაცებმა კერიასთან ივახშმეს და დანაყრებულნი გომურის წინ, კუნძზე ჩამოსხდნენ. ყალიონები გააბოლეს და ბაასი გააბეს.

— ჩემი სახლიკაცი ამევიდა დანისპარეულიდან და ამბავი მეიტანა, კვარაცხელიას კაცი გადმოსულა გურიიდან, საქონელი დაკარგვიათ და ეძებს თურმე, — თქვა მაჰმუდამ.

ამ სიტყვების გაგონებაზე გლახუნას ნირი შეეცვალა და მუხლებში ჟრუანტელმა დაუარა.

— ოცი სული საქონელი დაკარგვიათ მწყემსიანათ, სადმე რომ გადაჩეხილიყო, ვიპოვიდითო, შიშობენ, ყაჩაღებმა ხომ არ გაიტაცესო.

— ყაჩაღებს რომ გიეტაცათ, გივგებდით, — ომახიანად თქვა დურსუნამ.

— საიდან გივგებდით? — იჭვნეული მზერით შეათვალიერა მაჰმუდამ თავისი სტუმრები.

— რა დიიმალებოდა?

მაჰმუდამ კიდევ ერთხელ შეათვალიერა არხეინად მოღიმარი დურსუნა და გაფითრებული გლახუნა, მერე ყალიონიდან ფერფლი გადმოყარა და მტკიცედ თქვა:

— თუ თქვენ პატიოსანი კაცები ხართ, ჩემი სახლი თქვენ სახლად იგულეთ, თუ რამე სიავეში გირევიათ ხელი, ვერ შიგიფარებთ.

უეცრად, გლახუნა, თითქოს სხეულში ცეცხლი მოედოო, ზამბარასავით წამოიჭრა აპილპილებული, ყალიონი ძირს დაანარცხა და გაწვრილებული ხმით იყვირა:

— არ ყოფილხარ მაჰმუდავ, კაი კაცი შენ! — და ფეხი წაჰკრა მიწაზე დადებულ ქოთანს, ჰიშკარი მიანარცხა და ლანძღვა-გინებით გავარდა ტყისაკენ, საიდანაც ერთი კვირის წინ გამოაღწია ქანცგაწყვეტილმა.

მაჰმუდას სიტყვა პირზე შეაშრა. სიჩუმე ჩამოვარდა. დურსუნა ერთხანს მშვიდად შესცქეროდა უხერხულობისგან ენაჩავარდნილ მასპინძელს, მერე ნელა წამოიზლაზნა.

— სა მიხვალ, დურსუნა? — თავი აიღო მაჰმუდამ.

— მივხედავ ჩემ ამხანაგს.

მაჰმუდამ წარბები შეჭმუხნა და დინჯად უთხრა:

— შენი ამხანაგის საქციელი არ არის მოსაწონი, მარა თუ რამე უკადრისი წამომცდა, უკან მიმაქვს სიტყვა. თუ მართლა პატიოსანი კაცები ხართ, ნუ შემარცხვენ იმ უცხო ადამიანთან, დააბრუნე უკან! — ეს თხოვნა ბრძანებას უფრო ჰგავდა.

— კაი, — თქვა დურსუნამ და ეზოდან გავიდა.

საღამოს მღვრიე ბინდი რბილად ეფინებოდა მიწას. დურსუნამ შორიდანვე შენიშნა ფერდობზე კორომად მდგარი ფიჭვების ძირას მიწაზე მჯდარი გლახუნა. გლახუნას წკეპლა ეჭირა ხელში და ამტვრევდა. დურსუნა მიუახლოვდა ამხანაგს და ისევ გაგულისება რომ შეამჩნია, გაეცინა.

— რავა მართლა პატიოსანი კაცივით გაშპი, რა ყოფილხარ, გლახუნა შენ?!

— მაგ ტილიანი მაჰმუდას საეჭვო რა მჭირს? — ყბები უცახცახებდა გლახუნას.

— ბოდიშს გითვლის ის კაცი, დაბრუნდეს უკანო.

— რა მინდა მაგ კვტარძაღლთან, მაგის ჭირიან სახლში რომ ფეხის შედგმა ვიკადრე, მადლობელი იყოს.

— შე კაცო, თუ დეგვეცა მდევარი, კაი დღე არ დაგვადგება. მივბრუნდეთ უკან, რამე არ იეჭვონ.

— რას ბოდიალობ შენ?! არაფრის დიდებით არ შევარჩენ მაგ სიტყვას.

დურსუნას თანდათან უფრო უკვირდა თავისი ამხანაგის საქციელი და ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რომ შიში და უსასოობა იყო მიზეზი მისი ასეთი გაფიცხებისა.

— ის ოჯახქორი ბაირამალი ეფენდი რომ აქანა დაგვხვედროდა, რა გვიჭირდა, მარა ახლა საქონელი რომ ახალციხეს ჩუმად გავრეკოთ, მიხვთებიან ჩვენს საქმეს და დაგვიჭერენ. — ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა დურსუნამ.

— უჯიშო მაჰმუდას წყალობა იქნება მაგი.

— მარა, — თვალები გაეყინა დურსუნას და ხმაც შემპარავი გაუხდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ, — ხომ გვაწყენინა მაჰმუდამ, ჩვენც გუდუხადოთ სამაგიერო. მოვტაცოთ რესანი და ახალციხეში მივყიდოთ ერთ თათარს. იგი იმას თურქეთში უზამს პირს და კაცი ვერ გაგვიგებს ვეფერს. ვიცნობ იმ კაცს, მაგისთანა საქმეებს კისრულობს. ამ ტყეში ბაღვს, სადაც გინდა დამალავ, საქონელს ვერ მუუვლი თუ არა. რაც საქონელში დავკარგეთ, იმ ბაღანის ფასად ამევიგოთ.

— ყაბულს ვარ, — თქვა გლახუნამ.

ამის შემდეგ ისინი ტყეს შეეფარნენ.

მაჰმუდა იაკობიძეს თავდაპირველად გაუკვირდა თავისი სტუმრების გაუჩინარება. მაგრამ როცა არც მეორე დღეს გამოჩნდნენ სოფელში და აღარც მესამე დღეს მოაკითხეს საქონელს, კვარაცხელიას კაცს შეუთვალა, თუ შენი საქონლის ნახვა გინდა, ლოდიძირში ამოდიო. გაქაფულ ცხენზე ამხედრებული კვარაცხელიას კაცი დაუყოვნებლივ ამოვიდა ლოდიძირში. ეს ის მეგრელი მეჯოგე იყო, გლახუნას რომ გამოელაპარაკა რიონის პირას. მან წამსვე იცნო გატაცებული საქონელი და გლახუნას ასავალ-დასავალი იკითხა. მაგრამ გლახუნასა და დურსუნას გზა-კვალი არავინ იცოდა.

— დიდი ვერაგი კაცი ყოფილა ეს გლახუნა, პატენი, ძმურად შევიფარეთ, მარა ფლიდობით გადაგვიხადა, — თქვა კვარაცხელიას მეჯოგემ და ნაპოვნი საქონელი საირმის მთებისკენ გარეკა.

სოფლის განაპირას შეკრებილმა კაცებმა საუბარი გლახუნას ამხანაგზე გადაიტანეს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს ის დურსუნა კომახიძე იყო, რომელსაც ქედაში ბიძაშვილი შემოაკვდა, და იმის მერე ყაჩაღობით და ძარცვა-გლეჯით იკლებდა ხალხს.

გავიდა კიდევ ერთი კვირა, საქონლის ქურდები თანდათან გადაივიწყეს. მაჰმუდას ნახირს მისი უფროსი ვაჟები მწყემსავდნენ. მაჰმუდას სოფლიდან ორი საათის სავალზე ყანა ჰქონდა და ერთ მშვენიერ დღეს, წავიდა მაჰმუდა თავის ყანაში სამუშაოდ. მეორე დილით დედამ რესანს ზურგზე გორიცა აჰკიდა, შიგ საგზალი ჩაუწყო, ყურის ძირში სანთელი მიაწება, ქაჯებმა რამე არ ავნონო, და მამასთან გააგზავნა. გზა ტყის პირას გადიოდა. მიდიოდა ბიჭი და მიიმღეროდა, რადგან პატარა იყო და ნადირისა ეშინოდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ უღრან ადგილას, გზის პირზე ჩამომჯდარი ორი კაცი შეამჩნია. ახლოს რომ ჩაუარა, „რესანო“, — დაუძახეს. ბიჭი შედგა და მამამისის ამასწინანდელი სტუმრები იცნო. გულშემკრთალ ბიჭს გაუხარდა მათი დანახვა, მაგრამ ისინი უცებ წამოცვივდნენ, დაიჭირეს, პირში ჩვარი ჩასჩარეს, გორიცა ზურგიდან მოაძრეს, აქეთ-იქიდან ჩაუდგნენ, ხელი მოჰკიდეს და ტყის სიღრმეში შეიყვანეს. დიდხანს ატარეს ტყეში გაოგნებული ბავშვი და ის მიხვდა, რომ არაფერი სასიკეთო არ ელოდა. ხმას ვერ იღებდა, მორჩილად მიაბიჯებდა და მისი დიდრონი ლურჯი თვალებიდან დაუშრეტელ ნაკადულად მოედინებოდა ცრემლი. ბოლოს ერთ უდაბურ ადგილას შეისვენეს. გლახუნამ და დურსუნამ ბიჭს ხელები შეუკრეს და მაჰმუდასთვის განკუთვნილ სადილს შეექცნენ. ხარბად ჭამდნენ, ხმისამოუღებლად, როგორც დიდი ხნის ნაშიმშილევნი. გული რომ იჯერეს, პირში ჩაჩრილი ჩვარი მოაშორეს და რესანსაც შესთავაზეს საჭმელი, მაგრამ ხელშეკრულ ბიჭს ჭამა არ შეეძლო და არც უნდოდა.

— ჭამე, ბიძია, თუ არა, შორი გზა გვაქვს გასავლელი და დავარდები! — უთხრა დურსუნამ, ხელები შეუხსნა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდით მიუჯდა, მაგრამ რესანი გაქცევას არ აპირებდა, სასოწარკვეთილი იჯდა და ცრემლად იღვრებოდა.

— ჭამე, ბიჭო, ჭამე! — მკვახედ შესძახა გლახუნამაც, მაგრამ რესანს ლამაზი სახე მუდარით დაემანჭა, თვალებში უძირო სევდა ჩაუდგა, განწირული იმედით ამოხედა უფროსებს და სლუკუნით ამოთქვა:

— ბიძია, გამიშვით სახლში!

მაგრამ ვის ესმოდა მისი სიმარტოვე, მისი შიში და წუხილი, მისი სუფთა, სათუთი სულის თრთოლვა და ტკივილი?!

წამოდგნენ, კიდევ დიდხანს იარეს და ის ღამე ტყეში გაათიეს. ბიჭს ხელფეხი შეუკრეს და შუაში ჩაიწვინეს, ზემოდან ნაბადი გადაიფარეს. არხეინად ეძინათ, ღრმად ხვრინავდნენ. მეორე დღეს კვლავ განაგრძეს გზა. ასე ტყე-ტყე მიაღწიეს ახალციხემდე და ერთ კუპრივით ბნელ ღამეს, ნორჩი რესანი ახალციხელ ოსმალოს მიჰყიდეს.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

## პატარა სიმღერა

აყვავებული მაისი გალობს,
მთის ქვეშ ბუტბუტებს წყარო
მაისის წვიმა ალერსით მწყალობს
შენ რათ დამტირი ქარო?

ტყემ დაიმშვენა გაშლა ფოთლების,
მთებში ამინდი დარობს
აღარ ხარ, მაგრამ რათ მაგონდები?
შენ რათ დამტირი, ქარო?

ცვარმა დანამა ყლორტები ვაზის,
ყაყაჩო მინდვრად ხარობს
ბალში ყვავილებს ფუტკარი აზის,
შენ რათ დამტირი, ქარო?

რომ ალმითქვამდი არდავიწყებას,
გულისმომკვლელო, ქალო,
თან რათ წაიღე ეს დაპირება?
რისთვის დამტირი, ქარო?

ო, უკვე დღეებს აღარ ვთვლი ჩემსას
წლების ფერხული ჩქარობს
მთიბავი ახლოს თავის ცელს ლესავს!
შენ რათ დამტირი, ქარო?

აყვავებული მაისი გალობს,
მთის ქვეშ ბუტბუტებს წყარო
ჯერ კიდევ წვიმა ალერსით მწყალობს,
რისთვის დამტირი, ქარო?!

* * *

პოლ ვერლენი

იყავ ღარიბი, რა გაგაჩნდა ლექსების მეტი?!
მაგრამ ერთი რამ მაინც გქონდა თვალშესახები:
მონმარტრის არე, ნოტრ-დამიდან პარიზის ხედი
და დიად ტაძრის ქიმერების გამოსახება!

ის, რაც ვერავინ ვერ გაიგო და ვერ ამიხსნა,
რაც ჰიუგოსთვისაც იდუმალი იყო და მწველი, —
შენმა ოცნებამ უნაზესი გალობით გახსნა,
აამეტყველა ღვთაებრივი „საუესის“ ენით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყავ ღარიბი და ჩემსავით გიყვარდა ზეცა!
გიყვარდა ქალის ხელუხლების ღიმილი ნაზი...
ისევე ქარი, ისევ ქარი სუსტ ლერწამს კეცავს,
ო, ისევ სისხლით და ცრემლებით ივსება თასი!!

მეც, ღამით, შენებრ სევდიანი, გავხედავ არეს,
როცა უეცრივ და რატომღაც მახრჩობს ცრემლები!..
ვის სურს, რომ შეწყდეს საუბარი შენი და მთვარის?
ხსნასა და შველას შენ ხომ არვის არ ევედრები?!

ვიცი, ოდესღაც, გსურდა სენას, როგორც სჩვევია,
წაეღო შენი გენია და ლექსების დენა!...
მეც იქ, საწყლებთან ღამე ხიდქვეშ გამითევია,
და სენას ჩურჩულს დაუტკბია იქ ჩემი სმენა!!

და როცა სარკმელს დაარცხრება ნოემბრის ქარი,
როცა ოცნება დაუძლევლად აიწევს ცამდე, —
იდუმალ ძალით თითქოს ჩუმათ იღება კარი —
ვგრძნობ, მყუდროებას კვლავ დაეძებს ვერლენის
ლანდი!..

რით შემიძლია დავეხმარო გატანჯულ მგოსანს?!
სად მოვუძებნო მას სავანე, თავშესაფარი?
დღეს მთელ სამყაროს მხოლოდ ბრძოლის აბჯარი
მოსავს,
და მყუდროება სიზმარია, მხოლოდ ზღაპარი!!

იყავ ღარიბი, რა გაგაჩნდა ლექსების მეტი?
მაგრამ ნუგეშად კიდევ დაგრჩა თვალშესახები: —
მზე საფრანგეთის, ნოტრ-დამიდან პარიზის ხედი,
ქუჩებში მებრძოლ კომუნართა ბარიკადები,
და შენთვის ეგზომ უკულმართად ტრიალი ბედის!...
. . . . . . .
ანდა რა გქონდა, რა გაგაჩნდა, ლექსების მეტი,
ვერლენ, ძვირფასო?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანა თარგამაძე

## ერთი სურათის გასართობი ანატომია

ხედავთ, ზევით, ქუდი ჩიტივით აზის,
ქვევით — ფეხის საცმელია ლანჩიანი,
ქუდსა და ლანჩას შორის რაც არის —
იმას ჰქვია — ადამიანი.
ქუდის ქვეშ თავია, თავში უნდა იყოს ტვინი,
ზოგს ტვინი დალარული აქვს, როგორ ბებრის სახე,
ზოგი იზრდება და ტვინი რჩება ჩვილის,
ასეთი ტვინი გლუვია, როგორც სარკე.
თავს მოსდევს ყელი, ყელს კიდევ მხრები,
ზოგს მხრებზე ადევს სახელმწიფოთა ბედი,
ზოგს ანგელოზი აწუხებს ფრთების შეხებით,
ზოგს კიდევ ამძიმებს ბალანი ზედმეტი.
მხრებიდან გამოდის ორი ხელი,
ზოგს ხელზე უკეთია ბორკილი, ზოგს — სამაჯური,
ზოგს ხელი მოკლე აქვს, ზოგს გრძელი,
ზოგს საქმიანი, ზოგს უსაქმური.
მერე მოდის სიცოცხლის ძარღვი —
გული — სისხლივით ცხელი და მუქი,
ზოგის გულია მიწასავით ხარბი,
ზოგის გულია მიწასავით უხვი.
მერე როგორც უძირო ორმო —
ადამიანის მუცელი მოდის,
ზოგი მხოლოდ მუცლისთვის ცხოვრობს,
მუცელს აგდებულად ექცევა ზოგი.
მერე მოთავსებულია ისეთი ორგანო,
რომელსაც ბევრი ფუნქცია აქვს ერთობ,
ელემენტარული ეთიკის გამო,
მას ნუ შევეხებით საერთოდ.
ადამიანი თავდება ფეხებით,
მათ გულადები წინ მიჰყავთ მარშით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაჩრები ფეხების მეოხებით
ბრძოლის ველიდან გარბიან სახლში.

ადამიანებო, იამაყეთ იმ არსებით,
რომელიც მოთავსებულია ქუდსა და ლანჩებს შორის,
ნუ შეეცდებით უცნაური შეთავსებით
გაასწოროთ, რაც თავისთავად არის სწორი.
გიხაროდეთ, რომ თავის ადგილას გაქვთ თავი
და არა ფეხი ან ხელი,
ეცადეთ, ეს არის ყველაზე მთავარი,
ადამიანს შერჩეს ადამიანის სახელი!

* * *

მწყინს, რომ საწყენი არ მწყინს
და არ შემიძლია შურისგება,
როცა ვიცქირები წინ
მომავალი შვილივით მეგებება.
დარდი რომ არასდროს მეკარება,
ალბათ, იმიტომ ვარ დარდიანი.

რაც მებადა, გზა-გზა მეკარგება,
ყველას მიზლავს მიწა მადლიანი.
იმედის რტო ძირს რომ დაიხარა,
ხელი ვტაცე, ის კი უცებ გაქრა,
თუკი ქვეყნად რამე გამეხარდა
ღრუბლის ნავებს წაუღიათ აფრად.

* * *

ტაბახმელას კვდებოდი თამარ,
ტაბახმელას,
ნუთუ მოხუცებული,
ნუთუ, როგორც ყველა
მარტოხელა
შენს წილ სიკვდილთან.
თუ იდგნენ გარეშემო
ლაშა, რუსუდან, იოანე ათაბაგი...
უკანასკნელად
რა წარმოსთქვი ფერმკრთალი ბაგით?
ლომი მძვინვარე,
შირვან-შას ნაბოძები,
გიცქერდა მდუმარედ,
თავს ხრიდა მოწიწებით,
ფეხებს გილოკავდა, თამარ!
როცა შენს საფარს
მოადგა სიკვდილი, შეკრთი?
რა გაგახსენდა, ღმერთი? შენი პოეტი,
თუ ბრძოლა ბასიანის,
თუ ბრგე ჭაბუკი დავით სოსლანი,

სულთნები, კეისრები,
მცირენი, დიდრონი,
თუ საწუხარი ბოლო,
განდგომილი ფხოელ-დიდონი,
თუ მხოლოდ
ტკივილი გტანჯავდა სხეულის,
იყავ უღონო, იყავ სნეული,
იქნებ პირველად შენს თავთან წრფელი.
ო, ნათელმხილველო, მაინც
საქართველო,
ალბათ .საქართველო
იყო საფიქრალი შენი.
და განა ლაშას
პირზე ღიმით
შენ არ დაადგი თვითონ
გვირგვინი?
იქით მიმავალი —
ილტვოდი აქეთ.
ნეტა რა წარმოთქვი
უკანასკნელად, ფერმკრთალი ბაგით?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ინჯია

## სიტყვების თანმიმდევრობა ანუ გენიოსობის საიდუმლო

განთქმული იყო ერთი კაცი ენის მჭევრობით
გრძნობდა იმ სიტყვებს, რაც იცოდა ბერმა თუ გლეხმა,
ყველას ადგილი მიუჩინა, თანმიმდევრობით
დაალაგა და წამოიწყო: „რომელმან შექმნა...“
იყო მეორეც, დაელეწა ბედის აფრები,
მაგრამ სიტყვები დაანება განა იმ აფრებს!
სუყველა სიტყვას გრძნობდა იგი იმ გამძაფრებით,
რომ დაალაგა და დაიწყო: „მირბის, მიმაფრენს“...
იყო მესამეც, თავს დაუსვა ისე წერტილი,
გულისტკივილით რომ ვიგონებთ ახლაც იმ წერტილს.
მანაც მოთოკა ბევრი სიტყვა თავაწყვეტილი,
მწკრივად დააწყო და დაიწყო: „შენ ჯვარს იწერდი...“
და წერდნენ... ზოგჯერ იყენებდნენ მბჟუტავ ლამპიონს.
ერთი პრომეთეს ცეცხლს ანთებდა ფიჩხის სინათლით,
ცხენზე ყველა ზის, მაგრამ უნდა დრომ გაარკვიოს
შენ მერანი გყავს, ბუცეფალი თუ როსინანტი.

## მ ზ ა ზ ე

თუმცა უარი ვერ დამიზუსტე,
ბალახზე ეგდო შენი სისუსტე
და არც სიმშვიდე შველის თვალების
და არც სიმწირე შენისთანების
არ მიბიძგებდა შენდა დაპყრობად.
ეს როდი იყო სულის საპყრობა,
იქვე იების კორდი დავლანდე
და ქრუანტელის ტანში დავლამდე

შემრცხვა ძალისა, რაც მე მებადა,
დავიმორჩილე ღელვა ვნებათა...
სამშვიდობო გზას ვადგივარ ახლა
და გზაზე ორი მეგზური მახლავს,
ვერც ერთ ამ წუთში ვერ გავეთიშე:
ხალისით სავსე მომდევ ერთი შენ
და ჩემს მოტეხილ მკლავს მინდობილი
სინდისი, შენზე მკაცრი დობილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ქავთარაძე

# მოვიდა კაცი...

ეს დედამიწა გუმბათციანი,
მზე ღვთაებრივი,
ვარსკვლავთ ციალი
ექვს დღეში შექმნა ღმერთმა-უფალმა,
თან დაამშვენა ადამიანით,
არ კმაროდა და არც დაუფასდა.

რადგანაც ტახტზე ჩამოესვენა
და გაჰყვა ღმერთი ფიქრებს
გაფრენილს:
„უკვდავვყავიო ჩემი ხსენება,
სხვა რა საქმე მაქვს? აღარაფერი!“

რამ მოგასვენა,
რა დაიბარე?
უბედოთ ბედი ვის ხელს მიანდე,
როგორ იკადრე,
როგორ იკადრე,
ღმერთმა რომ ხელი გადაიბანე,
რა უნდა ექნა საწყალ პილატეს!

რა ვაშლი იყო? თურაშაული?
რითიც შენივე კაცი გასწირე,
საწყალი ევას დანაშაული
ადამთან ჩვენც რომ გაგვინაწილე.

რა ეშველება ამ სატანების
აღზევებას და ქვეყნად მოსევას,
შენი სამოთხის კარი დახურე,
ამქვეყნად ვერვის გაუზაფხულეს
ქრისტემ, მაჰმადმა, ბუდამ, მოსემაც.

თავს დაგვატეხე მეხების გრგვინვა,
ნუ გიკვირს, თავს რომ აღარ გიხრიან,
ძე ქრისტეს — ჯვარცმა,
ეკლის გვირგვინი...
მამალმერთს წარბიც არ შეგიხრია.

კაცს დაასწარი, გამოიგონე
უფალო, ჩემო, მეხი-ატომი,
არ დაგრჩენია შენ სატანამდე
ერთი ნაბიჯი, ერთი ნახტომი.

შიშით და ძრწოლით რა გიგალობეს?
წარმოგზავნილმა შენმა ელჩებმა,
ო, ღმერთო,
ღმერთო, ეგ გულგრილობა
არ შეგრჩენია,
ვინ შეგარჩენდა!

ანგელოზები დაფრთხნენ ამქვეყნად,
სატანებს ყელი მოუღერიათ,
როგორ გიწამო უფალო ღმერთად?
დღემდის სატანებს ვერ მოერიე.

მოვიდა კაცი,
მოვიდა მხსნელად,
მოგვევლინა და თავი გასწირა,
უბედო ხალხთა გადასარჩენად
მან მათი ბედი გაინაწილა.

გაგვიზაფხულა ოქტომბრის დილამ,
ამოიბრწყინა
დიდმა ნათელმა,
სწორედ იმ დილით მზე დაიბადა,
დიდება მარად
მის დაბადებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამშობლოში დაბრუნება

გათენდა...
ომი ჩაქვდა, გაცივდა,
შენთვის მოვდივარ,
შენთვის ვიჩქარი,
მამულო, შენი ჯარისკაცი ვარ,
გიახლოვდები და შემიფარე.
მგონია: თითქოს მამელუკი ვარ,
ხან კი ლტოლვილი იანიჩარი.

გათენდა...
გული კი მაინც ბორგავს,
მზე გადმოჰკიდებს უქრობ ჩირაღდნებს,
ვერ დაუხრია დღეებს ბობოქარს
ჩემი უტეხი სულის ჩინარი.

გადაკარგულმა ავმა ღრუბლებმა
კვლავ დასცეს სადღაც ომის კარავი,
ქარი ატყდება
და ალმუვლდება,
ქარი — მსტოვარი დაუფარავი.

ქარი ქარია
და მაინც ვხედავ:
ხეებს რომ გააქვთ შიშით ცახცახი,
მინდა წამოვდგე,
ვერა ვერ ვბედავ,
მიწაზე ვწევები, როგორც ბალახი.

როგორც ბალახი ცვარნამნასვამი
ჩემს სამშობლოში დილაადრიან,
შორს, უცხოეთში, შენს მიწასავით
ცაში აფრენაც არ მინატრია.

გათენდა...
მხსნელი მზე სხივებს მახლის,
ვდგები, დამნათის ცის ლაჟვარდობა,
შორიდან ვუსმენ იმედის ძახილს —
და მარადიულ ახალგაზრდობას.

რა შორი გზაა,
ღმერთო, რამხელა?
ღრუბლებმა ამ ცის გზები დასერეს,
აჰა, შენთან ვარ,
ქარო თავხედო
დასცხრი, მომეშვი და მომასვენე!

1945 წ.

## ღამე უცხო ქვეყნისა

შუა ღამეა...
შუაღამე უფრო შავია,
მართლა შავია
და ვინა თქვა, რომ მეჩვენება?
ეს რა ღამეა?
რა ფერი, რა გულსაკლავია,
ასეთ ღამეებს წყევლა-კრულვა და
შეჩვენება.

ვწვალობდი...
ფიქრებს ვერ დავწერდი
შიმოფრენილად,
გაფრინდა ფიქრი,
მერცხალივით გადაიქროლა,
ეს რა ღამეა,
დაუწერელ ფიქრისფერია,
მომწყვიტა გული და ჩამიქოლა.

გათენდა...
დილით ყველაფერი მეუცნაურა,
დღეს შევხაროდი განთიადის კართან
მისული,
გაფრენილიყო შავი ღამე — სევდის
ღამურა,
რიჟრაჟის ფერით დაკოდილი და
დაისრული.

ვაიმარი, აპრილი. 1945 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ თორია

# ხე ხორციელი

## მოთხრობა

ქალი ყოველ დილით ჭიშკრამდე მიაცილებდა იონას, გადამეტებული მზრუნველობით ფუსფუსებდა მის გარშემო. მერე დიდის ამბით ემშვიდობებოდა. კაცი ქუჩაში გადიოდა. აუჩქარებლად, მხრების რწევით მიაბიჯებდა. ქალი დაუფარავი სიამაყით გაჰყურებდა, სანამ იგი თვალს არ მიეფარებოდა.

საღამოობით ერთ და იმავე დროს ბრუნდებოდა შინ. ქალი ჭიშკართან ეგებებოდა. საქმიანი ქაღალდებით სავსე ხელჩანთას ჩამოართმევდა და მშვიდი ბაასით მიემართებოდნენ დაბალი აგურის სახლისკენ, რომელიც ლაზათიანი ვერ იყო, მაგრამ მარადმწვანე, ცაში აჭრილი ხეები თავისებურ ხიბლს სძენდნენ.

კაცი ტანსაცმელს გამოიცვლიდა, წაიხემსებდა, სიგარეტს გააბოლებდა და რამდენიმე წუთით შეისვენებდა. შემდეგ, ყვავილნარში გადიოდა სამუშაოდ.

არცთუ ისე დიდ ნაკვეთს ფლობდნენ და ყოველ გოჯს საგულდაგულოდ ამუშავებდნენ. თვითონაც ვერ აგიხსნიდნენ, საიდან დაჰყვათ მცენარეებისადმი ასეთი ლტოლვა. მათ ეზოში ზამთარ-ზაფხულ საუცხოო ჯიშის ყვავილები ხარობდნენ.

იონა ხარჯამკრეფად მუშაობდა სახლმმართველობაში. როგორც ამბობდნენ, საქმეს კეთილსინდისიერად უძღვებოდა, წესრიგიანი კაცი იყო და ეს, ყოველ მის ნაბიჯში ვლინდებოდა.

თავიდან უხერხულობისაგან იმმუშნებოდა ხალხი, იგი მოკრძალებით რომ შეაღებდა ვინმეს ჭიშკარს და ისეთი რიდით იტყოდა სათქმელს, თითქოს წვეულებაზეა და საჟანგებო ადათს იცავსო. უკვირდათ, მისი გარეგნობისა და ღირსების კაცი ასე კარი-კარ რომ დაიარებოდა.

დროთა ვითარებაში, ეს შეხვედრები და საუბრები მოთხოვნილებად ექცათ და მასთან ურთიერთობას ერთგვარ პატივად თვლიდნენ. იყვნენ ისეთებიც, ვისაც თვალში არ მოსდიოდა ეს ვაჟკაცური გარეგნობის, გრუზათმიანი, ტანზე მოხდენილად შემოკვალთულკოსტუმიანი კაცი და განგებ ერიდებოდნენ, მაგრამ საკმარისი იყო გამომცნაურებოდნენ და ავიწყდებოდათ თავიანთი ვარაუდები. ისინი ერთხელ და სამუდამოდ რწმუნდებოდნენ, რომ ვინმეს დაუმსახურებლად ქირდვას, ახლოს გაცნობა სჯობდა.

ხარჯამკრეფის თანამდებობა დიდ შემოსავალს ვერ აძლევდა ოჯახს. ქალი როგორღაც ახერხებდა და ქმრის სახე-

ლისთვის ჩრდილი რომ არ მიეყენებინა ისე, ბაზარში ხელსაყრელ ფასად აძლევდა ვილაცას ყვავილებს.

იონამ უბრალოდ, გართობის მიზნით დაიწყო ყვავილების მოშენება. მთელი ხალისით უვლიდა ყოველ ნერგს, მაგრამ როცა ქალმა ისინი შემოსავლის წყაროდ აქცია, გული აუცრუვდა, ოღონდ ეს იყო, მოვალეობის გამო ვერ შელეოდა და რამდენიმე ჯიშის ვარდთან ერთად, რომელთაც მუდამდღე დაჰფოფინებდა, მათი მიხედვაც უხდებოდა.

ყვავილნარში მუშაობის შემდეგ, იონა და მისი შვილები ვეებერთელა მაგნოლიის ქვეშ ისხდნენ. ქალი ვახშამს აწყობდა. ბავშვები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ. ზოგჯერ, ანცური სიცილი წასკდებოდათ, მაგრამ მამის შემოხედვისთანავე გაიტრუნებოდნენ. კაცი შორეული სტუმარივით იჯდა მათ შორის.

გოგონები დედის ასლები იყვნენ. ორივეს ჩიტივით პატარა სახე ჰქონდა, ფართო პირი, შავი, სევდიანი თვალები, მაგრამ ეს თვალები, როგორც კი მამა მზერას მოარიდებდა, ისე ეშმაკურად აენთებოდნენ, გეგონებოდათ, ციცინათელებია და სადაცაა, ფრენას მოჰყვებიანო. იონა ვარაუდობდა, ტანადი ქალები დადგებიან, ოღონდ ესაა, სილამაზით თვალს ვერავის მოსტაცებენო.

ბიჭს უხეში აღნაგობა ჰქონდა, უფრო ძვალმსხვილი ეთქმოდა. კაცი დაჟინებით ცდილობდა მასში საკუთარი მსგავსების პოვნას, მაგრამ ვერ პოულობდა. ფართო, დაფანჩული წარბებიდან ისეთი გამომეტყველებით შემოსცქეროდა, ვერაფრით ვერ ხვდებოდა მის ზრახვებს, ხოლო როცა საყვედურით გადახედავდა, ბიჭი კოპებს შეიკრავდა. გეგონებოდა, ქვესკნელში ჩაძვრა და მის იქედან ამოსვლას ვერასოდეს ეღირსებაო. გოგონებს ჰაეროვანი მიმოხვრა ჰქონდათ, არც კეკლუცობას იყვნენ მოკლებულნი. ბიჭი მათზე უფროსი იყო. მის ასაკში იონა ერთ უბნელ გოგოს საათობით ელოდა ხოლმე ბოგირთან, რომ მისი სავსე მკერდისთვის ერთხელ კიდევ შეევლო თვალი, მაგრამ შვილს მოწიფულობის ნიშანწყალსაც ვერ ამჩნევდა, და როცა მის სახეს მზერას შეავლებდა, გაურკვეველი გრძნობები ეძალებოდა და თვალს არიდებდა.

გოგონები წამოიკისკისებდნენ. ბიჭი ისეთი გამომეტყველებით იცქირებოდა მაღლა, თითქოს ამ ადამიანებთან არაფერი ესაქმებოდა.

მაღლიდან კი, მაგონლიის უშველებელი ტოტები დაჰყურებდათ. ხე იონას ტოლი იყო, ლაღად გაეშალა მხრები და მძაფრ სურნელს აფრქვევდა ირგვლივ.

ამ ხის ქვეშ ჯდომა ძალზედ უყვარდა იონას. მასთან ერთად გაზრდილი და ტანაყრილი გოლიათი, ერთგული მეგობარივით ადგა თავზე.

მისი ყვავილობა, მეტადრე, ბოლო წლების კვირტთასკდომა, მთელ რიგ ოცნებებს და ზრახვებს აღძრავდა იონაში, ახსენებდა წამივით გარდასულ დღეებს და ეძახდა შორეული გზებისკენ.

მაგნოლიის ყვავილები რომ გაიშლებოდნენ, კაცი ადგილს ვერ პოულობდა. მთელი სისავსით უბრუნდებოდა თითქოს ჭაბუკობის წლები, ძალუმად აწვებოდა და სულს უფორიაქებდა. ფართო, ·აგზნებული ნაბიჯებით დაბორიალობდა მთვარის შუქით გაკაშკაშებულ ეზოში და საკუთარ ლანდს ებრძოდა.

ქალი ჩაბნელებულ ოთახში იჯდა, თვალს ადევნებდა და უხმოდ ეძახდა, მაგრამ მისი წრიალი, იონამდე ვერ აღწევდა.

მთვარის შუქზე, ვერცხლისფრად ლიცლიცებდნენ მაგნოლიის ყვავილები და თავბრუს ახვევდნენ იონას. ღამე თვალის დახამხამებაში ჩაიქროლებდა. მეორე დღეს, ერთიანად მისავათებული დააბიჯებდა კარი-კარ. მის სახეს, ნიღაბივით მორგებული თავაზიანობა არ სცილდებოდა, ხოლო სინანული, რასაც უწყინარი ახალგაზრდობის გამო შეეპყრო და ამ უწყინარობაში არაფერი რომ არ ეყარა ბატკნის მორჩილების, საკუთარ სურვილთა დათრგუნ-

ვისა და ულიმღამო არსებობის გარდა, უფრო აშფოთებდა.

ჩაივლიდა მაგნოლიის ყვავილობა, მათ ადგილს გირჩები იჭერდნენ, გირჩებს შინდისფერი თესლი სცვიოდათ, მოგვიანებით, თვით გირჩებიც წყდებოდნენ ტოტებს და სინანულის ცრემლთა ლოლუებივით ეყარნენ ხის ქვეშ. ხოლო ხე, უწყინარ არსებობას განაგრძობდა. იონა ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მღელვარება, რაც გაზაფხულს მოჰქონდა, სიგიჟე იყო. არ შეიძლებოდა ამ ვნებებს აჰყოლოდა კაცი და მისი კარნახით ეცხოვრა.

ქალი ღიმილად იღვრებოდა, სიხარულისგან ადგილს ვერ პოულობდა, რაღაცას იგონებდა, რაღაცას აკოწიწებდა, რომ მისთვის ეამებინა. იონას გულს არაფერი ეკარებოდა. ოღონდ ეს იყო, სპეტაკი კაცის სახელსაც ვერ შელეოდა. თანდათან მოთოკავდა ნერვებს და ქალის ყოველ სურვილს ანგარიშს უწევდა.

ბავშვებს შორის იჯდა, თუ საქმეზე დადიოდა, მეზობლებთან მასლაათობდა, თუ ყვავილნარში მუშაობდა, ერთთავად ზომიერების დაცვაზე ფიქრობდა. ზომიერება — სიცილში, ლაპარაკში, გართობაში, ცოლთან ალერსში და ამ ზომიერებათა ტყვე ხდებოდა.

მერე ის იყო, იგი მოულოდნელად გაქრა.

ამ ამბავს ყველა სხვადასხვანაირად ყვებოდა. ყველაო, ითქვა და ასეც იყო, რადგან იონას გაუჩინარებაზე მოულოდნელი, ომის შემდეგ მათთან არაფერი მომხდარა.

ქალაქი მაშინ შედარებით პატარა იყო. მის ერთ ბოლოში ვინმეს რომ დაეძახა, მეორე ბოლოში გაეპასუხებოდნენ. ჰქონდა რამდენიმე ქუჩა, მთავარი მოედანი მაღაზიებით, კლუბით, რესტორნით, ბაღი — შადრევნით.

ეს ამბავი იმ დროს ხდებოდა, როცა ქალაქში მთვრალი კაცის გამოჩენა თავის მოჭრად ითვლებოდა. არც ხელკავგაყრილი წყვილები დასეირნობდნენ ბაღში. შესალამოვდებოდა თუ არა, მოედანზე კაცის ჭაჭანება არ იყო ხოლმე, აქ დგომა და ხეტიალი საძრახად მიაჩნდათ.

საქმე ასე იყო.

იონას, როგორც უბანში ყველაზე სანდო და ფულის ყადრის მცოდნე პიროვნებას, მეზობლებმა ოთხასი მანეთი მიაბარეს, მათივე უბნელის ბებიის წლისთავისთვის საკლავის საყიდლად. წლისთავამდე მთელი ორი კვირა რჩებოდა კიდევ, მაგრამ ბაზრობის დღე ახლოვდებოდა და ეს შემთხვევა ხელიდან არ უნდა გაეშვათ.

იონა ჩვეულებრივად, დილითვე გავიდა სახლიდან. ქალი მთელი საათი ატრიალებდა ჰიშკართან. ადრე, თუ თვით ქალი თხოვდა, წამით იდაყვი აწიე, მტვერი მოგწმინდო, ოდნავ დაიხარე, საყელო გაგისწოროო, — ამჯერად იონა კარნახობდა. ქალი ყოველ მის სურვილს ხალისით ასრულებდა. შემდეგ, იდგა და მოჯადოებულივით გასცქეროდა ქუჩაში მოზომილი ნაბიჯებით მიმავალს.

ქალი მზის ჩასვლამდე ფეხზე იყო. სარეცხს ფენდა, იონას ტანსაცმელს ამზეურებდა, ფერთხავდა. გაზაფხული იდგა და მეტად უფრთხოდა მის ოდნავ გალიზიანებას და საბაბი რომ არ მიეცა, საქმეს მონდომებას არ აკლებდა. სადილი დაამზადა, სუფრა გაშალა, ბავშვები დააპურა, სახლი მიალაგა, ჭიშკრისკენ გაემართა და ქმარს დაუწყო ლოდინი.

იგი შრომას მოექანცა, მაგრამ კმაყოფილებით ფიქრობდა იონაზე. მოვიდოდა, ყვავილნარში წაიმუშავებდნენ, მაგნოლიის ხის ქვეშ ჩამოსხდებოდნენ, ივახშმებდნენ, ოჯახის ავ-კარგზე ისაუბრებდნენ, მერე დადუმდებოდნენ და ყურს მიუგდებდნენ ღელის ჩხრიალს, რომელიც მათი ეზოს ბოლოში ლაღად მიიკვლევდა გზას.

ქალი ჭიშკართან, სახელდახელოდ გამართულ ძელსკამზე იჯდა. ქუჩაში ხალხი მიმოდიოდა. ესალმებოდნენ, თვალს შეავლებდნენ მის ჭრელ, რეცხვისგან გაცრეცილ, მოკლესახელოებიან კაბას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაშაშრულ ხელისგულზე დაყრდნობილ, შენაოჭებულ სახეს, უკან გადაწეულ თავსაფარს და გზას აგრძელებდნენ.

ქმარზე ფიქრებში შემოაღამდა. ჭიშკართან ელექტრონათურა აენთო. ის იყო, წამოდგომას და სახლში შესვლას აპირებდა, როცა მეზობლის ქალი შეჩერდა მის წინ, ყურადღებით შეათვალიერა და მიუახლოვდა.

— ასე გვიან ვის ელოდები, სოფიკო

— იონას. — ღიმილით უპასუხა სოფიკომ.

— რესტორანში ქეიფობს, — თქვა მეზობლის ქალმა.

— თავის მეგობრებთან ერთად ალბათ, — უთხრა სოფიკომ.

— ვიღაც ქერათმიანი ქალი უზის გვერდით. შენი ეზოს ყვავილები უკლებლივ მოატანინა თურმე ბაზრიდან და იმ ქალს უწყვია წინ, — თითქოს სხვათაშორის თქვა ქალმა, მაგრამ სოფიკოს სახეს მზერას არ აცილებდა.

სოფიკო დუმდა. უწინდებურად, ღიმილით მისჩერებოდა წინ მდგომს. მეზობლის ქალი პასუხს რომ არ ეღირსა, ხელი ჩაიქნია.

— მე კი გითხარი და... — გულდაწყვეტით წამოიძახა და მიტრიალდა.

სახეზე ღიმილი შეაშრა სოფიკოს, წამოდგა და სახლისკენ გაემართა. ყველაფერს ელოდა. ელოდა, რომ იონას როდისმე სხვაგან გაუწევდა გული, თუნდაც სწავლის დასასრულებლად, მეოთხე კურსზე რომ მიატოვა უსახსრობის გამო, თუნდაც სხვა ქალთან, მაგრამ ასე... მთელი ქალაქის თვალწინ მისი ეზოს ყვავილები რომ ვინმესთვის მიერთმია, ამას ვერ წარმოიდგენდა.

ხელიდან უცვივდებოდა ყველაფერი. როგორც იყო, თმა დაივარცხნა, კაბა გამოიცვალა, ბავშვებს ჭკუით იყავით, ახლავე დავბრუნდებიო, დაუბარა და ეზოში გავიდა.

ჭიშკართან უბნელ ქალებს გადაეყარა. ისინი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ მას. უკან დაბრუნება სცადა, მაგრამ ქალები გამოემცნაურნენ.

— წადი სოფიკო, თორემ ეგ [illegible]შომ ლამისაა გადარიოს იონა! — მიახალა ერთმა.

— იჩქარე სოფიკო, იჩქარე! — დაუმოწმა მეორემ.

— თუ ასეა, ბარემ გადარიოს! — ბრაზი ვერ დაიოკა სოფიკომ, სახტად დარჩენილ ქალებს ზურგი აქცია და სახლისკენ აიღო გეზი, მაგრამ ბავშვებთან შეხვედრას მოერიდა და ლაფაროში განმარტოვდა.

დედის საქციელმა, ბავშვებს რაღაც უჩვეულო მოვლენის დადგომა აგრძნობინა. ისინი ფეხაკრეფით გაემართნენ საძინებელი ოთახისკენ და ნაადრევად ჩაწვნენ. გოგონები ფხიზლობდნენ, ჩურჩულებდნენ ერთმანეთში. აშფოთებდათ, რომ მამა აგვიანებდა. ისინი იონას სიზუსტეს ისე იყვნენ მიჩვეული, დედის დუმილის მიზეზად სწორედ მის დროზე მოუსვლელობას თვლიდნენ. ერთმანეთს აგულიანებდნენ, წამომდგარიყვნენ და სახლში შეეყვანათ დედა. რამდენიმეჯერ ბიჭის საწოლთანაც მივიდნენ, იქნებ ის მაინც მივუგზავნოთო, მაგრამ მას მშვიდად ეძინა. ფანჯრიდან აკვირდებოდნენ სიბნელეში მჯდომ ქალს. იგი გაფაციცებით გასცქეროდა ჭიშკარს.

მეორე დილით მთელმა ქალაქმა იცოდა იონას ამბავი. უკვირდათ, მათ შორის მცხოვრებმა, უმწიკვლო წარსულის მქონე კაცმა ასე, ერთბაშად საქვეყნოდ რომ გამოიჭენა თავი. — საკლავის საყიდლად განკუთვნილი ფულით ქეიფი გაახურა, თანამესუფრეებს ვიღაც ქერათმიანი ქალი წარუდგინა ჩემი საცოლეაო, მთელი დღე ცეკვა-თამაშში გაატარა, საღამოს სადგურზე მოუკრავს ვიღაცას თვალი იმ ქერათმიანთან ერთად, და უგზო-უკვლოდ გაქრა.

მანამდე იონას კეთილსინდისიერებაში არავის შეჰპარვია ეჭვი, მაგრამ საკმარისი იყო მისი გაქრობის ამბავი შეეტყოთ და ათასი რამ ეფიქრათ. ზოგი ამბობდა, მას ქერათმიანთან დიდი ხნის მანძილზე ჰქონია ურთიერთობა, სოფიკოს აცურებდა, თორემ დღენია-

დაგ გაქცევაზე ეჭირა თვალით. მერე, ხმა დაირხა, სახელმწიფო ფულიც გაუტაციაო, იმასაც ამბობდნენ, მოხუცი, ვისი წლისთავისთვისაც უნდა ეყიდათ საკლავი, შვილებს თავის დღეში არ გაუხარებიათ და მის სახელზე ქეიფი არც გვაწყენსო, — ექილიკოს ვითომც იონას, მაგრამ არავინ იცოდა, რა ითქვა ნამდვილად, ხოლო როგორც შემდეგ გაირკვა, მას სამსახურში უკანასკნელ კაპიკამდე ჰქონია ანგარიში გასწორებული.

მესამე დილით, მეზობლები მოადგნენ სოფიკოს და ფულის დაბრუნება მოსთხოვეს. ერთიც არ დაუწუწუნია. სადღაც წავიდა, იშოვა ფული და რომ უთვლიდა, თხოვა მათ, იონას კილვას შეეშვით, რასაც ამბობენ, ყველაფერი სიცრუეა, ხოლო რაც შეეხება მის წასვლას, თანხმობა ჩემგან მიიღოო, მაგრამ თხოვნა, თხოვნად დარჩა, იონას გაუჩინარება კი, ერთგვარ ღირსშესანიშნავ თარიღად. ამიერიდან, რომელიმე მეზობელს რამე რომ შემთხვეოდა და შეეხსენებინათ, როდის გადაგხდაო, დროს, იონას გადაკარგვის დღიდან აგითვლიდნენ.

* * *

იონას გაუჩინარების შემდეგ არც ისე დიდი დრო გასულა, რომ მაგნოლიის ყვავილები ერთბაშად გამრეშდნენ. სოფიკო ავი წინაგრძნობით აკვირდებოდა ხეს. მალე, კენწეროს ფოთლებს მურა ფერი დაედოთ. მურაფერი თანდათან კენწეროდან ქვედა ტოტებზე ჩამოდიოდა. ქალი ყოველ ღონეს ხმარობდა ხის გადასარჩენად, მაგრამ მისი ზრუნვა, თითქოს აჩქარებდა ხმობას.

და, შუა ზაფხულში, ეს მარადმწვანე მცენარე განიძარცვა. მხოლოდ დაბლა, სამ ტოტზეღა შერჩა ფოთლები და მათი არსებობაც ბეწვზე ეკიდა.

განწირულივით თრთოდა ხე. უმწეოდ გაფარჩხული ტოტები ზეცისკენ აეპყრო და შველას ითხოვდა, მაგრამ ხსნა არსაიდან ჩანდა. იგი დროთა ვითარებაში ისე გამუქდა, კაცს ნახანძარალი ეგონებოდა.

ეროვნული

მთელი ეზო ყვაოდა. მაგნოლიის ხე კი, ურჩხულივით იდგა ნაირფრად შემოსილ მცენარეებს შორის და საერთო ყურადღებას იპყრობდა.

მაშინ იყო, სოფიკომ მეზობლის დაჟინებული თხოვნით (რომელსაც ადრე, ეზოს უჩრდილავდა ხე და იონასთვის ვერ შეებედა რამდენიმე ტოტი მაინც აეკაფა) გადაწყვიტა, გამხმარი ნაწილი ჩამოეჭრა.

...ერთიანად გალეული და გაძვალტყავებული იონა ხეს შემოხვეოდა და გაბმით კვნესოდა. მისი შველა უნდოდა სოფიკოს, მაგრამ მიახლოვებისთანავე, თანდათან შორდებოდა ხე. მერე, მთელი ძალით იწყო ეზოს ირგვლივ სრბოლა. სოფიკო დასდევდა. როგორც კი დაღლა მოერეოდა და ნაბიჯს შეანელებდა, ჩერდებოდა ხე, მაგრამ საკმარისი იყო სოფიკოს სირბილისთვის მოემატებინა და ხე თავბრუდამხვევ სიჩქარეზე გადადიოდა. სოფიკო არა და არ ეშვებოდა მას.

როგორც იყო, დაეწია, ტოტებს ჩასჭიდა ხელი და დაიმორჩილა. იონა ხის ტოტზე აღმოჩნდა მიბმული. ქალი ხსნიდა თოკს, მაგრამ იგი ხელიდან უსხლტებოდა და ისევ ინასკვებოდა... ამ დროს, ხე ერთიანად ცახცახებდა, იონა კი გულისშემძვრელად კვნესოდა. ქალს სადაცაა ნასკვი უნდა გაეხსნა და გაენთავისუფლებინა იონა, რომ უეცრად, ხის მჭრელი შემოვარდა ეზოში, მუდარადქცეული სოფიკო ნაჯახის ქნევით შეაგდო სახლში, კარი ჩაუკეტა, მორჩილად მდგარ ხეს მიადგა და ძირში დაუწყო ჭრა.

ნაჯახის ყოველ შემოკვრაზე, იონას გაბმული კვნესა ისმოდა. მის კვნესას, გამყინავი სიცილით პასუხობდა ქალის ხმა. ხეს ნაფოტის მაგივრად, ქერა თმა სცვიოდა. იონა თანდათან ილეოდა და ამ თმას ერთვოდა.

ხის მჭრელმა უკანასკნელად მოიქნია ნაჯახი. ხე შხუილით დაეშვა ძირს, მაგრამ სანამ მიწას შეეხებოდა, შემზარავი

ხარხარი ამოუშვა, თეთრმოსასხამიან, ქერა ქალად იქცა და ჭიშკრისკენ გაიქცა. თან, ქერა ნაწნავად ქცეულ იონას მიაფრიალებდა. მთელი ყვავილნარი გადათქერა, მერე ეზოს განაპირა ღელესკენ გაქუსლა და შედგა.

იხრებოდა, წყალს იღებდა პეშვით და თმაზე ისხამდა. ნაწნავი იონას ხმით კვნესოდა. ქალი ნეტარებით კისკისებდა. შემდეგ, მოსასხამის ღილები შეიხსნა, გაიხადა და მაღლა აისროლა. მოსასხამი აორთქლდა და წყლის ნაკადად დაეშვა. ღელე წყალსაცავად იქცა. ქალი ტანის ნარნარი რხევით ეშვებოდა წყალსაცავში. ნაწნავი განწირულად კვნესოდა. ქალმა წყალში ჩაყვინთა და გაქრა...

სოფიკო სიზმარმა დააფეთა, ლოგინიდან წამოვარდა და ფანჯარას მიაშურა. ხე ადგილზე რომ დახვდა, ბედსვიან ქალად იგულვა თავი. ეს გრძნობა არც მაშინ ტოვებდა, მეორე დღეს, გაოცებულ ხის მჭრელს არაფრის გამო რომ უხდიდა მადლობას და ჭიშკრისკენ მიაცილებდა. მერეც, როცა საქმიანობდა და ხეს გახედავდა, იგი მახლობელ და აუცილებელ თანამგზავრად ეჩვენებოდა და ცდილობდა, სიტყვა არ დაეძრა ვინმესთან, რადგან შიშობდა, საიდუმლოს გამხელისთანავე ამ გრძნობას არ დაეტოვებინა.

ასე იდგა ნახევრად გამხმარი ხე, წარსული ბრძოლის დასტურად, ეზოს განაპირას. ქალი მასზე ისე ლაპარაკობდა, როგორც ცოცხალ არსებაზე. ლაპარაკობდა თავის თავთან, განმარტოებისას. მარტოდ ყოფნისთვის კი დრო ბევრი ჰქონდა... ყვავილნარში მუშაობდა, სკოლის ფართო დერეფნებსა და ოთახებს ხეხავდა, ღუმელთან ტრიალებდა, რეცხავდა, სახლს ალაგებდა. ღამით, ბავშვებს რომ დააძინებდა, ყვავილების კონებს კრავდა, რომ მეორე დღეს უთენიაზე, გასაყიდად წაეღო ბაზარში. ადრე, მას იონასი ერიდებოდა, მაგრამ ახლა, დახლთან დგომასაც არ თაკილობდა.

მეზობლები მის საქმიანობაზე მხრებს იჩეჩავდნენ. ზოგჯერ შეახსენებდნენ კიდეც, ამდენი შრომა ნაადრევად მოგიღებს ბოლოსო, მაგრამ მათთვის პასუხი ყოველთვის ჰქონდა მზად.

სოფიკოსაც არ აწყენდა, საღამოობით ჭიშკართან, ძელსკამზე ჯდომა, გამვლელ-გამომვლელთა ჭვრეტა და აზრის გამოთქმა ჩაცმულობაზე, თუ უიღბლობაზე, თუმცა, მის უბედობაზე სხვებს ჰქონდათ ახლა ენა გაწაფული და წაღმა-უკუღმა აბრუნებდნენ ამ ამბავს, ვისაც როგორ მოეპრიანებოდა. მათ შორის არავინ ეგულებოდა ისეთი, ვინც მის ბედს გაიზიარებდა. ისინი ზერელე საქმიანობას და განსჯას იყვნენ მიჩვეული, მაგრამ როცა მასზე ლაპარაკობდნენ, არიქა, სოფიკომ არ მოჰკრას ყურიო, ამუნათებდნენ ერთმანეთს.

გოგონები ღირსეულ ადამიანებად იზრდებოდნენ. იონას ვარაუდი გამართლდა, ისინი სილამაზით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ ჰაეროვანი მიმოხვრა გამოჰყვათ, პირსალმიანები იყვნენ, მათ მიამიტურ სიქორფეში თავი ეჩინა ქალურ მომხიბვლელობას, რასაც ზოგჯერ დრო უხეშად თრგუნავს, მაგრამ მერე, დედობა, სანდომიანობას მიამადლებს ხოლმე.

ბიჭმა ტანი აიყარა. სახე დაეხვეწა, ოღონდ არაფრით არ ჰგავდა მამას. იონას გუჩინარებისთანავე ისეთი ჩვევები გამოამჟღავნა, რასაც არავინ ელოდა. თავისნათქვამა იყო. მთელი დღეები სადღაც დაყიალობდა. საეჭვო ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა. ხან ავტობუსების სადგურზე ხვდებოდნენ, ხან კიდევ, ვიღაც გადაბერებულ ქალებს აეკიდებოდა. სხვის ბოსტანში გადამძვრალ ბაცაცასავით ირჯებოდა. ირგვლივ უამრავი გოგონა ეხვია, მას კიდევ, ჩათქვირებულ, ფერუმარილით შეთითხნილ ქალებზე ეჭირა თვალი.

ხშირად, ნაცემ-ნაბეგვი მოადგებოდა სახლს, სოფიკო საყვედურობდა, იგი ყურსაც არ იბერტყავდა. გაოგნებული სახით მიეგდებოდა ტახტზე, ჭერს მიაბჯენდა მზერას და დუმდა. მისი უტიფრობით თავგაბეზრებულ გოგონებს არცკი აღირსებდა თვალის შევლებას, ჭიჭ-

ყინს რომ გააბამდნენ, ეზოში გაყრიდა მუქარით. ისინი დედას ამოეფარებოდნენ და მიჩუმდებოდნენ.

სოფიკო ხედავდა, რომ ვაჟიშვილი იონას საქციელს მძიმედ განიცდიდა. იგი სიტყვას არ იღებდა ამის თაობაზე, მაგრამ ქალი გუმანით ხვდებოდა ყველაფერს.

სოფიკოს გული წყდებოდა, იონამ უყოყმანოდ რომ ჰკრა ხელი. შეეძლო მოსვლა, ორიოდე სიტყვით ახსნა, რომ მათი გზები გაიყარა, ოღონდ გამბედაობა არ ეყო და უსაკო ყმაწვილივით გაეკიდა იმ ქალს.

ვაჟიშვილი არ აპატიებდა. მას მეზობლებმა ჩააწვეთეს, როცა თქვენს ეზოს მივადექით და დედაშენს ვუთხარით, ქერათმიანმა იონა ლამისაა გადარიოსო, იმის მაგივრად, რომ გაქცეულიყო და რაიმე ზომები მიეღო, ხელ-ფეხი ჩამოყარა, იმ ქალმა კი ამასობაში იონას თავიც კი დაავიწყაო.

...ყალბი, მაგრამ უცხო ღიმილით სახედაფერილი ქალი, დედოფალივით უჯდა მაგიდას. მხრებზე ხვეული, ქერა თმა ჩამოშლოდა, ცალი თვალით მოედანს გაჰყურებდა ისე, თითქოს ვინმეს ემშვიდობებოდაო.

ის ოხერი, მართლაც ლამაზი უნდა ყოფილიყო, — გაიფიქრებდა სოფიკო და ახსენდებოდა იონას წასვლის შემდეგ ერთი მეზობლის ნაამბობი: „მისთვის ყვავილებს კი არა, სულსაც არ დავიშურებდი"... — უთქვამს იონას მათ უბანში სტუმრად მყოფ ქალზე.

...ზის ის ქალი და ნიშნისმოგებით იღიმება. ფეხი-ფეხზე გადაუდვია, მაღლა ამართულ ხელში შავი ღვინოთი სავსე, დაცვარული მაღალი ჭიქა უჭირავს. დიდხანს უჭირავს ჭიქა, რადგან მოშიშვლებული, ხორცსავსე მკლავი ლურჯი კაბის ფონზე უზომოდ თეთრად ქათქათებს და თავგზას უბნევს კაცებს. მოსწონს ეს ქალს. დაე, გახელდეს ყველა ერთად, მერე დაერიონ ერთმანეთს და მძლეთამძლეს, ძღვნად შეიწირავს...

უჭირავს ჭიქა, რადგან ფანჯრებში ცნობისმოყვარენი იჭყიტებიან. დაე, უჭვრიტონ, დაიმახსოვრონ მისი თმის და თვალების ფერი, ტუჩების სიქორფე და გვერდზე, ზომაზე მეტად ჩაჭრილი ქვედაკაბიდან კალმახებივით მოსხმარტალე წვივთა ანაგება. დაიმახსოვრონ და უამბონ იონას ცოლს, რომ ქმრის დაბრუნების ყოველი მისი იმედი უნაყოფოა.

ზის სკამზე ფეხზე-ფეხგადადებული ქერათმიანი ქალი, მაღლა ამართულ ხელში შავი ღვინოთი სავსე, დაცვარული ჭიქა უჭირავს და ნიშნისმოგებით იღიმება...

ასეთი წარმოუდგებოდა ის ქალი სოფიკოს. ზოგჯერ ფიქრობდა, კარგი ვქენი, რომ მაშინ არ წავედი, თორემ იონას იმ ქალის თანდასწრებით შეურაცხყოფა რომ მოეყენებინა, თავს არ ვიცოცხლებდიო... ერჩია, არ გაეხსენებინა ქერათმიანი, მაგრამ რაღაც ჭირად, მისი სახე, მეზობლებმა რამდენჯერმე დაწვრილებით რომ აუწერეს, გონებიდან ვერ ამოიგდო.

გაუჭირდებოდა თუ არა, ეს სახე ამოტივტივდებოდა საიდანღაც. საყვედურობდა, რა გაღიმებსო. ქალი ღიმილს განაგრძობდა. სხვანაირი ვერც წარმოედგინა იგი სოფიკოს. მეზობლებმა ხომ ქერათმიანი ასეთი ნახეს და ასე დაუსურათხატეს.

როცა ულხინდა, არც მაშინ ანებებდა ქერათმიანი თავს. ქალი თითქოს იმ შავი ღვინოთი სავსე ჭიქით უერთდებოდა მის სიხარულს, და თანდათან, ქერათმიანის წარმოსახვას ისე მიეჩვია, ზოგჯერ იონას სახესაც ჩრდილავდა კიდეც...

დამამშვიდებელი და დამაიმედებელი, თითქოს არაფერი ჩანდა მის ყოფაში, მაგრამ საკმარისი იყო ყური მოეკრა, ვიღაც ქალი ქმარს მიუტოვებია და სხვას გაჰკიდებიაო, უმალვე იკითხავდა, ვისაც გაეკიდნენ, ლამაზი თუ იყოო, და როცა დაუდასტურებდნენ, გულის სიღრმეში იონას საქციელის გამართლებას ცდილობდა, ულვთოდ ლამაზ ქალს გადაეყარა და რა ექნაო.

დრო გადიოდა. შვილები იზრდებოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ. სოფიკოს საზრუნავი ემატებოდა. ვაჟიშვილს სწორედ დროზე მოუსწრო ჯარში გაწვევამ. მანამდე დღე არ გავიდოდა, ვინმე არ ეცემა, რამე არ ჩაედინა და საჩივრით არ მიემართათ მისთვის. ქალი თავქუდმოგლეჯით გარბოდა ვილაცასთან პატიების სათხოვნელად, მერე მეზობლებთან, რომ უმამო ბიჭისთვის ჭკუა დაერიგებინათ, შუამდგომლობა გაეწიათ დაზარალებულთან. ბიჭი ამას ისე იღებდა, თითქოს ყველა დავალებული ყოფილიყო მისგან. თვით დედა კი იმისთვის გაჩენილიყო, რომ მის მიერ შეურაცხყოფილი ხალხის ხელ-ფეხი ეკოცნა.

„სწორედ დროზე გაიწვიეს ჯარში“, — ფიქრობდა სოფიკო და იონა ახსენდებოდა უნებურად. ექვსი წელი იყო, რაც იგი გაქრა და რაიმე ცნობაც კი არ ღირსებია მისგან, ისე, გრძნობდა, რომ ცოცხალი იყო. ქალები დღენიადაგ ჩასჩიჩინებდნენ, ძებნა გამოაცხადე, უჩივლე ბავშვები რომ შეგატოვა და სადღაც გადაიხვეწა, მაგრამ მათ ლაპარაკს უყურადღებოდ ტოვებდა. ის კი არა, იგი იონას ამართლებდა ყველასთან. არ ყოფილა შემთხვევა, საყვედური რომ წამოსცდენოდა მასზე და სხვასაც არ აპატიებდა ამას, მხოლოდ, ეს იყო, იმ გულგრილობის საზღვრის დადგენის სურვილი არ ასვენებდა, რაც იონამ შვილების და ოჯახის მიმართ გამოავლინა. იგი ერთხელაც არ დაინტერესებულა მათი ბედით. რომ დაინტერესებულიყო, მაშინვე შეიტყობდნენ, მათ ქალაქში ხომ იშვიათად იმალებოდა ასეთი რამ.

იონას წასვლის შემდეგ, სოფიკოს რიგიანად არ შეუვლია ცისთვის თვალი, ვარსკვლავთა ციმციმი მისთვის სიბნელის ჩამოდგომის ნიშანი იყო მხოლოდ. მაშინ იგი ხელ-პირის დასაბანად მიემართებოდა, ვახშმობდა, მერე ჯდებოდა და ყვავილების კონებს კრავდა.

ზოგჯერ ფიქრობდა, თუ ეს სასჯელია, რაღა მაინცდამაინც ჩემთვის გამოიმეტა ღმერთმა ყველა ის ტვირთი, რისი ზიდვაც მიხდებაო, მაგრამ გოგონების ნათელ სახეს და სიმწიფეში შესულ მიმოხვრას რომ მოჰკრავდა თვალს, ვარსკვლავები მიწაზე ენთებოდნენ მისთვის. თვითონაც გაუბრწყინდებოდა სახე, აჰყვებოდა მათ გულუბრყვილო ხუმრობას, მიესიყვარულებოდა და ვაჟიშვილთან გაუხარჯავ ალერსს უწილადებდა.

მათი სიახლოვე დარდს უქარვებდა ქალს. ზოგჯერ, ხმამაღლა წამოსცდებოდა ესა თუ ის ფიქრი. ქალიშვილები მხარს აუბამდნენ, იმედს უსახავდნენ და ამშვიდებდნენ. სოფიკო სხვის დასანახად, სიხარულის რაიმე ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა, რადგან, ქვეყნის თვალწინ რომ ველოლიავებოდი იონას, სწორედ იმან დამღუპაო, ფიქრობდა ხოლმე. მას ცოტა ავი თვალისაც სჯეროდა და ამას აბრალებდა ქმრის გადაკარგვას.

ვაჟიშვილი ჯარში რომ გაიწვიეს, დაუსრულებლად თხოვდა, მოეძებნა მამა. სოფიკომ იგი დააიმედა, მაგრამ თითიც არ გაუნძრევია შეესრულებინა მისი ხვეწნა. მორჩილების ფასი იცოდა ქალმა, ოღონდ ამას ვერ შეასრულებდა. თავის დროზე ხომ დასაჯა იონამ, ახლა, შვილი უმატებდა ტვირთს. შვილს სურდა, დედას უკან დაებრუნებია იონა, მუხლი მოედრიკა მისთვის და დაებრუნებინა. სულაც არ უნდოდა იმის გაგება, თუ რა განცდის ფასად დაუჯდებოდა ეს ნაბიჯი ქალს. მისთვის მთავარი იყო, სახლში ყოფილიყო ოჯახის მამა.

გაურკვეველი გრძნობების ტყვეობაში გაატარა სოფიკომ შვილის ჯარში სამსახურის სამი წელი. იგი ყოველ წერილში გადაუდებელ მოქმედებას მოითხოვდა. სოფიკოს არ მოუტყუებია, არ მიუწერია, ვითომ ვეძებ, აი, ახლა ვეწევი საწადელს, ან ახლაო, მაგრამ იმასაც ვერ უმხელდა, რომ ამას ვერ შესძლებდა.

ამასობაში უფროსმა ქალიშვილმა დაამთავრა სკოლა და ქალაქის ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა. სოფიკო ყოველ დილით სახლის კარამდე მიაცი-

ლებდა მას, რაღაცას უსწორებდა, რაღაცას უწმენდდა. ქალიშვილი სიცილს ვერ იკავებდა, კარგი, გეყოფაო, გაიძახოდა ხმამაღლა, მაგრამ სადღაც სიამოვნებდა მაინც, დედა ასე რომ ზრუნავდა მასზე. ქალიშვილი კარს გაიხურავდა. სოფიკო ფანჯარას მიადგებოდა და თვალს არ აცილებდა, სანამ ქუჩას არ მიეფარებოდა იგი. და აი, აქ ჩასწვდა, რომ რაღაც მონური ბუნების გამო როდი დასტრიალებდა თურმე მაშინ იონას, როგორც ეგონათ მეზობლის ქალებს, უბრალოდ, მფარველობის გაწევის ქალური ინსტიქტი ამოძრავებდა და ეს, ყველასთვის გაუგებარი რჩებოდა.

სოფიკო ასეთივე მზრუნველობით შეეგებებოდა ვაჟიშვილს, მეორე ქალიშვილს, სხვებსაც კიდევ, რომ ჰყოლოდა — გააცილებდა, თავზე შემოევლებოდა, დღე და ღამეს გაასწორებდა მათთვის და ეს იქნებოდა ისეთივე ბუნებრივი, როგორც მზის ამოსვლა, შუადღის დადგომა, ან პურის დამწიფება.

ვაჟიშვილმა ეს თავიდან უარჰყო, და არც ჯარიდან ჩამოსვლის შემდეგ ჩაუთვლია საჭიროდ. თუ ჯარში წასვლამდე იგი ჯიუტი და დაუდეგარი ბიჭი იყო, ახლა უმოქმედო და ბუზღუნა კაცი დამდგარიყო. სრულიად უმნიშვნელო რამის გადაწყვეტისთვის იმდენ ხანს ითრევდა ფეხს, რომ ყოველი საქმე ეფუშებოდა. ერთთავად ვინმეს მითითებას ელოდა, როგორც ჯარში, სადაც მასასთან იყო გათქვეფილი, მის მაგივრად სხვა ფიქრობდა, ხოლო იგი ბრძანების მორჩილი შემსრულებელი იყო. მას ინიციატივა დაეკარგა. სოფიკოს, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლო ზემდეგობაც გაეწია შვილთან, მაგრამ იგი ქალის სამოქალაქო უფლებებს არ სცნობდა., იჯდა და ჭერს აშტერდებოდა, ან ხალისით მობაასე დებს უსმენდა, და თუ ისინი ადრე შეხედვის ღირსადაც არ მიაჩნდა, ახლა ყოველ მათ მოძრაობას ყურადღებით ადევნებდა თვალს.

ქალიშვილებს სიხარული შემოჰქონდათ სახლში. დედას მათ დანახვაზე ერთიანად უნათდებოდა დანაოჭებული, მუშტისოდენა სახე, მაგრამ საკმარისი იყო ვაჟიშვილთან ერთად დარჩენილიყო და სევდა ერეოდა.

იგი დიდხანს აკვირდებოდა დედას და სიტყვას არ სძრავდა. გაოცება იპყრობდა თანდათან. „რა ხდება, რატომ იბნევა იგი ჩემთან?“ — ფიქრობდა და შემთხვევას ეძებდა, რომ ეს გაუგებრობა გაერკვია.

სათქმელი დღითი-დღე მწიფდებოდა მასში. ერთ დღეს გადაწყვიტა, გამოლაპარაკებოდა დედას, გაეგო რა უჭირდა, და საერთოდ, დაერღვია მათ შორის ჩამოვარდნილი დუმილი.

იმ დღეს, სოფიკო ღუმელთან იდგა და საქმიანობდა. შვილის ფეხის ხმა რომ მოესმა, შებრუნდა მისკენ. ქალს ცარიელი ქვაბი ეჭირა ხელში. დამნაშავესავით გაუღიმა შვილს და ნაბიჯი წადგა მისკენ. შვილს წინასწარ მოფიქრებული სათქმელის წამოწყება უნდოდა. მერე, გულითად საუბარზე აპირებდა გადასვლას, მაგრამ საკმარისი იყო ხმა ამოეღო და გახევდა.

ქალი ხის თოჯინასავით იყო ერთ ხანად გაშეშებული. როდის, როდის ძლივს მოერია თავს. ქვაბი, რომელიც გულზე მიეკრა, მაგიდაზე ჩამოდო, სკამზე ჩამოჯდა და შეუპოვრად ახედა შვილს.

— რატომ დამტოვა? იგი ჩემზე თვალადი რომ იყო, ამის გამო ალბათ! — თქვა ქალმა.

— ვერ დავიჯერებ, — ისევ წამოსცდა ვაჟიშვილს.

— მაინც რას.

— რომ ნამდვილად ასე იყო, — თქვა შვილმა გაუბედავად.

— მიამიტური აზრები გქონია ჯერ კიდევ, — ღიმილით თქვა სოფიკომ.

შემთხვევით, შვილის თვალებზე მოუხვდა მზერა. იგი ალმაცერად შეჰყურებდა. ქალს სული შეუგუბდა. — თითქოს იონას გამოეხედოსო. მან ასეთი ცქერა იცოდა, როცა ჩიხში მოექცეოდა. საოცარი იყო, წლების მანძილზე როგორ ვერ ამჩნევდა მასში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამის მსგავსების რაიმე კვალს და რა მოულოდნელად აღმოაჩინა ეს.

წამოდგა, მიუახლოვდა და ხელი გადაუსვა თავზე. მისი თბილი, დაშაშრული ხელის შეხებაზე, გააჟრჟოლა შვილს. დიდი ხანი იყო, რაც დედას მის მიმართ ასეთი გულჩვილობა არ გამოეჩინა და ეხამუშა, რადგან ალერსს ისევე თანდათანობით უნდა შესჩვეოდა, როგორც უკარებლობას.

ქალი შეტრიალდა და ეზოში გავიდა. ვაჟიშვილი ხედავდა, როგორი გაბრწყინებული სახით იჯდა დედა ყვავილნარში, როგორ ამოიღო ხალათის ჯიბიდან სიგარეტი და მოუკიდა. შვილი გაოცდა. მერე ყურადღებით დააკვირდა და მიხვდა, რომ დედისთვის ეს პირველი არ იყო. იგი მის ნამალევად ეწეოდა ალბათ მარტოობის ჟამს, როცა მის გვერდით არავინ იდგა და ათასი გასაჭირის მოგერიება უხდებოდა... და გული დასწყდა, აქამდე ასე ზერელედ რომ ეპყრობოდა. შვილს უმალვე გადაავიწყდა გაოცება. ეზოში გავიდა და გვერდით მიუჯდა.

ასე ისხდნენ ისინი აყვავებული მაგნოლიის ქვეშ დიდი ხნის წინათ. მაშინ ყველანი ერთად იყვნენ. ბიჭი ყოველთვის ამჩნევდა მამის ჩაციებულ მზერას. მას არასოდეს არ წამოსცდენია, მაგრამ ხვდებოდა, მამა მასში მსგავსების პოვნას ცდილობდა და მწვავედ განიცდიდა, ვის ჰგავს ეს ბიჭიო, რომ იკითხავდა ვინმე.

ბიჭი საათობით იდგა ხოლმე სარკის წინ და საკუთარ, მოუხეშავ გამოსახულებას აკვირდებოდა. ოცნებობდა, იონასავით სწორი, ვაჟკაცური სახე ჰქონოდა. მასავით წელში გამოკვალთული პიჯაკი სცმოდა, ქუჩაში მიმავალთ, ალტაცებით ეცქირათ და როცა ღამის სიმყუდროვეში მათ ირგვლივ მაგნოლიის ყვავილების მძაფრი სურნელება ირეოდა, არ იცოდა სად დამალვოდა მის მზერას. შიშობდა, ვაითუ მოლოდინი ვერ გავუმართლე და შემიძულოს კიდევაცო. იგი ცდილობდა, რაიმე მოქმედებით მაინც მოეპოვებინა მისი კეთილგანწყობა, მაგრამ [illegible]ჭირად, ყველაფერი უკუღმა გამოსდიოდა და გრძნობდა, რომ მამა ისე უყურებდა, როგორც სიცარიელეს და ამტყუნებდა. ხომ ჰქონდა დიდი სურვილი, რამით მაინც მსგავსებოდა, ყოფილიყო მასავით ზრდილი, ჰქონოდა მასავით ბოხი, გულისშემძვრელი ხმა და რა მისი ბრალი იყო, თუ ეს არ ძალუძდა.

მერე და მერე, აღიზიანებდა კიდეც მისი ყურადღება. ცდილობდა თავისი არსებობა არც გაეცხადებინა. გოგონების კისკისზე, თავს იკავებდა, რადგან მათ რომ აჰყოლოდა, ბრაზით გადახედავდა იონა, წამოდგებოდა და მაგნოლიის ხიდან ჭიშკრამდე მოჰყვებოდა ბოლთის ცემას.

მისი გაქრობის შემდეგ ხე რომ ხმებოდა, უხაროდა კიდეც. ამ ხის ქვეშ ბევრი სიმწარე ეწვნია. დედამ მისი გადაჭრა გადაწყვიტა და მთელი არსებით ელოდა, როგორც მისი დამცირების ერთ-ერთი მოწმის მოსპობას, მაგრამ ქალმა ხეს ხელი არ ახლო. ვინ არ ურჩევდა, ეზოს ნუ ამახინჯებთო. ვერა და ვერ შეელია მას სოფიკო.

მერე, რომ წამოიზარდა, უზომოდ ემადლიერებოდა დედას. დროთა მანძილზე, ხეს ხავსი მოედო. დაჩიავდა თითქოს, მაგრამ მათ ეზოს ისე შეეწყა, უიმისობა ვერც წარმოედგინათ. ერთმა მეზობელმა თქვა, სიმახინჯეს ასე, თანდათანობით ეჩვევიანო. ამ შემთხვევაში იგი მართალი არ იყო. მაგნოლიის ხეს იერი მაინც შერჩა. იგი ჭრილობამოშუშებული გოლიათივით იდგა მშვიდად და ერთხელ კიდევ, მთლიანად შეფოთვლისა და აყვავების იმედს უსახავდა მას.

დედა-შვილს ქალიშვილებიც შემოუერთდნენ. ისხდნენ და ღელის რაკრაკს უგდებდნენ ყურს. უთქმელად გადასცემდნენ ერთმანეთს ნაფიქრალს და დიდი ხნის ნანატრი სიმშვიდე, რომელიც მათ ჭერქვეშ დაბრუნებულიყო, გულს უვსებდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მთელი ღამე უძილოდ გაატარა სოფიკომ. მისი მოუსვენრობა ვაჟიშვილის სმენასაც მისწვდა, რამდენიმეჯერ წამოდგა და დაჯდა. ქალი მის შეშფოთებას ერიდებოდა. როგორც კი მიუახლოვდებოდა, თავს იმძინარებდა. შემდეგ, დაჭიმულად იწვა და სუნთქვას იკავებდა. ვაჟიშვილი ფანჯარასთან იდგა და სიგარეტს ეწეოდა. ქალს ესმოდა როგორ ფათურობდა იგი ოთახში, მერე, საწოლის ჭრიალს მოჰკრავდა ყურს და სახლი სიჩუმეში იძირებოდა.

გათენებას ელოდა ქალი, მაგრამ დრო გაიწელა თითქოს და ადგილიდან არ იძვროდა. უცნაური ფიქრები აეკვიატა. ერთს მეორე მოსდევდა, მეორეს — მესამე და მათ ტყვეობას ვერაფრით ვერ დააღწია თავი.

როგორც იყო, ფანჯრებში ცისკრის ნათელმა იელვა. წამოდგა, ლოგინი მიალაგა და ეზოში გავიდა. ონკანისკენ მიმავალს, მაგნოლიის ხისკენ გაექცა მზერა. იმ ადგილზე, სადაც ადრე წრიული მერხი ჰქონდათ გამართული და შემდეგ მოშალეს, კუნძზე მჯდომი კაცის სილუეტს მოჰკრა თვალი. მომეჩვენაო, იფიქრა ერთწამს და გზა განაგრძო, მაგრამ ერთბაშად, შედგა და ისევ მიიხედა. სილუეტი შეირხა. სოფიკო მერხზე მჯდომს დააკვირდა. ამ დილაადრიან ნეტა რამ შეაწუხაო, გაიფიქრა და გამომცნაურება დააპირა. კუნძზე მჯდომმა წამოიწია და შემობრუნდა მისკენ. ქალი გაირინდა. შემდეგ დაიძრა, მაგრამ მუხლები არ ემორჩილებოდა, როგორც იყო ძლივს გაჰლია გზა და ხის ქვეშ მჯდომს მიუახლოვდა.

იონა იყო. ოღონდ მის ლანდს ჰგავდა უფრო. გრუზა თმა ერთიანად გასცვენოდა. სახე გასცრეცოდა და დანაოჭებოდა. ხაკისფერი ქურთუკი ეცვა. ცდილიყო კოხტა იერი ჰქონოდა, მაგრამ საცოდავად გამოიყურებოდა ამ ტანზე შემოტკეცილ ტანსაცმელში, რადგან მოშვებულიყო და ხალვათი და დარბაისლური რამ უფრო მოუხდებოდა.

სოფიკო ქალური გუმანით გრძნობდა, რომ იგი ოდესმე მაინც დაბრუნდებოდა. წარმოიდგენდა ხოლმე მის შემოსვლას ეზოში, თავს შემოევლებოდა, უჩვენებდა სახლის ყოველ კუნჭულს, დაატარებდა ყველგან და დაუსრულებლად მოუყვებოდა გადატანილ დღეებზე. კაცი მადლიერების გრძნობით მოუსმენდა და დაუკოცნიდა ხელებს... და ელდა ეცა, მასთან ასეთი გაუთვალისწინებელი შეხვედრა რომ ჰქონდა.

იონამ ნაბიჯი გადადგა მისკენ და ხელი გაუწოდა. სოფიკო არ შერხეულა. კაცს კარგა ხანს ჰქონდა ხელი გაწვდილი, შემდეგ, დაუშვა და შეიშმუშნა.

— როგორ გამხმარა! — თქვა გულდაწყვეტით და ხეზე ისე მიუთითა, თითქოს ერთი საათის წინ გასულიყო სახლიდან და შემობრუნებული გაწყვეტილ საუბარს აგრძელებდა.

ხმაში ხრინწი შეჰპაროდა. რაღაცნაირი, ბუზღუნა გამხდარიყო. მოძრაობაც უნდილი ჰქონდა. იგი შორი გზიდან ფეხით მომავალ, დაქანცულ, და ერთი წუთით სულის მოსათქმელად შემოხეტებულ მგზავრს ჰგავდა. უცხო კაცი ვერც მიხვდებოდა, რომ საკუთარ ეზოში, ცოლის წინ იდგა მრავალი წლის განშორების შემდეგ. არც სინანულის ნასახი ეტყობოდა და არც სიხარულის. თავის სათქმელს მორჩა, დაეშვა კუნძზე და სიგარეტის წევა განაგრძო, მარცხენა ხელში რომ სჭეროდა, და მანამდე არც შეუმჩნევია ქალს. ისე ეწეოდა, გეგონებოდა ამისთვის შემოსულა ეზოში და თუ მას მთელ სულსა და გულს არ ჩაატანდა, სხვანაირად არც შეეძლო. ქალი იდგა და დაჰყურებდა. ცივი ჟრუანტელი უვლიდა მთელ ტანში, რადგან კაცი ისე შეცვლილიყო, წარსულის ნასახიც არ შერჩენოდა. სადღაც გამქრალიყო მისი თავაზიანობა და შესაშური თავდაჭერა. იგი ერთ ვიგინდარას აგონებდა სოფიკოს, მათი ქუჩის თავში წყლით რომ ვაჭრობდა. ისიც ასე სულმოუთქმელად ეწეოდა თამბაქოს და სულ ერთი იყო მისთვის, ქალს უსხამდა წყალს, თუ ქვეყნის მას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარა პარმენას, რომელიც ხალხის შესაქცევად აბრახუნებდა დოლს და ზედ არავინ უყურებდა.

იონამ სიგარეტის ნამწვი დააგდო და ფეხსაცმლის წვერით გასრისა. ქურთუკის ჯიბიდან კოლოფი ამოიღო. იგი ცარიელი აღმოჩნდა. დაჭმუჭნა და გაგულისებით მოისროლა. სოფიკომ მის ახცახებულ ხელებს შეავლო თვალი. გულგრილობა, რომელიც გარესაფრად მოემარჯვებინა, ხანმოკლე გამოდგა. მან ქვემოდან ამოხედა ქალს. თვალებში ზღვა შიში ედგა. თუმცა, ეს უნებისყოფო კაცის მუდარასაც ჰგავდა, რომლის ბედი მის წინ მდგომის ერთ სიტყვაზე იყო დამოკიდებული. ქალმა სახე მოარიდა და სახლისკენ მიიხედა. კარებში ხუთიოდე წლის ოქროსფერთმიანი ბიჭი იდგა. მუშტი მოეღერებინა და მათ შესცქეროდა.

— ნანა, ვინ არის ეს ბერიკაცი?! — მუქარით იკითხა პატარამ.

უკან მიიხედა სოფიკომ, დააკვირდა იონას და გაოცდა. ის, მართლაც მოხუცი იყო, ჩვეულებრივი მოხუცი და როგორ შეცდა, მასში ახალგაზრდულ მიმოხვრას და ნაკვთებს რომ ეძებდა, მაგრამ ეს, უნებლიეთ მოუვიდა.

თვითონ წლები რომ ემატებოდა, ჭაღარავდებოდა და თვალის ჩინი აკლდებოდა, არასოდეს უფიქრია, იონაც ასევე რომ შედიოდა ასაკში. იგი მის ხსოვნაში ახოვან, გრუზათმიან ახალგაზრდა კაცად რჩებოდა, საითკენაც მიიწევდა განუწყვეტლად და ლამაზი ქალების გულს იპყრობდა.

მოვიდა. თან მოიტანა გაფლანგული ახალგაზრდობის ნამუსრევი. იგი არც თავშესაფარს ითხოვს, არც ვინმეს მხარდაჭერას. თავისი სურვილით წავიდა აქედან და დაბრუნების უფლებაც თვითონ დაიტოვა. იგი კაცია და კაცს ყველაფერი მიეტევება. ქალი ხომ არაა, ცხვირწინ მივუხუროთ კარი და გავაგდოთ. ის კი არა, უნდა გველოცა, ერთხელ მაინც დაეხედა ჩვენთვის და როგორ დიდსულოვნებას იჩენს, თავისით რომ გვეწვია. ახლა ამას უნდა ელოლიავო, ამის სიტყვას არ უნდა გად[illegible], რადგან იგი ოჯახის უფროსად იწოდება... მაგრამ, თუ ასეთი უფროსია, სად იყო აქამდის?... — ფიქრობდა სოფიკო.

ქალის ფიქრებს ჩასწვდა იონა. სინანულის ღიმი გაუკრთა სახეზე და თავი ჩაქინდრა. ბიჭი პასუხს ითხოვდა. მერე იგი უფრო ხმამაღლა იკითხავდა მოხუცის ვინაობას და უყურადღებობას, თავისებურად ახსნიდა.

— ბაბუაშენია. — თქვა ქალმა.

— მოგზაური ბაბუა დაბრუნებულა, დაბრუნებულა! — ყვირილით შევარდა ბიჭი სახლში. მის ხმაზე ოთახში ამოძრავდნენ. მერე ფანჯრები გაიღო ხმაურით და მამაკაცისა და ქალის ნამძინარევი სახეები გამოჩნდა. კაცმა სოფიკოს შეავლო თვალი, შემდეგ კუნძზე მჯდომ მოხუცს, ერთი წუთით გაუჩინარდა, კარებში გამოჩნდა და შიშველი ფეხების ტყაპუნით გაემართა ნახევრადგამხმარი მაგნოლიის ხისკენ.

— გამარჯობა მამა! — შორიდანვე მიესალმა იგი.

— ვაჟა?!.. — გაუბედავად თქვა იონამ, ცოტა ხნით შეყოვნდა. მერე, წამოიწია და შეეგება შვილს.

* * *

მთელი დღე ხალხის ტევა არ იყო ეზოში. განსაკუთრებით ახალგაზრდები მოიწევდნენ, რომლებსაც არასოდეს ენახათ იონა. მათ მხოლოდ გადმოცემებით გაეგოთ მისი გაუჩინარების ამბავი და ერთი სული ჰქონდათ, შეეხედათ მისთვის, მაგრამ საკმარისი იყო ამ მოსაწყენი გარეგნობის კაცის გვერდით ხუთი წუთი მაინც დაეყოთ და უკვე, გასაქცევად ეჭირათ თვალი, რადგან მშობლებისა და მეზობლების გაზვიადებული წარმოდგენები სინამდვილეს არ შეეფარდებოდა.

იონა გმირად მხოლოდ თავის ძველ ნაცნობებში დარჩა. ზოგს შურდა კიდეც, ცხოვრება თავის ნებაზე გაატარა და ოჯახმა ისე მიიღო, ვითომც ასე ყოფილიყო საჭირო.

ხან რას ეკითხებოდნენ და ხან რას.

იონა ყველაფერზე მწირ პასუხს იძლეოდა. უკვირდათ, ასეთ თავშეკავებას რომ ინარჩუნებდა. მისი წარსულის მქონე სხვა მამაკაცი ბაქიბუქით აიკლებდა ქვეყანას, ის კი იჯდა და მოკრძალებით უსმენდა სხვებს, რა შეიცვალა მისი არყოფნის მანძილზე ქალაქში, როგორ გაიზარდა იგი, ვინ დააკლდათ, ან შეემატათ, ვის გაუმართლა ცხოვრებამ, ვის მოეცარა ხელი და მათი სიტყვების მიხედვით ეცვლებოდა განწყობილება. ხან თანაგრძნობას უწევდა ვიღაცას, ხან კიდევ, სიხარულის ნიშნად იღიმებოდა.

ერთხელ, ქერათმიან ქალზეც ჩამოუგდეს სიტყვა. იონა მასზე დუმდა და ეს საჩოთირო კითხვა არ გამეორებულა.

ერთმანეთს ცვლიდა ხალხი. შინ მოსვლას ულოცავდნენ. გეგონებოდა, ომიდან დაბრუნებულა და ცოცხალს რომ ხედავდნენ, ეს ახარებდათო. საუბრობდნენ გაუთავებლად. მოწიწებით ეპყრობოდნენ მას, მაგრამ თვით იონა უყურადღებოდ იქცეოდა.

იგი ღრმა წუხილს შეეპყრო. სოფიკოს ერთხელაც არ გამოუხედავს მთელი დღის მანძილზე ეზოში. არც რძალი ანებივრებდა მაინცდამაინც ყურადღებით. დაბნეული სახე ჰქონდა. მის ხმას ყურს რომ მოჰკრავდა, უცნაურად აიმრიზებოდა ხოლმე. იონასაც არ მოსდიოდა იგი თვალში, მაგრამ ხელათვე შეურიგდა იმ აზრს, რომ რანაირ თმააბურძგნულსაც არ უნდა ევლო ეზოში უშველებელი ფლოსტების ფრატუნით და რაც არ უნდა მოემოქმედა, არაფრით არ გაემჟღავნებინა საკუთარი განწყობილება. ამას მისი აზრით მოევლებოდა, მაგრამ სოფიკო?..

ვაჟა რომ მამასთან მივიდა და თბილად შეხვდა, სოფიკო შეტრიალდა, ეზოს ბოლოსკენ გაემართა და შემდეგ არ გამოჩენილა. იონა მთელი დღის მანძილზე გრძნობდა ქალის მსუსხავ მზერას, ოღონდ ეს იყო, ვერაფრით ვერ მოიხელთა, საიდან უთვალთვალებდა იგი.

სახლს გარეგნულად დიდი ცვლილება არ ეტყობოდა. ეს იყო, ხელახლა გადაეხურათ და შეელესათ. ოთახები ავეჯით იყო გადატვირთული. აქედან წასვლისას, ერთი განჯინა, რამდენიმე ხის სკამი, ტახტი, მაგიდა, რკინის საწოლები და სარკე დატოვა. სახლი ეუცხოვა. ეხამუშებოდა ყველაფერზე გადაკრული შალითები. პატარა, ოქროსფერთმიანმა ბიჭმა გალაქულ მაგიდას თითი რომ გადაუსვა, დედამისმა შეიცხადა, ნათითარი დაეტყობაო, შალის ნაჭრით აპრიალებდა დიდ ხანს მაგიდის ზედაპირს, მერე, ფერადი ტილო გადააფარა.

რძალმა ეზოში მოართვა დღისით სადილი. ყველაფერი ხელმომჭირნედ გამოუტანა და მეზობლებს, რომლებიც მის ირგვლივ ისხდნენ, იქედან თითო ლუკმა თუ შეხვდათ. მას სითამამე არ ეყო, პურის შემომატება ეთხოვა რძლისთვის. იმაზეც ემადლიერებოდა, რაც გაიმეტა, მაგრამ ეს მაშინ იყო, ახლა კი, როცა ვაჟას თანდასწრებით მისხალ-მისხლობით გადაუღო კერძი, სიფრთხილე დაავიწყდა. მის გულში ბრაზმა იფეთქა. ვაჟას მისი მღელვარება არ გამოპარვია. მამისთვის გაწვდილი თეფში თვითონ გამოართვა ცოლს. ქალს არაფერი უთქვამს. აკვესებული თვალებით გადახედა იონას. მიტრიალდა და ფლოსტების ფრატუნით გავიდა ოთახიდან.

ოქროსფერთმიანი ბიჭი იონას ეჯდა კალთაში. ცმუკავდა, წვერს უწიწკნიდა. იონა ეფერებოდა, ზღაპრებს უამბობდა. ბავშვი ხმამაღლა იცინოდა. მისი უფროსი ძმები მაგიდის მეორე კუთხეში ისხდნენ და თვალს არ აცილებდნენ ბაბუას. მოხუცი მათ ცნობისმოყვარე მზერას რომ გადაეყრებოდა, იბნეოდა. რამდენიმეჯერ სცადა მათთან გამოლაპარაკება, მაგრამ ისინი განგებ არიდებდნენ თავს. ერთი შვიდი წლის იქნებოდა, მეორე ცხრის. უფროსი, ვაჟას ბავშვობიდან გამოცხადებულს ჰგავდა. მასაც ისეთივე დაფანჩული წარბები ჰქონდა, ძვალმსხვილი იყო და ერთთავად დუმდა. შუათანა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმცროსი ერთმანეთს ჩამოჰგავდნენ, ოღონდ ეს იყო, შუათანა უფროს ძმას ბაძავდა ყველაფერში. გამომცდელად ათვალიერებდა, მერე უფროს ძმას ისეთი გამომეტყველებით გადახედავდა, თითქოს იონაზე საგულისხმო რამ შეეტყო და ამისი მინიშნება უნდოდაო. მოხუცი ხედავდა, რომ ისინი დედის განწყობილებას აჰყოლოდნენ და ვაჟას თანდასწრებით ვერ ბედავდნენ, თორემ აგრძნობინებდნენ კიდევაც, ჩვენთვის უცხო ხარო.

თმააწეწილმა ქალმა ფლოსტების ფრატუნით გადმოჭრა ოთახი, უფროს ბიჭებს გადახედა. ისინი მორჩილად წამოდგნენ და გავიდნენ. ქალმა ხელი ჩაავლო გაჯიუტებულ უმცროსს, მეორე ოთახში გაიყვანა და ტუქსვა დაუწყო. იონა უხერხულად შეიშმუშნა.

— იო, მოდი აქ! — დაიძახა ვაჟამ.

პასუხი არ ისმოდა.

— იო, მოდი მეთქი! — გაიმეორა ვაჟამ.

ბიჭი ტირილით. გამოიქცა მამისკენ. ქალი ნირწამხდარი იდგა კარებში.

— გამოუშვი, უნდა დავაძინო! — მოგუდული ხმით თქვა ქალმა.

— შენ მგონი ვერ ხარ გუნებაზე. რაშია საქმე? — ჰკითხა ვაჟამ და გამომცდელად აათვალიერა.

ქალი დუმდა. იონას თავი ჩაექინდრა. აცახცახებული ხელებით მაგიდის გადასაფარებლის ფოჩებს წიწკნიდა. ერთი პირობა ადგომა და წასვლა დააპირა, მაგრამ ძალა არ ეყო.

სანამ დაბრუნდებოდა, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, როგორაც არ უნდა შეხვედროდნენ, რანაირადაც არ მოპყრობოდნენ, ყველაფერი აეტანა და შეჰგუებოდა. ეს იყო მისი სასჯელი ცთუნების აყოლისათვის. იჯდა ახლა და სიმწრის ოფლში ცურავდა, რადგან რძლის გამოხდომებზე უხდებოდა თვალის დახუჭვა.

— სადაა დედა? — იკითხა ვაჟამ.

— თავის ოთახში. მთელი დღე გარეთ არ გამოსულა, — თქვა ქალმა.

„აი, საიდან მიყურებდა თურმე სოფიკო. სტუმრებს ბოლო რომ [illegible]ნდათ, ბრაზდებოდა ალბათ. ბუნებრივია, აინტერესებს სად ვიყავი, რა ბედს ვეწიე ამ ოცდახუთი წლის მანძილზე. ალბათ იმისი გაგებაც სურს, რად დავბრუნდი უკან, მიმატოვეს, თუ თვით მე გამომიწია აქეთ გულმა. მას ამისი შეტყობის უფლება აქვს და უფრო მეტისაც. ღმერთო! მკითხავდეს და მალე მოვრჩებოდა სათქმელს“...

— არ ივახშმებს?

— არაო.

„ამიტომ იყო რძალი მთელი დღე ამრეზილი. დედამთილის მიერ ათვალწუნებული კაცი არც მას ეჭაშნიკება ალბათ და ცდილობს როგორმე დაფაროს, ეს, მაგრამ გამოუცდელობის გამო ვერ ახერხებს“.

— მაშინ ლოგინი გაუშალე მამას, — უხერხულობას ძლივს დააღწია თავი ვაჟამ.

— უკანა ოთახში?

— იქ ჩვენ გადავალთ. წინა ოთახში.

ქალს მათკენ არც გაუხედავს, უსიტყვოდ შეასრულა ქმრის ნათქვამი, მერე კარგახანს დააფრატუნებდა თავის ფლოსტებს, სუფრა აალაგა, იონას კალთაში ჩაძინებული ბიჭი წაიყვანა და დააწვინა.

ვაჟა და იონა მარტო უსხდნენ მაგიდას. იონა შვილის სიტყვას ელოდა, რამეს მკითხავს, გამამხნევებს, ან სულაც თავის ამბავს მოჰყვებაო. ვაჟა დუმდა.

მას სულ სხვა ადამიანი ეჯდა წინ. ის კი არა, ათასჯერ ნალოლიავები და ნაოცნებარი სახე რომ ჰქონდა, ვის ჯიბრზეც, საოცარ კაცად გახდომას ლამობდა. სანამ მოზარდი იყო, კუნთებს ისინჯავდა სარკის წინ და საკუთარ გამოსახლეობას მუშტს ულერებდა, თითქოს უბნის ყველაზე ხელაღებული ჩხუბისთავის დაშინებას აპირებდაო. მერეც, ნაადრევად შეღიღილებულ წვერს რომ იპარსავდა, მისი ჯიბრით ქალებს რომ აეტორღიალებოდა... არა, ყველაფერს დაჰკარგოდა აზრი. მას

სინდისი ქენჯნიდა, ადრე ასეთ რამეებზე რომ ფიქრობდა.

რა უნდა შეშურებოდა ამ დაჩიავებული, ბედის მიერ გასრესილი კაცის? მამა სიზმარეულივით იჯდა. ვერაფრის თქმას ვერ ბედავდა, რადგან ზედმეტად თვლიდა აქ თავს. შვილს ეს არც უფიქრია, მაგრამ თქმითაც ვერაფერს ეუბნებოდა. მას საუბრის წამოწყება უჭირდა და არჩევდა, ყველაფერი ისევე დარჩენილიყო გარკვეულ დრომდე. იქნებ მაშინ ეთქვა სათქმელი. მას იონას არც დადანაშაულების, და არც გამართლების უფლება ჰქონდა. იგი ისე განაგებდა თავის ცხოვრებას, როგორც სურდა და შეეძლო. ახლა, შვილს და ისიც მამაკაცს, უნდა გაეგო მისთვის და წარსულზე ლაპარაკს შეშვებოდა.

სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა იონა. ხელები უთრთოდა. შვილი წამოდგა და ძილი ნებისა უსურვა. ოთახიდან გასვლის წინ გულთბილად გაუღიმა. იონა მისმა მოპყრობამ ოდნავ დაამშვიდა, მაგრამ სოფიკოზე ფიქრი საწოლშიც არ ასვენებდა. ვერა და ვერ მოხუჭა თვალი. იგი გრძნობდა, რომ სხვა ოთახში ისევ იმავე მდგომარეობაში იჯდა ქალი ფანჯარასთან და კიცხავდა ასე გვიან რომ დაბრუნდა, ოჯახისთვის იგი დაკარგულად ითვლებოდა და ჯობდა, საიდანაც მოვიდა, იქ დარჩენილიყო.

* * *

იონა თავის ძველ მეგობრებთან ერთად იჯდა ნახევრად გამხმარი მაგნოლიის ქვეშ. საუბრობდნენ, მერე ისინი მიდიოდნენ და ვაჟასთან ერთად რჩებოდა. იონა სიტყვას არ იღებდა მის თანდასწრებით. იგი ყურს უგდებდა ავისმომასწავებლად მიჩუმებულ, ოთახში ჩაკეტილ სოფიკოს და მასში თანდათან იზრდებოდა შიში ამ ქალის წინაშე. სოფიკო თვალს ადევნებდა ფანჯრიდან. იონა ყოველდღე, ერთხელ მაინც მოჰკრავდა თვალს, როგორი დაფეთებული შორდებოდა იგი გამჭვირვალე ფარდას და თრთოლვა ერეოდა.

სტუმრები კითხულობდნენ სოფიკოს, მეუღლის დაბრუნების მილოცვა უნდოდათ. მისი უცნაური ქცევისთვის ყურადღება რომ არ მიექციათ, სხვადასხვა მიზეზს ასახელებდნენ ოჯახში, მაგრამ ყველა ხვდებოდა, რომ კარგად ვერ იყო საქმე.

იონას დაბრუნებამდე, სოფიკო ერთთავად მის ხსენებაში იყო. რძალს იონას სახის ნაკვთებს, მიმოხვრას და ხასიათს ისე აუწერდა, მისი ნახვის სურვილს აღუძრავდა. სოფიკოს ეს, განსაკუთრებით ქალიშვილების გათხოვების შემდეგ დასჩემდა. ისინი შრომაში და ოჯახის სიყვარულში მას გამოემსგავსნენ, მაგრამ რძალი ცოტა არ იყოს, აღარდებდა, და მას მეუღლისადმი პატივისცემა რომ გაზრდოდა, თავისი თავისთვისაც მიეხედა და მთელი უბნის სამასხროდ არ გამხდარიყო აჩაჩულ-დაჩაჩული თმით, უშველებელი ფლოსტების ფრატუნით და უსაქმურობით, ჰყვებოდა როგორ ტრიალებდნენ იონა და ის ყვავილნარში, რა ხალისით აშენებდნენ სახლს, როგორ უვლიდა ქმარს, რანაირად ზრდიდა ბავშვებს, რას იცვამდა იონა, რომელი კერძები უყვარდა მას, რარიგად ივარცხნიდა თმას, უუთოვებდა პერანგებს, რა მოუთმენლად ელოდა საღამოობით ჭიშკართან...

რძალს ყოველდღე ესმოდა იონას ქება. მას იონა ახალგაზრდა, მომხიბვლელ მამაკაცად წარმოუდგებოდა და გულში მალავდა აზრს, სოფიკოს შემყურეს აქ რა გააძლებინებდაო, რადგან მას მუშტისხელა სახე ერთიანად დაღმეჭოდა, წელში მოხრილიყო, სიარული უჭირდა, და ეს ქალი სასწაულებს ყვებოდა ქმარზე.

რძალი ამართლებდა იონას, ამ ქალთან ცხოვრებას, გადაკარგვა რომ არჩია. სოფიკო ქმარს რომ აქებდა, ყოველთვის მის ღმობიერებას და თავაზიანობას უსვამდა ხაზს. როცა რძალი ჰკითხავდა, თუ ასეთი შემწყნარებელი იყო, რად დაგტოვაო, სოფიკო ყველაფერს ქერათმიანის სილამაზეს აბრალებდა, მაგრამ არასოდეს არ ამბობდა, უკან რომ დაბრუნებულიყო, როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვდებოდა. ამაზე ფიქრისაც კი ეშინოდა; მას ეგონა, იონა რომ მოსულიყო, ცხოვრებას ძველებურადვე გააგრძელებდნენ. იგი ხარჯამკრეფის, ან სხვა თანამდებობაზე დაიწყებდა მუშაობას, საღამოობით ყვავილნარში იტრიალებდნენ, მერე, მაგნოლიის ქვეშ მსხდომნი, მომავალზე მიეცემოდნენ ფიქრებს, მაგრამ სოფიკოს ნაოცნებარი ილუზია გამოდგა.

დაბრუნდა იონა. იჯდა აგერ; მეგობრებით გარშემორტყმული და ისეთივე უცხო იყო მისთვის, როგორც ქუჩაში მიმავალი შემთხვევითი მგზავრი. უკვირდა, კიდეც, რა აკავშირებდა ამ კაცთან. ადრე, იონა ამპარტავნობდა, იმაზე აღმატებულად მოჰქონდა თავი, ვიდრე სინამდვილეში იყო. სოფიკოს ყოველი მისი ახირების შესრულება უხდებოდა, ის კი არა, ალტაცებისაგან თვალს ვერ აცილებდა, ეს რა მეუღლე მყავს, და ნუთუ ჩემისთანა ბედნიერი ქვეყნად კიდევ ვინმე არისო. ასე იყო მერეც, და ვერ ხვდებოდა, თავს რომ იტყუებდა, მეც რომ იმ ქალივით თვალტანადი ვყოფილიყავი, ჩემთან დარჩებოდა, მაგრამ ვერ გაამტყუნებ, სილამაზეს ხელი ვერ ჰკრაო.

სოფიკო ყურადღებით აკვირდებოდა იონას, და რაც დრო გადიოდა, გული უცრუვდებოდა მასზე. ვერ ეპატიებინა მისი ადრინდელი გულგრილობა, ვერც ის, ასე მოულოდნელად რომ დაბრუნდა უკან, ახლა შვილს უჯდა წინ და სიყვარულით უცქეროდა. ამისი უფლება არ ჰქონდა იონას. ის იქ უნდა მოფერებოდა თავის მემკვიდრეებს და არა აქ. სოფიკოს ვერც ის ეპატიებინა კაცისათვის, იგი ასეთი საცოდავი რომ იყო, არ შერჩენოდა მისხლისოდენა სიამაყე, — რძალს თვალებში შესციცინებდა მონასავით და ჩუმად დააბიჯებდა, ჩემმა ფეხის ხმამ არავინ შეაწუხოსო. ზუსტად ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო მან პატარაობისას ვაჟა. ბავშვს საკუთარი თავის რწმენა დაუკარგა და წლები დასჭირდა, მამის გავლენისთვის დაეღწია თავი. იგი თავის გარეგნობას სამაგალითოდ თვლიდა და შვილი იმიტომ აითვალწუნა — მე არა მგავსო.

ერთხელ, სოფიკო სახლიდან დილა ადრიან გამოვიდა. საგარეო ტანსაცმელი ეცვა. ხელში მსუბუქი ჩანთა ეჭირა. ცოტა ხანს, აივანზე შეჩერდა. ეზო მოათვალიერა, მერე, ნახევრად გამხმარ მაგნოლიის ხეს შეავლო თვალი.

თავიდან, ხე რომ ხმებოდა, მხოლოდ სამ ტოტს შერჩა ფოთოლი. იმ დილით, მის ზემო ტოტებზეც შენიშნა ახლადამოყრილი მწვანე ყლორტები და მოულოდნელად, სიხარულმა მოაკითხა მის გულს, მაგრამ როცა გაახსენდა, რისთვის იყო ამ დილაუთენია გარეთ, მაშინვე გაფერმკრთალდა ყველაფერი.

ეზოში დადიოდა, ათვალიერებდა თითოეულ ნერგს, თითოეულ ქვასაც კი, ეალერსებოდა მათ, თან ბუტბუტებდა, ლოცავდა შვილებს, შვილიშვილებს, ფუძის ანგელოზს და ასე, ბუტბუტით მიაღწია ჭიშკრამდე. შეჩერდა. დიდრონ ხეებქვეშ შეყუჟულ სახლს გაჰხედა, პირჯვარი გადაიწერა, შებრუნდა, ჭიშკარში გავიდა, გულმოდგინედ ჩაკეტა კარი და ცარიელ ქუჩას გაუყვა.

მისი წასვლა არავის შეუტყვია. საუზმეზე მოიკითხა ვაჟამ. პატარა იო აღელვებული გამოვარდა მისი ოთახიდან. სოფიკოს სათუთად მიელაგებინა ლოგინი. ისეთი გრძნობა დაგეუფლებოდათ, ამ წუთში შემოვა და მყუდროების დარღვევისათვის საყვედურებით აიკლებსო ყველას.

იონა შეცბუნებული ათვალიერებდა ოთახს, სადაც ქალი მისი წასვლის შემდეგ დაბინავდა. ოთახი მაინცდამაინც არაფრით არ ყოფილა ღირსშესანიშნავი, ოდესღაც შეღებილი კედლები უკვე გახუნებულიყო. ყველაფერს უბრალოებისა და ხელმომჭირნე ქალისთვის დამახასიათებელი წესრიგის კვალი ეტყობოდა. ტახტის თავზე ბავშვების სურათები ეკიდა. ასეთები იყვნენ ისინი, იონამ ოჯახი რომ მიატოვა. ამ სურათებს შორის, ჩარჩოს ზომის მუქი-ლურჯი ცარიელი ადგილი მოხვდა თვალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის გაქრობამდე ამ ადგილას სურათი ეკიდა და ახლა არსად ჩანდა...

იონას, პატარა იოს ხმა ესმოდა ეზოდან. ბიჭი ბებიას ეძახდა და პასუხს რომ არ იღებდა, — გულაჩუყებით ტიროდა.

იონა გაოგნებული იდგა ერთ ადგილზე, ახსენდებოდა მორჩილი, თავისი ბედითა და ცხოვრებით კმაყოფილი ქალის სახე, რომელსაც ყოველი მისი შეხედვა, სიტყვის ამოღება და გაღიმება დღესასწაულად მიაჩნდა. იგი მამაკაცის უნახავი იყო მართლაც, როცა შეირთო და ქვეყნად მასზე ღირსეული კიდევ ვინმე თუ არსებობდა, ვერ წარმოედგინა და ალბათ ასევე გაგრძელდებოდა, წლების მანძილზე დავიწყებისთვის რომ არ მიეცა.

* * *

...საავადმყოფოს თეთრად შეფეთქილი კედლები. საწოლის კიდეზე ჩამომჯდარი ფერმკრთალი ქალი. ამოღამებული თვალები და შემჭკნარი ღაწვები. ქალი ნაღვლიანად იღიმება. უცხოა მისთვის ღიმილი. ადრე კი მხიარულების გარეშე წარმოუდგენელი იყო მისი ცხოვრება. ჩონჩხად ქცეული ხელი გაუწოდა წინ მჯდომ, თეთრხალათიან კაცს. იგი მკლავზე მიეალერსა. ქალს ტირილი აუვარდა. დამშვიდებას თხოვდა კაცი. ქალს უფრო და უფრო ერეოდა სევდა. სიკვდილის ეშინოდა. იგი ნელა, მტარვალურად შემოდიოდა მის სხეულში, თითქოს წინასწარ ძვლები ხორცისაგან უნდა გაეშიშვლებინა და ამას ისე თანმიმდევრულად შესდგომოდა. ქალი სიგიჟემდე მიჰყავდა.

კარგა ხანი იყო, რაც სარკეში არ იხედებოდა. დიდებული ქერა ნაწნავი ერთიანად გასჭაღარავებოდა და დაჰლეოდა. თავისი თავის წესრიგში მოყვანის ძალაც არ ჰქონდა. არც კაცს უფრთხილდებოდა. ყველაფერს სჩადიოდა იმისათვის, რომ შესძულებოდა და სიკვდილის შემდეგ, (რის მოახლოებასაც ყოველდღიურად, ყოველ წუთში გრძნობდა) მასზე არ ედარდა.

ზოგჯერ, ავიწყდებოდა თავისი სურვილი, კისერზე ჩამოეკიდებოდა, არ დამივიწყოო, ხან კიდევ ემუდარებოდა, როგორც კი მიწას მიმაბარებ, აუცილებლად შენს ოჯახს დაუბრუნდიო.

ასე გრძელდებოდა თვეების მანძილზე. მერე... გაშეშებული, სანთელივით ჩამოქნილი სხეული, ცნობისმოყვარე, ერთმანეთში არეული სახეები, ყვავილები, მუსიკის გულისგამაწვრილებელი მელოდია. ყვავილები. კაცის გულგრილობითა და უგრძნობელობით გაოცებული ქალები... ჩურჩული — შეხედეთ მის ცივ გამომეტყველებასო; ცარიელი ოთახები, ცარიელი საწოლი, წლების მანძილზე მარტოდმარტო ხეტიალი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცივი ცა სანუგეშოს ვერაფერს ჰპირდებოდა და მერე, გზა... გზა შვილებისაკენ. რკინიგზის პატარა სადგური. ცარიელ ბაქანზე შეცბუნებულად მდგომი კაცი. მას ხელში მომცრო ჩანთა ეჭირა და ყოყმანით გაჰყურებდა ქალაქისკენ მიმავალ, ნაწვიმარ გზას.

იონას ათასჯერ უფიქრია, რომ სოფიკო მის დაბრუნებას იოლად ვერ შეურიგდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ყველაფერს უნდა გამკლავებოდა: მწუხარებას, რასაც ვერავინ ვერ შეუმსუბუქებდა, რაზეც სიტყვას ვერ დასძრავდა შვილებთან და მით უფრო, სოფიკოსთან. მათ უყურადღებობასაც, თუ ისინი გულგრილად შეხვდებოდნენ, რადგან უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა.

იგი მაინც არაფრით არ ელოდა, რომ ქალი მის გამო ოჯახს მიატოვებდა და უმცროს ქალიშვილთან გადავიდოდა საცხოვრებლად. საღამოს, ვაჟა სამსახურიდან რომ დაბრუნდა, იონა გასამგზავრებლად დაუხვდა მზად. იგი დამწუხრებული სახით იდგა ეზოში. მის დაბნეულ სახეს თვალს ვერ უსწორებდა შვილი, მაგრამ ჩანთა ჩამოართვა, შინ შეიყვანა და დაჰპირდა, რომ რამდენიმე ხანში დააბრუნებდა დედას. ოღონდ იგი არ წასულიყო და ყველაფერს იღონებდა მათ შესარიგებლად.

ამიერიდან, იონა მარტო დაეხეტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა. ნელ-ნელა, ცნობისმოყვარენიც ჩამოსცილდნენ. იგი უკვე არავის აინტერესებდა, რადგან მის თავგადასავალში ახალი აღარაფერი იყო.

ბაღში გავიდოდა, მიწას რამდენიმეჯერ ჩაჰკრავდა ბარს და საათობით, ერთ ადგილზე იდგა გარინდული. ისე დაღამდებოდა, ორ სიტყვას არ აღირსებდა არავის. დაჩიავდა, წვერი გაეზარდა და ისედაც მიშვებულ გარეგნობაზე ზრუნვას შეეშვა. ჭიშკართან, ძელსკამზე იჯდა საღამოობით. გამვლელები ყურადღებას არ აქცევდნენ. ათასში ერთხელ, თუ მიესალმებოდა ვინმე.

— როგორა ხარ იონა! — კითხავდნენ სხვათაშორის და გზას განაგრძობდნენ, არც აინტერესებდათ, რას უპასუხებდა იგი.

— ისე რა... ძალზე უცნაურად... — აგრძელებდა პასუხს გულში და მიმავალს გასცქეროდა უკან. „ძალზე უცნაურად“... — აეკვიატებოდა ეს ფრაზა, რადგან მისი ცხოვრება მართლაც უცნაური იყო. ოჯახი ჰქონდა, მაგრამ სტუმარივით გრძნობდა აქ თავს, ცოლმა მის ჩამოსვლისთანავე სახლი მიატოვა, პატარა შვილიშვილებიც ჰყავდა, და არ ეკარებოდნენ. რძალი არაფრად აგდებდა. რამდენჯერ უთქვამს მეზობლებში, ცოლი სახლიდან გააქცია და მე რა ვალდებული ვარ, ველოლიავოო. ტკბილ სიტყვას არ იმეტებდა იონასთვის. როგორ კარგ განწყობილებაზეც არ უნდა ყოფილიყო, როცა იონას შენიშნავდა, სახე მოეღრიცებოდა. ოღონდ ეს მოხუცი არ დაენახა და ყველაფერს დათმობდა, მაგრამ ვაჟასთან ვერ ბედავდა ამის თქმას: უკმაყოფილებას გამომეტყველებითაც ვერ ამჟღავნებდა.

ვაჟა საოცარი იმედით ჩაჰფრენოდა მამას, აიძულებდა მჯდარიყო მასთან, ესაუბრა, ევახშმათ ერთად. იონას ამისგან ცხოვრება არც უმსუბუქდებოდა, პირიქით უფრო ძნელი ასატანი იყო, რადგან რძალი, ქმართან არაფერს უშავებდა, ხოლო სახლში მარტოდ რომ რჩებოდნენ, მის გასამწარებლად ყველაფერს სჩადიოდა.

რძალმა არ იცოდა საიდან მოდიოდა ასეთი სიძულვილი. მოხუცის ყოველი სიტყვა გონებას უბნელებდა, მის უბრალო მოძრაობასაც კი გამოჰყავდა მოთმინებიდან. მივარდებოდა იონს, ტუქსავდა, რაღაცას საყვედურობდა. დედის მოულოდნელი თავდასხმით გაოგნებული ბიჭი იონას მიეტმასნებოდა. ეს უფრო აცოფებდა რძალს. წყევლიდა იმ დღეს, როცა ამ ოჯახში შემოდგა ფეხი. წყევლიდა იონას, ვაჟას და ყველას, ვისაც თავისი ბედუკულმართობის მიზეზად თვლიდა.

იონა დიდხანს ითმენდა რძლის ავსიტყვაობას. ბოლოს, მოთმინებამ უღალატა. დატოვა სახლი. რამდენიმე დღე გარე-გარე დაეხეტებოდა, ღამეებს ნაწისქვილარში ათევდა, მერე დაბრუნდა და სახლის უკან, ცალკედ მიშენებულ პატარა ოთახში გადავიდა საცხოვრებლად.

ვაჟას წინააღმდეგობა არ გაუწევია. ერჩია მამამისი უკანა ოთახში მაინც ყოფილიყო, ოღონდ ქუჩა-ქუჩა არ ეხეტიალა და თითით საჩვენებელი არ გამხდარიყო ქალაქში.

ასე მოიპოვა იონამ დამოუკიდებლობა. იგი უკვე ვალდებული არ იყო მოჩვენებითი თანაგრძნობის თუ გულკეთილობისათვის გაეწია ანგარიში. რძალი პატარა იოს ხელით უგზავნიდა საჭმელს. ბიჭი უკანა ოთახის კართან, სკამზე დებდა თეფშს და უმალვე ბრუნდებოდა, რადგან დედისგან ჰქონდა ასე ნაბრძანები. იონას გამოლაპარაკება უნდოდა ბავშვთან. იგი გარესამყაროსთან მისი ერთად ერთი დამაკავშირებელი ძაფი იყო და ქალი ამასაც უსპობდა.

ქალიშვილები რამდენიმეჯერ ესტუმრნენ იონას. უკანა ოთახში მწოლიარე რომ ნახეს, შეიცხადეს, წაიტირეს და სახლში გადასვლა ურჩიეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

ბოლოს ისე წაეწყო, რომ იონა იშვიათად გამოდიოდა უკანა ოთახიდან.

იგი ელოდა სოფიკოს დაბრუნებას. ელოდა ჭაბუკივით, რომ ქალი შეცდომებს მიუტევებდა და სიცოცხლის ბოლო წლებს მშვიდად გალევდნენ, მაგრამ შვილები მის შესახებ სიტყვას ვერ სძრავდნენ დედასთან. სოფიკო ისე დუმდა, თითქოს იონა ქვეყნად არც არსებულიყო, მისით თავის დღეში არ ყოფილიყო მონუსხული, არასოდეს გაეზიარებინოს სარეცელი.

ქალი უწინდებურად თავგანწირვით შრომობდა სიძის ოჯახში. ძველებურადვე, უთენიაზე დგებოდა და ნაშუაღამევამდე, შეუსვენებლად საქმიანობდა, შრომაში ხედავდა შვებას. მისთვის შრომა იყო უკვე სიყვარული, ეს ავსებდა მის სულიერ, თუ ხორციელ მოთხოვნებს.

ერთხელ, საღამოს, იონას დოლის ხმა მოესმა. საწოლიდან ძლივძლივობით წამოიწია და ამ ხმას მიჰყვა.

ჭიშკართან, ძელსკამზე, გამხდარი, თავმოტვლეპილი კაცი ჩამომჯდარიყო. ეს, პარმენა იყო. მის დოლის ხმას ქალაქში ისე შესჩვეოდნენ, ყურადღებას არავინ აქცევდა, ოღონდ ეს იყო, დაკვრას რომ ძალზე გააჭიანურებდა, დაუცაცხანებდნენ ხოლმე. იგი, თითქოს რაიმე საშური მოვალეობა შეასრულაო, აკრეფდა თავის ნივთებს და სხვა კართან გადაინაცვლებდა. მერე, იქედანაც აძევებდნენ და ასე, დაუსრულებლად გაისმოდა დოლის ხმა სხვადასხვა მხრიდან.

პარმენას რაღაც რიტმი გამოჰყავდა მთელი მონდომებით. იგი ამას იმპროვიზაციას ეძახდა. მას ამ სიტყვისთვის სადღაც მოეკრა ყური და ისე მოსწონებოდა, წარამარა, ოღონდ დამახინჯებულად გაიძახოდა, დაკვრას რომ მორჩებოდა, თვითკმაყოფილად იჭყანებოდა.

„შენ მოუკვდი შენს პატრონს“! — ქოქოლას აყრიდნენ ქუჩაში მიმავალი ქალები. იგი გაქვავებული მუშტით უბაგუნებდა დოლს. წამოჭარხალებული, წვერმოშვებული სახე ძალისხმევისაგან ელმიჭებოდა და სანამ საბოლოოდ ძალა არ გაეცლებოდა, დოლის დამთავრება არ ეწერა.

იონა მის გვერდით დაჯდა. უსმენდა ქაოტურ ბგერებს. გამვლელები თვალს არიდებდნენ ჭიშკართან მჯდომ ქვეყნის მასხარა მედოლეს და „მოგზაურს“, როგორც პატარა იომ შეარქვა იონას. პარმენა უკრავდა. დოლი თითქოს იონას კითხვებზე პასუხობდა. ეს კითხვები და პასუხები არავის ესმოდა იონასა და დოლის გარდა და სწორედ ამან მიიზიდა, აქ ვერავინ შესძლებდა ეოხუნჯა მის სიტყვებზე.

მზე ჩადიოდა. დოლის ხმა თითქოს იძულებულს ხდიდა მას დალმასვლა დაეჩქარებინა და მერე, ერთი ისეთი ამოესუნთქა, ზურგიდან ტვირთს რომ მოიხსნიან ხოლმე.

მოულოდნელად პარმენამ დაკვრა შეწყვიტა, იონას გადახედა და დაიჭყანა.

— აგერ, შენი ხე აყვავებულა. — დაიროხროხა მან და ეზოსკენ მიაშვირა საჩვენებელი თითი. იონამ თვალი გააყოლა მის თითს და მაგნოლიის ხეზე შეაჩერა მზერა. სუნთქვა შეეკრა ერთბაშად, მოჯადოებულივით ვერ აცილებდა ხეს თვალს.

ოჯახური უთანხმოებისა და რძალთან შეხლა-შემოხლის მანძილზე, იონას ერთხელაც არ გახსენებია ხე. იგი ისე შეფოთლილიყო და გაფურჩქნილიყო, რომ პარმენას გარდა არავის შეუნიშნავს.

მერე, წამოიმართა და ჩქარი ნაბიჯებით გაემართა ხისკენ. უკან პარმენა მისდევდა. იონა ხეს მიუახლოვდა, მკლავი გაშალა და მოეხვია.

პარმენა ესალმებოდა მაგნოლიის აყვავებულ ხეს, რომელიც ლაღად გამართულიყო წელში და სიხარულის ჩურჩულს გამოსცემდა. გეგონებოდა, აი, სადაცაა ბედნიერებისაგან იყვირებს, მაგრამ ფართოდ გაშლილი ყვავილების ხათრით თავს იკავებსო.

ხე თითქოს დოლის ხმას აყოლებდა ტანის რწევას. მის კენწეროზე ჯერ გაუფურჩქნელ რამდენიმე კვირტს აელერებინა ყელი. ისინი გაოცებული სახით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოსცქეროდნენ ეზოს და ახლად თვალახელილი ჩვილებივით ელაციცებოდნენ ტოტებს.

რა იყო ეს? ხე უდროო დროს შეიფოთლა და ასევე უდროოდ აყვავდა. ბუნების ამ სითამამეში, რაღაც განუმეორებელი რამ იგრძნო იონამ. ხეს ცოცხალი მეგობარივით გამოემცნაურა. იგი შრიალით ეხმიანებოდა. პარმენა კი ჰკრავდა მათ გულისხმას, აერთებდა მათ სიყვარულს და აუხდენელ ოცნებებს...

არც კი შეუნიშნავთ, როგორ შეგროვილიყვნენ მათ გარშემო მეზობლები. დოლის მომნუსხველ ხმას უსმენდა ყველა, ხოლო მზერა მაგნოლიის ხისთვის მიეპყროთ.

ხმამაღლა მობაასე მეზობლები დაშლას აპირებდნენ, რომ ჭიშკარს სოფიკო მოადგა. მას, წელში ოდნავ მოხრილს, სრულიად გაჭაღარავებულს, და სახედაღარულს, ყმაწვილურად უბრწყინავდა თვალები. იგი აყვავებული ხის გარდა ვერავის ვერ ამჩნევდა ირგვლივ. შუა ეზოს რომ მიაღწია, შედგა. გულდასმით შეათვალიერა მაგნოლია, მერე თვალი დახუჭა და მთელი ძალით შეისუნთქა მისი ყვავილების სურნელი, რამდენიმეჯერ შემოუარა ხეს, ჭიშკრისკენ გაემართა და გზაზე გავიდა. იონა გულისტკივილით გასცქეროდა ქალს. განიზრახა მასთან მისვლა, მაგრამ ვერ შეძლო. მერეც, ქუჩაში რომ გავიდა, იფიქრა, დავეწევი და მოვაბრუნებო. ადგილიდან ვერ დაიძრა. მუხლები მოეკვეთა, ჩაიჩოქა და ბუტბუტი მორთო. ყველა მიხვდა, რომ ლოცულობდა.

რამდენიმე დღის მანძილზე ხალხი ჩერდებოდა ქუჩაში და გასცქეროდა აყვავებულ ხეს. სალაპარაკოდ იქცა ამდენი ხნის მანძილზე ნახევრადგამხმარი ხის უეცარი აყვავება.

მაგნოლიას ლაღად გაეშალა ტოტები და ესალმებოდა გამვლელებს, ესალმებოდა ცის სილურჯეს, ამბორს უგზავნიდა თბილს ნიავს და მხიარულად ჩურჩულებდა. ჰყვებოდა თავის წარსულზე, მომავალზე კი სიტყვას არ იღებდა, და ეს აღონებდა იონას.

შესაღამოვდებოდა თუ არა, პარმენა მოდიოდა და დაკვრას იწყებდა. იონას რძალს წონასწორობას უკარგავდა ეს. ბავშვებს სახლში შეიყვანდა, ჩაკეტავდა და სანამ მედოლე იქაურობას არ გაეცლებოდა, გარეთ გასვლის უფლებას არ აძლევდა. პარმენა ხმადაბლა უკრავდა. იგი ცდილობდა მაგნოლიის ტოტების რწევისთვის შეეწყო რიტმი და იონას ასე ეგონა, ხე ამ ხმების გარეშე ვერც იარსებებსო.

ოცნებობდა იონა, მაგრამ ეს ოცნება კი არა, უფრო დარდი იყო. პარმენა უკრავდა და დარდის საღერღელს უშლიდა. მედოლე ბედნიერი იყო, მუდმივი მსმენელი რომ გაუჩნდა. თვალებში შესციცინებდა იონას. ზოგჯერ, მის სახეს ნაღველი რომ მიეძალებოდა, დადუმდებოდა. ხის ტოტების შრიალს უსმენდნენ. მაღლიდან ფარფატით წყდებოდა განწირული ფოთოლი. პარმენა დასწვდებოდა და ისე შეათვალიერებდა, თითქოს პირველად ხედავსო ამ ამბავს, თან მეგობარს თავის აზრს უზიარებდა.

რძალი გამეხებული სახით უგდებდა ყურს ამ „ორ, ჭკუაზე გადამცდარ“ ბებერს. ქალი იონას ხმას ვერ იტანდა და ახლა ის აღონებდა, პარმენას დოლის მოთმენაც რომ უწევდა. იგი ბავშვებს ვერ აკავებდა ოთახში. როგორაც არ უნდა მოეტყუებინა, მოეთაფლა ან დაეშინებინა, ისინი მაინც გაეპარებოდნენ, ან იმდენს იწუწუნებდნენ, იძულებული ხდებოდა გაეშვა ეზოში.

ბავშვებს დოლის ხმა იზიდავდათ. პარმენა მთელი გატაცებით უკრავდა მათთვის. ზოგჯერ პატარა იოს აცეკვებდნენ, მერე გვერდით მოისვამდნენ და საოცარ, ჭრელ-ჭრელ ამბებს უყვებოდნენ. ერთხელ იომ პარმენას სთხოვა, რამე იმღერეო, მან ეს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და დოლზე დაამღერა:

მაგნოლია! — საყვარელი —
ნანა, მუ ჯგირ ვარდი ბძირი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშ მარჩია, მუშ მასკვამა,
გენია დაჩხირიშ ჭვილი...[1]

ბავშვებს ეს სიმღერა ისე მოეწონათ, — ისევ და ისევ ამეორებინებდნენ. იონა ღიმილით უსმენდა. ცალი თვალი მაგნოლიის ყვავილებისკენ ჰქონდა მიპყრობილი, გულში კი „მუშ მარჩია, მუშ მასკვამას“ — მღეროდა.

ჩამობნელდებოდა თუ არა, ბავშვები სახლში შეჰყავდა დედას. იონა და პარმენა ჭიშკართან გადავიდოდნენ. პარმენა უკრავდა, დაკვრას რომ შეწყვეტდა, საუბრობდნენ.

— როგორა ხარ იონა! — შესძახებდნენ მეზობლები შორიდან და პასუხის დაულოდინებლად აგრძელებდნენ გზას.

— ისე რა... „ძალზე უცნაურად, სწორედ რომ უცნაურად“... — პასუხს აგრძელებდა გულში, ცხოვრების რიტმს გაჯიბრებულ მეზობლებს გააყოლებდა მზერას და ისევ გაიფიქრებდა. „მართლაც რომ უცნაურად“... მერე, ამ „უცნაურობებს“ ანდობდა პარმენას.

...ქალი რომ უზნეო იყო, იონა მალე დარწმუნდა. ზოგჯერ წონასწორობას კარგავდა და მუქარით მიიწევდა მისკენ, მაგრამ ქალი ამ უკიდურეს შემთხვევაში ისე დაითაფლებოდა, თითქოს საალერსო სიტყვის მეტი არაფერი წამოსცდენია იონასო.

ისინი ქალაქიდან — ქალაქში დაეხეტებოდნენ. ქალისათვის სულერთი იყო, რა სახსრებით არჩენდა ქმარი. როგორც კი რამე სიძნელეს წააწყდებოდა, თუ არ შეგეძლო რას მომდევდიო, აყვედრიდა. ქალი რესტორნებში სიარულს იყო ნაჩვევი. არამც და არამც ერთი და იმავე სამკაულით, ერთი და იგივე ტანსაცმლით ქუჩაში არ გამოვიდოდა.

იონა დილიდან საღამომდე მუხლჩაუდრეკლად მუშაობდა. ამასობაში, ქალი საყიდლებზე დარბოდა. სარკის წინ ტრიალებდა, მკერავებს იცვლიდა, რომ საღამოობით მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოჩენილიყო ხალხში.

იონა ვერასოდეს ვერ იფიქრებდა ასეთ დატვირთვას რომ გაუძლებდა, მაგრამ თანდათან ყველაფერს შეეგუა და დროსტარებაშიც გაუსწრო ქალს, ის კი არა, სადმე რომ გამოჩნდებოდა, საერთო ყურადღებას იქცევდა. ატყდებოდა ჩურჩული, შურით შესცქეროდნენ ქალს და კიცხავდნენ, ასე შეუბრალებლად რომ ეპყრობოდა იონას. მერე ქალმა კარჩაკეტილ ცხოვრებას მიჰყო ხელი.

საღამოობით ფეხმოუცვლელად ისხდნენ სახლში. ოცნებობდნენ პატარა, ოქროსფერთმიან ბიჭუნაზე. აწყობდნენ მომავლის გეგმებს, სად დაესვენათ ზაფხულში, როგორ მოეხერხებინათ, რომ იქაც მარტოდ დარჩენილიყვნენ... მაგრამ დრო და დრო, ქალს სული წასძლევდა, სახლიდან გაიპარებოდა, გულს მოიოხებდა ცეკვით, ვილაცეებთან წანწალით და ვნებადამცხრალი შემოიძურწებოდა სახლში. იონა იფიცებოდა არ შემოვუშვებო, მაგრამ ქალი რომ დაბრუნდებოდა, მის ხმაწეულ სიტყვას ვერ იგებდნენ მეზობლები. უკვირდათ, რა ძალას ფლობს, ეს ქალი, რა ჯადოს იყენებს და როგორ იმორჩილებს კაცსო. ისინი მეორე დღესვე, ხელკავით დასეირნობდნენ სახლის წინ, აგერ თუ ერთად არა ვართო.

ყველაფერი სხვაგვარად წარიმართებოდა, იონა მას უფრო ადრე რომ ჩამოშორებოდა; ქალის ხუშტურების ატანა უჭირდა. ერთთავად ყოყმანობდა, დაჰყოლოდა თუ არა მის ნება-სურვილს, რადგან ეშინოდა, ერთხელაც იქნება და წონასწორობას დამაკარგვინებსო.

ქალი რაღაც სენმა შეიპყრო. ჯერ იყო და ავადმყოფობამ უჩვეულოდ გაალამაზა. იგი ტყის ფერიას ჰგავდა გაშლილი ქერა თმით და ფერმკრთალი სახით, და ეს აკრთობდა იონას, რადგან მისი სილამაზე უკვე არაამქვეყნიური იყო. ქალს სახე უნათდებოდა თანდათან, მერე უეცრად ჩაუქრა და რაც დრო გადიოდა, ფერი ეცლებოდა.

1 მაგნოლია! — ღმერთო ჩემო — ეს რა ყვავილები ვნახე — რა თეთრი და რა პირიმზე, ცეცხლდამწვარი მათი სახე (მეგრული ხალხ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე საავადმყოფოს პალატები. ქალის ეჭვიანობა, ნერვიული გარემო. სნეულება არ იყო ჩვეულებრივი. იტანჯებოდა, ტკივილები საბოლოოდ აცლიდა ღონეს. კაცი მუდამდღე მის გვერდით უნდა მჯდარიყო. ელოლიავა, ეცრუა, უკეთესად ხარო, ქალს ეს წამალზე მეტად სჭირდებოდა. შემდეგ, ბავშვივით მოჰყვებოდა ჭირვეულობას, იტყოდა რამე გამქირდავს, დაიწყებდა ხარხარს, მტარვალს ეძახდა და პალატიდან აგდებდა. იონა გარბოდა იმ გადაწყვეტილებით, რომ არ მიბრუნებულიყო მასთან, მაგრამ მეორე დღესვე მის საწოლთან იჯდა. ისევ ფერება, ისევ ტირილი, ისტერიული სიცილი, ჩივილი უძილობის, უმადობის თუ, მოჩვენებითი უყურადღებობის გამო.

თეთრ პალატაში ფერმკრთალი სიკვდილი დაბუდებულიყო და ფეხი ვერსად მოაცლევინეს...

ვაჟას ესირცხვილებოდა, მედოლე მათი ოჯახის მუდმივი სტუმარი რომ გახდა. იონა და პარმენა ერთ სუფრას უსხდნენ უკანა ოთახში, მერე მაგნოლიის ქვეშ გადაინაცვლებდნენ. საკმარისი იყო ვინმე მიახლოვებოდათ და მაშინვე ისეთნაირად მიჩუმდებოდნენ, გეგონებოდა შეთქმულებას აწყობდნენო. საღამოსთვის, ჭიშკართან სხდებოდნენ, პარმენა ხმადაბლა არაკუნებდა დოლზე. იონა ყურადღებით იყო, თუმცა, მხოლოდ დოლის ხმას როდი უგდებდა ყურს, მას რძლისა და შვილის ლაპარაკიც ესმოდა.

ისინი სახლის წინ ისხდნენ. რძალი კილავდა. შვილი იცავდა, მაგრამ როცა ქალი, ქმრის თანდასწრებით ამდენს ბედავდა, შვილიც ჩემი წინაამდეგიაო, ფიქრობდა იონა და მართალიც იყო. ისიც ხმამაღლა თუ არა, გულში მაინც ადანაშაულებდა მამას.

შვილი თავაზიანობას მოითხოვდა იონასაგან. ბერიკაცი კი თავის მხრივ, ლმობიერ სიტყვას ვერ ეღირსა მათგან. როგორ ეცადა, შეჰგუებოდა რძალს, ამ ენაჭარტალა ქალს, რომელიც მთელი დღეები ბავშვებს ეჯიჯღინებოდა, ან მეზობლებთან ლანძღავდა ქვეყნის გასაგონად.

ჰო, იგი დამნაშავე იყო ცოლ-შვილის წინაშე, მაგრამ რძალმა საკუთარ შვილებზე მეტად გამოიდო თავი და აითვალწუნა. მას იონას მოცილება უნდოდა, რადგან სოფიკო სჭირდებოდა შინ. იონა თითზე-თითს არ აკარებდა, ის კი არა, სტუმრებიც მოსდიოდა და ქალს საქმე ემატებოდა. მამამთილს სულაც არ მიაქცევდა ყურადღებას, მაგრამ უცხო ხალხს სალაპარაკოს ხომ არ მისცემდა. რაღაცა უნდა გამოეტანა, სახეგაბადრული შეხვედროდა მათ, მერე, ასევე ღიმილ-ღიმილით გაეცილებინა ისინი. რძალს ეგონა, იონა ამას განზრახ მიწყობსო და საღამოობით ვაჟასთან ჩიოდა. ვაჟა ხან ცოლის მხარეზე იხრებოდა, ხან მამის მხარეზე, მაგრამ ქალმა იმდენს მიაღწია, თავიც კი შეაჯავრა და საქმე ისეააწყო, იონასთან აჩხუბა

ვაჟა ვერასოდეს იფიქრებდა, მამას ხმამაღალ სიტყვას რომ შეჰკადრებდა, წონასწორობა დააკარგვინა იმის ყურებამ, თუ როგორ ისხდნენ მამა და გადარეული პარმენა, მაგნოლიის ქვეშ. როგორ უკრავდა იგი დოლზე, მერე როგორ საუბრობდნენ შესვენებებს შორის. მეზობლები სიცილს ვერ იკავებდნენ მათ დანახვაზე. ვაჟამ ერთხელ კინწისკვრით გააგდო პარმენა. მამასაც გაუგონარი სიმკაცრით მოექცა.

კაცი წელში მოხრილი წალასლასდა უკანა ოთახისკენ და რამდენიმე დღე გარეთ არ გაუხედავს. პატარა იოს უწინდებურად მიჰქონდა მის კართან საჭმელი, ტოვებდა სკამზე და დედისკენ გარბოდა.

ერთი კვირის შემდეგ, იონა დილაადრიან გავიდა სახლიდან და შეღამებულზე დაბრუნდა. ხალისით მიესალმა მისი გამოჩენით გაოცებულ ოჯახის წევრებს და ასევე ხალისით გაემართა თავისი ოთახისკენ. ამიერიდან, დილაუთენია მიდიოდა სადღაც. მთელი დღე არ ჩანდა, საღამოს კი უჩვეულოდ მხიარული განწყობილებით ბრუნდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვიანებით გაირკვა, რომ მას და პარმენას ცხენსაშენში დაეწყოთ მუშაობა.

მთელი დღე გულდასმით მუშაობდნენ. ნაშუადღევს, თივის ზვინზე მიეგდებოდნენ დაღლილ-დაქანცულები და წაძინებასაც ასწრებდნენ. ცხენები მშვიდად იდგნენ და იცოხნებოდნენ. საჯინიბოს სიმყუდროვეს, მხოლოდ მათი ფშვინვა და ფრუტუნი არღვევდა.

ყველაფერი თავისი წესით და რიგით მიდიოდა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ, მოუსვენრობამ შეიპყრო პარმენა. მას დოლთან განშორება უჭირდა, რომელიც იქვე, ბოძზე ეკიდა უქმად.

ერთხელ, ხმა გაუსინჯა და ისე გაერთო, ყველაფერი გადაავიწყდა. ცხენები დააფეთა დოლის ხმამ. ყალყზე დგებოდნენ და ჭიხვინით იკლებდნენ იქაურობას. იონამ რამდენიმეჯერ სცადა პარმენას გაჩუმება, მაგრამ ვერაფერი გააწყო. იგი შეუმჩნევლად ჩამოიღებდა დოლს, თასმებს მოუჭერდა, გადატკეცილ ტყავს ხელს გადაუსვამდა, ხმის მოსასინჯად წკიპურტს გაჰკრავდა, მერე მოჰყვებოდა რაკუნს და ხმამაღალ დაკვრაზე ისე გადავიდოდა, ზოგჯერ თვითონაც შეკრთებოდა. იონა გაღიმებული უსმენდა მის დაკვრას.

ერთ საღამოს, დაკვრით გართულ პარმენას უფროსი წაადგა თავზე. ცხენების გულისშემძვრელ ჭიხვინს მოეყვანა იგი. ჯერ უსმენდა, მის წამოჭარხლებულ სახეს თვალს ვერ აცილებდა, მერე ისეთი ხმით უყვირა, პარმენას ელეთმელეთი მოუვიდა. გონს რომ მოეგო, წამოდგა, დოლი მხარზე გადაიკიდა და უკანმოუხედავად გასწია.

იონა საღამოობით ჭიშკართან იჯდა ისევ. პარმენა მის კარ-მიდამოს არ ეკარებოდა. დოლის ხმა მკაფიოდ ესმოდა ქალაქის მოედნიდან.

უკრავდა პარმენა. იმის მაგივრად, რომ ამ ხმას ვინმე მიეზიდა, დამკვრელისთვის თავაზიანი ქება შეესხა, მადლობა ეთქვა, ან რაიმე დახმარება შეეთავაზებინა, უსულგულობით პასუხობდნენ. ქალები წყევლიდნენ, ბავშვები სასაცილოდ იგდებდნენ და გიჟს ეძახდნენ, კაცები კიდევ, თავიანთი სახლებიდან შორს ერეკებოდნენ.

დევნიდნენ კაცს, ვისაც ყველაფრის ეშინოდა. ეშინოდა სხვისი სახლის წინ ჯდომის, ქალაქის მოედანზე ხანგრძლივად ყოფნის, თუ ქუჩაში სიარულისაც. წყევლიდნენ, ვისაც თავის სიცოცხლეში სხვისი ცოდვა არ ჩაედო გულში, გიჟს ეძახდნენ მას, რადგან მთელი დღეები გატაცებით უკრავდა დოლზე.

აუტანელი გახდა ყველაფერი. თუ მანამდე რძალი მხოლოდ ვაჟასთან ჩივილს სჯერდებოდა, ახლა არაფერს ერიდებოდა. წყევლიდა იონას და ჭირიანივით მიერეკებოდა თავისი ოთახისკენ, რომელიც მოხუცისთვის ერთადერთი თავშესაფარი გახდა.

ამას ისიც დაემატა, რომ მაგნოლიის ხე, თვალსა და ხელს შუა ჩამოჭკნა. უხანო გამოდგა მისი გამოცოცხლება და ყვავილობა. ყოველ დილით ხის ქვეშ მუხლამდე ეყარა გამოხუნებული ფოთლები და გაწეწილი ყვავილები. ქალი წყევლა-კრულვით ახვავებდა მათ გოდორში და სახლის უკან, ორმოში ყრიდა. იონას ასე ეგონა, მის იმედებს და ოცნებებს მარხავდნენ მათთან ერთად. საათობით იდგა გახევებულ ხის ქვეშ და მისი გადარჩენის ამაო იმედს ებღაუჭებოდა. რძალმა ხის მოჭრა ამოიჩემა. მას მეზობელმაც აუბა მხარი, ვის ეზოსაც გადაჰყურებდა მაგნოლია.

ხე ყველას თვალის დასანახად შესჯავრებოდა. შემთხვეულ უსიამოვნებას, და ხელმოცარვას მას აბრალებდნენ. მაგნოლიის ხე, ოჯახისთვის უბედურების მომტანია, განსაკუთრებით, სახლის წინ მდგარიო, ამტკიცებდნენ, ასახელებდნენ მავან და მავან კაცს, ვისაც მაგნოლიის ხე ჰქონია სახლის წინ დარგული და ამას მისი ოჯახი დაუქცევიაო.

იონა ყოველ დილით ხისკენ მიეშურებოდა. ჩამოჯდებოდა მის ძირას და დარაჯობდა. რძალი ავი განზრახვით ტრიალებდა ეზოში. იონას იმედი ჰქონდა, ჩემს ასაკს ანგარიშს გაუწევენ,

პატივს დამდებენ და ხეს არ მოჭრიან.

ქალი ზოგჯერ ისე მიჩუმდებოდა, თითქოს ბედს შეურიგდაო. ჩააცვამდა ბავშვებს, ხელს ჩაჰკიდებდა და სასეირნოდ მიჰყავდა. საქმარისი იყო მოხუცისაკენ გაეხედა იოს და დედა მუჯლუგუნს უთავაზებდა. ბიჭი თავს ჩაღუნავდა და გაოგნებული მილასლასდებოდა ქალის გვერდით. ჭიშკრამდე რომ მიაღწევდნენ, ბიჭი დროს იხელთებდა და ერთხელ მაინც შეავლებდა ბაბუას თვალს. დედამ არ შემნიშნოსო, ქვეშ-ქვეშ გახედავდა.

იონა მოუთმენლად ელოდა ბიჭის დაბრუნებას. როგორც კი დედა და შვილი ჭიშკარს მიადგებოდნენ, იო ხელიდან დაუძვრებოდა დედას, გამოიქცეოდა და ბაბუასთან შევარდებოდა ოთახში. სანამ გაცეცხლებული ქალი შვილს მოიხმობდა, იო ყველაფრის მოყოლას მოასწრებდა: რა ნახა, სად იყო, რა მოისმინა... მერე, ისევ გარბოდა დედისკენ.

ქერათმიანი ქალი მუდამ პატარა ბიჭზე ოცნებობდა. იონას შვილების არსებობა უკარგავდა მოსვენებას. გაუთავებლად ჩასჩიჩინებდა, ერთხელაც იქნება, ფეხს დაჰკრავ და მათთან გაჩნდებიო. თავიდან ამას არც ფიქრობდა იონა. თვით ქალმა აღუძრა ეს ზრახვები. ღამ-ღამობით, აყვავებული მაგნოლიის ხის ქვეშ მსხდომი გოგონები ესიზმრებოდა, მაგრამ მათი ნახვის სურვილი ისეთი ძლიერიც არ ყოფილა, რომ ის ქალი მიეტოვებინა. ვერც ამაში არწმუნებდა ქალს. საქმარისი იყო, რამეზე დაფიქრებულიყო და მეხივით დაატყდებოდა, ალბათ ისინი გაგახსენდაო, მერე ერთ ალიაქოთს დააწევდა, უშვილძიროდ რომ გადავეგეთ შენი ბრალია, განზრახ მაუბედურებო.

სინამდვილეში, ბევრ რამეში თვით ქალი იყო დამნაშავე. მისი წარსული სავსე იყო ათასი ფათერაკებით და ამას თავისი ნაყოფი გამოეღო. იონა ქალს ვერაფერს ეუბნებოდა ამის თაობაზე, ცალ-ცალკე იტანჯებოდნენ. ქალი [illegible] აიჩემებდა და რამდენიმე ხნით სადღაც გადაიკარგებოდა. ქალს ერთგულება არ შეეძლო. ამას ვერც მოსთხოვდა იონა, რადგან მაშინ იგი საწოლზე უნდა მიება და კარებთან ედარაჯა.

იონა გაჩენის დღეს იწყევლიდა, ვინ იცის რამდენჯერ დაუქადნია, გავშორდებიო, მაგრამ რაც არ უნდა მოემოქმედა, უფრო და უფრო იზიდავდა თილისმასავით, და ქადილი მალე ეძლეოდა დავიწყებას. ისიც ვერ გაარკვია, როდის სძულდა, ან როდის უყვარდა იგი.. ვერ გაეგო, რომელი იყო სიყვარულის გრძნობა, მის დანახვაზე თვალის ჩინს რომ კარგავდა, თუ მისი ჟინიანობით თავგაბეზრებული კარზე რომ უბრახუნებდა მუშტებს, ახლავე გამიღე, თორემ ნაჯახით შემოვამტვრევ და ასო-ასოდ აგჩნიო...

ასეთ ოქროსფერთმიან ბიჭუნაზე ოცნებობდა ის ქალი. მისთვის ეს აუხდენელი ყოფილა. აგერ, იონას თვალწინ დარბოდა იგი, მაგრამ მიკარების უფლება არ ჰქონდა.

იოს „მოგზაურთან“ რჩებოდა გული. ეს ზედმეტი სახელი იმიტომ შეარქვა, რომ მის ჩამოსვლამდე, ბაბუა სად არისო, იკითხავდა თუ არა, მოგზაურობს და მალე ჩამოვაო, პასუხობდნენ.

როგორც კი დედას სხვაგან დაიგულვებდა, ბიჭი იონასთან გამოლაპარაკებას ახერხებდა.

იო მას შორეული ქვეყნების ამბებს ეკითხებოდა. სანამ რამის მოყოლას შეუდგებოდა, აბა, ჩვენი ტომრიდან ერთი ფერადი ამბავი ამოვაძვრინოთო, იტყოდა იონა. იონას თვით ბიჭის კითხვები აღუძრავდა ერთი და იმავე თავგადასავლის გადასხვაფერების სურვილს, რაღაცის გაზვიადებას და გამოგონებას.

იო უსმენდა. ცნობისმოყვარეედ აფახულებდა ნათელ, წაბლისფერ თვალებს. მთელი მისი ბუნება ირეკლებოდა ამ თვალებში.

იონა რძლის დაბრუნებისთანავე მაგნოლიის ხის ქვეშ წვებოდა. შორიდან ადევნებდა თვალს იოს. ქალი ოთახში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯდომას აიძულებდა ბავშვებს, მაგრამ როგორც კი სადმე გავიდოდა, ბიჭი ფანჯარას მოადგებოდა და სათქმელს ხელებით ანიშნებდა ბაბუას.

მაგნოლიის ხე მუგუზალივით გაშავდა ერთიანად. არც ერთ ტოტს არ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი. ვაჟა არაფერს ამბობდა ხეზე. რძალი კაპასობდა. იონა ურყევად იდგა თავის სიტყვაზე. რძალს რამდენიმეჯერ დაცინებით მოსთხოვა, ხის მოჭრაზე ფიქრს შეშვებოდა.

საშინელი სიზმარი ნახა იონამ.

საღამოს ბინდბუნდში, კართან ატუზული იო გაარჩია. იგი გაკვირვებით შეჰყურებდა ბაბუას, იონას ჯერ კიდევ სიზმარში ეგონა თავი. წამოდგა, ოთახი გაანათა, საწოლზე ჩამოჯდა, მერე ხელი გაიწვდინა. იო მიუახლოვდა.

— როგორ ყვიროდი, ბაბუა! — თქვა იომ და მის შემცბარ სახეს დააკვირდა.

— ცუდი სიზმარი მქონდა. — უპასუხა იონამ.

ბიჭს მის სიტყვებზე გაეღიმა. ის ხომ „მოგზაური“ იყო და თავს იმდენი ფათერაკი გადახდენოდა, დაუჯერებლად მიაჩნდა, სიზმარს ასე რომ შეეშფოთებინა.

ოთახის კარს რძალი მოადგა. პატარა იო აიწურა. ქალს ამჯერად მისთვის არაფერი უთქვამს, ბიჭმა თავი დახარა, გარეთ გავიდა და უკანმოუხედავად გასწია.

ქალმა ოთახი მოათვალიერა. მის ერთადერთ სამკაულს, რკინის საწოლის თავზე გაკრული გაცრეცილი, უჩარჩოო რეპროდუქცია შეადგენდა. მუშამბაგადაკრულ, მომცრო მაგიდაზე გაურეცხავი ჭურჭელი ეყარა. მაგიდასთან ხის ორი სკამი იდგა. ოთახის ერთ კუთხეში ცარიელი ბოთლები ეწყო. ფანჯარასთან მიჭედებულ ლურსმანზე იონას საგარეო ტანსაცმელი ეკიდა. რძალი ოთახს ისე ათვალიერებდა, თითქოს პირველად ყოფილიყო აქ. მერე, საწოლზე ჩამომჯდარ, გახევებულ კაცს დახედა.

მას თეთრი, გრძელსახელოებიანი პერანგი ეცვა. თხელი, დაძარღვული ხელები მუხლისთავებზე დაეწყო. ჩავარდნილი, წვრილი თვალები მაგიდაზე დახვავებულ, ქონით გაგლესილი თეფშებისთვის მიეპყრო. ქალს დედამთილის სიტყვები გაახსენდა: „საოცარია ის ბრდღვიალა თვალები მაინც სად დაუდნა?“... მერე, მის დანაოჭებულ შუბლსა და ჩამოქნილ პროფილს მიაპყრო მზერა. ქალს ეს სახე მაინცდამაინც არაფერს არ ეუბნებოდა, არაფერზე არ მიანიშნებდა, არც იმაზე, ახალგაზრდობაში მისით მონუსხული ქალები ჭკუას რომ ჰკარგავდნენ, არც იმაზე, სოფიკო მთელი ცხოვრების გზაზე ხატივით რომ ევლებოდა მის სახელს. ერთი ჩვეულებრივი მოხუცი იყო, რომელზეც მისი აზრით, ლაპარაკიც არ ღირდა, და თუ ილაპარაკებდა, მხოლოდ მის ახირებებზე და მეტი არაფერი.

— ქუჩის თავში ისმოდა შენი ყვირილი, კაცს ეგონებოდა, გაჩრჩობდნენო, თქვა ქალმა.

— საშინელი სიზმარი მქონდა, — თქვა იონამ. საკუთარი ხმა ისე ეუცხოვა, დაბნეულად მიმოიხედა ირგვლივ.

— რაც შენ იმ ხეს დარაჯობ, მარტო სიზმარში კი არა, ცხადადაც მოგივა რამე, — თქვა ქალმა კარგა ხნის დუმილის შემდეგ.

— მომივიდეს მერე. ხომ ვთქვი, სანამ სული მიდგას, ხელსაც ვერ დააკარებთ.

— მეზობლებმა, ერთხელაც იქნება და არავის დაეკითხებითო.

— მათ ჩემს ეზოსთან რა ხელი აქვთ!

— როდემდის არ მოიშლი ნეტა ამ კერპობას?

— ჩემთვის ის გამხმარი ხე შვილივით ძვირფასია.

ქალმა ვერაფერი უპასუხა. შეტრიალდა, ფარღალალა კარი მიაჯახუნა და წავიდა.

კაცი ჭიშკართან იჯდა ისევ საღამოობით. გამვლელები ესალმებოდნენ.

— როგორა ხარ, იონა! — ეკითხე-

ბოდნენ სხვათაშორის და გზას აგრძელებდნენ. იონა ათასგზის ნატრობდა, შეჩერებულიყო ვინმე, გამოლაპარაკებოდნენ, თუნდაც უმნიშვნელო რამე ეთქვათ, ან მის მაგნოლიის ხეზე ჩამოეგდოთ სიტყვა, მაგრამ ისინი თავქუდმოგლეჯით მიიჩქაროდნენ სადღაც. არავის ემეტებოდა მისთვის ზედმეტი წუთი, და ეს უფრო აღონებდა, ვიდრე ყველაფერი ის, რაც გულს უფორიაქებდა ხოლმე.

— ისე, რა... „ძალზე უცნაურად". — აგრძელებდა პასუხს გულში და განუწყვეტლივფიქრობდა წარსულსა და მომავალზე.

ჭიშკართან მჯდომს, ზოგჯერ პარმენას დოლის ხმა ესმოდა შორიდან. პარმენამ თანდათან უკლო დაკვრას. მისი სახლის წინ რომ ჩაივლიდა, თვალს არიდებდა, ქუჩის მეორე მხარეზე მიიძურწებოდა დამნაშავესავით, რომელიმე მეზობლის ჭიშკართან ჩამოჯდებოდა და დუმდა დიდ ხანს. ერთი-ორჯერ ჩამოჰკრავდა დოლს, ისევ მიჩუმდებოდა, წამოდგებოდა და ადგილს შეინაცვლებდა. იონა თვალს მოჰკრავდა ღამის სიბნელეში, შემთხვევით რომელიმე სახლიდან გაელვებული შუქის ფონზე უძრავად მჯდომს, მერე ხედავდა, როგორ დგებოდა და ქურდული ნაბიჯებით როგორ მიემართებოდა სადღაც.

მას მუდამდღე ამასხარავებდნენ, ერთი ქუჩიდან მეორეზე ერეკებოდნენ და ეს არასოდეს ჩაუხვევია გულში, რასაც მისი სიბრიყვით ხსნიდნენ და ეგონათ, თუ არ დასცინებდნენ, მოიწყენსო კიდეც; ყველაფერს ითმენდა, მაგრამ როცა ვაჟამ სახლიდან გააგდო, ვერაფრისდიდებით ვერ აპატია მას ეს უდიერობა. იონა გაოცებული იყო, მის ერთთავად დაჭყანულ სახეს მწუხარე იერი რომ მისძალებოდა. საცოდავი გამომეტყველება ჰქონდა ამჯერად. დიდ ხანს ადევნებდა თვალს უცნაურად გარინდებულს, მერე მის დაკვრაშიც შენიშნა რაღაცის დარღვევა და აინტერესებდა, რა შეცვლილიყო მის არსებაში.

ერთ საღამოს, ქუჩის მეორე მხარეზე მიიძურწებოდა პარმენა. იონამ შეიხმო. იგი ყოყმანით გაჰყურებდა მათ ეზოს, მაგრამ მაინც შეჩერდა.

— რატომ გამირბიხარ? — ჰკითხა იონამ, გვერდით რომ მოისვა ძელსკამზე.

— მრცხვენია, — კარგა ხნის დუმილის შემდეგ თქვა პარმენამ.

იონა მისმა სიტყვამ მართლაც გააოცა, ყურადღებით დააკვირდა. პარმენას თავი ჩაეკიდა და ნაფლეთებად ქცეული ფეხსაცმლის ჭვინტს დაჰყურებდა ისე, თითქოს პასუხს იქედან მოელოდაო.

— რისი, შე კაი კაცო! — წამოიძახა იონამ.

— ვეღარ ვუკრავ ბოლო ხანებში. სულ რაღაცაზე ვფიქრობ... ბავშვობა მაგონდება... მერე ერთი-ორჯერ ჩამოვკრავ დოლს, ისევ რაღაცაზე ვიწყებ ფიქრს... და ვარ ასე...

იონას შეებრალა ეს, ჩამოგლეჯილ შარვალ-ხალათში გამოხვეული კაცი. მასში ქვეყნის სიბედშავეს მოეყარა ერთად თავი, მაგრამ მაინც შერჩენოდა უნარი, ეფიქრა სხვაზე. პარმენა გრძნობდა, რომ მისი დაკვრა აუცილებლად სჭირდებოდა იონას და ვუღალატეო, — ქენჯნიდა სინდისი.

— გაგივლის. მერე უკეთესადაც დაუკრავ.

— მეც ეგ იმედი მაქვს. რომ არ დავუკრა, ვინღა გამომიწვდის ლუკმას.

იონამ ერთი პირობა იფიქრა, იქნებ უმჯობესია კიდეც, დაკვრა რომ მიატოვოს და ვინმემ უპატრონოსო. მას ფიზიკურად არასოდეს უშრომია, თუ იმას არ ჩათვლიდი, ვინმეს ათასში ერთხელ შეშას რომ დაუჩეხავდა, ან რაიმე ტვირთს მიუზიდავდა. სამადლოდ ძველმანებს გამოუტანდნენ, ან არაყს დაალევინებდნენ. მერე დოლის დაკვრით არემარეს გააყრუებდა და დიასახლისების წყევლა-კრულვა მისდევდა უკან.

— გუშინ შენი სოფიკო ვნახე. ეზოში იჯდა და წინდებს ქსოვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იონა მისმა სიტყვებმა გამოაცოცხლა. სოფიკოს სახლიდან წასვლის შემდეგ, ეს მეორე, თუ მესამე შემთხვევა იყო, მასზე რომ ესაუბრებოდნენ.

— საჭმელი გამომიტანა და გამომელაპარაკა.

— რაო, რა გითხრა.

— შენზე მკითხა, რას შვრებაო.

გული შეუქანდა იონას. ძელსკამის საზურგეს მიეყრდნო და მიყუჩდა. პარმენა მონოტონურად დუდღუნებდა რაღაცას, მაგრამ იონას ცნობიერებამდე არაფერი დადიოდა.

— გამარჯობა თქვენი! — გამოაფხიზლა ვიღაცის ომახიანმა ხმამ.

იონას წინ მეზობელი იდგა.

— გაგიმარჯოს! — გაეპასუხა იონა დაბნეულად და პარმენას მიუბრუნდა.

— როგორ გიკითხო იონა! — თქვა კაცმა.

— არა მიშავს, კარგად. — უპასუხა იონამ და მეზობლის უადგილო ცნობისმოყვარეობით თავგაბეზრებულმა, პარმენასთან სცადა გამოლაპარაკება. მეზობელი არ იძვროდა. სარგადაყლაპულივით უყურებდა იონას კარგა ხანს, მერე უეცრად მიტრიალდა და წავიდა.

დუმდნენ ორივენი. იონამ ცუხცუხით მიმავალ მეზობელს რომ გახედა, გაეღიმა. მერე თანდათან გაუქრა ღიმილი, პარმენასკენ მიბრუნდა და ხელი შეახო.

— მოიხედე, როგორ გკითხა, სხვათაშორის თუ გულიანად?

— რა ვიცი, კი მკითხა და... — გაეცინა პარმენას.

იონა შეცბა. ერთი სული ჰქონდა, დაწვრილებით გაეგო ყველაფერი სოფიკოს შესახებ, მაგრამ იმისი გამომჟღავნებაც არ უნდოდა, რომ დღე და ღამე ფიქრობდა მასზე. ქალმა იონა პირველად იკითხა. მანამდე შვილებთანაც არ დასცდენია მასზე სიტყვა და ახლა ეს ამბავი დაუჯერებლად მიაჩნდა. უნდოდა გაეგო, როგორი ხმით ჰკითხა, როგორი სახე ჰქონდა, პარმენას რომ ესაუბრებოდა.

— მერე, გააგრძელე! — შესძახა მოთმინებადაკარგულმა პარმენას.

— როგორ გამოიყურებაო, ჯანმრთელად ხომ არისო და გათავდა...

— საყვედური ხომ არ წამოსცდენია ჩემზე, — ფრთხილად იკითხა იონამ.

— არა, ხომ გითხარი, როგორ არისო, რას აკეთებსო, — თქვა პარმენამ და მის გაფითრებულ სახეს მოარიდა მზერა.

— შეხედე, ერთი, საყვედურის სიტყვა არ უთქვამს! — წამოიძახა იონამ გაოცებით.

* * *

იმ დღეს, დილაადრიანად წამოდგა. ნაჩქარევად წაიხემსა და სახლიდან გავიდა. ცხენსაშენში მისი გამოჩენა გაუკვირდათ, მაგრამ არაფერი უთქვამთ.

ცხენსაშენის უფროსი ჩასუქებული ხნიერი კაცი, საწერ მაგიდასთან იჯდა და ილუსტრირებულ ჟურნალს ათვალიერებდა. ცალ ხელში დაჭმუჭნილი ცხვირსახოცი ეჭირა და წარამარა იმშრალებდა გაოფლილ სახეს, თავაუწევლად მოისმინა იონას ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი და ეგრევე თავაუწევლად გამოართვა განცხადება.

— ის მედოლეც თუ აპირებს მოსვლას, ვერ მიგიღებ, — თქვა მან, განცხადებაზე რომ აწერდა ხელს.

— არა, მარტო ვიქნები, — სინანულით უპასუხა იონამ.

უფროსმა თავი აწია და ახედა. იონას გაფითრებულმა სახემ ჩააფიქრა. ცხვირსახოციანი ხელი ჰაერში გაუშეშდა, მერე წამოდგა, მაგიდას შემოუარა და მიუახლოვდა.

— რაო, ავად ხომ არა ხარ. სახეზე ცუდი ფერი გადევს.

— არა, — აიწურა იონა.

იგი კეთილად განეწყო ამ კაცის მიმართ. გაეღიმა.

— იმასაც მივიღებ, თუ სამუშაო საათებში არ დაუკრავს, — თქვა უფროსმა.

— არ მოვა, უდოლოდ ვერ ძლებს.

— ცხენები დაგიღდებიან, თორემ მართლა მივიღებდი.

— ვიცი.

უფროსმა ყურადღებით შეათვალიერა ისევ. შებრუნდა, მაგიდისკენ გაემართა, დაჯდა და ოფლი შეიმშრალა. იონა წამოდგა.

— თუ თანახმა ხართ, ხვალვე შევუდგები მუშაობას.

— ჰო, აბა შენ იცი. — თქვა მან და თავის ჟურნალს მიუბრუნდა ისევ.

იონა დუნე ნაბიჯებით გაემართა კარისკენ.

— მართლა. გამახსენდა, თუ გინდა, ოთახსაც მოგცემთ. შეგიძლია დარჩე ხოლმე, რომ ამ გრძელ გზაზე სიარულმა არ დაგქანცოს ყოველდღე.

იონა შეჩერდა და მიბრუნდა მისკენ. აინტერესებდა იმ სიტყვებში მისი ოჯახის ამბების გაგების სურვილი იმალებოდა, თუ რამე იცოდა მათზე. მაგრამ უფროსის სახეზე ვერც ერთი და ვერც მეორე ამოიკითხა.

—რატომ მითხარით ეს!— ვერ მოითმინა მაინც.

— არ იცი? ვინც აქ შენამდე მუშაობდა, სარგებლობდა ხოლმე იმ ოთახით.

— არაა საჭირო. მე ჩემი სახლი მაქვს და იქაც კარგად ვგრძნობ თავს.

— როგორც გნებავდეს, — მშვიდად თქვა უფროსმა.

იონა უფროსის კაბინეტიდან დიდად ნასიამოვნები გამოვიდა. იგი თითქმის გადაჩვეული იყო ასეთ ყურადღებას და გულზე მოეშვა, ვილაცამ მის მიმართ ზრუნვა რომ გამოიჩინა.

მსუბუქად მიაბიჯებდა. ქამიუამ, მანქანები ჩაუქროლებდნენ. ყველაფერს ნატიფი და უჩველო ფორმა ჰქონდა თითქოს. ისეთი საგნები, რომლებისთვისაც ათასჯერ მაინც ჩაევლო გვერდით და არასოდეს არ მიუზიდავს მისი ყურადღება, აოცებდა და თავის თავს ეკითხებოდა, ადრე როგორ ვერ შევნიშნეო.

მჭვირვალ ცაზე აქა-იქ მიმოფანტული ღრუბელთა ფთილებიც აკვირვებდა. გზაზე შემხვედრი ბიჭები და გოგონებიც განსხვავებული ხმით მიედურტულებდნენ. წყაროსთან თავმოყრილი ქალებიც უფრო სანდომიანნი და მოძრავნი ჩანდნენ. პატარა მოედანზე მოთამაშე ბიჭებიც სხვანაირად აწოდებდნენ ერთმანეთს ბურთს. იგი შედგა, კარგა ხანს აკვირდებოდა მათ თამაშს. მერე თავბრუხვევა იგრძნო, მდელოზე წამოჯდა, გაიშოტა და ფართოდ გაშალა მკლავები. ცა წრიულად მოძრაობდა დიდხანს. მერე ერთ ადგილზე გაჩერდა.

თვალი მილულა. მიწის სუნთქვა ესმა ცხადად და დააყურადა, არც ამისთვის მიუქცევია მანამდე ყურადღება და ინანა, რომ ასე ბრმასავით დააბიჯებდა თურმე მთელი ცხოვრების მანძილზე. რამდენი რამ არსებულა და რამდენი რამ დარჩენილიყო მის მიღმა. ვილაც-ვილაცებს ეგონათ, რომ იგი ყველაფრის მნახველი იყო, მაგრამ პირველად ფიქრობდა ისეთ რამეებზე, როგორიცაა — მიწის სუნთქვა და სამყაროს უსასრულობა, რაც თუ ადამიანმა ვერ იგრძნო, გონიერ არსებად არ ჩაითვლება.

მას მხოლოდ ინსტიქტებით როდი უცხოვრია, მაგრამ ისე ხდებოდა, რომ ყოველთვის ერთი და იმავე მოვლენის გარშემო უხდებოდა ტრიალი. ვერ ახერხებდა სხვაგან გახედვას, თითქოს საპყრობილეში ყოფილიყო გამომწყვდეულიო და მოულოდნელად, სამყაროს ასე სხვა განზომილებაში და ფერებში აღქმამ — შესძრა.

გულისყურით აკვირდებოდა მცენარეებს, ადამიანებს და შენობებს, მათ სხვა აზრი და დანიშნულება შეეძინათ თითქოს და ცდილობდა ჩასწვდომოდა მათში თავმოყრილ საიდუმლოებებს.

არავისთან არ ჰქონდა ლაპარაკის სურვილი. უნდოდა თავის შთაბეჭდილებებში თვითონ გარკვეულიყო. უკანასკნელი საოცრება მისთვის ქუჩა იყო, სადაც ცხოვრობდა. ფერებმა კინაღამ წალეკეს იონას წარმოსახვა.

ეზოს რომ მიუახლოვდა, ნაჯახის კაკუნი მოესმა, მაგრამ ფიქრებში ჩაძირულს, ამისთვის არც მიუქცევია ყუ-

რადლება. ჭიშკარი შეაღო და რძალს რომ არ გადაჰყროდა, ყვავილნარის გავლით უკანა ოთახისკენ გაემართა. ოთახში შევიდა, კარი ჩაკეტა და საწოლზე წამოწვა.

ძილქუშში, ნაჯახის ხმა ჩაესმა. ყურადღება დაძაბა. საიდანღაც, ახლოდან ისმოდა კაკუნი. წამოდგა, ეზოში გავიდა და სახლს შემოუარა.

გამხმარ მაგნოლიასთან მეზობლები შენიშნა. იდგნენ და სიგარეტს ეწეოდნენ. იონა მიუახლოვდა მათ, მიესალმა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა. მათ იქვე ნაჯახები ეწყოთ, ხე ნახევრამდე მოეჭრათ და ისვენებდნენ. იონა სახლისკენ შებრუნდა. თვალი შეასწრო ფანჯარაში გაუჩინარებული რძლის ლანდს. მეზობლები დაბნეულად შეჰყურებდნენ იონას.

— თანახმა არისო და აი, ვჭრით. ჩვენში რომ დარჩეს, არაფრის მაქნისი ხე რა შავ ქვად გინდათ, — თავის მართლება დაიწყო ერთმა.

იონას პასუხის გაცემა უნდოდა, მაგრამ ყველაფერს აზრი დაეკარგა მისთვის. ან რა უნდა ეთქვა, როცა საქმე სანახევროდ მოეთავებინათ და აწი ხეს ვერაფრით ვერ უშველიდა. ბრაზი, რომელიც გულზე მოაწვა, დაიოკა, შეტრიალდა და თავისი ოთახისკენ გაემართა.

საწოლზე წამოწვა თუ არა, ნაჯახის კაკუნი განახლდა. საბანქვეშ შეძვრა, ბალიშით დაიხშო ყური, მაგრამ ნაჯახის ხმა გარკვევით ესმოდა ისევ. რამდენიმე ხანს ითმენდა, მერე უეცრად წამოდგა და გარეთ გავიდა.

— ძნელი მოსაჭრელი კი გამოდგა ეს ხე! — მიაძახა ერთმა მეზობელმა, როგორც კი შენიშნა იონა. მერე, შეიცადა, ნაჯახი დაუშვა, ხელზე დაიპურჭყა, ისევ მოიმარჯვა და მთელი ძალით მოიქნია.

— რატომ ჭრიან ამ ხეს, ბაბუ! — მოესმა იონას ბიჭის ხმა. იონა მისკენ შებრუნდა. იო კიბეზე იდგა და ხის მჭრელებს შეჰყურებდა.

— გახმა შვილო! — გულდაწყვეტილად თქვა იონამ.

ეროვნული

— ნუ ჭრით... ხომ გეუბნებით, ნუ ჭრით! — წამოიძახა ბიჭმა, ფეხები დააბაკუნა კიბეზე და ხის მჭრელებისკენ გაიქცა.

კაცებს ბავშვის სიტყვებზე სიცილი აუტყდათ. მოჰყვნენ ხუმრობას, როგორც კი ეს ხე წაიქცევა, მის ადგილზე სხვა მაგნოლია ამოვაო. იო მიხვდა, რომ აპამპულებდნენ. ერთ-ერთ ხის მჭრელს ეცა მკლავში. მან მსუბუქად მოიცილა ბიჭი და საქმე განაგრძო. იო ისევ მივარდა. მეზობელმა ამჯერადაც მოიცილა, მაგრამ ბიჭმა წაიფორხილა და წაიქცა.

ეს რომ დაინახა, გაშმაგდა იონა. ხის მჭრელს ნაჯახი აართვა და ჭიშკრისკენ გაირეკა ისინი. მეზობლები აყაყანდნენ. რძალი აივანზე გადმოდგა და იონა დაწყევლა. იგი დაბრუნებას თხოვდა მეზობლებს. იონა არ თმობდა. მეზობლები ყვირილზე გადავიდნენ. იონამ რამდენჯერმე სცადა მათი გაგდება, მაგრამ გაუძალიანდნენ და ფეხი ვერ მოაცვლევინა.

ამ ორომტრიალში, მეხთატეხასავით გაისმა ტკაცანი. იონამ ხისკენ გაიხედა. იგი ავბედითად გადახრილიყო ცალ გვერდზე. მის ძირას იო იდგა და გამარჯვებული სახით გაჰყურებდა ხის მჭრელებს. ხის ტკაცანს რძლის შეცხადება მოჰყვა.

იონამ მეზობლებს თავი ანება და მოსწყდა ადგილს. თვალწინ თვალებაბრდღვიალებული ბიჭი ედგა მხოლოდ, ქალი იოს ეძახდა, გამოიქეცი, ხე ეცემაო, მაგრამ ბიჭმა ნაბიჯი ვერ წადგა. ქალი აივანზე წრიალებდა და შემზარავად კიოდა.

იონა კი მირბოდა. ერთი წუთიც იყო საკმარისი, რომ მის მიერ ამოჩემებულ ხეს ოქროსფერთმიანი ბიჭი ემსხვერპლა. მირბოდა იგი და ხედავდა, როგორ ჩაელვარა ბავშვს თვალებში დაუძლეველი შიში, მერე რანაირად მოიკუნტა და უმწეოდ ჩაჯდა მიწაზე.

ქალი კიოდა. აფთარივით დაწრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებდა აივანზე. შემდეგ თავგანწირვით გაექანა შვილისკენ.

იონა ხეს რომ მიუახლოვდა, იმედის სხივმა იელვა ბიჭის თვალებში. წამოიმართა, დედაჩიტს მომლოდინე მშიერი ბარტყივით დააღო პირი, რაღაც წამოიძახა, მკლავები გაშალა და მკერდზე მიაფრინდა კაცს.

იონა სახლისკენ გაიჭრა. ხემ მუქარით გაადინა ჭახანი, ქალმა ცა ჩამოიღო კივილით. იონა ხეს ოც ნაბიჯზეც არ იქნებოდა დაცილებული, რომ ხე ლიწინით წაიქცა. იონამ მთელი ძალღონით მოიქნია ბიჭი და თვითონაც გაექიდა უკან.

იგი ხედავდა, როგორ მიჰქროდა ჰაერში იო. მისი ხსნის იმედის შუქი დაიძრა სადღაც... და ხის ტოტებში ელვასავით ჩამოემხო მხრებზე..

მეზობლებმა ხის ტოტები აკაფეს. იონა პირქვე ეგდო მიწაზე. მთელი სხეული გასისხლიანებოდა. რძალი მუხლებზე დაეშვა და ფრთხილად გადმოაბრუნა. იონამ მძიმედ დაიკვნესა. ცოტა ხნის შემდეგ, თვალი გაახილა. მის წინ მდგომ იოს და მუხლმოყრილ რძალს მინავნებული მზერა მოავლო. სახე ნაღვლიანმა ღიმილმა დაუფერა. ბიჭისკენ გაიწვდინა მკლავი, მაგრამ უღონოდ ჩამოუვარდა...

მზე უკანასკნელი სხივებით ეალერსებოდა ხეთა კენწეროებს.

ქუჩიდან მანქანების გუგუნი ისმოდა, მაგრამ ამ ხმაურში მაინც მოიკვლევდა გზას დოლის რიტმული ხმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამუკა დოლიძე

# მოთხრობები

## უსახელო ნაცნობი

იმ დღეს ქუჩაში შემხვდა გამვლელი, რომელსაც ნაცნობის გარეგნობა ჰქონდა. არსებობენ ასეთი ადამიანები — შეხედავ და ერთი სული გაქვს მიესალმო, გეჩვენება, რომ სადღაც გაცნობილი თუ არა, ნანახი მაინც გყავს ეს დარბაისლური გარეგნობის, პეწით ჩაცმული კაცუნა. იმ დღესაც ასე დამემართა: ისე მომაჯადოვა მისმა სანდომიანმა სახემ, რომელზედაც ნაჭრის ფოლაქებივით ისხდნენ რბილი, ხავერდოვანი თვალები, რომ სურვილი გამიჩნდა მივსულიყავი და მივსალმებოდი. სადღაც ნამდვილად შემხვედროდა ან ის, ან მისი ტყუპისცალი; თუმცა არ ვიცი, ეს ეჭვი ჩემი გულმავიწყი მეხსიერების თვალთმაქცობა იყო, თუ მისი თოჯინური სილამაზის ჯადო. სადღაც წარსულში, სადაც იგრძნობოდა დიდი სინათლე და სივრცე, იდგა ეს ლამაზად ჩაცმული კაცუნა და მოთმინებით მელოდა, როდის მოვიგონებდი, როდის ვწვდებოდი მის დავიწყებას მიცემულ სახელს.

იქნებ ჩემი მივიწყებული ძმაკაცთაგანი იყო, ასე გულდამშვიდებით რომ გამოვიცვალე სტუდენტურ ცხოვრებაში? ან ვინმე ცნობისმოყვარე მეზობელი, სულ რომ ვგრძნობდი მის პოუშორებელ, თვალით მოუხელთებელ მზერას? ან რომელიმე გადამთიელი ნათესავი, მხოლოდ სამძიმარზე რომ გვახსენებს თავს?

ან იქნებ სულაც ჩემი კოლეგა, ერთ-ერთი იმ უსახურ და შეუმჩნეველ თანამშრომლებს შორის, ჭიანჭველებივით რომ დაფუსფუსებენ ჩვენი ინსტიტუტის კედლებში?

მოკლედ, ვინც არ უნდა ყოფილიყო ეს თავმომწონე, გადამეტებული გემოვნებით ჩაცმული ვინმე, ცხადია, რომ უხილავი ძაფებით დაკავშირებული იყო ჩემს წარსულთან და უნდა მივსალმებოდი, მით უფრო, რომ ჯიქურ მომჩერებოდა, ვით იშვიათი ჯიშის ცხოველს; ალბათ გრძნობდა, რომ რაღაცა ეჭვით ვიყავი შეპყრობილი მის მიმართ. იმასაც გრძნობდა, რომ საერთოდ სუსტი, დაბნეული და მერყევი კაცი გახლდით. ღიმილიც კი შემოადგა პირზე. თითქო შემიბრალა ეჭვებში ჩავარდნილი, თვითონ გადმოდგა ნაბიჯი და ხელი ჩამომართვა.

— როგორ ხარ? სად დაიკარგე? — ისე ლაღად და შინაურულად მკითხა, თითქო ბავშვობის მეგობარი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ვიზამ, ვცოცხლობ, — იგივე გულთბილი უბრალოებით მხარი ავუბი მე, — სამსახური, ოჯახი...

— ისევ იქა ხარ? — ვერ მივხვდი რას მეკითხებოდა და პასუხის გაცემას მრავალაზროვანი, ჩუმი დასტური ვარჩიე.

უცნობი გაჩუმდა. რაღაც შეკავება ვიგრძენი მასში. თითქო ლაპარაკისგან გადახურდა და მზერა ჩაუქრა. მაგრამ ეს შესვენება გამიზნული აღმოჩნდა, რადგან ზოგადი შეკითხვები ამოწურა და ახლა ჩემი მხრიდან ელოდა მიკითხვ-მოკითხვას.

— თავად როგორ გიკითხოთ? — საპასუხო ჩხვლეტა მივაყენე მე.

— არა მიშავს-რა.

— დაიცავი?— შევბედე საჭირბოროტო კითხვა, თავისი სტანდარტულობით ყველა შემთხვევაში ვარგისი.

— უკვე გადავეცი.

აქ მან ისე გამიღიმა, მაგრძნობინა— ვიცი სისულელეა ეს ყველაფერი, მაგრამ საჭიროაო. ამ შინაგანი, ჩუმი და ცხადი აღსარებით უფრო გავთამამდი, თუმცა სახელის არცოდნა საშინლად მაბრკოლებდა, იძულებულს მხდიდა ისეთი ფრაზები შემერჩია, რომლებიც თან ზოგადი იქნებოდა, თანაც თბილ-მეგობრული.

— ცოლ-შვილი როგორა გყავს?

პასუხის ნაცვლად უცნობმა გულმოწყალედ გამიღიმა. მივხვდი, რომ რაღაც შემეშალა და მოულოდნელად აზრი დამებნა.

— ცუდი ამინდები დაიჭირა, — ბანზე ამიგდო სიტყვა. რომ უხერხული მდგომარეობიდან გამოვეყვანე, თუმცა ასეთმა შეშველებამ გაბედულება სულ დამიკარგა და საბოლოოდ წამართვა საუბრის ხალისი.

— აბაა...

— ბიჭებს თუ ნახულობ? — კვლავ მომაყენა დარტყმაზე დარტყმა.

მართალი გითხრათ, წარმოდგენა არ მქონდა სადაურ და რომელ ბიჭებზე იყო საუბარი; მეხსიერებაში თითო-თითოდ ამოტივტივდნენ ფერგამკრთალი თანაკლასელები და კიდევ უფრო გაცრეცილი ბავშვობის მეგობრები, მაგრამ ვერც ერთზე ვერ შევაჩერე ჩემი ყურადღება... არადა, მართლა საშინლად ნაცნობი სახე ჰქონდა, თითქო წამის უკან დავშორდი, კარგად მივლილი, გაურკვეველი ასაკის მქონე; ძალიან ვრცელ და ძალიან ნათელთან იყო დაკავშირებული მისი მოგონება, მისი ნაძალადევი ღიმილი, თავაზიანი მიხვრა-მოხვრა, მოდაზე შეკერილი სამოსი, მკლავზე გადაგდებული ქურთუკი...

— ეჰ დრონი, დრონი, წავიდ-წამოვიდა სუყველა...

— აბა, აბა, — სუსტად გააქნია თავი, თითქო ეშინოდა თმა არ ამეშალოსო. — ზაფხულში საით აპირებ?

— ჯერ არ გადამიწყვეტია.

— ყველაფერი პრობლემა გახდა, — ყალბი წუხილით ამოიოხრა და უცებ ისევ წახდა, ისევ გაექცა თვალები, ისევ ჩაქრა გადამწვარი თოჯინასავით, მაგრამ მსწრაფლ გამოერკვია და გამიღიმა.

— სვაამ?

— სადღა შემიძლია გული, თირკმელი...

— ტრუსკავეტსკში უნდა დაისვენო. ეწევი?

— ცოტ-ცოტას.

— მომაწევინე თუ გაქვს...

გამომართვა, მოუკიდა, მაგრამ ნაფაზი არ დაურტყამს, ტყუილ-უბრალოდ გააბოლა და განაგრძო.

— თავს უნდა მოუარო, ცოტა სვაჭამო, მაშინ ცხოვრებაც აწყობილი გექნება. თუმცა რა ჭკუას გასწავლი, წუხელ ისე დავთვერი, ისე დავთვერი, რომ არ მახსოვს სად ვიყავი, ვისთან მეძინა.

და დაიწყო იმის მოყოლა — როგორ დათვრა, სად იყო, ვისთან ეძინა — ვიგრძენი, რომ ცივმა ოფლმა დამასხა, კინაღამ არ გადავირიე; ყურს ვუგდებდი მორჩილად და ერთი სული მქონდა ყელში ვწვდენოდი; რაღაცა ჩემს არსებაში ღრმად ჩამჯდარი თუ ჩამალული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღიმილით ჭვრეტდა ამ უაზრო, სულელურ მდგომარეობას, როცა გაქცევა გინდა და ადგილიდან ვერ განძრეულხარ.

— შვებულებაში როდის გადიხარ?

— დამირეკე ხოლმე.

— დაგვიძველდა პურ-მარილი.

— სულ დაკავებული ვარ.

— შემთხვევით თუ შევხვდებით.

— გართულდა ცხოვრება.

— მაინც უნდა დაისვენო.

— ვერაფერს ვერ იზამ.

— რა გინდა რომ ქნა?

— გამოიარე ხოლმე.

— მოიკითხე თქვენები.

ასეთ სიტყვა-პასუხში ვიყავით გართულნი, რომ უეცრად ქსოვილების მაღაზიიდან ნოქრები გამოცვივდნენ. ჩემმა ნაცნობმა მოჰკრა თუ არა თვალი მათ, ფერი იცვალა. კოხტა, პეწით ჩაცმული კაცუნა რაღაც გულისამრევ, შიშით სახედაფოთლილ გაურკვევლობად იქცა. დაივიწყა ზრდილობაცა და ეტიკეტიც, საუბარი შეწყვიტა და ისეთი მსუბუქი, ჰაეროვანი მიხვრა-მოხვრით გამშორდა, თითქო ცარიელი ტანსაცმელი ცეკვავსო.

— დაიჭირეთ, — დასჭყივლა საქტრიკოტაჟის ამქარმა და გაშლილი ფრონტით გამოუდგა გაქცეულს.

ვიდრე გონს მოვიდოდი, [illegible] იპყრეს, ცემა-ტყეპით უკან დააბრუნეს, ზორბა საქონელმცოდნემ წიხლი ჰკრა და მაღაზიაში შეაგდო.

ღმერთო, გამახსენე სად შემხვედრია ეს კაცი! სად! ახლა უკვე საკუთარ გულმავიწყობაზე გაბრაზებულმა დავიწყე ქექვა მოგონებების სკივრში. შენც არ მომიკვდე! ვერც გავიხსენე, ვერც დავივიწყე! მისი მოტკბო, ნაძალადევი ღიმილი არ მშორდებოდა, ისევ და ისევ მაღიზიანებდა გაურკვეველი, ეჭვის გამომწვევი თვითგვემით. სად მინახავს, სად? ელექტრომთვლელივით მირტყამდა თავში, თან ბრმად დავეხეტებოდი მაღაზიის წინ, ხალხით გაჭედილ ტროტუარზე, რომ უეცრად რაღაც ძალიან ვრცელმა და ძალიან ნათელმა მიიქცია ჩემი ყურადღება. მიკიხედ-მოვიხედე და მოულოდნელობისაგან ადგილზე გავშრი! ჩემს წინ, მზატანსაცმლის სარეკლამო ვიტრინაში, მანეკენებს შორის, კოხტად გამოწყობილი და თმებზე ბრიოლინწასმული, თავაზიანად თავდახრილი და ხელზე ქურთუკგადაგდებული, სარკის წინ დაყენებული ღიმილით, ჩემი უსახელო ნაცნობი იდგა!

## მაია

მაია დაიბადა შემოდგომაზე, ქალაქში. მაშინ ცივი შემოდგომა იდგა. თბილისი იყო ძალიან შორეული, რაღაც სხვა... მაია იწვა საქანელა-ტახტზე და მცინარე, გაკვირვებული თვალებით ეცნობოდა ოთახის სამყაროს. უსასრულოდ წვიმდა; რაღაც უცნაური მოლოდინი მოჰქონდა თქეშს, მოლოდინი ჯერ განუცდელი და განუაზრებელი ცხოვრებისა, ქროლვასავით მჩატე და ცარიელი...

მას შემდეგ მრავალჯერ იწვიმა, მრავალჯერ შემოიპარა შემოდგომის სევდა და სურნელი, მკვდარი ფოთლების სუსტი არომატი, — მოგონება პირველი შემოდგომისა; მაიას არ ახსოვს როგორ დაიბადა, როგორ ათვალიერებდა ბნელ, ჩუქურთმიან ოთხკედელს, მაგრამ დაბადების წვიმა მარადიულ, სასიამოვნო ტკივილად ჩაესახა გულს.

ბავშვობა ისე მიიწურა, წვიმას არ გადაუღია, ღრუბლები ილევრებოდნენ და ვერ ჩამოღვარეს ცა, ფანჯარა კი ირეცხებოდა და ირეცხებოდა თითქო ახალშობილის სულიაო, შემდეგ გამოჩნდა ნათელი, ხმაურიანი სამყარო, ფან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯრის მინაზე დაირთქლა მისი ლამაზი სახე, ხან მოღრუბლული, ხან გაბადრული, ბოლოს კი იმედგაცრუებული, მარტვილი.

და აი ისევ იგივე საქანელაში ზის, ნერვიული, სიმივით მომართული, თვალებში სევდაჩამდგარი, სიბერისაგან შეჭმული სახით. ზის თავის ძველ სავარძელში და მზერა ფანჯარაზე შეუჩერებია, რომელიც თითქო ახალშობილის სულიაო, ირეცხება და ირეცხება უსასრულო თქეშით... ცხოვრება გავიდა. გავიდა ისე, რომ არ გადაუღია წვიმას.

## შიომღვიმე

თვალისმომჭრელი, მზით სავსე ველი, მტკვრის ხეობიდან ამოხეთქილი გულიათური ღრუბლები, — რა წვრილმანიც არ უნდა გამოჩნდეს აქ, ამ მზის შუქჩრდილებით მოქარგულ მინდორზე, განუმეორებელი სილამაზე და აზრი ენიჭება... ზესკნელი ერთთავად ათასი ცეცხლითაა ხანძარწაკიდებული. ელვის სისწრაფით თენდებიან სალი, გაშიშვლებული კლდეები, მათი ზმანება უშფოთველია და მიუწვდომელი, მათი წაკვთები პირქუშია და მარტივი, მაგრამ რამდენი ძალა და თავშეკავება იგრძნობა ამ ქედმოუხრელი სიმარტივიდან, უდაბნოს მტვერში მდუმარე ლოდებად აღმართული სიმარტივიდან!

ახლა თვალსაწიერზე დათოვლილი უღელტეხილი იშლება ლურჯი მთაგრეხილითა და აქლემის კუზით, რომლის მწვერვალზე ეული ცაცხვი გაშლილა... მისი შოლტივით შემოქნეული, ტანმაღალი სხეული, ქერათმიანი ქალმერთის ზემსუბუქი ღიმილით გისწორდება მოზღვავებული ღრუბლების ციდან... უდაბნოს მშვენიერება! მშვენიერება სამკაულების გარეშე, თავისი შიშველი და სალი კლდეების არსებით... ფირუზისფერი ელფერი, შემოგლეჯილი მიწა, მონასტრის სისხლისფერი გვირგვინი და ზებუნებრივად გამძაფრებული ლაჟვარდი ზეცა, რომელიც განსაკუთრებული სიდიადითა და სიმძაფრით მფარველობს ამ ერთ შემართებაზე, შემოქმედის ერთ თავდავიწყებაზე აშენებულ ქვეყანას...

## პლატონის აკადემია

ქალბატონმა ირმამ დიდი წვეულება გამართა. ბატონმა ლეომ ბატკანი გაატყავა, აქნა, რძეში ჩადო და ხელ ცეცხლზე მოხარშა. ძვალხორციანად შევთქვლიფეთ. ღვინოც მშვენიერი ვსვით, მაგრამ ხმა ვავარდა, რომ აპოლონის ქელეხში უკეთესი სასმელი აქვთო. იქ პლატონი თამადობდა, აქ — ფოცხვერი. მართალია. მჭევრმეტყველებაში ვერავინ დაჩრდილავდა პლატონს, მაგრამ დროს ტარება ჩვენ უკეთესი ვიცით. რა ვიმღერეთ! გული სიამაყით გვევსებოდა, რომ ჩვენი ომახიანი სუფრული მთელ ეზოს სცემდა თავზარს. გაიგოს ქვეყანამ, რომ ვქეიფობთ! გასკდნენ შურით! ღვარონ სინანულის ცრემლები იამ, მიმოზამ და ლალიმ, ჩვენთან ყოფნას დაბადების დღეზე წასვლა რომ არჩიეს, სადაც მხოლოდ კონიაკი და მოწყენილობა დახვდებათ...

მოსაწყენია ეს ქვეყანა, ძმებო! მაგრამ ჩვენ არ მოვიწყენთ! მარტო დევიმხარის ბეჟი გამოხრა! ძვალზე ირმამ და ნუკრიმ მოაწერეს ხელი. ფოცხვერმა სულმოუთქმელად სამი განსხვავებული თასი გამოცალა და ალავერდს ჩემთან გადმოვიდა. ვიდრე სასმისი სუფრას მოირბენდა, გუგულიმ ღორის მწვადები შემოიტანა; ისეთი ნაზი — ენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე რომ დაგადნება, ისეთი გემრიელი — ენა ვერ იტყვის. თუმცა ქალბატონ ამალიას ჰამლეტის ხინკალი უფრო მოსწონებია. ნეტავ ის ჰამლეტი აქ ყოფილიყო იმის შემსწრე, რომ სამაგიეროდ გოჭი გვქონდა მჯობნის მჯობნი, ვერც ჩვენს მამანტის შეედრებოდა ვინმე კაზმულ სიტყვასა და ხუმრობაში.

მოკლედ, ქულებით ჩვენ გავიმარჯვეთ, თუ არ ჩავთვლით წმინდა მოგებას; მიმინომ რომ ჰიქა შეჭამა, შეჭმული რომ სერვიზის ცალი აღმოჩნდა და მოგება რომ არ ჩაგვითვალეს. მაინც ვაფრინეთ ამბის მიმტანი ჰამლეტთან, მაგრამ წყალში ჩაგვეყარა ყველაფერი! აპოლონის ქელეხიდან ვენერამ დარეკა, პლატონი ცუდად შეიქნა და ქუცუნა მოვიდესო. ფოცხვერი და ქუცუნა იმ წუთში იქ გაქანდნენ. სუფრის სადავეები ლეომ იგდო ხელთ. შევსვით ბავშვების სადღეგრძელო. ქალბატონმა ირმამ ნუკრი შემოიყვანა; ნუკრიმ პიანინოზე შეასრულა სენ-სანსის „ცხოველების კარნავალი“. მქუხარე ტაშითა და ოვაციებით დავაჯილდოვეთ პატარა ნუკრი. მადლიერმა მშობლებმა ციკანი მოგვართვეს. ციკანი საზამთროს ნაჭრების ურემში იყო შებმული და მწვანილის მინდორზე იდგა! თამადამ თავი წააგლიჯა მას და თავიდან დაიწყო ყველაფერი. თოლიამ გიტარა აწყო, მაგრამ ტკბილი სიმღერისათვის ვიღას სცხელოდა! ჭერი გახვრიტა მჭექარე მრავალჟამიერმა. სისხლი გამითბა. ძალუმად ვიგრძენი, რომ მე ძალა შემწევს მთელი მსოფლიო დავაყენო ყირაზე!

არც კი გამიგონია ტელეფონის ზარი, კარგა ხანი რომ გაბმულად რეკავდა. რა მოხდა? რა ცრემლიანი სახეებია? ვენერა რეკავს — პლატონი გარდაიცვალაო. ღმერთო მაღალო! მომეცი ნიჭი და ძალა — გამოვხატო ეს მწუხარება! რა მიხვრა-მოხვრაშიც მოგვისწრო ამბავმა, ესევე გავშეშდით. თითქოს ფოტოგრაფის ხელმა სურათზე გადაგვიტანა... პირველი თამადა მოეგო გონს, ნუკრის ყანწი [illegible] და აწ გარდაცვლილის შესანდობარი შესვა... ყველამ მოვიგონეთ ძია პლატონი, მდუღარე ცრემლები შეერთვნენ მანავის მწვანეს. თან ჩუმად გვიხაროდა, რომ ვენერამ ჯერ აქ დარეკა და ჩვენ ჰამლეტიზე ადრე შევიტყვეთ ეს სამწუხარო ამბავი.

პლატონი, პლატონი... თავად სიკეთე და სილამაზე! რა ვუყოთ, რომ ცოტა გასიებული თავი ჰქონდა და დიდი მუცელი. სულით? სულით ლამაზი იყო, ძმებო! ვის უნდა ეტირა იგი, თუ არა ჩვენ, პლატონის უსაყვარლეს მოწაფეებსა და ჭირისუფლებს! მან გაგვაცნო სუფრის აკადემია, მან აგვიხილა თვალი, წყურვილი გაგვიღვიძა და გემო გვაგრძნობინა! რას მოვიდოდნენ ჩვენთან ჰამლეტი და მისი ამუსონები! ან ის მოსაწყენი ტიპები, რომლებზეც იამ, მიმოზამ და ლალიმ გაგვცვალეს... მართალია, გემრიელ სასმელ-საჭმელს რა დალევს ქვეყანაზე, მაგრამ საჭმელს შეჭმა უნდა და სასმელს დალევა! აქ კი ვერავინ გვაჯობებს! მთელი ღამე მესიზმრებოდა ყელგამოჭრილი ციკანი, ფხალის მინდორში ჩამწვარი გოჭი, ჯიგარი, ტვინი, გულ-ღვიძლი, თავფეხი; ეს ყველაფერი გაიზარდა, შეიძრა, აღსდგა მკვდრეთით და მე გამომეკიდა. ფეხები გარბოდნენ და მაინც ვერ ვინძრეოდი რაღაც შეუცნობელ, მკვრივ გარემოში; ბოლოს გოჭი წამომეწია, მწვდა და გამაგორა, მაგრამ ვიდრე გამგლეჯდა, სხეული დავტოვე და სულების სამყოფელში გავფრინდი! სასამართლოზე ბევრი ვეხვეწე, ბევრი ვემუდარე მამაზეციერს, მე ხომ არაფერი დამიშავებია; კაცი არ მომიკლავს, ქალი არ შემიცდენია, მაინც არაფერმა გაჭრა; ტანსაცმელი გამხადეს, თმა გადამხოტრეს და ჯოჯოხეთის ჯურღმულებში მიკრეს თავი! ბებერმა ანგელოზმა ქვესკნელამდე ჩამაცილა, კარი გამიღო, ხელი მკრა, და.. .მოულოდნელობისაგან ადგილზე გავშრი! ირმა, ნუკრი, ჰამლეტი, ლეო, პლატონი, აპოლო-

ნი, ვენერა, ფოცხვერი, მაგიდას უსხდნენ და ვეებერთელა საარაყე ქვაბიდან ხაშს შეექცეოდნენ.

— შემოსწრებულს გაუმარჯოს! — დასჭყივლა თამადამ და ალავერდი გადავიდა ახალგაზრდა ქაჯთან.

## თავშენახული კაცი

განათლებით ეკონომისტი გახლავართ. ფული და ფულთან დაკავშირებული ოპერაციები ჭეშმარიტი გატაცება ჩემი! ყრმობიდანვე მიყვარდა ფულის დაბანდება მომგებიან ნივთებზე. ეს თანშობილი ვნება სიბერემდე შემომრჩა. შემფასებლის მზერით თვალს გადავავლებ გარდასულ წლებს და არ შეიძლება ისევ და ისევ არ შევიგრძნო, რომ ტყუილ-უბრალოდ არ მოვსულვარ წუთისოფელს; რომ დღე არ გადის და ვხვეწავ საკუთარ თავს, ჩემს არითმეტიკულ გონებას. თუ სხვა სიბერეში გულმავიწყია, მე პირიქით, რაც წლები მემატება, უფრო მოფიქრებული ვხდები, მეხსიერება უფრო მკაფიოდ მინათდება.

ხანდახან გაოცებას მოვდივარ ხოლმე, როგორ მეტევა ტვინში ამოდენა ციფრები, როგორ შემიძლია ისინი სულმოუთქმელად ერთმანეთზე გადავამრავლო. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და უკვე რამდენი წელია, შეცდომა არ დამიშვია! საანგარიშო დავიწყებას მიეცა, რადგან ჩემი გონება ყოველგვარ მთვლელზე უფრო უსწრაფესად და უფრო ზუსტად იძლევა პასუხს რაგინდ გართულებულ მათემატიკურ ოპერაციებზე... ისეთი სრულყოფილი გავხდი, რომ ნებისმიერ ელექტრომთვლელს გავუწევ მეტოქეობას!

მაგრამ არა მხოლოდ ჩემს გონებაში სუფევს სრული ჰარმონია და წესრიგი, გარეგნულადაც სრულიად ჰარმონიული პიროვნება გახლავართ. სამსახურიდან შინმოსული საათობით დროს ვატარებ სარკესთან; ვტკბები ჩემი ფრესკული სახით, ანტიკური ცხვირით, ფოსფორის ანთებული თვალებით. გამოვიწერე ჟურნალი „ჯანმრთელობა“. ვეცნობი ვარჯიშებსა და სახის კოსმეტიკას. სისულელეა ფულის ფანტვა საპარიკმახეროში. თმის მოვლა გულდასმით შევისწავლე და ახლა თვით გახლავართ საკუთარი თავის დალაქი.

ვდგები მზესთან ერთად, ვიწყებ გულის კუნთის გასამაგრებელ და კუჭ-ნაწლავის ასამოქმედებელ ვარჯიშებს, ვყლაპავ უნდევიტსა და „ც“ ვიტამინს; გამომყავს მანქანა, რომელიც ორგანიზმისა არ იყოს, საათივით მაქვს აწყობილი, მანქანა რბილად მისრიალებს, ხელის ფრთხილი მოძრაობით ვცვლი სიჩქარეებს, აქსელერატორზე ტერფის თანაბარი წნევით ვცდილობ ძალა არ დაადგეს ძრავას. მსიამოვნებს სალონის კომფორტი, რბილი გადამრთველები, მგრძნობიარე საჭე, სუფთად მომუშავე ძრავა, განსაკუთრებით კი იმის შეგრძნება, რომ მეც ამ ავტომობილივით სრულყოფილი ვარ, ჩემი სხეულის მექანიზმიც ასევე უნაკლოდ მემსახურება; ასიმილაცია-დისიმილაცია ჩვეულად მიმდინარეობს, სისხლში დროზე შედიან მკვებავი ვიტამინები აბებისა და ნემსების სახით. კვებას თავი დავანებე. კუჭ-ნაწლავი რომ არ დავტვირთო, პირდაპირ ვიტამინებს ვიკეთებ.

მოკლედ, რკინასავით ჯანმრთელს, ვერ წარმომიდგენია როგორ უნდა მოვკვდე, რადგან საკმარისია რაიმე დეტალი მომეშალოს, რომ უმალ ჩემს ხიჭსა და ძალას მის აღდგენას ან შეცვლას

ვანდომებ. ახლა გარეგნობა! სახის ნაკვთებზე უკვე მოგახსენეთ. მაგრამ უფრო თვალშესავლები სილამაზე ჩემი სხეულის უნაკლო აღნაგობაშია! აბაზანაში სარკე დავკიდე, რომ შხაპის ყოველ გადავლებაზე თვალწინ მქონდეს საკუთარი სიშიშვლე და სიმშვენიერე!

კანი სელაპივით გლუვი, მოტვლეპილი, მხრები სწორკუთხა, წელი წვრილი, ფეხები მოგრძო, მოკლედ დაბადებიდან მართლაც რომ ჯიშიანი სხეული დამყვა!

არც ჩაცმა-დახურვაში ჩამოვრჩები მოდას. მე არ ვბაძავ იმ მეძველმანეს, რომელიც მარადიული ცრემლით სულ წარსულს მისტირის. წარსულში კი ალბათ გაუთავებლად მომავალზე ოცნებობდა. ვცდილობ ფეხიავუწყო დროს, ვიცხოვრო ჭკუით, არ გავაცდინო არცერთი წუთი. დილით ერთ არსებად ქცეული მე და მანქანა სამსახურში მივქრივართ. იქ საღამომდე ვეყრებით ერთმანეთს, რათა მეშვიდე სართულზე მთავარი ეკონომისტის სავარძელი დავიკავო.

ნება რომ მომცენ, ავტომობილით შევიჭრებოდი შენობაში, ძალიან მიმძიმს მისი უპატრონოდ მიგდება. ესეც არ იყოს, მანქანაში გაცილებით უფრო სრულყოფილი ვარ, უფრო მძლავრი, უფრო თავდაჯერებული. როცა ჩემი გულისძგერა მოტორის ხმას უერთდება, მეჩვენება, რომ ფოლადივით შეუვალი და უკვდავი ვხდები. თუმცა მე უფრო ელექტრომთვლელის მოდგმისა ვარ, ვიდრე ტრანსპორტის. ჩემს საათივით აწყობილ გონებაში ციფრების მთელი სამყარო მოძრაობს! მაგრამ ამაზე მგონი ვილაპარაკე.

ახლა მოგახსენებთ იმ შეცდომის შესახებ, რაც ერთ მშვენიერ დღეს დავუშვი. გაზაფხული იდგა. ვერ ვიტან წელიწადის ამ დროს, რადგან უმიზეზოდ მოუსვენარი და აფორიაქებული ვხდები. იმ დღესაც რაღაც შეუცნობელი ალტკინებით გამოვედი შინიდან. მანქანა ისე გამოვიყვანე, არც კი გამომფხიზლებია. უხალისოდ ვყლაპე ჯიბეში ჩარჩენილი ვიტამინი და უეცრად გამახსენდა, რომ წუხელ საშინელი სიზმარი ვნახე! დამესიზმრა, რომ მიწა იძრა და ჩვენი ქუჩა ნანგრევებად იყო ქცეული. ელექტრომთვლელთა გამოლადრული შიგნეულობა უსიცოცხლო ციფრებითა და ასოებით ქაოსურად მიდიმოდიოდა სივრცეში. ეზოს ბაქანზე სულს ლაფავდნენ ჯართადქცეული ავტომობილები... თვალი დავაცაცე საკუთარ ავტოზე და უცებ ვიგრძენი, რომ იგი ჩემს ქვედატანს შეზრდოდა!

დიახ, კენტავრი გავხდი — წელზევით კაცი, წელქვევით მანქანა! ახლა მოტორში ძგერდა გული, ბენზინი დუღდა ძარღვებში! ხმაც გამიპიპინდა, ბრუნი გავაკეთე და გამოვიქეცი. პროსპექტზე დაუსრულებლივ მიჰქრი-მოჰქროდნენ ჩემისთანა „კენტავრები“. იყო გაუთავებელი შეხლა-შემოხლა, სახლების ნგრევა, ქაოსი... უცებ ნანგრევებიდან გრუხუნით დაიძრნენ ვეებერთელა ამწე-მექანიზმები, წამოვიდნენ ნაბიჯ-ნაბიჯ რათა „კენტავრებისთვის“ გაევლოთ მუსრი. ერთი ბულდოზერი მეც მწვდა თვითმოძრავი პირით, გამაქან-გამომაქანა და მთელი გაფთრებით კედელს შემანარცხა. შეჯახებისაგან გამოვიღვიძე.

მთელი დილა უქეიფოდ ვირჯებოდი. სამსახურშიც მოხარშული გამოვცხადდი. მყავე ღიმილით მივესალმე თანამშრომლებს და ქაღალდებში ჩავრგე თავი. პირველად შემეპარა ეჭვი ჩემს სრულქმნილებასა და იმ სამყაროში, თავს რომ ვაფარებდი. თითქო გამომეცალა ყრმობიდანვე ესოდენი თავდაჯერებით ნაგები საყრდენი. პირველად შემეპარა ეჭვი და პირველად ჩემს ცხოვრებაში, კვადრატული ფესვის ამოღებისას დავუშვი შეცდომა.

ის საბედისწერო დღე უცხო სხეულივით შემოიჭრა ჩემს მშვიდსა და ერთფეროვან არსებობაში. მანქანა მომპარეს. მეზობელმა მასხრად ამიგდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მანეთი მასესხეო. ვურტყი და ვურტყი, სულ დავუსისხლიანე გვერდები! იცოცხლე მოკურცხლა — კარი გამოვლიჯა და ლიფტში შემასწრო. სარდაფში ჩავედი, შუქი გამოვუთიშე. მართალია თვით უსინათლოდ დავრჩი, მაგრამ შური ხომ ვიძიე. უკვე თენდებოდა, ბინას რომ მივაღწიე. ტახტზე მივეგდე. სარკეში მკრთალად მოიხატა ჩემი ყოჩალი სახე. ბროლის საფერფლეს ვსტაცე ხელი და საკუთარ ანარეკლს ვლეწე. ორეული დაიმსხვრა, გატყდა, მოიკუზა. კარი გამოვიჯახუნე და დავწექი.

ახლა თითქმის არ გამოვდივარ შინიდან. გავედი პენსიაზე. ვარსებობ მშვიდად. ვარ არც ბედნიერი, არც უბედური. თავს ვიმტვრევ კროსვორდებზე, ვტკბები ტელეგადაცემებით და ვცდილობ არ ვიფიქრო იმაზე, რომ ცხოვრება გავიდა, გავიდა ისე, რომ არ მიცხოვრია არცერთი დღე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

# რწმენა

## რომანი

— მაშ, მიდიხარ, მაკარ, — თქვა ნაღვლიანად ბურდამ.

— ასეა საჭირო, ბაბუ ბურდა!

— ჰო, შვილო. ასეა საჭირო. ბათულიამაც ასე მითხრა, ქარხანაში სამუშაოდ რომ მიდიოდა. ასეაო ბაბუ საჭიროო.

— აი, ჩემისთანები და ბათულიასთანები რამდენი მიდის ჯარში, — მიუთითა თავის გაქნევით ვაგონზე მაკარმა.

— უფალო, შენი სახელის ჭირიმე, ყველა მშვიდობით დააბრუნე შინ, — პირჯვარი გადაიწერა ბურდამ. მერე მხრიდან ხურჯინი ჩამოიღო და თავი მოხსნა. — მჭადი, სულუგუნი და ტარანია, შვილო! ჯარში მისვლამდე გეყოფა. ჩანთაში ჩაგილაგებ, — თვითონ ჩამოხსნა მაკარს საველე ჩანთა და ხურჯინიდან იქ გადაულაგა საგზალი. — ნატაშას დარდი ნუ გექნება. მე და ცისანა ყურადღებას არ მოვაკლებთ. არც გუდუია. დამთავრდება თუ არა ომი, ჩამოდი, აქ ჩამოვა ბიძაშენი, ანტონი!

— ჩამოვალ, ბაბუ. აბა, სად წავალ. წასასვლელი სხვა ადგილი აღარა მაქვს. ნატაშას თუ მიმიხედავთ, დიდი მადლობელი ვიქნები, — კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ელმავალმა მიაკივლა.

— ადი, მაკარ, — უთხრა გუდუიამ.

მაკარმა ჩანთა აიღო. ნატაშას აკოცა. მერე ბურდასა და გუდუიას ხელი ჩამოართვა, ნახვამდისო უთხრა და ვაგონის საფეხურზე ავიდა.

მატარებელი დაიძრა. ვაგონები ნელა მისრიალებდა ბურდას, ნატაშას და გუდუიას წინ.

ნატაშა ფერდაკარგული იდგა მოხუცებს შუა, უყურებდა ძმის მისკენ მოჩერებულ სახეს, მაგრამ ვერ ხედავდა. თვალებში ცრემლი ედგა. მაკარი ხელს უქნევდა. ხელს კი ხედავდა ნატაშა, მაგრამ მწუხარებამ ისე შეუბოჭა გული, მკლავის აწევა არ შეეძლო.

ელმავალმა სიჩქარეს უმატა. უკანასკნელი ვაგონი მიეფარა თვალს და ბაქანს იქით მიწყდა ხმაური.

ბელორუსიის მესამე ფრონტის სარდლის, ჩერნიახოვსკის ჯარები გამალებით მიიწევდნენ მინსკისაკენ. მტერი უკან იხევდა, მაგრამ ქვას ქვაზე არ ტოვებდა. მიწა იწვოდა, სისხლით ირწყვებოდა.

სამი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ მაიორ სპირიდონ გუნიას

დასასრული. იხ. „მნათობი", 1980 წ. № 7, 8, 9, 10, 11, 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატანკო ბატალიონი პირველი შეიჭრა მინსკის გარეუბანში. სპირიდონ გუნია ფრონტზე რომ წავიდა, თადარიგის ლეიტენანტი იყო. ახლა მაიორის წოდება ჰქონდა, რამდენიმე ორდენი და მედალი ამშვენებდა მის მკერდს.

ქალაქის შესასვლელამდე ორი კილომეტრი იყო დარჩენილი, მაგრამ ბატალიონს სულის მოთქმის დრო არა ჰქონდა. იერიშს განაგრძობდა.

ჰიტლერელების მესამე სატანკო ბრიგადამ, რომელიც ჩვენს მეთერთმეტე სატანკო ბრიგადას აკავებდა, თავდაცვის ყველა უბანზე ქალაქის მისადგომებთან დიდი ზარალი ნახა. მრავალი ტანკი დატოვა ბრძოლის ველზე და უკან დაიხია. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ შევსებული ნაწილებით — ტანკებით, თვითმავალი ქვემეხებით, ჯავშანტრანსპორტიორებით, მეავტომატეებითა და ავიაციით კვლავ გადმოვიდა შეტევაზე.

ორი საათის შეუსვენებელი სატანკო ბრძოლების შემდეგ ქალაქში პირველნი შეიჭრნენ მაიორ სპირიდონ გუნიას ბატალიონის ტანკები — სერგეი ზინჩენკოსა და ვადიმ სლეპცოვის ეკიპაჟები, მათ უმცროსი ლეიტენანტის ბონდო ნოდიას ტ-34 მიჰყვა. სხვა ტანკები ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ მისდევდნენ წინას.

ტანკებს მეავტომატეები მიჰყვებოდნენ. მათ შორის თენგიზ ქერქაძეც ერთი პირველთაგანი მირბოდა. ქერქაძე ყოველ იერიშისას პირველ რიგებში იბრძოდა. იერიშების დაწყების წინ მუდამ გრძნობდა მხარზე კირილე ებრალიძის ხელის შეხებას, ფოთის რკინიგზის ბაქანზე რომ უბიძგა ჯარში გაცილებისას და თითქოს შანთი მიადესო, ისე ეწვოდა მხარი. გაიგონებდა მის სიტყვებს: — „ტყვიას მკერდს ნუ მიუშვერ ნენა. გახსოვდეს შენი სამშობლოს დასაცავად არ მიდიხარ. ჩვენ არავინ გვებრძვის“ — კირილეს ხელი სწვავდა, მისი შხამიანი სიტყვები წამლავდა, მაგრამ ვერ იშორებდა. წარმოიდგენდა კირილეს სახეს და გული ბრაზით ევსებოდა.

ქერქაძე პირველ ხანებშივე ნათლად დაინახა მის გვერდით რა თავგანწირვით იბრძოდნენ ქართველი, სომეხი, რუსი, ყაზახი, ოსი, ყირგიზი, იცავდნენ სამშობლოს, თავის სახლ-კარს, თავის თავს. ხედავდა, რა გმირულად ეცემოდნენ ხელჩართულ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილები ცეცხლმოდებულ მიწაზე, როგორ უვარდებოდნენ მტრის ტანკს მისი ტოლა ბიჭები, მკერდით ეფარებოდნენ მტრის ტყვიამფრქვევს და ამის შემდეგ თვითონაც ყოველთვის პირველი გამოდიოდა იერიშზე, მიუძღოდა სხვებს.

ქალაქის პროსპექტზე ის წინა სამი ტანკი შეიჭრა სხვებზე ადრე. ჰიტლერელების არტილერისტები პროსპექტის ორივე მხრიდან უშენდნენ ჭურვებს.

პროსპექტი გრძელი და განიერი იყო, როგორც ყველა პროსპექტი. ტოტებგაშლილი და შეტრუსული ხეები ახლო იდგა ერთმანეთთან. ზოგს ცეცხლი ეკიდა, ზოგი გადათელილი იყო. სახლები ნახევრად დანგრეული, ან მიწასთან გასწორებული. ზოგან მხოლოდ რკინა-ბეტონის კარკასი მოჩანდა, ან ქვედა სართულები.

პირველი სართულის ნანგრევებში, სადაც წინათ მაღაზიები იყო, ქვემეხები და ტყვიამფრქვევები იდგა შენიღბული და დაფარული.

პროსპექტზე შესვლისთანავე ზინჩენკოსა და სლეპცოვის ტანკებს რამდენიმე ჭურვი მოხვდა ზედიზედ და ორივე ერთად აფეთქდა.

ბონდო ნოდიას ტანკმა სწრაფად აუარა გვერდი მათ, ჯიქურ განაგრძო გზა. აქეთ-იქით პირდაპირი დამიზნებით ურტყამდა პირველ სართულში ჩამდგარ ქვემეხებსა და ტყვიამფრქვევებს.

ინგრეოდა ისედაც დანგრეული სახლები, იხერგებოდა, ვიწროვდებოდა პროსპექტი, ზეადიოდა ცეცხლი და კვამლი. ნანგრევებით იფარებოდა ქვემეხები და ტყვიაფრქვევები. სახლებში ჩასაფრებული სნაიპერები ტანკსაწი-

აალმდეგო თოფებს ესროდნენ ბონდო ნოდიას ტანკს.

— ჭურვები გვითავდება, ამხანაგო უმცროსო ლეიტენანტო, — უთხრა კვამლისაგან დახრჩობილი ხმით ბონდო ნოდიას მემიზნე კრავჩუკმა.

— დაზოგვით ისროლეთ, კრავჩუკ, უბრძანა ნოდიამ.

კრავჩუკს რამდენიმე ჭურვიღა ჰქონდა.

„ტ-34“ კვლავ წინ მიიწევდა. გავიდა პროსპექტის ბოლოს პატარა მოედანზე, გადაანგრია გაზეთების კიოსკი, ქვეშ მოიტანა კიოსკის უკან მოფარებული ტანკსაწინააღმდეგო თოფი და ორი ჰიტლერელი ჯარისკაცი. წავიდა წინ, გაჰყვნენ მეავტომატეები.

უცებ ბონდო ნოდიას ტანკის შესაგებებლად კვამლიდან და ცეცხლიდან ორი „ვეფხვი“ გამოიჭრა.

ნოდიამ მაშინვე დაინახა ისინი. სამიზნეს გადანაკვეთზე დიდი წვალებით დაიჭირა პირველი ტანკის ის ნაწილი, სადაც სვასტიკა ეხატა ჯავშანზე, ესროლა და მოარტყა. მაგრამ „ვეფხვი“ არ შედგა. ესროლა მეორეჯერ. ტანკი აფეთქდა.

ახლა უკან მომავალი „ვეფხვი“ გამოვარდა წინ და ერთი გასროლით ცეცხლი წაუკიდა ბონდოს მანქანას. მის ეკიპაჟს მეტი ჭურვი აღარა ჰქონდა. „ვეფხვი“ წინ გაიჭრებოდა, ტანკს უკან მიმავალ ჩვენს მეავტომატეებს გადათელავდა.

— ტარანზე წადი, პეტია, — კი არ უბრძანა, უთხრა ნოდიამ მძღოლ-მექანიკოსს მაიოროვს. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ან ტარანი, ან იერიშის შეწყვეტა.

იური მაიოროვმა ბერკეტები მოსხლიტა, ცეცხლმოკიდებული ტანკი მთელი სისწრაფით გაეშურა „ვეფხვისაკენ“. გაისმა ორი მანქანის შეჯახებისა და აფეთქების ჭახანი, გრუხუნი.

აიხადა ტ-34-ს კოშკურა, საძვრომიდან ალში გახვეული ბონდო ნოდია ამოხტა, ტანკიდან ისკუპა, ტყავის ჩაფხუტი წაიძრო და ტანზე დააფინა, რომ ცეხლი ჩაექრო.

ამის დანახვაზე მოშორებით ჩაწოლილი მეავტომატეებიდან თენგიზ ქერქაძე წამოვარდა, რომ ნოდიასაკენ გაქცეულიყო და ცეცხლი ჩაექრო, მაგრამ მის გვერდით მწოლი რიგითი მეავტომატე სიმონიანი მკლავზე წაეტანა.

— საით, თენგიზ. დაწექი, — ტყვიები წიოდა მათ გარშემო, ჭურვები სკდებოდა, — დაწექი, ბიჭო, დაუყვირა სიმონიანმა ქართულად და დაქაჩა ძირს, რომ წაექცია, მაგრამ ქერქაძე გაუსხლტა. ყვირილით გაიქცა ნოდიასაკენ:

— მოვდივარ, ნუ გეშინია ბონდო!

— არ მომეკარო...

ამის თქმაღა მოასწრო. დანგრეულ სახლიდან ტყვიამფრქვევი აკაკანდა. ნოდია და მასთან მიჭრილი ქერქაძე მოთიბულებივით დაეცნენ.

წამოდგა სიმონიანი, მოიმარჯვა ავტომატი, წინ ბიჭებოვო, შესძახა და გაიქა იქით, საიდანაც ტყვიამფრქვევი ისროდა. გაჰყვნენ სხვები. წამოეწივნენ მეავტომატეებს ჩვენი ტანკები, გაუსწრეს. ერთმა ტანკმა ესროლა იმ დანგრეულ სახლს და, ააფეთქა მეავტომატე და მისი ბუდე.

სატანკო ბატალიონს მაიორი სპირიდონ გუნია მოჰყვებოდა „ვილისით“. შოფრის გვერდით იჯდა, გამართული, გამჭვირვალე გამტვერილი და დაქანცული. დენთით შეფეთქილ სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, საყელო შეხსნილი ჰქონდა და ოფლი შიგ ჩასდიოდა, ქუდი უკან გადაწეოდა, შუბლზე ნაოჭები ეყარა. დაინახა მეავტომატეთა ასეულის ლეიტენანტი ალექსეი სილინი და ჯარისკაცები, ცეცხლს რომ უქრობდნენ მიწაზე დაცემულ ორ მებრძოლს. შოფერს უბრძანა მანქანა შეეჩერებია.

სილინმა მოკლედ მოახსენა მაიორს უმცროსი ლეიტენანტის ბონდო ნოდიას ეკიპაჟის და რიგითი თენგიზ ქერქაძის ამბავი. სპირიდონ გუნიას უფრო გაუხშირდა შუბლზე ნაოჭები, წარბები შეუერთდა, ვაიჰ ბიჭებო, გაითქრა სიმწრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უბრძანეთ, ერთად დაასაფლაონ, — უთხრა ლეიტენანტ ალექსეი სილინს. მერე მის უკან მჯდარ ახალგაზრდა ადიუტანტს მიუბრუნდა: — ჩაწერეთ მათი გვარები, კუპრიანოვ, — შოფერს უბრძანა დაეძრა მანქანა. გამოუდგა წინ გაჭრილ ტანკებს, ისევ და ისევ გამართული იჯდა. მტრის ჭურვები სკდებოდა მის წინ, უკან, ხელმარჯვნივ, ხელმარცხნივ. მიწისა და კვამლის ბულში ხვევდა „ვილისს", მაგრამ მანქანა წინ მიიწევდა.

ტარიელ ქარდა როგორც ყოველთვის, ახლაც გვიან დაბრუნდა შინ. ნელა, სვენებ-სვენებით ავიდა კიბეზე, თავისი ბინის კარის წინ სული მოითქვა, ვიდრე გასაღებს ამოიღებდა ჯიბიდან, საფოსტო ყუთიდან გაზეთები ამოაძვრინა.

შვილის დაღუპვის შემდეგ ბარათს არავისაგან ელოდა. რძლისა და შვილიშვილის ამბავი ისევ არ იცოდა. ამიტომ საფოსტო ყუთიდან გაზეთებს ბარათი რომ ამოჰყვა. დაცურდა და იატაკზე დაეცა, გაუკვირდა, ვის უნდა მოეწერა ბარათიო.

დაიხარა და აიღო. სამკუთხა, ფრონტული ბარათი იყო. ცუდად განათებულ სადარბაზო შესასვლელის შუქზე ვერ წაიკითხა, ვისგან იყო. გასაღები სწრაფად გადაატრიალა, კარი შეაღო, ლაბადა არ გაუხდია, პირდაპირ სასადილო ოთახში შევიდა, ნათურა ჩართო, მაგიდას მიუჯდა და ბარათი გაშალა.

უჩა შამუგიასა და ანტონ ბაჩილოს ბარათი იყო. მარიამის გარდაცვალების გამო სამძიმარს უცხადებდნენ ტარიელს. შემდეგ წერდნენ, ჩვენი არმია, ვარშავის განთავისუფლების დღიდან, სულ უფრო სწრაფად მიიწევს წინ, გერმანიის საზღვრისაკენ და შორს არ არის ბერლინში შესვლის დღეო.

აგრეთვე წერდნენ, ბონდო ნოდიას და თენგიზ ქერქაძის დაღუპვისა და ბონდოსათვის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების ამბავს. ბოლოს მორიდებითა და სიყვარულით მიულოცავდნენ შრომის გმირობას, გახარებული ვართ, ჩვენს დამშრალ მიწაზე ასეთ უხვ მოსავალს იწევთ. დამთავრდება ომი, ჩვენც ამოგიდგებით მხარში, დავსახლდებით საოცნებო მიწაზეო.

ტარიელი მიხვდა, რომ მარიამის გარდაცვალებისა და შრომის გმირის წოდების მინიჭების ამბავი უჩასა და ანტონს, ციასა და ცისანას ბარათებიდან ჰქონდათ გაგებული. ისევ სამკუთხად დაკეცილი ბარათი, ამოიოხრა. წინ დაიდო და დიდხანს დაცქეროდა. „დავსახლდებით ჩვენს საოცნებო მიწაზე", აზრით გაიმეორა უჩასა და ანტონის სიტყვები.

გარეთ წვიმდა.

ფანჯრები დახურული იყო. ოთახში ცხელოდა. დაავიწყდა, რომ ლაბადა არ გაუხდია. ბარათს დაცქეროდა, კვლავ უჩასა და ანტონის სიტყვები უტრიალებდა თავში — „დავსახლდებით ჩვენს საოცნებო მიწაზე". უცებ უდროოდ მოტეხილ, ჩამქრალ სახეზე დიდი ხნის გადაჩვეული ღიმილი შეეფინა. — „უჩასა და ანტონს სახლები უნდა დავუდგათ მათ საოცნებო მიწაზე, ჯერჯერობით ჩვენებური ოდები. ჩვენ, კოლმეურნეობამ უნდა ავუშენოთ. ახლა აღარ გვიჭირს. ყველა ლტოლვილი და ჩვენიანი გამოიღებს ხელს".

ამ კარგმა ფიქრმა გაახსენა, რომ ლაბადა ეცვა, რომ ცხელოდა, მშიერი იყო. წამოდგა, ფანჯარა გააღო, მერე ლაბადა გაიხადა. ოთახში წვიმის საამო სუნი შემოვიდა, შემოჰყვა ზღვის ნელი ხვნეშა. ღრმად შეისუნთქა მაცოცხლებელი ჰაერი. კმაყოფილი იყო თავისი ფიქრით. უსათუოდ დავახვედრებთ იმ ბიჭებს ოდებს. იმეორებდა და ეს ფიქრი ხალისს ჰგვრიდა.

სამზარეულოში შევიდა, ჩაისათვის ნავთქურაზე ჩაიდანი დადგა. ბევრჯერ დაბრუნებულა მარიამის გარდაცვალების შემდეგ მშიერი, მაგრამ ასე არასოდეს არ მონდომებია ჭამა, არ უგრძვ-

ნია შიმშილი, არ აჩქარებულა ვახშმის საჭმელად.

ახლა ამ ფიქრმა მოჰგვარა მადა. ხელი დაიბანა, კარადიდან ყველი და შავი პური გამოიღო, გამოიღო ჩაის ჭიქა, დანა. ყველაფერი ეს სასადილო ოთახში გაიტანა და მაგიდაზე იქ დადგა, სადაც მარიამი უდგამდა. მარიამის სულს გაეხარდებაო, ფიქრობდა. ყოველთვის ისე შლიდა სუფრას, როგორც მარიამი უშლიდა ხოლმე. მერე მიუჯდებოდა მაგიდას და იქით მიიხედავდა, სადაც მარიამი ჯდებოდა და ჭამას შეუდგებოდა.

ორმოცამდე კი მარიამისთვისაც შლიდა სუფრას, გადაუღებდა კერძს, დაუსხამდა ღვინოს. მორწმუნე არ იყო, მაგრამ მარიამი იყო თვითონ მორწმუნე და მისი სიყვარულით აკეთებდა. მეუღლე გვერდით ეგულებოდა. ზოგჯერ ფიქრით თავის საქმეებზე გამოელაპარაკებოდა, რჩევას ჰკითხავდა, როგორც ამას მარიამის სიცოცხლეში აკეთებდა. ფიქრითვე ესმოდა მარიამის პასუხი, მისი დამრიგებლური, მზრუნველი ხმა.

ახლაც მიუჯდა თუ არა მაგიდას, მარიამისაკენ მიიხედა. რას იტყვი მარიამ, უჩასა და ანტონს ოდები რომ დავახვედროთო, ჰკითხა და შეესმა მისი პასუხი: რასაკვირველია, კარგი იქნება, ძვირფასო! ტარიელს გაეხარდა. ვიცოდი, შენც ამ აზრის რომ იქნებოდი, უპასუხა ფიქრით.

ხვალ ლონგინოზ ლომჯარიასაც ვკითხავ რჩევას, დარწმუნებული ვარ ისიც მოინდომებს. გავახარებთ ჩვენ გმირ ქალიშვილებს, უნდა ავუშენოთ ოდები მათ საქმროებს. ისინი უნდა იყვნენ პირველი მოსახლენი დამშრალ მიწაზე. ოთხი წელიწადი აშრობდნენ უჩა და ანტონი ჭაობებს, მალე ოთხი წელიდი გახდება, რაც ისინი იქ ამ მიწისთვის იბრძვიან.

უშაქრო ჩაიში ალბობდა გამხმარ პურს და ასევე გამხმარ სულუგუნს ატანდა. მარიამი ყოველთვის რამდენიმე კერძს ახვედრებდა სადილად და ვახშმად, ახლა ჩაი და პური იყო მისი ვახშამი. დღისით თუ მოასწრებდა, კოლმეურნეობის სასადილოში დანაყრდებოდა. არა და, მთელი დღე მშიერი იყო.

ლონგინოზ ლომჯარიასთან ერთად მთელმა კოლმეურნეობამ დაუჭირა მხარი ქარდას წინადადებას. მარტო იმათ კი არა, ვინც უჩა შამუგიასა და ანტონ ბაჩილოს იცნობდა, ვინც არ იცნობდა იმათაც გადაწყვიტეს, კოლმეურნეობაში შრომადღის გამომუშავების შემდეგ ორ-ორი საათი ემუშავათ ოდების მშენებლობაზე. ზოგმა კი თავისთვის მომარაგებული ფიცრებით, კოჭებით, ყავრით, ლურსმნით, ლამფით გადაწყვიტა დახმარებოდა. ისინი ამ მასალებს იმ დღისათვის ინახავდნენ, როცა სამოსახლო ნაკვეთებს დაანაწილებდნენ დამშრალ მიწაზე, მაგრამ უჩასა და ანტონის ოდების ასაშენებლად დაუშურებლად, სიყვარულით გაიღეს, ვისაც რა გააჩნდა.

ლონგინოზ ლომჯარიამ ისევ ის რაჭველი ხუროთუფროსი რომანოზ მაისურაძე ჩამოიყვანა მთიდან და მშენებლობის ხელმძღვანელად კვლავ ისიდორე სიორდია დანიშნეს.

ისიდორეს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, საშუალება ეძლეოდა უჩას წინაშე დანაშაული გამოესყიდა.

ციამ და ცისანამ ერთად გამოიტირეს ბონდო ნოდია. მათ მეტმა არავინ იცოდა, რომ ბონდო ციასათვის ჩამოვიდა მშენებლობაზე, რომ მას ლაკადაში დიდებული ეზო-კარი ჰქონდა და არაფერი არ უჭირდა. რომ ცის სიყვარულმა მიატოვებია ოჯახი, დედმამა, სოფელი, რომ ცის სიყვარულმა დასვა იმ ბიჭის ექსკავატორზე ვინც ცია წაართვა და ისე გაატარა სამი წელიწადი დედაარხის მშენებლობაზე, ერთხელ არ შეხვედრია ცის პირისპირ; ასე მუნჯად ატარა თავისი სიყვარული, გარდა იმ ერთი დღისა, პირველ მაისის დღესასწაულზე მასთან ჩავუნას ცეკვა რომ მოუხდა იძულებით და ისე გადარია ამ შეხვედრამ, იმავე ღამეს გაიქცა მშენებლობიდან.

რომ სამუდამოდ მიეტოვებია იგი, მაგრამ გუდუია ესვანჯიამ დააბრუნა ფოთის რკინიგზის ვაგზლიდან.

კიდევ ერთი ადამიანი იყო „ოქროს საწმისში“, რომელსაც არ უტირია, მაგრამ დიდად დაამწუხრა ბონდოს დაღუპვამ. იგი სწორედ გუდუია ესვანჯია იყო. ესვანჯია ბონდოს უჩაში არ არჩევდა, თანაუგრძნობდა მის უილბლო სიყვარულს, თვითონაც ასეთი ბედისა იყო მოხუცი. ასეთი ბიჭი კი ჩაიდენდაო გმირობას, ფიქრობდა გუდუია. გაახსენდა ბონდოს მკლავის ძალა უჩასთან ჩხუბისას, მისი თავშეკავება, მოთმინება, მისი ჯავრი და სულგრძელობა.

გაოცებული იყვნენ თენგიზ ქერქაძის თავგანწირვით, სიმამაცით, არავინ ელოდა კირილე ებრალიძის მეგობრის, მისი დამქაშის, ასეთ შემობრუნებას, ასეთ სიმამაცეს და ამხანაგისათვის თავდადებას.

ისე არავის გახარებია კოლმეურნეთა გადაწყვეტილება უჩასა და ანტონისათვის ოდების აშენების თაობაზე, როგორც გალინა არკადიევნასა და ვასო ბრეგვაძეს. მათ კარგად ახსოვდათ, როგორ ეჩქარებოდათ შამუგიასა და ბაჩილოს მიწის დაშრობა და დასახლება. ვასო ბრეგვაძემ თვითონ, თავის ხელით შეადგინა ოდების გეგმა, გაახსენდა პირით ზღვისაკენ რომ უნდოდათ დასახლება და სამოსახლო მიწის არჩევისას ესეც გაითვალისწინა.

გალინა არკადიევნამ საცდელ სადგურს ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ნერგები თხოვა. ნერგები კი ერა, მსხმოიარე ხეები, უნდოდა ეზო განაშენებული დახვედროდათ, ისე ოქროს მიწად ქცეული, როგორც ანდრო განგიამ უთხრა ერთხელ უჩას.

სეროვას ისიც ახსოვდა, რაზე ჰქონდათ საუბარი ციას და უჩას, ჭიშკართან, რომ იდგნენ. მაშინ ციამ უჩას ჰკითხა, ისევ რომ წაგვართვან იაზონებმა ოქროს მიწაო. უჩამ უპასუხა — შენისთანა ქალების ხელში ვერ წაგვართმევენო.

„ვერ წაგვართვეს ახალმა მტრებმა ჩვენი მიწა“, — სიამოვნებით გა[illegible] გალინა არკადიევნამ. „ისეთ ლიმონს, ფორთოხალსა და მანდარინს გავაშენებ იმ მიწაზეო, — უთხრა მაშინ ციამ უჩას, — მართლა ოქროდ იქცესო“. ოქროს მიწა, თქვა მაშინ ოცნებით უჩამ. აუსრულდათ ოცნება. ოქროს მიწას დაახვედრებს ცია. გაიფიქრა ისევ...

ცია და ცისანა, როგორც ამ სამი წლის წინათ, საცდელი სადგურის საერთო საცხოვრებლის ოთახში, ახლაც ლოგინში წამომჯდარები საუბრობდნენ. ყორათის ბარაკის ოთახში ცხელოდა, ვერც აქ აღწევდა ზღვის სუნთქვა. ახლაც ისეთივე უსახელებო, ღრმად გულამოჭრილი ღამის პერანგები ეცვათ, მთვარით განათებული მწიფე ქვავისფერი მკერდი და მკლავები მოუჩანდათ, ოღონდ მაშინდელივით შემკრთალები არ იყვნენ, სიხარულით გამთბარ სახეზე ღიმილი ეფინათ; ტანის მოხდენილ დაჭერაში, ხელების, მხრების მსუბუქ მოძრაობაში, მათ იერში, რაღაც მომჯადოებელი სილამაზე იყო. უთუოდ იმედმა და რწმენამ შემატათ ასეთი ეშხი.

როგორც მაშინ, საცდელი სადგურის საერთო საცხოვრებლის ოთახში, ახლაც ვერ ხედავდნენ, ვერ გრძნობდნენ მთვარეს, პირდაპირ სახეში რომ უყურებდათ. მათ გონებას არ ეცალა მთვარისათვის.

კვლავ მარტონი ცხოვრობდნენ. ოლგა ბაჩილო აღარ იყო, ნატაშა ფოთიდან არ ჩამოდიოდა. მაკარი კი სამხედრო სკოლიდან ფრონტზე წავიდა.

მაშინდელივით საცდელი სადგურის თავზე მთვარეს ღრუბლის ფრთა არ ეფარა. ცა მოსარკული იყო, ვარსკვლავებით დასეტყვილი.

— ნუთუ მართლა მალე დამთავრდება ომი, ცისანა?! — ჰკითხა ციამ.

— ამბობენ, შეიძლება გაისად დამთავრდესო, — უთხრა ცისანამ.

— ცისანა, რა ბედნიერები ვიქნებით, გოგო!

— ჩვენზე ბედნიერი ადამიანის შვილი არ იქნება ქვეყანაზე.

— როგორ ჰყვარებია უჩა და ანტონი ხალხს!

— არ არიან საყვარლები თუ? — უთხრა ცისანამ.

— ჩვენთვის კი არიან, მაგრამ სხვებისათვისაც თუ ასეთი საყვარლები იყვნენ, არ მეგონა, — დაიჩურჩულა კმაყოფილებით ციამ.

— არც მე მეგონა.

— ხალხი სახლს გვიშენებს, ცისნა!

— უჩა და ანტონი რომ ჩამოვლენ, თვალს არ დაუჯერებენ.

—არ არიან ღირსნი თუ?!

— ღირსნი კი არიან, მაგრამ ხალხი თუ ამდენს მოინდომებდა მათთვის არ მეგონა, — თქვა ცისანამ.

— იმიტომ მოინდომეს, ცისანა, რომ უჩამ, ანტონმა და მისთანებმა თავი არ დაზოგეს. ხომ ხედავ, რა სწრაფად ერეკებიან ჩვენი ჯარები ფაშისტებს.

— არც ჩვენ ვმჯდარვართ გულხელდაკრეფილები, არა, ცია?

— იმიტომაც მოგვანიჭეს შრომის გმირობა. რას მოვესწარით, გოგო, — გაიცინა ციამ. — ცია ცანა და ცისანა ცინცაძე შრომის გმირები. ცხვირმოუხოცავი გოგოები შრომის გმირები. რა გავაკეთე ისეთი?

— ალბათ, გავაკეთეთ, ცია. ტყუილად შრომის გმირობას არ ანიჭებენ.

— რომ დავფიქრდები, ასე მგონია, მეტის გაკეთება შეგვეძლო.

— იქნებ შეგვეძლო, გოგო, — უპასუხა დაფიქრებით ცისანამ.

— ჩამოვლენ უჩა და ანტონი და ორ იმდენს გავაკეთებთ მათთან ერთად.

— ცია, იმდენი ფიცარი, ყავარი და სხვა მასალაა მოტანილი, ორს კი არა, ოთხ ოდას ეყოფა.

— მაინც რა დიდებული ადგილი შეგვირჩია, ბიძია ვასომ. თითქოს ჩვენს გულში იჯდა.

— ტყე რომ არ ფარავდეს, ზღვა გამოჩნდებოდა ჩვენი აივნებიდან.

ეროვნული

— მზის ზღვა, — თქვა მოგონებით ციამ.

— რისი ზღვა გოგო?! — გაუკვირდა ცისანას.

— მზის. ასე დავარქვით მე და უჩამ ჩვენს ზღვას.

— კარგად დაგირქმევიათ. მართლა მზის ზღვასა ჰგავს დაისისას, მზის სხივებით რომ მოოქროვდება მისი ზედაპირი.

ციას მოღიმარ სახეზე და თვალებში სევდა შეეფინა.

— რა იყო ცია?! — ჰკითხა ცისანამ.

— ცისანა, — ისევ დაიჩურჩულა დუმილის შემდეგ ციამ. — დღე ისე არ გაივლის და ღამე ისე არ გათენდება, თვალწინ ცეცხლმოდებული ბონდო არ დამიდგეს.

— აბა, რა იქნება, ცია, — უთხრა თანაგრძნობით ცისანამ. — გმირულად დაიღუპა და თან წაიღო შენი სიყვარული.

— ვერ ვაპატიებ თავს ჩემს დანაშაულს.

— დანაშაულს?!

— მე ხელი ვკარი მის სიყვარულს, — ტკივილით თქვა ციამ.

ცისანამ იცოდა, რომ ეს ასე იყო და სანუგეშო, დამამშვიდებელი ვერაფერი უთხრა მეგობარს.

— თურმე თავისი ტანკი იმიტომ დაატაკა მტრის ტანკს, რომ ის წყეული „ვეფხვი" არ გაეშვა ჩვენებისაკენ.

— ვიცი, ცია, — უთხრა ცისანამ.

— რა საშინელი სიკვდილით დაიღუპა!

— საშინელით, ცია!

— საფლავში ჩამყვება, ბონდოს ჯავრი, — ცრემლი მოადგა თვალებზე.

— ბონდო ღირსია შენი ცრემლის, — მკლავი მოხვია მხრებზე ცისანამ.

— ჩემს სოფელში არ მიმესვლება. რა თვალით შევხედო, ბონდოს მშობლებს.

— ეცადე არ იფიქრო ამაზე, ცია!

— ვერ შევძლებ ამ ფიქრის მოშორებას.

— მართალი ხარ ცია. ძნელია ამ ფიქრის მოშორება.

— რით გამოვისყიდო ჩემი დანაშაული? — შეხედა მეგობარს ციამ.

ცისანა დაფიქრდა. მერე თვითონაც შეხედა ციას გაფითრებულ სახეს, მოკუმულ ბაგეებს, გაშტერებულ თვალებს. შეებრალა მეგობარი.

— არა გაგიკვირდეს, რასაც ახლა გეტყვი, ცია. ვერც ჯავრით, ვერც სინანულით ვერ გამოისყიდი.

— აბა რა ვქნა?! — ცრემლი ჩამოუგორდა ლოყებზე ციას.

— უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ იმ საქმისათვის, რასაც ბონდო შეეწირა.

— გავაკეთოთ?

— ჰო. ორივემ. ბონდო ძმასავით მიყვარდა. ახლაც ვხედავ მის სიცხიან თვალებს, ციებიანს თავზე რომ ვადექი. მესმის ხმა: ცია... ცისანა... თქვენი სახელები ერთმანეთსა ჰგავს... მართლა ჰგავხართ ციას. ლამაზი ხართ, ციასავით ლამაზი.

გაჩუმდნენ. მთვარის ნათელი გადაეკრიფათ სახიდან, ტანიდან, ლოგინიდან. დიდი ხანი ისხდნენ ბნელში.

— უფრო მეტს გავაკეთებ. — დაილაპარაკა სიბნელეში ციამ. — შენ კარგად თქვი, ცისანა! თავს არ დავზოგავ. ოთხ ხელს გამოვიბავ იმ საქმისათვის, რასაც ბონდო შეეწირა.

— დამშვიდდი, ცია, — თხოვა ცისანამ და მკერდით მხარზე მიეკრა.

ციამ ბალიში აიფარა სახეზე და ტირილით ზედ დაემხო.

— ნუ ტირი, ცია, შენი ჭირიმე, ნუ ტირი, — ამშვიდებდა ცისანა, მაგრამ თვითონაც წასკდა ტირილი.

სოფელს ეძინა.

მთვარე დაიღალა რონინით. ზღვის იქით, მიწის მეორე მხარეს გადაინაცვლა ნელა, ზეიმურად და მიწის აქეთა მხარეს ბნელი დაეფინა.

სხვადასხვა მხრიდან ყორათში ბებერი მამლების შუაღამის გადაძახილი გაისმა.

ჰაერი არც ოთხაში იძროდა და არც გარეთ.

ციასა და ცისანას საბანი არ ეხურათ. ზღვიდან მოსული ნესტიანი სიცივე კბენდათ, მაგრამ თავის ჯავრის გარდა ვერაფერს გრძნობდნენ.

ხუროთუფროსი რომანოზ მაისურაძე მალე ჩამოვიდა რაჭიდან. გაიგო თუ არა ლონგინოზ ლომჯარიასაგან, ვისთვის აპირებდნენ ოდების აშენებას, გაიხარა. ასეთ შვილებს ოდები კი არა, სასახლეები უნდა ავუშენოთ. საცოლეები აქ ჩადიან გმირობას, საქმროები იქო. ხელფასზე არც ახლა შევაჭრება ტარიელ ქარდას.

ისეთი გულითა და სულით მოეკიდა საქმეს, თითქოს ომში დაღუპულ იმ ერთადერთი შვილისათვის აშენებდა ოდას. საგულდაგულოდ არჩევდა საშენ მასალას, კედლისა და იატაკის ფიცრებს, რომ საღი და გამომშრალი ყოფილიყო. არჩევდა ყავრებს, ლამფებს, ცოჭებს, საბუხრე აგურს, ლურსმანს.

მისი დღე და მოსწრება ოდებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, კლუბებს, სასიმინდეებს, ბოსლებსა და კიდევ ბევრი სხვა შენობის აშენების მეტი არაფერი უკეთებია. ვინ მოსთვლის მისი ხელიდან გამოსული რამდენი ოდა იდგა რაჭაში, ლეჩხუმში, ოდიშში იმერეთში, გურიასა და აფხაზეთში, მაგრამ ისეთი მონდომებით, არც ერთი ოდის აშენებას არ შედგომია, როგორც ახლა.

რა შავი დღე გადაიტანეს ამ ოდების მომავალმა პატრონებმა, ახლაც რა შავ დღეში არიან იმ სისხლისღვრაში! აქაც, ამ ჭაობების დაშრობაში, ციებასა და ხაშმში არ ადგათ კარგი დღე და მათი ხელით დამშრალ მიწაზე, მათი შესაფერი ოდები რომ არ დავახვედროთ, ცოდვის კითხვა იქნებაო, — ამბობდა რომანოზ მაისურაძე. მისი ხელით გათლილ რიკულს, მოაჯირს, ჩარჩოს, კარს, ფანჯარას, რომ ნახავდა კაცი, რა ხელმა გააკეთაო, ამბობდა.

თავის ნამუშევარს დიდხანს უკირკიტებდა, ეჭვიანი თვალით ამოწმებდა. სხვისი რა გინდ კარგად ყოფილიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკეთებულ-გაწალდული, რაღაც წუნს მაინც მოუნახავდა და ხელახლა გააკეთებინებდა. ყველას აჩქარებდა, თვითონ სხვებზე მეტს ჩქარობდა.

სადაცაა დამთავრდება ომი, ხომ ხედავთ, მტერს ზურგი ვაქცევინეთ, თავის მიწაზე ჩავრეკეთ, მალე ბერლინში, თავის ბუნაგში ამოვაყოფინებთ თავს. ჩამოვლენ უჩა შამუგია და ანტონ ბაჩილო, ოდები აშენებული რომ არ დაახვედროთ, თავი მოგვეჭრება. ტარიელ ქარდას, ან ციასა და ცისანას რა თვალით შევხედოთ. გალინა არკადიევნამ, იმ რუსის ქალმა ეზოები უკვე გაუწმინდა, ედემს დაამსგავსა. ჩვენ კი ჯერ მხოლოდ კედლების ამოყვანა დაიწყეთ. კედლების ამოყვანა დაწყებული კი არა, ნახევარზე მეტი ამოყვანილი ჰქონდა. არ იცით გმირებს რომ ვუშენებთ ოდებს და არა ჩემისთანა და თქვენისთანებსო.

გალინა არკადიევნამ მეუღლისაგან ბარათი მიიღო.

განთავისუფლებული იყო ჩვენი მიწები. ვაჟა ჯაფარიძის პარტიზანული რაზმი მთელი ომის განმავლობაში მტრის ზურგში რომ იბრძოდა, ახლა ჩვენს ჯარებს შეერთებოდა და მათთან ერთად მიიწევდა ბერლინისაკენ.

სეროვა ციას, ცისანას და ნატაშას უკითხავდა ვაჟას ბარათს, თან სიხარულის ცრემლს ყლაპავდა.

კვირა დღე იყო. სასადილო ოთახში ისხდნენ. გარეთ ციოდა. ცა მოქურუხებული იყო. ზღვა ბორგავდა, მაგრამ ისე იყვნენ ბარათის კითხვით გართულები, არც სიცივეს გრძნობდნენ და ზღვის ბორგვა ესმოდათ.

ბარათმა მათთვისაც მოიტანა კარგი ამბავი. უჩა, ანტონი და მაკარიც ბერლინისაკენ მიიწევდნენ. ეს ბარათში არ ეწერა, მაგრამ ყველა ფრონტზე რომ მიიწევდნენ წინ საბჭოთა ჯარები, იცოდნენ.

იცოდნენ, რომ ახლოვდებოდა სანუკვარი დღე და ახლა მხოლოდ ერთი ფიქრი ჰქონდათ — ჩაეღწიათ ვაჟას, უჩას, ანტონსა და მაკარს ბერლინიდან და უვნებელი დაბრუნებულიყვნენ.

ეროვნული

დღეს ცია და ცისანა თვითონ ესტუმრნენ სეროვას ფოთში. საშემოდგომო სამუშაოები მოთავებული ჰქონდათ, ჭირნახული დაბინავებული და ბოლო დროს ხშირად ჩამოდიოდნენ ქალაქში ომის ამბების გასაგებად.

ნატაშა ყოველ კვირა მოჰყავდა საერთო საცხოვრებლიდან შინ გალინა არკადიევნას ან სადილად, ან ვახშმად, ხშირად მიჰყვებოდა ბათულიას საფლავზე, მიჰქონდა ყვავილები და დიდი ხანი ისხდნენ ხის გრძელ მერხზე, ბაბუ ბურდამ რომ გამოუჩორკნა შვილიშვილს.

ზოგჯერ თვითონ ბურდა დახვდებოდათ აქ უდროოდ დაბერებული. ამდენმა ხანმა განვლო მას აქეთ, რაც ბათულია დაიღუპა მაინც ნატაშას თავიდან არ ამოსდიოდა ფიქრი, რომ მას შეეწირა ბათულია და თვალს ვერ უსწორებდა ბურდას, თავჩაღუნული იჯდა მის გვერდით. საკმარისი იყო შეეხედა მისთვის, დალაპარაკებოდა, თავს ვერ შეიკავებდა, ქვითინი წასკდებოდა და ბურდასაც ატირებდა. ეცოდებოდა ბერიკაცი, გულში იხშობდა ქვითინს.

ბათულია იმათთან იყო დაკრძალული, ვინც ქარხნისა და ნავსადგურის საჰაერო დაბომბვისას დაიღუპნენ.

ნატაშა ქარხანაში ყველას უყვარდა, პატივს სცემდნენ, საქმის ერთგული იყო და ქარხანაც ჯეროვნად აფასებდა მის გარჯასა და შრომას. საამქროში ბრიგადირად აირჩიეს. მისი ბრიგადა მოწინავე იყო, ბრიგადის ნამუშევარი — სანიმუშო, ხარისხიანი. გეგმასაც გადამეტებით ასრულებდა, ხშირად ღებულობდა ფულად პრემიას.

უხაროდათ მისი წარმატება. თავის ახლობელ ადამიანად მიაჩნდათ. ქარხნის ახალმა და ძველმა მუშებმა იცოდნენ, რომ იგი ბათულია კვარაცხელიასთან ერთად მოვიდა ქარხანაში. უფრო მეტიც: ბათულიამ მას გამოჰყვა, მისი გულისათვის მოვიდა. ნატაშა რომ არა, ბათულია ფერმიდან პირდაპირ წავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდა ჯარში. ისიც იცოდნენ, რომ ბათულია მისი საქმრო იყო. ხედავდნენ, რა მწარედ გლოვობდა ქალიშვილი მის დაღუპვას.

ნატაშა თავის პრემიებიდან ერთ კაპიკს არ ხარჯავდა, ძმას უნახავდა, ლუკმას იკლებდა და ჯამაგირის ნაწილსაც ზედ ადებდა. თავის ბიძასთან, ანტონ ბაჩილოსთან ერთად, მაკარიც ალბათ, აქ დასახლდებოდა ამ დამშრალ მიწაზე ომის დამთავრების შემდეგ და და-ძმას სახლის ასაშენებელი ფული უნდა შეეგროვებიათ.

ქარხნის მუშებისა და თანამშრომლების ყურადღებით, გალინა არკადიევნას, ცისანასა და ციას მზრუნველობით, თავს ობლად აღარ გრძნობდა. თვე ისე არ გავიდოდა, ცისანა რომ არ ჩამოსულიყო მასთან, არ ჩამოეტანა სოფლიდან დედის გამოგზავნილი ხაჭაპური, მჭადი, ყველი შემწვარი, ქათამი და ხილი. რაც კი ოჯახში მოეძევებოდა ამ გაჭირვების ჟამს, დედა ყველაფერს ცისანას უგზავნიდა. ცისანა კი ციასა და ნატაშას უნაწილებდა.

ქარხანაში ბევრი ჭაბუკი შეტრფოდა ნატაშას. წამოყვინჩილებული ბიჭები და ფრონტიდან დაბრუნებული, ჭრილობის გამო ჯარიდან განთავისუფლებული ახალგაზრდები, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ ახალგაზრდებში არც ერთს დასაწუნი არაფერი ჰქონდა, ნატაშას გული მათთვის დახურული იყო. იცოდნენ, რომ აქ, ქარხანაში დაეღუპა საქმრო და თავს იკავებდნენ, მისთვის წაგდებულ გულს ჯაჭვით იბამდნენ. ნატაშა ემადლიერებოდა მათ, ყველას ძმასავით ექცეოდა.

რამდენს ეხვეწებოდნენ ცისანა და ცია კოლმეურნეობაში დაბრუნებულიყო, ვერაფრით ვერ დაიყოლიეს. მე აქ, ქარხანაში უფრო საჭირო ვარ, უფრო მეტს ვაკეთებ ფრონტისათვის, ვიდრე კოლმეურნეობაში ვაკეთებდიო. გარდა ამისა, არ ამხელდა თორემ კიდევ იყო ერთი უფრო დიდი მიზეზი, რის გამოც ჯიუტად უარობდა კოლმეურნეობაში დაბრუნებას: იქ გატარებული ყოველი წუთი, ყოველი საათი, დღე და თვე უფრო მტანჯველი, აუტანელი იქნებოდა მისთვის — მოაგონებდა ბათულიასთან ერთად ბოსლების მშენებლობაზე გატარებულ დღეებს, ბურდას კარვის წინ გამხელილ პირველ სიყვარულს და ყოველივე ამის ატანა შეუძლებელი გახდებოდა, იმიტომ კი არა, რომ თავს უფრთხილდებოდა, ზოგავდა, არ უნდოდა ზედმეტი მწუხარება. არა. მის ფიზიკურ და სულიერ ძალას აღემატებოდა იმ ადამიანებში ხელახლა გარევა, ვინც ბათულიას იცნობდა, მასთან ურთიერთობა ჰქონდა, მეგობრობდა, ამხანაგობდა.

ნატაშას ეგონა, ბურდას მისი ნახვა, მისი ახლო ყოფნა, სიცოცხლეს გაუმწარებდა, ისედაც მძიმე ჯავრს კიდევ უფრო დაუმძიმებდა, ყოველი მისი ნახვა ბათულიას მოაგონებდა, თვალწინ დაუყენებდა. ასე ფიქრობდა ნატაშა და აქ, ფოთში მარტო იტანდა თავის მწუხარებას. ქვეყნად აღარავინ ჰყავდა, გალინა არკადევნასა და ცისანას მეტი ამ მწუხარების გამზიარებელი და ძმაზე ფიქრით, მის დაბრუნებაზე ოცნებით უმსუბუქდებოდა ვარამი. ეგონა, უმსუბუქდებოდა, ვარამი თავისას აკეთებდა.

მაკარი უკანასკნელ ბარათში ატყობინებდა, რომ ანტონ ბიძიაც ბელორუსიის ფრონტზე იბრძოდა და ერთმანეთს ბარათებს უგზავნიან. ბიძაჩვენს მივწერე, რომ შენ ფოთში გადახვედი და იქ ქარხანაში მუშაობ, რომ ცისანა ხშირად განახულობს. იქნებ ბერლინში შევხვდეთ მე და ანტონ ბიძია ერთმანეთს. დარწმუნებული ვარ, უსათუოდ ჩავალ ბერლინშიო. იმასაც წერდა მაკარი დას, შეიძლება ვერც კი ვიცნო ანტონი და ვერც იმან მიცნოსო. ხომ გახსოვს, ბიძაჩვენი საქართველოში რომ წავიდა, რა პატარები ვიყავით, მას მერე ათმა წელიწადმა გაიარაო.

გაზაფხული წელს ადრე მოვიდა ზღვისპირეთში. მოვიდა ჯიქურად, სიხარულით, სითბოთი.

ერთად აყვავდა ტყემალი, ალუჩა,

ატამი, ბალი. მრავალფერად გადაიპენტა, აჭრელდა, აენთო ხეები. ერთბაშად ამწვანდა, ახასხასდა ტყე და მინდორი.

ცა დღისით დღესასწაულებრივ მოსარკული იყო, ღამე — ვარსკვლავებით მოჭედილი, მოკიაფე.

„ოქროს საწმისში“ თესვა აპრილში მოათავეს.

გაწმენდილი იყო დედაარხი, შემკრები არხები, კოლექტორები, ქსელები და კვლები.

გახარებული იყო ხალხი. საბჭოთა ჯარები ბერლინის ქუჩებში ებრძოდნენ მტერს.

ნაწილ-ნაწილ უბრუნდებოდნენ თავის სამშობლოს განთავისუფლებულ მიწას ლტოლვილები — რუსები, უკრაინელები, ბელორუსები... ქალები, ბავშვები, ბერიკაცები. გულისტკივით ტოვებდნენ „ოქროს საწმისს“, ეს მიწა ჩვენთვის მეორე სამშობლოდ იქცაო, ამბობდნენ სიყვარულით. ხალხი კი ისეთივე ახლობელი გახდა, როგორც ჩვენი თანასოფლელები, თანამოქალაქენი, ნათესავ-მოყვარეებიო.

ლტოლვილებს ისეთივე სიყვარულითა და ტკივილით აცილებდნენ, როგორც იმ 1941 წლის მძიმე დღეებში მიიღეს ფოთის ნავსადგურში დამშეულები, შორეულ მგზავრობით გატანჯულ-გაწამებულები, ომის გზებზე ჭმუნვა-ვაება გადახდილები. გამოთხოვებისას კოცნიდნენ, ეხვეოდნენ, უსურვებდნენ კეთილ მშვიდობიან მგზავრობას და თხოვდნენ, ნუ დაივიწყებთ მიწას, რომელზედაც თითქმის ოთხი წელიწადი გაატარეთ. სტუმრად გვეწვიეთ ხოლმეო, ატანდნენ საგზალს.

წავიდნენ ფერმაში მომუშავე ქალები და ბერიკაცები — ანტონინა გნედიჩი, ნადია ნაზარენკო, კონდრატე კარპოვი, პეტრე ლაგოიდა...

შავ დღეში ჩავარდა ბურდა კვარაცხელია, მწველავები აღარ ყოფნიდა. მას შემდეგ, რაც საქონელს ბოსლებში აბინავებდნენ, ძროხებმა წველადობას ბევრად მოუმატეს. აღარ იდგნენ ღამით გარეთ წვიმაში და თოვლჭყაპში, ტალახში და წყალში. თბილი ბინა და უხვი საკვები ჰქონდათ.

სასწრაფოდ უნდა ეშოვნათ მწველავი ქალები.

როგორც მაშინ, ფერმისათვის ძროხების საყიდლად და საშოვნად რომ დატრიალდა ბურდა კვარაცხელია, ახლაც ისე მოინდომა, მაგრამ თვითონ არსად წასულა. თავისი მეჯოგეები სარდიონ სართანია და ჯაჯუ ჯგერენაია აფრინა მათ სოფლებში და იქიდან ათი მწველავი ქალი ჩამოაყვანინა.

რაიონში თითით საჩვენებელი გახდა ბურდა კვარაცხელიას ფერმა, მისი ძროხები წელიწადში საშუალოდ ორ ათას ლიტრ რძეს იწველიდნენ. ეს სარეკორდო წველადობა იყო მეგრული ჯიშის ძროხებისათვის.

ერთადერთი კაცი, რომელიც სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებდა, მიხეილ ლაშკარიოვი და აგრეთვე მისი შვილი ნიკოლაი იყვნენ. ნიკოლაი ჰოსპიტლიდან გამოწერის შემდეგ მამასთან ჩამოვიდა ყორათში. მარცხენა მკლავი მხართან ჰქონდა მოჭრილი, სახეზე რამდენიმე იარა აჩნდა. კიდევ დიდი მკურნალობა და მოვლა სჭირდებოდა. სად წავიდოდა ასეთ მდგომარეობაში მყოფი კაცი. იქ, თავის სოფელში აღარავინ ეგულებოდათ მამაშვილს. მათი და მეზობლების სახლკარი მიწის პირიდან აღგვილი იყო ვისთან ჩასულიყვნენ, ვინ შეიკედლებდა. უმრავლესობა მათ დღეში იყო. აქ ჭერი ჰქონდათ, სამუშაო და ლუკმაპური ჰქონდათ, აფასებდნენ, უყვარდათ. რა უნდოდათ მეტი ობლად დარჩენილ ბერიკაცსა და ხეიბარს...

თვითონაც შეიყვარეს კოლხეთის მიწა, ხალხი, რომელმაც დააფასა მიხეილის შრომა, ნიკოლაის წვლილი ომში. მას უპატრონეს, მოუარეს, ვიდრე მთლად არ განიკურნა, ყურადღება არ მოაკლეს. ახლა ცალხელა კაცი ფერმაში მუშაობდა, ბურდა კვარაცხელიას ედგა მხარში და ორი კაცის საქმეს აკეთებდა.

კოლმეურნეობას მუშახელი აკლდა... ისევ მასწავლებლებს, ბავშვებსა და მოსამსახურეებს მიმართეს დახმარებისათვის. მეორე და მესამე თოხს კი ომიდან დაბრუნებული,, დემობილიზებული ჯარისკაცები ჩამოუსწორებენო, ფიქრობდნენ. ყველა, დიდი და პატარა დარწმუნებული იყო, რომ ომი დღედღეზე დამთავრდებოდა. ასე იუწყებოდა რადიო, ასე წერდნენ გაზეთებში. ყველას გონების თვალი და გულისყური ბერლინისაკენ იყო მიცეცებული, შვილის, მამის, დისა და ძმის მოლოდინში. მათ დაბრუნებას შეხაროდნენ და შეფოფინებდნენ.

იმათი გონების თვალი და გულისყურიც. ვინც დაკარგა შვილი, მამა, დაი და ძმა ბერლინისაკენ იყო მიპყრობილი. ბრძოლის ველზე დაცემულთა ღვაწლმა, ამაგმა და თავგანწირვამ მოიტანა ეს გამარჯვება. ომში დაცემულების გმირობით დაბრუნდებოდნენ შინ, ვინც ომს გადაურჩებოდა. ახლა ის მკვდრებიც იბრძოდნენ ცოცხლებთან ერთად ბერლინში. დაღუპულთა საფლავები მიმოფანტული იყო შორეულ ქვეყნებში, მაგრამ მათი საქმე მათი გმირობა, მათი დიდება თავის მიწას უბრუნდებოდა, თავის ხალხს უბრუნდებოდა, როგორც სიცოცხლე, როგორც უკვდავება.

და უცდიდა ყველა ცოცხლებსა და მკვდრებს.

უცდიდნენ ცია და ცისანა უჩასა და ანტონს, მათი მოლოდინი სხვების მოლოდინს არა ჰგავდა. უცდიდნენ სიყვარულს მოწყურებულნი.

სიყვარულს ცდა და ლოდინი არ უყვარს. დიდ სიყვარულს ცდაც შეძლებია და ლოდინიც, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი და აი, დიდმა სიყვარულმაც დაკარგა მოთმინება, ვეღარ დაეტია ციასა და ცისანას გულში, გამომჟღავნდა, გამომზეურდა, დაეტყოთ სახეზე, თვალებში, მოძრაობაში და ამას ყველა ამჩნევდა, ყველა გრძნობდა და თანაუგრძნობდა.

უჩაზე და ანტონზე ფიქრი თავიდან არ ამოსდიოდათ. დარწმუნებულ[illegible]ნენ, დამთავრდებოდა თუ არა [illegible] უჩასა და ანტონს მაშინვე დაითხოვდნენ ჯარიდან და ისინი პირდაპირ ყორათში გამოეშურებოდნენ. დარწმუნებული იმიტომ იყვნენ, რომ ასე ფიქრობდნენ. ასე უნდოდათ.

ყანების მარგვლის დაწყებამდე ბევრი დრო ჰქონდათ და მთელი დღე ოდაში და ეზოში ჯარასავით ტრიალებდნენ. ოდებში ავეჯი არ ედგათ, არც ჭურჭელი ჰქონდათ, არც ფარდები ეკიდათ ფანჯრებზე. დედ-მამამ, რაც რამ კარგი ებადათ, ყველაფერი ჩამოუტანეს, მაგრამ ამით სამ ოთახს ვერ გააწყობდნენ შრომადღეზე აღებული ფულით აბა რა უნდა ეყიდათ. არც არაფერი იშოვებოდა. შავ ბაზარზე გასვლაზე არც უფიქრიათ.

მაგიდები და სკამები ტარიელ ქარდამ და ლონგინოზ ლომჯარიამ გამოუგზავნეს შინიდან. ჭურჭელი და ფანჯრების ფარდები გალინა არკადიევნამ მოუტანათ. თავზე ევლებოდა ორივე ქალიშვილს. თვითონ ურჩევდა, რომელი ავეჯი სად დაედგათ, საწოლები რომელ ოთახში და რომელ კედელთან.

— უჩა და ანტონი თვალს არ დაუჯერებენ ასეთი სახლ-კარი რომ დახვდებათ, — ეუბნებოდა ცისანა გალინა არკადიევნას, — ჩვენ ხომ დედაარხის გაყვანის შემდეგ უნდა დავსახლებულიყავით ამ მიწაზე.

— შემოალებენ ჭიშკარს, უჩა და ანტონი და სახტად დარჩებიან, — სიხარულისაგან თავს ვერ იკავებდა ცია, — ასეთი ოდა, ასეთი ეზო, გადამწვანებული ციტრუსების ხეებით. ბოსელში — ძროხა, საქათმეში ქათმები, საღორეში ღორი. უჩა დოხორეს აშენებას მპირდებოდა, — იცინოდა ცია. — მაგრამ ეს ოდა დოხორეზე უკეთესი, ძვირფასია ჩემთვის. იმიტომ, გალინა არკადიევნა, რომ ხალხმა აგვიშენა. ეზო თქვენ გაგვინაშენეთ, უჩა ამბობდა, ჭაობს რომ დააშრობენ, ისევ ოქროდ გადაიქცევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლხეთის მიწაო. ასე თქვაო ანდრო განგიამ...

— არ დაცალდა, ანდრო განგიას ამ მიწის ოქროდ გადაქცევა, — ნაღვლიანად თქვა სეროჟამ.

ანდროს მოგონებით შეწუხებულები სამივე გაჩუმდა. ციას ოდის აივანზე ისხდნენ. წინ, ტყის იქით ზღვა სუნთქავდა. მისი მძლავრი ფშვინვა აივანამდე აღწევდა.

სეროჟას არ უნდოდა ახლა სამწუხარო ამბავზე ფიქრი, ისიც ციასა და ცისანასავით ღელავდა, ხარობდა, ისიც ისეთივე ქალწულებრივი მღელვარებითა და მოუთმენლობით ელოდა ვაჟას დაბრუნებას.

ცია და ცისანა საქმროებს ელოდნენ. გალინა არკადიევნა — ქმარს, მაგრამ ისიც პირველი სიყვარულის განცდით ხარობდა. ღელავდა ისე, როგორც იმ შორეულ ღამეს, რვა წლის წინათ ლანჩხუთის უბნის მშენებლობაზე, ტყეში ერთმანეთს სიყვარული რომ ვერ დაუფარეს. ოთხი წლის ბავშვის დედა, მეორედ გაიფურჩქნა სიყვარულის შეუკავებელი მოლოდინით. არაფრით არ გამოირჩეოდა ციასა და ცისანასაგან, მასაც ასევე ეკიდა სიყვარულის ცეცხლი.

ისიც ახარებდა და აღელვებდა სეროჟას, რომ ქმარს პატარა ანდროთი ხვდებოდა. ბავშვი მამის ასლი და კვალი იყო, გაუმართლა გალინა არკადიევნამ პირობა. ფოთის რკინიგზის ვაგზლის ბაქანზე რომ მისცა გამოთხოვებისას. ახლაც ესმოდა თავისი და ვაჟას მაშინდელი საუბარი:

„—რა დავარქვათ ბიჭს, ვაჟა?

— დარწმუნებული ხარ, რომ ბიჭი გვეყოლება?!

— უსათუოდ ბიჭი გვეყოლება.

— ანდრო დავარქვათ, გალინა!

— დიდებულია, ვაჟა. მეც ასე ვფიქრობდი?

— კარგია, რომ შენც ასე ფიქრობდი. აბა შენ იცი, როგორ მოუვლი პატარა ანდროს.

— გითხრა, ვაჟა, კიდევ რას ვფიქრობ?

მითხარი, გალინა!

— ანდრო შენ გემგვანება.

— ამაშიაც დარწმუნებული ხარ?

— თუ სახით არა, ხასიათით მაინც დაგემგვანება.

— კარგი იქნება, გალინა.

— ჰო, ვაჟა. კარგი იქნება...“

სახითაც დაემგვანა პატარა ანდრო მამას, ხასიათითაც.

ბერლინი დაეცა. რაიხსტაგის შენობა ცეცხლსა და კვამლში იყო გახვეული, ყოველ მხრიდან უტევდნენ საბჭოთა ჯარები — ესროდნენ ქვემეხებიდან, ნაღმსატყორცნელებიდან, ტყვიამფრქვევებიდან, ავტომატებიდან. აფეთქებებისაგან მიწა ზანზარებდა.

ჯარისკაცები და მეთაურები შერბოდნენ შენობაში ჩანგრეული კედლებიდან, ჩალეწილი ფანჯრებიდან, კარებიდან. იერიში იერიშზე მიჰქონდათ დაჭრილებსა და უვნებლებს.

განწირული მტერი თავგამოდებით იგერიებდა იერიშს, სახურავიდან, ოთახებიდან, სარდაფიდან, ჩამონგრეული კედლებიდან.

ცეცხლი და კვამლი ტრიალებდა შენობის შიგნითაც. მხრჩოლავი დენთი და ჰვარტლი სუნთქვას უკრავდათ ჯარისკაცებს.

იბრძოდნენ ყოველი ოთახისათვის, ვესტიბიულისათვის, კორიდორისათვის, კიბისათვის, ყოველი კუნჭულისათვის.

მტერს ადევნებული ჯარისკაცები და მეთაურები არბოდნენ და ჩამორბოდნენ კიბეებზე, გამორბოდნენ და შერბოდნენ ოთახებში და დარბაზებში. იბრძოდნენ კორიდორებში, ვესტიბიულებში, სხვენში და სარდაფებში.

ისროდნენ ავტომატებიდან, შაშხანებიდან, პისტოლეტებიდან, ტყორცნიდნენ გრანატებს, ხმარობდნენ ხიშტსა და დანას. იბრძოდნენ დაღლილები, ქანცგაწყვეტილები, ჭრილობებისაგან და დამწვრობისაგან სახემოქცეულები, თავპირდასისხლიანებულები, სისხლნარევი ოფლით სახე აჭრელებულები, დენთითა და კვამლით შემურულები.

უჩამ და ანტონმა იცოდნენ, კიდევ ერთი დღე, იქნებ ნახევარი დღე, ან რამდენიმე საათი და რაიხსტაგიც დაეცემოდა. გერმანელებს დიდი ხანია არაქათი გამოელიათ, იმედი გადაუწყდათ, უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ, წინ წყალი და უკან მეწყერი ედგათ, მალე დაყრიდნენ იარაღს, დანებდებოდნენ, რომ ეს მათი — უჩასა და ანტონის უკანასკნელი ბრძოლა იყო.

ამ ფიქრით აღტაცებულები, არ ფიქრობდნენ საფრთხეზე, ყოველ მოსახვევიდან, ყოველ კარიდან, ფანჯრიდან, სართულიდან, რომ ემუქრებოდათ. თითქოს მათ გარშემო არ წიოდა და სტვენდა, არ კაკანებდა ტყვიები, არ სკდებოდა ჭურვები, თითქოს მათ თავზე არ ირღვეოდა, არ ინგრეოდა ჭერი და კედლები, არ ექცეოდათ ფეხქვეშ იატაკი და არ მძვინვარებდა ცეცხლი.

ისინი ახლა ავტომატითა და გრანატებით შეიარაღებულები შენობის ზედა სართულისაკენ მიიწევდნენ. ტანსაცმელი, სახე და თმა ცეცხლის ალით შეტრუსოდათ. ანთებისაგან დაწითლებული, უძინარი თვალები აღგზნებით უელავდათ.

სულს ვერ იბრუნებდნენ. სროლით ადიოდნენ დანგრეულ საფეხურებზე, ბორძიკობდნენ, ქანაობდნენ, შეღუნულ-გამოღუნულ რკინის დაბრეცილ მოაჯირს აწყდებოდნენ. კვამლისა და დენთისაგან სული ეხუთებოდათ. მაინც ზევით მიიწევდნენ, ფეხდაფეხ მისდევდნენ მტრის ჯარისკაცებს, სროლით რომ იგერიებდნენ, ქუდგადაგლეჯილები რომ არბოდნენ კიბეზე. უჩა და ანტონი დარწმუნებული იყვნენ, ვერ გაექცეოდათ მტერი და მხოლოდ დამიზნებით ესროდნენ, მაგრამ ფრიცები რაღაც სასწაულებრივად იცდენდნენ ტყვიას. აასწრეს ვესტიბიულში და იქ ერთ-ერთ ოთახში შევარდნენ.

უჩამ და ანტონმა კიბე რომ აირბინეს, იატაკზე ორ ჯარისკაცს შეჰკიდეს თვალი. ერთი საბჭოთა ჯარისკაცი იყო, მეორე — გერმანელი. ჩვენი ჯარისკაცი მომცრო ტანისა იყო, გამხდარი, თითქმის ბავშვი. გერმანელი მკერდზე აჯდა თავისი მძიმე, ზორზოხა ტანით და კისერში ხელებს უჭერდა, ახრჩობდა. წითელარმიელი ამაოდ ცდილობდა თავის განთავისუფლებას. ეტყობოდა, მკლავებში ღონე გამოლეოდა.

უჩამ დანახვისთანავე ესროლა გერმანელს, ფრიცი გვერდზე გადაქანდა და იატაკზე ბრაგვანი გაადინა. ანტონი საბჭოთა ჯარისკაცს დაწვდა, წამოაყენა. ყმაწვილი ნახევრად გაგუდულიყო. ანტონმა ცეცხლის გაელვებაზე დაინახა მისი წამოწითლებული და ძარღვებდაბერილი სახე და კისერი, გადიდებული თვალები. ორივე ხელით ეჭირა მისი ტანი, ანჯღრევდა და სახეში შესცქეროდა.

— ცოცხალი ხარ, ბიჭო? — დაუყვირა მისი საცოდაობით გამწარებულმა.

ჯარისკაცმა ხმა ვერ ამოიღო. თავი დაუქნია.

ანტონმა ხელი უშვა და გაჰყვა უჩას, რომელიც იმ ოთახში შევარდა, სადაც გერმანელები შეცვივდნენ.

— მომყევი, ბიჭო, — მოაძახა ანტონმა ჯარისკაცს და კარში გაუჩინარდა.

ჯარისკაცი ვერ მიჰყვა. ნაბიჯი ვერ გადადგა, ვერ სუნთქავდა, ამაოდ ცდილობდა ჰაერის ჩაყლაპვას. როგორც იყო მოითქვა სული და იმ ოთახის კარისაკენ გადადგა ნაბიჯი, რომ ამ დროს კარის ღიობი ჩაიქცა და ჯარისკაცი ღიობსა და კედლის ნანგრევებს აქეთ დარჩა.

„თითქოს ნაცნობი სახე იყო, თვალებიც ნაცნობი. ღმერთო ჩემო, თითქოს ოდესღაც მინახავს, — ფიქრობდა ანტონი და იმ ოთახიდან უჩასთან ერთად დერეფანში გაჭრილ გერმანელებს მისდევდა, — ნამდვილად მინახავს სადღაც ის ბიჭი“.

რა იცოდა ანტონმა, რომ ის ბიჭი მისი ძმისშვილი, მაკარ ბაჩილო იყო.

შუა ზაფხული იდგა.

ციასა და ცისანას ბრიგადების ყანები ფოთი-ყორათის გზატკეცილის მარჯვენა და მარცხენა მხარეს იყო გაშლილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩა და ანტონი ფოთიდან ყორათში ფეხით მიდიოდნენ სიმინდის ყანების ორ მაღალ კედელს შუა, მათ თავს ზევით რომ აღმართულიყო და თვალს არ უჯერებდნენ — ნუთუ ჩვენმა მიწამ შობაო ასეთი სასწაული.

უჩასა და ანტონს ისევ ომის ცეცხლით შეტრუსული გიმნასტურები ეცვათ, ისევ ის ქუდები ეხურათ, ზურგზე ჯარისკაცის ჩანთა ეკიდათ, მკერდს დიდების სამივე ხარისხის ორდენები უმშვენებდათ, მხრებს — უფროსი სერჟანტის სამხრულები.

ტანსაცმელი კოხტად ეჯდათ ტანზე. ქამარი წელზე შემოჭერილი, გიმნასტურის კალთის ნაკეცები უკან დალაგებული. მათი მხედრულად აკვართული ტანი სიცოცხლითა და ენერგიით სუნთქავდა. მათი მხნე იერი ერთი შეხედვით გაგრძნობინებდა, როგორ მოისწრაფოდნენ, მოუხაროდათ შინ, როგორ უნდოდათ ციასა და ცისანას ნახვა — სული მისდიოდათ, გული უსწრებდათ.

ყანებში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. სამჯერ გათოხნილ სიმინდს მოვლა აღარ ჭირდებოდა. შემწიფებული იყო.

პაპანება იდგა.

დიდი და პატარა, ქალი და კაცი ჩრდილს შეფარვოდა.

ჯერ აფთიაქის შენობა გამოჩნდა. მერე ის ბარაკი, სადაც სპირიდონ გუნიას კანტორა იყო მოთავსებული, შემდეგ თავიანთი ბარაკი.

ნაბიჯს აუჩქარეს. ამდენი წლის ოცნებით ნალოლიავები შეხვედრის მოლოდინი საცა იყო გაუმართლდებოდათ. ბარაკამდე ასიოდე ნაბიჯი ჰქონდათ დარჩენილი, მაგრამ ეს მანძილი ისე გაგრძელდა, გაიწელა, აღარ ილეოდა.

— ღელავ, უჩა? — ჩახლეჩილი ხმით წასჩურჩულა ანტონმა.

— ვღელავ, ანტონ, — უთხრა უჩამ. — ისევე, როგორც შენ...

შევიდნენ ბარაკის კორიდორში, შედგნენ თავიანთი ოთახის კარის წინ. არ დააკაკუნეს კარზე, უნდოდათ ისე შესულიყვნენ ოთახში, მოულოდნელად დადგომოდნენ თავზე ციასა და ცისანას.

უჩამ კარის სახელურს მძლავრად მოსწია.

კარი დაკეტილი დახვდათ.

ამ დროს მოპირდაპირე ოთახიდან გუდუია ესვანჯია გამოვიდა.

უჩა და ანტონი მიტრიალდნენ.

გუდუიამ ერთბაშად ვერ იცნო ისინი. გაოცებული უყურებდა. უჩამ და ანტონმა ხელი ქუდთან მიიტანეს, ფეხი ფეხს შემოჰკრეს.

— უფროსი სერჟანტები უჩა შამუგია და ანტონ ბაჩილო მოგესალმებათ, ბაბუ გუდუია!

გუდუიამ მკლავები გაშალა და ორივეს ერთად მოეხვია, გულში ჩაიკრა, დიდხანს არ მოუშორებია მკერდიდან. მერე უკან დაიხია და სიყვარულის ცრემლით სავსე თვალებით შეხედა.

—მჯეროდა, დაბრუნდებოდით, — უთხრა. თვალს ვერ აშორებდა. — როგორ გამოცვლილხართ, დავაჟკაცებულხართ!

— ოთხი წელიწადი გავიდა, ბაბუ გუდუია, — უთხრა ანტონმა. — ისევ ის მუხა ხართ!

გუდუია უცებ აჩქარდა. მიხვდა, რომ უჩა და ანტონი ოთახის კართან იმიტომ იდგნენ, რომ აქ ეგულებოდათ ცია და ცისანა.

— ცია და ცისანა აქ აღარ ცხოვრობენ, — უთხრა ესვანჯიამ უჩასა და ანტონს. — თავ-თავის ოდაში გადასახლდნენ.

— სად?!. თავ-თავის ოდაში? — გაოცდნენ მეგობრები.

— წამოდით, — მეტი არაფერი უთხრა ესვანჯიამ. წინ გაუძღვა...

ციასა და ცისანას ეზოების წინ შედგნენ გზისპირზე.

მზე გადახრილი იყო. მისი სხივები ოდების აივნებს ანათებდა, ეფინებოდა ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ნაყოფით დახუნძლულ ხეებს, რკინის გალიერ ჭიშკრებს, ჭიშკრებიდან ოდებამდე კორიდორში გაკვალულ ბილიკებს.

უჩასა და ანტონს თავი სიზმარში ეგონათ. უფრო ფართოდ გაახილეს თვალი. არა. სიზმარი არ იყო.

გუდუიამ დაიცადა, ვიდრე ისინი თავის გაოცებას მოერეოდნენ და მერე ხმამაღლა გასძახა ოდებს:

— მაინძლებო!

ცია და ცისანა აივანზე გამოვიდნენ, მაშინვე იცნეს გუდუიას ხმა და მოულოდნელი სტუმრით გახარებულებმა ჭიშკრისაკენ გაიხედეს. იქ გუდუიას მხრებში ამომდგარი უჩა და ანტონი რომ დაინახეს, პირი დაალეს შესაკივლებლად, მაგრამ ხმა არ ამოუვიდათ, უნდოდათ ეზოში ჩარბენა და მიგებება, მაგრამ ფეხები დაებორკათ.

უჩამ და ანტონმა არ დააყოვნეს, წავიდნენ ჭიშკრებისაკენ. ამის დანახვაზე ქალიშვილებმა ჩაირბინეს კიბე, გაიქცნენ ჭიშკრებისაკენ, მოეხვივნენ უჩასა და ანტონს. დიდხანს არ მოშორებიან. სახე მათ მკერდზე ედოთ და ამით იკავებდნენ, მალავდნენ სიხარულის ცრემლს, მაგრამ როცა უჩამ და ანტონმა ფრთხილად აუწიეს თავი და თვალებში ჩახედეს, ცრემლი და ქვითინი ერთად წასკდათ. ცრემლს მზის სხივები ანათებდა, დილის ცვარივით ციმციმებდა თვალებში და ლოყებზე.

ცრემლს იქით ხედავდნენ ცია და ცისანა უჩასა და ანტონს, მათაც სიზმარში ეგონათ თავი. უფრო ფართოდ გაახილეს თვალი. არა. სიზმარი არ იყო. უჩა და ანტონი იდგნენ მათ წინ. ხედავდნენ მათ ნამზეურ, ვაჟკაცურ სახეს, გამოვლილს ომის ქარცეცხლში, ასეთ ახლობლებს, საყვარლებს, საწადელსა და საამურს. აღარ ქვითინებდნენ. მოჯადოებულივით იდგნენ და უყურებდნენ.

— სანამდე იდგებით ასე?!

შეესმათ გუდუიას გულიდან წამოსული, თბილი ხმა. გამოერკვნენ, გაუღიმეს უჩასა და ანტონს, შებრუნდნენ, თავ-თავისი ჭიშკარი შეაღეს და ეზოში შეიყვანეს. ნელა გასწიეს ოდისაკენ.

საღამოს ციამ და ცისანამ ყანების სანახავად წაიყვანეს უჩა და ანტონი. დედაარხის დამბაზე მიდიოდნენ. წინ უჩა და ცია, უკან მოშორებით, ანტონი და ცისანა.

დედაარხის ნაპირებზეც, ისე, როგორც ყორათ-ფოთის გზატკეცილის ნაპირებზე სიმინდის მაღალი კედელი იყო აღმართული.

როგორც ომის გამოცხადების პირველ დღეს, დამბაზე შედგნენ უჩა და ცია, ოღონდ ციას მაშინდელივით საქორწილო კაბა არ ეცვა, არც ხალხი ირეოდა მათ გარშემო, არც ლაპარაკი ისმოდა, არც ორკესტრის ხმა.

— ცია, — მაშინდელივით ახლაც უჩამ დაარღვია დუმილი.

— ჰო, უჩა.

— გახსოვს, ზღვაზე გაწოლილი ზარნიში?

— რა დამავიწყებს, უჩა?! — გაიკვირვა ციამ.

— გახსოვს, რა გითხარი მაშინ?

— მახსოვს, უჩა!

— ხედავ, წყალზე ზარნიშს?

— ვხედავ, უჩა.

— ანდრო განგიას ზარნიშია იგი.

— ჰო, ანდრო განგიას ზარნიშია, — გაიმეორა ციამ.

— გახსოვს, შენი ეზოს ჭიშკართან რა მითხარი? — ჰკითხა უჩამ და მხარზე მკლავი გადახვია.

— ისეთ ლიმონის, ფორთოხლის და მანდარინის ხეებს გავაშენებ იმ მიწაზე, მართლა ოქროდ იქცეს-მეთქი, გითხარი და კიდევაც აგისრულე პირობა, უჩა!

— ამისრულე, ცია, — უჩამ მეორე მკლავიც გადახვია ციას.

დიდხანს იდგნენ მკლავებგადახვეულები მზისსხივშემონთებულები და ქვეყანაზე არაფერი ახსოვდათ. მერე ციასა და ანტონისაკენ მიიხედავს.

ისინიც მკლავებგადახვეულები, მზისსხივებშემონთებულები იდგნენ და მათაც ქვეყანაზე არაფერი ახსოვდათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ გოგოლაძე

# ცისფერი ცეცხლი

## დოკუმენტური მოთხრობა

მერკვილაძეს მოწვევა მოუვიდა კიროვაბადის სამხედრო-საავიაციო სასწავლებლიდან.

და ერთ დღეს ჭაბუკი მფრინავი მოულოდნელად კარზე მიადგა თავისიანებს, ყველანი შინ იყვნენ, ჩვეულებრივ სალამოს საქმეებით გართულნი.

როგორც კი დაცხრა შეხვედრით გამოწვეული მღელვარება, იპოლიტე ბაბუა ცრემლით გაიხსენეს. ერთი წამოიქვითინა შოთამ და დაშოშმინდა. ვალიამ ცრემლი მოიწმინდა და თავის საქმეს მიხედა. გივი და თენგიზი ძმას არ შორდებოდნენ, შეკითხვას შეკითხვაზე აყრიდნენ და უნდოდათ, რაც შეიძლება მეტი და მეტი მამაცური საქმეები გაეგოთ მისგან. მაგრამ შოთას ბევრი მამაცური ამბავი არ ჩამოჰყოლია ბატაისკიდან.

— ახლა რას აპირებ? — ჰკითხა გრიშამ შვილს.

— კიროვაბადში მივდივარ სამხედრო-საავიაციო სასწავლებელში... მანამდე ერთი თვით შვებულება მომცეს. სიმაღლე და სისწრაფე, მამაჩემო, აი რა მინდა. სამხედრო თვითმფრინავებს სიმაღლეც კარგი აქვს და სისწრაფეც.

გრიშამ შვილს შეხედა სიამაყის გრძნობით, მერე თქვა:

— ასეთ ამბავს კი სათანადო აღნიშვნა უნდა.

სუფრა მალე გაიშალა. გვიანობამდე ისხდნენ.

ამიერიდან სულ ასე უნდა ვიყოთ, — ხმის თრთოლვით თქვა ვალიამ, — შეხვედრა და განშორება, შეხვედრა და განშორება.

დედა შვილს არ შორდებოდა და მალიმალ თავზე უალერსებდა, როგორც პატარა ბიჭს. ეს ბიჭი კი უკვე წვერსაც იპარსავდა და ცის კამარაში არწივივით დანავარდობდა. იყო ბევრი რამ საამაყო და სასიხარულო, იყო დამაფიქრებელიც, გულდასაწყვეტიც. განშორებები, შორეული გზები, უძილო, ფიქრიანი ღამეები... მშობლების დარდი... მაგრამ წინ იყო მაღალი და ცისფერი, უკიდეგანო გზები.

გვიან ღამით ეზოში მარტოდ გამოსული შოთა ჭიშკარს მიადგა და ქუჩის გადასწვრივ მიქელაძეების სახლისკენ გაიხედა. იქ სინათლე არ ენთო. ალბათ ყველას ეძინა. რატომღაც გული დასწყდა, გული, რომელიც გამალებით უცემდა მიძინებული სახლის ჭვრეტითაც კი, სადაც ახლა ტკბილი ძილით ეძინა

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, 1980 წ. № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირას და არც კი იცოდა, რომ შოთა ჩამოვიდა რუსეთიდან, ახლა თავის ჰიშკართან დგას და მისი ნახვა სასოებით ენატრება.

ნახა კი მეორე დღეს.

შოთა და ცირა, თითქოს განგებ, ქუჩაში შეხვდნენ ერთმანეთს.

ლოყები წითლად აენთო ცირას. შოთას გული საგულეს არ ეტეოდა. შეხვდნენ, ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, მორცხვად მიიკითხ-მოიკითხეს და სათქმელიც ამით გამოილიათ.

...ისინი პირველად ერთმანეთს ქორწილზე ეამბორნენ. ეს იყო 1940 წლის ნაახალწლევს.

იმ დღეს თბილისში საამურად ბარდნიდა და თეთრი საპატარძლო სამოსელით ირთვებოდა ქვეყანა.

კიროვაბადში ჩასვლისთანავე პირველი დიდი სიხარული განიცადა შოთამ. დაბარებულივით იქ დახვდა მისი სანატრელი მეგობარი შოთა ცირამუა. ისიც კურსანტად გაუმწესებიათ. მეგობრები ერთმანეთს მოეხვივნენ და დიდხანს ვერ შორდებოდნენ.

კიროვაბადის სასწავლებელში ახალბედა ავიატორებიც იყვნენ, რომელთაც პირველად მოუხდებოდათ ფრენა. მაგრამ ისეთი კურსანტებისათვის, მერკვილაძე და ცირამუა რომ იყვნენ, დღის განსაკუთრებული განაწესი ჰქონდათ, ისინი უმაღლესი პილოტაჟის ილეთებზე ვარჯიშობდნენ.

სასწავლებელს მოძველებული თვითმფრინავები ჰქონდა. ამ თვითმფრინავებზე მკვდარი მარყუჟის გაკეთება საერთოდ აკრძალული იყო. ურთულეს ილეთად ვირაჟი ითვლებოდა.

შოთა მერკვილაძე წვრთნას გადიოდა თვითმფრინავ „მზვერავ-5"-ზე, რომელსაც მხოლოდ ვირაჟის გაკეთება შეეძლო.

ძველ თვითმფრინავებზე მაქსიმალური სიჩქარის განვითარებაც აკრძალული იყო. შიშობდნენ მანქანები ჰაერში არ დაშლილიყვნენ.

შოთას კი ერთი სული ჰქონდა: მოდი ერთი, ამ ვირაჟებს მკვდარ მარყუჟსაც მივაყოლებო.

ერთხელ აეროდრომზე სამხედრო ოლქის შტაბიდან კიროვაბადში ჩამოსულმა ინსტრუქტორმა კურსანტებს ლექცია ჩაუტარა ფრენის უშიშროების შესახებ.

ლექციის შემდეგ შოთამ ხელი ასწია და ინსპექტორს ჰკითხა:

— თუ შეიძლება „მზვერავ-5"-ზე მკვდარი მარყუჟის გაკეთება?

ინსპექტორმა მაშინვე არ გასცა პასუხი. იგი წუთით ჩაფიქრდა და მერე მიუგო:

— ყოველ შემთხვევაში, ამ თვითმფრინავებზე, თქვენ რომ ფრენთ, შეუძლებელია.

„ყოველ შემთხვევაში"... ეს სიტყვები შოთას ღრმად ჩაებეჭდა გონებაში. „ესე იგი, ახალი თვითმფრინავები რომ იყოს, შესაძლებელია... რა გაეწყობა, რაც არ შეიძლება, არ შეიძლება!"

მფრინავები ფრთხილად ვარჯიშობდნენ მოძველებულ მანქანებზე. ბედად, არც ერთი უბედური შემთხვევა არ ყოფილა.

ერთ დღეს აეროდრომიდან ყველა ძველი თვითმფრინავი გაქრა. მოიყვანეს ახალთახალი, კრიალა მანქანები.

„ყოველ შემთხვევაში!" ეს საეჭვო და დამაფიქრებელი სიტყვები, რომლებიც ჭაბუკ მფრინავს ამუხრუჭებდნენ და ძველ მანქანაზე ხელფეხშეკრული იყო, ამოვარდა მისი გონებიდან. ახალი მანქანების დანახვამ ისევ გაუღვივა მკვდარი მარყუჟის გაკეთების სურვილი. უცდიდა ხელსაყრელ დროს. „ჰო, რას დავატრიალებ!" გულში დაქადნებით გაივლო.

ესკადრილიის ინსტრუქტორმა დერიაბომა თავისთან იხმო მერკვილაძე და უბრძანა:

— გახვალთ ზონაში აეროდრომიდან ათი-თხუთმეტი კილომეტრის მოშორებით, აიღებთ ათას ხუთას მეტრ სიმაღლეს, გააკეთებთ ექვს ვირაჟს მარჯვნივ, — ექვს — მარცხნივ და დაბრუნდებით აეროდრომზე. მაგრამ არ დაგა-

ვიწყდეთ, ამჯერად რომელიმე კურსანტი უნდა წაიყვანოთ. გასაგებია?

— არის! — ხელი მხედრული წესით აუღო მერკვილაძემ.

— შეასრულეთ!

შოთამ კურსანტი შეარჩია. კურსანტი ახალბედა მფრინავი იყო, რომელიც მხოლოდ „პო-2"-ზე ფრენდა და ჯერ არ მჯდარა შედარებით სწრაფ „მზვერავ-5"-ში.

— ხომ არაფრის გეშინია? — კითხა მერკვილაძემ კურსანტს.

კურსანტი ყოჩაღად გამოიყურებოდა, ისე ჩაიცინა, ვითომ, ვინა გგონივარო. მერკვილაძეს აღარაფერი უკითხავს, შეტრიალდა და თვითმფრინავს მიაშურა.

ყველა ილეთი ინსტრუქტორის მითითებით შეასრულა. სანამ აეროდრომზე დაბრუნდებოდა, ეშმაკი კიდევ შეუჩნდა: მკვდარი მარყუჟი?

მკვდარი მარყუჟი! მკვდარი მარყუჟი!

მაგრამ იქნებ ამ თვითმფრინავით არ გამოვიდეს? ისევ ამოტივტივდა გონებაში „ყოველ შემთხვევაში". ესე იგი, შესაძლებელია. შეუძლებელი იყო მხოლოდ მოძველებულ, მწყობრიდან გამოსულ მანქანებზე.

ფიქრის დრო არ იყო, გამოსადენი სისხლი უნდა გამოედინა. მანქანა პიკეზე გადაიყვანა, საჭირო სიჩქარე განავითარა და საჭე თავისკენ მოსწია. ამ დროს გაზის მიმატებით მანქანა ზურგზე უნდა გადაბრუნებულიყო, მაგრამ თვითმფრინავს ძალზე მძიმე ძრავა ჰქონდა და შტურვალის დაუხმარებლად არც ისე ადვილი იყო მისი წამოწევა. როგორც იქნა შემოტრიალდა თვითმფრინავი, მკვდარი მარყუჟი კი გაკეთდა, მაგრამ შოთამ სიმაღლის მაჩვენებელს რომ შეხედა, შეცბა. ისარი ექვსას მეტრს უჩვენებდა. ერთი მკვდარი მარყუჟის გაკეთებამ მთელი რვაასი მეტრი სიმაღლე ჩაყლაპა ახლა საჭირო იყო თვითმფრინავის გამოყვანა პიკედან. სწრაფად ვერ გამოიყვანდა და დალუპვა გარდაუვალი იყო. ესეც როგორღაც მოახერხა. დროზე იმარჯვა და თვითმფრინავი ზუსტად სამ წერტილზე დასვა დასაჯდომი ნიშნის გვერდით. მანქანა წითელ ხაზზე დააყენა, ძრავა გამორთო, მაგრამ გადმოსვლას ჯერ კიდევ არ აპირებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქტორი დერიაბოვი თვითმფრინავს მივარდა, ფრთაზე აიჭრა და კაბინის გარშემო შემოვლებულ რეზინის საცავს მუშტები დაუშინა.

გაფითრებული და ენაჩავარდნილი კურსანტი-თანამგზავრი ადგილიდან არ იძვროდა. დერიაბოვი კი მთელი ხმით ყვიროდა:

— რას სჩადიხარ, გესმის?

კურსანტი ბიჭებმა ამოიყვანეს კაბინიდან. მას შოთასთვის აღარ შეუხედავს, ბიჭებს ლასლასით გაჰყვა.

დერიაბოვი შოთას უყვიროდა, თათხავდა. შოთა კი თავის თანამგზავრ კურსანტს თვალს არ აშორებდა და დაასკვნა, რომ იგი სამხედრო მფრინავად არ გამოდგებოდა; მერე მკვდარი მარყუჟის გაკეთებით გათამამებული იმას ფიქრობდა, დიდ სიმაღლეზე რომ ვყოფილიყავი, ორჯერ მაინც მოვასწრებდი მკვდარი მარყუჟის გაკეთებასო.

ესკადრილიის მეთაურმა მკაცრად ბრძანა:

— კურსანტი მერკვილაძე ხუთი დღე-ღამით ჩასვით!

და ჩასვეს!

მარტოდმარტო იჯდა ჰაუპტვახტში. იჯდა ფიქრებთან განმარტოებული და გონებაში ანალიზს უკეთებდა სახიფათო ფრენას. მფრინავობა რისკია და ამ რისკში ვლინდება ხასიათი, გმირობა, მამაცობა... ასკვნიდა იგი და ყოველნაირად ამართლებდა თავის საქციელს, თვლიდა, რომ სასჯელი, რომელიც ესკადრილიის მეთაურისაგან მიიღო, უმართებულო იყო...

მერკვილაძემ აშკარად დაარღვია განაწესი, დისციპლინა და საზღაურიც მიიღო.

იჯექი ახლა ხუთი დღე-ღამე, შორიდან უსმინე თვითმფრინავების გამომწვევ ზუზუნს.

მეორე დღეს გაიღო ჰაუპტვახტის კარი და სადარაჯოს უფროსმა უბრძანა მერკვილაძეს, წამომყევითო. იგი პატარა ოთახში გაიყვანა, რომელიც აეროდრომის მორიგე მეთაურისთვის იყო გამოყოფილი. იქ დახვდა ინსტრუქტორი დერიაბოვი.

— ეს რა გააკეთე, მერკვილაძე... ახლა შენთან ერთად მეც გამაძრობენ ტყავს, — საყვედურებით შეხვდა ინსტრუქტორი.

„სასჯელი ხომ მივიღე, მეტი რა გინდათ. ჰაუპტვახტშიც აღარ მასვენებენო" — შუბლი შეიჭმუხნა შოთამ და ინსტრუქტორს თვალი მოარიდა.

— ნუ იფხორები. წადი ახლავე აბანოში, გამოეწყვე... მანქანა გვიცდის, სასწავლებელში უნდა წავიდეთ. პოლკოვნიკი მასლოვი გვიბარებს.

— ორივეს? — ანგარიშმიუცემლად ჰკითხა მერკვილაძემ.

— ორივეს. დაუჩქარე!

აეროდრომიდან საბარგო მანქანით წავიდნენ. ინსტრუქტორი შოფრის გვერდით იჯდა, შოთა კი ძარაზე იდგა.

ერთი საათის შემდეგ ისინი პოლკოვნიკ მასლოვის მისაღებში იყვნენ.

— მოახსენეთ, რომ ინსტრუქტორი დერიაბოვი და კურსანტი მერკვილაძე გამოცხადდნენ, — მიმართა დერიაბოვმა მორიგეს, რომელიც მისაღებში მუშამბიანი კარის მახლობლად პატარა მაგიდასთან იჯდა.

— ახლავე მოვახსენებ, — წამოდგა მორიგე.

მერკვილაძისნაირი კურსანტი სასწავლებელში ბევრი იყო, მაგრამ ახლა ნაწილში მოხდა საგანგებო შემთხვევა, რისთვისაც მერკვილაძეს და დერიაბოვს ორივეს ერთნაირად უნდა გააძრონ ტყავი. ასე უთხრა დერიაბოვმა, თორემ შოთა სულ არ ფიქრობდა ვინმესთვის დაენებებინა თავისი „ტყავი".

შოთა იმის მოლიდინით შევიდა პოლკოვნიკ მასლოვთან, რომ იგი შესვლისთანავე გაიგონებდა პოლკოვნიკის ყვირილს. მასლოვი მუშტებს მაგიდას დაუშენდა. დაითეთქვავდა ხელებს, გულს ყვირილით მოიოხებდა, მერე ბრძანებს და ისევ ჰაუპტვახტში ჩასვითო. რასაკვირველია იგი მიღებულ სასჯელს კიდევ რამდენიმე დღე-ღამეს მიუმატებდა. თუ ამ სასჯელს არ დასჯერდებოდა, ბრძანებდა, გარიცხეთ სასწავლებლიდანო. „ტყავის გაძრობის" ეს ორი ვარიანტი სწრაფად დაამუშავა გონებაში შოთამ და საწერ მაგიდასაც მიუახლოვდნენ, სადაც ფეხზე იდგა მაღალი, მფრინავის ფორმაში გამოწყობილი ლამაზი კაცი, რომელსაც მკერდს წითელი დროშის ორდენი უმშვენებდა. ეს ორდენი ხანხინ-გოლთან იაპონელების წინააღმდეგ ბრძოლაში მიეღო.

დერიაბოვი პატაკით წარუდგა, მაგრამ პოლკოვნიკმა შეაწყვეტინა, თავისი ცისფერი, შუქიანი თვალებით ერთი კი შეხედა მოსულთ და მიმართა:

— გთხოვთ, დაბრძანდეთ.

დერიაბოვმა მაშინვე შეასრულა უფროსის სიტყვა. შოთა კი ასეთი მოულოდნელი თბილი შეხვედრით დაბნეული, ისევ ფეხზე იდგა.

— დაჯექი, დაჯექი, მერკვილაძე, — დაიბუბუნა პოლკოვნიკმა. მას მკერდისმიერი ხმა ჰქონდა, თითქოს პირიდან კი არა, ფილტვებიდან აგუგუნებდა თვითეულ სიტყვას.

მერკვილაძემ სკამი გამოსწია და ჩამოჯდა.

— ზიხარ, ბიჭო? — გაიღიმა პოლკოვნიკმა და შოთას შეხედა. თვალი არ მოაშორა. შოთა მიხვდა რომელ „ჯდომაზე" იყო ლაპარაკი. მფრინავს სიმამაცე ყველგან მართებდა და ამიტომ მეთაურს გაბედულად გაუსწორა მზერა.

— ვზივარ, ამხანაგო პოლკოვნიკო.

— რას ფიქრობდი, ცირკს რომ მართავდი?

— შევამოწმე, ამხანაგო პოლკოვნიკო, შეიძლებოდა თუ არა „მზვერავ-5"-ზე მკვდარი მარყუჟის გაკეთება.

— და რა გამოვიდა, ·რა აზრის ხართ? მე ეს მაინტერესებს და ამიტომაც დაგიბარე.

— ამ თვითმფრინავზე მკვდარი მარყუჟის გაკეთება არ შეიძლება... მძიმე

და მოუხერხებელი თვითმფრინავია... აქვს მეტად მძიმე ძრავა. ერთი ფიგურის გაკეთებაზე შვიდასი-რვაასი მეტრი იკარგება, ეს კი მეტისმეტად ბევრია...

— უკურე ერთი! — ჩაურთო ადტაცებით პოლკოვნიკმა, დერიაბოვს მიუბრუნდა, — მერკვილაძე ახლავე შეიძლება გავაგზავნოთ რომელიმე საავიაციო ქარხანაში თვითმფრინავების გამომცდელად... უყურე ერთი! შემდეგ?

— ისევ მერკვილაძეს მიუბრუნდა, რომელმაც მღელვარება დაიცხრო და ახლა უკვე თამამად განაგრძო საუბარი. პოლკოვნიკი გულდასმით უგდებდა ყურს.

— ბეწვზე გადავრჩით, ამხანაგო პოლკოვნიკო! თვითმფრინავი ამოდენა სიმაღლის გავლის შემდეგ პიკირებიდან თუ თავისით გამოვიდა, ეს ალბათ იმიტომ, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული.

პოლკოვნიკს გაეცინა. დერიაბოვმა გაიღიმა.

— გატყობ, მამაცი ყმაწვილი ხარ. მაინტერესებდა შენი აზრი ამ თვითმფრინავზე. ჯერ არავის გამოუცდია, შეიძლება თუ არა მკვდარი მარყუჟის გაკეთება „მზვერავ-5"-ით. შენ ამბობ, რომ შეუძლებელია.

— კატეგორიულად.

— დიდი მადლობა, — წამოდგა პოლკოვნიკი მასლოვი.

მაშინვე წამოდგნენ დერიაბოვი და მერკვილაძე.

პოლკოვნიკმა ორივეს ხელი ჩამოართვა და დერიაბოვს ჰკითხა:

— რამდენი მიეცით?

— ხუთი დღე და ღამე, ამხანაგო პოლკოვნიკო.

— არა უშავს, იჯდეს! დაე მკვდარი მარყუჟების შემდეგ ცოტა დაისვენოს ყმაწვილმა. სასწავლებელს რომ დაამთავრებს, გამანადგურებელზე გადასამზადებლად გავგზავნი. წადით!

თქვა თუ არა ეს სიტყვები, მასლოვი მაგიდისაკენ შებრუნდა. დერიაბოვმა და მერკვილაძემ კი კარს მიაშურეს.

ისევ საბარგო მანქანით დაბრუნდნენ და პირდაპირ ჰაუპტვახტისკენ გასწიეს.

...მაინც არ შეიწყალეს. სასჯელი სასჯელია.

„თვითმფრინავი რომ არ დამემორჩილებინა, უფრო სწორედ, თავისით რომ არ გამოსულიყო პიკირებიდან, თავს კი ვიღუპავდი, მაგრამ იმ უცნობ კურსანტს რაღას ვერჩოდი? შეშინდა კი საცოდავი და შეიძლება საავიაციო სასწავლებელს თავიც დაანებოს. არა, ნამდვილად ღირსი ვარ სასჯელისა და აკი ვზივარ კიდეც! ხუთი კი არა, მე რომ პოლკოვნიკისა ვყოფილიყავი, ასეთი საქციელისთვის ხუთს კიდევ დავუმატებდი!"

მერკვილაძემ ხელები თავქვეშ ამოიდო, თვალები მოხუჭა და ფიქრებს გაჰყვა.

საღამო დგებოდა.

ჰაუპტვახტის ციცქნა ფანჯრიდან, რომელსაც რკინის გისოსი ჰქონდა გაკეთებული, სინათლე ოდნავ ეფინებოდა პატარა ოთახს, სადაც ორი ტახტი იყო, რამდენიმე დასჯილისათვის გათვალისწინებული. მაგრამ ახლა მხოლოდ ეს ერთი „მკვდარი მარყუჟების ოსტატი" იჯდა.

საღამოს ყარაული გამოიცვალა. შოთას ესმოდა საყარაულო შენობაში მათი მისვლა-მოსვლით გამოწვეული ხმაური.

რკინის კარებში დატანებულ სარკმელში ვიღაცამ შემოიჭყიტა. სარკმელი იმდენად პატარა იყო, კარზე მომდგარის თვალები, შუბლის ნაწილი და ცხვირ-პირი ჩანდა. მაგრამ მეგობრის სახის მხოლოდ ერთი ნაკვთიც რომ გამოჩენილიყო, შოთა იმავ წამს იცნობდა ცირამუას.

თვალები ეშმაკურად უციმციმებდა სეხნიას.

— გრაფ მონტე კრისტოს ვახლავართ ავიაგამანადგურებლების ესკადრილიით! ხომ არ დაგიწყია გვირაბის გათხრა?

ეტყობა ვიღაცამ ძალით მოაშორა ჰაუპტვახტის კარს, ცირამუას ცხვირ-პირი უცებ გაქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრის ხუმრობამ ღიმილი მოჰგვარა შოთას და უფრო კარგ გუნებაზე დადგა.

საჭიროების შემთხვევაში იგი დარაჯს უხმობდა. საპირფარეშო სადარაჯოს ეზოში იყო და იქამდე მორიგე კურსანტი მიაცილებდა. წესი იყო ასეთი. მერკვილაძე პატიმრად ითვლებოდა. პატიმარს კი ბადრაგი უნდა ხლებოდა.

შოთამ საღამოს საჭიროებისათვის მორიგე იხმო.

ურდულმა გაიჩხაკუნა, კარი გაიღო და იქვე ხიშტიანი თოფით გამოჭიმული შოთა ცირამუა დაინახა.

— გამობრძანდით! — უბრძანა მან პატიმარს. ცირამუას შუბლი შეკრული ჰქონდა, სახე მოღუშული, შოთას ისე უყურებდა, როგორც კაცის მკვლელს და ქვეყნის ამომგდებს.

მისი განრისხებული სახის დანახვაზე შოთას გაეცინა.

— თოფი იქით გასწი!

— ლაპარაკი! — ცირამუას უნდოდა ბოლომდე მტკიცედ შეესრულებინა მკაცრი ბადრაგის როლი.

მერკვილაძემ წინ გაუარა მეგობარს და სადარაჯო შენობის გასასვლელი კარისაკენ გასწია.

— ფორმალისტო! — თქვა შოთამ ხმამაღლა.

ცირამუა მიხვდა ვისაც მიმართავდა პატიმარი.

— ხმა, კრინტი! — თოფის კონდახი ოდნავ ზურგში წაჰკრა წინ მიმავალს.

— ჩამივარდები ხელში! — ღიმილით მიუგო შოთამ და საპირფარეშოსკენ გასწია, — იქნებ იქაც არ მაცალო...

— ხმა მეთქი! რამდენს ყბედობ, ვინ მოგცა ამისი უფლება?!

— ო, რას გვექავ!

კვლავ შეეხო ზურგში თოფის კონდახი.

— თოფი რომ არ წამოგეღო, ისე ვერ გამაცილებდი საპირფარეშოში, არა?! ან რას მომდევ?

— ასეა საჭირო... შებრძანდით!

საპირფარეშოში განგებ შეყოვნდა.

— შენ ეი! — თოფის კონდახი მიკრა ლოდინით გაბეზრებულმა ცირამუამ საპირფარეშოს კარს.

მერკვილაძე გაიტრუნა.

— არ გესმის? — ისევ მოხვდა კონდახი კარს. მაგრამ ამჯერად უფრო ძლიერად.

შოთამ კარი გააღო და გამოვიდა, თან შარვლის ღილებს იკრავდა.

— დალეწე, დალეწე... შენ გგონია არ ჩაგაყუდებენ? მეორე ტახტი თავისუფალია.

— გასწი, პატიმარო! ბევრს ნუ მელაპარაკები, თორემ გესვრი და გაგათავებ!

— პოტენციალური ფაშისტი ხარ, ოხერო! თოფი იქით გასწი, მართლა არ გაგივარდეს. ხომ ხედავ, მივდივარ.

— ფაშისტს აშკარად ვხედავ, საბჭოთა თვითმფრინავს რომ არინდობს და მასთან ერთად უდანაშაულო კურსანტს! უყურე ერთი, რამდენს მელაპარაკებს!

საყარაულო შენობაში მივიდნენ.

ცირამუამ პატიმარი ჰაუპტვახტში შეუშვა, კარი გადარაზა, მერე სარკმელში შემოიხედა. ამჯერადაც ეშმაკურად უმციმციმებდა თვალები.

— ახლა ვახშამს მოგიტან. არ მოიწყინო, ჯიგარო!

წლის დამლევს, 1940 წლის ხუთ დეკემბერს, კვლავ სიხარულის სიომ დაქროლა მერკვილაძეების ოჯახში — ცირას ვაჟი შეეძინა.

დეპეშა მაშინვე აფრინეს კიროვაბადში.

როცა სასიხარულო ცნობა მოვიდა სასწავლებელში, შოთა მერკვილაძე ჰაერში იყო. როგორც მის საუკეთესო მეგობარს, დეპეშა შოთა ცირამუას გადასცეს. სიხარულით ცმუკავდა ყმაწვილკაცი, ერთი სული ჰქონდა მისი სეხნია როდის დაბრუნდებოდა, რომ ეხარებინა.

შოთა კი თითქოს გრძნობდა მიწიერ სიხარულს, მზის სხივებს ლაჟვარდში ეთამაშებოდა. როცა იგი ვირაჟს აკეთებდა, თვითმფრინავის ფრთები

ისე ლაპლაპებდა, როგორც გაელვებული ხმალი.

შოთა ცირამუა შეჰყურებდა თვითმფრინავის ნავარდს და გული საგულეს აღარ ჰქონდა.

არანაკლებ უხაროდა ესკადრილიის ინსტრუქტორ დერიაბოვსაც, რომელიც საათს დაჰყურებდა. შოთას რამდენიმე წუთიღა რჩებოდა და თვითმფრინავს მიწისკენ დაუშვებდა.

— ლამაზად ფრენს, ა? — გადახედა დერიაბოვმა ცირამუას.

— გრძნობს, ეშმაკის კერძი! — შესძახა ცირამუამ და ცაში გასძახა, — ეჰეი, ჰე!

თვითმფრინავის ფრთებმა ერთხელ კიდევ გაილაპლაპეს, მანქანა ცერად წამოვიდა და გეზი აეროდრომისკენ აიღო.

შოთამ ისე მოხდენილად დასვა თვითმფრინავი, დერიაბოვმა ტაში შემოჰკრა.

— ყოჩაღ!

ხრახნი ინერციით ისევ ტრიალებდა, როცა ცირამუა მანქანის ფრთაზე შეხტა.

— ბიჭია, ბიჭი!

გაოგნებული შოთა უცებ ვერ გაერკვა, რას უყიჟინებდა ცირამუა, ან ამ ქაღალდს რას უფრიალებდა ცხვირწინ. სავარძლიდან წამოხტა, ყელზე მეგობრის მკლავები შემოეჭდო, ლამის გაიგუდა.

— მომილოცავს, ბიჭო! მამა ხარ, შე ღმერთძაღლო!

და როცა დერიაბოვიც გადაეხვია და მხურვალედ გადაკოცნა, აღელვებულმა შოთამ სხვა ველარაფერი გააწყო და ესკადრილიის ინსტრუქტორს სთხოვა, ნება მომეცით ისევ ცაში დავბრუნდეო. მას ახლა უკიდეგანო სივრცეში ნავარდი ერჩივნა, მიწაზე ველარ ეტეოდა. ნეტავი შესაძლებელი ყოფილიყო უმანქანოდ გაფრენა.

დერიაბოვი მიუხვდა როგორი განავარდებაც ეწადა ამ ცხრამეტი წლის ყმაწვილს.

— ო, არა, ძმობილო... შენ ამ ცხელ გულზე კიდევ რაღაც ეშმაკობას ჩაიდენ და ისევ ჰაუპტვახტში ჩაგაყუდებენ. ეს საჩუქარი კი ნამდვილად არ გვინდა მოგართვათ ამ ბედნიერ დღეს.

ცოტა ხნის მერე ბიჭებმა ყაზარმაში სახელდახელო სუფრა გაუწყვეს შოთას. ეხვეოდნენ, კოცნიდნენ. ჭაბუკს მღელვარებისგან ზოგჯერ სიხარულის ცრემლი აღგებოდა თვალზე.

თამადა შოთა ცირამუა იყო.

მერკვილაძე ორდღიანი შვებულებით დაასაჩუქრეს, ცოლ-შვილის სანახავად ესეც კმარაო.

დილით სიხარული აჰყვა.

მზიანი დღე დგებოდა. ზამთრის ასეთ დღეებში კურსანტი მფრინავები ვარჯიშს ეშურებოდნენ, დილიდანვე აეროდრომზე ტრიალებდნენ და რამდენიმე მანქანის რიგრიგობით ფრენდნენ.

შოთა კი იმ დროს ფრენას გამოაკლდა. ბიჭებმა გზა დაულოცეს. სადგურამდე ტონანახევრიან მანქანას გაჰყვა. კაბინაში შოფრის გვერდით რომელიღაც მეთაურის ცოლი იჯდა პატარა ბავშვით. ისინიც მატარებელზე მიეშურებოდნენ.

აეროდრომიდან რკინიგზის სადგურამდე კარგა მანძილი იყო და შოთას მანქანის ღია ძარაზე მოუხდა დგომა. სახეში ზამთრის ცივი ჰაერი ურტყამდა, მაგრამ მისთვის მაინც გაზაფხული იყო და ეს მსუსხავი ნაკადი — გაზაფხულის თბილი სიოს ალერსი.

მანქანა გორმახიან გზაზე მირახრახებდა. შოფერი ცდილობდა ნელა ეტარებინა, ალბათ ბავშვიან ქალს ერიდებოდა.

კარგი მანძილი რომ გაიარეს, შოთას თვითმფრინავის ხმა შემოესმა. მიიხედა და რას ხედავს, გზისაკენ ეშვებოდა მისთვის კარგად ნაცნობი „მზვერავი“. იგი ავტომანქანას ისე წამოეწია, როგორც მსხვერპლს აღევნებული ძერა.

თვითმფრინავი დაბლა დაეშვა, მანქანას გაუსწორდა და შოთამ პილოტის კაბინაში თვალი მოკრა ცირამუას. იგი

ალტაცებული უქნევდა ხელს მანქანის ძარაზე მდგომ მეგობარს. ეს იყო წამით, სანამ ავტომობილი და თვითმფრინავი გვერდიგვერდ იყვნენ.

— ეჰე, ჰე! — შესძახა მერკვილაძემ ისეთი ალტაცებით, თითქოს დიდი ხანი არ ენახა ცირამუა. მაგრამ როცა თვითმფრინავი გასცდა, და უცებ კამარა შეჰკრა, გუნებაში გაიფიქრა: ახლა შენ ჩაგაყუდებენ ასეთი განავარდებისთვისო.

მაგრამ შოთა ცირამუა „ჩაყუდებას" გადაურჩა.

როცა მერკვილაძე თბილისიდან დაბრუნდა, მეგობარი ალტაცებით შეეგება:

— რა დაარქვით?

— ჯემალი.

— რომ გითხრა, დიდებული სახელია-მეთქი, არა. მაგრამ კაცს სახელი კი არ ალამაზებს, სახელი კაცმა უნდა გაალამაზოს. და მე ვისურვებდი, რომ არწივის შვილი, არწივი იყოს!

კიროვობადი არც ისე შორსაა თბილისიდან, მაგრამ რა ბედენაა სიახლოვე, თუკი შინ ვერ მიხვალ!

ბიჭი ისე იზრდებოდა, ზრდას მამის თვალი ვერ უყურებდა. ცირასგან ხშირად მოსდიოდა წერილები. ქალი ცდილობდა რაც შეიძლება დაწვრილებით მოეთხრო შოთასთვის პირმშოს ამბები. აბა, ჯერ რა ამბები გააჩნდებოდა ჩვილს, მაგრამ შოთასთვის მაინც სასიხარულო იქნებოდა იმის შეტყობინება, რომ ჯემალიმ უკვე ალუს თქმა იცის, რომ ჯანმრთელი და ცქვიტი ბიჭის იერი აქვს, რომ „ღორმუცელაა" და ძუძუს გოჭივით თქვლეფს, რომ თვალების ფერი მამისა აქვს...

...ეს იყო ივნისის შუა რიცხვებში.

კიროვაბადში უდაბნოს ხვატი იდგა. მფრინავები მხოლოდ ცაში ითქვამდნენ სულს.

შოთას მიწაზე დაშვება აღარ უნდოდა. რამდენიმე რთული ილეთი შეასრულა, გამოდევნებით „დაცხრილა" სამიზნე, თვითმფრინავზე გამობმული პლანერი, კამარა შეკრა და დროც ამოიწურა, მიწაზე უნდა დაშვებულიყო.

დეპეშა დაახვედრეს. ცირა შეუძლოდ გამხდარიყო და დედა სთხოვდა რამდენიმე დღე ჩამოსულიყო თბილისში.

ათი დღით გაუშვეს.

კიროვობადის სადგურში მთელი ექვსი საათი იყურყუტა მატარებლის მოლოდინში. ეს დრო საუკუნედ ეჩვენა. გამთენიის ჟამს უძილობით თვალებდასიებული მთელი გზა ვაგონის ტამბურში იდგა მარტოდმარტო, გულდამძმარებული და სევდიანი.

დილით თბილისში ჩამოვიდა. ერთი სულის მოთქმით გადაირბინა ნაძალადევის საცალფეხო ხიდი, საბჭოს ქუჩაზე ტრამვაის შეახტა...

შინ აღელვებული მიიჭრა.

ცირა სიცხიანი იწვა. შინაურები შეწუხებული იყვნენ მისი ავადმყოფობით. ელენე თავზე ადგა სიცხიან შვილს. პატარა ჯემალს კი ვალია არ იშორებდა.

საღამოს ყველამ ერთად მოიყარა თავი. ცირა მოცოცხლდა, გახალისდა, წამოჯდომაც მოინდომა, მაგრამ დაუშალეს, ჯერ ასე ნუ გათამამდებიო.

ჩუმი და მორიდებული კაცი იყო შოთას სიმამრი სანდრო, ორ სიტყვას ძლივს ამოღერღავდა. სიძე უყვარდა და ყოველთვის, როგორც პატარა ბავშვს, ისე ესიყვარულებოდა. მასაც მონატრებოდა და არ შორდებოდა. გრიშა სუფრაზე რამდენ სადღეგრძელოსაც იტყოდა, სანდრო ყველა სადღეგრძელოში მაინც შოთას ლოცავდა; ცაში ჩამოკიდებული კაცია და ყველა ლოცვა ამას ეკუთვნის, რომ მაგრად იყოსო.

...თბილისში ცხელოდა; ცირამ უკვე მოიკეთა. ეს ამბავი ოჯახს მეტ მყუდროებასა და სიმშვიდეს სძენდა. შოთა თავისიანებს შეხაროდა. დღეები ისე სწრაფად გარბოდნენ, ათდღიანი შვებულება კიდეც მიიწურა.

შაბათს საღამოს ცირა ფეხზე წამო-

დგა. შოთამ ოთახში გაატარ-გამოატარა. მერე ტახტზე ერთად დასხდნენ.

ელენე და ვალია კვირა დღისთვის სადილს ამზადებდნენ, მერკვილაძეები და მიქელაძეები ამ დღეს მოკეთეებს მოელოდნენ და შოთას ჩამოსვლისა და ცირას გამოკეთების აღსანიშნავად პატარა წვეულებას აპირებდნენ.

კვირა დილით გრიშა და ვალია დეზერტირის ბაზარში წავიდნენ ხილისა და მწვანილის საყიდლად. გივი და თენგიზი ძმას არ შორდებოდნენ, ვინ იცის მერამდენედ აყოლინებდნენ სასწავლებლის ამბებს. ძმას ახლა სულ სხვა თვალით უყურებდნენ, მოკრძალებით შეჰფოფინებდნენ და ორივეს გულში სიამაყის გრძნობით უხაროდათ, რომ ასეთი ძმა ჰყავდათ.

რადიორეპროდუქტორი, შავ მათლაფას რომ მოაგონებდა კაცს, ეს დღეები გამორთული ჰქონდათ, შინაურები ცირას ავადმყოფობის გამო ჩურჩულებდნენ და ფეხის წვერებზე დადიოდნენ. ახლა არავის გახსენებია რეპროდუქტორის შეერთება. ყურადღების ცენტრში ახლა შოთა და მისი ამბები იყო. შოთა ჯემალის არ იშორებდა.

შუშაბანდში ისხდნენ.

კიბეზე გამალებული ფეხის ხმა გაისმა. შუშაბანდის კარმა გაიჯახუნა და ჯერ აღელვებული ვალია შემოიჭრა, მერე ასევე აფორიაქებული გრიშა.

ქალმა ხელჩანთები იატაკზე დაყარა და შოთასკენ წავიდა. შვილი გულზე მიიკრა, ხელები გივისკენ და თენგიზისკენ გაიწვდინა. ბიჭებმა უნებურად წაიწიეს დედისკენ.

ვალია ცდილობდა სამივე შვილს მოხვეოდა, სამივე მკერდზე მიეკრა, სამივე და მათთან ერთად, პატარა ჯემალიც... დედა აღელვებული იყო, მაგრამ შეშინებული კი არა, რადგან შოთას მის თვალებში შიში არ შეუმჩნევია.

— რა მოხდა, დედა?

— ჩვენც თქვენთან ერთად ვიქნებით, შვილებო! — ვალიამ შვილებს სათითაოდ ჩახედა თვალებში.

— ომი დაიწყო! — თქვა შოთამ.

დაიწყო ომი, შემდგომში დიდ სამამულო ომად წოდებული.

შოთას ჩაუშხამდა შვებულება. აიკრა გუდა-ნაბადი, გამოემშვიდობა თავისიანებს და კიროვაბადისაკენ გასწია.

სავიაციო სკოლა ფრონტისპირა საკიროვაბადის სამხედრო-სავიაციო საწილს, რომელიც მზად არის პირველსავე დაძახილზე იერიშზე გადავიდეს.

ომის დაწყების ერთი კვირის მერე კიროვაბადის სამხედრო-სავიაციო სასწავლებლის კურსანტები ვადაზე ადრე გამოუშვეს. ყველას მისცეს უმცროსი მეთაურის ჩინი და სამხედრო შენაერთებში გაანაწილეს.

ბევრს დარბოდნენ შოთა მერკვილაძე და შოთა ცირამუა, სადმე ერთად მოხვედრილიყვნენ. სასწავლებლის უფროსის მოადგილეს მიაშურეს. განაწილებულ კურსანტთა სია ამ კაცს ედო მაგიდაზე.

— შეიძლება? — იკითხეს.

მაგიდას უჯდა ჯმუხი და შეუხედავი კაცი, მოლუშული, თითქოს ქვეყნის დარდი მხოლოდ მას ერთს აწვა კისერზე და იმედის სხივსაც ვერსად ხედავდა.

— მობრძანდით. რა გნებავთ? — კუშტად გამოხედა კურსანტებს.

მერკვილაძემ მაშინვე მოახსენა, რაც ნებავდა.

— თქვენ სად გაგამწესეს?

—თბილისში, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო!

— და უკმაყოფილო ხართ?

— არა, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო... მე მოგახსენეთ, რომ.. თუ შესაძლებელია, და მე მგონი ეს შესაძლებელია... მე და ცირამუა ერთ ნაწილში გაგვაგზავნოთ.

— უყურე ერთი, რა მადა გაუღვივდათ ყმაწვილებს! იქნებ ბებია და ბაბუაც თან გაიყოლოთ?

ყმაწვილები ენაჩავარდნილი იდგნენ. ორივეს გულისფეთქვა ყელში ამოსდიოდა. მერკვილაძეს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადით! — გაისმა ბრძანება.

გულს ზოგჯერ ისე ხვდება ერთი მწარედ ნათქვამი სიტყვა, თითქოს ქვა ესროლესო.

კარგა ხანს ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, ჰაბუკური წრფელი ცრემლი მოადგათ თვალში.

ისევ მშობლიური ქალაქი. ზაფხულის მწველი მზე აცხუნებდა.

სანამ ნაწილს მიაშურებდა, შოთამ საბჭოს ქუჩისკენ გასწია, ჯერ თავისიანებს მიხედავდა და საღამო ხანს დანიშნულებისამებრ გამოცხადდებოდა.

ნაძალადევისაკენ საცალფეხო ხიდი გადაიარა და შინ მივიდა. ჭიშკარი რომ შეაღო, კიბეზე ამ დროს ცირა ჩამოდიოდა. შოთას დანახვაზე ადგილს მოწყდა და მისკენ ხელებგაშლილი გამოიქცა.

ცოლთან ალერსის მერე ჯემალი მოიკითხა. დედასთან მყავსო, მიუგო ცირამ, იქ გადავბარგდითო.

— რატომ, ცირა, რა მოხდა?

— ბავშვს ვის დავუტოვებდი?! დედაშენი ჯარშია, მამაშენი მეორე დღესვე გავაცილეთ და გუშინ გივიც... ახლა გაღმოვედი, რომ შინ მარტო დარჩენილი თენგიზისთვის მიმეხედა.

— მაშ ყველანი წავიდნენ? დედა რატომ აჩქარდა?. — გაოგნებული უყურებდა შოთა მეუღლეს.

— სადაც ჩემი ქმარ-შვილი, მეც იქ უნდა ვიყოო, თქვა და გამოგვემშვიდობა კიდეც.

შოთა ერთ ხანს ჩუმად იდგა.

თენგიზიც გამოჩნდა, ძმას მოეხვია და გადაკოცნა.

— ფრონტზე მიდიხარ? — კითხა შოთას.

— არა. ჯერჯერობით აქ თბილისში ვიქნები ავიანაწილში...

— შენი ჭირიმე! — დაიძახა აღტაცებით ცირამ. უზომოდ გაეხარდა ქმარი რომ თბილისში გადმოუყვანიათ და ცოტა ხანს მაინც ახლო იქნებოდნენ.

მერე ერთად გადავიდნენ მიქელაძეებისას. ელენე ცრემლს ღვრიდა ქვეყნის არეულობის გამო, იმის გამო, რომ ვალიას და გრიშას ველარ ხედავდა. ეს ორი დღე მათ გარეშე მიჭირს და რამე რომ დაემართოთ, რაღა გვეშველებაო.

ყველაფერში ომის სუსხი იგრძნობოდა. ადამიანების სიტყვა-პასუხშიც კი. ეს სუსხი წამოვიდა შორიდან, აავირრთა ხალხი, წამოკრიფა ჯანმრთელი და გულმაგარი ადამიანები და გაუყენა სისხლიან გზებზე.

სად არის დედა? სად არის მამა? სად არის გივი?

ახლა ყველაზე მძიმედ იგრძნო შოთამ, რა ძნელი ყოფილა ფუძის მოშლა, ოჯახის არევა, შინაურების დაქსაქსვა... მაგრამ ცალკერძ გულს უკაუებდა მათი შემართება, დედა-ბუდიანად არწივებივით წამოფრენა, მათი ერთსულოვნება...

სხვანაირად ვერ მოიქცეოდნენ.

შინიდან გამოვიდა და სამხედრო ნაწილისკენ გასწია.

საომარი მზადყოფნა, ნომერ პირველ მზადყოფნას რომ უწოდებენ, შოთას საშუალებას არ აძლევდა, თუნდაც ერთი საათით მიერბინა შინ, საბჭოს ქუჩაზე, დაეხედა ცოლ-შვილისათვის, ძმისათვის, სიდედრ-სიმამრისათვის და უმალვე გაქცეულიყო უკან, ნაწილში. ეს სურვილი მოსვენებას უკარგავდა.

რამდენჯერმე ცირამ და თენგიზმა მოაკითხეს ნაწილში. მაგრამ მისი ნახვა არც ისე იოლი იყო, რადგან დღე და ღამე განუწყვეტელი მეცადინეობა და მანევრები სულიან-ხორციანად ქანცავდა.

და ასე, რამდენჯერმე ცირა და თენგიზი ისე გაბრუნდნენ შინ, შოთა ვერ ნახეს. ვერ ნახეს მაშინაც, როცა ერთ გარიჟრაჟზე ესკადრელიის მფრინავები განგაშით წამორეკეს და საბრძოლო თვითმფრინავებით გროზნოსკენ გაგზავნეს.

შემოდგომა ფერს უცვლიდა გარემოს. ახლოვდებოდა სუსხიანი ზამთარი,

ძლიერდებოდა ომის სუსხიც. მტერი წინ მოიწევდა.

გროზნოში ესკადრილიამ ორი დღე დაჰყო, შემდეგ სხვა ადგილსამყოფელი მიუჩინეს.

და აქ, პირველ საჰაერო ბრძოლაში მოხვდა შოთა მერკვილაძე.

ჯგუფში სამი თვითმფრინავი იყო. სამი ჩვენი მანქანა ექვსი მესერშმიტის წინააღმდეგ.

და აი, თითქოს ამ ბრძოლაში, მტერთან პირველ შერკინებაში უნდა გამომჟღავნებულიყო ყველაფერი, რისკენაც ასე გატაცებით ისწრაფვოდა შოთა, რისთვისაც ეწადა მფრინავობა და რასაც მისი გული ელტვოდა. აქ უნდა გამოჩენილიყო, შეძლებდა თუ არ შეძლებდა სიმამაცის გამოჩენას, იყო თუ არა გულად მფრინავად დაბადებული.

ახლა მას არავინ აძლევდა განკარგულებას. ის ერთადერთი იყო თავისი თავის ბატონ-პატრონი, რომელიც ამავე დროს ბრძოლაშივე სცდიდა თავის მანქანასაც.

მტერს ეკვეთა. ცა ტყვიების ჯერით დაისერა. მფრინავები, ორივე მხრიდან ცდილობდნენ როგორმე დაესწროთ მოწინააღმდეგისათვის, როგორმე სამიზნეში მოექციათ მსხვერპლი.

გაბოროტებითა და შმაგად ღმუოდნენ ძრავები. თვითმფრინავები ერთმანეთს მისდევდნენ, იტყუებდნენ, უსხლტებოდნენ... და ამ თავბრუდამხვევ ორომტრიალში შოთა პირისპირ აღმოჩნდა ერთ მესერშმიტთან. მტრის მანქანა მისი ტყვიამფრქვევის სამიზნეში მოექცა და გაშეტსაც უმალ დააჭირა თითი.

თვითმფრინავს უმალ მოედო ცეცხლი, გეზი იცვალა და მიწისკენ წავიდა ყომრალი კვამლის შლეიფით.

...ბრძოლის შემდეგ ესკადრილიის მეთაურმა ხელი ჩამოართვა შოთა მერკვილაძეს, მიულოცა პირველი საბრძოლო წარმატება.

შოთა მეცხრე ცაზე იყო.

სანამ ბრძოლაში ჩაებმებოდა, ჩაითქვა: თუკი ამ შეტაკებიდან უვნებლად დავბრუნდები, ჩემი საქმე კარგად წავაო. და არა მარტო უვნებლად დაბრუნდა, მტრის ერთი თვითმფრინავიც ჩამოაგდო. გახარებული იყო, რომ გულში გავლებული აზრი ასე გაუმართლდა და ღრმა მორწმუნესავით განიცდიდა შთაგონების ძალას. ამიერიდან მისი მომრევი არავინ გამოჩნდებოდა ცაში.

შოთას საბრძოლო საქმეები მართლაც ჩინებულად წავიდა. მის მანქანას მტრის არც ერთი ტყვიის განაკაწრი არ აჩნდა და ის დათქმული შთაგონება რწმენად ექცა. რამდენჯერაც ბრძოლაში ჩაება, ყოველთვის იმედიანად იყო. ამის დასტურს ისიც წარმოადგენდა, რომ ყოველთვის უვნებლად ბრუნდებოდა აეროდრომზე.

შოთას ბოლო დროს შინიდან წერილის დაგვიანება აწუხებდა. არაფერი იცოდა თავისი მშობლებისა, სად იყო გივი. შინ დარჩენილების იმედი კი ჰქონდა, თავს როგორმე გაიტანდნენ. მაგრამ მათი ყისმათიც აწუხებდა, მათი ნახვა ენატრებოდა.

და აი, ერთ დღეს მოვიდა ცირას ბარათი. წერილი ვრცელი და მრავალი ამბის მომცველი იყო.

აი რა მოხდა მერკვილაძეთა ოჯახში შოთას წასვლის შემდეგ.

ერთ დღეს, ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის, ცირამ ქუჩა გადაჭრა და შინ მარტო დარჩენილ მაზლს მიაკითხა. სანამ თენგიზი წამოდგებოდა, ცირას მისთვის საუზმე უკვე მომზადებული ჰქონდა ხოლმე. მაზლს სკოლაში გაისტუმრებდა, სახლს სწრაფად მიალაგებდა და სამსახურში გარბოდა. პატარა ჯემალი კი მიქელაძეებისას იყო. სკოლიდან დაბრუნებული თენგიზი მთელ დღეს აქ ატარებდა. შინ დასაძინებლად გადადიოდა. ორ ოჯახად იყო ყმაწვილი.

ცირამ ჭიშკარი რომ შეაღო, ელდანაკრავი შედგა. სახლის კარზე გარდიგარდმო ფიცარი იყო აკრული. ფიცარ-

ზე ცარცით ეწერა: „ყველანი ფრონტზე წავედით!“

ცირა სახლისკენ გაიქცა, კიბე აირბინა და აღელვებული ფიცარს ეცა, ორივე ხელით ჩააფრინდა, რომ მოეგლიჯა... ცალ მხარეს ამოგლიჯა ჩალურსმული, ხელები ეტკინა, ქვითინი აუვარდა და იქვე კიბის თავზე ჩაიკეცა სასომიხდილმა.

სად წავიდა თენგიზი? ვინ მიაჭედა ეს ფიცარი?

ბოლო დროს დაღვრემილობა ემჩნეოდა თენგიზს. ზოგჯერ კი რაღაც შინაგანი ცეცხლით გაუღვივდებოდა თვალები. მაგრამ არაფერს ამბობდა. ეტყობოდა ამ შინაგანმა ჭიდილმა თავისი გაიტანა და თხუთმეტი წლის ბიჭმა მიატოვა სახლ-კარი და თავისი მშობლებისა და ძმების კვალს გაჰყვა.

სად ეძებოს ცირამ? საით, რომელ გზას გაჰყვა ასე ადრიანად თენგიზი? წუხელ გვიანობამდე ერთად ისხდნენ. ჯემალს მხიარულად ეთამაშებოდა ბიძამისი. ასე მხიარულად ამ ბოლო დროს არ ყოფილა. ახლა გაახსენდა ცირას ყველაფერი. მაგრამ ვინ გაუშვებდა მას ფრონტზე, არასრულწლოვანს, ჯერ კიდევ ბავშვს! იბოდიალებს ქვეყნის შარა-გზაზე, ვინ იცის რა ხიფათს გადაეყაროს... მაგრამ რახან ასე მტკიცედ განუზრახავს, რომ ყველანი ფრონტზე წავედითო... ეს მისი ხელია, ასე გულდაგულ გამოყვანილი.

ცირა წამოდგა, ცალ ლურსმანზე ჩამოკიდებულ ფიცარს შეხედა. წარწერა კიდევ ერთხელ წაიკითხა და ეზოში მიმოიხედა. კიბე ჩაირბინა, ქვა ამოიტანა, ამოგლეჯილი ლურსმანი ისევ თავის ფოსოში ჩასვა და ქვით მაგრად მიაჭედა. მერე კარის გარდიგარდმო აკრულ ფიცარს ისე შეხედა, როგორც მოქანდაკე შეხედავს ხოლმე თავის ხელქმნილს.

„ყველანი ფრონტზე წავედით!“

ხმამაღლა წაიკითხა. ხმაში ისევ გამოერია ცრემლი, მაგრამ გული აწ სიამაყით უძგერდა მათ მიმართ, ვინც აქ ცხოვრობდა და ახლა დიდიან-პატარიანად მტერთან საბრძოლველად წა[illegible]ნენ.

ეს ფიცარი ასე იქნება აკრული მანამდე, ვიდრე თუნდაც ერთი ადამიანი დაბრუნდება ამ ფუძიდან.

„ღმერთო, ხუთივე დამიბრუნე, ხუთივე უკლებლივ, საღი და ჯანმრთელი!“ ცირამ ცისკენ აღაპყრო თვალები, ცისკენ, რომელიც ასე გაგიჟებით უყვარს შოთას, რომელიც შოთას ღმერთი იყო; ღმერთი გახდა ცირასთვისაც ეს სიცოცხლის დიდი თვალი, მზისა და ვარსკვლავების დამტევი, უსაზღვრობის შემცველი, დღისით ლამაზი, ღამითაც მომხიბვლელი, ცა — სიცოცხლის დიდი კალთა.

ცირა ცას ევედრებოდა მიწიერი შვილების უვნებლად დაბრუნებას.

აღელვებული წავიდა სამსახურში. იქ თავის თანამშრომლებს უამბო მომხდარი ამბავი. თანამშრომლებმა ალბათ თავისიანებში გაავრცელეს და ერთ დღეს საქართველოს რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტიდან კორესპონდენტი მიადგა მერკვილაძეების კერას.

სწორედ იმ დილით ბაქოდან სასიხარულო ბარათი მიიღო ცირამ. სასიხარულო იმდენად, რომ თენგიზის გზაკვალი ალმოჩნდა. იგი უკვე ჯარისკაცი იყო, პოლკის შვილობილი. თენგიზი დაწვრილებით სწერდა რძალს, ნავთლუღის სადგურში ფრონტისკენ მიმავალ ეშელონიდან სამჯერ როგორ ჩამოსვეს. მაგრამ ბიჭი არ ეშვებოდა, ბოლოს გამოჩნდა ღვთისნიერი კაცი, რომელმაც თავის ნაწილში ჩარიცხა და აი, ეშელონი კიდეც მისულა ბაქოში. აქ არ ვჩერდებით, ფრონტზე მივდივართ, წერდა თენგიზი. გაპარვისათვის პატიებას სთხოვდა, სთხოვდა იმასაც, რომ ფიცარი თავის ადგილზე ყოფილიყო, რომ ქვეყანას გაეგო მათი ამბავი.

...რადიოს კორესპონდენტმა ერთ ხანს აღფრთოვანებით უყურა კარზე აკრულ ფიცარს, მერე მიქელაძეებისას

გადაჰყვა ცირას და იქ მაგიდას მიუსხდნენ, დაწვრილებით ჩაიწერა მერკვილაძეების ამბავი, ხოლო მეორე დღეს რადიომ მთელ ქვეყანას მოჰფინა ვალიას, გრიშას, შოთას, გივისა და თენგიზის შესახებ — ყველანი ფრონტზე არიან.

კორესპონდენტს ნარკვევი ამაღლვებლად დაეწერა, დიქტორიც ისეთი მაღალფარდოვნებით კითხულობდა, კაცს ჟრუანტელს მოგვრიდა.

ორი დღის შემდეგ მერკვილაძეების ეზო წითელყელსახვევიანი ბავშვებით გაივსო. მათ ხელმძღვანელი ახლდა. ყველას აინტერესებდა აფიცრული კარის ნახვა, ფიცარზე მინაწერი ორიოდე სიტყვის წაკითხვა.

ბავშვები სასოებით შეჰყურებდნენ და გულდასმით უსმენდნენ ხელმძღვანელს, რომელიც სიტყვასიტყვით იმეორებდა რადიოთი მოსმენილს. ხმადაბლა მოუთხრობდა, თითქოს ცდილობდა ამ კარ-მიდამოს მყუდროება არ დაერღვია. ბავშვები შეჰყურებდნენ მამაცი ადამიანების სავანეს და ყველას სახეზე დაძაბულობა და შინაგანი მღელვარება ეტყობოდა.

...მაგრამ წარწერა კარზე დიდხანს არ ყოფილა. ერთ დღეს ცირამ ფრონტიდან მამამთილის წერილი მიიღო. გრიშას რადიოთი მოუსმენია თავისი ოჯახის ამბავი, თენგიზის გაქცევა სახლიდან. მამამთილი ცირას ატყობინებდა, რომ მან თხოვნით მიმართა ლენინის რაიონის ალმასკომს, დროებით, სანამ მერკვილაძეები დაბრუნდებოდნენ, მათ ბინაში შეესახლებინათ რომელიმე ევაკუირებული ოჯახი.

ცირა ალმასკომის წარმომადგენელმა მოძებნა და უჩვენა მამამთილის განცხადება.

მალე მერკვილაძეების ბინაში კიეველი კოლესნიკოვის ოჯახი ჩაასახლეს. თვით ოჯახის მამამთავარი მოსკოვთან იბრძოდა, ცოლი, დედა და შვილი თბილისში იყვნენ.

ფიცარი კი, როგორც საოჯახო ძვირფასი განძი, რელიკვია, ცირამ საგანგებოდ შეინახა.

იმ დროს შოთას ნაწილი როსტოვში იდგა. ვალია მერკვილაძე კი სულ რაღაც ოცდაათიოდე კილომეტრით იყო დაშორებული.

როგორ არ ეცადა შოთა, მცირე დრო მოეხელთებინა დედის სანახავად, ნაწილის მეთაურ პოლკოვნიკ ვორობიოვსაც გაანდო ეს ამბავი. ვორობიოვმა უთხრა:

— ამოვისუნთქოთ, ერთი მაინც ამოვისუნთქოთ თავისუფლად და წადი დედასთან... დედის ფასი არაფერია ქვეყანაზე! — დაუმატა რაღაც ნაღვლიანად, ამოიოხრა და ახალგაზრდა ოფიცერს თანაგრძნობით შეხედა.

აბა, რა გუნებაზე დადგები კაცი, როცა ავი ხმები ამბავს მოიტანენ, შენი ქალაქიდან ფერფლიღა არის დარჩენილიო.

თბილისი თურმე მტრის თვითმფრინავებს დაუბომბავთ და ნაცარტუტად უქცევიათ.

შოთამ ეს ამბავი საშინლად განიცადა და ლამის ბავშვივით აქვითინდა.

ომში ბევრი წარმოუდგენელი რამ ხდებოდა, ინგრეოდა და მთლიანად მიწასთან სწორდებოდა სოფლები და ქალაქები... მაგრამ ნუ თუ თბილისსაც მისწვდა მსახვრალი ხელი!..

გადარეული იყო კაცი. წერილს წერილზე ჰგზავნიდა შინ. პასუხი კი არ ჩანდა. გაშმაგებული იბრძოდა და გულს მაინც ვერ იოხებდა. მფრინავებს დღეში სამჯერ-ოთხჯერ უხდებოდათ საბრძოლო გაფრენა, იყო შემთხვევები, როცა თითქმის მთელი დღე ცას იყვნენ გამოკრულები. ბრძოლიდან დაბრუნდებოდნენ, თვითმფრინავების ავზებს ბენზინით აავსებდნენ, მანქანებს მართავდნენ და ტყვია-წამლით ამარაგებდნენ მექანიკოსები. მფრინავები იქვე, აეროდრომის მდელოზე, ჰარიჰარად წაიხემ-

სებდნენ, მოლილნი მიწვებოდნენ და ისევ გაისმოდა მეთაურის ძახილი:

— მოემზადეთ!

შვებას ისევ ცაში ჰპოვებდა მერკვილაძე. ბრძოლაში იგი თითქოს საკუთარ თავს ეთიშებოდა და ორგანულად ერწყმოდა მანქანას. ორივენი ერთ საერთო იარაღს წარმოადგენდნენ მტრის რისხვად და დამთრგუნავად.

ჯგუფური ბრძოლების დროს ცაში იდგა თვითმფრინავების ყურისწამღები ღმუილი, ისმოდა მცირეკალიბრიანი ქვემეხების გრუხუნი და ტყვიამფრქვევების კაკანი. ცეცხლოვანი ზოლებით ისერებოდა ცა. და ამ სასიკვდილო, საბედისწერო შეტაკებაში შოთა მუდამ მხნედ ებმებოდა და ვაჟკაცურად იბრძოდა.

თბილისზე ყურმოკრულმა ამბავმა კი გონება აუფორიაქა. მოსვენება დაეკარგა და ფრენიდან ფრენამდე დასვენებისათვის განკუთვნილი დრო საუკუნედ ეჩვენებოდა.

განსაცდელში ჩავარდნილს სიკვდილი არასოდეს უნატრია. ახლა, როცა მისი საყვარელი, მშობლიური ქალაქი ნაცრადაა ქცეული, როცა შეიძლება აღარც ცირაა ცოცხალი, აღარც პატარა ჯემალი, რაღა დარჩენილა, ვისთვისღა უნდა თავი ცოცხალი? მაგრამ სიკვდილი არ უძებნია, რადგან მტრის ძლიერი და მრავალრიცხოვანი ავიაცია გასანადგურებელი იყო. ის უნდა ჯანზე ყოფილიყო, უნდა ეცოცხლა, ეცოცხლა და გონივრულად ემოქმედა, რადგან საბჭოთა არმიას დიდი საქმე ჰქონდა დაკისრებული და ამ არმიის ერთი ცოცხალი ნაწილი შოთა მერკვილაძე იყო.

იმ დღეს ჯგუფურ ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა ფაშისტების ოთხი სვავი ჩამოაგდეს. შოთასთვის სულ ერთი იყო, ვინ მოარტყა. ოთხივე ცალ-ცალკე დაინახა შავი კვამლის შლეიფებით, — აბრიალებული ცეცხლით როგორ დაეშვნენ მიწისკენ და იქ ასევე რიგრიგობით აფეთქდნენ.

ასეთი სურათი მოსწონდა. ასეთ სურათებს ყოველ დღე ხედავდა.

მართალი ამბავის მომტანიც არავინ ჩანდა, თბილისზე რაიმე გაეგო.

და იმ დღეს, ოთხი თვითმფრინავი რომ ჩამოაგდეს და ჩვენი ავიაგამანადგურებლები ერთმანეთის მიყოლებით ზედიზედ დაეშვნენ აეროდრომზე, შოთამ ძირს დაშვებული მანქანა ასაფრენ ბილიკზე შემოაბრუნა თუ არა, კაბინის სახურავი გასწია, შიკრიკის ძახილიც მოესმა:

— მერკვილაძე, პოლკოვნიკთან, სწრაფად?

ამოსუნთქვაც არ აცალეს. ალბათ რაღაც ამბავია.

როცა კი უფროსთაგან ვინმე გამოიძახებდა, ამ ფიქრითა და განცდით მიიჩქაროდა.

კაბინიდან ფრთაზე გადახტა, შემდეგ წამსვე მიწაზე და ფეხდაფეხ გამოედევნა შიკრიკს, რომელიც პოლკის სამეთაურო პუნქტისაკენ გარბოდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო...

პატაკის თქმასაც არ აცდის ვორობიოვი.

— მერკვილაძე, თბილისში სასწრაფოდ უნდა გადაატრინო დაჭრილი... თვითმფრინავი მზადაა, დაჭრილიც მოყვანილია. ბაქოს მოვლით წახვალ... რადიოგრამები დაგზავნილია. შეასრულეთ!

— მაგრამ თბილისი...

— რა თბილისი!.. ყოველი წუთი ძვირფასია!.. — გაცეცხლდა პოლკოვნიკი და მერკვილაძისკენ ისე წამოიწია, თითქოს ხელი უნდა ჰკრასო. საბუთი გაუწოდა და უყვირა: — შეასრულეთ! სირბილით!

შოთა, ცოტა არ იყო, თავრეტდასხმული გამოვარდა ბლინდაჟიდან. საით უნდა წასულიყო, თვალზე ლიბრი გადაეკრა.

„თბილისი!.. თბილისი!..“ სიხარულით რეკდა მის გონებაში ეს საყვარელი სახელი.

— აქეთ, აქეთ! — უხმობდა ვიღაც.

სანიტარული თვითმფრინავი ასაფრენად მზად იყო. მას კავკასიონის საჰაერო გზები საკმაოდ კარგად ჰქონდა შესწავლილი, მაგრამ სანიტარული თვითმფრინავით, რომლის უმაღლესი ჭერი სამიათას მეტრს არ აღემატება, სარისკო იყო მთებში ფრენა. სანიტარულ თვითმფრინავს არც ავიაგამანადგურებლის სისწრაფე ჰქონდა. მიდიოდა ნელა.

თანდათან გამოიკვეთა უმოკლესი გზაც თბილისისაკენ. ჯერ გროზნოში უნდა ჩაფრენილიყო. გროზნოს გასწვრივ ქედის ხეობებში შეიძლებოდა შესვლა. ეს გადაწყვეტილება მტკიცედ ჩაიდო გულში და თვითმფრინავი ამ გზით წაიყვანა.

გეზი კიროვაბადისკენ ჰქონდა. აქედან კი თბილისამდე ერთი საათი საფრენი გზაღა რჩებოდა. კიროვაბადში ბენზინის ბაკები შეავსო და ცაში აიმაღლა.

საქართველოში მზიანი დღე იდგა.

თბილისის დანახვამ ძლიერ დააბნია და გაახარა. ცის სიღრმიდან ხედავდა თავის მშობლიურ ქალაქს მთლიანს, გაშლილს, მზეში გაბანილი სახლებითა და ქუჩებით. ველარ მოითმინა და შესძახა: „გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი!"

ეს იყო სიხარულის ალტყინება.

პატარა ბავშვივით იყო აღტაცებული: თვითმფრინავი უფრო დაბლა დაუშვა, რათა უფრო ახლოდან შეეყნოსა საყვარელი ქალაქის სუნთქვა. ასე ეგონა მშობლიურმა ქალაქმა დედის მკერდი გადიღეღა და გულში უნდა ჩაიკრასო.

...თვითმფრინავის თვლები მიწას შეეხო. მცირე გარბენი და გაჩერდა. ძრავა დადუმდა. სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა.

შოთას არ უყვარდა თვითმფრინავის გაჩერებისთანავე კაბინიდან გადმოსვლა. ბრძოლიდან დაბრუნებულიც კი ერთ ხანს შეყოვნდებოდა, თითქოს სული უნდა მოითქვასო.

ეროვნული

კაბინიდან დაინახა თვითმფრინავისაკენ როგორ გამოეშურა სასწრაფო დახმარების მორიგე მანქანა.

როცა შოთა კაბინიდან გადმოვიდა, დაჭრილი უკვე მანქანაში მოეთავსებინათ. თეთრხალათიანმა მამაკაცმა მერკვილაძეს მადლობა გადაუხადა, უთხრა რომელ ჰოსპიტალში მიჰყავდათ დაჭრილი და მანქანაში შევარდა.

შოთამ თავისი ვალი მოიხადა. აეროდრომის შენობას მიაშურა, რათა დისპეტჩერთან გამოცხადებულიყო, თვითმფრინავი ჩაებარებინა და ქალაქში წასულიყო.

ცირასთვის იმდენად მოულოდნელი იყო მისი გამოჩენა, რომ სიხარულით ატირებული ქალი დიდხანს ვერ დაშოშმინდა. პატარა ჯემალი ჯერ კიდევ აზრზე არ იყო, ვინ მოვიდა, საიდან მოვიდა, ან რატომ ტიროდა დედა და რატომ ასე გაშმაგებით კოცნიდა ბიჭუნას ეს უცხო კაცი.

— ჩვენებისგან რა ისმის?

უკვე დადგა ჟამი შეკითხვებისა, როცა ვნებათა ღელვა დაცხრა, როცა ცირა გვერდით მიუჯდა შოთას.

— ამას წინათ დედა გვატყობინებდა, კარგად ვართ... აი წერილი, წაიკითხე, — ცირა წამოხტა და დედის წერილი გაუწოდა შოთას.

— თითქოს ახლო ვართ ერთმანეთთან, ერთმანეთს კი ვერ ვხედავთ. ვერც ვერაფერს ვიგებთ. დროც არა მქონდა, რომ მის სანიტარულ ბატალიონში წავსულიყავი.

შოთამ დედის წერილი წაიკითხა, მერე მამის, ძმების წერილებსაც გადახედა და გული დაიმშვიდა. ახლა ყველა წერილი ცირას ბინის მოსაგარზე მოდიოდა.

საღამო ხანს შოთამ მშობლიურ სახლს მიაშურა, წავალ, ერთი გავიცნობ, ჩვენს ბინაში რა ხალხი ცხოვრობსო.

მძიმეა, ძალზე მძიმე, როცა შენს სახლში მიდიხარ და კარს ვიღაც უცხო

ბიბლიოთეკა

გილებს, შენიანები კი სადღაც შორს არიან, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. იქნებ საჭირო არ იყო მისვლა? მაგრამ გულმა რომ არ მოასვენა!

ცირას მერკვილაძეთა ბინიდან არაფერი გადაუტანია მიქელაძეებისას. რაც კოლესნიკოვები შესახლდნენ, მათთან მხოლოდ ერთხელ იყო.

ვინ არიან, მერკვილაძეების ფუძეს რომ დაეპატრონნენ? ვინ იცის, თავისებურად გადაღებეს კედლები, ავეჯს ადგილი შეუცვალეს. ყველაფერი შეცვლილი დახვდება შოთას. ბუნებრივიცაა. ისინი დროებით, მაგრამ მაინც კანონიერი მფლობელები არიან ბინისა, სადაც ცხოვრობენ და თავისებურადაც მოუვლიდნენ.

ისევ ის ელექტროზარის ღილაკი, ისევ იმ ელექტროზარის ხმა, ნაცნობი, ჟღერადი.

კარი მოხუცმა ქალმა გაუღო.

— გამარჯობათ! — მიესალმა შოთა.

— გაგიმარჯოთ. შემობრძანდით!

შოთას მეტი პატიჟი აღარ დასჭირებია, შინ შევიდა.

შესასვლელში ყველაფერი უცვლელი იყო. ყველა ნივთი ისევ ისე, თავის ადგილზე ეწყო, როგორც ახსოვს შოთას. ოთახში შესასვლელი კარი ღია იყო და კედელზე შოთამ დაინახა სურათი, რომელიც 1936 წლიდან ეკიდა. მოხუც ქალს ყურადღება არ მიაქცია, ოთახში ისე შეირბინა, როგორც არაერთგზის, ბიჭობაში და შემდეგაც, როცა სამხედრო-საჰაერო სკოლიდან შვებულებით ჩამოდიოდა.

ახლა თავისიანების ნაცვლად ეს სურათი შემოეგება, ყავისფერ ჩარჩოში ჩასმული სურათი — მერკვილაძეთა მთელი ოჯახის შემადგენლობით: სხედან ვალია და გრიშა. მამას კალთაში ჩაუსვამს ათი წლის თენგიზი, ხოლო შოთა და გივი ფეხზე დგანან მშობლების უკან.

მოხუცი ქალი ფეხდაფეხ მიჰყვა სტუმარს. ალბათ შეშინდა კიდეც, ასე უცნაურად რომ იქცეოდა, ასე ხარბად რომ მიათვალიერ-მოათვალიერა [illegible] რობა და მიაჩერდა სურათს.

— მაპატიეთ, — უცებ შემოტრიალდა შოთა მოხუცი ქალისკენ, — მე მერკვილაძე ვარ. აი ეს...

და შოთამ სურათზე დაადო თითი თავის ორეულს, ბავშვს, რომელიც სულ არ ჰგავდა ახლანდელ მოსულ ვაჟკაცს. მაგრამ მოხუცმა ქალმა ნამდვილად ირწმუნა, რომ ეს მფრინავი შოთა მერკვილაძე იყო.

— რა კარგია რომ ჩამოხვედით! — გაიხარა ქალმა, — ჩვენ შეგვიძლია... აი, საცაა მოვა ჩემი ქალიშვილი და მოვილაპარაკებთ...

— რაზე უნდა მოვილაპარაკოთ, ბები? — კითხა ქალს შოთამ და უცებ მიმოიხედა ოთახში. ყველაფერი ისევ ისე აწყვია, ყველაფერი ძველებურად, ავეჯი, სურათები, ფარდები... შოთა სკამზე ჩამჯდარიყო და შვებით ამოისუნთქა.

— ბინაზე, გეთაყვა... რახან დაბრუნდით... სახლი ხომ თქვენია... ჩვენ კი დროებით შემოგვასახლეს. იქ რა ხდება, მითხარი, შვილო, ფრონტზე? მალე გარეკავენ ფაშისტებს?

— მალე, ბები, მალე... ბინაზე კი ნუ იდარდებთ, სანამ ჩვენს მიწაწყალს მთლიანად არ გავათავისუფლებთ, იცხოვრეთ აქ, ვინ დაგიშლით...

— აი, ჩვენ ხელი არაფერს ვახლეთ... არც ბავშვი ეკარება. რა უფლება გვაქვს... ყველა ნივთი თავის ადგილზე დაგხვდებათ, ოღონდ ღმერთს შევთხოვ, თქვენ აქ ჯანმრთელად დაგაბრუნოთ... მგონი სონიაც მოვიდა.

დერეფანში ხმაური გაისმა. გასაღებმა გაიჩხაკუნა და კარი გაიღო. შემოვიდა ახოვანი, წარმოსადეგი ქალი.

— სონია, შვილო, ჩვენ სტუმარი გვყავს... სტუმარი კი არა, ჩვენი მასპინძელი... როგორ ვთქვა, აღარ ვიცი, — მხიარულად მიეგება მოხუცი ქალი სონია კოლესნიკოვას, — ერთი სიტყვით, ჩვენთან მფრინავი შოთა მერკვილაძეა.

სონია კოლესნიკოვამ გულღიად გაიღიმა და ხელი მხურვალედ ჩამოართვა შოთას.

— არ ვიცი, როგორ გადავიხდი თქვენს სიკეთეს, — მიმართა ქალმა, ვარ თბილად, მყუდროდ... მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა.

— მეც მოხარული ვარ. — თავი დაუკრა შოთამ.

— დაბრძანდით. მე ახლავე ჩაის შევდგამ, — თქვა სონიამ.

— გმადლობთ. მალე უნდა წავიდე, — მიუგო შოთამ.

— ასე სწრაფად? არა, მე თქვენ არსად გაგიშვებთ. ბოლოს და ბოლოს, თქვენ ამ სახლის პატრონი ხართ და როგორც მასპინძელი, უფლება არა გაქვთ სტუმრები მიგვატოვოთ, — სონიას სიტყვები ისეთი თბილი და შინაურული იყო, შოთა დაემორჩილა ქალის მუდარას.

მალე მაგიდას უსხდნენ სამნი და ჩაის შეექცეოდნენ.

სონიამ თავისი ოჯახის თავგადასავალი უამბო. მისი მეუღლე, არტილერიის ოფიცერი მოსკოვთან იბრძოდა. მისგან არაფერი ისმოდა. კოლესნიკოვებმა ცეცხლმოდებულ კიევიდან რის ვაივაგლახით გამოაღწიეს და სონიას სიმამაცის წყალობა იყო, რომ დედითა და შვილით თავი დააღწია საშინელებას. ახლა იგი საავიაციო ქარხანაში მუშაობს. მერე ფრონტული ამბები გამოჰკითხა შოთას. ჩაის ნელა სვამდნენ, ბევრს ლაპარაკობდნენ.

ბიჭუნა სკოლიდან დაბრუნდა. მეორე ცვლაში სწავლობდა. მოვიდა წყნარად, ტახტზე დადო ჩანთა და დედამ მაგიდასთან მიიხმო.

— ხელი ჩამოართვა ძიას.

მფრინავის ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცის დანახვაზე მოცოცხლდა ბიჭი, ხელი ჩამოართვა. შოთამ შეათვალიერა იგი, ანთებული თვალებით, მაგრამ მაინც [illegible] რომ უყურებდა.

ბიბლიოთეკა

— მადლობელი ვარ თქვენი, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ შოთამ და სონიას შეხედა, — თბილი მიღებისათვის, ტკბილი ჩაისათვის და იმისათვის, რომ თქვენ ჩვენს ბინას არ აციებთ...

სონიამ ჭიშკრამდე გააცილა.

თბილისში უკვე ჩამობნელდა. ქუჩებში ელნათურები არ ინთებოდა. არც ერთ ფანჯარაში სინათლე არ გამკრთალა. ეს სანახაობა გულზე მძიმე ლოდად დააწვა შოთას.

მეორე დღეს მის მიერ ჩამოყვანილი დაჭრილის სანახავად გასწია საბჭოს ქუჩაზე მოთავსებულ ჰოსპიტალში.

ეს ერთადერთი ჰოსპიტალი იყო, საგანგებოდ ქალებისათვის გამოყოფილი. ამ შენობაში ომამდე სკოლა იყო და სამივე ძმა შოთა, გივი და თენგიზი აქ სწავლობდნენ. ოდესღაც აქ სიცოცხლით სავსე ბიჭები და გოგოები ფუტკრის სკასავით აზუზუნებდნენ ამ დიდ სახლს. ახლა იქ დაჭრილების წუხილი, კვნესა და ოხვრა დგას იოდისა და მორფთან ერთად.

უმძიმდა მისვლა, მაგრამ მაინც აინტერესებდა დაჭრილის ამბავი. სხვა რომ არაფერი, ამბავი ხომ უნდა ჩაიტანოს ნაწილში, რომ დაჭრილი მოათავსეს თბილისის ევაკოჰოსპიტალში, რომ მისი მდგომარეობა... ვინ იცის, რა დღეშია! უნდა გაიგოს, უთუოდ უნდა შეიტყოს.

როცა მან მორიგე ექიმთან მოიკითხა წინა დღეს კავკასიის ფრონტიდან ჩამოყვანილი დაჭრილი, ექიმი პალატისაკენ გაუძღვა შოთას, რათა პალატის ღია კარიდან დაენახვებინა ის, ვინც ჩამოიყვანა.

დერეფანში მიაბიჯებდნენ. ექიმი ეუბნებოდა შოთას:

— მამაცურად გადაიტანა ოპერაცია, ბევრი ნამსხვრევები ამოვუღეთ...

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საფო მგელაძე

# ალიო მაშაშვილს და ტერენტი გრანელს

ორნი მოხვედით ჩემს სანახავად,
ორნი მოხვედით პოეტურ გრძნობით,
ვიყავი ცუდად, ვიყავი ავად
და მწვავდა სევდა ამოუცნობი.

მეც მეგობრები თურმე მყოლია
და ქრება სულში ბურუსი მუქი,
ტერენტის მძაფრი მელანქოლია,
ალიოს თმების ნათელი შუქი, —

იჭრება სახლში და ღარიბ ბინას
კვლავ პოეზიით ააფერადებს,
მათ სულში კიდევ მრავალ ლექსს სძინავს,
კვლავ ახალ აზრებს ახდიან ფარდებს.

ერთს ისევ სტანჯავს ჩვეული დარდი,
მეორეს ისევ სწყურია ბრძოლა,
მე ვნატრობ სითბოს, სინაზეს, ვარდებს
და მომეწყინა ლოგინში წოლა.

ორნი მოხვედით ჩემს სანახავად,
ორნი მოხვედით პოეტურ გრძნობით,
ვიყავი ცუდად, ვიყავი ავად
და მწვავდა სევდა ამოუცნობი.

---

* მიმდინარე წლის იანვარში შესრულდა 90 წლისთავი ცნობილი მწერალი ქალის საფო მგელაძის დაბადებიდან; სამწერლო ასპარეზზე იგი გამოვიდა ოციან წლებში. მის კალამს ეკუთვნის თავის დროზე გახმაურებული რომანები — „ლიანა ლორდია“, „ქარიშხლის ფრთებზე“, „გზა და გზა“, „ნანა“; პოემები — „ბახმარო“, „იყო ზღაპარი“, „რას ამბობს თერგი“, „ჩემი ბავშვობა“ და მრავალი სხვა. დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ამზადებს მწერლის რჩეული ნაწერების კრებულს. ვბეჭდავთ რამდენიმე გამოუქვეყნებელ ლექსს ამ წიგნიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლ ე რ წ ა მ ი

შორს უდაბნოში დასჭკნა ლერწამი
როს ჩრდილი აღარ დაურჩა ფარად,
დასჭკნა ლერწამი განმარტოებით,
მოკვდა ლერწამი მშვიდად და წყნარად.

ტანჯვის კოცონზე დაიწვა სული
და ჩაიფერფლა მთელი არსება,
ჰო, გავა დრონი, ჩემი სიცოცხლეც
იმ დამჭკნარ ლერწამს დაემსგავსება.

## დაკეტილ კართან

დაგროვდა სიტყვა და ის გულმა ვერ დაიტია,
მოველ მეამბნა, შენ კი კარი დაგიკეტია,
წასულხარ სადღაც, და არც ვიცი გეძებო სადა!
იყო სიტყვების თითქმის მთელი კორიანტელი,
იყო ოცნება, ცისკარივით სუფთა ნათელი...
დღეს კი ყველაფერს სათითაოდ დაეშვა ფარდა,
სადა ხარ, სადა და საუბრობ ვაჟთან თუ ქალთან,
მე ისევ ვდგევარ მოწყენილი დაკეტილ კართან.

* * *

სულს მწუხარება დაეცა ჩრდილად,
თვალებს დანისლულს დარდი დაშვენდა
და თეთრი განცდის თეთრი აჩრდილი,
კვლავ აღარასდროს არ მოვა შენთან.

მისდევ ბილიკებს, გზებს შეამოკლებ,
ასული ვინმე მოგიალერსებს,
ეცდება, მაგრამ მაინც ვერ მოკლავს
შენში ჩემს სახელს, შენში ჩემს ლექსებს.

დახრი წამწამებს, დაღლილს, ნაღვლიანს
შეკითხავ ზეცას: — რა დავაშავე?!
შენ ჩემთვის მოკვდი დიდი ხანია
და მეც მას შემდეგ ვატარებ შავებს.

# თანამედროვე ინგლისელი პოეტები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯორჯ მაკბეტი

## უ ჯ რ ა

მათი ნივთები სეკრეტერის ქვედა უჯრაში
ძალიან დიდხანს ერთმანეთის გვერდით ემარხა —
დედის ხელჩანთა, წერილები და ქინძისთავი,
ძველად ვაზასთან რომ ელაგა, რომელშიც იგი
უქმეზე ფოთლებს ან ყვავილებს აწყობდა ხოლმე.

მამის ნივთები კონვერტში დევს — ხაკის ზონარი,
თორმეტი ღერი სიგარეტი, შავი ფანქარი
და დაჭმუჭვნილი ცხვირსახოცი — რაც მას გადარჩა,
როდესაც მოჰკლეს, ანდა დედამ რაც შეარჩია
და სამახსოვროდ დაიტოვა მეუღლისაგან.

მე ამ უჯრაში შვიდი წლის წინ ჩავდე ისინი
და შევაწუხეთ მე და ჩემმა მეუღლემ ახლა,
რაკილა უნდა გადავიდეთ ახალ ბინაში
და ვიდრე მერე მოვნახავდეთ ცარიელ უჯრას,
დროებით ისევ კარადაში უნდა დავაწყოთ.

ერთმა ხელმოკლე, ასე, ალბათ, შუახნის კაცმა.
ჭურვის ნამსხვრევს რომ შეეწირა და მისმა ცოლმა,
ციროზის მსხვერპლმა, ერთადერთი დასტოვეს ვაჟი —
ცხრა წლის... ცხრამეტის... ოცდაექვსი წლის
ახალგაზრდა —
რომელიც იმათ დანატოვარ ნივთებს ინახავს.

პიტერ რედგროუვი

## უ ა ზ რ ო დ

უაზროდ, ჩემთვის დავყიალობ მე ამ ხრიოკზე —
ეგ არის მხოლოდ, ჩამოყრილი ქვები და ხრეში,
ზედ სარეველა რომ მოსდებია,
ჩემს ღრჯუ და უქმურ გუნებას და ნირს ეხამება —

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ყრია შეშის ნაფოტებიც და ვიღაცის სახლის
შპალერის
გახამებული ნაგლეჯები.
შარვლის ტოტებზე წყლის წვეთები მასხია, ძეძვნარს
ჩემს ნაბიჯებზე ბროლისებრი მოსცვივა წვიმა.
ტლაპოში ფეხებს ვატყაპუნებ,
ჭინჭრით ვისუსხავ განზრახ ხელებს და ვიგინები
და მევე მტკივა ჩემი ნათქვამი:
მზე უკან იხევს — თითქოს ისიც ჭინჭრით დავსუსხე,
ასე დამშორდა ის ქალიც ერთ დროს.
და დავალ ჩემთვის აგურებს და ნარჩენებს შორის.
ეს ნანგრევები და ბალახით სავსე ხვრელები
ახლა მშობლური მეჩვენება — საკუთარ სახლში
რბილ ხალიჩაზე დავდივარ თითქოს.

ბერნარდ სპენსერი

## თოვლის თვისებები

თოვლის ქულები სპარსული კატებივით ცისფრად
ბზინავენ ფიჭვის ტოტებში,
ჩამოიყრება თოვლი და გამვლელებს ზღაპრული
თმებით შემოსავს,
ბალერინებსა და შექსპირის აქტიორებს რომ ამშვენებთ.
გზებზე ქვეითთა მარშს აჩუმათებს
(თითქოს ჩურჩულის ომში დაიხოცნენო).
ცნობილი სანიტარია,
დოლბანდისა და თეთრი პლასტირის განუყრელი
მეგობარი.
თეატრალური და დაუჯერებელია ღვინიანი ბოთლის
თოვლში გატეხვა.
ქვაფენილიდან ღრჭიალ-ღრჭიალით რომ აფხეკენ
ნიჩბით,
უცებ ჭუჭყიან და ახორხლილ გროვად იქცევა,
თითქოს სასეირნოდ გამოყვანილი ოთახის ძაღლი
ეზოშივე ამოიგანგლაო.
სახურავებზე, ქარხნის ბლოკებზე, ხეებზე, მინდვრებზე,
ღობეებზე
ერთიანად განეფინება, პირქუში და უსასრულო,
მგზავრები ჭრიან თეთრ ტილოებად,
მისი სიქათქათე ჩინელებს ტრაურის ფერად
მიუჩნევიათ,
ძვლის ტვინს უწუწნის ადამიანებს
და სახლებისკენ მოახედებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზაბეთ ჯენინგსი

## ერთ ხორც

ჩუმად, ცალცალკე წვანან, თითოს საწოლი თითო,
კაცი კითხულობს — ჩიჩქნის წიგნის პატარა მინდორს,
ქალი ბავშვობის წლებში ფეხაკრეფით სცემს ბოლთას
და შორს მიდის და მიდის ერთმანეთისგან ორთავ,
რაღაც საოცრად ახალს ელოდებიან თითქოს,
უჩვეულოს და უცხოს, თითო სამყაროს თითო,

გარეთ ისროლა ვნებამ ნარჩენებივით ორთავ,
ყრიან ცივი და უქმი და თუ ხანდახან ოდნავ
შესძრავს მათ გულებს ცეცხლი, ამ დროს ალერსის წუთი
ალსარებას ჰგავს მღვდელთან, მონანიებას უდრის,
ორთავ სიწმინდე შვენის, ვით საბოძვარი ბოლო,
თითქოს ნიადაგ მისთვის ემზადებოდნენ მხოლოდ.

ერთურთს ელტვიან მაინც — მდუმარების ძაფს თითქოს
თავისკენ იხვევს თითზე თითო ბოლოდან თითო
და კვლავ ეხებათ კანზე დროის ბუმბული ფრია.
ნუთუ იციან მართლა, რომ მოხუცები ჰქვიათ,
რომ ამ კეთილი წყვილის, ჩემი მამის და დედის,
ცეცხლიდან ვიშვი ერთ დროს — ნუთუ იციან-მეთქი?

იან ჰამილტონი

## სატვირთო მანქანები

სატვირთო მანქანების წყება
ყოველთვის დილის ოთხზე ჩაივლის —
ილვრება შუქი, ეფინება კედელს და ქრება.
თვალები გტკივა,
უხალისოდ გვერდს მოინაცვლებ
და ჩემსკენ იშვერ ხელებს უნებურ,
გაფრენილ შუქზე კრთება მათი თეთრი ფართფატი.
ვიხდიო, — წყნარად მეუბნები,
მაგრამ არ იძვრი.
შენი ჩრდილები მერე მაღლა მინავარდობენ,
ხელს მხარზე გადებ და გელოდები.
ბოლო მანქანაც ჩაივლის მალე,
გადმობრუნდები ნაწყენი და უკმაყოფილო,
გადაეჭდობა ერთურთს ჩვენი ცივი ხელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როი ფიშერი

## პროვინციის საავადმყოფო ზამთარში

დროს ტყვიასავით აშეშებს ზარი,
მზე სამ საათზე
კოშკს ჩამოჰკიდებს ქარვისფერ არილს.

აგურის კედლებს, მოაჯირს რკინის
ამუქებს ნესტი,
ფანჯრი ჩარჩოში სველდება რკილი.

დოლბანდის ენებს, სიკვდილის სახეს,
ტკივილის ბალონს
ჩქმალავს წამლების სურნელი მჟახე.

ეზოში ცივი სიჩუმე ათოვს
შავ საბურავებს,
დამწვარ ქვანახშირს, ძველ რადიატორს.

მწვანე მერხებზე, შენობის ძირში
რძით, ბულიონით
მოვა, დაჯდება და წავა. შიში.

ღია ჯიხურში, აუზის იქით
სასწრაფოების
და მანქანების იცვლება რიგი.

ავადმყოფები ფანჯრებთან დგანან
ჭრელ ხალათებში
და მესერს მიღმა უმზერენ ქალაქს.

ჰორიზონტს ბინდავს ფერები მრეში,
მუქდება ზეცა,
უფერულდება სინათლის ეშვი.

სილვია პლათი

## ბაყაყების შემოდგომა

ზაფხული უკვე ბერდება, დედა,
მწერიც გახდა და დაყარა ხორცი,
ამ ჭანჭყს და ჭაობს მარტოდენ ჩვენი
შერჩა ყიყინი და ცივი ლორწო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოეპარათ დღეებს ძილქუში,
გათავდა მუმლის შრიალა თქორი,
მზე გამხმარ ლერწმებს ვეღარ ახურებს
და დასნეულდა პატარა ტბორი.

დაღოღავს ყინვის ობობა ხავსზე,
სიუხვისა და ბარაქის სული,
სხვაგან დასახლდა და სანთელივით
ჩამოდნა ჩვენი საწყალი ხალხი.

ინგლისურიდან თარგმნა **გიორგი ნიშნიანიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარ-დოსი

# სიკვდილი

ნარ-დოსი ფსევდონიმი იყო გამოჩენილი სომეხი პროზაიკოსის მიქაელ ოვანესიანისა (1867-1919). იგი დაიბადა თბილისში და მთელი სიცოცხლე აქ გაატარა. ნარ-დოსის მოთხრობებმა და რომანებმა ახალი ნათელი ფურცლები გადაშალეს მოძმე სომეხი ხალხის ლიტერატურის ისტორიაში, თავისებური ძლერადობა და ემოციურობა მიანიჭეს მას.

ნარ-დოსის მთავარი თემა — უბრალო ადამიანების, დამდაბლებულთა და შეურაცხყოფილთა უნუგეშო ცხოვრება იყო. ამასთან, იგი გაბედულად ამხილებდა ბურჟუაზიული წრეების პარაზიტულ ცხოვრებას, მათ მტაცებლურ ინსტიქტებს. მისი ერთ-ერთი მთავარი ნაწარმოები იყო „სიკვდილი“, რომელიც მწერალმა გამოაქვეყნა 1912 წელს. ახლახან ეს რომანი სომხურიდან თარგმნა მარინე მამაცაშვილმა. ქვემოთ ვბეჭდავთ პირველ თავებს ამ რომანიდან.

## I

სამგზავრო მატარებელი ბათუმიდან თბილისისაკენ მიჰქროდა. ჯერ ისევ ზაფხული იდგა, მაგრამ ჰაერში უკვე იგრძნობოდა ნაადრევი შემოდგომის ცივი სუნთქვა, რაც 1890-91 წლის სუსხიანი ზამთრის მაუწყებელი იყო. ორთქლმავლისა და ვაგონების ჯახჯახი ახშობდა ხმას ქარიშხლისა, გამძვინვარებული ღმუილით რომ დანავარდობდა იმერეთის მთა-ღრეებზე. ვაგონის დახურულ ფანჯრებზე წვიმის მსხვილ წვეთებს წკაპაწკუპი გაუდიოდა. სველი მინებიდან არ ჩანდა, თუ რა ხდებოდა გარეთ. და ხშირად მატარებელი ოღროჩოღრო ადგილებში რომ გაივლიდა, უეცრად გაიელვებდა და უმალ თითქოს ტრიალ-ტრიალით სხვა მიმართულებით მიექანებოდა შემაღლებული მიწაყრილების მუქი გრეხილი.

მეორე კლასის ვაგონში, მერხზე პირაღმა იწვა თბილ პალტოში გახვეული ჭაბუკი. საზაფხულო თეთრი ქუდი ყურებზე ჩამოეფხატა მისი ოქროსჩარჩოიანი სათვალის გამჭვირვალე ლინზები ძლივს მოჩანდა, კედლის ალმა უშნოდ აშვერილ სამგზავრო დორზე თავი მიედო, ხელები პალტოს სახელოებში გაეყო, ვაგონთან ერთად ირწეოდა და თვლემდა. მოპირდაპირე მერხი ცარიელი იყო. სხვა ადგილებზე მოკალათებულიყო თითო-ოროლა მგზავრი; ისინი ულიმღამოდ თუ გამოელაპარაკებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. მათი ხმა ამ ერთფეროვან, ყრუ რახარუხში განსაკუთრებული იდუმალებით ჟღერდა, თითქოს შეთქმულნი ჩურჩულებენო.

გაიღო კარი, ჰაერის ცივი ტალღა ვაგონში შემოიჭრა და ჯახუნით დაიხურა.

— ხაშური, — გაისმა გამცილებლის ხმა.

ჭაბუკმა თვალები გაახილა, ხელები ნელა გაითავისუფლა, ფეხები მძიმედ დაუშვა იატაკზე, წამოჯდა და ჩამოფხატული ქუდი გადაიწია.

გამცილებელი ვაგონის ბოლოში გავიდა, კარი გამოაღო და ისევ გაიჯახუნა.

თითქოს ორმოდან მოისმა ორთქლმავლის გაბმული და ყრუ სტვენაო, რამდენიმე წუთის შემდეგ მატარებელმა თანდათან სვლა შეანელა და შეუმჩნევლად გაჩერდა ხაშურის სადგურში.

ახალგაზრდა წამოდგა და ერთხანს ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, ჩასულიყო თუ არა. მაგრამ, რაკი ყველანი ჩადიოდნენ, თვითონაც გაჰყვა მათ.

ის იყო, ბაქანზე ფეხი შედგა, ბუფეტის დარბაზისკენ წასვლას აპირებდა, რომ ამ დროს შენიშნა ვიღაც კაცი. მას ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა და მის წინ ფეხაკრეფით მიდიოდა. უცნობმა უეცრად შეისვენა და შეხედა.

იგი, ასე, ოცდაათი წლის, ძალზე ცოცხალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თვალებბრიალა ჭაბუკი იყო. დახვეწილი, ფაქიზად შეკერილი ტანსაცმელი — ყავისფერი თბილი ქუდი, ამავე ფერის მაუდის მოკლე ჟილეტი, მარჯვენა მხრიდან მარცხნივ გადმოკიდებული შავი ჩანთა და გაკრიალებული ჩექმები მის მშვენიერ ვაჟკაცურ გარეგნობას თავისებურ შნოსა და ლაზათს აძლევდა.

— შაჰიან?.. ლევონ? — წამოიძახა და ჩემოდანი მარჯვენა ხელიდან სწრაფად მარცხენაში გადაინაცვლა.

შაჰიანი დაიბნა. პრიალა სათვალის ქვეშიდან გაოცებული შეჰყურებდა. უცნობს შავი დიდრონი თვალები უელავდა.

— ბა!.. ბა!.. — უნებურად დააყოლა, მისი სახელის გახსენებას ცდილობდა.

— დიახ, დიახ, ბაზენიანი, — შეახსენა მეგობარმა და ხელი მაგრად ჩამოართვა. — შე ოჯახაშენებულო, ნუთუ ისეთი სუსტი მეხსიერება გაქვს, რომ ჩემი ცნობაც გაგიჭირდა და საალდგომო ბატკანივით ბა-ბა-ს გაიძახი? მგონი, ძალიან არ უნდა ვიყო შეცვლილი, შენ კი... წარმოიდგინე, მხოლოდ სათვალით გიცანი. სახე ქალიშვილივით სათუთი გაგხდომია და თეთრი ფერიც დაგდებია. მაგრამ ეს როგორ მოხდა, ერთი მატარებლით ვმგზავრობდით და აქ კი შევხვდით ერთმანეთს.

— შენც ამ მატარებლით მოდიოდი? — გაუკვირდა შაჰიანს.

— მე უკვე მოვედი, მატარებელი კი კვლავ განაგრძობს თავის გზას, ისე რომ მე აღარ დავამძიმებ.

— აქ იყრება ჩვენი გზები?

— დიახ, ჩემო მეგობარო. ახალციხეში, ახალქალაქში, ალექსანდროპოლში, ყარსში და სხვაგან უნდა გავიარო... ვიცი, მკითხავ, საიდან მოდიხარო? პირდაპირ ყირიმიდან. დაწვრილებით ყველაფერს თბილისში მოგახსენებ, ამ მხარეს რომ მოვივლი, ჩამოვალ და ერთხელ საგანგებოდ გინახულებ. ახლა კი... ჰო, მართლა, რამდენი ხანია, რაც არ გვინახავს ერთმანეთი?

— თუ არ ვცდები, ათი-თორმეტი წელი მაინც იქნება.

— ნუთუ? ჩანს, მძლავრი ფრთები ჰქონია დრო-ჟამს. ნახვამდის! მაპატიე, ასე მალე რომ გტოვებ, მარტო არა ვარ. იმ ქალს ხედავ? — ბაზენიანმა მიანიშნა კართან გაჩერებულ ტანმაღალ ქალზე, ზურგით რომ იდგა და დარბაზისკენ იყურებოდა. — ეგ ქალი პოლონელია, გზაში გავიცანი და დავუმეგობრდი, მეუღლე რუსი ჰყოლია, ყარსში მსახურობს, იმასთან მიდის... რაზე გეღიმება?

შაჰიანს ახლა კი გაეცინა.

ბაზენიანმა მშვიდად შეხედა უმარილო სახეში და მიუგო:

— ასე უგემურად რომ არ გაგცინებოდა, ნამდვილად დაგიმტკიცებდი, რაოდენ ღირსეული ქალია... მაშ, მშვიდობით! მელოდება. ჩვენ, ალბათ, აქ ვისადილებთ და მერე ჰაიდა! ჰო, მართლა ეტლიც უნდა დავიქირავო.

ბაზენიანმა ჩემოდანი ისევ მარჯვენა ხელში გადაიტანა და პოლონელ ქალს გამოედევნა. ამ უკანასკნელმაც თვალი მოჰკრა, თავი ამაყად დაიჭირა და ნელი ნაბიჯით დარბაზში შევიდა.

შაჰიანი, ორჭოფული ღიმილით, უკან გაჰყვა, დარბაზის შორეულ კუთხეში მაგიდას მიუჯდა და ჩაი მოითხოვა.

თითქმის მთელი მატარებელი დარბაზში გადმოსულიყო: ზოგი ხახელდახელოდ ნაყრდებოდა, ზოგი ჩაის ან სხვა სასმელს შეექცეოდა, იყვნენ ახალი მგზავრებიც, უმთავრესად აგარაკებიდან დაბრუნებული ოჯახები, მოსწავლე ბავშვებითურთ და ათასი ბარგი-ბარხანით.

შაჰიანისგან ცოტა მოშორებით, ფანჯარასთან ცალკე მაგიდას პირისპირ უსხდნენ ბაზენიანი და პოლონელი ქალი. იდაყვდაყრდნობილი ბაზენიანი მთელი ტანით თანამგზავრისკენ გადახრილიყო და ისე ელაპარაკებოდა, თითქოს საიდუმლოს რასმე უყვებაო. მერე წამოდგა, სწრაფად ბუფეტთან გაჩნდა. შეუკვეთა რაღაც — ალბათ — საჭმელი და უმალ გავიდა.

პოლონელი ქალი მარტო დარჩა, მაგიდასთან იჯდა და თავი ამაყად ეჭირა.

შაჰიანი სათვალის ქვეშიდან ჰვრეტდა მის სახეს. იგი ეკუთვნის იმ იშვიათ ქალთა მოდგმას, რომელთა სალი სხეული კარგი მოვლა-პატრონობით წლითიწლობით იზრდება, იფურჩქნება და ინარჩუნებს თავის მოხდენილობას, მართალია, ოცდაათს გადაცილებული იქნებოდა, მაინც ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს ჯერ არ დაესრულებინა ზრდა-განვითარებაო. სქელი თმა შლაპაში ძლივს ეტეოდა და, გეგონებოდათ, ამპარტავნულად შემართულ თავს ამძიმებსო. დიდრონი ჰქონდა თვალებიც, რომლის ზემოთ წვრილი, თითქმის შეუმჩნეველი წარბების მკრთალი ზოლი გასდევდა. პირი ცოტა ფართო ჰქონდა, მაგრამ კი არ მალავდა. ამით თითქოს ამაყობდა კიდეც, რადგან მისი სახის, სწორ, ლამაზ ნაკვთებს ერთგვარ გამარჯვებულ იერს ანიჭებდა. მაგრამ, მგონი, ის კორსეტში გამოკვართული მკერდით უფრო იწონებდა თავს, სავსე ნიკაპქვეშ რომ ამობურცოდა.

შაჰიანი ჟინაშლილი ქურდულად ზვერავდა და ხედავდა, რომ დარბაზში მყოფი მამაკაცებიც თვალს ვერ აცილებდნენ მას.

„ყველანი ერთმანეთს ასე როგორ ვგავართ! — გაიფიქრა მან თავის თავსა და ყველა იმ მამაკაცზე, პოლონელ ქალს ვნებიანად რომ უმზერდნენ, და იმის წარმოდგენაზე, რომ თვითონ ყველას წააგავს და ყველა — მას, შეიშმუშნა, შერცხვა იმ ავხორცული გრძნობისა, ამ ქალის გარეგნობა მასში რომ აღვიძებდა.

მერე ჰიქა ჩაი დაცალა, ათი კაპიკი ზედმეტი გადაუხადა მსახურს და წამოდგა. უნებურად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუძლეველმა სურვილმა აიტანა, უნდოდა, ერთხელ კიდევ შეეხედა პოლონელი ქალისთვის, მაგრამ შეშინდა, თუ შერცხვა, თვალი მოარიდა და ფრთხილად გავიდა.

გარეთ სადარბაზოსთან, ისევ ბაზენიანი შემოხვდა.

— ეტლი დავიქირავე, — უთხრა მან, — ნივთებიღა დამრჩა მისალები. მისმინე, ლევონ, რაღაც მინდა გითხრა. ჰო, თბილისში აუცილებლად გინახულებ, ისევ იქ ცხოვრობ?

— რა თქმა უნდა.

— კეთილი. ჩამოვალ ახე, ერთი, ან ორი თვის შემდეგ. ბევრი რამ უნდა გიამბო. ჩვენ უნდა განვაახლოთ ძველი მეგობრობა. აბა, ახლა დაუჩქარე. სადაცაა, მესამე ზარს დარეკავენ. ნახვამდის!

ვაგონში რომ შევიდა, შაჰიანმა დაინახა, კარგა ბლომა ხალხს მოეყარა თავი და სინათლე უკვე ენთო, თუმცა ჯერ არ ბნელოდა. თავის ადგილს მიაშურა და ბაზენიანზე ფიქრმა გაიტაცა. მას კარგად ახსოვდა თავგასული, უტაფარი თანაკლასელი, რომელსაც სწავლის პერიოდში ძალაუნებურად დაუახლოვდა. დღე არ გავიდოდა, ბაზენიანს რაიმე სამარცხვინო საქმე არ ჩაედინა, მაგრამ ყოველთვის თავს უვნებლად იძვრენდა. როგორც შაჰიანი, ახევე მისი ბევრი თანაკლასელი ბაზენიანზე გაცილებით კეთილსინდისიერნი და მუყაითნი იყვნენ. სამაგიეროდ, ბაზენიანს საოცარი უნარი ჰქონდა სხვებზე მბრძანებლობისა. ის ერთი უთვისტომო, ობოლი ბიჭი იყო და ვერ გაიგებდი, ვინ უხდიდა სწავლის ფულს, ან ვინ ინახავდა. თუმცა ჯიბეში ფული მუდამ ჰქონდა და კარგადაც იცვამდა. ერთხელ ჯერ კიდევ სკოლაც რომ არ დაემთავრებინა, ბაზენიანი უკვალოდ დაიკარგა, და შაჰიანმა, მისმა ყველაზე ახლობელმა ამხანაგმა, პირველ ხანებში, ცოტა არ იყოს, მოიწყინა, მერე კი სრულიად გადაავიწყდა. ჰოდა, აი, მრავალი წლის შემდეგ, ისევ შეხვდა მას მოხეტიალის როლში, ვიღაც „ღირსეულ მანდილოსანთან" ერთად...

შაჰიანს ისევ გაეღიმა.

ნეტა მართლა რა მოხელეა ბაზენიანი და ვინ იყო ის წარმოსადეგი ქალი?..

შაჰიანი უაზრო ვარაუდებით ტვინის ჭყლეტას არ მოჰყვა, ბალიში მოიწია, თავქვეშ ამოიდო და დახაძინებლად მიწვა.

მატარებელი თავის გზას მიჰყვებოდა, ვაგონი ისევ გულისგამაწვრილებლად ჯაყჯაყებდა. წვიმის წვეთები ხმაურით ეცემოდნენ ფანჯრის მინებზე, ზედ ქსელივით ედებოდნენ და ქვემოთ დიოდნენ. ჭერის ფანრებში სანთელი ციმციმებდა, ლიფლიფებდა და მისი ათინათი შაჰიანის სათვალის ჰრიალა მინებზე ციალებდა.

შაჰიანი თვლემდა, ჩვეულ მტანჯველ ბურანში იყო წახული. უცებ ვაგონში გამეფებულმა სიწყნარემ გამოაფხიზლა. წამოიწია, დაინახა, რომ მატარებელი რომელიღაც სადგურში შესულიყო. ადგილიდან წამოიწია, სველი მინიდან გაიხედა, მაგრამ გარდა ფანრებიდან გადმოღვრილი კაშკაშა სინათლისა და რამდენიმე ადამიანის ლანდისა, რომლებიც გამალებით აქეთ-იქეთ დაბორიალობდნენ, ვერაფერი გაარჩია. სადგურზე სრული სიჩუმე სუფევდა. ჩანდა, ქარი ცოტა ჩამდგარიყო, წვიმასაც თითქმის გადაეღო, მხოლოდ ორთქლმავლის ქშენა და ვაგონის ბორბლებზე ჩაქუჩის რაკუნი ყრუ ექოს გამოსცემდა დაცარიელებული სადგურის მყუდროებაში.

შაჰიანი მაგრად გაეხვია ზამთრის პალტოში, ქუდი ყურებზე ჩამოიწია, ხელები სახელოებში შეყო და მერხის კუთხეში მიიკუნჩა.

## II

ვაგონში ახალი მგზავრი შემოვიდა — სველი ქოლგა ეჭირა, პალტოს საყელო აწეული ჰქონდა და წარმოუდგენლად ტალახიანი ჩექმები ეცვა. სწრაფად იქ მყოფთ თვალი მოავლო. ქოლგა კართან მიაყუდა და შაჰიანის პირდაპირ მერხზე მოიკალათა. იგი ხანშიშესული ხანდომიანი, მხიარული სახის, ოდნავ ღიპიანი კაცი იყო. წვიმას გაელუმპა. ქუდი მოიხადა, იქვე დადო, ფეხები დაიბერტყა, ცხვირსახოცით გაოფლილი შუბლი და მელოტი კეფა შეიწმინდა და დაჯდა.

შაჰიანი არც კი განძრეულა, ერთი თვალი შეავლო და კვლავ ჩახთვლიმა.

ახალმა მგზავრმა ყურადღებით ახედ-დახედა გაოფლილი შუბლის, კეფისა და კისრის წმენდა განაგრძო.

ორთქლმავალმა დაიკივლა და მატარებელი დაიძრა.

შაჰიანი მოუსვენრად აწრიალდა და წამოჯდა. ახალი მგზავრის მეზობლობამ ძილი გაუკრთო.

— ვერ იძინებთ, არა? — მიმართა მგზავრმა და ტკბილად გაუღიმა.

შაჰიანმა თავი ღრმად ჩარგო პალტოს საყელოში და მიუგო:

— ვერა.

— მოგწყინდათ?

— დიახ.

— მართლაც მოსაბეზრებელია მატარებლით მგზავრობა. ადამიანი რაღაც სულელურ მდგომარეობაშია, გაბრუებული, არაფრის თავი არა აქვს. ახეა, არა?

— დიახ.

— ადამიანი, საერთოდ, საოცარი არსებაა, — განაგრძო უცნობმა თანამგზავრმა. — რკინიგზა ხომ მიმოსვლის საუკეთესო და სწრაფი საშუალებაა. მაგრამ, დახეთ, იგი მაინც უკმაყოფილოა, წუწუნებს, ეძებს სხვა ისეთ საშუალებას, რომლითაც მოკლე დროში დიდ მანძილს გაივლის. ჭეშმარიტად მწამს ამ აზრის გამარჯვები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხა და ეჭვიც არ მეპარება, რომ დადგება დრო და აუცილებლად გამოიგონებენ რაღაცას, თუნდაც ისეთ რამეს, რითაც ადამიანი ჰაერში იფრენს, აეროსტატით კი არა, — ეს მეტად საშიშია, — არამედ ფრინველივით. ახეთი ცდები, მგონი, ბევრჯერ ყოფილა კიდეც, — არა?

— ალბათ.

მგზავრს, ეტყობა, საუბრის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ რაკი ახალგაზრდა თანამგზავრი გუნებაზე არ იყო, ერთხანს იყუჩა, მერე ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:

— უთუოდ ქუთაისიდან მოდიხართ, არა?

„უთუოდ რატომ“? — გაიფიქრა შაჰიანმა და უპასუხა:

— არა.

— აბასთუმნიდან... ანდა ბორჯომიდან, ხომ?

— არა, ცდებით.

— მაშ, უთუოდ, ბათუმიდან.

„ისევ უთუოდ“, — გაიფიქრა შაჰიანმა.

— დიახ.

— და თბილისში მიდიხართ.

— დიახ.

შაჰიანი კვლავ პალტოში გაეხვია, ისევ მერხის კუთხეში მიიკუნჭა და თვალები მილულა.

— მაპატიეთ, თავი ხომ არ მოგაბეზრეთ? — მიმართა მგზავრმა ისეთი საამო ხმით, რომ შაჰიანმა ახლაღა იგრძნო, რა დაუდევრად მოექცა ამ კაცს და უყურადღებობა გამოიჩინა მის მიმართ.

შაჰიანმა გაიღიმა და მერხზე გასწორდა.

— სრულიადაც არა, — უპასუხა უხალისოდ, მაგრამ ლმობიერად. — პირიქით ძალიან მოხარული ვარ, ჩემთან დაახლოვების სურვილი რომ გაქვთ.

— ეგ ჩემთვისაც და თქვენთვისაც უკეთესია, — ტკბილად ჩაურთო თვითმარქვია მეგობარმა, — რადგან არაფერი ისე მოსაწყენი არ არის, როგორც მარტო მგზავრობა. ხომ ასეა?

— ასეა?

— ისე რომ, შეგვიძლია გავიცნოთ ერთმანეთი?

— ხიამოვნებით.

— სახელი მიბოძეთ.

— ლევონი... შაჰიანი.

ახალმა მგზავრმა თვალები ჰყიტა.

— შაჰიანი? — ჰკითხა მან.

დიახ.

— შაჰიანის ვაჟი ხართ?

— დიახ.

— კარაპეტ შაჰიანისა?

— დიახ, მამაჩემს იცნობთ?

— უჰ, როგორ არა! — მხიარულად წამოიძახა ახალმა მგზავრმა, — ერთ დროს კარგი მეგობრები და მეზობლები ვიყავით, მაგრამ შემდეგ... რატომღაც გავწყვიტეთ კავშირი. ალბათ, გამოგიცდიათ, ხანდახან ახლო მეგობრებიც რაღაცაზე გულს აიცრუებენ და უცებ ისე სცილდებიან ერთმანეთს, რომ აზრზეც ვერ მოდიხარ, რა იყო მიზეზი. ჩვენც ასე დავშორდით. პირველად დროდადრო კლუბში ვხვდებოდით, მაგრამ ბოლო ხანებში აღარ გამოჩენილა. ამბობენ, ავად არისო, მართალია?

— დიახ, სახლიდან აღარ გამოდის.

— მართლა? რა სჭირს?

— ნამდვილად... არც ვიცი. ექიმები ამბობენ, კუჭ-ნაწლავის დაავადება აქვსო. ძალიან იტანჯება, ზოგჯერ ისე კვნესის, ცოდვით დაიწვებით.

— რას ამბობთ? საწყალი კაცი! მახსოვს რაღაც მაგნაირ ავადმყოფობას უჩიოდა. ეტყობა, დროზე არ მიაქცია ყურადღება და გაურთულდა. ძალიან გთხოვთ, შინ რომ მიხვალთ, მომიკითხეთ. ჩემი სახელით გადაეცით, რომ მახსოვს იგი და გულწრფელად განვიცდი მის მდგომარეობას. ხომ ეტყვით?

— ხიამოვნებით.

— მაპატიეთ, დამავიწყდა გვარითა და სახელით გაგცნობოდით, გევორგ მარუთიანი ვარ, მამათქვენს უმალ გავახსენდები. ჰაი, გიდი, ადა კარაპეტ!.. ღმერთმანი, უაღრესად კეთილი, პატიოსანი კაცია. აფსუს, აფსუს!.. თქვენც მახსოვხართ, მაშინ ძალიან პატარა იყავით, მამათქვენს კანტორაში მოჰყავდით ხოლმე. ახლა გაზრდილხართ, დავაჟკაცებულხართ. მაპატიეთ, ბათუმში რაიმე თანამდებობა გაქვთ?

— არა.

— ვიცი, სწავლის გასაგრძელებლად იყავით წასული. დაამთავრეთ?

— არა, — შაჰიანმა პასუხი დაუგვიანა.

— რატომ?

— ავადმყოფობის გამო მივატოვე.

— რაო?.. რა გჭირდათ?

„ეს რა საკითხავია?“ — იწყინა შაჰიანმა და უპასუხა.

— სუსტად ვიყავი... გულმკერდის არეში ტკივილებს ვუჩიოდი.

— აჰა!.. ალბათ, ბევრს მეცადინეობდით. მაპატიეთ, ბათუმში რას აკეთებდით?

შაჰიანს მობეზრდა გაუთავებელი კითხვები, მაგრამ მაინც უპასუხა.

— ნამდვილად ბათუმში კი არა, სოჭში ვიყავი ამ ზაფხულს, ექიმებმა მირჩიეს, ჰაერი უნდა გამოიცვალოო.

მარუთიანმა რამდენიმე შეკითხვა კიდევ მისცა და შემდეგ მოუყვა საიდან მოდიოდა, საით მიდიოდა, ცოლ-შვილთან ერთად, როგორც მისი ლაპარაკიდან გაირკვა, აბასთუმანში ისვენებდა. ერთი კვირაა, იქიდან ჩამოსულან, გზაში ნათესავისთვის ხათრი ვერ გაუტეხია და რამდენიმე დღით სწვევია. იქ კარგად მოულხენიათ, დღეს დილით, ახლა რომ სადგური გამოიარეს, იქ ჩამოსულა, ხელდახელ შეუვლია ვენახში, რომელსაც მისი ხელი დამაკლებოდა. ახლა კი გორში ბრუნდებოდა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც სადგურზე ოჯახობა ელოდებოდა და ამავე მატარებლით თბილისს გახწევდნენ.

— მაგრამ, მგონი, ამაღამ თბილისში ვერ წავლენ, ასეთ ამინდში ვინ გაუშვებს, — დაუმატა მარუთიანმა. აბა. დახედეთ ჩემს ფეხსაცმელებს, სოფლიდან რომ გამოველი, — კინაღამ ტალახში ჩავეფალი.

ხანამ მატარებელი გორში შევიდოდა, თვითმარქვია ნაცნობმა შაჰიანს ლაყბობით თავი მოაბეზრა. მარუთიანი იმ ადამიანთა მოდგმას ეკუთვნოდა, რომლებსაც თუ ლაპარაკის ხალერღელი აეშალათ, ვერ გააჩუმებ.

ახლა პრესაზე, ლიტერატურაზე, პარტიებზე, თეატრზე, ვაჭრობაზე, პოლიტიკურ ძვრებზე, ეროვნულ საკითხებზე მოჰყვა საუბარს. აშკარად ჩანდა, რომ ფხიზლად თვალს ადევნებდა ამ ამბებს და საკმაოდ საფუძვლიანადაც მსჯელობდა.

შაჰიანს ეს საკითხები სულაც არ აინტერესებდა, მისი ცნობები შეუსაბამოდ ეჩვენებოდა, მაგრამ შეკამათებას ვერ ბედავდა, ვაითუ უცოდინრობა გამოვამჟღავნოო. მარუთიანმა უთხრა, რომ ხალიპიანის სკოლის მოსწავლე ყოფილა და ერთ დროს დიდი სურვილი ჰქონია ლიტერატურული მოღვაწეობისთვის მოეკიდა ხელი, მაგრამ გარემოებამ აიძულა ვაჭარი გამოსულიყო.

შაჰიანს პალტოს სახელოებში ხელები გაეყო და სათვალის გამჭვირვალე მინიდან მისჩერებოდა მოსაუბრის მკვირცხლ, სიცოცხლით სავსე სახეს და მის შეკითხვებს ძუნწად პასუხობდა.

ამასობაში მარუთიანმა სიტყვა ჩამოაგდო თავის სამშობლოში, სომხეთში დაწყებულ არეულობაზე, რასაც გაზეთებიც იუწყებოდნენ. შაჰიანი კითხულობდა ამ ცნობებს, იცოდა ისიც, რომ ივნისის შუა რიცხვებში თურქეთში, ქალაქ არზრუმში ხელისუფლებამ წირვის დროს სომხების ეკლესია გაჩხრიკა, რადგან ეჭვი მიეტანათ, რომ იარაღი ინახებოდა. ამას თურქ ჯარისკაცებსა და სომხებს შორის შეტაკება მოჰყოლია. იცოდა აგრეთვე, თხუთმეტ ივლისს კონსტანტინოპოლში, კუმ-კაფის მთავარ ეკლესიაში, ხალხი თავს დასხმია პატრიარქ აშიღაანს, რომელიც გაქცეულა და ერთ-ერთ მახლობელ სახლში დამალულა. — დიახ, შაჰიანს ისე უბრალოდ თვალი გადაევლო, გადაეკითხა და გვერდზე გადაედო, თითქოს ბრაზილიისა თუ არგენტინის რესპუბლიკაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების ამბავს ეცნობაო. იმ დიდ ძვრებს, სომხობა რომ აღეშფოთებინა, მის მკვდარ სულში ერთი ძარღვიც არ შეერხია. ასაკით შაჰიანზე გაცილებით უფროსი, თითქმის მოხუცი მარუთიანი კი როცა ამ მნიშვნელოვან მოვლენებზე საუბრობდა, გატაცებით ლაპარაკობდა და მომავალს იმედის თვალით შეჰყურებდა.

— ჩემს შვილს იცნობთ? — მოულოდნელად ჰკითხა მარუთიანმა.

— არა.

— არმენაკ მარუთიანი. ალბათ, არ გახსოვთ, მაგრამ, არა მგონია, მისი წერილები წაკითხული არ გქონდეთ, ჯერ გერმანიიდან, მერე ლონდონიდან თანამშრომლობდა სომხურ გაზეთებში.

— ჰო, გამახსენდა... არმენაკი?.. როგორ არა, მისი ნაწერები წამიკითხავს. კარგი პოლიტიკური სტატიები აქვს. ახლა სად არის? რატომ აღარ წერს;

— ისა?.. ის ახლა იქაა, — მიუგო მარუთიანმა და ხელით რაღაც ანიშნა, შაჰიანი ვერაფერს მიხვდა.

გაისმა ორთქლმავლის გაბმული და ყრუ სტვენა. ვაგონის ფანჯრებს მიღმა კრთოდნენ კაშკაშა სინათლეები და წამდაუწუმ ანათებდნენ ნახევრად ჩაბნელებულ ვაგონს.

მარუთიანი ფაცაფუცით წამოდგა.

— ის იქ არის, სადაც საჭიროა, სადაც მოვალეა იყოს ყველა სომეხი ახალგაზრდა, — განაგრძო რატომღაც სიხარულით, — მე როდი გავგზავნე, ნებაყოფლობით, თავისი გულის კარნახით წავიდა... ცოცხალი დაბრუნდება თუ არა, ღმერთმა უწყის, მაგრამ ჩვენს უახლეს ისტორიაში რომ დიდების შარავანდედით შემოსავს ჩემსა და თავის სახელს დარწმუნებული ვარ, ეჭვი არ მეპარება, იმიტომ, რომ... მაგრამ რა დროს ესაა, ახლა უკვე გორში შევედით.

ქუდი დაიხურა, პალტო ჩაიცვა და ქოლგა აიღო.

— თუ ჩვენები ახლა სადგურში არიან, ხომ კარგი, არადა, კეთილ მგზავრობას გისურვებთ. მშვიდობით! იმედია, ქალაქში კიდევ შევხვდებით, ასე არაა? ჩვენ ხომ უკვე მეგობრები ვართ!

— რა თქმა უნდა, — ღიმილით უპასუხა შაჰიანმა და ხელი გაუწოდა.

— მაშ, მშვიდობით! არ დაგავიწყდეთ, მამათქვენი მომიკითხეთ.

მარუთიანი გავიდა, შაჰიანი გაოგნებულიყო, თითქოს თვალწინ ედგა ჰაერში გაშეშებული ხელი, მისი იდუმალი ხმა ახლაც ყურში ჩაესმოდა.

სადგურზე ატეხილმა ალიაქოთმა ფიქრებიდან გამოარკვია. იგი ნელა წამოდგა და გავიდა.

## III

შაჰიანმა დარბაზში ხიზილალიანი ბუტერბროტი და ნახევრად უმი ბიფშტექსი შეჭამა, რამდენიმე ჭიქა ლუდი დააყოლა. ვაგონში რომ შევიდა, დაინახა, ახალ მგზავრებს წინა მერხი დაეკავებინათ. ორი გორელი კაცი ხურჯინე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, ჩანთებითა და ათასი ბარგი-ბარხანით ხალვათად მოკალათებულიყო.

შაჰიანი, ის აყო, ხურჯინებზე გადალაჯებას აპირებდა, ფანჯარასთან, თავის ადგილზე რომ დამჯდარიყო, უცებ მარუთიანის ხმა მოესმა:

— ბატონო შაჰიან, აქეთ მობრძანდით, აქეთ!

შაჰიანმა მიიხედა და თვალი მოჰკრა მარუთიანს, ვაგონის ბოლოში ორი მერხი რომ დაეკავებინა.

— აქეთ, აქეთ, მანდ თავისუფალი ადგილი არაა, ჩვენთან მოდით! — ეძახდა მარუთიანი.

— გმადლობთ, აქაც დავეტევი, — უპასუხა შაჰიანმა და გაიღიმა.

ამ დროს შენიშნა, რომ სამი ქალი და ერთი ბავშვი თვალს ვერ აშორებდნენ და მოუთმენლად ელოდნენ.

— აბა, მარტო ხომ არ იჯდებით მანდ? მოდით, ვილაპარაკებთ, რაღა! აქ ადგილის მეტი რაა, ნუ გეშინიათ, მოდით!

შაჰიანს რატომღაც ბალიშის წაღება უნდოდა, თავადაც არ იცოდა, რაში სჭირდებოდა, მერე გადაიფიქრა და მარუთიანებთან მივიდა.

მარუთიანმა შაჰიანს თავისი ოჯახის წევრები გააცნო და გვერდით მოისვა. ოთხი სული იყვნენ: მეუღლე — თეკლე, ქალიშვილი — ევა, ძმისშვილი — აშხენი და ოთხი-ხუთი წლის ბიჭი — სურენი.

შაჰიანი, საერთოდ, ხალხს ვერ ეგუებოდა, მით უმეტეს, ქალთა წრეს გაურბოდა. იცოდა, მათ გართობის განსაკუთრებული შნო სჭირდებოდა, რაც მას არ შეეძლო. ქალებთან ყოფნისას იბნეოდა, წითლდებოდა და არ იცოდა, ხელები სად დაემალა. თავმოყვარე და ეჭვიანი შაჰიანი ამ ამბავს ძალიან განიცდიდა.

ახლა მის ახლოს ისხდნენ და ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ ერთი ხნიერი ქალი და ორი მოწიფული ქალიშვილი, რომელთაც პირველად ხედავდა და არ იცოდა, რა სულის პატრონები იყვნენ და რას წარმოადგენდნენ ისინი. მათ წრეში ყოფნა ეხამუშებოდა, მაგრამ გამბედაობას მატებდა მარუთიანი, რომელსაც მეგობრულად ეჭირა მასთან თავი.

როგორც გამოირკვა, თეკლე და ევა მარუთიანზე ნაკლები ცნობისმოყვარენი როდი იყვნენ. ცალკე მარუთიანი, ცალკე თეკლე და ცალკე ევა იმდენ რაღაცებს ეკითხებოდნენ, არ იცოდა, რომელი ერთისთვის ეპასუხა. „საიდან მოიყარეს თავი ამ ყბედებმა?“ — ფიქრობდა შაჰიანი, იღიმებოდა და თავის თავისა უკვირდა, გრძნობდა, საათობით ასე რომ მჯდარიყო, მათთან ლაპარაკი არ მოსწყინდებოდა, თუმცა ნახევარი საათის წინ საშინლად ჰბეზრდებოდა მარუთიანის ლაყბობა.

ჩანდა, მარუთიანის ოჯახს ინტელიგენტური ოჯახი ეთქმოდა. პრესაში თუ საზოგადოებაში გახმაურებული არც ერთი მნიშვნელოვანი, ცხოვრებისეული საკითხი არ გამოეპარებოდათ. საუბრის თემა ახლაც ყოველდღიურ ამბებს შეეხებოდა. შაჰიანი გაკვირვებას იყო, მარუთიანი, მისი მეუღლე და ქალიშვილი, ერთ და იგივე თემაზე ზოგჯერ სრულიად საწინააღმდეგო აზრს რომ გამოთქვამდნენ და ცხარედ კამათობდნენ. განსაკუთრებით მამა-შვილი, როცა ერთმანეთს ვერ არწმუნებდნენ, როგორც ავტორიტეტულ პირს, მიმართავდნენ შაჰიანს, რომლის სიტყვას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. იგი მშვენივრად ხედავდა, ჭკუით იმათ ვერ შეედრებოდა, მერე ასე ზერელედაც მსჯელობდა და საშინლად რცხვენოდა, მის სიტყვას ანგარიშს რომ უწევდნენ, თანაც შიშობდა, ვაითუ ისეთი სისულელე წამომცდეს, ერთბაშად გული აიყარონ ჩემზეო. ამიტომ თუ შემთხვევა მოიტანდა, დიდ სიფრთხილეს იჩენდა და ყოველნაირად ცდილობდა თავი არ შეერცხვინა, თუმცა მისი პასუხები უაზრო და ბუნდოვანი იყო.

შაჰიანს ევას პაექრობა უფრო ხიბლავდა. ქალიშვილი თამამად, თავისუფლად ლაპარაკობდა, ხანდახან პაუზას აკეთებდა, მოკამათეს ყურადღებით ჩააშტერდებოდა, თითქოს წონის, რომ აზრი კარგად გამოთქვასო, და კვლავ თამამად განაგრძობდა, თუ შეკითხვას მისცემდნენ, პასუხს არ დაუგვიანებდა, ზოგჯერ სიტყვის დამთავრებას არც აცლიდა. ხანაც პასუხის გაცემის ნაცვლად ახლა თვითონ ეკითხებოდა. ხელებს ისე იქნევდა, თვალ-წარბს ისე მოუსვენრად ათამაშებდა, შაჰიანს ეგონა, იგი ლაპარაკობდა არა მარტო ენით, თითქოს მისი ყოველი ჟესტი და მიმიკა რაღაცას ნიშნავდა.

ევა შაჰიანის პირდაპირ იჯდა. დედაც გვერდს უმშვენებდა. ლურჯად შეღებილი ბამბის პატარა თავშალი მოეხსნა და მუხლებზე ეფინა. მსხვილი ნაწნავი მხრებზე გადმოეგდო, შუბლიდან კეფამდე თეთრი ზოლი გასდევდა. ჩვეულებად ჰქონდა, ორივე ხელით თმები გაესწორებინა და ყურებს უკან გადაეწია. რომ გაიღიმებდა, მის თვალებში მწვავე ირონია გამოსჭვიოდა, ხოლო როცა გაუკვირდებოდა, თითქოს ცქრიალა სახეზე ყინული გადაეკვროდა და ისედაც დიდი თვალები საოცრად ულრმავდებოდა.

დრო შეუმჩნევლად გადიოდა. შაჰიანი კარგ გუნებაზე იყო. ტკბილად მუსაიფობდნენ. სურენს მამის მუხლზე თავი მიედო და ეძინა. საუბარში მარუთიანის ძმისწული აშხენი მონაწილეობას არ იღებდა.

გაფითრებული და მილეული იგი მერხის კიდეზე ჩამომჯდარიყო, თითქოს შიშობდა, არავინ შემამჩნიოსო. შაჰიანი ზოგჯერ აშხენს გადახედავდა ხოლმე და უკვირდა, ჩამოგრძელებულ, პირქუშ სახეზე ერთი ნაკვთიც რომ არ ერხეოდა. თუმცა მახინჯი არ იყო. ასეთი გამხდარი რომ არა, შეიძლება ლამაზ ქალადაც ჩაგეთვალათ.

ევა ათასნაირი კითხვებით მიმართავდა, ისიც მოკლედ, ხნარტად პასუხობდა და ფანჯრიდან იცქირებოდა. ორთქლმავლის მინიდან ამოფრქვეული ნაპერწკლები წყვდიადში იფანტებოდა. აშხენი ზოგჯერ მობრუნდებოდა და შაჰიანს ისე მშვიდად მიაშტერდებოდა, თითქოს მის ირგვლივ სიცარიელე ყოფილიყო. გაჰყურებდა ამ სივრცეს და ვერ ამჩნევდა შაჰიანს. ეს უკანასკნელი კი ამ დროს თვალს უსწორებდა და ვერ გაერკვია, რა გავლენას ახდენდა მასზე ეს ქალი. ისღა იცოდა, აშხენთან ისე თავისუფლად ვერ დაიჭერდა თავს, როგორც, მარუთიანსა და მის ოჯახობასთან.

აშხენის ჭკვიანურ თვალებსა და საამო ხმაში ისეთი რამ იგრძნობოდა, რაც ერთბაშად ბორკავდა და თრგუნავდა მას.

IV

თბილისის სადგურს მატარებელი გვიან ღამით მოადგა. მარუთიანები დაფაცურდნენ, თავთავიანთ ნივთებს ხელი დაავლეს და ვაგონიდან გავიდნენ. შაჰიანმაც ბალიში და ჩემოდანი აიღო და მათ მიჰყვა.

— აბა, ჩქარა, ეტლი დავიქირავოთ! — თქვა მარუთიანმა, — პატარა სურენს ხელი ჩაჰკიდა, სადგურზე არეული ხალხის ტალღა გაარღვია და წინ წავიდა, — აქეთ მოდით, აქეთ, არ დამეკარგოთ!.. თეკლე! აშხენ! ევა!.. სადა ხართ? ბატონი შაჰიანი რა იქნა?.. ჰო, თქვენც მოდიხართ?

სადგურის მოედანზე მეეტლები ერთიმეორეს ლანძღავდნენ, წვიმა წვრილად ცრიდა, ციოდა. მარუთიანი და მისი ოჯახობა პირველსავე ეტლში შეცვივდნენ. შაჰიანმაც დაიქირავა ეტლი, ჩემოდანი და ბალიში დადო, საჩქაროდ მიუახლოვდა ეტლს, რომელშიც მარუთიანები სხდებოდნენ.

— ბატონო მარუთიან, ბევრნი ხართ, გაგიჭირდებათ, იქნებ ორნი ჩემთან გადმოსხდეთ... ყავით.

— მაგას რა ჯობია, თუ კი ასეთ სიკეთეს იზამთ! — უთხრა მარუთიანმა.

— მე ბატონ შაჰიანთან დავჯდები, — წამოიძახა ევამ და ეტლიდან გადმოხტა.

— სხვა ვინ მოდის? — ჰკითხა შაჰიანმა.

— სურენ, სურენ, წამოდი! — დაუძახა ევამ.

შაჰიანმა აიხუტა სურენი და ქოშინი აუვარდა, სანამ ეტლამდე მიიყვანდა.

შაჰიანი და ევა ერთად დასხდნენ, სურენი კი შუაში ჩაისვეს.

ეტლი დაიძრა.

შაჰიანი და ევა ერთხანს ჩუმად იყვნენ. ევა ჩვეული ფაციფუცით პატარა ძმას შალს ახვევდა. შაჰიანმა არ იცოდა, რაზე დაეწყო საუბარი, ეჩოთირებოდა ქალიშვილთან მარტო დარჩენა. ბავშვს რომ გამოლაპარაკებოდა, იმის შნოც კი არ ჰქონდა, ენაზე სულ ამინდი ედგა, მაგრამ სადღაც ამოეკითხა, უგერგილო ადამიანები, რომ არ იციან, რა თქვან, ხშირად ამინდზე ჩამოაგდებენ ხოლმე სიტყვას, ამიტომ უვიცობის გამომჟღავნებას დუმილი არჩია.

ევა სულაც არ დაეძებდა, რომ მასაც უხეიროდ ჩათვლიდნენ, ამინდზე ლაპარაკს თუ წამოიწყებდა.

— რა ცუდი ამინდია, ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ევამ. ფეხები მოკუნტა და ძმას მოეხვია. — მოღრუბლულა, მოქუფრუშებულა ცა, კიდევ კარგი, ზამთრის პალტო წამოგიღიათ.

— მცივანა ვარ, — მიუგო შაჰიანმა და მაშინვე გაიფიქრა, ვაჟკაცმა ეს როგორ ვიკადრეო.

— და იცით, არიან ადამიანები, — განაგრძო ევამ, — ასეთ ამინდზე რომ გიჟდებიან. აი, თუნდაც ჩემი ბიძაშვილი აშხენი, ასეთი ამინდი უყვარს... იცით, როგორ ამინდს ვგულისხმობ? შავი საავდრო ღრუბლები და მიწას მტვერი ერთმანეთში რომ ირევა, მძვინვარე ქარიშხალი ხეთა კენწეროებს ხრის, ცა ელავს და გრგვინავს...

— კარგით, ასეთ ამინდში თქვენი ბიძაშვილი რას ხედავს ისეთს, რომ გიჟდება.

— აი, გეტყვით. შარშან მაისში, ღამით, უცებ ისეთმა კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა, ნამდვილი წარღვნა იყო. საშინლად ელავდა, ისე ქუხდა, რომ ფანჯრები ზანზარებდა. რომ იცოდეთ, როგორ მეშინია ჭექა-ქუხილისა, განსაკუთრებით ღამით, ჩამიჩუმი რომ არ ისმის. ასე მგონია, სადაცაა, ჩამოვარდება მეხი და პირდაპირ ჩემს სახლს დაეცემაო. ჩვენებს ეძინათ. მეც ახალი დაწოლილი ვიყავი, გვერდით ოთახში, აშხენს ეღვიძა მხოლოდ. საერთოდ, ყველაზე გვიან წვებოდა. ჩემს ოთახში სინათლე ჩამქრალი იყო.

ისე ელავდა, თითქოს, საბანქვეშ თვალდახუჭულიც ვხედავდი იმ საშინელ ელექტროშუქს. ვცახცახებდი. ბოლოს მივხვდი, მეტის გაძლება აღარ შემიძლია-მეთქი, წამოვდექი და აშხენთან გავედი, რომ არ შემშინებოდა. მას კი წარმოგიდგენიათ, ფანჯარა გამოეღო, იდგა და ცას შეჰყურებდა. მის ოთახში შევედი თუ არა, ჯერ ცეცხლოვანი ციაგი გველივით დაიკლაკნა, შემდეგ ცამ ისე დაიგრიალა, რომ შიშით შევკივლე და იატაკზე გავიშხლართე. აშხენმა ამაყენა, ფანჯარა მიხურა და სიცილი დამაყარა. გავცეცხლდი. „მე შიშისგან ჩემი დამემართა, შენ კი იცინი! ნუთუ არ გეშინია ამ ჭექა-ქუხილისა, ამ შემზარავი ხმებისა-მეთქი“. — „მეშინიაო? — გაიკვირვა მან. — პირიქით, ძალიან მიყვარს ბუნების გაშმაგება, ვინაიდან უზენაეს იდეალურ ძალას ისე ნათლად და ხელშესახებად ვერასოდეს წარმოვიდგენ, თუ არა მაშინ, ბნელ ცას ელვა რომ ანათებს და ისმის მეხთატეხა. მგონია, — დაუმატა მან, — ეს

ყველაფერი უფრო დიდებული უნდა იყოს აბობოქრებულ ზღვაზე, როცა გემით მიაპობ უსასრულო სივრცეს". ჰოდა, ამიტომაც უყვარს აშხენს ასეთი საზარელი ამინდი.

შაჰიანი უნებურად საგონებელში ჩავარდა.

— ნუთუ ქალიშვილი თქვენთან ცხოვრობს? — ჰკითხა.

— დიახ, აშხენი ჩვენთან ცხოვრობს, ობოლია, არავინა ჰყავს... სურენ, ხომ არ გცივა?

— არა, — უპასუხა სურენმა და მაგრად მიეხუტა დას.

— მალე შინ მივალთ, არ დაიძინო. რომელ ქუჩაზე ცხოვრობთ, ბატონო შაჰიან?

შაჰიანმა უთხრა თავისი მისამართი.

— უუ! — წამოიძახა ევამ. — ესე იგი, გზაში ჩამოხვალთ.

— არა, როგორ შეიძლება, ქალიშვილო? სახლამდე მიგაცილებთ და მერე დავბრუნდები.

— ამაზე შეგაწუხოთ?

— რა შეწუხებაა?

— მაშ, მადლობელი დაგრჩებით. უჰ, რა მძიმე ჰაერია. სურენ, ხომ არ გეძინება?

— არა, — უპასუხა სურენმა შალის ქვეშიდან.

— თქვენ ძმა გყავთ, ბატონო შაჰიან?

— სამი ძმა მყავდა, დაიხოცნენ, სამივე ერთ თვეში.

— ერთ თვეში... სამივე! — თქვა ევამ და ძრწოლამ აიტანა, — ეგ როგორ შეიძლება? ხუმრობთ, თუ?

— რა მეხუმრება?

— სამივე ერთ თვეში, ღმერთო ჩემო!.. ეს ხომ საშინელებაა! ამისგან ადამიანი შეიძლება გაგიჟდეს!.. რისგან დაიხოცნენ?

— დიფტერიისაგან.

— ოხ, ეს დიფტერია, დიფტერია! — წაიჩურჩულა ევამ და უფრო მაგრად მიიხუტა ძმა. — ალბათ, პატარები იყვნენ, არა?

— ყველაზე უმცროსი სამი წლისა იყო, უფროსი — ათისა.

— ოხ, საბრალო, საწყალი ბავშვები!.. გიყვარდათ?

— როგორც ძმას, რასაკვირველია, მიყვარდა.

— დაიკო... თუ გყავთ?

— მყავდა, ისიც გარდაიცვალა.

— ისიც... ღმერთო ჩემო!... რა საშინელ რამეებს ამბობთ... წარმომიდგენია თქვენი მდგომარეობა.

— რა თქმა უნდა, ამაზე დიდი უბედურება რაღა უნდა იყოს, როდესაც ადამიანი კარგავს სამ...

— ის რით მოკვდა? — შეეკითხა ევა.

და შაჰიანს სიტყვის დამთავრება აღარ აცალა.

— ჰლექით.

— უჰ, ნეტა სულ არ მეკითხა. ეს რა დღეში ჩამაგდეთ? მთლად გამიფუჭეთ გუნება... თქვენი და, ალბათ, დიდი იყო, არა?

— ჩვიდმეტი წლისა.

— ჩვიდმეტის?... ჩემი ტოლი ყოფილა... კმარა, კმარა, მეტი არაფერი მითხრათ, არაფერი... თქვენი და ხომ უფრო მეტად გიყვარდათ... ასეა არაა?

— დიახ, ძალიან მიყვარდა.

— და ისიც, ალბათ, თქვენზე გიჟდებოდა... რომ იცოდეთ, ბატონო შაჰიან, როგორ მეშინია სიკვდილისა... არა! არა! ამაზე ფიქრიც არ მინდა. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, სხვა რამეზე... ესე იგი, მარტო დარჩით?

—სასიკვდილე? — ჩაურთო შაჰიანმა და გაიცინა.

— ოჰ, — ამოიოხრა საშინლად განაწყენებულმა ევამ. — ძალიან ცუდი ვინმე ყოფილხართ, შეურაცხყოფას რატომ მაყენებთ?

შაჰიანს თითქოს ესიამოვნა, რომ ქალი გულწრფელად შეაწუხა.

— გაგეხუმრეთ, ქალიშვილო, — უთხრა და სიცილი განაგრძო.

— საშინელი ხუმრობა იყო, ასეთი ხუმრობა ვის გაუგონია!

— ვთქვათ, მეც რომ მოვკვდე, რა მოხდება ვითომ?

ევამ სერიოზულად შეხედა.

— ბატონო შაჰიან, თუ ასე განაგრძეთ, ძმასთან ერთად ახლავე ჩვენს ეტლში გადავჯდები, იცოდეთ, არ გეხუმრებით.

შაჰიანი იძულებული გახდა ბოდიში მოეხადა, ევას გულწრფელობას უზომოდ მოეხიბლა. თითქოს ამ მოკლე ხანში უკვე დაახლოებოდა ამ ქალიშვილს, ჩასწვდომოდა მის სულს, გაეზიარებინა მისი ფიქრები, ამოეცნო ხასიათი, იგი თითქოს ყოფილიყო მისი ბავშობის მეგობარი, ვისთანაც ყოველ დღე ეთამაშნა და სიყვარულითაც შეეძლო გაეშმაგებინა.

— ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შევესწარი სიკვდილს, — თქვა ევამ, — მაგრამ მაინც ვიგრძენი მისგან მიყენებული მთელი საშინელება და მწუხარება. მომაკვდავი ჩემი ამხანაგი იყო. იგი ძალიან კარგი გოგონა იყო. არა მგონია, ლვიძლი და ისე მყვარებოდა. ისიც ჩემთვის სულს არ დაიშურებდა, ერთმანეთის ნახვა გარდაუვალ მოთხოვნილებად გვექცა. წარმოიდგინეთ, სანამ ავადმყოფობდა, დღედაღამ არ ვცილდებოდი. ის კი სულ იმას მეუბნებოდა, თუ არ მოვკვდი, მეცოდინება, შენმა სიყვარულმა გადამარჩინაო. მაგრამ ჩემმა სიყვარულმა ვერ იხსნა. რომ გარდაიცვალა, იმდენი ვიდარდე, ლოგინად ჩავვარდი. რომ ასაფლავებდნენ, დედამ კინაღამ სახლში ჩამკეტა. მაგრამ, მაინც გავიპარე. კუბო ამხანაგებს, ჩემს თანატოლ გოგონებს მიჰქონდათ. მაშინ ცამეტი წლისა ვიყავი. ახლაც თითქოს თვალწინ მიდგას, კუბოში იწვა, ცოცხალი ყვავილებით დამ-

შვენებული, ოდნავ მარცხნივ თავგადახრილი, თეთრი ცხვირსახოცით ყბააკრული. ამ დღეს საკუთარი თვალით ვხედავდი, თუ როგორ ასაფლავებდნენ მიცვალებულს. ღმერთო ჩემო, რა შემზარავი გრიალით ცვიოდა ქვები, რაღაც ცივი ხმაურით იშლებოდა მიწა!.. გაგონილა ასე შეუბრალებლად და უწყალოდ მიწაში ჩამარხვა იმ ქმნილებისა, ოდესღაც ჩვენსავით რომ სუნთქავდა, გრძნობდა, ფიქრობდა?.. იმწუთას ადამიანები გაცოფებული მეჩვენებოდნენ. გული შემიღონდა, მაგრამ იმას კი არ ვდარდობდი, ჩემს საყვარელ ამხანაგს რომ ვეღარასოდეს ვიხილავდი, შიშმა მომიცვა, დიახ, შიშმა, რომ ერთ დროს მეც... არა! არა! არ ღირს ამაზე ფიქრი. ეს შემაძრწუნებელია, შემაძრწუნებელი... იცით, რას გეტყვით, ბატონო შაჰიან, ხომხებს ერთი კარგი წესი გვაქვს, ქალები სასაფლაოზე რომ არ დადიან და დაკრძალვას არ ესწრებიან. ქვის გული და მაგარი ნერვები უნდა ჰქონდეს ადაიმანს, იმ ხმაურს რომ გაუძლოს.

— მე კი მგონია, ეგ ცუდი ჩვეულებაა. ქალები სუსტი, მშიშარა და ფიცხი ამიტომაც ხართ, უნდა მიეჩვიოთ ასეთ საშინელებათა ხილვას.

— არა, არა, რას ამბობთ? გინდათ, თქვენსავით გავმხეცდეთ? უმწეო გვამს ისეთი ხალისით თავს ესხმით და ქოლავთ, თითქოს ცარიელ ორმოს ავსებდეთ და იმას კი აღარ ფიქრობთ, რომ იქ ადამიანი წევს.

შაჰიანმა გაიცინა.

— კარგით, მაშ, რას გვიბრძანებდით? რა ვუყოთ გვამს?

— ბატონო შაჰიან, ბოლოს და ბოლოს, რას ჰგავს ეს? მოდით, შევწყვიტოთ ეს სულელური საუბარი. ნუთუ სხვა არაფერია სალაპარაკო? სურენ, სურენჯან, არ დაიძინო! რომ გაცივდე, რა მეშველება. სურენ, საყვარელო, საცაა შინ მივალთ!.. იცით ბატონო შაჰიან, მეორე ძმაცა მყავს.

— დიახ, მამათქვენმა მითხრა.

— გაგიგონიათ ანდაზა: „დას უთქვამს, ძმა მყავსო, ძმას კი — და არა მყავსო".

— რამ გაგახსენათ?

— ჩემი ძმა ისეთი არაა, რომ თქვას, და არა მყავსო. პირიქით, განშორებისას თავს იკლავდა. გადამეხვია, აღარ მიშვებდა და თან გულამოსკვნილი ქვითინებდა... რატომაა ასე, მამაკაცები იშვიათად ტირიხართ, მაგრამ თუ ერთი ატირდით, ადამიანს ქვის გული უნდა ჰქონდეს, რომ გაგიძლოთ. გული რომ აგიჩუყდებათ, სულ კუფხა-კუფხად ცრემლი გდით. ასე მგონია, ცრემლი სულაც არ გიმსუბუქებთ წუხილს და ამიტომაც იშვიათად ტირიხართ, მაგრამ ცოტა რომ გამაგრებულიყავით, რაც ჩემმა ძმამ ვერ შეძლო, არასოდეს ატირდებოდით, წერილებსაც მუდამ ჩემს სახელზე იწერება.

თუმცა არა მგონია, მას ისე უყვარდე, როგორც მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაჰიანს კვლავ გაეცინა.

— სიყვარულს თქვენი მასშტაბით ზომავთ? — ჰკითხა მან.

— დიახ. თუმცა მინდა, ჩემი სიყვარულის მასშტაბი უფრო დიდი იყოს იმისაზე, ვინც მიყვარს.

— მაშ, რაღად ემდურით ძმას?

— ძალიან გვიან-გვიან მწერს წერილებს და იმიტომ, თვეში სამჯერ ან ოთხჯერ.

— მერე ეგ გვიანია?

— მე კი იცით, რამდენჯერ ვწერ? — თითქმის ყოველდღე.

— ყოველდღე?.. მერე და რა გაქვთ ამდენი საწერი?

— საწერის მეტი რა არის? ცხოვრება ზღვა მასალას იძლევა, მეც მეტად გულისხმიერი და მგრძნობიარე ვარ, რაც დიდად მეხმარება, სულ ახალ-ახალი ამბები მივწერო ძმას. ახ, როგორ მინდა, ვიცოდე, ამწუთას რას აკეთებს იქ!

ევას პატარა ძმა ჩაეხუტებინა, შემდეგ ნელა თავი მიადო და სევდიან ფიქრებში წავიდა. მაგრამ მალე გამოერკვა და შაჰიანს შეხედა.

— იცით, ბატონო შაჰიან, როცა წერილს ვწერ, მაშინ უფრო მომენატრება ხოლმე. მგონია, უცბად რომ მივიხედო, ჩემს ზურგს უკან დგას და გაღიმებული მიყურებს... ეს ფიქრი ხანდახან ისე შემიპყრობს ხოლმე, უკან მიხედვისაც კი მეშინია...

ეტლები მიგრიალებდნენ. მათი ფანრების ლიფლიფა შუქი წვიმის გუბეებით დაფარულ უსწორმასწორო ქვაფენილს ეფინებოდა. ევა ენას არ აჩერებდა, შაჰიანი განცვიფრებული იყო, ერთი თემიდან მეორეზე რა ადვილად გადადისო.

— სურენ, სურენ, აი, მოვედით!.. აგერ, ჩვენი სახლიც, — წამოიძახა გახარებულმა ევამ. — ბატონო შაჰიან, ხედავთ იმ ლამპიონებს, მის წინ კარი რომაა?.. ეგ ჩვენი სახლია... ზემო სართულის ფანჯრები ჩაბნელებულია... ხედავთ?

ეტლები მარუთიანების სახლთან შეჩერდნენ. ქუჩა განათებული იყო. შაჰიანი ეტლიდან გადმოვიდა, ჯერ სურენი გადმოსვა, მერე ევას გაუწოდა ხელი და გადმოსვლაში უშველა. მარუთიანებმა სახლში მიიპატიჟეს, მაგრამ უარი უთხრა, ახლა გვიანაო.

— რაკი ასეა, არ დაგვივიწყო, ჩვენი სახლი უკვე იცით, — უთხრა მარუთიანმა და ისევ გაუწოდა ხელი. — მამათქვენი მომიკითხეთ. გმადლობთ იმ კეთილი სამსახურისათვის, რომელიც თქვენ გამიწიეთ.

— არაფერს, არაფერს! — მხიარულად წამოიძახა შაჰიანმა და თავის ეტლში შეხტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გმადლობთ! ბატონო შაჰიან! — მიაძახა ევამ.

— არაფერს, არაფერს! — გაიმეორა შაჰიანმა და მეეტლეს უბრძანა, ჩემი სახლისკენ გარეკე ცხენებიო.

V

ათ წუთში შაჰიანი უკვე შინ იყო. წინა ოთახში პალტოს გახდას აპირებდა, რომ დედა გამოეგება. თამარი ერთი ნაადრევად დაბერებული ქალი იყო. მას საოცრად თეთრი, მიმზიდველი და კეთილშობილი სახე ჰქონდა. მისი მოლლილი თვალები თითქოს მაშინაც კი ახევე მშვიდად გამოხატავდნენ ჰმუნვას, ორი თვის უნახავი შვილი რომ ხელმეორედ ნახა.

— ლევონჯან! — დინჯად წარმოთქვა მან და მისი თავი გულზე მიიხუტა. — როგორ მოხვედი, შვილო, ამ საშინელ ამინდში?..

— საშინელ ამინდს ჩემთვის რა უნდა დაეკლო, დედი! მე ხომ თბილ ვაგონში ვიჯექი. მამა როგორ არის?

— მამაშენი ისევ ისეა. შენ როგორა ხარ? მოდი, შვილო. ერთი კარგად შემოგხედო, ხომ არ გახდი?

შაჰიანმა გაიცინა.

— შენ კიდევ, დედი... ისე მელაპარაკები, თითქოს ათი წელი არ გინახივარ. სულ ორი თვეა, რაღა, რაც წავედი!

— ახ, შე ულმერთო, განა ორი თვე ცოტაა ჩემთვის? მითხარი, ხომ კარგადა ხარ?

— ძალიან კარგად, დედი, ისე კარგად, რომ ახე არასდროს ვყოფილვარ.

— მაშ, მოდი გაკოცო.

და დედამ დანაოჭებული, ცივი ტუჩები, შვილის მოლიმარ სახეს მიადო.

შაჰიანი დედის ამბორს ვერ იტანდა. იგი კი მეტად ალერსიანი იყო მის მიმართ. შაჰიანს არ უყვარდა ეს, მისი ნაზი, ქალური მოფერება, ვინაიდან, მისი აზრით, მათში ამჩნევდა ისეთ რამეს, რაც მის ღირსებას ლახავდა, ღირსებას, რითაც მამაკაცი ქალზე მაღლა დგას. იქნებ მიზეზი ის იყო, რომ თვითონ ვაჟკაციც არ იყო და ვაჟკაცის თვისებებიც არ გააჩნდა, თუმცა ძალიან უნდოდა ასეთი ყოფილიყო. ჰოდა, დედის ალერსი მაინცდამაინც არ სიამოვნებდა, ბავშვი ხომ არა ვარო, ფიქრობდა.

მაგრამ ამჯერად არამცთუ არ ესიამოვნა, პირიქით, დედას თვითონაც აკოცა, რაც არასოდეს მომხდარა, რატომ? ვინ იცის, იქნებ მიზეზი ახლახან განცდილი შთაბეჭდილებების ნიადაგზე აღმოცენებული უცხო, უმანკო გრძნობები იყო, რომელთაც ჯერ კიდევ თავისი გარკვეული სახე არ მიეღოთ, მაგრამ მაინც გარდაექმნათ მისი ფსიქიკა...

რაკი მამას არ ეძინა, შაჰიანმა, დედასთან ერთად, უმალ მიაკითხა; აღა კარაპეტს ხალათი ეცვა და თავზე თურქული ფესი ეხურა. ჩვეულებრივ განიერ სავარძელში იჯდა და მოუთმენლად კარისკენ იყურებოდა. მუხლებზე ბიბლიის ამხანაგობის მიერ ახალ სომხურზე თარგმნილი სახარება ედო, რომლის დაუმთავრებელ ფურცლებში მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი გაჩრილი ჰქონდა, ჰერზე ჩამოკიდებული ნათურები, ფართო, ბრტყელი შუქფარიდან მის მოტვლეპილ, ხახვის ნაჭურჩალივით პრიალა კეფას უხვად ჰფენდნენ ნათელს.

შაჰიანის მამა სამოც წელს მიტანებული იქნებოდა. სხეული რუმბივით დასიებოდა, მწვავე ფიზიკური ტკივილებისგან გაპარსულ სახეზე კუნთები დაჭიმოდა და დაძაგროდა. ნიადაგ სახარების კითხვაშიც ვერ პოულობდა შვებას. სულ ბუზღუნებდა, მეტადრე უჩიოდა თავის ავადმყოფობას, რაც, მართლაც, საშინლად ტანჯავდა. უალრესად კეთილი იყო. ფულის მოხვეჭის შნოც ჰქონდა. ავადმყოფობა რომ გაუთულდა, სავაჭრო საქმეებზე ხელი აიღო, მაგრამ აუქციონზე ქალაქში ოც ადგილას შეძენილი სხვადასხვა სახლები გარკვეულ შემოსავალს აძლევდა. ავადმყოფობა აწუხებდა, მაგრამ ადგილ-მამულებს მაინც თვითონ განაგებდა. ერთადერთი რამ, რითაც ქებას იმსახურებდა, საქმის შესრულების სიყვარული იყო. ეს ისეთი თვისება გახლდათ, ფუფუნებაში გაზრდილ, თავის ნებაზე მიშვებულ მის ძეს რომ არ გააჩნდა.

შვილი ძალიან უყვარდა, მაგრამ დღენიადაგ მაინც საყვედურობდა, არ მეხმარებიო. მას კი მამის საქმეები სულაც არ აინტერესებდა და ყოველთვის უწყრებოდა, მამა წუწუნს რომ მოჰყვებოდა. გარეთ მის ხმას ვერ გაიგონებდით, შინ კი მშობლებს არ ინდობდა. ხშირად ტყუილუბრალოდ დედ-მამას ისე უყვიროდა, შეშინებულნი ხმას ვერ იღებდნენ. თუმცა იცოდა, რომ ცუდად იქცეოდა, მაგრამ მაინც თავს ვერ იკავებდა. სიზარმაცეს მასში ჩაეკლა ნებისყოფა და ბრმა ეგოიზმი განევითარებინა. სულ უმნიშვნელო წყენასაც ვერ ურიგდებოდა. სხვას სილაც რომ გაეწნა, გაჩუმდებოდა, მხოლოდ მშობლების საყვედურს, რაგინდ უმნიშვნელო და სამართლიანი ყოფილიყო, ვერ იტანდა. კეთილი თვალით იშვიათად შეხედავდა ხოლმე დედ-მამას, მათ კი მხოლოდ იმაში მიუძღოდათ ბრალი, რომ ყოველნაირად ზრუნავდნენ მასზე.

ასეთი იშვიათი წუთები ახლა დაუდგა, დედას აკოცა, ხოლო მამას გაეხუმრა კიდეც.

დედ-მამამ რომ დაინახა შვილი გაჯანსაღებულა და მხიარულ გუნებაზეაო, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმდენად გაუხარდათ, აღა კარაპეტს თავისი ტკივილებიც კი დაავიწყდა და აღარ ბუზღუნებდა.

შაჰიანი მშობლებთან დიდხანს არ დარჩენილა, დედას ვახშამზე უარი უთხრა, თავის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოლ ოთახში გავიდა და დახაძინებლად მიწვა. თუმცა ნამგზავრი და გვარიანად დაღლილი იყო, რული მაინც არ ეკარებოდა.

თბილ ლოგინში დიდხანს ბორგავდა, თვალწინ ედგა ბაზენიანი, მისი თანამგზავრი ქალი, მამა, დედა, მარუთიანი, მეტადრე ევაზე ფიქრი არ ასვენებდა.

თავში ისევ ის აზრები უტრიალებდა, ყმაწვილ კაცს გონებას უშფოთებდა, გული გზნებით ჰქონდა სავსე. უსაქმურ და მცონარე ჭაბუკს სულიერი სიმტკიცე აკლდა, ოცნებით ცაში დაქროდა, სადაც მოვლენებს სული და ხორცი არ გააჩნდათ და, მაშასადამე, სინამდვილესთან არავითარი რეალური კავშირი არ ჰქონდათ... მხოლოდ ზმანება იყო, დიახ, ზმანება!..

ოცნება დიდებულია და აზრი მაშინ აქვს, თუ ჩნდება ადამიანის გონებაში, ადამიანისა, ვისაც სიცოცხლის ხალისი არ დაუკარგავს, რაღაც იდეები ამოძრავებს. ხოლო იმას, ვისაც ძარღვებში სისხლი არ აჩქროლებია, არა ჰქონია მისწრაფება, ნებისყოფა, ჰოდა, დაძაბუნებულ, ზანტი და მიხრწნილი მოხუცივით, თუკი ცხოვრება ასე უმიზნოდ გაუტარებია, — მაშ, რა ყრია ამ ფუჭ ოცნებებში? ისინი ხომ წუთიერ სიამოვნებას ანიჭებენ, უაზრობითა და სისულელით იყოლიებენ, რომ შემდეგ უფრო მკვეთრ ფერებში წარმოუსახონ თავისი ცხოვრების საშინელი სიცარიელე.

მეორე დღეს ლევონს კარგა გვიან გამოეღვიძა. მოღრუბლული დღე იყო, ადამიანს ყველაფრის ხალისს უკარგავდა. წვიმა ცრიდა. მან ბალიშში თავი ჩარგო და გაირინდა. რაზე ამდგარიყო? ამ უჟმურ ამინდში თბილ სახლში ჯდომას რა ჯობდა! საჭმელი გამზადებული იყო, არავითარი საზრუნავი არ ჰქონდა! ნუთუ ეს ბედნიერი და ლაღი ცხოვრება არაა, მილიონობით ადამიანები რომ შენატრიან? ცდუნებას აჰყოლია, არა, ტყუილად წუწუნებს, სიცოცხლე მომბეზრდაო. რა სწრაფვა? რის მიზანი? ეს ხომ ლამაზი ფრაზებია, ეს უაზრო ლიტონი სიტყვები უსასრულო ტანჯვის, სისხლის ამაო აღშფოთების დასტურია, ადამიანიც ხომ იმისთვის ილვწის, რაც შეიძლება უზრუნველად და ტკბილად იცხოვროს? აზროვნებისა და ხელოვნების სამყაროში რაც იქმნება, მის კეთილდღეობას არ ხმარდება? საქმე, შრომა უშფოთველი ცხოვრებისათვის არ არის განა? განგებას ხომ უხვად მოუნიჭებია ყოველი სიკეთე და მადლი. მეტი რაღა უნდა?

„უუ!".. — თითქოს ყურში ჩასძახესო, გაეღიმა, კედლისკენ გადაბრუნდა და მიაჩერდა ყვავილებით ნოხატულ შპალერზე ერთ თეთრ ხაზს, ევას უკან გადავარცხნილი თმის თეთრი ზოლი რომ გაახსენა. მისი გონება წარიტაცა ოცნებამ.

ამ ოცნებამ გაზაფხულის წარმტაცი ღამე წარმოადგენია, დედამიწა ბავშვივით რომ თვლემს, მთვარე ისე ქათქათებს, თითქოს მზის ნათელში ცისკიდური ორთქლად და ნისლად იქცევაო, რომელიც მძიმედ, შეუმჩნევლად მიიწევს ზევით და ადამიანი ივსება ნაზი, ბუნდოვანი, რაღაც უცნობი ვნებიანი სურვილით. სამარისებურ სიჩუმეში ოდნავ გაისმის ბუნების ძახილი, რომელიც ხან უსაზღვრო მწუხარების ტირილად ჩაესმის ადამიანს, ხანაც — უსასრულო ნეტარების ჰიმნად. ოთახში სინათლე არ ანთია. ფანჯრიდან მთვარე იჭვრიტება და იდუმალ ილიმის. იქვე სხედან შაჰიანი და ევა, ერთმანეთს გადახვევიან, თავი თავზე მიუდვიათ. ევას თეთრი სამოსი აცვია, რომელშიც პლასტიკური სინატიფით ინაკვთება მისი გულმკერდი და მუხლები. შაჰიანი იხუტებს ევას და ჰგონია, მისი სხეული რეზინივით მოქნილია. ევას ნაზი თმა, თითქოს სუნთქავსო, ვნებიანად ელამუნება ლევონს ყურზე. მდუმარედ და უძრავად სხედან. იქ, სადაც გრძნობები ლაპარაკობენ, ენა მუნჯდება. იქ, სადაც თავად ცოცხალი პოეზია ლაღადებს, პროზა უძლურია. ჩუმად არიან, მაგრამ ერთმანეთის სუნთქვა და გულისცემა ესმით, სულთა საოცარ თანაზიარობას გრძნობენ. ერთი ფიქრით, გრძნობითა და სურვილით შენივთებულან, ერთნი არიან ცალცალკე, მაგრამ ერთმანეთს ავსებენ. ასე შეერთებულნი უყურებენ მთვარის რძისფერ ნათელში აორთქლებულ ცის დასალიერს და ჰგონიათ, თვითონაც ნისლად იქცევიან, ერთმანეთში ითქვიფებიან, ზემოთ მიიწევენ და უჩინარდებიან... მთვარე დაჰყურებს მათ და იდუმალ ილიმება.

კარი ფრთხილად გაიღო და დედამ თავი შემოყო.

იდილია გაქრა. შაჰიანი გადმობრუნდა და გამოფხიზლებულმა შეხედა. თამარს ეგონა, ისევ სძინავსო, მაგრამ რომ დაინახა, ეღვიძა, შევიდა და კარი მიხურა. თბილი პერანგი წამოელო, ჩაიცვას, არ შესცივდესო.

შაჰიანი შეიშმუშნა, უნდოდა, სულ ასე ნეტარებაში ყოფილიყო, სიზმრებით დამტკბარიყო. მაგრამ დედის შემოსვლამ თითქოს ბურანიდან გამოარკვიაო, და ამ ლამაზი იდილიის შემდეგ, გარეთ ახეთი საშინელი სურათი გადაეშალა. ცრიატი დღე იყო, გულის გამაწვრილებლად ცრიდა, წვიმა.

ასე, ერთი საათი ბორგავდა ლოგინში, წამოჯდა. დაწვა, მერე ისევ წამოჯდა. თითები გაატკაცუნა, დაამთქნარა, გაიზმორა, მაშიები ჩაიცვა, ხელ-პირი დაიბანა, დაივარცხნა და ცხვირსახოცის ბოლოთი სათვალის მინების წმენდით სასადილო ოთახში გავიდა, სადაც დედ-მამა. დიდი ხანია, ჩაიზე ელოდებოდნენ. ყოველივე ამის შესრულება, ნებისყოფის უდიდეს დაძაბვას მოითხოვდა, მაგრამ შაჰიანი მაინც განსაკუთრებულ სიმხნევეს გრძნობდა და ჩვეულ მოჟამულ გუნებაზე არ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამე მშობლებს მარუთიანებზე სიტყვა ჩამოუგდო, ახლა კი წვრილმანებსაც შეეხო და უთხრა, ისეთი კარგი კაცია, აღფრთოვანებული ვარ მისითო.

— ერთი ნაკლი კი აქვს, — დაუმატა მან, — ნამეტანი უბედია.

— მართო ეგ როდია, — შენიშნა ალა კარაპეტმა, — აუტანელი ადამიანიცაა.

— რაო? — წამოიძახა შაჰიანმა.

მამამ გაოცებულ შვილს შეხედა და გაიცინა, რაც იშვიათად ხდებოდა. უხაროდა, იგი კარგ გუნებაზე რომ იყო.

— დავუშვათ, ცოტა გადავაჭარბე, — თქვა მან, — ნუ გეშინია, მარუთიანი ისევ ის კაცია, ოღონდ... ერთი სიგლახე აქვს ჩადენილი.

— ძმას მამის მემკვიდრეობიდან რომ თითქმის არაფერი უწილადა, არა? — ჰკითხა ცოლმა.

— ჰო.

და ალა კარაპეტმა შვილს მარუთიანის „სიგლახეზე“ უამბო. ერთი საცოდავი ძმა ჰყოლია, ისე მორიდებული, რომ ლაპარაკსაც ვერ უბედავდა თურმე. თანაც ზარმაცი ყოფილა და ხმას გადაყოლილი. გევორქს საქმე ისე მოუკვარახჭინებია, რომ მამისეული დიდძალი ქონებიდან ლოთ ძმას მხოლოდ ერთი ქოხი და უმნიშვნელო თანხა რგებია. მაგრამ ამასაც დახჭერებია ის უბედური, ლოთობაში გაუნიავებია ქონება და ცოლთან ერთად უკიდურეს სიღატაკეში ამოსვლია სული.

მამის ნაამბობმა ლევონს ერთბაშად შეუცვალა აზრი მარუთიანზე. ეწყინა, რომ მარუთიანის ძმას ასე ცუდად მოჰქცევია, იმიტომ კი არა, რომ თანაუგრძნობდა და ადამიანთა უსულგულობას, საერთოდ, ვერ იტანდა, — არა, მარუთიანს ისეთი კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა მასზე, რომ მამის სიტყვები არ ეპრიანა. ცხადი იყო, არ უნდოდა, რაიმე ნაკლი შეენიშნა იმ ოჯახში, სადაც ევასთანა ქალიშვილი ეგულებოდა...

— სამაგიეროდ, ახლა ძმისწულს ინახავს და ჯერ კიდევ ძმა ცოცხალი ჰყავდა, განათლება რომ მიაღებინა მის ქალიშვილს, — თქვა თამარმა, — სულ მალე გაათხოვებს, ბევრ ფულსა და მზითევს გაატანს და ცოდვებს გამოისყიდის. ამბობენ, ძმის სიკვდილის შემდეგ ბევრი უნანია. ძმა და რძალიც ხომ თვითონ დაასაფლავა.

— ნათქვამია, წადი, მოკვდი და მოდი, შეგიყვარებო, — შენიშნა ალა კარაპეტმა.

დედის სიტყვებმა შაჰიანს აშხენი გაახსენა, მისი სწორი, ჩამოგრძელებული სახის ცივი პროფილი, თითქოს ახლაც თვალწინ ედგა იმავე პოზაში, ფანჯრიდან რომ იყურებოდა, და მოეჩვენა, იგი მაშინ, თავის ობლობასა და კიდევ იმაზე ფიქრობდა, თუ რა მძიმეა უპატრონო, ღარიბი ქალიშვილისთვის სხვის კმაყოფაზე ცხოვრება. წინა ღამეს ვაგონში შაჰიანს აშხენისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ალბათ, იმიტომ, რომ ევას უკვე მოეხიბლა იგი, აშხენსაც თავი არ გამოუდვია. ახლა კი რატომღაც დაინტერესდა და შეებრალა ეს ქალიშვილი.

თარგმნა მარინე მამაცაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ვლადიმერ ჟანჟღავა**
გენერალ-ლეიტენანტი
საბჭოთა კავშირის გმირი

# ერთგულება

## დივიზიის მეთაურის ჩანაწერები

## გასვლა სახელმწიფო საზღვარზე

ცხრაასმორმოცდაოთხი წლის ივლისის ბოლო რიცხვებში, 1199-ე მსროლელი პოლკის მეთაურმა მ. მ. მუხამედშინმა დივიზიის შტაბს სასწრაფო ცნობა მიაწოდა: „ერთი ბატალიონით დავიკავე რაიონული ცენტრი სემიატიჩე. მდ. ბუგამდე კილომეტრიღა დამრჩა. სოფელ ტონკელის მახლობლად აღმოვაჩინეთ უზარმაზარი თხრილი, სადაც ფაშისტები დახვრეტილი საბჭოთა მეომრების გვამებს ყრიდნენ. სოფლის მცხოვრებნი ამ ადგილს სიკვდილის ბანაკს უწოდებენ“.

რაღაც ამის მსგავსს ჩვენ სლონიმის რაიონშიც შევხვდით. ნაცისტებს იქ, თავიანთი კაცთმოძულეობის ნაკვალევი რომ წაეშალათ, დახვრეტილ ტყვეთა გვამებით პირთამდე სავსე უველა თხრილი ბულდოზერებით მთლიანად გადაესწორებინათ.

რამდენიმე საათის შემდეგ ახალ საკომანდო პუნქტში გადავედი. მანქანაში ვიაჩესლავ პეტრეს ძე ოსიკინიც მახლდა. სოფელ ტონკელთან რაღაც თხრილი დავინახეთ, მანქანა გავაჩერეთ და დასათვალიერებლად ჩამოვედით. სოფლის განაპირას, ასე ორასამდე მეტრის მოშორებით, თვალში მოგვხვდა საშგაგი მავთულხლართით გადაღობილი ნაკვეთი, რომლის შუაგულში რამდენიმე დამწვარი სოფლური ნაგებობა მოჩანდა; მავთულხლართის გასწვრივ და იმის გაგრძელებით, არანაკლებ კილომეტრნახევრიანი, ისარივით სწორი მიწაყრილი გადიოდა; მიწაყრილი ადგილ-ადგილ ჭურვების აფეთქებით იყო გადათხრილი, საიდანაც ადამიანთა გვამები მოჩანდა. მათი რიცხვი რამდენიმე ათასს აღემატებოდა.

ადგილობრივი პოლონელი გლეხების საუბრიდან გავიგეთ, რომ საბჭოთა სამხედრო ტყვეებსა და, აგრეთვე, ადგილობრივ მცხოვრებლებს, მათ შორის ქალებსა და ბავშვებს, გერმანელები 1941 წლის შემოდგომიდან ამ ადგილას ხვრეტდნენ. სოფელ ტონკელის მახლობლად სამხედრო ტყვეთა ბანაკი არ ყოფილა. ტყვეები აქ კვირაში ორჯერ ოცდაათი მანქანით მოჰყავდათ. სატვირთო ავტომობილები ყოველთვის პირთამდე ყოფილა ტყვეებით გაჭედილი, თითოეული მანქანით არანაკლებ 60-70 კაცი მაინც მოჰყავდათ.

როგორც პოლონელმა გლეხმა გვითხრა, ეკლიანი მავთულხლართებით გადაღობილ იმ ნახევრად გადამწვარ სახლებში თურმე გერმანელი ჯალათები ცხოვრობდნენ. „ცოცხალი ტვირთით“ პირთამდე სავსე მანქანები რომ მოვიდოდნენ, ესესელები მჭიდრო რკალად შემოერტყმოდნენ მათ, სამხედრო ტყვეებს ჯგუფ-ჯგუფად ერეკებოდნენ წინასწარვე გათხრილ ღრმა ხაროებში, საცვლების გარდა ყველაფერს ახდევინებდნენ და მერე ტყვიამფრქვევებითა და ავტომატებით ხვრეტდნენ. ასე მოსდევდა ჯგუფი ჯგუფს, სანამ ხარო პირთამდე არ აივსო. დახვრეტები ორ თვემდე გრძელდებოდა. როცა გვამებზე დაყრილი მიწის ზოლმა სიგრძით კილომეტრნახევარს მიაღწია, — გვითხრა გლეხმა, — ესესელები სოფელ ტონკელთან აღარ გამოჩე-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, 1980 წ. № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილან. როგორც ჩანდა, საბჭოთა სამხედრო ტყვეები სხვა ადგილზე გადაჰყავდათ და იქ ხვრეტდნენო.

მეორე მოხუცი გლეხი სოფელ ტონკელიდან გერმანელ შოფერთან თავის საუბარს მოგვიყვა. იმ შოფერს თურმე საბჭოთა სამხედრო ტყვეები გადმოჰყავდა დასახვრეტად სოფელ სუხოვებრის მახლობლად მდებარე ბანაკიდან. მისი თქმით, სუხოვებრის ბანაკში საბჭოთა სამხედრო ტყვეებს აშიმშილებდნენ, მერე გამოუცხადებდნენ, სამუშაოდ უნდა წაგიყვანოთ, სადაც საჭმელს მიიღებთო. დამშეული ხალხი ჯგროდ აწყდებოდა ავტომობილებს და დაცვა იძულებული ხდებოდა, მანქანებიდან „ზედმეტი" ხალხი უკანვე ჩამოეყარა.

როგორც მერე გამოირკვა, ფაშისტებმა სოფელ ტონკელში დაახლოებით ექვსი ათასამდე საბჭოთა ტყვე და ახლომახლო სოფლების მცხოვრები დახვრიტეს, რომელთა შორის ყოველთვის ერივნენ მცირეწლოვანი ბავშვებიც.

მუხამედშინის პოლკის პოლიტმუშაკებმა დაწვრილებით ჩაიწერეს ტონკელი გლეხების ნალაპარაკევი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედების შესახებ. შემდეგ ეს ჩანაწერები დაედო საფუძვლად პოლიტგანყოფილების მიერ გამოშვებულ ფურცლებს, რომლებიც მებრძოლებს მტრის სიძულვილისა და შურისძიებისაკენ მოუწოდებდა.

მთელი დანარჩენი გზა საკომანდო პუნქტამდე მდუმარედ გავლიეთ. სოფელ ტონკელში ნახულმა და გაგონილმა იმდენად იმოქმედა ჩემზე, რომ არაფერზე ლაპარაკი აღარ მინდოდა, ხოლო გული მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილით იყო სავსე.

სამაგიეროდ, დივიზიის საკომანდო პუნქტზე სასიხარულო ამბავი დაგვახვედრეს: დივიზიის სამივე პოლკმა გააფთრებული ბრძოლების შემდეგ გადალახეს მტრის ტანკსაწინააღმდეგო საფარები და ბუგის აღმოსავლეთ ნაპირზე ომამდელ სახელმწიფო საზღვარზე გავიდნენ. ეს გარემოება დივიზიის მთელი პირადი შემადგენლობისათვის უზარმაზარ დღესასწაულად გადაიქცა.

ახლა ყველა პოლკი მორიგი სამდინარო დაბრკოლების გადასალახავად ემზადებოდა. ბელოვეჟის ტყეზე ძნელი ლაშქრობისა და მდინარის მისადგომებთან გააფთრებული ბრძოლების შედეგად ხალხს დაღლა ემჩნეოდა, მაგრამ საერთო განწყობილება მაინც ამაღლებული და საბრძოლო იყო, ყველას ერთი სურვილი ჰქონდა — წინსვლა! უკვე საეჭვო აღარ იყო, რომ დივიზია 22 ივლისს მდინარეს გადალახავდა და მის დასავლეთ ნაპირზე პლაცდარმსაც დაიკავებდა.

მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ: იმ დროს, როცა ბელორუსიის პირველი ფრონტის ძირითადი ძალები ბრესტის რაიონში მტრის მსხვილ დაჯგუფებას გარს შემოერტყნენ, შორ მანძილზე წინ გაჭრილ 65-ე არმიის ნაწილებმა თვითონვე მოჰყვნენ მტრის გარემოცვაში და რამდენიმე დღის მანძილზე წრიულ მოგერიებით ბრძოლებს ეწეოდნენ.

ეს მოხდა სხვადასხვა მიზეზებით, ყველაზე უწინარეს კი, შეტევის მსვლელობაში არასაკმაო ოპერატიული დაზვერვის გამო. დაზვერვამ თავის დროზე ვერ აღმოაჩინა მტრის ჯარების თავმოყრა ბელსკ-პოდოლსკის რაიონში, მარჯვენა ფლანგზე, ხოლო მსხვილი დასახლებული პუნქტის რაიონში — მარცხენა ფლანგზე. ასეთი მდგომარეობა იყო ფლანგებზე, როცა 65-ე არმიის ნაწილებმა საკმაოდ დიდი მანძილით გაუსწრეს მომიჯნედ მოქმედ შენაერთებს. ამრიგად, 65-ე არმიის ფლანგები უმეტესწილად გაშიშვლებული აღმოჩნდა. მათს დასაფარავად სარდლობას მოუხდა ჯარების ფრონტით გაჭიმვა, რის გამოც ჩვენი 105-ე მსროლელი კორპუსის დივიზიებს შორის გაჩნდა საკმაოდ დიდი დაცილებები.

28 ივლისს, შუადღისას, გახდა ცნობილი, რომ გერმანელ-ფაშისტთა სატანკო შენაერთები ღრმად შეიჭრნენ ჩვენი ჯარების განლაგებაში და მტრის ორი დაჯგუფება კლეშჩელის რაიონში მალე კიდეც შეერთდებიანო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ 65-ე არმიის მარცხენა ფლანგის ჯარები ფაქტიურად ალყაში მოჰყოლოდნენ. რაღაც საოცარი პარადოქსი გამოდიოდა: ბრესტთან წითელ არმიას მოწინააღმდეგის მსხვილი ძალები ჰყავდა ალყაში მოქცეული, ხოლო იქვე, გვერდით, ბრესტის ჩრდილო-დასავლეთით, საბჭოთა ჯარები თვითონვე იყვნენ მტრისგან გარემოცული, მაგრამ იმჟამად მდგომარეობის უცნაურობისა და ცვალებადობის განსჯისათვის არავის გვეცალა, წინ ირგვლივი ბრძოლა მოგველოდა, თანაც ჩვეულებრივ ტოლძალოვან მტერთან კი არა — არამედ გაცილებით ჭარბი ძალების მქონე მოწინააღმდეგესთან., რომელსაც ასევე ჭარბად ჰქონდა ტანკები და თვითმავალი ქვემეხები.

დივიზიის ნაწილებსა და ქვედანაყოფებს საჩქაროდ მოვუყარეთ თავი ავგუსტინკაში. მოვახდინეთ გადაჯგუფება და დასახლებული პუნქტის რაიონში ცეცხლქვეშ გადავედით თავდაცვაზე. ადრე დაკავებული პოზიციებიდან უკან დახევისას პოლკები და ბატალიონები მტრის იერიშებსაც იგერიებდნენ. ჰიტლერელებმა ჩვენი დივიზიის წინააღმდეგ ერთ-ერთი თავიანთი ქვეითი დივიზია გადმოისროლეს 35 ტანკის თანხლებით. მართალია, ფაშისტური დივიზია რამდენადმე შეთხელებული იყო, მაგრამ მაინც დივიზია იყო. ჩვენ კი პოლკებსა და ბატალიონებში ხალხიც დიდი რაოდენობით გვაკლდა და საკმარი ჭურვები არც არტილერიას გააჩნდა.

როცა 354-ე დივიზია ავგუსტინკაში დაჯგუფდა, კლეშჩელის მხრიდან გაძლიერებული საარტილერიო სროლა გაისმა. ისროდნენ სატანკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარბაზნებით. ამის გამოცნობა ძნელი არ იყო — კლეშჩელის რაიონში ფაშისტთა ტანკები იყვნენ. მაგრამ მოასწრეს კი იქიდან არმიის სარდლის ოპერატიული ჯგუფის გამოყვანა?

ტელეფონთან კორპუსის მეთაურმა გენერალმა ალექსეევმა გამომიძახა და კლეშჩელში ოფიცრების გაგზავნა მიბრძანა. იქ უნდა იყოს ბატოვი, მაგრამ კავშირი კლეშჩელთან გაწყვეტილია, საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა გავიგო, სად არის არმიის სარდალი და მოვახსენო.

— ვასილ დემიანოვიჩ, გავარდი კლეშჩელში და გაიგე, იქ არის თუ არა გენერალი ბატოვი და მისი ოპერატიული ჯგუფი? — გავძახე მაიორ ანტიპენკოს, სანამ კორპუსის უფროსთან საუბარს დავამთავრებდი.

დივიზიის დაზვერვის უფროსმა კლეშჩელში მისვლა ვერ მოახერხა — სოფელი უკვე გერმანელთა ხელში გადასულიყო, მაგრამ დივიზიის 87-ე გვარდიული არტილერისტებისაგან გაეგო., რომ ოპერატიული ჯგუფი გენერალ ბატოვის მეთაურობით „ვილისით" გაუსხლტა მოწინააღმდეგის ტანკებს, შეინიღბა ჭვავის ყანაში და ხაინუვკის მიმართულებით წავიდაო.

ეს ცნობა იმავ წამს გადავეცი ალექსეევს.

— მადლობა ღმერთს, — შვებით ამოისუნთქა დიმიტრი თევდორეს ძემ. თანაც, რომ გავემხნევებინე, იქვე დაუმატა, რომ მდგომარეობა მალე გაუმჯობესდება, — ჟუკოვი და როკოსოვსკი აუცილებელ ზომებს მიიღებენო.

არც მეთაურებს, პოლიტმუშაკებს და არც დივიზიის წითელარმიელთა უმრავლესობას მჭვი არ ეპარებოდა, რომ გარემოცვაში ბრძოლა ხანგრძლივად არ მოგვიწევდა — ახლაც ხომ ორმოცდაერთი წელი არ იყო, მაგრამ საშინელმა, საგანგაშო სიტყვამ „გარემოცვამ", რომელსაც უკვე დიდი ხნის გადაჩვეულები ვიყავით, ქვედანაყოფიდან ქვედანაყოფში მაინც გაჟონა. ამის გამო მთელს პარტიულ აპარატს ცოტა მუშაობა როდი დასჭირდა, რომ პირად შემადგენლობაში გაჩენილი გარემოცვის შიში გაენელებინათ. თუმცა შიში აშკარად არავის ემჩნეოდა, დივიზიის მეომრები ამ ძნელ მდგომარეობაშიც ჩვეულ სიმამაცეს და გაბედულებას ამჟღავნებდნენ.

განსაკუთრებული თავგანწირვითა და შეუპოვრობით იბრძოდა 1201-ე მსროლელი პოლკის პირადი შემადგენლობა. მიუხედავად იმისა, რომ სოფელ ჟერჩიცის მიდამოებში პოლკს ერთდროულად უხდებოდა მტრის ტანკების შემოტევის მოგერიებაც და ქვეითი ჯარის მსხვილ ძალებთან ბრძოლაც, პოლკის მეომრებმა მაინც შესძლეს გერმანელთა 560-ე საჯარიმო ბატალიონის სრული განადგურება — 600-მდე ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი ბრძოლის ველზე გაანადგურეს, ხოლო სამოცი კაცი ტყვედ ჩაიგდეს. არ შემიძლია, ქებით არ მოვიხსენიო პოლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი ჟავანნიკი და მისი მოადგილე პოლიტნაწილში პოდპოლკოვნიკი ლებედევი. ამ უკიდურესად გართულებულ ვითარებაში ბრძოლას ორივენი უნაკლოდ ხელმძღვანელობდნენ.

ამ ბრძოლებში განსაკუთრებული სიმამაცე და პირადი მაგალითით მებრძოლების აღფრთოვანების უნარი გამოამჟღავნეს პოლიტმუშაკებმა — ისინი მუდმივად ბრძოლის ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე იმყოფებოდნენ, თავიანთი ცოცხალი სიტყვითა და საქმით მეთაურებს მხარში ედგნენ და აქტიურად ეხმარებოდნენ ქვედანაყოფების მართვაში. პოლკის კომორგი — საუკეთესო მეტყვიამფრქვევე — სერჟანტი აიტვაევი სემიანიჩის რაიონში ხშირად ეხმარებოდა ბრძოლისას ტყვიამფრქვევის გათვლას იარაღის მოწესრიგებაში, როცა საჭირო იყო, თვითონაც წვებოდა ტყვიამფრქვევთან და ზუსტა სროლით მტერს მუსრს ავლებდა.

— ვიდგეთ სიკვდილამდე, არ შევანელოთ ცეცხლი არცერთი წუთით! — მეთაურებისა და პოლიტმუშაკების ამ მოწოდებას ყველა მეომარი თავგანწირვით და ურყევად ასრულებდა. ბრძოლაში მათ ძალას მატებდა და საბრძოლო აქტივობას უძლიერებდა ისიც, რომ პოლიტმუშაკები ყოველთვის მათს რიგებში იმყოფებოდნენ და ბრძოლის ყველა სიძნელეს ხშირად თავის თავზე იღებდნენ.

მამაცურად იბრძოდნენ პოლკის მხარდამჭერი დივიზიონის არტილერისტები. თუმცა მათ ჭურვები არ ჰყოფნიდათ, მაგრამ მაინც მსროლელი ქვედანაყოფების საბრძოლო მწყობრში იდგნენ და თითო-ოროლი გასროლით მტრის საცეცხლე წერტებს ანადგურებდნენ.

ცოცხალი ძალის მხრივ საკმაოდ დიდ ზარალს აყენებდა მოწინააღმდეგეს პირდაპირ დამიზნებაზე დაყენებული 76 მილიმეტრიანი ზარბაზნები, უფროსი ლეიტენანტის მიხეილ სარდიონის ძე ბოლქვაძისა, რომელიც იმხანად დაჯილდოებული იყო II ხარისხის სამამულო ომის ორდენით.

ორი დღის გააფთრებული ბრძოლის შედეგად, რომელშიც 65-ე არმიის ორი მსროლელი კორპუსი და მე-12 სატანკო ბრიგადა მონაწილეობდნენ, კლეშჩელის რაიონში შეერთებული მტრის ჯარები საგრძნობლად დაზარალდნენ. დაჭრილთა და მოკლულთა სახით მათ დაკარგეს ხუთიათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, 40 ტანკი, ორმოცდაათზე მეტი ქვემეხი და მრავალი სხვა საბრძოლო ტექნიკა. დაჯგუფების დიდმა ნაწილმა შენაერთის შტაბითა და ქვედანაყოფებით კლეშჩელიდან დროგოჩინსკის გზით დასავლეთისაკენ დაიხია.

ხოლო ავგუსტინკასთან ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა. 354-ე დივიზიის პოლკებსა და მათს უახლოეს მომიჯნე ქვედანაყოფებს ცოტა ბრძოლა როდი დაჭირდა იმისათვის, რომ საბოლოოდ გაეტეხათ მტრის წინააღმდეგობა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ გახულიყვნენ საბჭოთა კავშირის ომამდელ სახელმწიფო საზღვარზე, რაც მხოლოდ 1 აგვისტოს განხორციელდა.

დივიზია საგრძნობლად დაზარალდა, მაგრამ საზღვარზე ხელახლა გასვლის სიხარული ყოველგვარ დანაკლისს ანაზღაურებდა და პირად შემადგენლობას კვლავ ბრძოლისა და წინსვლისათვის აღანთებდა. ხოლო წინ პოლონეთის მიწაწყალი იყო.

## შეხვედრა პოლონეთთან

იმ ადგილებში, სადაც ჩვენი დივიზია მეორედ გავიდა ომამდელ სახელმწიფო საზღვარზე, მდინარე დასავლეთ ბუგი ნაკლებად ღრმა და ნაკლებად ფართოა. თავისი დინების ერთ მესამედზე, ბრესტიდან 70-80 კილომეტრზე, სადაც კუჟეცი, ლივეცი, ნარევი და სხვა შენაკადები შეერთვიან, იგი დიდ სამდინარო დაბრკოლებას არ წარმოადგენს. ამაში ჩვენი მეთაურები ბუგზე დივიზიის პირველსავე გადასვლაზე დარწმუნდნენ. მდინარეზე გადასვლაში დახმარება მხოლოდ დივიზიის არტილერიასა და მძიმე მანქანებს დასჭირდათ. მსროლელი, მეტყვიამფრქვევე და ნაღმმტყორცნელთა ქვედანაყოფები, აგრეთვე პოლკის არტილერიაც, ფონით უნდა გახულიყვნენ.

მდინარეზე გადასვლა პირველმა დაიწყო 1201-ე პოლკის მსროლელმა ასეულმა, რომელსაც კაპიტანი ნ. ვ. ვასილიევი მეთაურობდა. თუმცა ამ პაწია ქვედანაყოფს პირობითად თუ ეთქმოდა ასეული, რადგან თავის შემადგენლობაში ოცდახუთ კაცსლა ითვლიდა. ვასილიევის ასეულმა ბუგი გადალახა 82 მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნის ოცეულთან ერთად, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი სეროვი მეთაურობდა.

სამი წუთის შემდეგ მსროლელებიც და ნაღმმტყორცნელებიც უკვე მდინარის დასავლეთ ნაპირზე იყვნენ. წამის დაუკარგავად გაიჭრნენ წინ და ნაპირიდან ერთი კილომეტრის დაშორებით მტრის ქვეითს ბევრად ჭარბ ძალებთან ჩაებნენ ბრძოლაში. ჰიტლერელებმა ჯგუფი ალყაში მოაქციეს. ასეული ირგვლივ მოგერიებაზე გადავიდა, მოწინააღმდეგის ქვეითი ძალების დაწოლა მოიგერია და სულ რაღაც ნახევარ საათში მისი ოცდაათზე მეტი ჯარისკაცი გაანადგურა. ასევე მამაცურად ებრძოდნენ ოკუპანტებს ლეიტენანტ სეროვის ნაღმმტყორცნელებიც.

როცა ბრძოლის ადგილზე ბატალიონის ძირითადი ძალები მივიდნენ ბატალიონის მეთაურის მაიორ ფ. ა. მოლოშტანოვისა და მისი მოადგილის პოლიტნაწილში კაპიტან გ. ზ. ნეველსკის მეთაურობით, ვასილიევის ასეულში ცოცხალი მხოლოდ შვიდი კაციღა იყო დარჩენილი. ისინი კვლავ თავგანწირვით იბრძოდნენ და თვიანთი პატარა პლაცდარმის მტრისთვის დათმობას უსიკვდილოდ არ აპირებდნენ.

ბრძოლაში ჩაება ბატალიონიც. ჰიტლერელები ყველანაირად შეეცადნენ ბატალიონის მდინარისკენ მიმწყვდევას, მაგრამ ვერ შეძლეს. თავისი მებრძოლი ამხანაგების გმირობითა და თავგანწირვით აღფრთოვანებულმა კაპიტან ა. ი. შჩეგოლხინისა და უფროსი ლეიტენანტის ნ. ფ. სმირნოვის მსროლელი ასეულის მეომრებმა და უფროსი ლეიტენანტის სეროვის ოცეულის ნაღმტყორცნელებმა ბრძოლაში უსაზღვრო გმირობა გამოიჩინეს და მოწინააღმდეგეს მთელი გააფთრებით ეკვეთნენ. თუმცა თვითონაც საკმაოდ დაზარალდნენ, მაგრამ მტრის დაწოლა მაინც შეაჩერეს და მთლიან პოლკს მდინარეზე წარმატებით გადასვლის შესაძლებლობა შეუქმნეს.

თითქმის იმავდროულად გადმოლახეს მდინარე 1208-ე და 1199-ე მსროლელმა პოლკებმაც, დასძლიეს ჰიტლერელთა ქვეითისა და არტილერიის ძლიერი წინააღმდეგობა და ბუგის დასავლეთ ნაპირზე გადმოვიდნენ. 2 აგვისტოს, 18 საათისათვის, დივიზიამ შეასრულა მდინარე ბუგის გადალახვის ამოცანა და დაკავებულ პლაცდარმზე გამაგრდა. ღამით კი მდინარეზე დივიზიის არტილერიაც გადმოვიყვანეთ.

დასავლეთ ბუგზე გადმოვიდნენ ჩვენი მეზობლებიც — არმიის მარცხენა ფრთის სხვა შენაერთები. ასე რომ, დაკავებული პლაცდარმი ფრონტით საკმაოდ გაფართოვდა. ხანმოკლე, ღამეული შესვენების შემდეგ დაიწყო გააფთრებული ბრძოლები. მოწინააღმდეგე სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდა და თითქმის უწყვეტად გადმოდიოდა იერიშზე, მაგრამ ყოველთვის მედგარ თავდაცვას აწყდებოდა. ამასთანავე, მტრის კონტრიერიშების მოგერიებისას, ჩვენიც და მეზობელი შენაერთების ნაწილებიც თვითონვე გადადიოდნენ იერიშზე და ნელა-ნელა წინაც მიიწევდნენ.

354-ე დივიზიის პოლკები, ჯერ კიდევ ბობრუისკთან წარმოებულ ბრძოლებში იმდენად დაზარალდნენ, რომ ფაქტიურად ორ-ორ ბატალიონამდე შემცირდნენ. ახლა კი ეუნჩიცთან, ხემიატიჩთან და ავგუსტინკასთან ბრძოლებში, დასავლეთ ბუგის გადალახვისა და პლაცდარმის დაცვაში, პირადი შემადგენლობის რაოდენობის მხრივ არსებითად თითო ბატალიონიღა შემორჩათ. მართალია, ბატალიონები ძველებურადვე არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანში, როგორც მაშინ ამბობდნენ „აქტიური ხიშტი" მსროლელ ასეულზე მეტი აღარ იქნებოდა. თვითონ დივიზიაც მხოლოდ სახელითღა იწოდებოდა დივიზიად, რიცხობრივად კი პოლკსაც ველარ აღემატებოდა.

რასაკვირველია, ასეთი შენაერთით ბრძოლაა ძნელი, თორემ მისი მართვა ძალიან ადვილია.

უმაღლესი სარდლობისთვის თვითეული დივიზია ძველებურად დივიზიადვე რჩებოდა და ამოცანაც ამისდაკვალად ეძლეოდა, თითქმის ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ ჩვენი მეზობლებიც. უწყვეტი ბრძოლების მეორე თვე მოდიოდა და შევსება კი 420 კაცის გარდა, ჩვენს დივიზიას არ მიუღია.

მოწინააღმდეგემ შესაძლოა კიდეც იცოდა ჩვენი პოლკების ხალხნაკლებობა—გამუდმებულ კონტრშეტაკებებში ამის დაფარვა ძნელია — და სწორედ ამიტომაც გვიტევდა ასე გააფთრებით, მაგრამ საბჭოთა ჯარების ბუგის გაღმა გადარეკვა და დაკავებული პლაცდარმის ლიკვიდაცია მან უკვე ველარ შესძლო. ამისათვის საჭირო იყო უფრო მეტი ძალები, მაგრამ სად ეშოვათ ისინი, როცა საბჭოთა ჯარები ყველა ფრონტზე გაშმაგებით უტევდნენ.

დაახლოებით ათი აგვისტოსათვის ბრძოლის ცეცხლი თანდათანობით შენელდა. ჰიტლერელებს ქანცი გაუწყდათ და უკან დახევა იწყეს. რა თქმა უნდა, არა უცბად და არა ყველგან: წინასწარ მომზადებულ დასაყრდენ პუნქტებზე ჯერ კიდევ მედგარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ, მაგრამ ყინული, როგორც იტყვიან, დაიძრა, და ჩვენ უკვე პოლონეთის მიწა-წყალზე მივაბიჯებდით.

...რამდენიმე დღის განმავლობაში დივიზია ისე მიიწევდა წინ, რომ მტრის წინააღმდეგობას არსად შეხვედრია. იყო, რა თქმა უნდა, უმნიშვნელო შეტაკებები ჯგუფებთან, ხანდახან დღეში რამდენჯერმეც, მაგრამ ასეთი შეტაკებები მთლიანად ადგილობრივი მნიშვნელობისა იყო და როგორც წესი, ძალიან ჩქარა მთავრდებოდა. ჰიტლერელებმა წინააღმდეგობა მხოლოდ მაშინ გააძლიერეს, როცა 65-ე არმიის ჯარები მდინარე ნარევს მიუახლოვდნენ.

დივიზიის ნაწილებს განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები მოუხდათ რკინიგზის სადგურ ტრემბლინკას მისადგომებთან. თავისთავად სადგური დიდი მნიშვნელობისა არ ჩანდა, ოპერატიულ რუკაზე აღნიშნული იყო მხოლოდ როგორც გზაასაქცევი, ამიტომაც ჩვენ თავდაპირველად მის განთავისუფლებას, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი, მაიორ ა. ლ. იუშჩენკოს ბატალიონის ძალებით ვვარაუდობდით. მაგრამ 16 აგვისტოს დაწყებული ბრძოლის პირველსავე წუთებში დავრწმუნდით, რომ სადგურს მოწინააღმდეგე საკმაოდ მსხვილი გარნიზონით იცავდა. და, რაც მთავარია, ტრემბლინკის ყველა მისადგომი ძლიერად იყო გამაგრებული. ღრმა ტრანშეები და სანგრები, ტყვიამფრქვევების ხშირი ქსელი, რკინაბეტონის დოტები და საკმაოდ ძლიერი საარტილერიო მხარდაჭერა — ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ სადგური თავისებურ ციხე-სიმაგრედ იყო გადაქცეული.

ბატალიონთან ერთად, საჭირო გახდა, ბრძოლაში პოდპოლკოვნიკ მ. ნ. პავლოვის მთელი 1208-ე მსროლელი პოლკისა და სხვა ქვედანაყოფების ჩაბმაც. მიუხედავად ამისა, ჩვენი გააფთრებული იერიშები მიზანს ვერ აღწევდა. ტყვიამფრქვევისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით პოლკი საგრძნობ ზარალს აყენებდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ მიწაში ღრმად ჩასანგრებული და რკინაბეტონის სქელი კედლით დაფარული ფაშისტი დამპყრობლების შევიწროვება მთელი დღის განმავლობაში მაინც ვერ შეძლო. მათს თავდაცვას უმეტესწილად ტაქტიკური თვალსაზრისით უნაკლოდ ხელსაყრელი პოზიციაც განაპირობებდა.

როცა სადგური ტრემბლინკა ავიღეთ, მხოლოდ მაშინ გახდა ცნობილი, თუ რატომ იცავდნენ ჰიტლერელები მას ასე გააფთრებით. საქმე ის იყო, რომ სადგურის ახლოს ფაშისტთა სიკვდილის ბანაკი მდებარეობდა და სანამ სადგურის მისადგომებთან ბრძოლა მიმდინარეობდა, მისი დამცველები გამალებით მუშაობდნენ თავიანთი მხეცური დანაშაულის კვალის წასაშლელად: ბოლომდე ცდილობდნენ ათასობით გვამით სავსე უზარმაზარი საფლავი-თხრილების შენიღბვას, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ შეძლეს — ვერ მოასწრეს. ჩვენი სახელოვანი „კატუშების“ ცეცხლმა აიძულა ცოცხლად გადარჩენილი ესესელები გაქცეულიყვნენ დასავლეთისაკენ — მდინარე ნარევზე თავიანთი ჯარების განლაგებისაკენ.

და აი ჩვენს თვალწინ არის კიდევ ერთი ფაშისტური სიკვდილის ფაბრიკა, ხოლო დივიზიის შეტევითს გზაზე ეს უკვე მესამე იყო. ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ პირველ ორში ფაშისტი ჯალათები ძირითადად საბჭოთა სამხედრო ტყვეებს ხვრეტდნენ და აწამებდნენ, ეს მესამე კი, უპირატესად, შექმნილი იყო მოქალაქეთა — რუსების, პოლონელებისა და ბელორუსების საწამებლად.

დივიზიის გაზეთი „სოვეტსკი პატრიოტი“ ფაქტებსა და ადგილობრივ მცხოვრებთა ნაამბობზე დაყრდნობით 1944 წლის 17 აგვისტოს ნომერში წერდა, რომ საკონცენტრაციო ბანაკ „ტრემბლინკაში“ ფაშისტი ჯალათები 18 თვის მანძილზე (ბანაკის დაარსების დღიდან) ღუმელებსა და კრემატორიუმებში ყოველდღე ხოცავდნენ ასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანსო. „რკინიგზის ბაქნიდან ბანაკამდე გაყვანილი იყო ღრმა თხრილი, რომლითაც ყოველდღე გადაჰყავდათ ადამიანები ეშელონებით“, — გვიამბობდნენ ტრემბლინკის ახლომახლო მცხოვრები ადამიანები.

„უზარმაზარი რაოდენობის დაპატიმრებულთა და ღუმელ-კრემატორიუმებში დამწვართა გარდა, ბანაკის ტერიტორიაზე აღმოჩნდა კიდევ 38 ორმო-საფლავი, რომლებშიც დამარხული იყო დაახლოებით ექვსი ათასი ადამიანის გვამი“, — წერდა გაზეთი „სოვეტსკი პატრიოტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი შემადგენლობით დივიზია კვლავ მცირერიცხოვანი იყო. ხოლო არმიის კორპუსებისა და დივიზიების მეთაურთა თათბირზე, რომელიც აგვისტოს მეორე ნახევარში შედგა, გენერალ-პოლკოვნიკმა პ. ი. ბატოვმა, ფრონტის სარდლის გენერალ კ. კ. როკოსოვსკის მითითების თანახმად, შეტევის გაგრძელება მოითხოვა. თორემ დრო, მისი სიტყვით, ჩვენ სიკეთეს არ გვიქადდა — შეტევის შეჩერება ან დაყოვნება, მტერს ძალთა მოკრებისა და გამაგრების საშუალებას მისცემდა და მდინარე ნარევის შეუფერხებელი გადალახვა უფრო გაგვიძნელდებოდა.

ნათქვამს, როგორც მახსოვს, პავლე ივანეს ძემ დაუმატა:

— მარშალმა ჟუკოვმა გადმოგვცა სტალინის კატეგორიული მოთხოვნა — სექტემბრის პირველ რიცხვებში საბჭოთა ჯარები ნარევის გაღმა უნდა იყვნენო.

დაზვერვის მონაცემებით და პაეროფოტოგადაღებებით ცნობილი იყო, რომ მდინარის დასავლეთ ნაპირზე მოწინააღმდეგემ წინასწარვე მოამზადა ძლიერი თავდაცვითი სიმაგრე; ხოლო ჰიტლერელთა უტვინო მეფსალმუნემ მუსოლინმა რადიოთი ერთ-ერთ თავის გამოსვლაში მდინარე ნარევი მოიხსენია არა უბრალოდ, როგორც სამდინარო ზღუდე, არამედ „ნარევის ღერძად", სადაც ფაშისტთა პროპაგანდისტის დაჟინებული მუქარით „წითელი არმია შეჩერებული და განადგურებული იქნებოდა".

ჩვენი სარდლობისათვის კიდევ ერთი არა ნაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებაც გახდა ცნობილი: მოწინააღმდეგეს მდინარის გაღმა თავდაცვით სიმაგრეში ბევრი ჯარი არ ჰყავდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თავდაცვას იქ დაიკავებდნენ უკან დახეული დივიზიები. ამ შემთხვევაში საბჭოთა ჯარებს და კერძოდ 65-ე არმიას არ უნდა დაეშვათ მოწინააღმდეგის ორგანიზებული უკან დახევა მდინარე ნარევისაკენ, უნდა გაენადგურებინათ ფაშისტთა დივიზიები მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე, გადაელახათ მდინარე და დაუფლებოდნენ მის დასავლეთ ნაპირზე განლაგებულ მტრის თავდაცვით ნაგებობებს.

შეტევა განახლდა 27 აგვისტოს დილას. ჰიტლერელები რომ არ გაქცეულიყვნენ და ხელიდან არ დაგვსხლტომოდნენ, სწრაფად და შეუფერხებლად უნდა გვემოქმედა. ორი მსროლელი ბატალიონი დესანტურად დავსხით პოლკოვნიკ სოკოლოვის სატანკო თვითმავალი პოლკის ჯავშნიან მანქანებზე, რომელიც ჩვენს კორპუსთან ერთად მოქმედებდა. მსროლელებმა, ტანკებთან ერთად, ახალი ბრძოლები წამოიწყეს, ჯერ პატარა მდინარე ტუზელკაზე, მერე დასახლებული პუნქტის ტუზლინის დაუფლებისათვის, ბუდნი ნოვესა და ბუდნი სტარეს გზაჯვარედინისა და მოწინააღმდეგის თავდაცვის გამაგრებული პუნქტის პშეიმის დაუფლებისათვის... დივიზიის დანარჩენი ნაწილები და ქვედანაყოფებიც ზოგი ავტომანქანებით, ზოგიც ქვეითი ლაშქრობით სწრაფად მიიწევდნენ წინ და შეტევის პირველსავე დღეს 30 კილომეტრით დაწინაურდნენ.

ახევე სწრაფად მიიწევდნენ წინ მოწინავე რაზმები დონის სატანკო კორპუსის მე-15 და მე-16 ბრიგადებისა. მიზნისათვის რომ უფრო სწრაფად მიეღწიათ, ტანკისტებს მსროლელები და მეავტომატეებიც ჯავშნით გადაჰყავდათ და მოწინააღმდეგის ბევრ საფარსა და დასაყრდენ პუნქტს გვერდს უვლიდნენ. თითქმის ახევე იქცეოდნენ მსროლელი ნაწილებიც.

## გადასვლა მდინარე ნარევზე

მდინარეზე გადასვლისათვის მის მარცხენა ნაპირზე გააფთრებული ბრძოლა დაიწყო. მასში ჩვენი დივიზიის მსროლელებისა და მეავტომატეების სულ ახალი ქვედანაყოფები ჩაებნენ.

ნარევისაკენ გაჭრილი ქვეითი, სატანკო და სატანკო-თვითმავალი ქვედანაყოფების წინაშე იდგა ერთი ამოცანა — რაც შეიძლება ჩქარა გაეწმინდათ ნარევის აღმოსავლეთ ნაპირი აქ თავმოყრილი ჰიტლერელთა მრავალრიცხოვანი ჯარებისაგან, ესარგებლათ ხიდით და გასვლისთანავე დაეკავებინათ დასავლეთ ნაპირის ხიდისწინა სიმაგრეები.

მაგრამ აქ მოხდა ის, რაც საერთოდ მოსალოდნელი იყო და რაზეც ჩვენ ყველანი ვშიშობდით. ჩვენმა ქვედანაყოფებმა ის-ის იყო, მიაღწიეს ხიდის აღმოსავლეთ კიდეს, რომლის სიგრძე სამას მეტრს უდრიდა, რომ ორჯერ ზედიზედ ძლიერი აფეთქება გაისმა: ჰიტლერელებმა წინასწარვე ჩაწყობილი ნაღმებით ხიდი ორივე მხრიდან ააფეთქეს, თანაც ისე, რომ მასზე ბოლომდე გადასვლა საკუთარ ჯარებსაც აღარ აცალეს, რითაც ერთხელ კიდევ საქვეყნოდ დაამტკიცეს თავიანთი ბარბაროსობა.

უვნებლად გადარჩენილ ხიდის შუა ნაწილზე უაზროდ აწყდებოდნენ აქეთ-იქით ჰიტლერელთა ჯარისკაცები და ოფიცრები, შიშისაგან თავზარდაცემული, ბევრი ათი მეტრის სიმაღლიდან პირდაპირ მდინარეში ხტებოდა, მაგრამ გადაცურვას ძალიან ცოტა თუ ახერხებდა.

ჩვენმა არტილერისტებმა, ტანკისტებმა და მეტყვიამფრქვევეებმა სწრაფად გაანადგურეს ფაშისტთა ჯარების ნარჩენები მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე.

ხიდის ხელში ჩაგდება არ მოხერხდა. რა ვქნათ ახლა? როგორ მოვიქცეთ?

ნარევის დასავლეთ ნაპირიდან ჰიტლერელ მეავტომატეთა ცეცხლში რომ არ მოვხვედრილიყავით, მე და მაიორი ვ. დ. ანტიპენკო, მოკლე გადარბენებით გავემართეთ ფაშისტებისავე გათხრილ, მდინარისპირა ტრანშეისაკენ, რომელიც ახლა პოდპოლკოვნიკ მ. ნ. პავლოვს ეკავა. ამ დროს კი, ჩვენს მარჯვნივ, კორნეევკის ჩრდილოეთით,

სატანკო ბრიგადის მოტოქვეითი ნაწილები უკვე მდინარის დასავლეთ ნაპირზე პლაცდარმის გაფართოებისათვის იბრძოდნენ.

მიხეილ ნიკიტას ძე პავლოვი და მისი ბატალიონის მეთაური მაიორი მაგომეტ უსმანის ძე გამზატოვი მორის მოკლე გადანაჭერზე ისხდნენ და ერთმანეთში რაღაცაზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ავარიელი გამზატოვი, სამხრეთული სიფიცხით იქნევდა ხელებს და სიტყვებს ყვირილით წარმოთქვამდა.

ჩვენი გამოჩენისთანავე ორივენი გაჩუმდნენ.

— რაზე დაობთ, მიხაილ ნიკიტიჩ? ან რის გაკეთებას აპირებთ?

— ჰო, აი მდინარე... ხიდი... წყნარად და არც თუ გარკვევით წაილაპარაკა 1208-ე პოლკის მეთაურმა.

პოდპოლკოვნიკი მ. ნ. პავლოვი 1208-ე მსროლელი პოლკის მეთაურად აგვისტოს შუა რიცხვებში დაინიშნა. იგი ჩემზე სამი-ოთხი წლით უფროსი იყო. წითელი არმიის რიგებში სამსახური დაწყებული ჰქონდა ჯერ კიდევ ოციანი წლების შუა ხანებში რიგით მოხალისედ. ბევრს მეცადინეობდა და არმიის პოლიტმუშაობას დიდი გამოცდილებაც შეიძინა. მსახურობდა საპასუხისმგებლო ადგილებზე, მიაღწია კომისრობამდე და პოლკის კომისრის მოადგილეობამდე, ხოლო ორმოცდაოთხ წელში, შესაბამისი გადამზადების გავლის შემდეგ დაინიშნა ჩვენს დივიზიაში და პოლკის მეთაურობის პირველსავე დღეებში თავი გამოიჩინა როგორც გაბედულმა, მცოდნე და უნარიანმა მეთაურმა.

— ნარევს გადავლახავთ ხელდახელო საშუალებებით და თანაც დაუყოვნებლივ, სანამ მოწინააღმდეგე გონს მოსვლას მოასწრებს, — ვბრძანე მე.

— დიახ, რა თქმა უნდა, გადავლახავთ. — თავი დამიქნია პოდპოლკოვნიკმა პავლოვმა.

მაიორ გამზატოვს შავი თვალები სიხარულით აენთო. ჩანდა, იგი სწორედ ასეთ ბრძანებას ელოდა. იმავ წამს შებრუნდა და თავისი ბატალიონისაკენ გაიქცა. მის ხელქვეითებს ხიდის აფეთქებისთანავე დაეწყოთ მდინარეზე გადასასვლელი ხელდახელო საშუალებების მზადება. მდინარესთან მოათრიეს მეთევზეთა ნავები და მესანგრეთა დახმარებით დაშლილი კასრებისა და ნაპირზე მიტოვებული გერმანელთა მანქანების ძარების ფიცრებისაგან რამდენიმე მცირე ზომის ტივიც შეაკოწიწეს. ახალგაზრდა კომუნისტის ი. ვ. მასლაკოვის თაოსნობით მოსახური ლაბადები ხმელი ბალახით გატენეს და მდინარეზე გადასასვლელი ინდივიდუალური ტრანსპორტი მოიმზადეს.

1208-ე მსროლელი პოლკიდან მდინარე ნარევში პირველი შევიდა მაიორ გამზატოვის ბატალიონის მოხალისე კომუნისტებისა და კომკავშირელების „თაოსანთა ჯგუფი“. ჯგუფს სათავეში ედგნენ პოლკის პარტორგი კაპიტანი კლიმოვცევი და მესამე ასეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი სოკოლოვი. ხოლო ჩვენს ქვემოთ, რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით, ერთსა და იმავე დროს, მდინარეზე ხელდახელო საშუალებებით გადასვლა იწყეს 119-ე მსროლელი პოლკის მებრძოლთა და მეთაურთა ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ედგა ბატალიონის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში კაპიტანი სარქისიანი. ამ ჯგუფს მალე სხვებიც მიჰყვნენ, მათ შორის მეტყვიამფრქვევეები და ნაღმტყორცნელებიც, ხოლო კაპიტანმა გრიაზნოვმა ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნის „ორმოცდახუთიანის“ გატანაც კი მოახერხა.

დივიზიის მხარდამჭერი თვითმავლები ჯერ მხოლოდ ემზადებოდნენ მდინარეზე გადასასვლელად. მათი მეორე ნაპირზე გაყვანა დაუხმარებლად შეუძლებელი იყო, თუმცა ტანკისტები გულმოდგინედ ზომავდნენ ფონებს, მაგრამ ჯერჯერობით მდინარეზე დროული გადასვლის არავითარი პერსპექტივა არ ჩანდა. იმ დროისათვის ჩვენმა სერიულმა „ოცდათოთხმეტებმა“ ცურვა კიდევ არ იცოდნენ. საკმაოდ ღრმა და ორასი მეტრის სიგანის მდინარეში მათს შეყვანას დიდი გამბედაობა და სიმამაცე უნდოდა. მე ვიტყოდი, უფრო მეტიც, ვიდრე ბრძოლაში.

მოწინააღმდეგეს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ზურგიდან თავისი ჯარების მდინარის დასავლეთ ნაპირზე გადმოყვანა, ხოლო უკან დახეულ ნაწილებს პოზიციები ჯერ არ ჰქონდათ დაკავებული. ამიტომ ჩვენ ძალიან უნდა გვეჩქარა, სანამ ჰიტლერელები თავს მოუყრიდნენ რეზერვებს, თორემ მერე ნარევის დასავლეთ ნაპირზე ბრძოლა და პლაცდარმის დაკავება ძალზე გაგვიჭირდებოდა.

ამასობაში კი მდინარის გაღმა სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. იგი წამოიწყეს გაღმა ნაპირზე პირველად გასულმა კაპიტან ტ. დ. კლიმოვცევის ჯგუფმა 1203-ე პოლკიდან და კაპიტან მ. ს. სარქისიანის ჯგუფმა 1199-ე პოლკიდან. ჰიტლერელებმა რამდენჯერმე შემოუტიეს ორივე ჯგუფს და ყველანაირად შეეცადნენ მათ მდინარეშივე გადაყრას.

როგორ გადამეყვანა ჩემი დივიზიის ნაწილები რაც შეიძლება ჩქარა, — ამ ფიქრით ისე ვიყავი გართული, რომ უცნობი სამხედრო პირის მოახლოებაც კი ველარ შევამჩნიე:

— პოლკოვნიკი მითაიშვილი, — წარმომიდგა იგი, — 44-ე მსროლელი დივიზიის მეთაურის მოადგილე.

პოლკოვნიკ ილია მითაიშვილის სახელი ადრეც მსმენოდა, როგორც ძალიან განათლებული და გაბედული მეთაურისა, ვიცოდი აგრეთვე, რომ იგი 44-ე დივიზიის მეთაურის ბორისოვის მოადგილე იყო, მაგრამ პირადად არასოდეს შევხვედროდი. უზომოდ გამიხარდა თანამემამულის გაცნობა, არანაკლებ გამიხარდა ისიც, რომ იგი სწორედ ახლა, ამ საჭირო ჟამს ჩემს გვერ-

დით ყოფილა: „მაშასადამე, მისი დივიზიაც სადღაც ახლოს იქნება!“ — გავიფიქრე მე და არც შევმცდარვარ.

— ორმოცდამეოთხე პოლკი ნარევისაკენ მოემართება დასახლებული პუნქტის კარნოვეც პირველის ჩრდილო მხრიდან, — მითხრა მითაიშვილმა, — ბორისოვმა გთხოვათ, შეატყობინოთ, სად იმყოფება თქვენი დივიზია და მტერი რაგვარ წინააღმდეგობას გიწევთ.

მითაიშვილს საქმის ვითარება გავაცანი და გამომშვიდობებისას ვთხოვე, გადაეცა ბორისოვისათვის, რომ მას მაქსიმალურად დაეჩქარებინა თავისი დივიზიის მსვლელობა ნარევისაკენ, თორემ დაზვერვის ცნობებით, მოწინააღმდეგეს თავისი ძალები უკვე გადმოჰყავდა ზურგიდან და ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ სულ რაღაც ერთ საათში ან საათნახევარში წყალგაღმა ჩვენს მცირე ზომის პლაცდარმს დასხმოდა თავს და გაენადგურებინა.

მითაიშვილი შემპირდა, ყველაფერს ვიღონებთ და დივიზიის მოსვლას დავაჩქარებთო, გამომემშვიდობა და წავიდა. თუმცა ამის შემდეგ მე და მითაიშვილი ფრონტზე ერთიმეორეს აღარ შევხვედრივართ, მაგრამ დივიზიის მეთაურის ბორისოვისაგანაც და ორმოცდამეოთხე დივიზიის სხვა ამხანაგებისაგანაც ხშირად მსმენია მისი ქება, როგორც უშიშარი და ენერგიული მეთაურისა. „სადაც გაჭირდება, ილიას გავგზავნი და წარმატებაც უზრუნველყოფილია“, — მეუბნებოდა ბორისოვი.

ილია მითაიშვილი და მე ერთმანეთს მხოლოდ ომის შემდეგლა შევხვდით, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შემადგენლობაში, როცა მე გვარდიულ დივიზიას ვმეთაურობდი, ის კი — პოლკს.

ილია მითაიშვილმა თადარიგში გასვლამდე იმსახურა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში და მამაცი მეომრისა და პატრიოტის საპატიო სახელიც დაიმკვიდრა.

...ნარევის დასავლეთ ნაპირზე ძალები ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა გვყავდა. ამიტომ ადვილი შესაძლებელი იყო, რომ პირველ გადასვლას მარცხი მოჰყოლოდა. მართალია, გაღმა გასულ მამაცთა ჯგუფებს აღმოსავლეთ ნაპირიდან პოლკისა და დივიზიის არტილერია აქტიურად უჭერდა მხარს, მაგრამ ეს საქმეს მთლიანად ვერ შველოდა. მდინარის გაღმა გაგზავნილმა საარტილერიო მზვერავებმა აღმოჩინეს მოწინააღმდეგე და მათზე ჩვენი არტილერიის ცეცხლდაშენაც მთელი სიზუსტით განსაზღვრეს. როგორც კი მზვერავები მტრის ტანკებს, ჯარის თავმოყრასა და ტყვიამფრქვევის წერტებს აღმოაჩენდნენ, არტილერისტები ან იმავ წამს დააზიანებდნენ მათ, ანდა, აიძულებდნენ შეეცვალათ მიმართულება და შეეწყვიტათ კონტრიერიშები. რა თქმა უნდა, ეს აიხსნებოდა უმეტესწილად არა მარტო ჩვენი მეომრების მარჯვე მოქმედებით, არამედ თავდაცვისათვის მტრის ჯარების არა სრულყოფილი მომზადებითაც. ჯერ კიდევ მდინარის მარჯვენა ნაპირზევე, რომლის დაკავება და ორგანიზება მათ სათანადოდ ვერ მოასწრეს.

წყალგაღმა გასულ კლიმოვცევისა და სარქისიანის ჯგუფებს თითქმის კვალდაკვალ მიჰყვნენ 1208-ე მსროლელი პოლკის მთავარი ძალები, რომელთა შემადგენლობაში მაიორ გამზატოვის ბატალიონიც შედიოდა.

მეომრები განაგრძობდნენ მდინარე ნარევზე გადასვლას, ვისაც რით შეეძლო. გადადიოდნენ ერთი მიზნით და სურვილით, რომ ჩქარა გასულიყვნენ მდინარის დასავლეთ ნაპირზე და პლაცდარმისათვის ბრძოლაში თავისი კუთვნილი წილი დაედოთ.

როცა 1208-ე პოლკმა გატეხა მტრის წინააღმდეგობა და დაახლოებით კილომეტრამდე წაიწია წინ, მე მოვახსენე კორპუსის მეთაურს გენერალ ალექსეევს ნარევის გაღმა მცირე პლაცდარმის დაკავების შესახებ და თან ვთხოვე, რომ დამხმარებოდა დივიზიის ზურგში მოქმედი მოწინააღმდეგის დიდი ჯგუფების განადგურებაში, რადგან მათთან ბრძოლა საშუალებას არ გვაძლევდა, დივიზიის ზურგის ნაწილებიც დროულად წაგვეწია ნარევისაკენ.

ალექსეევს მდინარის გაღმა პლაცდარმის დაკავება გაუხარდა, მაგრამ მაინც ცუდად დაფარული ეჭვით შემეკითხა:

— პლაცდარმი?... ასე მალე?... თქვენ სასურველი სინამდვილედ ხომ არ მიიჩნიეთ?

მე ზუსტად დავუსახელე კოდირებულ რუკაზე დივიზიის ქვედანაყოფებისა და ნაწილობრივ 1208-ე პოლკის ადგილსამყოფელის კოორდინატები.

— რაკი ასეა, მოგილოცავთ, პლაცდარმი არ დატოვოთ! გამაგრდი! მეც მალე თქვენთან მოვალ.

ყველა მოუთმენლად ველოდით, როდის დაიწყებდნენ მდინარეზე გადასვლას დონის სატანკო კორპუსის ტანკები, რომელთა მოტოქვეითი ნაწილები უკვე პლაცდარმზე იბრძოდნენ. ვიცოდით ისიც, რომ აჩქარებით ისინი ვერაფერს გახდებოდნენ. სანამ მდინარეზე გადასვლას დაიწყებდნენ, საჭირო იყო მათი ქვედა ნაწილის ყველა ხვრელის დარჩილვა, რომ წყალს შიგნით ვერ შეეღწია. ტანკისტები ამისათვის ბრეზენტს, ძენძსა და ჩვრებს ხმარობდნენ, მაგრამ სრულ გარანტიას, რომ ტანკებს მოტორები არ ჩაუქრებოდათ და წყალში არ ჩარჩებოდნენ, ვერც ეს საშუალება იძლეოდა. მდინარის ფსკერი მყარი იყო, ქვიშიანი და თუ მოტორები არ ჩაუქრებოდათ, მაღალი სიჩქარით გადასვლა უდავოდ მოხერხდებოდა.

ბრძოლა ნარევის მარჯვენა ნაპირზე სულ უფრო გაფთრებულ ხასიათს იღებდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მოწინააღმდეგემ ახალ ძალებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუყარა თავი პლაცდარმის გასანადგურებლად, რომელსაც ჭერჭერობით მხოლოდ ისევ ჩვენი ქვეითი ნაწილები იცავდნენ. ახლა საჭირო იყო, სასწრაფოდ გადაგვეყვანა არტილერია ნარევზე, თორემ მსროლელ ნაწილებს მტრის მოგერიება უკვე ზედმეტად გაუჭირდებოდათ. უნდა გამოგვენახა რაღაც საშუალება და გადაგვეწყვიტა რაც შეიძლება ჩქარა. შემდგომი დაყოვნება ყოვლად შეუძლებელი იყო.

გადასასვლელი ადგილის ძებნას დრო უნდოდა. ჩვენ კი საამისოდ აღარ გვეცალა. სასწრაფოდ რაღაც უნდა მოგვეფიქრებინა. ახლომახლო ფონი რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო, მაგრამ თითქოს ჯიბრზე არც ის იყო. მთელი ჩვენი არტილერია ცხენების საწევარზე იყო მოთავსებული. შევგვეშვა ისინი წყალში?.. მაგრამ ვაითუ, ვერ გასულიყვნენ? სხვა გზა არ იყო, ისევ ეს უნდა გვეცადა.

არტილერიის სარდალი პოლკოვნიკი ი. კ. გრობოვსკი ჩემს წინადადებას დაუფარავი ეჭვით შეხვდა.

— ქვემეხები ცხენებით წყალში?! — გაოცდა ივანე კონსტანტინეს ძე და ჩიბუხი ააქშუტუნა, რომელსაც იგი არასოდეს არ იცილებდა, — ეს ხომ ნაღდი დაღუპვაა ცხენებისაც და მატერიალური ნაწილებისაც. — და თავი ჯიუტად გაიქნია, — არა!

— მაინც ვცადოთ, ივან კონსტანტინოვიჩ, დაყოვნება უფრო სახიფათოა.

921-ე საარტილერიო პოლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი ი. მ. იაკოვლევი უფრო გაბედული აღმოჩნდა.

— ჰოდა, ვცადოთ, ამხანაგო დივიზიის მეთაურო, ცხენები ღონიერი გვყავს, — უმალვე დამთანხმდა იგი.

და აი, ახალგაზრდა ქერა სერჟანტის მეთაურობით, პირველი ქვემეხი ჩაეშვა მდინარეში. ბიჭს ურჩი, მოცისფრო თვალები აქვს, იგი პირველი ჯდება ცხენზე, შემდეგ სხვებიც სხდებიან.

— წავედით! — ყვირის ქერა სერჟანტი და რამდენი რამ ისმის ამ ერთ სიტყვაში! მასში სიხარულიც არის, რომ მას, სერჟანტს მიანდეს პირველი ზარბაზნის გადატანა მდინარეზე, ბუნებრივი მღელვარებაც და გაჭირვებით დაფარული ხიფათის შიშიც. ვთქვათ და, ცხენებმა ვერ გასწიეს და შუა მდინარეში გაჩერდნენ. მაშინ რაღა ქნას?

ქვემეხი ნელა ეშვება მდინარეში. წყალი ჯერ ბორბლებს ფარავს, მერე ლულას. ცხენები დაძაბულად და ფრუტუნით მიიწევენ წინ, მორჩილად მიჰყვებიან მებრძოლთა ხელებს. ამ ხელებმა ატარეს ისინი ომის გრძელ, ხიფათიან გზაზე და ისინიც ენდობიან მათ...

სიცოცხლეში არასოდეს განმიცდია ასეთი ხანგრძლივი და მღელვარე მოლოდინით აღსავსე წუთები...

ცხენები მიცურავდნენ.

საათს დავხედე — სამი წუთი გავიდა. ცხენები უკვე შუა მდინარეში არიან. კიდევ წუთი... კიდევ... ნაპირი უკვე ახლოსაა, — გავიფიქრე შვებით... შესახვედრადაც მოდიან... აგე პოდპოლკოვნიკი პავლოვი... იგი მთელი ტანით იხრება წინ. უკვე ხელსაც უწვდის, შველის ცხენებს, რომ წყლიდან ჩქარა გავიდნენ.

უცბად ძლიერი ფრუტუნი მომესმა და ცხენების სველი გავებიც დავინახე.

გაცურეს!

აგე, უკვე ზარბაზანიც ნაპირზეა! მის გვერდით ქერა სერჟანტი დგას და პილოტურას მიქნევს.

მე უკვე საათზე ვიყურები. სულ რვა წუთი გავიდა. მაშასადამე, სულ რაღაც საათნახევარია საჭირო, რომ მთელი არტილერია წყალგაღმა გავიყვანოთ. და ეს ძალიან კარგია.

მდინარეზე არტილერიის გადაყვანამ ისე გამიტაცა, რომ ვერც კი შევამჩნიე, როგორ გაჩერდა „ვილისი" ტყის პირას და ჩემს სახელდახელო სათვალთვალო პუნქტზე კორპუსის მეთაური გენერალი ალექსეევი მოვიდა. გენერალს ხელში წითელი ვარდების ლამაზი თაიგული ეჭირა...

— ეს შენ, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ, გენერალ პანოვისაგან, — მითხრა დიმიტრი თევდორეს ძემ და თაიგული გადმომცა. გაოცება რომ შემატყო (ჯერ ჩემთვის ყვავილები არავის მოურთმევია), სიცილით დაუმატა, — ნიშნად მისი თაყვანისცემისა ქვეითისადმი; თქვენ შესძელით მტრის ტანკების გარეკვა, გენერალმა მთხოვა სწორედ ასე გადმომეცა. საჩუქრად მან კიდევ უნგრული ულაყიც გამოგიგზავნა, მშვენიერი რამეა! მაგრამ მე დამენანა მისი წამოყვანა ამ ტყვიების თქეშში. აი გადავლახავთ ნარევს და ლაღად იჭროლებ იმით. ახლა კი ვითარება მომახსენეთ, — გადავიდა დიმიტრი თევდორეს ძე ოფიციალურ კილოზე.

მოხსენებას რომ მოვრჩი, კორპუსის მეთაურს ვკითხე, ზურგში ხომ ჰიტლერელები დგანან და როგორ გაბედეთ ან როგორ მოახერხეთ აქეთ გამოსვლა-მეთქი?

— საჭირო იყო და აი გამოვედი, — როგორც ყოველთვის ახლაც უბრალოდ მიპასუხა გენერალმა ალექსეევმა. — ჯერ პანოვამდე მოვედი, იქიდან კი — შენთან. და ერთი რამეც მინდა გახარო: კორპუსის ტანკისტები გამალებით ემზადებიან, სულ მალე გადმოლახავენ მდინარეს და მაშინ ბრძოლა გაგვიადვილდება.

ჩვენი საუბარი შეწყვიტა რადისტმა, — არმიის სარდალმა აპარატთან გამომიძახა.

— მომახსენეთ, სად იმყოფებით? — მომთხოვა გენერალმა ბატოვმა.

მოვახსენე ჩემი კოორდინატები კოდირებული რუკის მიხედვით. ვუთხარი, რომ ვეწევი ბრძოლას „ცისფერისათვის", ჩომ 1199-ე მსროლელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლკი, რომელმაც ამ დროისათვის უკვე მოასწრო ნარევზე გადასვლა, სეროცკ-პულტუსკის გზატკეცილის ზღუდეზე გავიდა. 1208-ე პოლკი ანადგურებს მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს პოგოჟელეცის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო 1201-ე პოლკი ეწევა ბრძოლას ჰიტლერელთა დაქუცმაცებულ ჯგუფებთან მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე, რის გამოც მდინარეზე გადასვლა ცოტა დაუგვიანდა. ბოლოს დავძინე, რომ პოლკისა და დივიზიონის მთელი არტილერია უკვე მთლიანად მდინარის დასავლეთ ნაპირზე გადავიყვანეთ-მეთქი.

პავლე ივანეს-ძემ აშკარა გაკვირვებით მკითხა, უხიდოდ როგორ მოახერხეთ არტილერიის გადაყვანა ნარევზე და დროული ინიციატივისათვის შეგვაქო. მერე გაიგო, რომ დიმიტრი თევდორეს ძე იქ იმყოფებოდა და მისი აპარატთან მოყვანა მთხოვა.

მე გარკვევით მესმოდა არმიის სარდლის მხიარული ხმა რაციაში გენერალ ალექსეევთან საუბრისას. პავლე ივანეს ძემ 105-ე კორპუსის წარმატება მიულოცა. მერე აცნობა, რომ 44-ე გვარდიული მსროლელი დივიზია უკვე ნარევის მისადგომებთან იმყოფებოდა და მდინარის გადალახვაში განსაკუთრებით თავგამოჩენილი მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების მთავრობის ჯილდოებზე წარდგინება მოითხოვა. ბოლოს დასძინა, რომ მთელს პირად შემადგენლობას არმიის სამხედრო საბჭოს სახელით მადლობა გამოუცხადეთო.

ის იყო, რომ გენერლები საუბარს მორჩნენ, რომ რადისტმა კვლავ აპარატთან გამომიძახა. ამჯერად რეკავდა ვ. ა. ბორისოვი, 44-ე გვარდიულის მეთაური, რომელმაც შემატყობინა, რომ მისი დივიზია წარმატებით გადადიოდა ნარევზე. მაგრამ მოწინააღმდეგემ სიღრმიდან ძალების გადმოწევა და ძლიერი წინააღმდეგობის გაწევა დაიწყო.

ბორისოვთან საუბარი რომ მოვათავე, დიმიტრი თევდორეს ძე გამომემშვიდობა და წავიდა.

გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი და მდინარეში პოლკის უკანასკნელი ქვემეხებიც გავიდნენ. მე მეთევზეთა ნავისაკენ გავემართე, რითაც მდინარე უნდა გადამეცურა და დასავლეთ ნაპირზე გავსულიყავი, მაგრამ მეკავშირის ხმამ შემაჩერა, რომელსაც უწყვეტი კავშირი ჰქონდა მე-15 სატანკო ბრიგადასთან.

— ტანკები, ამხანაგო პოლკოვნიკო, ტანკები! — მიყვიროდა იგი გახარებული.

ახლა უკვე თვითონაც ვხედავდი, როგორ მიდიოდნენ ტანკები მდინარისაკენ, როგორ შეცურდნენ წყალში, წყალს ზევით მხოლოდ მათი ზარბაზნების ლულები მოჩანდა, შიგ წყალი რომ არ შესულიყო, ტანკისტებს ლულები სპეციალურად აეწიათ ზევით. სწორედ ამ ლულებით შეიძლებოდა მდინარის ფსკერზე ტანკების მოძრაობის განსაზღვრა. აგე, პირველი უკვე აფოფხდა მარჯვენა ნაპირზე, მას მიჰყვა მეორე... მესამე... გაისმა ძლიერი და მხიარული „ურა!" და ტექნიკის მხარდაჭერით გულმოცემული ქვეითი ჯარი კვლავ მტერს ეკვეთა.

დაზვერვის უფროსსა და არტილერიის სარდალთან ერთად მალე მეც გადავცურე მდინარე და ჩემი რადისტებიანად დასავლეთ ნაპირზე გადავედი.

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მალე პლაცდარმზე გადმოსხდნენ გენერალ ა. გ. ფროლენკოვის 193-ე მსროლელი დივიზიის მოწინავე რაზმები, ხოლო ცოტა მოგვიანებით — გენერალ პ. ა. ტერემოვის 108-ე მსროლელი დივიზიის პოლკები. პირველსავე დღის ბოლოს ნარევსგაღმა პლაცდარმი 8 კილომეტრის სიგანისა და 4 კილომეტრის სიღრმის უბნად გადაიქცა.

▣ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი ავალიანი

# „სიკეთესა და ბოროტებას შორის“...

გურამ კაპანაძის პროზაული კრებულის „წმინდა ვიტეს ცეკვის“ საფუძვლიანად გაცნობამ გააბათილა საკმაოდ გავრცელებული წინაზრახვა დებიუტანტი ავტორების მიმართ. გ. კაპანაძეს აქამდეც იცნობდა მკითხველი „მნათობსა“ თუ „ცისკარში“ გამოქვეყნებული მოთხრობებით, მაგრამ „წმინდა ვიტეს ცეკვა“ მაინც დებიუტია; დებიუტი, რომელიც ფორას არ საჭიროებს. ავტორის უდავო ნიჭიერების რწმენა გვაძლევს სრულ უფლებას უშელავათოდ, პირუთვნელად წარმოვაჩინოთ კრებულის ავ-კარგი.

დავით კლდიაშვილს ერთგან შენიშნული აქვს: „ჩამოყალიბებულ, ჩამოსხმულ მოთხრობას ვერ მოვუნახე პირველი სტრიქონი. ჩემთვის ეს პირველი სტრიქონი ყოველთვის ტონს მომცემი იყო; ამ პირველი სტრიქონიდან, ასე ვთქვათ, გასრიალდებოდა მოთხრობა. იგი ტონს აძლევდა მოთხრობას“.

მოთხრობის დაწყების სირთულე და საწყისი ფრაზების უდიდესი მნიშვნელობა არაერთხელ აღუნიშნავთ სხვადასხვა ეროვნებისა და მიმართულების მწერლებს. აქ მხოლოდ კიდევ ერთს გავიხსენებ, დავით კლდიაშვილის ზემოხსენებული სტრიქონების დაწერიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ რომ ითქვა: „რომანის ან მოთხრობის პირველი ფრაზა გვაძლევს განფენილობას, ტონს, სტილს, გვაძლევს ყველაფერს. მთავარი პრობლემა — დაწყებაა“ (გაბრიელ გარსია მარკესი).

პროზაიკოსთა ეს დღემდე „გლობალური“ პრობლემა, როგორც ჩანს, მართლაც სათანადო ყურადღებას საჭიროებს და გ. კაპანაძის მოთხრობების განხილვასაც სწორედ „ტონის მიმცემი“ დასაწყისიდან შევუდგები.

დასაწყისი სხარტია, ლაკონიური და საქმიანი — ყოველგვარი შესავლისა და მოსამზადებელი პასაჟების გარეშე. ავტორი ერიდება მრავალსიტყვაობას, უმნიშვნელო დეტალიზაციას, მას მოულოდნელად შევყავართ მოქმედების შუაგულში.

მაგ.: „სუფრულის“ მთავარ პერსონაჟს — ყანჩაველს „ბედის გამრიგედ“ გეოგრაფიის მასწავლებელი მოევლინება. სწორედ მასზეა აქცენტირებული საწყისი სტრიქონი:

„გეოგრაფიის მასწავლებლებში ბედი არ გვწყალობდა“...

საკმაოდ ნართაული „სამი სტუმარი“ სადად და ერთობ პროზაულად იწყება, რაც ჩაქარაგმებულ სათქმელს დამაჯერებელ იერს და რეალისტურ ფონს უქმნის:

„ფოთის მეორე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე მორჩილაძე ავადმყოფობდა...“

„ყამის“ გმირს ლადოს თავი ვერ დაუღწევია მოჯადოებული წრისათვის, მისი წყვეტება ყოფითი წვრილმანებისაგან თავდახსნისა — ამაოა. მოთხრობის პირველივე ფრაზა — „ლურჯი პატარა ტალღები ასკდებოდნენ საცურაო აუზის კედლებს“ — მოგვაგონებს შიშნეული და უნიათო გმირის გაბრძოლებას საკუთარი ნაჭუჭიდან ამოხტომისა.

ასევე სადად და უპრეტენზიოდ, მაგრამ გამიზნულად იწყება ზოგი სხვა მოთხრობაც, მაგრამ ეს მაგალითებიც ვიკმაროთ. მით უმეტეს, ღმერთმა იცის, ეს „ტონის მიმცემი“ დასაწყისი მტკიცედ გააზრებულია ავტორის მიერ თუ ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცნეულია და ინტუიციური. თუმცა ამას არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა: საწყისი ფრაზები მოხდენილია და ზუსტი და, რაც მთავარია, მათგან ილად „მისრიალებს“ თხრობა.

გ. კაპანაძე ტენდენციური ავტორია, ტენდენციური — კარგი გაგებით. იმ მწერალთაგან განსხვავებით, რომელთა პოზიცია შეფარულია, ძნელად მისაკვლევი და ზოგჯერ გაუგებარიც ქვეტექსტების წვდომაში გაუწაფავი მკითხველისათვის — გ. კაპანაძისა და მისი გმირების მიდრეკილება მედიტაციებისაკენ აადვილებს ავტორისეული მრწამსის გარკვევას. ფიქრი, განსჯა, ფანტაზია, ზოგჯერ სერიოზული, ზოგჯერ ირონიული; ჩაფიქრება ადამიანის დანიშნულებაზე, ცხოვრების სიმუხთლეზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, სიკეთესა და სულის სიმაღლეზე, ოცნებასა და მისწრაფებაზე — ზოგჯერ პერსონაჟთა შინაგანი მონოლოგების სახით ვლინდება, უფრო იშვიათად კი გმირს ავტორიც „წაეშველება“ ხოლმე.

შეგონება-მედიტაციებს რომ მრავალი მწერალი მიმართავდა და მიმართავს, ეს ცხადზე უცხადესია; მაგრამ გ. კაპანაძის მანერა ორიგინალურია და შთამბეჭდავი.

ავტორს ეს ხერხი მეტ-ნაკლებად ყველა მოთხრობაში აქვს გამოყენებული, ამიტომ საილუსტრაციოდ თითო-ოროლა მაგალითს მივმართავ.

გ. კაპანაძის ერთ-ერთი საუკეთესო და ღრმააზროვანი, „იგავური“ მოთხრობის „კრისტოფორეს ინსტრუმენტის“ გმირის სიყვარული სირბილისადმი იგივე თავისუფლების, ალმაფრენის სიყვარულია, ადამიანური სრულყოფისაკენ სწრაფვაა: „სირბილის დროს ყველაფრის დავიწყება შეეძლო სოლომონს. სირბილი ათავისუფლებდა ყოველდღიურობისაგან, აადამიანურებდა, ხვეწდა, თავისუფლებისათვის ამზადებდა. ...რა არის სიცოცხლე ან ისეთი წვრილმანები, როგორიცაა საკუთრება, სისასტიკე, ძალადობა — სირბილის დროს ასეთი კითხვები არასდროს არ მოხდიოდა თავში.

...სირბილი თავდავიწყებას ბადებდა, ჰქრებოდა მიწიერი დრო, ჩნდებოდა ტალღები და გაქანება“.

გმირისა და ავტორის პოზიცია ხშირად სინქრონულ მთლიანობაშია, ზოგჯერ კი ურთიერთსაპირისპიროა. მაგ., ანდროს („ბოსლევი“) ფიქრი მამის შესახებ („ეს უხერხემლო ადამიანი არასოდეს იწუხებდა თავს გარემოსთან შეგუების უფრო ვაჟკაცური გზის გამოსაძებნად. თავის მინიმალურად შეწუხება — ყველაზე იოლი გამოსავალია ცხოვრებაში. ასეთ ადამიანებს ყოველთვის დიდი პრეტენზიებიც აქვთ. ისინი უმწიკვლობას, პატიოსნებას ჩემულობენ, მაგრამ საქმურისზე უბიწო არ ითქმის...“) ავტორისეული მრწამსის გამოხატულებაც არის.

გ. კაპანაძეს კომენტარების გარეშე მოჰყავს იმ პერსონაჟთა მოსაზრებანიც, რომლებიც დიამეტრულად ეწინააღმდეგებიან ავტორისეულ ეთიკას. მაგ., ერთი პერსონაჟის „შეგონებიდან“: „შეეშვი ამ კომედიას... კაცობრიობა, საზოგადოება ერთი დიდი სხეულია. ჰოდა, უპირველეს ყოვლისა, ეცადე რომ ამ ტორსის უკანალის შემადგენელი ნაწილი არ გახდე, ეცადე, ზევით მოიკალათო, მხრებამდის მაინც აცოცდე. მთავარი ეს არის, ისე გინდ გიზეხის პირამიდა გჭერია ხელში, გინდა ბოლოკი“ („უყისმათო“).

ფიქრი და განსჯა ერთგვარად ახასიათებს უბირ გლეხს, რომელიც თავის კუთხეს არ გასცილებია; თანამედროვე ქალაქის „ასფალტზე გაზრდილ“, ზოგჯერ ხელმოცარულ, მაგრამ სულის სიღრმეში უკომპრომისო ბინადარს; სიცოცხლის ბოლო დღის მომლოდინე მოხუცს, თუ ნაკადულის თვალებიან სოფლელ ბიჭს...

„სახე უმეტეს შემთხვევაში გზის ანარეკლია, კაცის განვლილი გზაა ერთი პატარა მღვიმიდან საბოლოო დიდ ორმომდე“ — ფიქრობს მოხუცი გაუნათლებელი გლეხი („აჭალი“).

სასტიკ განსაცდელში ჩავარდნილი თორმეტი წლის ბიკენტი „წუთით, თავისი პატარა ტვინით შეეცადა აეხსნა, თუ რა ხდებოდა, შეეცადა გაერკვია ის, რაზეც თავს იტეხდნენ წლობით ადამიანები — გამოეცნო დიდი საიდუმლოება, საიდუმლოებათა საიდუმლოება, — ვინ გვიბიძგებს მდინარის ტალღებში ხელს? რაზე ვკიდივართ ბეწვზე? სად იკარგება სითამამე, ძალა? რაზე მოგვდის ფუწი ცხოვრებაში ასე ხშირად?“ („ინჩეს მანეთა“).

ავტორისეული შეგონებანი მოკლებულია შიშველი დეკლარაციულობის იერს. გ. კაპანაძე უტყუარი ალღოთი გრძნობს, როდის აჭარბებს. ბუნებრივად, ძალდაუტანებლად იცვლის კილოს — სრულიად სერიოზულ და ზოგჯერ მეტად მტკივნეულ ფიქრსა და განსჯას მოულოდნელად ერთი-ორი იუმორისტული შტრიხით უცვლის ელფერს, რითაც სათანადო მხატვრულ ეფექტს აღწევს.

მაგ. ისევ „კრისტოფორეს ინსტრუმენტიდან“:

„როცა გარბიხარ, კაციშვილი არ გეკითხება ვინ ხარ, სადაური ხარ, ვაჟკაცი ხარ თუ დედალი, რამდენი გაქვს ხელფასი, გწამს თუ არა ის, რაც უმრავლესობას ერთმა, თუ ორმა კაცმა დაუსახა მიზნად... გარბიხარ და ფეხებზე გკიდია აწმყოც და მომავალიც. არა, უწყინარი მორბენალი ნამდვილად უფრო მიმზიდველია, ვიდრე ცხოვრების გზაზე მოსეირნე მაღაზიის გამგე ან ვინმე მქადაგებელი“.

ზოგჯერ გვხვდება მთლად „უკულმართული“ ირონიული პასაჟებიც, რომლებშიც, რა თქმა უნდა, არის კვიმატი გულახდილობის ნატამალი:

მაგ., „როდესაც ერთი ფეხზე დგება. წელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმართება და სადღაც უმართლებს, მეორეს სისხლი ექცევა თავში“ („კრისტოფორის ინსტრუმენტი“).

ანდრომ „შურისმსგავსი რაღაც იგრძნო. სწრაფმავალი ადამიანი ყოველთვის ასეთ გრძნობას იწვევს რატომღაც. მაგრამ რაოდენ სიმპათიურია იგი ძირს დამხობილი“ („ბოსლევი“).

ავტორი გაურბის სტერეოტიპურ ფრაზებს; შაბლონისა და სწორხაზოვნობის თავიდან ასაცილებლად ხშირად მიმართავს პაროდიას.

მაგ.: მთელი სოფელი შეიკრიბა სეირის საყურებლად; ჩხუბობენ ძველი მტრები — მაყვალა და ვალიკო. ამ დროს „მუყაითი კოლმეურნე ქალი ირინე ბექობზე შედგა: — ხალხო, მოგიწოდებთ ყანებში დაბრუნდით!“ („ბოსლევი“).

ან კიდევ — ერთი „ინტელექტუალური“ ქალის საუბრიდან — „მწერალი, განსაკუთრებით ჩვენი მწერალი, არ უნდა ფიქრობდეს ფულზე და აგარაკებზე“ („უყისმათო“).

ავტორის ე. წ. აფორისტული ფრაზებიც ზოგჯერ აშკარად პაროდიულია ან ირონიული: „განზე გადგომა ჭკუიანი კაცის ხელობაა“ („სამი სტუმარი“); „უნიფხვო კაცი ნიფხვის გარდა სხვა არაფერზე არ უნდა ფიქრობდეს“ („ყამი“) და სხვ.

ირონიისა და პაროდიის ოსტატი გ. კაპანაძე ხოტბას ასხამს მომოსს — დაცინვის, გაკიცხვისა და ბოროტსიტყვაობის ღმერთს ბერძნულ მითოლოგიაში („ბოსლევი“). მწერალი გვიჩვენებს კომიკურის „ამამაღლებელ“, განმწმენდ ეფექტს: ანდროს მახვილსიტყვაობამ დააცხრო ერთმანეთს გადაკიდებულ ბოსლეველთა გაავებული ვნებანი, ორი „მტრული“ ბანაკი შეარიგა და გულიანადაც ახარხარა.

გ. კაპანაძე ხშირად იხსენიებს ძველი ბერძნული პანთეონის ღმერთებს, ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ შენიღბულად (მაგ. „სამი სტუმრის“ კონსტანტინე, ლუარსაბი და ანასტასე ბედის გამგებელი სამი მოირაა: კლოტოსის, ლაქეისის და ათროპოსის). გამართლებულია ავტორის ინტერესიც მომოსისადმი; მაგრამ იგი მთლად სწორი ან უნდა იყოს, როცა მომოსს უწყინარი დაცინვის ოსტატად მიიჩნევს. მომოსი არ იყო უზადო აფროდიტეს შემყურე სიბრაზისაგან მეცელზე რომ გასკდა?

ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს ორ, განსხვავებულ საზრისს ადამიანის რაობასა და დანიშნულებაზე. ერთის მიხედვით — ადამიანი მტილია. გავიხსენოთ ახმახი დალაქის მიერ შეშინებული გულდედალი შტანგისტის ფიქრები: „ბენომ გაიფიქრა, რომ ადამიანები ცეცხლისა და წყლისა, მიწისა და ჰაერისაგან არიან შექმნილნი. ცეცხლი ქრება, წყალი ორთქლდება, ჰაერი იფანტება და რჩება ნაცარი, მხოლოდ ნაცარი. არცერთი ფიჩხი ოქროსი, ამ ძვირფასი მეტალისა. მხოლოდ კალიუმი, კალციუმი, რკინა (მცირე რაოდენობით), გოგირდი, ფოსფორი...

...შემდეგ ტკივილი, სიბერე, უმწეობა და, ბოლოს სრული მორჩილება“ („სად ხარ, წიქარავ!“).

გავიხსენოთ ცინიკოსი მიქელაძის შემაძრწუნებელი ტირადაც ახლაგარდაცვლილი საცოდავი მოხუცი ქალის შესახებ: „გინდა აგიწერო ბულბულაშვილის პორტრეტი?... ახლა გაქვავებული, მოკუნტული, თმაგაჩეჩილი წევს მორგში. ჩავარდნილი მუცელი, გამხმარი ხელ-ფეხი, უკბილო დაბჩენილი პირი, გათეთრებული, შეთხელებული თმები ბოქვენზე და სადღაც გამქრალი სული. ოღონდ არა ზეცაში აფრენილ ასვენებთან, ცის მხედრებთან, არამედ სარდაფში გაფანტული — ფორმალინის სუნთან შეზავებული...“ („უყისმათო“).

ამ საზრისის მფლობელთათვის ადამიანთა შორის სრული გაუგებრობა და „ჯუნგლის კანონი“ სუფევს. მათი ტიპიური წარმომადგენელია ფერდინანდ მორჩილაძე („სამი სტუმარი“), ყოფილი ყომარბაზი და დამრტყმელი, მექალთანე და უშიშარი ნაოსანი. ფერდინანდის მონოლოგიდან: „როგორ იქცევა ვეფხვი?.. ხანადიროდ გადის, თავისზე სუსტს იჭერს, ბდღვნის და სანსლავს“... მან დროზე იცვალა ცხოვრების ნირი და თავისი სიცოცხლის შუაწელს „მორჩილება“ ისწავლა, სკოლის დირექტორის მოადგილედ თბილად მოკალათდა და მისებრ მხვეჭელი და მტაცებელი შვილიც გამოზარდა — შვილი — ქალაქის მთავარი ქირურგი, რომელიც უბირი გლეხის ავადმყოფ შვილიშვილს ფაქტობრივად სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს, რადგან ოპერაციისათვის შემოძღვნილი თანხა ეცოტავება.

ინტელექტი რომ მორალის განმსაზღვრელი არ არის, ეს თბილისიდან ჩამოსული განათლების განყოფილების „განათლებული“ გამგის ერემიას სახიდანაც ჩანს. ერემიას ცუდკაცობის საფენელი გულგრილობაა. უცეცხლო, უწადილო და განუკითხავი, ბაბუა-შვილიშვილის საცოდაობის გულდამშვიდებით შემყურე ერემია არხეინად, ნდომით წრუპავს წითელ იზაბელას, ენამახვილობს, ხანაც კი „ბრძნულ“ ფიქრებში იძირება. სწორედ მას ეხება ავტორის ზიზღნარევი, ირონიული ტირადა: „განზე გადგომა ჭკუიანი კაცის ხელობაა“.

ეს „ჭკუიანი“ კაცი კატულუსის სიტყვებით იმშვიდებს სინდისს: „ლესბია, ვიცხოვროთ, ვიდრე ცოცხლები ვართ... დანარჩენი ჩვენ არ გვეხება“.

გულგრილობა და განურჩევლობა განუსჯელობას ბადებს; ბოროტი საწყისი დასაწყისშივე უნდა ამოიძირკვოს, რათა უფრო დიდ ბორო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებაში არ გადაიზარდოს — ეს კარგად აქვთ შეგნებული გ. კაპანაძის გმირებს:

„თავიდანვე თუ არ მოუარე პატარა ბოროტებას, თავის დროზე აუცილებლად დიდ სიავედ გადაიქცევა და მაშინვე შეეცდება სხვაც გააბოროტოს" („დაუვიწყარი წლები").

„პატარა მარტორქა ამჟამად კიდევაც რომ არ გაწუხებდეს, მაინც უნდა მოაშთო, რომ წამოზრდილმა არაფერი გკადროს. მაგრამ თუ ლაწირაკი მარტორქა ახლავე ირქინება, მაშინვე უნდა მოსპო. ყველაზე დიდი საშინელება ისაა, როცა თვით ადამიანის ნაშიერი გადაიქცევა მარტორქად. ასეთმა ადამიანმა — მარტორქამ იცის კაცის სულიერად ყველაზე მტკივნეული ადგილი და მუდამ იქ გიმიზნებს. ადამიანი — მარტორქა ფიზიკურ ტრავმას გაყენებს და თანაც შენ სულსაც ბღალავს" („ბოსლევი").

ცხოვრების აზრის მოუხვენრად მაძიებელი გმირები ხშირად ფეხს ვერ იკიდებენ ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ მოლიპულ გზაზე, მერყეობენ და ათასგვარ კომპრომისზეც მიდიან. მწერალი ადამიანს არ მიიჩნევს მხოლოდ ბოროტების, ან მხოლოდ სიკეთის ჭურჭლად. მას შესწევს უნარი გაუღვივოს თავის პერსონაჟს სადღაც, გულის სიღრმეში მიმალული სიკეთე და მისი რეალიზაციაც გვიჩვენოს.

ზესტაფონელი ნოქრის ანტურაჟი (რკინა-კავეულობის მაღაზია, ახალთახალი ვოლგა და სხვ.) თავიდანვე ეჭვს აღგვიძრავს მის მიმართ. ზაქარიას შინაგანი ბუნებითაც ვერ მოვიხიბლებით: დაწუნებული სახიძოს ბოლმა ახრჩობს, მტრის ჯინაზე ერთ თვეში ცოლის მოყვანას აპირებს, ახლადგაცნობილი სასურველი ქალის „მოძებნის" შემდეგ არც იმას თაკილობს, რომ ღამ-ღამობით ჯაშუშად მიუჩინოს ძმისშვილი კიკია („ნოქარი და ძმისწული").

მაგრამ ავტორი სხვა რაკურსითაც ხედავს თავის პერსონაჟს; მას ებრალება მუდამ სხვაზე გადაგებული ნოქარი, რომელსაც მრავალი დამცირება და გაჭირვება უდრტვინველად გადაუტანია:

„მთელი ცხოვრება სირბილში, ოფლის ღვრასა და მანქვა-გრეხაში გაატარა. ხან ვის უგერებდა კოჭს, ხან ვის. ბედნიერებაზე არასოდეს უფიქრია, ან სად ჰქონდა ამის დრო. იგი პატრონობდა დედას, პატარა ძმებსა და დას. თითქოს მისი მოვალეობა მხოლოდ ეს ყოფილიყო, თითქოს მხოლოდ ამისთვის გაჩენილიყო ამ ქვეყანაზე. მან იცოდა, რომ სამაგიეროს არავინ გადაუხდიდა, რომ მადლობასაც არავინ ეტყოდა. სხვა მის ადგილზე, ალბათ, ყველაფერს მიაფურთხებდა, ცხრა მთას იქით გადაიხვეწებოდა და თავის გემოზე იცხოვრებდა. ყოველ შემთხვევაში, დაფიქრდებოდა და შეეცდებოდა გამოერკვია, თუ რატომ იყო ცხოვრება ასე მოწყობილი. მაგრამ ნოქარმა იცოდა, რომ ამა თუ იმ მასშტაბით, ყოველთვის არსებობდნენ ტანჯულნი და მარტვილნი. ზოგი მაღალი იდეალებისათვის დებდა თავს, ზოგი სიყვარულისათვის. მან კი სიკეთეს გადაუხადა ხარკი. და ამიტომ გადმოხედა ალბათ ღმერთმა ერთხელ მასაც".

მაგრამ ამ ერთხელაც რომ არ გადმოხედა ღმერთმა ზაქარიას! ხან ტრაბახით გართულ, ხან კი უაზრო ოცნებაში დანთქმულ ნოქარს („რას დააჭყეტენ ზესტაფონელები თვალს, როცა ჯულიეტას დაინახავენ!") საკუთარი ძმისშვილი, თექვსმეტი წლის კიკია დაადგამს რქებს, რა თქმა უნდა, მისივე ტოლი უცხო ქალის გამოწვევითა და თანხმობით.

მოთხრობის ფინალი (ბედს შერიგებული ნოქარი მშობლიურ სოფელში მიაგრიალებს ძმისშვილსა და მის საცოლეს) ზაქარიას სიკეთის დასტურია.

უბედური და ბოროტი „შავსისხლიანი" ოლიფანტე („ინჩეს მანეთა") ერთი კუმპალი ყურძნისათვის ობოლ ბიჭს დაუნდობლად დაუსისხლიანებს ცხვირ-პირს, წაუბილწავს მამის სათუთად ნალოლიავებ ხსოვნას, შემდეგ კი... თავდაუზოგავად გადაეშვება ადიდებულ მთის მდინარეში იმავე ბიჭის — ბიკენტიას თორმეტწლოვანი უმანკო სიცოცხლის გადასარჩენად. ავტორმა სწორედ მწიკვლიან სულს დააკისრა ობოლი ბიჭის გადარჩენა. ისიც ხომ ფაქტია, რომ ბიკენტიას განსაცდელით გულწრფელად შეძრულმა და შეძრწუნებულმა თანასოფლელებმა ვერ გაბედეს საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება. „ინჩეს მანეთა" — მწერლის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა — მთავრდება სიკეთის ზეობით, სიკეთისა, რომელმაც ბიკენტიას ჩასისხლიანებულ თვალებს კვლავ კრიალა ნაკადულის ელვარება დაუბრუნა.

ავტორის დადებითი გმირები (დადებითი აქ საკმაოდ მიახლოებითი ეპითეტია, რადგან ამ პერსონაჟთა უმრავლესობას აქვს უამრავი ნაკლოვანება, ზოგჯერ წვრილმანური ბუნება და ა. შ.) არც გარეგნული მოხდენილობით, არც განსაკუთრებული ნიჭიერებითა და სიბრძნით გამოირჩევიან. პირიქით, ისინი სრულიად ჩვეულებრივნი, ფიზიკურად სუსტნი ან ზოგჯერ ნაკლოვანნიც კი არიან. „ცხოვრების თეატრში" მათ ხშირად პარტერის უკანასკნელი რიგები უჭირავთ; მაგრამ, ბოღმისა და ღვარძლისაგან თავისუფალთ, არსებითისა და მეორეხარისხოვანის, მთავარისა და წვრილმანის შემცნობთ, შურისა და ბოროტებისაგან განდგომილთ, აქვთ ღირსებანი, რომელთა ზუსტი გაზომვა-აწონა ძნელია. ეს სულიერი ფასეულობანია: ფიქრის, განსჯის, თავისუფალი აზროვნების, სიყვარულის, სითბოსა და სიკეთის წყურვილი, საკუთარი ადამიანური ღირსების შეუვალი გრძნობა.

ისინი უმთავრესად დიდსულოვანნი, შემწყნა-

რებელნი, ამასთან ზოგჯერ ინერტულნი და შემგუებელნი არიან. მაგრამ სიავისა და ცუდკაცობის, ღვარძლისა და ბოროტების წინაშე მათი ინდიფერენტიზმი გარდაიქმნება აქტივობად. გმირი შესაძლოა დამარცხდეს კიდეც, მაგრამ ეს სურვილი სიავის, ბოროტის აღგვისა მისი საუკეთესო და განუშორებელი თვისებაა.

„წმინდა ვიტეს ცეკვაში“ დომინირებს ზოგჯერ მტკივნეულად გამონატანჯი, ზოგჯერ მაღალფარდოვნების შიშით მსუბუქი იუმორით შეფერილი ეთიკური ძიებანი. განსაკუთრებული, დაჟინებული ინტერესი ეთიკური პრობლემებისადმი — გ. კაპანაძის „დონჟონია“. უნდა ითქვას ისიც, რომ ავტორის ეთიკურ ძიებებს გამძაფრებული აზრი და მნიშვნელობა ენიჭება, რამეთუ ყველა მოთხრობა ჩვენს დღევანდელ დღეს, ჩვენს თანადროულობას ეხება. ავტორის ეთიკური მრწამსი ცნაურდება მის ე. წ. „ფანტასტიკურ მოთხრობებშიც“.

მწერლის აზრით, ადამიანის ერთადერთი სიმდიდრე სიკეთე და პატიოსნებაა. ამ ცნებებს ზოგჯერ ბუნებრივად უკავშირდება მათი ერთ-ერთი სასინჯი ქვა — „სიმდიდრე“ და „სიღარიბე“.

გ. კაპანაძის „ღარიბი“ გმირები უაღრესად სიმპათიურნი არიან. უფულობით გაბეზრებულ „კინომანს“, თბილისელ ბიჭუნა ყანჩაველს სანუკვარ ნატვრად რომ გადაქცევია ცნობილი ამერიკული ფილმის ნახვა, ავტორი ამგვარ ირონიულ მონოლოგს წარმოათქმევინებს: „ბიჭებო, ნუ დამანახვებთ ლუტს. უფულობას ვერ ვეწყობი. მიყვარს მზესუმზირა, კინო, კონფეტი, ლიმონათი და ზოგჯერ ტროლეიბუსით გასეირნება. როდესაც კარგ კინოსურათს ვუყურებ, ქვეყანაზე ყველაფერი მავიწყდება. ის კაცი, რომელსაც ხუთი მანეთიც კი არ უდევს ჯიბეში, ყველაზე მაღალ ბოძზე უნდა ჩამოკიდო ფეხებით. მეზობლებო, მოწაფეებო! შეხედეთ სიღარიბეს, შეხედეთ რა საზიზღრობაა! ლამაზო გოგოებო, უტვინო ბიჭებო, არ დაუჯეროთ გივი მასწავლებელს და გამდიდრდით, ვიტელიუსის მიმდევრები გახდით...“

„ჯარისკაცის ბედი ამერიკაში“ — აი, რას იუწყებოდა კინოაფიშა, აი, რატომ ვფიქრობდი ასე მკაცრად უფულო კაცზე და ჩემს თავზედაც“ („სუფრული“). ამბების შემდგომი განვათარება მალევე აქარწყლებს ზემოხსენებულ ტირადას, რომელიც ძირფესვიანად იცვლება მოთხრობის ფინალში — „სუსტ და ღარიბ კაცს გაუმარჯოს, დიდება ნიჭს, ვაშა ყანჩაველს!“

ყანჩაველისა არ იყოს, ავტორს კარგად მოეხსენება, რომ მატერიალური კეთილდღეობა — თუ ის ქურდობაზე, ტყუილსა და ძალადობაზე არ არის დაფუძნებული — მშვენიერი რამ არის. მხვეპელთა თვალთმაქცობა და ფარისევლობა მის აშკარა დაცინვას იწვევს: „ოლიფანტე ხმას ავრცელებდა, საღამოობით ბუხრის წინ წიგნებს ვკითხულობთ. ამ წარმოსადეგ მამაკაცს, ჩაფსკვნილს, ჯირკს, უტიფარს, ჰყავდა მეუღლე, ორი ბავშვი, ძროხა, გოჭები, ინდაურები, „მოსკვიჩი“. მოხდენილად გამოდიოდა კრებებზე. საჯაროდ ის ყველაზე მეტს ლაპარაკობდა გეგმის შესრულებაზე, პატიოსნებაზე, მატერიალურ კეთილდღეობაზე, სამშობლოს სიყვარულზე, თავისუფლებაზე. როდესაც სიტყვას ამბობდა, ყველა რწმუნდებოდა, რომ მანქანას უმანქანობა სჯობდა, სამ ძროხას — ერთი ძროხა, ათასმანეთიან ხელფასს — ასმანეთიანი ხელფასი. თავად ახალ ორსართულიან სახლში ცხოვრობდა, ფინურ საწოლში ეძინა. ორივე შვილი უმაღლესში ჰყავდა მოწყობილი. ზამთრობით სოჭში ისვენებდა. მერე რა?..“ („წმინდა ვიტეს ცეკვა“).

გასაკიცხი მატერიალური დოვლათი კი არა, სიმდიდრისადმი თვითმიზნური სწრაფვაა. ფერდინანდ მორჩილაძე და მისი შვილი ბუხუტი („სამი სტუმარი“), რეზო ცოლ-შვილით — მაგნოლიათი და მიმოზათი („ყამი“), ოლიფანტე („ინჩეს მანეთა“), ახალგაზრდა პატარძალი მერი („უყისმათო“), — დაღდასმულნი გლობალურ პრობლემად ქცეულ ე. წ. სამომხმარებლო სულისკვეთებით, ავტორის ზოგჯერ აშკარა, ზოგჯერ შეფარული ირონიის ობიექტები არიან.

საგანგაშო ისაა, რომ სიმდიდრის, მხვეპელობის მავნე ბაცილა მოზარდებსაც შეჰყრიათ („ბეთანიის მონასტრის კედლებთან“).

გ. კაპანაძის ეს ყველაზე სევდიანი მოთხრობა ტრაგიკული ფინალით — ერთგვარი გამონაკლისია მის შემოქმედებაში. აქ ავტორი უარს ამბობს თავის ჩვეულ მანერაზე. მოთხრობაში იუმორის ირონიისა ან პაროდიის ნატამალიც კი არ მოიძევება. „ბეთანიის მონასტრის კედლებთან“ მწერლის მტკიცე ეთიკური მრწამსის უქარაგმო და უშუალო მხატვრულ განსახოვნებად მიმაჩნია.

განათლებულ, უანგარო, თავმდაბალ, დიდსულოვან მასწავლებელს მერაბ დადვანს, რომელიც მეათე კლასის მოსწავლეებს ბავშვურად ეგოისტური, ზერელე სიყვარულით უყვართ, სწამდა, რომ „აღიარებული გმირობის გარდა არსებობდა კიდევ სხვა ვაჟკაცობა, ყველაზე დიდი, დაუნახავი, რთული, ჩუმი რაინდობა — პატიოსნება, წესიერი კაცობა“. მას სურდა თავისი მოსწავლეებისათვის ჩაენერგა, რომ „სიხარბე, სიძულვილი და შური მზაკვრობაა. მხოლოდ ავეჯის, ტანისამოსის, ოქროს ბეჭდებისა და საკუთარი სახლების აშენებისათვის სიცოცხლე კი უაზრობაა“.

მერაბ დადვანი, რომელიც 33 წლის არის (ეს ასაკი — ჯვარცმული ქრისტეს წლოვანება — აქ მორალური სრულყოფისა და დაბრძენების მწვერვალად, რწმენისათვის თავგანწირვის სიმ-

ბოლოდ უნდა იყოს ჩაფიქრებული), ებრძვის თავის მოწაფეთა ერთი ნაწილის ობივატელურ ტენდენციებს. „ისინი უკვე უფროსებზე მეტად აფასებდნენ ძალას, სილამაზეს, სიმარჯვეს. მათი მშობლებიც უმეტესად ობივატელები იყვნენ. განა საკუთარ ტუალეტში და ოთახის რაოდენობაშია საქმე?"

მასწავლებელმა ისიც იცის, რომ ლიტონი შეგონებებით ვერას გახდება, ამიტომაც არა მარტო სიტყვით, საქმითაც უმტკიცებს მათ, რომ „ძირითადი და მთავარი ჩვენი შეუდრეკელი რწმენაა, ...რომ არ არსებობს ქვეყანაზე ისეთი რაიმე, რისთვისაც ღირდეს მუხლის მოდრეკა, დაგლახაკება თუნდაც ერთი წამით".

გამიზნული უნდა იყოს ისიც, რომ ავტორმა ცხოვრებისადმი უტილიტარული დამოკიდებულების აშკარად მგმობელ მოთხრობას „ბეთანიის მონასტრის კედლებთან" უწოდა. ბეთანია — მისი „საოცარი კედლები და გუმბათი, ქართველების, საქართველოს ჰიმნის მომღერალი ქვები, ეს ჩუმი, ჟრუანტელის მომგვრელი შრიალი საუკუნეებისა"...

„სამომხმარებლო", დაკნინებულ მრწამსს ვერც ახაც ვერ მიესადაგება ბეთანია; მონასტერი, რომელიც ქართველთა „კაშკაშა რწმენისა" და სამშობლოს სიყვარულის წყალობით, დღესაც ქედუხრელად დგას.

ქართველი ხალხი — ციხე-კოშკებით და ეკლესია-მონასტრებით მთელი ქვეყნის დამქსელავი — არასდროს გადაშყოლია ბრწყინვალე სადგომ-სახლების შენებას. შორსმჭვრეტელობისა და მომავალზე ზრუნვის ეს დიადი გამოხატულება ქართულ ხასიათში სულიერი საწყისის პრიმატზე მიგვითითებს.

ბეთანიის კედლებმა უბიძგა მერაბ დადვანს დიდსულოვანი და რაინდული, მაგრამ მისთვის საბედისწერო ნაბიჯისაკენ.

იქვე, ბეთანიის კედლებთან, რევოლვერიანი ნაძირალა წიხლებით შედგება ქალს, რომლის გამოსარჩლება სიცოცხლის ფასად დაუჯდება მათემატიკის მასწავლებელს... და ჩვენ გვჯერა, რომ მერაბ დადვანის თავგანწირვა ამაო როდია, სიკვდილი ბეთანიის კედლებთან — მის მოსწავლეთა მომავლის განმსაზღვრელი იქნება.

გ. კაპანაძის კრებულის სახელწოდება „წმინდა ვიტეს ცეკვა", ამავე დროს, მასში შემავალი ერთ-ერთი მოთხრობის სახელწოდებაც არის. ასეთი არჩევანი, ჩემი აზრით, ამ მოთხრობის საუკეთესოდ აღიარებას არ გულისხმობს. ქორეა ანუ წმინდა ვიტეს ცეკვა მწერალს ადამიანური ყოფის სიმბოლოდ ესახება: „სიცოცხლეც ზოგჯერ წმინდა ვიტეს ცეკვას ემსგავსება, იმპულსურს, მთრთოლვარეს, შემთხვევითი მოძრაობების, მოვლენების აბრაკადაბრას, წყვდიადსა და ნათელში, კვამლსა და ნისლში, სიზმარსა და მაიას საბურველში, სიკეთესა და ბოროტებას შორის მიმავალი. ამ როკვაში ყველანი ვართ ჩართულნი: მიწაზე, მიწის ქვეშ, ზეცაშიც, ის გვაახლოებს ყველას, ვინც ვცოცხლობთ და ვინც არსებობდა ჩვენამდის" („წმინდა ვიტეს ცეკვა"). ცხოვრება, რომელიც ერთი შეხედვით წმინდა ვიტეს ცეკვას ემსგავსება, ამავე დროს, უაღრესად ჰარმონიული რამ არის. ადამიანებიც, თითქოს გათიშულნი და განმხოლოებულნი, თავიანთი არსებობის უმაღლეს წუთებში — ერთიანი სურვილით, აზრით, სწრაფვითა და სიხარულით ანთებულნი — ჰარმონიულ მთლიანობად იქცევიან („კრისტოფორეს ინსტრუმენტი", „ინჩეს მანეთა" და სხვ.).

წიგნის ანოტაცია გვამცნობს, რომ გ. კაპანაძე პროფესიით ექიმია. ექიმებს ეძღვნება მისი სამიოდე მოთხრობა „წმინდა ვიტეს ცეკვა", „უუისმათო" და „სამი სტუმარი" (17 მოთხრობიდან!). ამგვარი სტატისტიკა კარგად გამოხატავს ავტორის მიუკერძოებლობას „სამედიცინო" თემატიკისადმი. ბარემ იმასაც აღვნიშნავ, რომ ერთგან — მოთხრობა „ბოსლევის" პერსონაჟი ანდრო — კითხულობს ცნობილი ინგლისელი მწერლის (პროფესიით ექიმის) უილიამ სომერსეტ მოემის რომანს „ადამიანურ ვნებათა სიმძიმილი". ავტორის ინტერესი სწორედ ამ მწერლის ამ რომანისადმი (მთავარი გმირი ფილიპ კერიც ექიმია) სრულიად ბუნებრივად მეჩვენება.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ე. წ. ქალაქისა და სოფლის თემებზეც. აღიარებული თვალსაზრისით ჩვენს პროზაში, ყოველ შემთხვევაში მის საუკეთესო გამოვლინებებში (იგულისხმება უმთავრესად მოთხრობის ჟანრი), დომინირებს სოფლის თემა. ზოგ კრიტიკოსს ისიც აღუნიშნავს, რომ მავანი და მავანი ავტორი უკეთ ფლობს სოფლის თემას, ვიდრე ქალაქისას, იშვიათად — პირუკუ. „წმინდა ვიტეს ცეკვაში" ამგვარი ზღვარის გავლება არ შეიძლება. ავტორი თანაბრად „იმორჩილებს" ორივე თემას.

ზემოთქმულს ბარემ ისიც დავუკავშიროთ, რომ თანაბარი ოსტატობით, კოლორიტულად, შეულამაზებლად, მაგრამ სიყვარულითა და ღრმა ფსიქოლოგიზმით ძერწავს ავტორი როგორც ქალაქელი, ისე სოფლელი ბავშვების (ძირითადად ბიჭების) სახეებს: გაბრიაძე და არჩვაძე („დაუვიწყარი წლები"), მაყვალას შვილიშვილი („ბოსლევი"), კვიტირო ბიჭი („წმინდა ვიტეს ცეკვა"), გაძვალტყავებული, მოცროროზი მოწაფე და ყანჩაველი („სუფრული"), ბიკენტი და ნუგზარი („ინჩეს მანეთა"), ბონდო („სად ხარ, წიქარავ!).

მკრეხელობაში თუ არ ჩამომერთმევა ამგვარი გადახვლა, ისიც მინდა ვთქვა, რომ მოვიხიბლე ამ ბიჭების ძაღლებითაც (ყურშა — „ინ-

ჩეს მანეთა“, რესტორან „ინტურისტთან“ შემოფეთებული კეთილი და ნაღვლიანი ძაღლი — „სუფრული“, სიცხისაგან გარეტიანებული ბაბულა — „სად ხარ, წიქარავ!“ და სხვ.).

ყურადღებას იმსახურებს გ. კაპანაძის პროზის ენობრივი ქსოვილი, განსაკუთრებით კი მდიდარი ლექსიკა. თხრობის ძალდაუტანებელ დინებას ბუნებრივად, სადად და კოხტად ერწყმის ძველქართული და უცხო სიტყვები, ცინცხალი დიალექტიზმები. მკითხველს ზოგჯერ ლექსიკონის მოშველიებაც დასჭირდება, ზოგჯერ კი კოლორიტული ქვეტექსტი ამოაცნობინებს ამ მჟღერი და ზუსტი სიტყვების მნიშვნელობას.

ავტორი რომ ძალზე სათუთად და ფაქიზად ეპყრობა ქართულ სიტყვას, ამაზე მიგვითითებს არა მარტო მისი სამწერლო მანერა, არამედ მისი ერთ-ერთი გმირის პერსევერაციები („ჩემპიონი და მწვრთნელი“). თენგიზ ჩოგბურთის საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრისას ერთხანს განურჩევლობა შეიპყრობს. გამარჯვებისაკენ მიზანსწრაფვის ნაცვლად იგი ქვეცნობიერად ფიქრობს ყველაზე სანუკვარზე: „ჩემი ლამაზი ქართული სიტყვები: ოდრიკელა, ანწლი, ბზა, მარიამ-საკმელა, დრაზი, თავისუფლება, ძიგვე... ქართული სიტყვები, ჩვენი ხულის მზითევი, ჩვენი ჩამოურთმეველი ქონება, მამულები, სახახლეები...“

მთლიანი საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიტყვებს — ამ ჩვენამდე მოღწეულ მარადიულ მემკვიდრეობას — ავტორი ამოატივტივებს ოცი წლის თბილისელი ჭაბუკის, კეცხოველის მტვრიან, მაგრამ მყუდრო და საყვარელ ქუჩაზე გაზრდილი ჩემპიონის ცნობიერებაში.

გ. კაპანაძე, ჩვეულებისამებრ, აქაც გაურბის ჩვენს პროზაში მომძლავრებულ სტერეოტიპს და სამშობლოს სიყვარულის ღრმა გრძნობას განაცდევინებს „გლადიატორის თვალებიან“ მოხდენილ ჩემპიონს, რომელსაც არც „ფეშენებელურობისაკენ“ სწრაფვა და პატივმოყვარეობა აკლია და არც ახალგაზრდული ეგოიზმი (გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება მწვრთნელთან).

ჩვენი კრიტიკა ზოგჯერ ორ ურთიერთსაპირისპირო „მეთოდს“ — სრულ განქიქებასა და ხელაღებით ხოტბას მიმართავს. ე. წ. „მაქებარი“ რეცენზენტების დიდი უმრავლესობა შენიშვნებისაგან თავს იკავებს. გ. კაპანაძე მსგავს განუსჯელობას არ იმსახურებს.

ვამჯობინებ დროით მოვიცილო „უსიამოვნო“ სათქმელი — ორიოდე კრიტიკული შენიშვნა. ზოგი მათგანი იქნებ გასათვალისწინებელიც იყოს, ზოგი შესაძლოა რეცენზენტის პედანტიზმსაც მიეწეროს.

დიალექტიზმების გამოყენებისას ავტორს ზოგჯერ ღალატობს ზომიერების გრძნობა. მოთხრობაში „სად ხარ, წიქარავ!“ მოქმედების ფონი თბილისია. დედაქალაქური კოლორიტის დასაკონკრეტებლად მოთხრობის ფინალის გახსენებაც იკმარებდა („რა დიდებულად ითამაშა იმ საღამოს თბილისის „დინამომ“. მიხეილ მესხს ხომ არავინ შეედრებოდა... ზეიმობდნენ თბილისელები“...). ამის მიუხედავად, მოთხრობა აღსავსეა ისეთი სიტყვებით, რომელთა საწინააღმდეგო არაფერი გვექნებოდა, მოქმედება სოფლად ან თუნდაც პატარა რაიონულ ქალაქში რომ წარმოებდეს. ლუყურტი, ლოქოფაჩა, კუწუნწრახა, მარახოში, კიპრუჭნაჭამი, ღრინწი, კიპკიპა და მისთანანი არა მგონია გამოდგეს თბილისური კოლორიტის შესაქმნელად.

რაკილა სიტყვა ლექსიკაზე ჩამოვარდა, ისიც უნდა შევნიშნო, რომ ვერც ერთ ლექსიკონში ვერ აღმოვაჩინე სიტყვები „თათახიანი“ და „ოღორი“ (ალბათ უნდა იყოს „უღური“); ზემოხსენებულ მოთხრობაში კი აშკარად უადგილოდ არის ნახმარი „ღრინწი“: „ღრინწი გაუწყდა იმ ბოროტ ადამიანს“...

განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „ღინწი“ („დანა მცირე და წვლილი“ — სულხანსაბა ორბელიანი) და „ღრინწი“ პარალელური ფორმებია. მოყვანილია მაგალითიც ხალხური პოეზიიდან: „ორშაბათ დილა გათენდა, ქვევით მიდის ქალის ჯარი, ხელკალათა ხელთ აცვიათ, ღრინწი დანა მათი ხმალი...“

დაზუსტებას საჭიროებს საკუთარი სახელების დაწერილობაც ბერძნული მითოლოგიიდან.

კრებულში გვხვდება გრამატიკულად (მაგ.: „იმ წუთას ხმას ისე ვფლობდი, როგორც მოქნილი დაშნითა“ — „სუფრული“) და ლოგიკურად გაუმართავი წინადადებებიც (მაგ.: „ირგვლივ მზე, შეძახილები და სპორტული ჟინი სუფევდა. მხოლოდ რუსიკო იდგა აღგზნებული“ — „კრისტოფორეს ინსტრუმენტი“. გაუგებარია, საერთო აღგზნების ფონზე რატომ იყო აღგზნებული მხოლოდ რუსიკო?).

ახალგაზრდა და მოხდენილი, მაგრამ შეზღუდული რუსიკო ერთი ჩვეულებრივი, მიწიერი ქალია. მაგრამ „უბედურებას საიდუმლოებით და სინატიფით მოეცვა რუსიკოს ნაკვთები. დიდი სევდა ქალის სახეზე — დიდი მხატვრის — ბუნების განუმეორებელი შუქ-ჩრდილებია“. აქ არაფერია სადავო და მიუღებელი. ქალის „დიდ სევდას“ როიალისათვის შეგროვილი ფულის განიავების მეტი სხვა საფუძველი არა აქვს რა, ამიტომ ეს პასაჟი ირონიულადაც შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ ამის მომდევნო ფრაზა — „როდესაც დედაკაცი სიცოცხლეს კარგავს და სამუდამო დავიწყებისკენ მიისწრაფვის, მაშინ უნდა უცქირო მას“ — უკვე აღარ მესმის რა არის, ესეც ირონიაა, თუ უადგილო ცინიზმი?

„სამ სტუმარში“ კონსტანტინეს შეგონებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „ძველად მედიცინა ფილოსოფიის ნაწილს შეადგენდა. მოსე, იესო ქრისტე, პითაგორე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე ექიმებიც იყვნენო“ — ასეთი ავტორისეული რემარკა მოსდევს: ფერდინანდ მორჩილაძისათვის „დასახელებული პიროვნებებიდან ...მხოლოდ ქრისტე იყო ნაცნობი“. სკოლის დირექტორის მოადგილედ მოკალათებულ ნაბანდიტარ მორჩილაძეს დიდი ინტელექტუალური ბაგაჟი რომ არ მოეთხოვება, ამაში სადავო არაფერია. მაგრამ იგივე კაცს ავტორი მარკუს ავრელიუსის მისამართით ათქმევინებს — „მიეც კეისარს კეისრისაო“, ალაპარაკებს „ტიბეტურ და ეგვიპტურ მედიცინაზე“, დაბოლოს, შექსპირის ცოდნასაც ამჟღავნებინებს („ამის შემდეგ, როგორც ოტელოს მოწინააღმდეგემ თქვა, კრინტსაც არ დავძრავ“). გ. კაპანაძეს უთუოდ ღალატობს ზომიერების გრძნობა, როცა თავის პრიმიტივ მხვეპელად ჩაფიქრებულ გმირს ასე „ჭკვიანურად“ ალაპარაკებს. მეორე მხრით, ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ იაგოს სიტყვებისა თუ ლათინური ანდაზების მცოდნე კაცს სოკრატე-პითაგორე-პლატონ-არისტოტელეზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდეს.

მაქვს ერთი ზოგადი ხასიათის შენიშვნაც გ. კაპანაძის ე. წ. „ფანტასტიკური მოთხრობების“ სქემატიზმის მიმართ. რაც შეეხება „მიწის ყივილს“, ეს მოთხრობა საკმაოდ ცნობილი თემის გადამუშავებად მეჩვენება. ჩემი სუბიექტური (და ამდენად, შესაძლოა მცდარი) მოსაზრებით, კრებული მხოლოდ მოიგებდა „მიწის ყივილის“ გარეშე.

დღევანდელი ქართული პროზის უეჭველი ალმავლობა ერთგვარ საფრთხეს უქადის ნებისმიერ დებიუტანტ ავტორს; ძნელია, არ ჩაუდგე კვალში რომელიმე უკვე სახელმოხვეჭილ ოსტატს...

საბედნიეროდ, გ. კაპანაძის პირველი პროზაული კრებული წარმოგვიჩენს თავისთავად, ორიგინალურ შემოქმედს.

უკიდურესი გულახდილობა და სიწრფელე, აზროვნების სითამამე, პერსონაჟების ძუნწი, მაგრამ ზუსტი შტრიხებით გამოკვეთა — შერწყმული ზოგჯერ ირონიულ, ზოგჯერ კი მწვავედ განცდილ ფიქრსა და განსჯასთან — ასეთია კეთილად მოაზროვნე, უკომპრომისო მწერლის სტილი.

თანამედროვე ქართველი ადამიანის ცხოვრება — მთელი თავისი ცოდვა-მადლით, თანალმობითა და სიკერპით, ვერაგობითა და სიყვარულით, გაუცხოების ტრაგიზმითა თუ ერთარსებად ქცევის ექსტაზით — ქმნის გ. კაპანაძის პროზის დვრიტას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამუკა შელეგია

# გადამწყვეტი არჩევანი

სამამულო ომი იყო და რჩება საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ თემად. ომის დროს შექმნილ ნაწარმოებებში უმეტესად მომხდარი ფაქტი იპყრობდა ყურადღებას, ვიდრე მისი გამომწვევი სოციალურ-მორალური და ფსიქოლოგიური მოტივები, უფრო ღრმა, ყოველმხრივი ანალიზისათვის დრო არ იყო. ომის დამთავრების შემდეგ მწერლობას საშუალება მიეცა მთლიანად, ყველა განზომილებაში მოეცვა ეს მოვლენა, როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთი დიდი და ძნელი ეტაპი.

ომის შემდგომ წლებში ლიტერატურა ახალი ძალით მიუბრუნდა ომის თემას, სხვა კუთხით, სხვადასხვა ასპექტში იქნა დანახული და გააზრებული ესა თუ ის ეპიზოდი, ფაქტი. წინა პლანზე წამოიწია ადამიანმა, რიგითმა ჯარისკაცმა, რომლის ზურგზეც გადაიარა ამ საშინელმა ომმა. მწერლებმა უფრო ღრმად ჩაიხედეს მეომარი კაცის ფსიქიკაში. გაღრმავდა და განმტკიცდა გმირობის მოტივები. ყურადღების ცენტრში მოექცა გმირულის ბუნება, მისი სოციალური და ზნეობრივი ასპექტები, მწერლები შეეცადნენ ეჩვენებინათ და აეხსნათ არა მარტო ის, თუ როგორ აკეთებდა, არამედ, რატომ აკეთებდა თითქოს შეუძლებელს საბჭოთა ადამიანი, რა ედო საფუძვლად, რა ასაზრდოებდა მის მოქმედებას.

ერთი იმათგანი, ვის შემოქმედებასა თუ პირად ცხოვრებაში ომს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, არის გამოჩენილი ქართველი მწერალი, რუსთაველისა და ფადეევის პრემიების ლაურეატი კონსტანტინე ლორთქიფანიძე. მან მიზნად დაისახა ეჩვენებინა ქართველი კაცის გმირული, უტეხი სული, არ დაეკარგა იმათი სახელი, „ვინც ნამუსიანად მოიხადა ყველაზე მძიმე ვალი ადამიანის ცხოვრებაში — ჯარისკაცის ვალი".

ომი ადამიანთა გამოცდის უმკაცრესი და უტყუარი ასპარეზია. იგი ბოლომდე და დაუნდობლად აშიშვლებს ხასიათებს, წარმოაჩენს შინაგანი სამყაროს ისეთ ნიუანსს, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში შეიძლება არც გამოჩნდეს. იქ შექმნილი ვითარება პიროვნებისაგან მოითხოვს მთელი თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურ კონცენტრაციას, ვინაიდან ომში ხდება ისე, რომ აუცილებელია უმოკლეს დროში გადამწყვეტი არჩევანის მიღება. კ. ლორთქიფანიძემ თავისი გმირები, ლადო ვაშალომიძე იქნება ეს თუ ლევან ნადიბაიძე, მამია ჯაიანი, იონა მებუკე თუ სხვები, სწორედ ასეთ პირობებში ჩააყენა. ისინი მზვერავები არიან. ამით მწერალმა თავის პერსონაჟებს განსაკუთრებული გარემო შეუქმნა, სადაც წარმოჩინდება მათი ხასიათის სხვადასხვა მხარე, იქმნება სათანადო ვითარება და ისინიც მზად არიან გმირობისათვის, რომელიც მათი ბუნებიდან გამომდინარე, გაცნობიერებული, შეგნებული მოქმედების შედეგია და არა ფატალური გარდუვალობით გამოწვეული შემთხვევა.

განსაცდელის წინაშე მარტოდმარტო დარჩენილ ადამიანს სჭირდება ფიზიკური და სულიერი ძალების მობილიზება, განსაკუთრებული მოხერხება და ვაჟკაცობა. გაზრდილია მოვალეობის გრძნობა, პირადი პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე; ის პასუხისმგებლობა, რომელიც ქვედანაყოფში ყველა ჯარისკაცსა და ოფიცერზე ნაწილდება, აქ მთლიანად ერთ კაცზე მოდის.

იქ, მტრის ზურგში იქმნება სიტუაციები, რომლებიც მოითხოვენ სწრაფ და გადამწყვეტ მოქმედებას. აღსანიშნავია, რომ კ. ლორთქიფანიძის პერსონაჟები გმირობას უმეტესად მაშინ სჩადიან, როდესაც მარტონი არიან. ამით ხაზგასმულია მათი მოქმედების თავისუფლება, უშუალობა. მათ არავინ არ აიძულებს, არ უბიძგებს ამა თუ იმ მოქმედებისაკენ. ისინი ისე იქცევი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან, როგორც საკუთარი გონი და სინდისი უკარნახებთ, მათი გმირობა თავის გადარჩენისათვის ჩადენილი გმირობა არ არის, პატრიოტიზმის, კაცთმოყვარეობის, მოვალეობის გრძნობისა და ნებასყოფის შერწყმის შედეგია.

არავინ აიძულებს ლევან ნადიბაიძეს (ნოველა „როდესაც კაცი მარტოა") მარტოდმარტომ ბნელ ღამეში, როდესაც ყოველ წუთს მოსალოდნელია სიკვდილი, ნაღმებისაგან გაწმინდოს გაყინული მინდორი.

ვის შეუძლია უბრძანოს ვასილ ჟიგას (მოთხრობა „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური") ადგილი გაუცვალოს დასახვრეტ კაცს!

რა რჯის კოლმეურნეს იონა მებუკეს (მოთხრობა „სიკვდილი ცოტას მოიცდის") ერთ წუთში ორჯერ გაუჩერდეს მისკენ მოქნეულ ხელყუმბარას მაშინ, როდესაც თავის გადასარჩენად საკმარისია თოფის სახხლეტის მხოლოდ ერთი გამოკვრა?

ცნობილია, რომ ადამიანის ქცევა ნებისმიერ ვითარებაში მოტივირებულია, ყოველგვარ ქმედებას განსაზღვრავს პიროვნების სინდისი, მოვალეობის გრძნობა, ქვეყნის სიყვარული, ტრადიციით ნასაზრდოები ჩვევები... ადრე თუ გვიან ადამიანი აუცილებლად გამოავლენს იმას, რაც მასშია მოცემული, მხოლოდ საჭიროა სათანადო ვითარება. ყოველდღიურ, ტრივიალურ გარემოში ვერ ვლინდება მის პოტენციაში არსებული, არ იქმნება სულიერი აქტივობის ვითარება. იგი მთელი სისრულით მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როდესაც დგება გადამწყვეტი არჩევანის აუცილებლობა, რომლის სისწორე ადამიანის სოციალურ-მორალური და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარეობს.

არჩევანის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე საჭირო სოციალურ-ზნეობრივი პრობლემაა. განსაკუთრებით გამძაფრებულია ეს საკითხი ომის დროს. თავისი მოქმედების შედეგისათვის პიროვნება პასუხისმგებელია როგორც საკუთარი სინდისის, ისე ქვეყნისა და თანამებრძოლების წინაშე. გადამწყვეტი არჩევანის დროს ჩანს მისი სოციალურ-პოლიტიკური არსი, მორალური სიმწიფე. მაშინ წარმოჩინდება, გამოიკვეთება პიროვნებაში არსებული საწყისიდან რომელი ჭარბობს — სიკეთე თუ ბოროტება, ვაჟკაცობა თუ სიმხდალე, ჰუმანიზმი თუ ეგოიზმი და ა. შ. არჩევანის შედეგზე დიდადაა დამოკიდებული გმირის შემდგომი გზა, უფრო ნათლად გამოჩნდება განვლილი ცხოვრება, გამოიკვეთება მომავალი.

საბჭოთა მზვერავს ლადო ვაშალომიძეს სამხედრო დავალების შესრულებაში ეხმარება ყუბანელი მებადური ვასილ ჟიგა (მოთხრობა „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური"). როდესაც საჭიროებამ მოითხოვა, მოხუცმა საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა ქართველი ჯარისკაცი. მებადურის ეს არჩევანი, ერთი შეხედვით, მოულოდნელი ჩანს. ძნელია სხვის მაგივრად ტყვიას მიუშვირო მკერდი. მაგრამ ავტორი გვიჩვენებს, რომ ჟიგას ეს მოქმედება, მისი ყოველი ნაბიჯი დამაჯერებელი და უტყუარია. მან შეგნებულად გაუცვალა ადგილი დასახვრეტად გამზადებულ ლადოს არა იმიტომ, რომ ეს ბიჭი მას განსაკუთრებულად უყვარს, ამით არც სტუმარ-მასპინძლობის წესი დაუცავს, მისი არჩევანი განაპირობა სამშობლოს ჭეშმარიტმა სიყვარულმა, მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილმა, მაღალმა შეგნებამ. მოთხრობაში დახატულია მწუხარებისაგან გაკერპებული მოხუცი, რომელიც ხელსაყრელ მომენტს უცდის, რომ ფაშისტებს ყველაფრისათვის სამაგიერო მიაგოს. ავტორმა მიგვანიშნა, რომ ჟიგას პიროვნებაში, მის პოტენციაში დავანებული იყო გმირული და საწყისი და როდესაც საამისო მომენტი შეიქმნა, სულის წიაღში არსებული — რეალობად იქცა და შესაბამისი მოქმედებაც მოჰყვა.

მხატვრულ ნაწარმოებში შემთხვევით არაფერი არ ხდება, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა ხდებოდეს. გმირის ყოველ მოქმედებას დამაჯერებელი მოტივირება სჭირდება. პერსონაჟის ქცევა, მოქმედების გამომწვევი მიზეზი ბუნებრივი და უტყუარი უნდა იყოს. აუცილებელია აღწერილი ამბისა და სოციალურ-ფსიქოლოგიური მომენტების ურთიერთკავშირი, მხატვრულლოგიკური სისწორე.

როდესაც გაირკვა, რომ ლადო ვაშალომიძე „მეოთხე მეხუთე" იყო (სოფლის მოედანზე შეკრებილი ხალხიდან, რომელთა შორის არიან ქართველი მზვერავი და მოხუცი მებადური, ფაშისტებმა ყოველი მეხუთე უნდა დახვრიტონ). ვასილ ჟიგამ ადგილი შეუცვალა ლადოს. მოქმედება ისეთ ფონზეა დახატული (განსაცდელში მყოფი სამშობლო, მტრის მიერ მოკლული ცოლი, დახვრეტილი მეზობლები), რომ არ შეიძლება პერსონაჟის ქცევაში ეჭვი შეგვეპაროს. საოცრად ლაკონურად, მაგრამ მეტყველად, რამდენიმე სიტყვით არის გადმოცემული ყუბანელი მებადურის გმირობა: „უეცრად ვილაცამ მხარი გამკრა... მოვიხედე, ვასილ ჟიგამ ადგილი შემიცვალა, ჩემსა და მეოთხე კაცს შუა ჩადგა. გაჩუმდი! ჩამჩურჩულა და ოფლად გამდნარი ხელი ხელზე მომიჭირა. სხვაფერ არ შეიძლება".
ერთი დეტალით — „ოფლად გამდნარი ხელით", მწერალმა მიგვანიშნა მოხუცი ჟიგას იმ დიდ შინაგან დაძაბულობასა და ბრძოლაზე, რომელიც მის არსებაში მიმდინარეობს, აი აქ იმძლავრა პიროვნების მორალურმა სიმწიფემ, ღრმა პატრიოტიზმმა, იმის შეგნებამ, რომ სამშობლო მისგან სწორედ ასეთ მოქმედებას მოითხოვს, ყოველივე ამან მოხუცს შეაძლებინა მოეთოკა სიკვდილის შიში, სიცოცხლის ფასად გადაერჩინა საბჭოთა მზვერავი.

კ. ლორთქიფანიძის მოთხრობებში არ არის დახატული დიდი, ბატალური სცენები, მძაფრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრძოლო პერიპეტიები. მასთან ლოკალიზირებულია როგორც მასშტაბები, ისე დრო და მოქმედ პირთა რაოდენობა. მწერალი გვიჩვენებს ერთ კონკრეტულ სიტუაციას, ერთ ადამიანს, აკვირდება, თვალს ადევნებს ჯარისკაცის ფსიქიკას, აინტერესებს რას წარმოადგენს, რა შეუძლია სიკვდილის პირისპირ მდგარ ადამიანს, რატომ იქცევიან სხვადასხვანაირად თითქმის ერთნაირ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, ცდილობს შეაღწიოს მებრძოლის სულის ისეთ სიღრმეებში, სადაც შეიძლება დადგინდეს: რა უდევს საფუძვლად არჩევანს, შეგნებული მოქმედება თუ ქვეცნობიერი ინსტინქტი. ყოველივე ამის საშუალებას კი იძლევა ის ტრაგიკული სიტუაცია, რომელშიც იმყოფება ნაწარმოების მოქმედი პირი. ასეთ ეპიზოდში, ხშირად კონცენტრირებულია ნაწარმოების მხატვრული ენერგიის მაქსიმუმი. ალბათ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომელმაც შემოქმედისაგან ომზე შექმნილ ნაწარმოებთა შედარებით მცირე ფორმა მოითხოვა. კ. ლორთქიფანიძის მოთხრობებში ნაჩვენებია პიროვნების ფსიქიკაში მიმდინარე ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობათა უმძაფრესი ჭიდილი. ეს სათაურებიდანაც ჩანს: „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“, „როდესაც კაცი მარტოა“, „სიკვდილი ცოტას მოიცდის“ და სხვ. მკითხველის ყურადღება თავიდანვე ერთი გარკვეული მიმართულებით არის გამახვილებული და კონცენტრირებული (ქართულ კრიტიკაში აღნიშნულია კ. ლორთქიფანიძის იშვიათი უნარის შესახებ: მოძებნოს ზუსტი, შესაფერი სათაური, რომელშიაც დაწნეხილია, კონდენსირებულია ის ამბავი, ქვევით. ნაწარმოებში რომ იქნება მოთხრობილი. კ. გამსახურდიას კი ზუსტი სათაური მწერლის ნახევარ გამარჯვებად მიაჩნდა).

ვასილ ჟიგასაგან განსხვავებით მწერალმა სულ სხვა სიტუაციაში მოაქცია ლევან ნადიბაიძე („როდესაც კაცი მარტოა“). ამ ნოველის სათაურშიც ხაზია გასმული პერსონაჟის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე, სიკვდილთან, სირცხვილნამუსთან, თავისთავთან მარტო დარჩენილი კაცის ფიქრებსა და მოქმედებაზე.

ლევანი და მისი მეწყვილე, დათო რაინაული ჯავშნიანი ხუფის მოსაძებნად არიან გაგზავნილნი. მათ დავალება შეასრულეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მინდვრის ის უბანი, სადაც დილით ჩვენმა მოიერიშე ნაწილებმა უნდა გაიარონ, დანაღმულია, რაც უცნობია საბჭოთა სარდლობისათვის. ამდენად, ოპერაციის ჩატარება საფრთხის ქვეშაა და ათეულობით საბჭოთა ჯარისკაცი ტყუილუბრალოდ უნდა დაიღუპოს.

დრო აღარ ითმენს. გამთენიისას ჩვენები იერიშზე გადავლენ. ლევანი რაინაულს უკან გზავნის, რათა მეთაურს მოახსენოს ჯავშნიანი ხუფის ადგილისა და დანაღმული ველის შესახებ, თვითონ კი რჩება თოვლიან, გაყინულ მინდორში და დანაღმვას იწყებს. ამასობაში, იერიშის წინ, საბჭოთა ქვედანაყოფებმა ძლიერი საარტილერიო მომზადება დაიწყეს. ლევანთან სულ ახლოს და ახლოს სკდებიან ყუმბარები, ნადიბაიძე სახიფათო რკალში აღმოჩნდა. თუ არ გაეცლება იქაურობას, ან თავისიანების ყუმბარა მოკლავს, ან მტრის ნაღმზე აფეთქდება.

ბუნებრივია, ამ მეხთატეხაში ლევანი ყოყმანს იწყებს — ღირს თუ არა რისკი? დავალება შესრულებულია, სამხედრო წესდების მიხედვით მზვერავს სრული უფლება აქვს დაბრუნდეს თავის ნაწილში. სიკვდილის შიში, თავდაცვის ინსტინქტი მას თავშესაფარისაკენ ეწევა. მაგრამ მეორე, არანაკლებ ძლიერი გრძნობა კაცთმოყვარეობისა, დიდი პასუხისმგებლობა ქვეყნის, თანამებრძოლების ბედისათვის, ხელ-ფეხს უკრავს მას. ამ სიტუაციაში პერსონაჟის სულიერი მდგომარეობის, მისი ბუნების გასახსნელად მწერალმა შინაგანი მონოლოგი აირჩია, რომელიც საშუალებას იძლევა გვიჩვენოს პერსონაჟი „შიგნიდან“.

როგორ უნდა მოიქცეს შექმნილ სიტუაციაში ლევან ნადიბაიძე? პირდაპირი სამხედრო ბრძანება არ არის. ქართველი მზვერავის ერთადერთი განმგებელი ახლა არის საკუთარი სირცხვილნამუსი, რომელიც არ მოქმედებს პიროვნების გონისა და ნებისაგან დამოუკიდებლად, იგი გამომდინარეობს ადამიანის ზნეობრივი შეგნებიდან. ლევანი აანალიზებს გარემო პირობებსა და საშუალებას, ეძებს თავისი მოქმედების მოტივირებას, რომლითაც ჯერ თავი უნდა დაიჯეროს, მერე სხვების თვალში იყოს მართალი:

„მეტი რაღა დარჩენია! ღმერთია მოწამე, ერთ კაცს რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა. ახლა აქაურობას უნდა გაეცალოს, თორემ სიგიჟე არ იქნება, რომ ლევანი ურალში ჩამოსხმული ყუმბარის მსხვერპლი გახდეს?!“.

სირცხვილი ადამიანს საშუალებას აძლევს შეაფასოს და შეადაროს თავისი მოქმედება იმ მოქმედებას, რომელსაც ამავე სიტუაციაში ჩაიდენდა მის ირგვლივ მყოფი ხალხი. ამ შემთხვევაში ლევანის თანამებრძოლები (ე. ი. თავის მოქმედებას ადარებს იმ სოციალურ გარემოს მორალურ ნორმებს, რომელსაც თვითონ ეკუთვნის):

„უნდა გაეცალოს ამ ადგილს — თავს არწმუნებს ლევანი. ასევე მოიქცეოდა რაინაული, ასე მოიქცეოდნენ სხვებიც, ამირიძეც ამასვე ეტყოდა. კაცი ვერ გაიგებს, როგორ მოიქცა ამ ცოდვის კალოზე. ვინ ეტყვის სამდურავს. გული რომ შეუკრთა და ხელი ბოლომდე არ გამოიღო, რაც გასაკეთებელი იყო. ღამეს ენა არა აქვს და თვალი. სხვა მოწმე ლევანს არავინ ჰყავს“, ამართლებს თავის საქციელს მზვერავი და თანდათან შორდება დანაღმულ მინდორს. მოწმე მართლაც არა ჰყავს, მაგრამ რა უყოს საკუთარ სინდისს? მტანჯველი ფიქრი არ ეშვება ლევანს და უკან ეწევა. შინაგანი მონოლოგი საშუალებას იძლევა უფრო ღრმად იქნეს მოტივირებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი გმირის მოქმედება. თანდათან მწიფდება სწორი და საბოლოო არჩევანის აუცილებლობა:

„შენ თუ მართალი ხარ, ბიჭო, მაშ რატომ ედავები შენს გულს ასე გამწარებული?! ნახევარ საათში შენი ამხანაგები აქ გაჩნდებიან, ვინ იცის, რამდენი კაცი ტყუილუბრალოდ შეეწირება გზის გასაყართან ჩატოვებულ ნაღმებს“.

როდესაც ადამიანში ჩნდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობა, დგება გადამწყვეტი არჩევანის მომენტი — ან აქეთ, ან იქით, მესამე გზა არ არსებობს, აქ გამოჩნდება რა ხელეწიფება პიროვნებას. ლევანი ისე მოიქცა, როგორც ყოველი მამულიშვილი, კაცთმოყვარე ადამიანი მოიქცეოდა. ისევ მიუბრუნდა დანაღმულ ადგილს და მძიმედ დაჭრილი, სანამდისაც შეეძლო, ნაღმებს „შხამიან ნესტარს“ აცლიდა.

სასიკვდილო განსაცდელთან დარჩენილ ადამიანს აუცილებლად სჭირდება სულის სიმხნევე, რომელსაც თავის ცხოვრებისეულ თუ ზნეობრივ გამოცდილებაში ეძებს, და რომელიც მარტოობის ჟამს მისი მეკავშირე იქნება. სხვადასხვა ადამიანთან ეს მეკავშირე შეიძლება სხვადასხვა იყოს. მაგალითად, სამშობლოს სიყვარული, რევოლუციური იდეალები, სირცხვილნამუსი, კაცთმოყვარეობა, და სხვ. ესენი მუდამ ადამიანთან არიან, მისი მოქმედების მომწესრიგებელი ფუნქცია აკისრიათ, მის კაცობას სდარაჯობენ. კრიტიკულ სიტუაციაში ამოტივტივდა გონებაში დალექილი მშობლიური შირაქი, მიმინოს ხევთან, ორლობეში მამის ნათქვამი სიტყვები, ომში წასვლის წინ რომ დააბარა: „— ხვადაგმა სირცხვილ-ნამუსი არ იცის, ბიჭო! ადამიანი კი... ადამიანი მხოლოდ სირცხვილ-ნამუსია! თუ ეს დამკარგა, მაშინ ყველაფერი დაკარგული გაქვს! შენ ძნელ საქმეზე მიდიხარ, ლევან, გახსოვდეს ჩემი სიტყვა...“ ამის შემდგომი მოქმედება: ქვეყნისათვის თავგანწირვა, ჯარისკაცული მოვალეობისათვის თავდადება, მამის სიტყვების იმ მორალური ფასეულობის რეალიზაციაა.

მოთხრობა „სიკვდილი ცოტას მოიცდის“ კ. ლორთქიფანიძის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. აქ ნაჩვენებია ქართველი ჯარისკაცის შეუდრეკელი ხასიათი, მისი მორალური სიძლიერე. იონა მებუკეს, ამ უტეხ კაცს, ჩამოშორებული აქვს ზებუნებრივი გმირის იერი. მასთან უაზრო თავგანწირვასა და რისკს ლოგიკური ანალიზის შედეგად მიღებული სწორი გადაწყვეტილება სძლევს, წყნარი, უპრეტენზიო ადამიანია ჭაგნელი ტრაქტორისტი, „არამკითხე მამობილი“, როგორც ზოგიერთებმა შეარქვეს. ყველას დამხმარე და მშველელი, ომის გზებს რომ დააბიჯებს ყველაზე მძიმე, ჯარისკაცული რაგინდარათი გამოტენილი ჩანთით, რომელიც ყველაზე ნაკლებად მას სჭირდება. იგი არ არის საკუთარ კერას მოწყვეტილი, ომისაგან გაბოროტებული ადამიანი, მას შეგნებული აქვს თავისი მოვალეობის სიმძიმე და პასუხიმგებლობა. საომარი ატრიბუტები, მტრის ზურგში შექმნილი სიტუაცია ფონია იმისათვის, რომ გამომჟღავნდეს ქართველი კაცის რაობა, გაირკვეს რას წარმოადგენს სიკვდილთან პირისპირ დარჩენილი ადამიანი, რა შეუძლია მას.

იონა და მოთხრობის მეორე პერსონაჟი — გური არდაშელია დაზვერვაზე არიან. არდაშელია უფრო ღრმად შევიდა მტრის განლაგებაში, მებუკე კი მოშორებით დარჩა, გაჭირვების ჟამს თანამებრძოლს უნდა დაეხმაროს, საჭიროების დროს უკან დასაბრუნებელი გზა გაუწმინდოს. ორმოში თავშეფარებულმა ქართველმა მზვერავმა დაინახა ფაშისტი ჯარისკაცი, რომელმაც ხელყუმბარა მოიხსნა და იმ ადგილს დაუმიზნა, სადაც იონა იყო, სანამ მებუკე გაარკვევდა, შეამჩნია თუ თავს ირთობდა გერმანელი, ამ უკანასკნელმა მისკენ ხელყუმბარა ისროლა, რომელიც იქვე, ორმოში ჩავარდა, მაგრამ ბედად არ აფეთქდა, მაშინ გერმანელმა მეორე ხელყუმბარა მოიხსნა და ჯიუტად ისევ იმ ადგილს დაუმიზნა.

უმძიმესი მორალური გამოცდა მოუწყო მწერალმა თავის გმირს, ბეწვის ხიდზე შეაყენა, თოფის ერთი გასროლაა სიკვდილ-სიცოცხლეს შორის, პიროვნულისა და საქვეყნო საქმის, თავის გადარჩენისა და მოვალეობის გრძნობის ჭიდილში — რომელი რომელს? პასუხისათვის ავტორმა იონას წამება დაუტოვა.

კ. ლორთქიფანიძის ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში ტრაგიკულ სიტუაციაში არჩევანის დროს გმირის მოქმედება პიროვნების ზნეობრივი ქმედების, ქცევის კულმინაციას წარმოადგენს, რომელიც ხშირად ნაწარმოების კულმინაციურ მომენტსაც ემთხვევა („როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“, „როდესაც კაცი მარტოა“, „სიკვდილი ცოტას მოიცდის“ და სხვ.). დროის უმცირეს მონაკვეთში ჩაეტია სამშობლო, მოვალეობა, მტრის ზურგში შესული ამხანაგი, მისკენ მეორედ დამიზნებული ხელყუმბარა (ჯარისკაცული სიბრძნე ამბობს: „იარაღმა ორჯერ მტყუნება არ იცის“), მყარი სოციალურ-მორალური გამოცდილება (44 წლის კაცი იყო იონა მებუკე, როდესაც მიხვდა, რომ მთელი მისი სიცოცხლე მხოლოდ ამ ერთი წუთის მოსამზადებელი წლები იყო) ყოველივე ეს გაერთიანდა სუბიექტურ „მე“-ში და გადაიქცა გადამწყვეტი არჩევანის საფუძვლად, ჯარისკაცმა ერთ წუთში ორჯერ გაუძლო სასიკვდილო გამოცდას, ადამიანური ნებისყოფის ფასად სძლია შიშს, არ გაამჟღავნა თავისი იქ ყოფნა. ამით მებუკემ გური არდაშელია იხსნა, საბრძოლო დავალებაც და საკუთარი სინდისის წინაშე პირნათლად დარჩა.

ქვეყნის დაცვის აუცილებლობა, მოვალეობა, კაცთმოყვარეობა, რა თქმა უნდა, ასაზრდოებს იონასა და მის მსგავს ვაჟკაცების არჩევანს, მაგრამ ეს თავგანწირვა, ალბათ, მათ არანაკლებ

სჭირდებათ, ვიდრე ქვეყანასა და ხალხს. ყოველი მოქმედება, შეგნებული თუ უნებლიე, საკუთარი იდეალებისადმი სიმტკიცის, თავისი შესაძლებლობების გამოცდაა.

რა განაპირობებს, რა ასაზრდოებს ასეთ არჩევანს? საიდან იღებს სათავეს ეს შესაშური ვაჟკაცობა და სიმტიცე? ერთი შეხედვით, პერსონაჟთა ეს მოქმედება მოულოდნელი ჩანს, ისინი არაფრით არ განსხვავდებიან სხვებისაგან. უხმაუროდ, ერთგულად ეწევიან ქვეყნის დამცველის მძიმე ტვირთს. სხვა ვითარებაში ალბათ შეუმჩნეველნიც დარჩებოდნენ. მათი ომამდელი ცხოვრების შესახებ თითქმის არაფერი ვიცით, მოთხრობილია მათი ცხოვრების მხოლოდ ერთი პატარა, მაგრამ საოცრად ტევად და ბევრისმთქმელ პერიოდზე. ისინი უბრალო, შრომისმოყვარე ადამიანები არიან, საჭიროების ჟამს თოფს რომ მოჰკიდეს ხელი.

იმ „სისხლის წვიმების" დროს იონა მებუკეს მამობრივი მზრუნველობა გური არდაშელიაზე სხვა არა არის რა, თუ არა კაცთმოყვარეობისა და მაღალი ჰუმანიზმის გამოვლენა. ამ მოთხრობის დასასრულს ავტორს თავის გმირზე უწერია: „როგორი ჩუმი კაციც იყო ცხოვრებაში, იქაც ასე ჩუმად იწვა სკოლის ოთახში (ჰოსპიტალში — მ. შ.) და დილიდან საღამომდე დავით კლდიაშვილის მოთხრობებს კითხულობდა". შემთხვევით არ უხსენებია კ. ლორთქიფანიძეს ეს დიდი ჰუმანისტი მწერალი, რომელსაც თავის მოგონებებში ერთგან უწერია: „ნაშრომს ვუძღვნი მათ ხსოვნას, ვინც გული სიყვარულით გამითბო, მასწავლა ადამიანთა პატივისცემა, დანდობა, ამ სიყვარულის წყალობით ჩემი გულიც ადამიანის სიყვარულს ეჩვეოდა და სწავლობდა". აი, რატომ არ იშორებს იონა დავით კლდიაშვილის მოთხრობებს, იქ, იმ სამყაროში პოულობდა და პოულობს სულიერ საზრდოს, ,სწავლობს ადამიანების სიყვარულს, იქვე იპოვა თავისი ცხოვრების მიზანი და დანიშნულება ამ ქვეყანაზე.

მწერალმა მოქმედ პირთა ამგვარი სულიერი ნიუანსებით, სხვადასხვა შტრიხებით და დეტალებით გვიჩვენა, რომ მისი გმირების გადამწყვეტი არჩევანი შემთხვევითი, ფატალური გარდუვალობით გამოწვეული კი არ არის, არამედ მათ ბუნებაში არსებული, მათი მორალურ-ეთიკური მრწამსიდან გამომდინარე ლოგიკური შედეგია.

კ. ლორთქიფანიძე განსაკუთრებულ გარემოს უქმნის თავის პერსონაჟებს, სადაც სრულად უნდა გამოვლინდეს მათი პოტენციური შესაძლებლობანი. მწერალმა გვიჩვენა, რომ უმძიმესი განსაცდელის ჟამს ადამიანის ქცევა, მისი არჩევანი მარტო ქვეცნობიერი ინსტინქტით როდია განსაზღვრული, მას აგრეთვე განსაზღვრავს ქვეყნის სიყვარული, პიროვნების მაღალი შეგნება თუ მორალური მოვალეობანი. მოთხრობებში ოსტატურად არის დახატული ჩვენი ხალხის გმირობა, ქართველი ჯარისკაცის ჰუმანიზმი, ღრმა პატრიოტიზმი. ეს თვისებები განპირობებულია საბჭოთა სინამდვილით, ნაციონალური თავისებურებებით, იმ მაღალი შეგნებით, სასიკვდილო განსაცდელის ჟამსაც რომ არ ღალატობს გმირებს და განსაზღვრავს მათ სწორ არჩევანს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ ხუციშვილი

# ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის საბუთები

XIX საუკუნეში ქველმოქმედებით ბევრი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმე გაკეთდა. სახელოვან ქველმოქმედ-მოქალაქეთა — ძმების ზუბალაშვილების, გიორგი ქართველიშვილის, დავით სარაჯიშვილისა და სხვათა გულუხვი შესაწირავით იბეჭდებოდა ქართული კლასიკური ლიტერატურის ძეგლები, უცხოეთისა და რუსეთის უნივერსიტეტებში უმაღლეს სწავლას იღებდნენ ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდები, არსებობდნენ ქართული თეატრი და სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულება-საზოგადოებანი...

საქვეყნოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდი და მნიშვნელოვანია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობა და ღვაწლი: იგი არა მხოლოდ ავრცელებდა წერა-კითხვას და მართავდა სახალხო სკოლებს, არამედ, იმავე დროს, ჰკრებდა ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, მანვე დააარსა ეროვნული მუზეუმი, შექმნა ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, თავი მოუყარა ქართულ ხელნაწერებს, ითავა მრავალი სხვა საქმე და ყველაფერი ეს მხოლოდ და მხოლოდ ქველმოქმედებით კეთდებოდა. ქართული დაწესებულებანი და ბევრი მოღვაწე არ იშურებდნენ თავიანთ შესაძლებლობას სახალხო-ეროვნული კეთილდღეობისათვის.

ქველმოქმედებით გარკვეული თანხების გაღება ქართულ სამეცნიერო დაწესებულება-საზოგადოებათა სასარგებლოდ ჩვენი საუკუნის პირველ წლებშიც წარმოებდა. ამისი საბუთია „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ მიმართვა „ტფილისის კომუნალური ბანკის გამგეობის“ მიმართ, გაგზავნილი 21 ღვინობისთვეს 1925 წლისა (№ 102). ეს მიმართვა საინტერესო საბუთია, რომელიც წარმოადგენს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოკლე ისტორიას და, ამასთან, იგი დახასიათება და ჩამოთვლაა იმ დიდ სამუშაოთა, რაც ხსენებულ საზოგადოებას პირველი, გადაუდებელი რიგის საქმედ მიაჩნდა. ამ მიმართვაში წერია:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო, იძულებული საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობით, მოგმართავთ თქვენ შემდეგით:

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დაარსდა 1907 წელს და მაშინვე ფართო გამოძახილი ჰპოვა ქართველი საზოგადოების ყველა წრეებში: უკანასკნელის ინტენსიურმა ზნეობრივმა და ნივთიერმა დახმარებამ საშუალება მისცა „საზოგადოებას“ გამხდარიყო ერთი უძლიერესი ქართული კულტურული დაწესებულებათაგანი. 1917 წლისთვის „საზ-ბას“ ეკუთვნოდა უძრავი მამული, 124.000 მანეთად შეფასებული, მოეპოვებოდა დაახლოებით 100.000 მანეთის ფასიანი ქაღალდები და, ამას გარდა, ჰქონდა ყოველწლიური შემოსავალი საადგილმამულო ბანკის (წმინდა მოგებიდან) ყოველწლიური სუბსიდიისა (7 — 12.000-მდე) და საწევრო გადასახადთა სახით. „საზ-ბა“ ითვლებოდა აგრეთვე მდიდარ მემკვიდრეობათა სუბიექტად (ეკატ. სარაჯიშვილისეულისა და სხვათა). ასეთმა ქონებრივმა საშუალებებმა შეაძლებინეს „საზ-ბას“ შეექმნა უმდიდრესი ქართული სიძველეთსაცავი, რომელშიაც დაცულია ძვირფასი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული

მასალა, ეწარმოებინა მუდმივი სამკვლევაო ხასიათის მუშაობა და გაეჩაღებინა ფართო გამომცემლობა ოთხი სერიის სახით: „ძველი საქართველო“ (გამოვიდა 4 ტომი), „საქართველოს სიძველენი“ (3 ტომი და 2 ალბომი), „ძვ. ქართული მწერლობა“ (1 ტ.) და „ქართ. ხალხ. სიტყვიერება“ (2 ტ.).

მსოფლიო ომის მიერ გამოწვეულმა სიძვირემ და აგრეთვე შერმინდელმა ამბებმა „საზ-ბის“ მოქმედება რამდენიმედ შეაფერხეს, მაგრამ განსაკუთრებით შესუსტდა იგი მას შემდეგ, რაც „საზ-ბას“ ჩამოერთვა მთელი უძრავ-მოძრავი ქონება. დღესდღეობით „საზ-ბის“ ერთადერთი შემოსავალი არის საწევრო გადასახადი, რომელსაც არ შეუძლიან დააკმაყოფილოს „საზ-ბის“ უმცირესი საჭიროებანიც კი. ხშირად „საზ-ბას“ არა აქვს საშვალება დაფაროს ჩვეულებრივი კრებების გამართვასთან დაკავშირებული ხარჯები. მეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ „საზ-ბას“ არ მოეპოვება შესაძლებლობა განაახლოს თავისი გამოცემები, რაიცა ერთი მხრით, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს ქართულ ენაზე არ გამოდის სპეციალური საისტორიო ორგანო, აუტანელ მდგომარეობას ჰქმნის მკვლევართათვის, — და მეორე მხრით, „საზ-ბის“ ინდივიდუალური არსებობის სიკვდილს უდრის. „საზ-ბის“ გამომცემლობის აღდგენას კი მოითხოვენ ქართული მეცნიერების გადაუდებელი ინტერესები. ზემოთმოყვანილი მოსაზრების გარდა, საკმარისი იქნება ითქვას, რომ დიდიხანია გამოქვეყნებას ელოდება „საზ-ბის“ არქივში დაცული ქართული ხალხური სიტყვიერების მრავალფეროვანი მასალა, რომელიც დაიჭერს 30-40 ტომს. ასევეა დაგროვებული მასალა სხვა დარგებიდანაც, და ძვ.-ქართ. მწერლობის ძეგლების გამოცემაც ხომ მაღალი მნიშვნელობის საჭიროებას წარმოადგენს. საბჭო ჰფიქრობს აგრეთვე, რომ ასეთსავე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე არქეოლოგიური გათხრის მოწყობა საქართველოს სხვა და სხვა პუნქტებში (პირველ რიგში: ბოლნისსა, ნაქალაქევსა და გეგუთში). ყოველივე ამას დიდი მატერიალური საშუალებები სჭირია (მაგ. „საზ-ბის“ ერთ-ერთი სერიის ჩვეულებრივი ფორმატის ტომის დაბეჭდვა 1000 ცალიანი ტირაჟით, დაჯდება 3.000 მანეთამდის. გათხრისათვის კიდევ პირველ ხანაში საჭირო იქნება 5.000 მ.), და ამ მხრით ისევ ქართველი საზოგადოების იმედი თუ გვექნება.

მოგახსენებთ რა ყოველივე ზემოთქმულს, საბჭო სავსებით დარწმუნებულია, რომ ქართული მეცნიერების ინტერესები თქვენთვისაც ღრმად ახლობელი და გასაგებია და რომ ამ დიდი ეროვნულ-კულტურული საქმის ორგანიზაციისათვის არ დაიშურებთ თქვენს უხვს დახმარებას ქართული საზოგადოებრიობის კეთილი ტრადიციების მიხედვით.

საზოგადოების თავმჯდომარე
ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი
მდივანი ს. ჯ ა ნ ა შ ი ა“.

ეს მიმართვა ბანკის გამგეობას 25 ნოემბერს მიუღია და საბჭოს სხდომისათვის შეუნახავს, რაც მომდევნო წლის დასაწყისში იმართებოდა ხოლმე და ისმენდა გამგეობის ანგარიშს და სხვა საკითხებს.

მიმართვის პირველი გვერდის მარცხენა ზემო კუთხეში წითელი მელნით წერია: 1.000. როგორც ეტყობა, ბანკის გამგეობას პროექტში ერთი ათასი მანეთის გაღება ჰქონდა განზრახული, მაგრამ საქმე სხვაგვარად წასულა.

არსებობს მეორე მიმართვაც, დაწერილი უკვე 1926 წლის 5 მარტს, რითაც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ტფილისის კომუნალური ბანკის გამგეობას მიმართავს:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო ღრმა მადლობას მოგახსენებთ იმ უხვი შეწირულებისათვის, რომელიც თქვენ 3.000 მანეთის რაოდენობით გაიღეთ საზოგადოებისათვის. აღნიშნული თანხა მნიშვნელოვან მატერიალურ საშუალებას წარმოადგენს იმ ფართო გეგმის განხორციელებაში, რომელიც საზოგადოებას დასახული აქვს მიმდინარე წელს გამომცემლობისა და არქეოლოგიური ძიების სფეროში. საბჭო დარწმუნებულია, რომ საზოგადოება მომავალშიაც მუდამ ისარგებლებს თქვენი კულტურული ყურადღებით.

საზოგადოების თავმჯდომარე
ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი
მდივანი ს. ჯ ა ნ ა შ ი ა“.

ბანკის გამგეობის თავმჯდომარის (რაჟდენ გლახუნის ძე დუმბაძე) რეზოლუციით ეს მიმართვა საბჭოს საქმეებში შესანიშნავად გადაუდვიათ.

მომდევნო საბუთი შექმნილია და დაწერილია ივანე ჯავახიშვილისაგან და საქართველოს ისტორიის კათედრის ისტორიისათვის და ზოგიერთი ქართველი მოღვაწის ბიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანია:

„ტ. ს. უ. პედაგოგიური ფ-ტის საქართველოს ისტორიის საგნობრივ კომისიას.

რათგან საისტორიო წყაროების უცოდინარობის გამო საქართველოს ისტორიის სემინარში მუშაობა სტუდენტებს უძნელდებათ და სათანადოდ ნაყოფიერი შედეგი არ ჩანს, ამის გამოსასწორებლად აუცილებლად საჭიროა, რომ სტუდენტებმა უკვე მე-2 კურსზე ისტორიის დამხმარე დარგების მოსმენის გარდა, საქართველოს საისტორიო წყაროთმცოდნეობაც შეისწავლონ. მაშინ მე-3 და 4 კურსებზე მათ როგორც სპეც. კურსების მოსმენა, ისევე საის-

ეროვნული

ტორიო სემინარში მუშაობა გაუადვილდებათ, მათი მეცადინეობაც ნაყოფიერი გახდება. ვშუამდგომლობ საგნ. კომისიის წინაშე, რომ საქართ. საისტორიო წყაროთმცოდნეობის კურსი დაწესდეს კვირაში 2 საათ. ფარგლებში და მისი წაკითხვა ლექტ. ს. ჯანაშიას მიენდოს.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი.
1926. 10. XII".

სიმონ ჯანაშიამ ამის შემდეგ, მართლაც, უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ისტორიისა და ლიტერატურის დარგთა სტუდენტებისათვის 1927 წლის სექტემბრიდან დაიწყო კითხვა „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის კურსისა", რომელიც მეორე კურსის სტუდენტებს ორი სემესტრის განმავლობაში ეკითხებოდათ საქართველოს ისტორიის კურსის მოსმენის შემდეგ. ისტორიის კურსი თვით ივანე ჯავახიშვილს ებარა.

შემდეგი საბუთი ისევ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას" უკავშირდება და დაწერილია 1928 წლის 23 ოქტომბერს. იგი განეკუთვნება სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობას. ამ საბუთში წერია:

„საზოგადოების საბჭო გთხოვთ აუნაზღაუროთ ფასი თექვსმეტი თუმანი (160 მ.) რვაასი (800) ფურცლის სარეპროდუქციო ქაღალდისა, რომელიც წაღებულია საზოგადოების საწყობიდან თქვენის დავალებით პროფ. აკაკი შანიძის მიერ შუხართისეული ხანმეტი ხელნაწერის გამოსაცემად.

საზოგადოების თავმჯდომარე
ივ. ჯავახიშვილი
მდივანი ს. ჯანაშია".

მომდევნო საბუთი ისევ ივანე ჯავახიშვილის ხელითაა ნაწერი და არის 1934 წელს სურამიდან გამოგზავნილი წერილი უნივერსიტეტის გამომცემლობის მაშინდელი დირექტორის დავით ორაგველიძის სახელზე.

უნივერსიტეტის გამომცემლობამ ამ წელს გამოსცა ივანე ჯავახიშვილის „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII საუკუნეებში". წიგნი წარმოებას გადაეცა 1934 წლის 2 ივლისს, ავტორმა წინასიტყვაობა დაწერა 24 ივლისს, როცა წიგნი აწყობილი იყო. დასაბეჭდად ავტორმა ნება დართო იმავე წლის 16 აგვისტოს.

წერილის ტექსტი შემდეგია:

„სურამითგან.
1934. 12. VIII.

დიდად პატივცემულო ბ-ნო დავით!

დღეს მივიღე კორექტურა, გავასწორე და დღესვე ვატან უკან. ხელი მოვაწერე, თუმცა მე-11 გვერდზე სომხურ ტექსტში ის ორი შეცდომა ისევე გაუსწორებელია. თუ ყველა შეცდომა არ გასწორდა და სომხ. ტექსტის გასწორებული ადგილი სომხ. შრიფტის მცოდნეს არ შეამოწმებინეთ, დაბეჭდვა არ შეიძლება, თორემ წიგნი შესაძლებელია ამ ორ შეცდომამ სრულებით გააფუჭოს. კორექტორის შენიშვნებზე პასუხს აქვე ვგზავნი.

ივ. ჯავახიშვილი".

ეს პატარა ბარათი ივანე ჯავახიშვილის პასუხისმგებლობის გრძნობისა და მისი მეცნიერული პრინციპულობის გამოვლენაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან ითონიშვილი

# ღვაწლმოსილი მეცნიერი

## გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 90 წლისთავის გამო

დაბადების ოთხმოცდაათი წელი შეუსრულდა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის შემქმნელსა და დღემდე უცვლელ ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაიას. მას წილად ხვდა სათავეში ჩასდგომოდა ერთ-ერთ დიდ ეროვნულ დარგს — მშობელი ხალხის უძველესი და უმდიდრესი კულტურის, ყოფისა და ტრადიციების შემსწავლელ მეცნიერებას მაშინ, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა და დიდი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ფართოდ გაიშალა კვლევა-ძიება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში. 65 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გ. ჩიტაია სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა. ამ ხანგრძლივი დროიდან 60 წელი განუყრელად არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერების უწყვეტ განვითარებასთან.

გიორგი ჩიტაია დაიბადა 1890 წელს ქ. ფოთში. მისი მშობლები, ფოთში დასახლებამდე, სოფ. ორპირში ცხოვრობდნენ და მიწათმოქმედებას მისდევდნენ. 1907 წლამდე გ. ჩიტაია ფოთის სამოქალაქო სკოლაში სწავლობდა და თანაც მუშაობდა პორტში, რკინიგზაზე და სტამბაში. იმავე პერიოდში მოემზადა სიმწიფის ატესტატისათვის და 1910 წელს, შვიდი კლასის გამოცდების ჩაბარების შემდეგ, შევიდა თბილისის მეორე გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1911 წელს.

იმავე წელს გიორგი ჩიტაიამ სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ქართულ-სომხური ფილოლოგიის სპეციალობით. სრულიად ახალგაზრდა კაცმა ჩინებული სწავლითა და მეცნიერული კვლევის უნარით იმთავითვე მიიპყრო თავისი დიდი მასწავლებლების — ივ. ჯავახიშვილის, ნ. მარისა და ი. ორბელის ყურადღება. უნივერსიტეტის ამ სწავლულთა რეკომენდაციით, 1912 წელს, გ. ჩიტაია კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნება ქ. კენიგსბერგში, საიდანაც კვლავ პეტერბურგში ბრუნდება სწავლისა და სამეცნიერო მუშაობისათვის. იგი ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც მონაწილეობდა ანისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ნ. მარის ხელმძღვანელობით; იმავე დროიდან გ. ჩიტაია აქტიურად ებმება პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში, რომელიც შექმნილი იყო ივ. ჯავახიშვილის მიერ. ამ წრის მუშაობას წარმართავდა გამგეობა, რომელშიაც შეყავდათ რჩეული სტუდენტები. გამგეობის თავმჯდომარედ ირჩევდნენ სამეცნიერო კვლევის უნარით გამორჩეულ სტუდენტს. აკაკი შანიძესა და დავით ყიფშიძესთან ერთად, ამ საპატიო მოვალეობას გ. ჩიტაიაც ასრულებდა. ეს წრე კოორდინაციას უწევდა რუსეთისა და საზღვარგარეთის ქალაქებში ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობასაც. ყველა მათგანის ამოცანას შეადგენდა ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების აღრიცხვა-შესწავლა, ბიბლიოგრაფიებისა და ლექსიკონების შედგენა და ა. შ. სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მუშაობის დროიდან გამოიკვეთა გ. ჩიტაიას მომავალი სამეცნიერო-კვლევითი მიზნები და ამოცანები.

1917 წელს გიორგი ჩიტაია საქართველოში დაბრუნდა და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. იგი ქართულ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა ფოთის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში; საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გ. ჩიტაიამ მუშაობა დაიწყო საქა-

რთველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, რომელიც მაშინ ერთადერთ სამეცნიერო კერას წარმოადგენდა ქართულ ეთნოგრაფიაში. სხვადასხვა დროს მუზეუმში იგი იყო სწავლული მდივანი, ეთნოგრაფიის განყოფილების უფროსი სპეციალისტი, ამავე განყოფილების გამგე და ბოლოს მისი კონსულტანტი.

ზოგად ეთნოგრაფიაში ღრმად განსწავლულმა მეცნიერმა და კავკასიის ხალხთა კულტურისა და ყოფის საკითხებში ჩახედულმა მკვლევარმა იმთავითვე ნათლად წარმოიდგინა საქართველოს ეთნოგრაფიაში მუშაობის დიდი სირთულეებიც და მომავლის პერსპექტივებიც. მან გაითვალისწინა, რომ ქართულ ეთნოგრაფიას განვითარების გრძელი გზა ჰქონდა გამოვლილი და საკმაოდ მდიდარი ტრადიციებიც გააჩნდა, რაც თავის მხრივ მოითხოვდა პირველ რიგში არსებული მემკვიდრეობის შესწავლას და მეცნიერულად შეფასებას. გ. ჩიტაიას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ქართველთა წინაპრებისა და ქართველი ხალხის ყოფისა და ტრადიციების ამსახველი მონაცემები საუკუნეების განმავლობაში აღიბეჭდებოდა ქართულ საისტორიო მწერლობაში, სამართლის წიგნებში, სიგელ-გუჯრებში, მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში; უძველესი დროიდან მოღწეულ ხეთურ, ასურულ, ურარტულ წარწერებში; არამეულ, ებრაულ, ბერძნულ, რომაულ, სომხურ წყაროებში; რუს და უცხოელ მოგზაურთა ნაწერებში. მკვლევარმა იმთავითვე მიაქცია ყურადღება იმ გარემოებასაც, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში გამოჩნდა მეცნიერულად ღირებული დაკვირვებებიც (ლეონტი მროველის კონცეფცია კავკასიის ძველ მკვიდრთა საერთო წარმომავლობა-მონათესაობის შესახებ, ვახუშტის მიერ ქართველი და კავკასიელი ხალხების მრავალმხრივი ეთნოგრაფიული აღწერილობა მანამდე გამოუყენებელი მასალების მაღალ დონეზე მოცემული კლასიფიკაციით).

ქართული ეთნოგრაფიის ისტორიიდან გ. ჩიტაია საგანგებოდ გამოყოფს XIX საუკუნეს, როდესაც შეიქმნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილება (1851 წ.), დაარსდა კავკასიური მუზეუმი (1852 წ.) და ქართველი სამოციანელების აქტიური მონაწილეობითა და ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ინტენსიური ხასიათი მიეცა ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას, დამუშავებას და პუბლიკაციას. ეს ის დროა, როდესაც ილია ჭავჭავაძემ შეადგინა ეთნოგრაფიული მუშაობის პროგრამა, როდესაც დაიწერა და გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, ნიკო ხიზანაშვილის (ურბნელი), ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, ბესარიონ ნიჟარაძის (თავისუფალი სვანი), ივანე გვარამაძის (ვინმე მესხი), ნიკო ჯანაშიას, თედო სახოკიას და სხვათა შესანიშნავი ეთნოგრაფიული ნარკვევებ[illegible] ჭავჭავაძისა და მის თანამოკალმეთ[illegible] შემდეგ ეთნოგრაფიული მუშაობა გააგრძელა ქართულმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით, ხოლო ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ძირითადი პრობლემების დაფუძნება-განვითარების საქმეში უაღრესად დიდი როლი შეასრულა ივანე ჯავახიშვილის მონუმენტურმა გამოკვლევებმა, რომლებიც მიეძღვნა სამეურნეო ყოფის, სოციალურ ურთიერთობათა ფორმებისა და სულიერი კულტურის ფართო მონოგრაფიულ შესწავლას.

ქართულ ეთნოგრაფიაში შექმნილ ესოდენ მდიდარ მემკვიდრეობას გ. ჩიტაია ჩვენი მეცნიერების, მწერლობისა და კულტურის დიდ მონაპოვრად მიიჩნევდა. მისი შეხედულებით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პერიოდში ეთნოგრეფიას შემდგომი განვითარებისათვის მყარი ნიადაგი ჰქონდა შემზადებული, მაგრამ ყოველივე ეს როდი კმაროდა, საბჭოთა მეცნიერების აღმავალი განვითარების ინტერესები მოითხოვდა ქართული ეთნოგრაფიის ამაღლებას საკუთარი მეთოდის მქონე ისტორიულ მეცნიერებად, რომელიც თავისი კვლევა-ძიების მთავარ წყაროდ გაიხდიდა ცოცხალ სინამდვილეში ინფორმატორთა გამოკითხვით ან უშუალო დაკვირვებით მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებს, ხოლო საველე მასალებთან ერთად ფართოდ გამოიყენებდა მომიჯნავე დისციპლინების (ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა., ენათმეცნიერება, ფოლკლორი, ანთროპოლოგია, გეოგრაფია) მონაცემებსაც. მეცნიერების ამ გზით განვითარება თავის მხრივ მოითხოვდა სამეცნიერო-კვლევითი, საველე-საექსპედიციო და სამუზეუმო-საექსპოზიციო მუშაობის ჯეროვან ორგანიზაციას, კვალიფიციური სპეციალისტების მიზიდვას და ახალი კადრების მომზადებას.

გ. ჩიტაიას შრომებში თანდათანობით გამოიკვეთა და ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში დაინერგა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე დაფუძნებული საველე მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი, რომლის მიხედვითაც ეთნოგრაფიული ყოფა შეისწავლება ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ერთიანობის, ისტორიული განვითარების ასპექტში. ამ მეთოდის თანახმად, ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე. უმჯობესია მცირე რაიონის ღრმად შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით ფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე. კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი ითვალისწინებს ცალკეული პატარა და დიდი სოციალური ერთეულების (ოჯახი, გვარი, უბანი, სოფელი, თემი...) ღრმად შესწავლას. ამ მეთოდის მიხედვით, ყოველი ხა-

[library stamp]

ლხის ეთნოგრაფიული სინამდვილე რთული წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენათა კომპლექსია, რომელშიაც მიმდინარეობს ბრძოლა ძველისა ახალთან, პროგრესულთან.

გ. ჩიტაიამ, პირველმა თავისი გამოკვლევებით, ნათელჰყო აღნიშნული მეთოდის უპირატესობა. ჯერ კიდევ 1930-იან წლებში მის მიერ დაწერილი შრომებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით კვლევა ითვალისწინებდა კონკრეტული საკითხებისა და მოვლენების გაშუქებას მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის, სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის ჭრილში.

მეცნიერი ასეთსავე მიდგომას იჩენდა სამუზეუმო საქმიანობათა მიმართ. მისი თაოსნობით, თბილისის სხვადასხვა მუზეუმში დაცული ეთნოგრაფიული კოლექციები გადაეცა ეთნოგრაფიის განყოფილებას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც შეიქმნა საკოლექციო ფონდების ცენტრალური ბაზა. ინტენსიური ხასიათი მიეცა აგრეთვე სამუზეუმო ფონდების შევსებას საქართველოს ყველა კუთხეში შეგროვილი ახალი კოლექციებით, რაც ევალებოდათ როგორც მრავალრიცხოვანსა და მცირერიცხოვან ექსპედიციებს, ისე ინდივიდუალურად მივლინებულ ეთნოგრაფებს.

დროის მცირე მონაკვეთში გაწეული ნაყოფიერი შემკრებლობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საფუძვლად დაედო რეგიონალურსა და თემატიკურ ეთნოგრაფიულ გამოფენებს.

სამუზეუმო-საექსპოზიციო, საველე-საექსპედიციო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ზრდა-განვითარების შედეგად ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში მომწიფდა საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის მოწყობის იდეა. მისი განხორციელების მიზნით გ. ჩიტაიამ 1951 წელს შეადგინა გეგმა და თავის ირგვლივ შემოიკრიბა მის მიერვე აღზრდილი კვალიფიციური ეთნოგრაფები — მუზეუმისა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებიც საექსპოზიციოდ შერჩეულ თემებზე მიამაგრა. ეს გამოფენა, რომელსაც დაეთმო აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მესამე სართული, გაიხსნა 1954 წელს. მან მაღალი შეფასება მიიღო როგორც რესპუბლიკის, ისე საკავშირო ჟურნალგაზეთებში და კომპეტენტურ სამეცნიერო ორგანიზაციებში. ეთნოგრაფთა საკავშირო სესიაზე მოსკოვში 1955 წელს ეს გამოფენა ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მიღწევად იქნა მიჩნეული. საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა, რომლის თემასაც შეადგენს „ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფა და კულტურა", მნახველთა ფართო მასებს სამუზეუმო საშუალებებით აცნობს ქართველი ხალხის ცხოვრების ნიშანდობლივ მხარეებს წარსულსა და თანამედროვეობაში. იმავე მუზეუმში გ. ჩიტაიას თაოსნობით, 1958 წელს, მოეწყო კავკასიის ხალხთა მრავალფეროვანი ჩაცმულობის გამოფენა, რამაც თვალნათლივ წარმოაჩინა როგორც მუზეუმის ფონდებში დაგროვილი კავკასიური კოლექციების სამეცნიერო-სანახაობრივი მნიშვნელობა, ისე საექსპოზიციოდ მისი დამუშავების მაღალი დონე. მუზეუმთმცოდნეობის დიდი სპეციალისტი კონსულტაციებს უწევს საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თუ მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს. მისი აქტიური ჩარევით მოეწყო მრავალთემიანი გამოფენა „ქართველები" საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ქ. ლენინგრადი).

სამუზეუმო საქმიანობის განვითარებაში მხცოვანმა მეცნიერმა განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ბოლო წლებში — მის მიერ შემუშავებული გეგმითა და კონსულტაციით თბილისში მოეწყო ქართული ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცისქვეშ, რომლის შემდგომი ზრდა-განვითარება მისივე ხელმძღვანელობით წარიმართება.

ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში გ. ჩიტაია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საველე-საექსპედიციო მუშაობას. თავის მოწაფეებს იგი ყოველთვის შთააგონებს, რომ სრულფასოვანი მასალა საკვლევი თემის შესრულებაში თითქმის სამუშაოს ნახევარს შეადგენს. იგი გულდასმით ეცნობა თანამშრომელთა საველე ჩანაწერებს (თვითონაც ასეთივე პასუხისმგებლობით იწერდა მასალებს საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში). გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით იმუშავა 30-ზე მეტმა ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ, რომელთაგან თავისი მასშტაბურობითა და ხანგრძლივობით უნდა გამოვყოთ ქართლის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1946-1947 წლებში და კოლხეთის ექსპედიცია 1958-1960 წლებში. ექსპედიციათა მუშაობის სამეცნიერო ანგარიშებს, რომლებშიც მიღებული შედეგების შეფასებაც ხდებოდა და მომავლის პერსპექტივებიც ისახებოდა, გ. ჩიტაია სისტემატურად აქვეყნებდა სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. საველე მუშაობაში გ. ჩიტაია, სპეციალისტებთან ერთად, იყენებდა ადგილებზე მყოფ კორესპონდენტებსაც. სათანადო კონსულტაციის შემდეგ მათ ეძლეოდათ პროფ. ვ. ბარდაველიძის მიერ დეტალურად შედგენილი ვრცელი კითხვარები, რომელთა მეშვეობითაც ისინი მასალებს იწერდნენ მრავალ საინტერესო საკითხზე. ასე შეგროვდა ძალზე მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული მასალა, რაც დაცულია საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში. ამ მასალის ნაწილი, რაც ფშავ-ხევსურეთში ჩაიწერეს ალ. ოჩიაურმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ბალიაურმა და ნ. მაკალათიამ, გამოქვეყნდა 1940 წელს, ნაწილი 1981 წელს დაიბეჭდება, ხოლო დანარჩენი გამოსაცემად მზადდება.

გ. ჩიტაიას მრავალრიცხოვანი შრომები ძირითადად საველე მასალების საფუძველზეა შექმნილი. დიდი ერუდიციისა და ფართო დიაპაზონის მეცნიერი დაჯილდოებულია ფაქტობრივი მონაცემების მიკვლევის, ფიქსაციის, კლასიფიკაციისა და მეცნიერული ანალიზის დიდი უნარით. თავის გამოკვლევებში იგი გამოყოფს თავდაპირველ, ტრადიციულ, განვითარებად, ამასთანავე, დრომოჭმულსა და გადმონაშთურ მოვლენებს. ნებისმიერი საკითხის შესწავლაში მკვლევარი საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიზმსა და შესადარებელ მონაცემებს. ამგვარი პრინციპების საფუძველზე დაწერილი მისი შრომები მიეძღვნა უმთავრესად ქართველი ხალხის მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის კვლევას.

გ. ჩიტაიამ მაღალ მეცნიერულ დონეზე შეისწავლა მემინდვრეობის სისტემები საქართველოსა და კავკასიაში, სახვნელებისა და შრომის სხვა იარაღების სახეობები, ხორბლეულის ენდემური ჯიშები, მემინდვრეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, სოციალურ ურთიერთობათა თავისებურებანი, რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები. ხანგრძლივი ნაყოფიერი კვლევა-ძიების შედეგად მან დაადგინა, რომ საქართველო ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ სამიწათმოქმედო ქვეყანას წარმოადგენს, რომლისთვისაც ტრადიციულად დამახასიათებელია ვერტიკალური ზონალობა, ე. ი. მთის, მთისძირისა და ბარის მიწათმოქმედების თანაარსებობა, ბუნებრივ პირობებთან შეფარდებული მარცვლეული კულტურებით, ნიადაგების დამუშავების ემპირიული ცოდნით, შესაფერისი სამეურნეო იარაღების გამოყენებით და მოსავლიანობის გადიდების ეფექტური საშუალებებით.

სახვნელი იარაღების მრავალი სახეობის შესწავლის საფუძველზე, რაც განხორციელდა თითოეული მათგანის ტექნიკის, სტრუქტურისა და ფუნქციის მიხედვით, გ. ჩიტაიამ მოგვცა სახვნელების კლასიფიკაცია. პირველადსა და მარტივ სახეობად მას მიაჩნია კავწერად წოდებული სახვნელი, ხოლო ყველაზე უფრო განვითარებულსა და რთული შედგენილობის სახვნელად თვლის დიდ მუხრანულ გუთანს. სახვნელი იარაღების გენეალოგიასა და განვითარებაში მკვლევარი უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიულ ასპექტში დანახულ მის ფუნქციას. მემინდვრეობის სისტემებისა და სახვნელი იარაღების განვითარების ისტორიის მეცნიერული კვლევის შედეგები მნიშვნელოვან მონაპოვრად იქნა აღიარებული აგროეთნოგრაფიის დარგში და ცნობილი გახდა ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ხსენებულ პრობლემაში ასეთი მიღწევების გამო კომპეტენტური მეცნიერი არჩეულია აგრარული ეთნოგრაფიის საერთაშორისო კომიტეტის წევრად.

ქართველ ეთნოგრაფთა შორის პირველად გიორგი ჩიტაიამ შეისწავლა დარბაზული ტიპის საცხოვრებლები სამხრეთ საქართველოში, ხევსურული სახლის ძირითადი თავისებურებანი სამეურნეო დანიშნულების სათავსებით და ა. შ. საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა მკვლევარმა დასახლების ტიპებს, რაც შესრულებულია მთიულეთის მაგალითზე. ქართული ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიისათვის მეტად ფასეულია მისი გამოკვლევები სიცოცხლის ხის მოტივისა და ლაზური ორნამენტის შესახებ. ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალების გაანალიზების საფუძველზე, ვ. ბარდაველიძესთან ერთად, გ. ჩიტაიამ გამოამზეურა ქართული ხალხური ორნამენტის მოტივები და შინაარსი. ფართოდ ილუსტრირებული ნაშრომი ამ თემაზე გამოქვეყნდა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

გ. ჩიტაიამ იმთავითვე აღიმაღლა ხმა ლიტერატურაში გავრცელებული მცდარი თეორიების წინააღმდეგ, თითქოს საქართველო და კავკასია იყო მხოლოდ გამანადგურებელი ომების შედეგად შემოხიზნულ ტომთა თავშესაფარი, მხოლოდ კორიდორი ან შარაგზა, რომელზედაც გაივლიდნენ ესა თუ ის ხალხები და თავიანთ კულტურას გადასცემდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. გ. ჩიტაიამ ჯერ კიდევ თავის ადრინდელ შრომებში დაასაბუთა „კულტურული მიგრაციებისა“ და „იძულებითი სესხების“ ეს უსაფუძვლო შეხედულებები. ამასთან ერთად, მკვლევარი არაერთგზის შეეხო საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობისა და მოსახლეობის მოძრაობის საკითხებს. ეთნონიმიკური გადმოცემებისა და მოსახლეობის მიგრაციის კონკრეტული მონაცემების შესწავლის საფუძველზე, გ. ჩიტაია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თრიალეთში მცხოვრები ურუმები ეთნიკურად ნარევი მოსახლეობისაგან შედგებოდა, მის შემადგენლობაში შედიოდნენ სამხრეთ საქართველოს ძველი ქართული პროვინციების (ბასიანი, ჯანეთი) მცხოვრებნი, რომლებიც თავის მხრივ წარმოშობით ქართველებს განეკუთვნებიან და არა თურქებს. ეთნიკური ისტორიისათვის ასევე საყურადღებოა გ. ჩიტაიას და ვ. ბარდაველიძის კვლევის შედეგები, რითაც მხილებულია XIX საუკუნის ლიტერატურაში გავრცელებული მცდარი შეხედულება ჯვაროსნებთან ხევსურების მონათესაობის შესახებ (ზისერმანი).

გ. ჩიტაიამ ასევე თავის დროზე მიაქცია ყურადღება მოსახლეობის მოძრაობის ისტორიულ

პროცესს, რაც წარმოაჩენს მთისა და ბარის მრავალმხრივი ურთიერთობის ხასიათს. კონკრეტული მონაცემების მიხედვით მეცნიერმა დაადგინა მთიელთა ბარში ჩამოსახლების პროცესი. ყვარელელთა ადრინდელი საცხოვრისისა და მათი მერმინდელი განსახლების დადგენის საფუძველზე გაირკვა, რომ მოსახლეობის მთიდან ბარში გადანაცვლება შეპირობებული იყო არსებული კონკრეტული ვითარებით, სამეურნეო-ეკონომიკური პირობებით, როდესაც მთის ნამატი მოსახლეობის ბარში გადმონაცვლების პროცესი თანდათანი გადასახლების, გაჟონვის ხასიათს ატარებდა. აქედან მიღებულია მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობის ეთნიკურ-სოციალური ისტორია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში უნდა განიხილებოდეს.

ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებისათვის გ. ჩიტაია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნას, რაც უნდა განხორციელდეს სპეციალისტთა ერთობლივი მონაწილეობით. მისი დიდი ხნის ოცნებაა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის რამდენიმე ნაკვეთად მომზადება, რომლის შედგენის პრინციპები მის მიერვეა შემუშავებული. ატლასის გეგმა მოიცავს მიწათმოქმედების, საცხოვრებელი ნაგებობების, დასახლების ფორმების, მესაქონლეობისა და ტრანსპორტის საკითხებს, ჭერჭერობით გამოქვეყნებულია მასალები საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასისათვის. გათვალისწინებულია ატლასის ტომებად გამოცემა ზემოხსენებული საკითხების მიხედვით. მეცნიერს ასევე ახლო მომავლის ამოცანად მიაჩნია საქართველოს ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოს მომზადება, ხოლო პერსპექტიულ საქმედ ესახება საქართველოს ეთნოგრაფიის ნარკვევების მრავალტომეულზე მუშაობა.

გ. ჩიტაია დიდი მონდომებითა და სიყვარულით ემსახურება კადრების მომზადების საქმეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი სისტემატურად კითხულობს ზოგადი ეთნოგრაფიის, საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოგრაფიის კურსს. მისი ხელმძღვანელობით გამოზრდილი სპეციალისტები — მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები — წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. გ. ჩიტაია დამსახურებული ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობს თავის აღზრდილთა შორის. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ეთნოგრაფიის კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც რიგით მეორეა საბჭოთა კავშირში მოსკოვის უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის შემდეგ (უფრო მოგვიანებით ეთნოგრაფიის კათედრა დაარსდა ლენინგრადის უნივერსიტეტში). თბილისის უნივერსიტეტში ეთნოგრაფიის კათედრის შექმნა ნიშნავდა ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერებისა და მისი ხელმძღვანელის აღიარებას.

გ. ჩიტაია სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო სესიების, კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და კონგრესების მუშაობაში. მისი ინიციატივით თბილისში რამდენჯერმე გაიმართა ეთნოგრაფთა საკავშირო სესია. მისივე ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ტარდება რესპუბლიკური სამეცნიერო სესიები ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის დარგში. საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი მიწვეული იყო ბერლინის, ფილადელფიის, პარიზის, მოსკოვის, ტოკიოს, ჩიკაგოსა და დელის საერთაშორისო კონგრესებზე.

გ. ჩიტაია დიდი ენთუზიაზმით ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი არის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე ეთნოგრაფიის დარგში, რამდენიმე სარედაქციო კოლეგიისა და მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეთნოგრაფიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ფაზისის აკადემიის რექტორი, თბილისის პიონერთა სასახლის ნორჩ, მხარეთმცოდნეთა კაბინეტის კონსულტანტი.

ესოდენ მრავალმხრივი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით შეხვდა პატივცემული იუბილარი თავისი დაბადების 90 წლისთავს. საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა მისი დიდი ღვაწლი. ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებასა და კადრების მომზადების საქმეში დამსახურებისათვის ის ახლახან დაჯილდოებულ იქნა ხალხთა მეგობრობის ორდენით. მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, მრავალრიცხოვანი მოწაფეები და კოლეგები ჯანმრთელობას და თავის საყვარელ დარგში კიდევ დიდხანს ნაყოფიერ მუშაობას უსურვებენ გამოჩენილ საბჭოთა ეთნოგრაფს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ გიორგი ჩიტაიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი თევზაძე

# პასუხი შენიშვნების ავტორებს წიგნზე „რუსთაველის კოსმოლოგია“

ჩვენმა ნაშრომმა „რუსთაველის კოსმოლოგია“, რომელიც ჯერ ჟურნალების — „ცისკრის“ და „განთიადის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, ხოლო შემდეგ (1979 წ.) გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ცალკე წიგნად დაბეჭდა, მკითხველი საზოგადოების გარკვეული ინტერესი გამოიწვია. მის შესახებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა ცხრა რეცენზია.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მადლობა მოვახსენო რეცენზენტებს და, ამავე დროს, მოკლედ მაინც ვუპასუხო იმ შენიშვნებზე, რომლებიც ზოგიერთ რეცენზიაში იყო გამოთქმული.

დადებითი შეფასება მისცეს ჩვენს გამოკვლევას ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა: ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვ. კობახიძემ და ასტრონომმა, დოცენტმა ა. ფურცხვანიძემ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1978 წ. 28. VI); ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა მაია მამაცაშვილმა („ცისკარი“, 1979, № 6); ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. პ. რატიანმა (გაზ. „კომუნისტი“, 1975 წ. 4. VI), ცნობილმა ქართველმა მწერალმა გ. ფანჯიკიძემ („მნათობი“, 1979 წ. № 9); ფიზიკოსმა, დოცენტმა თ. ეფრემიძემ („განთიადი“, 1980 წ. № 1).

არც ერთ დასახელებულ ავტორს ჩვენი დებულებების ირგვლივ არავითარი შენიშვნა არ გამოუთქვამს. მაგრამ დაიბეჭდა ისეთი რეცენზიებიც, რომლებშიც რამდენიმე შენიშვნაა გამოთქმული, ასე მაგალითად: 1980 წ. აგვისტოს თვეში ჟურნალ „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია, № 2) გამოქვეყნდა წერილი ჩვენს წიგნზე „რუსთაველის კოსმოლოგია“ (თბ., 1979). სტატიას ხელს აწერენ ცნობილი ქართველი ფილოლოგები: ა. ბარამიძე, შ. ძიძიგური, ს. ცაიშვილი და ა. გვახარია.

წერილის ავტორები დასაწყისშივე ხაზგასმით აღნიშნავენ: „ამ თავითვე ვაცხადებთ, რომ ჩვენ „რუსათველის კოსმოლოგიაზე“ რეცენზიას არ ვწერთ, არ ვწერთ იმიტომაც, რომ შორს ვართ ასტრონომიული მეცნიერებისაგან, ხოლო გ. თევზაძე საგანგებოდ გვაფრთხილებს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი ასტრალური მოვლენების სწორი ახსნა პრაქტიკული და თეორიული ასტრონომიული ცოდნის გარეშე შეუძლებელია“ (გვ. 182).

ჩვენ ახლაც იმავე შეხედულებისა ვართ: მართლაცდა, შეუძლებელია პრაქტიკული და თეორიული ასტრონომიის ცოდნის გარეშე სწორად იქნას ახსნილი „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული ასტრალური მოვლენები. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი გაგება ასევე შეუძლებელი იყოს მას შემდეგაც, რაც ისინი უკვე ახსნილი და განმარტებულნი არიან, მით უფრო, რომ პოემაში ასახული ყველა ეს მოვლენა დღეს სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კია შეტანილი. სიცხადისათვის შეიძლებოდა ერთი ასეთი მაგალითის მოტანა: მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოსაჩენად უთუოდ ნიუტონის გენია იყო საჭირო, მაგრამ უკვე აღმოჩენილი ამ კანონის გაგებას ყოველი მოსწავლე ახერხებს.

ამდენად, ავტორთა მოტივირება, თუ რატომ უვლიან გვერდს რეცენზიის დაწერას ჩვენს წიგნზე, უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად მათი განცხადებისა — შორსა ვართ ასტრონომიული მეცნიერებისაგანო, ისინი პირველ რიგში სწორედ ასტრონომიის სფეროდან გვაძლევენ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნებს. თუმცა ამ თავითვე უნდა ვთქვათ, რომ არც ერთი მათგანი არ არის მიხალები და საერთოდაც ის საკითხები, რაზედაც მოკამათენი ჩერდებიან, სრულიადაც არ ეხება ჩვენს წიგნში დასმულ პრობლემას — რუსთაველის კოსმოლოგიურ წარმოდგენებს.

ახევე წერილის დასაწყისშივე ავტორები გვაფრთხილებენ:

„იმასაც დავსძენთ, რომ ვეფხისტყაოსნის ყველა მკვლევარს მოეთხოვება პოემის ტექსტისა და ენის შესაფერისი ცოდნა. ამისი სისწორე ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით შეგვახსენა ჩვენმა დაუცხრომელმა მკვლევარმა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ სწორედ გ. თევზაძის შრომისადმი მიძღვნილი თავისი შესანიშნავი წერილით „ასტრონომიული მოვლენები ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 182).

ამ ამონაწერის შინაარსი გვაიძულებს, გამოვთქვათ ჩვენი მოკრძალებული მოსაზრებანი აკადემიკოს აკ. შანიძის მიერ მოცემულ შენიშვნებზე ჩვენი წიგნის მიმართ.1 ა. შანიძე თავის რეცენზიაში სულ სამ შენიშვნას გვაძლევს. მათგან, რა თქმა უნდა, ვიღებთ შენიშვნას, რომ სტროფში:

კვლა ნუ მიქმ ერთგულებისა
გამტეხილად, და-ცა-მლეწელად- (1430)

ცა არ ნიშნავს ცას (ზეცას). მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ წიგნში, ზემოთ დასახელებულ სტრიქონთან ერთად, პოემიდან მოყვანილი გვაქვს სხვა სტროფებიც, რომლებშიაც მოხსენებული სიტყვა „ცა“ ეჭვმიუტანლად ცას (ცის გუმბათს) ნიშნავს. ეს სტრიქონებია:

„ქვეყანა ჩვენი არ ასწყდეს,
რისხვით არ დაგვტყდენ ცანია“
(416).

და

„ესა მესმა, დამტყდეს ცანი,
რისხვა ღმრთისა ეცა გორთა
(1160). (გვ. 100).

ახე რომ, მიუხედავად სიტყვის — „და-ცა-მლეწელად“ არა სწორი გაგებისა, ჩვენ მიერ წამოყენებული მოსაზრება, რომ ამ გამოთქმებს საფუძვლად უდევს არისტოტელეს წარმოდგენა რეალურად არსებულ გამჭვირვალე, მსხვრევად ციურ მატერიალურ სფეროთა შესახებ, ცხადია, მაინც ძალაში რჩება.

აკადემიკოს აკ. შანიძის მეორე შენიშვნა ეხება სიტყვის „ქვეყანა“ განმარტებას. ჩვენს წიგნში ამის შესახებ გარკვევითაა ნათქვამი: „პირობითად მივიღოთ, რომ რუსთაველი სიტყვაში „ქვეყანა“ გულისხმობს ვარსკვლავიანი ცის უზარმაზარ სფეროს და მათში მოთავსებულ დედამიწას მზით, მთვარითა და პლანეტებით“ (გვ. 104). ვიმეორებთ, სიტყვა „ქვეყნის“ ასეთ განმარტებას პირობითად ვიძლევით. აკ. შანიძე კი მიგვითითებს ამ სიტყვის არა სწორ გაგებაზე და აქვე აღნიშნავს, რომ „ქვეყანას“ პოემაში სამი მნიშვნელობა აქვს:

1. მიწა, 2. კუთხე, მხარე და 3. დედამიწა. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამ სიტყვას ვეფხისტყაოსანში გააჩნია მეოთხე მნიშვნელობაც, რომლის შესახებაც განზრახული გვაქვს ცალკე წერილის დაწერა.

ეს არის და ეს, ის წმინდა ფილოლოგიური ხასიათის შენიშვნები, რასაც აკ. შანიძე გვაძლევს თავის რეცენზიაში.

როგორც ვხედავთ, მთელ ჩვენს ნაშრომში, რომელშიაც პოემიდან 100-მდე სტროფია განხილული, აკადემიკოსი აკ. შანიძე ტექსტის გაგების თვალსაზრისით მხოლოდ ერთ შეცდომაზე მიგვითითებს. განა ესაა საკმარისი, დაგვაბრალონ „პოემის ტექსტისა და ენის უცოდინარობა?“ რატომ ჩვენი „ბრალმდებლები“ თავის მხრივ ამ მიმართებით არც ერთ შენიშვნას არ გვაძლევენ? განა მათ, როგორც სპეციალისტებს, არ ევალებოდათ, კონკრეტულად მიეთითებინათ — სად და როგორ ვერ გავიგეთ ვეფხისტყაოსნის ტექსტი?

ერთიც უნდა შევახსენოთ: ჩვენს შრომაში „რუსთაველის კოსმოლოგია“ ახლებურად არის ახსნილი პოემაში ხმარებული ტერმინები: ბაკმა, გავსებული — სრული, მოვანება (და არა მარტო ეს ტერმინები), რომელთა შესახებ სხვადასხვა დროს აზრი გამოთქვეს ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანმა, თეიმურაზ ბაგრატიონმა, პროფ. იუსტინე აბულაძემ, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, აკად. აკაკი შანიძემ, პროფ. ილია აბულაძემ, პროფ. ელ. ხინთიბიძემ და „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველების“ ავტორმა. წიგნში ნაჩვენები გვაქვს, რომ ყველა ამ მკვლევართა მიერ მოცემული განმარტებანი ზუსტი არ არის.

საგულისხმოა, რომ ა. ბარამიძე, შ. ძიძიგური, ს. ცაიშვილი და ა. გვახარია თავის წერილში ამ ტერმინებთან დაკავშირებით წერენ:

„დამაჯერებელი და გასაზიარებელია გ. თევზაძის მოსაზრებანი ბაკმაზე, გავსებულ ანუ სრულ მთვარეზე, მთვარის მოვანებაზე...“ (გვ. 185).

როგორ? განა შეიძლება, მოგვეცა ამ ტერმინების სწორი, ახლებური განმარტება ვეფხისტყაოსნის „ტექსტისა და ენის შეუფერებელი ცოდნის“ გარეშე?

აკად. აკ. შანიძის მესამე შენიშვნა ეხება საკითხს — რომელი ადგილი უჭირავს მზეს პლანეტათა რიგში ავთანდილის ვედრების მიხედვით. აკ. შანიძის რეცენზიაში ამ საკითხზე ორ-

1 „მნათობი“, 1979, № 6, გვ. 167-175. ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ ბ-ნ აკაკის ჩვენი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

ჯერ არის გამახვილებული ყურადღება. რეცენზიის 170-ე გვერდზე ვკითხულობთ:

„ვეფხისტყაოსნის მიხედვით ცათა რაოდენობა შვიდია. ამის შესახებ პოემაში ორგანაა საუბარი:

რისხვით მობრუნდა ჩვენ ზედა
ბორბალი ცისა შვიდისა (1303,4);
მთვარე უჯდა კიდობანსა,
ცა მეშვიდე მას-მცა ვეცი (625,4).

ამათგან პირველი ცა მთვარისაა, მეორე — ოტარიდისა, მესამე — მთიებისა, მეოთხე — მზისა, მეხუთე — მარსისა, მეექვსე — მუშთარისა და მეშვიდე — ზუალისა“.

მაშასადამე, პატივცემული რეცენზენტის აზრით, რადგან ყოველ მნათობს თავისი ცა აქვს განკუთვნილი, რუსთაველის მიხედვით, პლანეტათა რიგში მზეს მეოთხე ადგილი უჭირავს, ხოლო ზუალს (სატურნს) — მეშვიდე (სხვათა შორის, რეცენზიიდან არ ჩანს, საიდანაა გამოტანილი დასკვნა, რომ ცათა სფეროები ვეფხისტყაოსანში ამ თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი).

რეცენზიის 178-ე გვერდზე კი ნათქვამია:

„საერთოდ, როდესაც ავთანდილი თავის ლოცვაში მნათობებს მიმართავს, იგი ყოველთვის რამეს სთხოვს მათ, შაირში რაიმე აჯაა გამოხატული“. ამ აზრის საილუსტრაციოდ რეცენზიაში მოყვანილია ვედრების შემდეგი სტროფები: 957, 960, 961, 962, 963. „ამიტომ, — განაგრძობს ა. შანიძე, — ბუნებრივია, დავასკვნათ, რომ აჯა მზისადმი მხოლოდ 987 (946) შაირშია მოხსენებული და, მაშასადამე, რუსთაველის მნათობთა რიგში მზე არა მეორე ადგილზეა მთვარის შემდეგ, არამედ სულ თავში, პირველზე“.

ამგვარად, ა. შანიძის რეცენზიის მიხედვით, რუსთაველი პირველ შემთხვევაში მზეს პლანეტათა რიგში მეოთხე ადგილს მიაკუთვნებს, ხოლო მეორე შემთხვევაში იმავე მზეს იმავე პლანეტათა რიგში „სულ თავში“, პირველ ადგილზე ათავსებს. ამათგან რომელია სწორი, რომელი ვიწამოთ: პირველი თუ მეორე?

გასაოცარი ისაა, რომ, როგორც ა. შანიძემ, ასევე ა. ბარამიძემ, შ. ძიძიგურმა, ს. ცაიშვილმა და ა. გვახარიამ ჩვენი მსჯელობა ვეფხისტყაოსანში წარმოდგენილ პლანეტათა რიგის შესახებ ისე გაიგეს, თითქოსდა იმას ვამტკიცებდეთ, რომ ავთანდილის ვედრებაში მზისადმი მიძღვნილი სტროფი „სულ თავში“ — პირველ ადგილზე არ ეწეროს.

„გ. თევზაძის მოსაზრებათა თანახმად, — ვკითხულობთ „მაცნეში“ გამოქვეყნებულ წერილში, — 957/945 შაირი („მიმავალი ცათა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა: „აჰა, მზეო, გეაჯები...“) შეუძლებელია იყოს საგალობლის დასაწყისი“ (გვ. 188).

ჩვენს წიგნში არსად არ არის ნათქვამი, რომ ავთანდილის საგალობელი მზისადმი მიმართული ვედრებით არ იწყებოდეს. ამ მნათობისადმი წარმოთქმული ვედრება რომ საგალობლის „სულ თავში“ მდებარეობს, განა ეს შეიძლება დავის საგანი გახდეს? მზისადმი აჯა რომ ვედრების დასაწყისშია ნათქვამი და რომ სწორედ ამ სტროფით იწყება ავთანდილის ეს დიდებული საგალობელი, ვის შეუძლია ამის უარყოფა?

ჩვენი მოკამათეთა მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ერთმანეთში აქვთ არეული საგალობლის დასაწყისი პოემაში წარმოდგენილ პლანეტათა სივრცული განლაგების დასაწყისთან. მათ ჰგონიათ, რომ, რადგან ვედრებაში მზისადმი აჯას პირველი ადგილი უჭირავს, პლანეტათა სივრცული განლაგების რიგიც, რუსთაველის წარმოდგენით, აქედან იწყება.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ვედრებაზე დაყრდნობით საერთოდ არ შეიძლება გავიგოთ, თუ როგორია პოეტის წარმოდგენა პლანეტათა განლაგების რიგზე: ავთანდილის ლოცვაში სტროფები ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელნი არიან. მომდევნო სტროფი წინა სტროფიდან არ გამომდინარეობს, ამის გამო პლანეტებისადმი მიმართვა (აჯა) შეიძლება ნებისმიერი თანმიმდევრობით ვაწარმოოთ, მაგალითად, ლოცვაში სატურნის შემდეგ იუპიტერის ნაცვლად მთვარისადმი წარმოთქმული სტროფი რომ ჩავსვათ, აჯის საშუალებით ვერაფრით ვერ გავარკვევთ, რომ ამ ადგილზე მთვარის მიმართ განკუთვნილი სტროფი კი არა, არამედ იუპიტერისადმი მიძღვნილი სტროფი უნდა იყოს. სწორედ ამის გამო აჯა არ შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ საბუთად, რომელზედაც დაყრდნობით შესაძლებელი გახდებოდა, დაგვედგინა ვეფხისტყაოსანში მოცემულ პლანეტათა რიგი.

რუსთაველის წარმოდგენას პლანეტათა სივრცული განლაგების შესახებ ჩვენ ვედრების გათვალისწინების გარეშე, სულ სხვა გზით მივაკვლიეთ. პოემაში ასახულ მთელ რიგ მოვლენათა გაანალიზების შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ, პოეტის შეხედულებით, დედამიწის გარშემო მოძრავ სხეულთა შორის უახლოესი მდებარეობა მთვარეს უჭირავს; გარდა ამისა, მისი აზრით, მზე დედამიწის გარშემო ბრუნავს, ხოლო მზის ირგვლივ კი — პლანეტები: მერკური და ვენერა (სხვათა შორის, როგორც ეს წიგნშიაც გვაქვს აღნიშნული, ამ ორი პლანეტის მოძრაობას მზის გარშემო აღიარებდნენ ეგვიპტელები ჯერ კიდევ მესამე საუკუნეში ჩ. წ.-მდე (გვ. 125). მიღებული შედეგების საფუძველზე ავაგეთ ნახაზი (იხ. გვ. 66), რომლის საშუალებით თვალნათლივ დავინახეთ, რომ, რუსთაველის წარმოდგენით, დედამიწის მიმართ უშორეს მდებარეობაში მყოფ მნათობთა თანმიმ-

ეროვნული

დევრული განლაგება ასეთია: 1. მთვარე, 2. მზე, 3. მერკური, 4. ვენერა. ამავე დროს დანარჩენი პლანეტების მიმართ გამოვიყენეთ იმ ეპოქაში საყოველთაოდ აღიარებული ე. წ. სიჩქარეთა ეფექტის კანონი, რის შედეგადაც მივიღეთ პლანეტათა განლაგების ასეთი რიგი (ამ რიგს პირობითად „რ"-ს ვუწოდებთ): 1. მთვარე, 2. მზე, 3. მერკური, 4. ვენერა, 5. მარსი, 6. იუპიტერი, 7. სატურნი (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. გვ. 64-67). მხოლოდ ამის შემდეგ დაგვებადა სურვილი, გაგვეგო, ემთხვევა თუ არა „რ" რიგი ვედრებაში მოცემულ პლანეტათა თანმიმდევრულ დასახელებას.

აღმოჩნდა, რომ პოეტი ვედრებაში იცავს ე. წ. „რ" რიგს, მაგრამ ამჯერად პლანეტებს ასახელებს დედამიწის მიმართ უშორესიდან უახლოესისაკენ: იწყებს სატურნით და ამთავრებს მთვარით.

ამგვარად, ჩვენი დაკვირვებით, რუსთაველი მზეს პლანეტათა სივრცული განლაგების რიგში მეორე ადგილზე აყენებს. ჩვენი მოკამათეები კი ვედრებაზე დაყრდნობით ფიქრობენ, რომ პოეტს მზე პირველ ადგილზე აქვს მოთავსებული. „რუსთაველით, — წერენ ისინი, — პირველ ადგილზე მზეა, მთვარე კი ბოლოშია გადატანილი" (გვ. 188) და შემდეგ განაგრძობენ: „რუსთაველის რიგის თავისებურება გ. თევზაძეს საბუთს აძლევს იფიქროს, რომ XII საუკუნის ქართველმა პოეტმა შექმნა სამყაროს აგებულების ზუსტად ე. წ. გეოჰელიოცენტრული მოდელი..." (იქვე).

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ეს შენიშვნა სრულ გაუგებრობაზეა აგებული. ამ ამონაწერიდან ისე გამოდის, რომ თითქოს ჩვენი აზრითაც რუსთაველის პლანეტათა რიგში მზე პირველ ადგილზეა და რომ თითქოს სწორედ ამან მოგვცა „საბუთი" ვამტკიცოთ, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორმა გეოჰელიოცენტრული სისტემა შექმნა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ პლანეტათა ისეთი რიგი, რომელსაც ჩვენი ოპონენტები გვთავაზობენ, საერთოდ არ არსებობს ბუნებაში და, რაც მთავარია, პლანეტათა რიგის ცოდნა არ გვაძლევს რაიმე საბუთს, განვსჯვრიტოთ, რა წარმოდგენისაა ადამიანი სამყაროს აგებულების შესახებ.

იძულებული ვართ შევნიშნოთ: გეოჰელიოცენტრული სისტემის არსი სამყაროში ორი ცენტრის არსებობის დაშვებაში მდგომარეობს. ერთ ცენტრად მიღებულია მზე, რომლის გარშემო ბრუნავენ პლანეტები, მეორე ცენტრად კი — უძრავად მყოფი დედამიწა, რომლის ირგვლივაც მოიქცევა მზე თავისი სატელიტებით. ამგვარად, სამყაროს აგებულების მოდელის გაგებისათვის პლანეტათა რიგის ცოდნა სრულიადაც არ არის აუცილებელი.

ავთანდილის ვედრებაში მოცემულ მნათობთა რიგის იმგვარად წარმოდგენა, როგორსაც ჩვენი მოკამათენი გვთავაზობენ, მართლაც რომ იძლეოდეს „საბუთს" სამყაროს აგებულების რაიმე სისტემის არსებობაზე ვეფხისტყაოსანში, მაშინ რუსთაველის მოდელის მიკვლევა არც თუ ისე ძნელი იქნებოდა. საერთოდ, ავთანდილის ვედრებაში პლანეტათა თანმიმდევრული განლაგების საკითხი რომ არც გაგვეხილა, ამით სრულიადაც არ შეიცვლებოდა რუსთაველის კოსმოლოგიური წარმოდგენების შესახებ მიღებული შედეგები (ავთანდილის საგალობელი ჩვენ სულ სხვა რიგის საკითხების გარკვევაში დაგვეხმარა).

ვეფხისტყაოსანში მოცემულ მოდელზე ჩვენ წარმოდგენა შეგვიქმნა არა ავთანდილის ვედრებამ, არამედ იმ ასტრალური შინაარსის შემცველმა სტროფებმა, რომელთა ანალიზმა დაგვანახა, თუ როგორ არის მოცემული პოემაში მზის, მთვარის, ქვედა და ზედა პლანეტების მოძრაობა, რა ადგილი უჭირავს სამყაროში დედამიწას და მხოლოდ ამ რიგის საკითხების შესწავლის შედეგად თავისთავად გამოჩნდა, რომ ქართველ გენიოსს იმ ეპოქაში საყოველთაოდ აღიარებული პტოლომეოსის თეორია უარუყვია და მის ნაცვლად მოუცია თავისი ხანისათვის მეტად პროგრესული გეოჰელიოცენტრული სისტემა (გვ. 105-112).

უცნაურად გვეჩვენება აგრეთვე შემდეგი შენიშვნა კვლავ ვედრებასთან დაკავშირებით. ჩვენი მოკამათენი გვწამებენ, რომ თითქოს ოტარიდისადმი (მერკურისადმი) მიმართულ სტროფში (951) ორ საჰკონ ვგულისხმობდეთ — ოტარიდისას და მზისას (გვ. 184).

ოტარიდო, შენგან კიდე
არვის მიგავს საქმე სხვასა;
მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს,
შემიყრის და მიმცემს წვასა;
დაჯე წერად ჰირთა ჩემთა,
მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,
კალმად გიკვეთ გაწლოხილსა
ტანსა, წვრილსა ვითა თმასა. (951).

წიგნში ოტარიდისადმი მიძღვნილი სტროფის განხილვისას ხაზგასმით ვამბობთ:

„მერკურისადმი წარმოთქმულ ამ ვედრებაში პლანეტა მერკური და მზე ორივეა მოხსენებული. პირველად დასახელებულია მერკური, რომელსაც უშუალოდ უმღერის ავთანდილი, ხოლო შემდეგ მზე ისეთ კონტექსტშია მოცემული, რომ ზუსტად არის განსაზღვრული მისი ადგილი მნათობთა შორის" (გვ. 78). შემდეგ იქვე დავძენთ:

„ამგვარად, ამ სტროფით პოეტმა „რ" კანონის დაცვით გვიჩვენა მხოლოდ მზის ადგილმდებარეობა, ვედრება კი ამ მნათობის (მზის) მიმართ საგანგებოდ პლანეტათა ჩამოთვლის დაწყებამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე ორჯერ, 944-ე და 946-ე სტროფებში, მოგვცა...“

ეს სტროფებია:
მზესა ეტყვის: „მზეო, ვიტყვი
თინათინის ლაწვთა დარად,
შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს,
თქვენ ანათებთ მთად და ბარად;
ხელსა მალხენს ნახვა შენი,
ამად გიჭვრეტ არ-დამცთარად,
მაგრამ ჩემი რად დააგდეთ
გული ცივად, გაუმთბარად? (944)
და მეორე:
მიმავალი ცასა შესტირს,
ქუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გეაჯები
შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გაამაღლებ,
მეფობასა მისცემ, სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა,
ნუ შემიცვლი ღამედ დღესა! (946)

საიდან ჩანს, რომ ოტარიდისადმი მიძღვნილ სტროფში ჩვენ ორ აჯას ვგულისხმობთ, ან თუნდაც ის, რომ საგალობლიდან საერთოდ „ვერიკებით“ მზეს?

კიდევ უფრო მეტ გაკვირვებას იწვევს შენიშვნა ავთანდილის მიერ ვედრების წარმოთქმის ხანგრძლივობის შესახებ.

განა რუსთაველის კოსმოლოგიური წარმოდგენების დადგენისათვის, რომელსაც მიეძღვნა ჩვენი ნაშრომი, აქვს რაიმე მნიშვნელობა იმას, თუ დროის რა ხანგრძლივობა დასჭირდა ავთანდილს ეგალობა მნათობებისათვის? (სხვათა შორის, ამ გარემოებაზე ჩვენ შრომაშიაც მივუთითებთ, იხ. გვ. 74). მაგრამ, რადგანაც პატივცემული მეცნიერები თავიანთ წერილში ამ საკითხს ასეთ დიდ ადგილს უთმობენ, მოვალედ მიგვაჩნია თავი, ამაზედაც გავცეთ პასუხი.

წიგნში ჩვენ შევეცადეთ, წარმოგვედგინა, თუ ბუნების რა რეალური სურათი უნდა ჰქონოდა მხედველობაში პოეტს ავთანდილის ვედრების შექმნისას. ტექსტის მიხედვით, ჩვენი აზრით, ავთანდილის ვედრებაში განხორციელებული უნდა იყოს ის ასტრალური სურათი, რომელიც ნამდვილად შეიძლება დავინახოთ ღამით ზაფხულში, ან ის, რომელიც ზაფხულის ცაზე მზის ამოსვლამდე დაიმზირება.

როგორც საგალობლის შინაარსიდან ჩანს, ავთანდილი მზის შემდეგ პლანეტებს უმღერის. ამიტომ, ბუნებრივია, ვფიქრობთ, რომ პოეტს საგალობლის დასაწყისისათვის მხედველობაში ჰქონდა მზის ჩასვლის მომენტი, რის შემდეგაც ცაზე თანმიმდევრულად ჩნდებიან პლანეტები. თუ დავუშვებთ, რომ პოეტს ვედრების შექმნისას, მართლაც, ბუნების ეს რეალური სურათი ჰქონდა ნაგულისხმევი, მაშინ ავთანდილს მთელი ღამის განმავლობაში უნდა ეგალობა. მაგრამ თუ მივიღებთ, რომ რუსთველს მხედველობაში ჰქონდა დილის ის სურათი, რომლის დროსაც ცაზე ყველა მნათობი და მზის ადგილიც ერთდროულად ჩანს, მაშინ ავთანდილს შეეძლო თავისი საგალობელი ძალზე მცირე დროშიც წარმოეთქვა. ამის შესახებ წიგნში ჩვენ მხოლოდ იმის გამო ვილაპარაკეთ, რომ ერთხელ კიდევ დაგვესაბუთებინა დებულება, რომ ვეფხისტყაოსანში აღწერილი ასტრალური სურათები საოცრად ზუსტად ასახავს რეალურ სინამდვილეს. ეს დებულება, როგორც წერილის ავტორებიც აღნიშნავენ, „დავას არ იწვევს“ (გვ. 184), მაგრამ რატომღაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში იერიში მოაქვთ ჩვენზე და იმასაც კი გვაბრალებენ, რომ ამით ჩვენ „საოცრად“ ვარღვევთ „ასტრალური საგალობლის“ განუმეორებელ ერთიანობასა და მონოლითურ მთლიანობას“ (185).

მაგრამ საკითხავია., თვით მათ რა საბუთი აქვთ, როცა ასე გადაჭრით ამბობენ, რომ „ვედრება ავთანდილმა მთლიანად წარმოთქვა დღისით, მზისით, იმ დღეს, როცა ძმადნაფიცნი ერთმანეთს დაშორდნენ „ტირილით და პირსა ხოკით“. მარტო დარჩენილი და ჭმუნვით გათანგული ავთანდილი, — ვკითხულობთ ტექსტში, — მნათობებს უხმობს თავის სატკივარს და თავის სათხოვარს“ (გვ. 185).

კი, მაგრამ „დღისით, მზისით“, მაშინ, როდესაც მზის მეტი არცერთი ციური სხეული არ ჩანს ცაზე, რომელი მნათობებისათვის უნდა მიემართა ავთანდილს? უთუოდ ამ უცნაური აზრის დასასაბუთებლადაც აცხადებენ წერილის ავტორები: „რუსთაველი, უპირველეს ყოვლისა, პოეტია და მისთვის უცხოა პოეტური აღმაფრენის შემზღუდავი ყოველგვარი სქემა“ (გვ. 184).

რა თქმა უნდა, შემოქმედს შეუძლია დაარღვიოს „ყოველგვარი სქემა“, მაგრამ, ვინ თქვა, რომ პოეტური აღმაფრენისათვის აუცილებელი იყოს ჭეშმარიტების ღალატი? რუსთაველის გენიალობა იმაშიაც ჩანს, რომ ბუნებაში რეალურად არსებული მოვლენები ყოველგვარი დამახინჯების გარეშე ასე ოსტატურად დახატა. განა სწორედ მართლის თქმა არ ანიჭებს საერთოდ უდიდეს ძალას მხატვრულ სიტყვას?

აქვე ისიც გვინდა ვიკითხოთ, თუ რით დავარღვიეთ ვედრების „განუწყვეტელობა“, „გაბმულობა“, „ასტრალური საგალობლის განუმეორებელი ერთიანობა და მონოლითური მთლიანობა?“ (გვ. 184). გაუგებარია, რა კავშირი აქვს ამასთან იმას, თუ როდის დაიწყო გალობა ავთანდილმა და დროის რა მონაკვეთი დასჭირდა მას ამ საგალობლის წარმოსათქმელად?

ნუთუ ისიც ხაღავთა, რომ ავთანდილის ვედრება „ერთი სუნთქვით წარმოსათქმელი... უბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დლო პოეტური მონოლოგია“ (გვ. 184). ავთანდილის გალობა მართლაცდა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ის სულამოუთქმელად არის დაწერილი, მაგრამ ვის შეუძლია დაბეჯითებით თქვას, თუ რა დრო დასჭირდა პოეტს ვედრების მხატვრული სრულყოფისათვის?

ამგვარი შენიშვნებიდან ცხადად ჩანს, რომ ასტრონომიულ მოვლენებზე ჩვენს მოკამათეებს, არასწორი წარმოდგენა აქვთ. ჩვენს წიგნში წამოყენებულ და დასაბუთებულ დებულებებს ისინი მხოლოდ „სამუშაო ჰიპოთეზად“ თვლიან. უთუოდ ამით უნდა აიხსნას, რომ ნაშრომში მოხმობილი სიტყვები: „გავარკვიეთ“, „გაირკვა“, „დავადგინეთ“, „დადგინდა“ „შეუფერებელ კატეგორიულ კილოს“ გამომხატველად მიაჩნიათ. კატეგორიულობისაგან შორს ვდგევართ, მაგრამ ამას კი ვიტყვით, რომ იმაში, რაშიაც დარწმუნებული ვართ, ვარაუდის სახით არ გამოვხატავთ და, საერთოდ, ყოველ საგანსა თუ მოვლენას თავის სახელს ვუწოდებთ.

პატივცემულ მეცნიერებს ჩვენი ნაშრომის შესახებ გამოაქვთ ასეთი საერთო დასკვნა:

„...ასტრალური საგალობლის ანალიზით გ. თევზაძე ვერ ასაბუთებს იმ ძირითად დებულებას, თითქოს რუსთაველმა წამოაყენა ახალი გეოჰელიოცენტრული თეორია“ (გვ. 185).

როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, ავთანდილის საგალობლის ანალიზი, მასში დასახელებული პლანეტათა თანამიმდევრობა არ წარმოადგენს და არც შეიძლება წარმოადგენდეს ისეთ „საბუთს“, რომელიც მიგვანიშნებდეს გეოჰელიოცენტრული თეორიის არსებობაზე ვეფხისტყაოსანში.

ჩვენი შრომის ძირითად დებულებას არ შეადგენს იმის მტკიცება, არის თუ არა გეოჰელიოცენტრული სისტემა რუსთაველის მიერ შექმნილი. ჩვენ არც გვაქვს უფლება, გადაჭრით ვამტკიცოთ ეს, ისევე როგორც არც ჩვენ მოკამათეებს აქვთ უფლება, ასევე გადაჭრით ამტკიცონ, რომ გეოჰელიოცენტრული თეორია არ ეკუთვნის რუსთაველს.

ჩვენი წიგნის მთავარი მიზანი იყო, გამოგვევლინა რაოდენ დიდი მნიშვნელობის მქონეა რუსთაველის წარმოდგენა სამყაროს აგებულებაზე, დაგვენახვებინა, რომ ასტრაულ მოვლენებში პოეტის წვდომა ისე ღრმაა, რომ ეს შეშურდებოდა იმ ეპოქის გამოჩენილ ყველა მეცნიერს. ნაშრომში ჩვენ ვეცადეთ, გვეჩვენებინა, რომ რუსთაველი უბრალოდ განათლებული კაცი და მხოლოდ შეუდარებელი პოეტი კი არ იყო, არამედ ჭეშმარიტად დიდი მეცნიერიც, რომლის წარმოდგენებსაც მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა კაცობრიობის აზროვნების განვითარების ისტორიაში.

* * *

ჩანს, ჩვენი წიგნის ძირითადი მიზანი სწორად ვერ გაიგეს არა მარტო ფილოლოგებმა, არამედ ზოგიერთმა ქართველმა ასტრონომმაც, კერძოდ, მიხეილ იმნაძემ, რომლის რეცენზია ჩვენ შრომაზე გამოქვეყნდა ჟურნალ „მაცნეს“ ამავე ნომერში, თითქოსდა როგორც გაგრძელება ა. ბარამიძის, შ. ძიძიგურის, ს. ცაიშვილისა და ა. გვახარიას წერილისა.

მ. იმნაძე, როგორც თვითონ ამბობს, „ცის მექანიკის თვალსაზრისით“ უდგება ჩვენ ნაშრომში განხილულ საკითხებს, მაგრამ ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი უშვებს მიუტევებელ შეცდომებს ასტრონომიის სხვადასხვა დარგში: ვერ წვდება ასტრალური მოვლენების არსს, არა აქვს სწორი წარმოდგენა მნათობთა მოძრაობაზე, ერთმანეთში ურევს ციური მექანიკის ცნებებს. ასე, მაგალითად, წიგნში ჩვენ გამოვთქვამთ აზრს, რომ რუსთაველს ავთანდილის ვედრების შექმნისას მხედველობაში უნდა ჰქონოდა ბუნებაში ნამდვილად არსებული ის სურათი, როდესაც ერთი ღამის განმავლობაში ცაზე ყველა პლანეტა და მთვარე ჩანს. ასეთი ღამე რომ რეალურად, მართლაც, არსებობს, ამის საილუსტრაციოდ დავასახელეთ 1966 წლის 15 აგვისტოს ღამე და შევნიშნეთ, რომ, რადგანაც ასტრონომიული მოვლენები განმეორებადია, ასეთი ღამის მსგავსი ღამეები (ე. ი. როდესაც ერთი ღამის მანძილზე ცაზე დაიმზირება ხუთივე პლანეტა და მთვარე), რუსთაველის ეპოქაშიაც იქნებოდა.

ამასთან დაკავშირებით მ. იმნაძე თავის რეცენზიაში ირონიულად წერს:

„მკითხველი იფიქრებს — რა „რეალურია“ ეს სურათი, რუსთაველი ხომ XII საუკუნეში ცხოვრობდა და არა XX-ში“ (გვ. 191) და იქვე ამავე ტონით განაგრძობს: „მაგრამ ავტორი გვამშვიდებს: „ამგვარი ციური მოვლენები მარად ზუსტად განმეორებადიაო“. თუ ეს ასეა, მაშინ ავტორი უნდა ცდილიყო კიდევ ერთი აღმოჩენა მოეხდინა რუსთველოლოგიაში“.

ჩვენ თუ ვისმეს „ვამშვიდებდით“, ყოველ შემთხვევაში, ასტრონომიის დარგში მომუშავე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა გვყოლოდა მხედველობაში. როგორ წარმოვიდგენდით, რომ სპეციალისტს ასეთი ელემენტარული რამე არ ეცოდინებოდა?! მაგრამ იმნაძემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. უგულვებელჰყო სამხრეთ განედებისათვის ცის სურათების გასარკვევად შემუშავებული ფორმულები და შემდეგ ავტორიტეტულად განაცხადა:

„1966 წლის 15 აგვისტოს ღამის მსგავსი სურათი იქნებოდა 212.000.000 წლის წინ, მაშინ, როდესაც ადამიანი (პითეკანთროპი) წარმოიშვა 2.000.000 წლის წინ“ (გვ. 191).

ამგვარად, მ. იმნაძის გაანგარიშებით, 1966 წლის 15 აგვისტოს ღამის მსგავსი სურათი უხსოვარ დროიდან დღემდე შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ორჯერ — 212 მილიონი წლის წინ და 1966 წელს.

ჩვენი რეცენზენტი ამაზე როდი ჩერდება. იგი კვლავ განაგრძობს არითმეტიკულ ოპერაციებს და ახლა იმაში „გვარწმუნებს“, რომ ისეთი ღამე, რომლის განმავლობაში შეიძლება ცაზე სამი პლანეტა გამოჩნდეს, შესაძლებელია იყოს 6.008 წელიწადში ერთხელ, ხოლო „ორი ცთომილის მდებარეობა შეიძლება განმეორდეს თამარის მეფობის რომელიმე წელსო“ (გვ. 191).

სინამდვილეში კი ისეთი ღამე, როდესაც ცაზე მთვარე და ხუთივე პლანეტა ჩანს, ყოველ ზაფხულში მეორდება. ამას ცხადად ადასტურებს ასტრონომიული კალენდრები. ასე მაგალითად, ქართულ ასტრონომიულ კალენდრებში აღნიშნულია, რომ მსგავს ღამეებს ადგილი აქვს 1961 წლის 16 ივლისს, 1962 წ. 19 ივლისს, 1963 წ. 20 ივნისს, 1964 წ. 22 ივნისს, 1965 წ. 27 ივლისს, 1966 წ. 15 აგვისტოს, 1967 წ. 2 აგვისტოს, 1968 წ. 18 ივლისს, 1969 წ. 8 აგვისტოს, 1970 წ. 10 აგვისტოს, 1971 წ. 7 აგვისტოს, 1972 წ. 31 აგვისტოს, 1973 წ. 2 აგვისტოს, 1974 წ. 21 ივლისს, 1975 წ. 23 ივლისს, 1976 წ. 7 ივნისს, 1977 წ. 10 ივნისს, 1978 წ. 12 მაისს, 1979 წ. 2 ივლისს და 1980 წ. 15 აგვისტოს.

ქართულ კალენდარს 20 წლის ისტორია აქვს, ხოლო რუსულს — ასის. თუ ამ უკანასკნელს მივმართავთ, დავრწმუნდებით, რომ მთელი საუკუნის მანძილზე ყოველი ზაფხულის რომელიმე ერთ რიცხვში მაინც მეორდება 1966 წლის 15 აგვისტოს ღამის მსგავსი ციური სურათი.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ რუსთაველის ეპოქიდან დღემდე ყველაფერი შეიცვალა ქვეყანაზე, მაგრამ არ შეცვლილა მზე, მთვარე, პლანეტები და მათი მოძრაობა. ისინი დღესაც ზუსტად იმდაგვარადვე მოძრაობენ, როგორც რუსთაველის დროს და წლიდან წლამდე ჰქმნიან ერთმანეთის მსგავს ციურ სურათებს.

კიდევ უფრო უცნაურია იმნაძის მტკიცება 3 თუ 2 ცთომილის განმეორადობის შესახებ ერთი ღამის განმავლობაში. სამი ან ორი პლანეტა (ვთქვათ, მთვარე და ვენერა, მთვარე და მარსი, ვენერა, იუპიტერი და სატურნი და ა. შ.) ხომ ყოველმა ადამიანმა შეიძლება დაინახოს თითქმის ყოველ ღამით?

ამდაგვარსავე უხეშ შეცდომებს ვხვდებით მ. იმნაძის წერილში „ცთომილთა რიგი ავთანდილის სიმღერაში“, რომელიც გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 1977 წელს ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ მე-7 ნომერში. მათგან ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ იმაზე, რომელსაც იგი იმეორებს „მაცნეში“ გამოქვეყნებულ სტატიაშიც.

„ავთანდილის სიმღერაში, — ვკითხულობთ „მეცნიერება და ტექნიკის“ ფურცლებზე, — მხატვრულად და ლაკონიურად არის დახასიათებული თითოეული მნათობი. ცთომილთა რიგი იქ მოცემულია ძველი ტრადიციული წესის მიხედვით (მხოლოდ მზე არის პირველ ადგილზე გადატანილი) და მანძილებთან ან ახალ სისტემასთან არ არის დაკავშირებული“ (გვ. 52).

თუ ვედრებაში, როგორც იმნაძე ამბობს, მნათობები მანძილების მიხედვით არ არიან განლაგებული, მაშინ როგორღა შეიძლება საზოგადოდ ვილაპარაკოთ რაიმე რიგზე, როგორღა წერს იმას ასტრონომი, რომ გალობაში ცთომილთა რიგი „ძველი ტრადიციული წესის მიხედვით“ არის მოცემულიო?

იმავე საკითხთან დაკავშირებით მ. იმნაძე მსჯელობას განაგრძობს შემდეგ გვერდზე და თავის შეხედულებას ასეთი ლოგიკითა და სტილით გადმოსცემს:

„როცა ინგლისელი ან ფრანგი კვირის დღეებს მნათობთა სახელს უწოდებს, იგი არ ფიქრობს მათ რელიგიურ წარმოშობაზე. ასევე, შესაძლებელია, რომ რუსთაველი ჩვეულების გამო ჩამოთვლიდა ცთომილებს რიგზე და იგი არ ასახავდეს მის ასტრონომიულ ცოდნას, რომელიც, ალბათ, უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე ეს პოემიდან ჩანს. რუსთაველი არ იმეორებს რიგს პედანტური სიზუსტით და მზეს გამოყოფს. მზე მისთვის უმაღლესი ეპითეტია და ისე გამოირჩევა ცთომილებს შორის, როგორც თამარ მეფე თავის ქვეშევრდომებში. ბუნებრივად გაისმის „დასაწყისში“ მისი სიტყვები: „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ დანთხეული“. ასევე, ბუნებრივია, „მძლეთა მძლე“ მზის გამოყოფა ცთომილთა რიგიდან, მით უმეტეს, რომ ამის მაგალითები სხვაგანაც გვხვდება“ (გვ. 53).

„მაცნეში“ დაბეჭდილ წერილში კი ამავე აზრს მ. იმნაძე ზუსტად იმ ფრაზებითა და სიტყვებით გამოხატავს, როგორადაც ეს მოცემულია ა. ბარამიძის, შ. ძიძიგურის, ს. ცაიშვილისა და ა. გვახარიას სტატიაში. ვინაიდან ამ წერილს ჩვენ უკვე პასუხი გავეცით, ამის გამო იმნაძის ამ შენიშვნაზე აქ აღარ შევჩერდებით.

მ. იმნაძის მიერ მოცემული შენიშვნები უმთავრესად თავს იყრის 951-ე სტროფის გარშემო. ეს სტროფებია:

ოტარიდო, შენგან კიდე
არვის მიგავს საქმე სხვასა:
მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს,
შემიყრის და მიმცემს წვასა“.

წიგნში ჩვენ დაწვრილებით ვლაპარაკობთ გა-

მოთქმის — „მზე მაბრუნვებს“ ორგვარ მნიშვნელობაზე. ერთ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ სიტყვაში „მაბრუნვებს“ იგულისხმება მზის გარშემო პლანეტის წრიული მოძრაობა (გვ. 46-53), ხოლო მეორე შემთხვევაში სიტყვა „მაბრუნვებს“ გაგებული გვაქვს როგორც პლანეტის უკან მოსვლა, დაბრუნება (გვ. 180-182), რაშიაც მ. იმნაძეც გვეთანხმება: „მზე მაბრუნვებს“ უნდა ნიშნავდეს ცთომილის უკან მობრუნებას“-ო (გვ. 187). მაგრამ მ. იმნაძის რეცენზიიდან ისე გამოდის, რომ თითქოს ამ მეორე შემთხვევის შესახებ ჩვენ არაფერი გვქონდეს ნათქვამი. ამავე დროს, იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამ სიტყვის ასეთი მნიშვნელობა თითქოს უკვე თავისთავადაც უარყოფს პლანეტის წრიულ მოძრაობას მაშინ, როდესაც, პირიქით, თუ სიტყვაში „მაბრუნვებს“ უკან მოსვლას ვიგულისხმებთ, ეს კიდევ უფრო ცხადყოფს პლანეტის ბრუნვას მზის გარშემო.

იმისათვის, რომ ავხსნათ, თუ როგორია აქვს ამ თვალსაზრისით გაგებული რუსთაველს ოტარიდის მოძრაობა, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, მკითხველს შევახსენოთ ნიუტონის წარმოდგენა პლანეტის წრიული მოძრაობის შესახებ მზის გარშემო.

ნიუტონის შეხედულებით, იმ მომენტში, როდესაც პლანეტა მზიდან რაიმე R მანძილზე იმყოფება, მზის მიზიდულობის ძალა რომ არ ყოფილიყო, პლანეტა ინერციის ძალით მზის სხივის გავრცელების პერპენდიკულარულად თანაბარი სიჩქარით სწორხაზოვნად „გაიქცეოდა“ და დროის მცირე მონაკვეთშიც კი მზეს უფრო მეტად დასცილდებოდა. მაგრამ სინამდვილეში მზის მიზიდულობის ძალა იმავე მცირე დროში პლანეტას მზისკენ გადმოხრის და, ასე ვთქვათ დააბრუნებს მას, ისევ R მანძილზე მიიყვანს.

მაშასადამე, პლანეტა ინერციის ძალით განუწყვეტლივ მიისწრაფვის სწორხაზოვანი გზით დაშორდეს მზეს, მაგრამ მზე თავის მხრივ მიზიდულობის გამო არ უშვებს მას, მუდამ R მანძილზე ამყოფებს, ამიტომ პლანეტა ამ ორი ძალის ტოლი ქმედების გავლენით იწყებს მზის ირგვლივ ელიპსურ თუ წრიულ მოძრაობას.

ამგვარად წარმოგვიდგენს ნიუტონი პლანეტის ბრუნვით მოძრაობას მზის გარშემო, რაც ცის მექანიკაში დიდ აღმოჩენად ითვლება.

აქვს თუ არა რუსთაველს გამოხატული მსგავსი წარმოდგენა ოტარიდის მოძრაობის შესახებ სტრიქონში:

მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს,
შემიყრის და მიმცემს წვასა!

რადგან მზე, პოემის მიხედვით, მნათობთა შორის ყველაზე უფრო დიდი მიზიდულობის ძალის მქონეა, ამიტომ ამ ძალის მოქმედებით პლანეტა მზეს თითქოსდა უნდა დასცემოდა, დახჯახებოდა, მაგრამ ამ სტროფში ეს ასე არ არის წარმოდგენილი; მზე მხოლოდ იჭერს მას, არ უშვებს. მაშასადამე, გამოთქმაში „არ გამიშვებს“ გარკვევითაა მინიშნებული, რომ პლანეტას გააჩნია უნარი გაექცეს მზეს. ეს კი პლანეტის ინერციულობის თვისებაა, მზე კი ოტარიდს თავისი მოქმედებით უკან „აბრუნვებს“. „არ უშვებს“ (ერთსადაიმავე მანძილზე ამყოფებს), რაც მზის მიზიდულობის უნარზე მიგვითითებს.

როდესაც პლანეტა მზესა და დედამიწას შორის მოექცევა, ანდა ჩვენს პირდაპირ მზის იქით ჩამოდგება, ამ დროს იგი მზის სხივებში გაუჩინარდება. ეს მოვლენა პოეტს გამოხატული აქვს გამოთქმით: „შემიყრის და მიმცემს წვასა“ (იხ. გვ. 41).

ასე რომ, 951-ე სტროფით, პლანეტის გაქცევისა და მზის მიერ მისი მიზიდვის უნარის ერთობლივი მოქმედების შედეგად მზე ოტარიდს ერთსადაიმავე R მანძილზე იჭერს და ამგვარად ახდენს მის გადაადგილებას, რის გამოც ოტარიდი ხან მზესა და დედამიწას შორის ჩამოდგება, ხან კი ჩვენს პირდაპირ მზის იქით აღმოჩნდება და უჩინარდება — „შეიყრის და მისცემს წვასა“. ასეთი რამ კი შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ოტარიდის მზის ირგვლივ წრიული მოძრაობის შემთხვევაში.

მაგრამ მ. იმნაძე ასე არ ფიქრობს. რეცენზიაში ვკითხულობთ:

„აღსანიშნავია ისიც, რომ „მაბრუნვებს“ უპირველესად ავთანდილს ეხება, შემდეგ კი, თუმცა თანაბარი უფლებით, ოტარიდს, ავთანდილის „ბრუნვა“ კი თინათინის გარშემო არ შეიძლება წრიული იყოს, არც ოტარიდის ბრუნვა იყოს წრიული“ (გვ. 188).

მაშ ასე, ავთანდილს თურმე არ შეუძლია იტრიალოს თინათინის — თავისი სათაყვანებელი არსების გარშემო და ამ მიზეზით თურმე არც ოტარიდს აქვს უფლება, იბრუნოს ცის ტატნობზე! აი, რა საფუძვლიანი არგუმენტი მოაქვს ცის მექანიკოსს, რათა როგორმე უარყოს ოტარიდის წრიული მოძრაობა. გარდა ამისა, რატომ არაფერს ამბობს იმნაძე იმის შესახებ, თუ რა ისეთი თვისების მატარებელია ოტარიდი, რომ მან თვით შეძლოს მოშორდეს მზეს?! დავუშვათ, რომ, როგორც ეს ჩვენს რეცენზენტს აქვს წარმოდგენილი, ოტარიდის სტროფში არა წრიული, არამედ სწორხაზოვანი ხილული მოძრაობაა აღნიშნული, რომ მერკური (ოტარიდი) „ხან ერთი მხრით მოშორდება მზეს და ხან მეორე მხრით, მაგრამ ხშირად მზის დისკოზე გეგმილდება“ (გვ. 188). და ვნახოთ, რა შედეგს მივიღებთ. ამისათვის გავიხსენოთ პოემის შემდეგი სტროფები:

კვლაცა ჰკადრა: „აჰა, მზეო,
რადგან ღმერთმან მზედ დაგბადა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით გმორჩილობს, ზეციერი
მნათობია რაცა სადა...“ (134);

„იტყვის: ჰე, მზეო...
. . . . . . . . .
ვის გმორჩილობენ ციერნი
ერთის იოტის წამისად“ (826);

„აჰა, მზეო, გეაჯები,
შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა“ (946).

როგორც ჩვენ ნაშრომშიაც გვაქვს ნათქვამი, 134-ე და 946-ე სტროფებში გამოთქმები: „მზეს მორჩილებს ზეციერი მნათობია რაცა სადა“ და „მზეო, გეაჯები შენ უმძლესთა მძლეთა მძლესა“ — ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ მზის გამგებლობა ყოველ ციურ სხეულზე მზეში არსებული ძალის საშუალებით ვრცელდება.

951-ე სტროფშიც: „მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა“ პირდაპირაა ნათქვამი, რომ მზეა ოტარიდის მოძრაობის მიზეზი.

ისმის კითხვა: როგორი უნდა იყოს მზის ძალის თვისება, რომ ოტარიდი მზის დისკოზე „გავლით“ ხან ერთი მხრით მოაშორობს მზეს, ხან კი — მეორე მხრით?

იმისათვის, რომ მზემ უზრუნველყოს ამდაგვარი მოძრაობა, მან ჯერ უნდა მიიზიდოს პლანეტა, გადაატაროს თავის დისკოზე, შემდეგ უნდა შეწყვიტოს მიზიდვა და იწყოს მისი განზიდვა, რათა ის გამოაჩინოს დისკოს მეორე მხარეზე; მერე კვლავ უნდა მიიზიდოს მნათობი, კვლავ უნდა გადაატაროს თავის „მკერდზე“ და ისევ დაიწყოს მისი განზიდვა და ასე მარად. ცის მექანიკა დასაბამიდან დღემდე ამდაგვარ ძალას არ იცნობს და რაც არავის შეეძლო ასეთი აბსურდი ეთქვა, მით უფრო რუსთაველს, რომელიც ასე ღრმად იცნობს ბუნებას და რომლის შემოქმედების სტილურ ნიშანს სწორედ ის წარმოადგენს, რომ აღწეროს არა მოჩვენებითი, არამედ ნამდვილი, რეალური მოვლენები.

საქმე ისაა, რომ ვინც არ არის ჩახედული ასტრონომიაში, იმის გამო, რომ ოტარიდი (სხვათაშორის, ვენერაც) მზის ხან ერთ მხარეზე ჩანს, ხან — მეორეზე, მას ისეთი ილუზია ექმნება, რომ თითქოს პლანეტა სწორხაზოვნად მოძრაობდეს. სინამდვილეში კი ოტარიდი და, საზოგადოდ, ყველა პლანეტა თავისი ხილული მოძრაობის შედეგად ვარსკვლავთშორის ე. წ. მარყუჟებიან მრუდწირს აღწერს. ეს სავალდებულოა იცოდეს ყოველმა დამწყებმა ასტრონომმა, ისევე როგორც ის, რომ მზის შუქზე, მზესთან ერთად არასოდეს არ ჩანს არც ერთი პლანეტა. იმნაძე კი აცხადებს: „იგი (იგულისხმება მერკური, გ. თ.) მუდამ მზის მახლობლად მოძრაობს წინ და უკან მზეზე გავლით და ამიტომ იშვიათად ჩანს მზის სინათლეზეო“ (გვ. 186).

კიდევ ერთი შეცდომა მ. იმნაძის რეცენზიაში: ჩვენი მსჯელობიდან 951-ე სტროფთან დაკავშირებით რეცენზენტს მოაქვს მხოლოდ ორი ფრაზა: „მაშასადამე, „არ გამიშვებს“ გამოთქმაში გარკვევით არის მინიშნებული, რომ პლანეტას გააჩნია უნარი, გაექცეს მზეს. ეს კი პლანეტის ინერციულობის თვისებაა“ და შემდეგ ირონიულად დასძენს: „ასე ადვილად არის „დამტკიცებული“, რომ რუსთაველმა იცოდა მიზიდულობის კანონიც და ინერციის კანონიცო“ (გვ. 189).

მ. იმნაძე ვერ არჩევს ერთმანეთისაგან თვისებასა და კანონს; ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ განვუმარტოთ: ყოველ მატერიალურ ნაწილაკს აქვს უნარი მიიზიდოს სხვა მატერიალური ნაწილაკი. ამას მიზიდულობის თვისებას უწოდებენ. ნიუტონმა კი გვიჩვენა, რომ ეს თვისება ვლინდება შემდეგი კანონით: ყოველ ორ მატერიალურ ნაწილაკთა შორის მიზიდულობის ძალა ამ ნაწილაკების მასების პირდაპირ და მათ შორის არსებული მანძილის კვადრატის შექცევით პროპორციულია.

951-ე სტროფის გარჩევისას ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ მზისა და პლანეტის მიზიდულობისა და ინერციის უნარზე — თვისებაზე და არა მიზიდულობისა და ინერციის კანონებზე (ამის შესახებ დაწვრილებით ის. წიგნში, გვ. 132).

აი, როგორ ურევს ერთმანეთში ჩვენი მოკამათე მექანიკის ძირითად ცნებებს!

ასეთსავე შეცდომებს უშვებს ჩვენი რეცენზენტი პოემის ტექსტის გაგებაში. 951-ე სტროფთან დაკავშირებით იგი წერს:

„სტროფში თქმული „მზე მაბრუნვებს“ უნდა ნიშნავდეს ცთომილის უკან მიბრუნებას. ამაზე მიგვითითებს აგრეთვე სტრიქონის ბოლო — „შემიყრის და მიმცემს წვასა“. მართლაც, აქ რომ ოტარიდის მზის გარშემო წრიული მოძრაობა იგულისხმებოდეს, მაშინ ის მზისგან ყოველთვის ერთნაირი მანძილით იქნებოდა დაშორებული და ერთნაირ სითბოს მიიღებდა, რის გამო აზრი არ ექნებოდა გამოთქმას, რომ ის (ოტარიდი) „იწვის“ მზესთან „შეყრის“ ანუ შეერთების დროსო“ (გვ. 188).

როგორც ვხედავთ, სიტყვა „წვა“ იმნაძეს პირდაპირი მნიშვნელობით ესმის, თითქოს პლანეტა მზესთან შეყრისას უფრო თბებოდეს, ვარვარებდეს, იწოდეს. ჩვენი გაგებით კი „წვა“, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, ვეფხისტყაოსანში სულ სხვა მოვლენის ამსახველია.

ასტრონომიაში კარგადაა ცნობილი, რომ მზესთან პლანეტებისა და მთვარის შეყრისას, შეერთებისას, ე. ი. მაშინ, როდესაც მნათობები დედამიწასა და მზეს შორის ჩამოდგებიან, კი არ ვარვარდებიან და იწვიან, არამედ მზის სხივებში უჩინარდებიან, ადამიანისათვის უხილავნი ხდებიან. ეს მოვლენა რომ რუსთაველმა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიშნავად იცოდა, ამაზე პოემის არა ერთი და ორი ადგილი მიუთითებს, მაგალითად, 821-ე სტროფში ვკითხულობთ:

მთვარე მზესა მოეშორვოს,
მოშორვება გაანათლებს,
რა ეახლოს, შუქი დასწვავს,
გაეყრების, ვერ იახლებს".

ანუ: მთვარე რომ მზეს დაშორდება, უფრო მეტად განათდება, ხოლო, როდესაც მზეს !ეახლება", „შეეყრება", მაშინ გაუჩინარდება, რაც გამოხატულია გამოთქმით: „შუქი დასწვავს".

1488-ე სტროფში კი სწერია:

ავთანდილ-ა გალეული
შესაყრელად მთვარე მზისად.

ე. ი. როდესაც მთვარე მიემართება მზესთან შესაყრელად, მაშინ ის თანდათან ილევა, ქრება. 125-ე სტორფშიც „მზესა მთვარე შეეყარობს, დაილევის, და-ცა-ჴნების" — პირდაპირაა ნათქვამი, რომ მთვარე მზესთან შეყრისას ილევა, უჩინარდება.

ამგვარად, ამ სტროფებიდან ცხადად ჩანს, რომ პოეტი სწორად ერკვევა მზესთან შეყრის დროს მთვარის გაუჩინარების მოვლენაში.

უხსოვარი დროიდან ცნობილია, რომ ოტარიდიც ახდენს შეერთებას, შეყრას მზესთან, ე. ი. დროდადრო ჩამოდგება მზესა და დედამიწას შორის და სწორედ ამ დროს ეს პლანეტაც ისევე ბნელდება და უჩინარდება, როგორც მთვარე.

ამიტომ 951-ე სტროფში სიტყვა „წვა" ოტარიდის სწორედ გაუჩინარების მოვლენის გამომხატველია. ეს რომ ასე არ იყოს და მზესთან „შეყრისას "მთვარე და პლანეტები ვარვარდებოდნენ, ცეცხლი ეკიდებოდეთ, იწვოდნენ, მაშინ ისინი კი არ გაუჩინარდებოდნენ, არამედ ჩვეულებრივზე უფრო მეტად აგიზგიზდებოდნენ და აკაშკაშდებოდნენ. განა ესეც ძნელი მისახვედრია?!

ასე არა სწორად გაიგო იმნაძემ სიტყვა „წვის" მნიშვნელობა ვეფხისტყაოსანში და ასევე მცდარი დასკვნა გამოიტანა, რომ თითქოს რუსთაველი გამოთქმით „შემიყრის და მიმცემს წვასა" უარყოფდეს ოტარიდის წრიულ მოძრაობას მზის გარშემო.

აი, როგორ არასწორად ესმის მ. იმნაძეს როგორც ასტრონომია, ისე პოეზია, კერძოდ, „ვეფხისტყაოსანი", და იგი მაინც აძლევს თავის თავს უფლებას დაგვწამოს გაზვიადებული წარმოდგენა რუსთაველის ცოდნაზე. „სწორედ ასეთი გაზვიადება მოსდის გ. თევზაძეს, — ვკითხულობთ რეცენზიაში, როცა შემთხვევით ნათქვამი ნახევარი სტრიქონიდან „მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს" გამოჰყავს ინერციისა და მიზიდულობის კანონები და გეოჰელიოცენტრული სისტემა". (გვ. 190).

მაშ, ასე, პოეზიის ამ განუმეორებელ შედევრში, ავთანდილის ვედრებაში, რუსთაველს თურმე შემთხვევითი ფრაზები ჰქონია! მ. იმნაძე, მხოლოდ იმის გამო, რომ ვერ მოახერხა დაესაბუთებინა ჩვენი შეხედულების საწინააღმდეგო აზრი, ვერც კი გრძნობს, თუ რა განუზომელ შეურაცხყოფას აყენებს ამით ჩვენი ერის სათაყვანებელ პოეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ასათიანი

# უბის წიგნაკიდან

### ნ. ნიკოლაძის ხსოვნისათვის

სიმონ ხუნდაძე წერს თავის კომენტარებში, რომელიც ნ. ნიკოლაძის პირველ ტომსა აქვს დართული (გვ. 382):

„მოგონებანი სამოციან წლებზე“ პირველად 1924-25 წლების ჟურნალ „კავკასიონსა“ და „ახალ კავკასიონში“ დაიბეჭდა. 1927 წელს. ეს მოგონებანი დაიბეჭდა რუსულ ჟურნალ „კატორგა ი სსილკაში“ (იხ. № 34-35) მცირეოდენი დამატებითა და რედაქტორის შენიშვნებით. მოგონებანი ნ. ნიკოლაძეს დაუწერია საზღვარგარეთ, ლონდონში, 1923 წელს...

...ჩვენს გამოცემაში ეს მოგონება ჟურნალ „კავკასიონიდან“ იბეჭდება, რომლის თარგმანი თვით ავტორის მიერ იყო გადათვალიერებული და მოწონებული. ქართული თარგმანი ხელმეორედ შევადარეთ რუსულ ტექსტს, და გამოტოვებული ან ჩამატებული ადგილები ქართულ თარგმანში აღვადგინეთ“.

ასე წერს განსვენებული სიმონი. და ჩემთვის მეტად სასიამოვნოა ახლა გავიხსენოთ, რომ ეს ტექნიკური, მაგრამ მხოლოდ საიმედო ადამიანისათვის მისანდობი სამუშაო, სიმონის თხოვნით მე შევასრულე 1930 წელს (რა ახალგაზრდა ვიყავი მაშინ!).

ამაზე წინ კი, 1928 წელს, როცა ნ. ნიკოლაძე გარდაიცვალა, მისი მოკლე ბიოგრაფია სიმონმა მე დამაწერინა ჟურნალ „ქართული მწერლობისათვის“.

აი ჯერჯერობით ის ორი მცირე რამ, რაც მე გავაკეთე ნიკოლაძის ხსოვნის პატივსაცემად, კაცის, რომელიც იყო ერთი უდიდესი და უშესანიშნავესი ნათელ თავთაგანი მე-19 საუკუნის საქართველოსი; მისი საზოგადოებრივი კარიერის მწვერვალად ფოთის ქალაქის თავობა შეიქმნა. ის რომ ფრანგად დაბადებულიყო, შეიძლება პრეზიდენტის სავარძლამდეც მიეღწია.

2 თებერ. 46 წ.

* * *

ვერიკო ანჯაფარიძე:

— როლი, რომელსაც მე ვთამაშობ ლევან გოთუას „დავით აღმაშენებელში“, პიესის პირველ ვარიანტში არ მომწონდა; სახე ამ ქალისა, რომელიც ჯაშუში იყო და, იმავე დროს, შეყვარებული დავითზე, ყალბი იყო, ყალბად მოგონილი პიესაში. მე ძალიან მეძნელებოდა მისი თამაში, ამ სიყალბის გამო, და არა იმიტომ, რომ იგი ფსიქოლოგიურად რთული იყო.

განა ჰედა გაბლერი, რომელშიაც იბრძვის სიყვარული და პატივმოყვარეობა, ფსიქოლოგიურად რთული სახე არ არის? მაგრამ იქ ეს სირთულე სავსებით ბუნებრივ ფსიქოლოგიურ კილოზეა აგებული. ამიტომ ნიჭიერი მსახიობისათვის მისი განსახიერება ადვილია, როლის სიძნელის მიუხედავად.

გოთუას პიესის ამ ახალ ვარიანტში, რომელიც ახლა მზადდება დასადგმელად, მთავარი გმირი ქალისგან (რომელსაც მე ვასრულებ), ჩამოცილებულია ეს ყალბი ორმაგობა; ის, მართალია, ახლაც გამცემის როლს ასრულებს, მაგრამ არა შეგნებულად, არამედ თავისდაუნებლიედ, მან ეს არ იცის. მას გულწრფელად, მთელი არსებით უყვარს მეფე დავითი.

ეს კი უკვე სხვა ამბავია. ეს უკვე სხვა სულიერი თვისებაა მოცემული ამ ქალში, ბუნებრივი, ადამიანური.

ჩემთვის ეს როლი უკვე საამო, სახალისო სათამაშოა, რადგან იძულებული აღარა ვარ ყალბ საფუძველზე დავამყარო ჩემი განცდები.

მომწონს ჩემი თავი პირველ მოქმედებაში, ჩემი შინაგანი თავისუფლება გრძნობებისა, მე შემიძლია ბუნებრივად, იოლად წარმოვსახო.

10 თებ. 46 წ.

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, 1980 წ. № 9. 12. „მნათობი“, № 1.

* * *

**ეგ. ნინოშვილის ქრისტინეს ვაჟი**

ორი წლის წინათ „მნათობის“ რედაქციაში ვნახე ბარათი, მოსული რაიონიდან. დაუკარგაობისათვის მომყავს მისი შინაარსი:

„სალამი და კარგათ ყოფნა
ძველ მეგობარს კ. გამსახურდიას!

1932 თუ 1933 წელს, თუ არ ვცდები, უკანასკნელად შევხვდით ზუგდიდში, არჩილ კაკულიასთან. მას შემდეგ არ მქონია შემთხვევა თქვენთან შეხვედრის. მე რუსეთის მხარეს ვიყავი, იმ მხარეს ვმუშაობდი.

1940 წელს მოვხვდი ჩვენს მხარეს, სადგურ სუფსაში ვიყიდე ჟურნალი „მნათობი“, № 8, 1940 წლის. ამ ჟურნალში წავაწყდი დონაძის ნაწერს ეგნატე ნინოშვილის შესახებ, წავიკითხე და, სხვათაშორის, იქ ნინოშვილის ქრისტინეს შესახებაც არის ნათქვამი. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს ერთ დროს, მაგრამ ამის შესახებ არ გვქონია ლაპარაკი.

ქრისტინე იყო დედაჩემი. ასე რომ, მის შესახებ ბევრი რამე რომ სწერია, თითქოს თბილისში „დიდ ოჯახში“ და გარყვნილებაში დალია თავის სიცოცხლე და ვითომც მე მის საძებრად დავდიოდი და სხვა — ეს არ არის მართალი.

ამის შესახებ შეიძლება თქვენ არ შემეწუხებიეთ. მაგრამ წარმოიდგინე, ამ ჟურნალ „მნათობის“ № 8-შიც არის შეცდომა, თითქოს 1905 წელს, რევოლუციის დროს, იასონ უქმაძეს ე. ი. კომახიძეს მემკვიდრედ ვეცნე და თავის ქონების ნაწილიც მოეცეს, — ასეთი რამ არ ყოფილა და არც ვსაჭიროებდი. მე ჩემი შრომით შემეძლო თავი მერჩინა და მისგან ვყოფილიყავი შორს.

ასე რომ, ბ-ნო კონსტანტინე, გთხოვთ, წერილი რომ არ გავაგრძელო, თქვენც არ შეგაწუხოთ, კარგი იქნება მაცნობოთ, თუ თბილისშია დონაძე, მისი მისამართი მაცნობოთ. მე სიმართლეს შევატყობინებ მაგ მოთხრობის შესახებ.

ასე რომ სუფსაში ჯერ კიდევ ცოცხალი არიან: გოგი — მე თვითონ. ქრისტინეს უფროსი დაც ცოცხალია. ასე რომ, შესაძლებელია, თუ რაიმე საკითხი არის საჭირო „ქრისტინეს“ შესახებ, შემიძლია შევაგროვო სწორი და ნამდვილი ცნობები. თქვენი ნაშრომი „დავით აღმაშენებელი“ I ტომი შევიძინე, მეორე არის თუ არა, არ ვიცი.

განხეთ კარგად. ამით ვათავებ ამ წერილს. თუ პასუხს მივიღებ, კარგი იქნება. ვცხოვრობ ჯერ-ჯერობით სუფსაში. თუ მოხვდეთ ამ მხარეს, გვესტუმრეთ. მე თბილისში ველარ ჩამოვალწიე და ამიტომ გადავწყვიტე ამ წერილის მოწერა. ნახვამდის. იქნებ ოდესმე შევხვდეთ. პატივისცემით **კ. თელია.**

ჩემი მისამართი: სადგური სუფსა, კონსტანტინე ბექანის ძე თელია. 1944 წლ. 17. I.

ბოლოშს ვიხდი თქვენი მამის სახელი დამავიწყდა და მისამართი არ ვიცი. ამიტომ რედაქციის მისამართით ვაგზავნი“.

**8. 11. 46.**

* * *

**საგანელის დედა**

გიონ საგანელი უკანასკნელად „ქიმერიონის“ კიბეზე დავინახე, ბარბაცებდა. მთვრალი მეგონა.

...სამი დღის შემდეგ წავედით მასთან შინ, მე და შალვა კარმელი.

ვარახუნეთ კარებზე, ხმა არავინ გაგვცა. მეზობელი გამოვიდა, გვითხრა, სამი დღე იქნება აქ ხმა არ გაგვიგონიაო.

კარმელმა ზეინკალი მოიყვანა, კარი გავაღეთ. საგანელს ერთი დიდი ოთახი ჰქონდა. დავინახეთ ოთახის ბოლოში პატარა ტახტი, ზედ მწოლარე კაცი.

მივედით ახლოს: საგანელი გაუხდელად იწვა. მკვდარი იყო...

მეორე დღეს გავასვენეთ. პაოლომ დიდი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში, — ეცოდებოდა უპატრონო პოეტი. მან იშოვა ფული ხარჯებისათვის, დასაფლავების საქმე მან ითავა.

საგანელი კუბოში მძინარესავით იწვა, თითქოს ვარდისფერიც გადაჰკრავდა. შეიძლება ასე იცის მორფით მოწამლულმა?

სასაფლაოზე რომ მივიტანეთ, მღვდელმა უარი თქვა მის დამარხვაზე — ცოცხალს ჰგავს, იქნებ ლეტარგიული ძილით სძინავსო. რაღას ვიზამდით, იმ დღეს დავასვენეთ ეკლესიაში.

მეორე დღეს მოვიყვანეთ ექიმი. მან შეამოწმა, რომ საგანელი მკვდარი იყო. დავმარხეთ.

ეს მოხდა შემოდგომაზე.

გაიარა ოთხმა თვემ. მოვიდა აღდგომა. „ცისფერყანწელები“ ცისკარზე სიონის ტაძარში წავედით. ცისკრის შემდეგ ყველანი ტრადიციულად პაოლოსთან ვიყავით მიწვეულნი.

შუადღე წამოვიდა, ჩვენ ისევ მაგიდას ვუსხედით, ვნადიმობდით.

ამ დროს პაოლოს სიდედრი შემოვიდა, უთხრა მას: ვიღაც სოფლელი დედაკაცი მოვიდა, შენ გიხმობსო.

პაოლო გავიდა და შემოიყვანა მოხუცი დედაკაცი კალათით.

ეს იყო გიონ საგანელის დედა. რაჭიდან ჩამოსულიყო. კალათაში ეწყო ხაჭაპური, ლორი, კვერცხები და სხვა სანოვაგე.

— „შვილო! — უთხრა მან პაოლოს, — საკურთხი ჩამოვიტანე ჩემი შვილის, თქვენზე უკეთესს ვის გავუმასპინძლდები! მინდა მადლი გადაგიხადოთ შენ და შენს მეგობრებს, რომ უპატრონოდ არ დატოვეთ ჩემი ობოლ შვილს!...“

ასე მოვიხსენეთ საგანელი აღდგომა დღეს.

**რაჟდენ გვეტაძის ნაამბობი.**

**5. III. 46 წ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

**ვასილ ბარნოვზე**

მომაკვდავი მოხუცი ვასილ ბარნოვი უკვე აგონიაში იყო, თავდებოდა. იშვიათად რაღაც გაურკვეველს წამოიპუტუნებდა. ყველა უცდიდა დასასრულს.

უეცრად მოხუცმა თვალი გაახილა და სრულიად გარკვევით თქვა: „ხალხო, წადით, მიეშველენით (დაასახელა ერთი თავისი ნათესავი), ადამიანი კვდება!“

ვასილის ასული, სარა ბარნაველი წყნარად წამოდგა: „კაი, მამა, ახლავ კაცს გავაგზავნი“ — და კარში გავიდა, ვითომ მამის სურვილის შესასრულებლად.

ჩქარა ისევ დაბრუნდა. თავით დაუჯდა. ხანი გამოხდა, ვასილი ისევ თვალმინაბული, მძიმედ ქშინავდა.

მერე უცებ ისევ გაალო თვალები, ისევ გარკვევით წარმოთქვა: „კაცი მოკვდა და თქვენ კი ყურადღება არ მიაქციეთ!“

მერე ისევ მილულა თვალები. ყველამ ერთმანეთს გადახედა მდუმარედ. საკვირველია, რა ეჩვენება ნეტავ მომაკვდავს? გაიფიქრა ყველამ თავისთვის...

...ეს იყო ვასილ ბარნოვის უკანასკნელი სიტყვები, ცოტა ხნის შემდეგ მხცოვანმა მწერალმა სული დალია.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა მეზობელი და თქვა, — ეს-ეს არის, თქვენი ნათესავი (რომელზედაც მომაკვდავი ვასილი ამბობდა) გარდაიცვალა, — წელი გაესკვნაო.

**დემნა შენგელაიას ნაამბობი.**

9. III. 46.

* * *

**კ. მოდებაძის ნაამბობიდან:**

**აკაკი და ბიბლია.**

ერთხელ აკაკის ვეწვიე სხვიტორში. მგოსანი ბიბლიას კითხულობდა:

ახალგაზრდა ვიყავი, ათეისტი, გაუკადნიერდი და დამცინავი ღიმილით შევეკითხე:

— რად გინდათ, ბატონო აკაკი, მაგას რომ კითხულობთ, რის მაქნისია ეგ წიგნი თქო.

— ო, ჩემო შვილო, — მიპასუხა — ვისაც სურს ქართული ენა ისწავლოს, ეს წიგნი უნდა იკითხოს ბეჯითად და გარდა ამისა, ხალხშიც იაროს, მის ენას დაუკვირდეს.

* * *

**მოსკოვი, ომის დაწყების პირველ წუთებში.**

**აკ. ბელიაშვილი:**

— 1941 წლის 22 ივნისს მოსკოვში ვიყავი, დილას მოვისმინე რადიოში მოლოტოვის სიტყვა, მიმართული ხალხისადმი, გერმანელ ფაშისტთა ჯარების ჩვენი ქვეყნის საზღვრებში შემოჭრის შესახებ.

აუწერელია ის პირველი შთაბეჭდილება, რომელიც დასტოვა ხალხზე ომის დაწყების ამბავმა. არაჩვეულებრივი მღელვარება, შეშფოთება, დიდი ელდა...

მოლოტოვის სიტყვის შემდეგ ერთ საათს არ გაევლო, ქუჩაში გავედი.

წითელ მოედანზე არაჩვეულებრივი ამბავი ვნახე. ხალხი მიწყდომოდა ლენინის მავზოლეუმს. უზარმაზარი რიგი იდგა. მისი თავი მავზოლეუმიდან იწყებოდა და წითელი მოედანით გასული, მანეჟით გაგრძელებული, მოსკოვ-მდინარის ხიდამდე სწვდებოდა.

დიდი განსაცდელის პირველ წუთებში ხალხი მივიდა დიდი ლენინის ნეშტთან, რომ ენახა, გამხნევებულიყო მისი ხილვით...

31. III. 46 წ.

* * *

**ვაჟა-ფშაველას გადასვენება მთაწმინდაზე.**

ვაჟას გადასვენება დიდუბიდან მთაწმინდაზე მოხდა 1935 წ. 16 ოქტომბერს, ღამით. გადასვენებას დავესწარით: ს. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე, ილო მოსაშვილი, პ. იაშვილი, ალ. ქუთათელი, კარლო კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, ლ. ასათიანი, გრ. ჯაფარიძე, ვ. გაფრინდაშვილი, მიკოლა ბაჟანი, ბენედიქტ ლივშიცი, მე. მთაწმინდაზე ამოვიდნენ და ნეშტის დასაფლავებას დაესწრნენ: ტიც. ტაბიძე ცოლით, შალვა აფხაიძე, აკ. გაწერელია, შ. დემეტრაძე.

დიდუბეში რომ მივედით, უკვე ბნელოდა. ღამის 10 საათი იქნებოდა. იქ დაგვხვდნენ პ. იაშვილი, ლ. ასათიანი, გოგლა ლეონიძე, ილო მოსაშვილი.

ღამის სიბნელეში, ფარნების შუქზე საფლავთან დავინახეთ სილუეტები. მივედით ახლო. ნეშტი უკვე კუბოში იყო ჩასვენებული.

ფარნის შუქზე ვნახე ოცი წლის გარდაცვლილი „მთის არწივი“. თავის ქალაზე აქა-იქ თმის ღეროები შერჩენოდა, აგრეთვე ულვაშები და ოდნავ წამოზრდილი წვერი (ერთი დამსწრეთაგანი ამტკიცებდა, რომ მიცვალებულს ერთი თვის განმავლობაში კიდევ ეზრდება წვერი).

გადასვენების ტექნიკური ორგანიზაცია მიენდოთ ივანე ენიკოლოფოვისათვის. მას საბარგო მანქანის მაგიერ ცხენიანი ბალდახინი მოეყვანა. ამით წასვენება შეუძლებელი იყო, რადგან უკვე დაგვიანდა და ბალდახინი დილამდე მოუნდებოდა მთაწმინდაზე ასვლას.

გადავწყვიტეთ კუბო პატარა ფორდის ავტომანქანაში ჩაგვედო. მანქანაში ჩასხდნენ ილო მოსაშვილი და ორი მესაფლავე და წავიდნენ.

მთაწმინდაზე რომ ავედით, კუბო უკვე საფლავის გვერდით დაგვიხვდა დადგმული. უხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ფოტოგრაფი ცოდვილობდა სურათის გადაღებაზე. ბენგალის ფხვნილი ნესტიანი აღმოჩნდა და ცეცხლი არ ეკიდებოდა. როგორც იქნა, ბოლოს მოაწყო თავისი აპარატი და გადაგვიღო სურათი, კუბოსთან ერთად.

კუბოს თავი კარგა ხანს იყო ახდილი. ჩვენ მივიტანეთ ბევრი ყვავილები. განსაკუთრებით ბაჟანმა, რომელმაც იყიდა ვეებერთელა თაიგული.

კუბო გავავსეთ ყვავილებით, ბალახით, ხის ფოთლებით. ვაჟას თავის ქალა ძლივს მოჩანდა ყვავილებსა და ფოთლებში.

ოცი წლის შემდეგ კიდევ ერთხელ ეღირსა ვაჟას სიკვდილის წინ ნანატრი — რომ მოეტანათ მისთვის ბალახები და ფოთლები, რომელიც მას მოაგონებდა თავისი მთების იალაღებსა და მწვანე ტყეებს.

ახლა განგებამ მას არგუნა კიდევ ერთხელ შეეხედნა თავისი მშობლიური ცისათვის, მთვარისა და ვარსკვლავებისათვის, რომ მის ცხედარს შეხებოდა მისი ქვეყნის თბილი ნიავი.

კუბოს თავი დახურეს. მესაფლავეებმა ჩაუშვეს ვაჟა ახალ სამარეში. პოეტებმა მიაყარეს მიწა საფლავს. დამამახსოვრდა განსაკუთრებით ვალერიან გაფრინდაშვილი. ის მისტიკური შიშით შეპყრობილი, სრულიად არ გაკარებია კუბოს, სანამ ის ახდილი იყო. ახლა კი ხელში ვეებერთელა ნიჩაბი დაეკავებინა და გულმოდგინედ ყრიდა მიწას საფლავში.

გვიან იყო. მთაწმინდიდან ჩამოვედით. ერთ ოჯახში შევიკრიბენით (ივ. ენიკოლოპოვთან), სადაც წინასწარ იყო მიტანილი პურ-ღვინო. ჩვენ თავი წავუქციეთ სასმისებს და ვახსენეთ ვაჟა-ფშაველა.

ეს სერობა მთლიანად მისი ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი.

ორი დღის შემდეგ მთაწმინდაში გაიმართა ოფიციალური მიტინგი. გრძნობიერი და ლამაზი სიტყვა თქვა პოეტმა პ. იაშვილმა, შალვა ნუცუბიძეს შუა სიტყვაზე ჩაუწყდა ხმა.

ხალხი ბევრი არ იყო. მოსულიყვნენ მოწაფეები ყვავილებით, ვაჟას პორტრეტით.

სიტყვა თქვა ბაჟანმა უკრაინულად, დაამთავრა ლექსით, რომელიც მას გადმოსვენების შთაბეჭდილებით დაეწერა წინა ღამით.

ლექსი წაიკითხა ლეონიძემ — „შენ დაგმარხეს ბორკილებით — ჩვენ დროშებით ამოგიღეთ!“

საღამოს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა ვაჟას საღამო. გერონტი ქიქოძემ წაიკითხა კარგი მოხსენება. შემდეგ ვანო ბუქურაული გამოვიდა მოგონებებით. უბრალო ეპიზოდებით მან დაგვიხატა ხასიათი ვაჟასი — მისი ადამიანური ცხოვრების ამბები — როგორ შეტრფოდა თბილისში ჩამოსული მთის მგოსანი დედაქალაქის მიდამოებს, როგორ ეჭიბრებოდნენ ძმები ხტომაში და ა. შ.

ვაჟას „არწივი“ წაიკითხა ილო მოსაშვილმა. თარგმანი ამ ლექსისა უკრაინულად წაიკითხა ბაჟანმა, წაკითხულ იქნა ამ ლექსის თარგმანები აგრეთვე რუსულ და სომხურ ენებზე.

პოეტებმა იკითხეს ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსები. სიმონ ჩიქოვანმა საინტერესო სიტყვა წარმოთქვა. მან წაიკითხა აგრეთვე ბაჟანის ლექსის თარგმანიც.

ბოლოს ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსით გამოვიდა ვარლამ რუხაძე. კითხულობდა თავისი რიხიანი ხმით. ბევრი ტაში დაუკრეს მას.

საწყალი ვარლამი! მან არ იცოდა, რომ სულ ხუთიოდე დღის შემდეგ თითონაც გაუდგებოდა გზას შავეთისაკენ.

**ძველი ჩანაწერიდან.**

3. IV. 46.

* * *

**მხატ. დავ. კაკაბაძე:**

— სამჯერ ავედი სვანეთში ზედიზედ, — არც ერთხელ ფანქარი არ ამიღია ხელში. მე მხოლოდ ვსწავლობდი მას თვალით. უკვე ამის შემდეგ, მეოთხედ რომ ავედი, დავჯექი და დავხატე ოცი სურათი, სადაც ამოწურული მაქვს სვანეთი მისი ბუნებისა და არქიტექტურის თვალსაზრისით.

ასეთია მეთოდი ჩემი მუშაობის. ჩემს ნახატებს წინ დიდი მოსამზადებელი სამუშაო უძღვის ხოლმე.

ახლა გალერეიაში გამოფენილია ჩემი ახალი ტილო, რომელსაც ეწერება „1942 წელი. ქართული პეიზაჟი“. ამ ტილოზე მე მოცემული მაქვს პატარა მიწის ზოლი, დანარჩენი თითქმის ოთხი მეხუთედი ნაწილი სურათისა უჭირავს ცას.

ზოგიერთი ძალიან გულუბრყვილოდ ხსნის ამ ამბავს, მაგალითად ამბობენ, რომ აი, დავით კაკაბაძეს თავის იმერულ პეიზაჟებში არსად არა აქვს ცა მოცემული, ახლა კი, ახალ ტილოზე ერთბაშად მოგვცა ასეთი დიდი ცა. თითქოს ერთ სურათში ავანაზღაურე ის, რაც მაკლდა ყველა წინა სურათებში.

რასაკვირველია, ეს შემცდარი შეხედულებაა. ამ ტილოზე დიდი და ვრცელი ცის დახატვა შემთხვევითი ამბავი არ ყოფილა, არამედ სრულიად შეგნებული და გააზრებული ჩემ მიერ.

მე ბევრი ვიფიქრე იმაზე, თუ როგორ უნდა მომეცა ქართული პეიზაჟი სამამულო ომის დროისა. ჩვენს ქვეყანას ომის ცეცხლი არ შეხებია, მისი ტერიტორია გადარჩა გერმანელების შემოსევას. ის ბრძოლის ველად არ ქცეულა. მისი პეიზაჟი უცვლელი დარჩა. სამაგიეროდ მთელი ომის მანძილზე, განსაკუთრებით 1942 წელს, საქართველოს ყველა მცხოვრებს თავი ზევით ჰქონდა აწეული და თვალები ზეცისკენ მიპყრობილი, — იქ გერმანელების თვითმფრინავები იყვნენ, ხშირად ყუმბარებიც სკდებოდა.

ყველა ჩვენთაგანის ცნობიერებაში ამ დროს პეიზაჟის მთავარ და ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს — ცის ვრცელი ლაჟვარდი წარმოადგენდა. სწორედ ეს მომენტია ხაზგასმული ჩემს სურათში. და ვფიქრობ, ეს ხერხი მე საშუალებას მაძლევს სწორად გადმოვცე როგორც პეიზაჟი საქართველოსი, ისე სულისკვეთება და განწყობილება ჩვენი ხალხისა ომის დღეებში.

**საუბარი დავითთან მხატვართა კლუბში, ე. ბალდავაძის სურათების ვერნისაჟზე.**

7. IV. 46.

* * *

**როგორ დაიწერა დავ. კლდიაშვილის მოგონებანი**

**სერგო კლდიაშვილი:**

— სიმონეთში, ბუხრის წინ, შემოდგომის წვიმიან საღამოობით, დავითს ხშირად უამბნია ჩემთვის ეპიზოდები თავისი ცხოვრებიდან, მოუგონებია თავისი სიცოცხლის, მუშაობის, მოღვაწეობის თანამგზავრები.

ერთხელ ვთხოვე დაეწერა ყველაფერი ის, რასაც მომითხრობდა.

— რას ამბობ, სადღა მაქვს მაგისი თავი, ამას ბევრი დრო და შრომა სჭირდება, ან კი რაა დასაწერი? — მიპასუხა.

— თუნდაც იმ ადამიანების პატივისცემისათვის, ვისზედაც შენ მიამბობდი, ვინც შენ გიყვარდა, ვისთანაც დაკავშირებულია შენი ცხოვრების საუკეთესო მოგონებანი! — არ ვეშვებოდი.

უარი მითხრა... ჩქარა ამის შემდეგ თბილისში დავბრუნდი, მამაჩემი სოფელში დარჩა. ფიქრი იმაზე, რომ დავითს თავისი მემუარები უნდა დაეწერა, თავიდან აღარ მშორდებოდა.

ერთხელ, რაღაც მოთხრობისათვის ჰონორარი ავიღე. არ დავხარჯე, მთლიანად დავითს გავუგზავნე სოფელში და მივწერე, ეს ფული ჟურნალ „მნათობის" რედაქციამ გამოგიგზავნა, როგორც ავანსი შენი მოგონებების ჰონორარისა, და გთხოვა, მასალა რაც შეიძლება ჩქარა მოაწოდოთქო.

გადარეულა დავითი, ეს რა მიქნა სერგომ, ალბათ იმან ასტეხა ეს ამბავი, ახლა რაღა უნდა ვქნა, როგორ გავაწბილო ის ხალხიო.

პირველ აღელვებას რომ გაუვლია, დავითი დამჯდარა, აუღია საწერ-კალამი და წერას შესდგომია.

ორი კვირის შემდეგ დავითი ჩამოვიდა თბილისში, თან ჩამოიტანა დასაწყისი ნაწილი თავისი მოგონებისა.

„მნათობი" მაშინვე შეუდგა მის ბეჭდვას.

სამ თვემდე იმუშავა დავითმა თავის მოგონებების წიგნზე, დაამთავრა...

ასე დაიწერა დავითის მემუარები. რომ არ მეძალებინა, შეიძლება დავითს ვერც გადაეწყვიტა მისი დაწერა.

ქართულ მწერლობას დაეკარგებოდა ერთი კარგი წიგნი.

**22. IV. 46.**

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულხან ქეთელაური

# დიდი მგოსნის გახსენება

ქართველი კაცი ლექსით ცოცხლობს, ლექსით სულდგმულობს, იწონებს თავს, ილხენს და დარდსა და ნაღველსაც ლექსითვე იქარვებს. ამდენად, თავის გამორჩეულ მოლექსე-მოშაირეთ თითქმის დაბადების დღიდანვე იცნობს. სწორედ ასე მომეჩვენა მეც, როცა პირველად გიორგი ლეონიძე თვალით დავინახე. მთელი მისი გარეგნობა — სახე, ცისფერი თვალების პირდაპირი, შუქიანი გამოხედვა, მიხრა-მოხრა — თითქოს ადრეც ბევრჯერ სადღაც მენახა, და ხმაც — ბუხუნა, მოღუღუნე და ხავერდოვანი — წინათაც არაერთხელ გამეგონა...

რუსთაველზე, ბუკინისტური წიგნის მაღაზიაში შემოვიდა. გვიანი შემოდგომა იყო, იმ დღეს ოდნავ კიდეც ქინქლლავდა. ლეგა ფერის სეზონური პალტო-ლაბადა ეცვა და თავზე უჯრული კეპი ეხურა. ბუკინისტი კიმოთე შინაურულად მოიკითხა, მერე მზერა ყაფაზებზე გადაიტანა.

— რა გაქვს კარგი, ახალი? — ჰკითხა ხმამაღლა და უმალ დაუმატა, — ახალი კი არა, ძველი?

— ბევრი არაფერი, ბატონო გოგლა, — თავი იმართლა კიმოთემ, — კარგი წიგნი ან სულ აღარ არის, ანდა, ძალიან იშვიათად შემოდის.

— დაძებნა უნდა, მოკვლევა, მოკითხვა.

— ვეძებთ კიდეც, მაგრამ...

— როგორ, მაშ თბილისში წიგნი გამოილია?

— თქვა ბუხუნით და თვალ-წარბზე წყენა დაეტყო. — ჟურნალი ხომ არის, გაზეთი, ხელნაწერი, აფიშა, სურათი. განა ესენი კი ნაკლებ საინტერესოა? ან ნაკლებ საჭიროა?

მერე კიმოთეს რამდენიმე კერძო მისამართი ჩააწერინა, სადაც უნიკალური გამოცემებისა და ხელნაწერების მიგნება შეიძლებოდა. წასვლისას ერთხელ კიდევ გახედა ყაფაზებს. ყაფაზებთან ჯგროდ ჩამომდგარი ხალხი მოხვდა თვალში და მოეწონა:

— აგე, ხალხი წიგნს დაეძებს, — უთხრა კიმოთეს საყვედურნარევი დაყვავებით, — ეს კარგია, მაშასადამე, მუშტარი გყავთ, საქართველოში მკითხველი მატულობს, და თქვენ კი წიგნი არა გაქვთ... უნდა ეცადოთ, მიდგე-მოდგეთ, მოიკითხოთ.

კარებთან რომ მივიდა, თითქოს გულმა არ მოუთმინაო, ისევ შემობრუნდა და კიმოთეს კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გაუმეორა:

— უყურადღებობით, ჩვენი დაუდევრობით ბევრი იშვიათი ძეგლი და საბუთი ნადგურდება, იკარგება. ზოგი ნაგავშიც კი ყრის, არ იცის... ჰოდა, უნდა ეცადოთ.

ზღურბლზე გრძლად გადააბიჯა და ნოტიო ბურუსში გახვეულ რუსთაველის გამზირს ტანის ნელი რხევით თავქვე დაუყვა.

* * *

ჩვენს ხალხს უთქვამს: კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი აქ სახმარი, საამსოფლიო, მეორე იმქვეყნად წარსაღებელიო. სწორედ ასეთი კაცი იყო გოგლა ლეონიძე. სიცოცხლეში მისი სახელი ხალხის სიყვარულით იყო გარემოსილი და სიკვდილის შემდეგაც თავის მშობელ ხალხს, შთამომავლობას, ბევრი რამ დაუტოვა ღირსსახსოვარი და ღირსმოსაგონარი, ამდენად, მასზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, თუმცა ამომწურავად რამის თქმა მაინც ძნელია. ძნელი კი იმიტომ არის, რომ თუ შეიძლება ასე ითქვას, გოგლა ლეონიძე მრავალსახოვანი პიროვნება იყო, და როცა მასზე ფიქრობ, აღარ იცი, რომელი გამოარჩიო, რომელი რომელს ამჯობინო ან რომელს მისცე უპირატესობა — სიცოცხლეზე შეყვარებულ პოეტს, ღრმად განსწავლულ, ერუდირებულ მკვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარს, გულისხმიერ მეგობარსა თუ დაუსვენარ საზოგადო მოღვაწეს.

საზოგადო მოღვაწე! ეს სიტყვა ჩვენს დროში იმდენად გაიაფდა, რომ ხშირად პირადი სიმპატია-ანტიპათიის კვალობაზეც კი წამოვიძახებთ ხოლმე. მაგრამ თქმა ერთია და სინამდვილე მეორე. ეს დიდად საპატიო სახელი ბოლომდე მხოლოდ იმას შერჩება, ვისაც იგი ნამდვილად ეკუთვნის, ვისაც ერისა და ქვეყნისათვის სასიკეთო ზრუნვა თავის უპირველეს, უძირითადეს მოვალეობად მიუჩნევია და გულიც დღენიადაგ მის ავ-კარგზე შესტკივა.

ერისკაცობის ეს მძიმე, მამულიშვილური ტვირთი გოგლა ლეონიძემ სიცოცხლის ბოლო წუთამდე მართლაც ქედუხრელად და პირშეურცხვენლად ატარა. იგი უცვლელი მონაწილე იყო ყველა კულტურული საქმიანი შეკრებისა ქვეყანაშიც და ქვეყნის გარეთაც, და ყველგან წინა პლანზე თავისი ქვეყნისა და ხალხის საჭიროებას აყენებდა. თუ გარეთ ეროვნულ ღირსებას იცავდა, რასაც თვითონვე ყველაზე უფრო მკაფიოდ განასახიერებდა, შინ მისი კულტურულ-მატერიალური საგანძურის გაზრდის, გაუმჯობესების, გამდიდრების გზებსა და საშუალებებს დაეძებდა და პოულობდა კიდეც.

ამის დასტურად ის დიდი ფოლკლორული ლაშქრობაც კმარა, ამ ოციოდე წლის წინ რომ წამოიწყო, როგორც თვითონ იტყოდა — „სრულიად საქართველოს მასშტაბით“, და მიზანი და ამოცანებიც დიდი დაუსახა: ხალხის შექმნილი და ხალხშივე გაბნეული თქმულებების, ზღაპრების, ლეგენდებისა და ერთობ ზეპირსიტყვიერების ყველანაირი ჟანრის პირწმინდად ამოკრეფა და წერილობითი გზით შთამომავლობისათვის შემოინახა. ამ ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე მეც ვიყავი და გოგლა ლეონიძესთან ჩემი პირადი ნაცნობობაც აქედან დაიწყო.

გიორგი ლეონიძე ამ წამოწყებას დიდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა (ჭეშმარიტად ასეც იყო) და ყველაფერს პირადად ხელმძღვანელობდა — ჯგუფების დაკომპლექტება იქნებოდა ეს, ხელმძღვანელთა გამოყოფა, მარშრუტების დაზუსტება თუ სხვა რამ წვრილმანი. ბოლოს, ყველაფერი რომ მოთავდა, ჩვენ ჩვენი საველე ბარგი და საჭირო ინვენტარი — კარვები, ნაბდები, დასაკეცი საწოლები, ზურგჩანთები და მაგნიტოფონები საგანგებოდ ექსპედიციისათვის დაქირავებულ საბარგო ავტომობილზე დავალაგეთ, თავის კაბინეტში შეგვიწვია და ერთხელ კიდევ მოკლედ გვესაუბრა ხალხური სიტყვიერების შეკრებისა და შენახვის აუცილებლობასა და მეცნიერულ დანიშნულებაზე. ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელობა პროფესორ მიხეილ ჩიქოვანს მიანდო და საუბარი თავისებური პატრიარქალური დალოცვით დაასრულა:

— აბა, მადლი გფენოდეთ მარჯვენაზე და თქვენს ჭირნახულსაც ხვავი და ბარაქა დაჰკვებებოდეს!

* * *

ექსპედიცია თანდათან გაიზარდა და, რასაკვირველია, მოპოვებულმა მასალამაც იმატა, მაგრამ გიორგი ლეონიძე წაუკითხავსა და გადაუთვალიერებელს არცერთ ხელნაწერს არ დატოვებდა. ამას მოწმობდა ხელნაწერების არშიებსა და სქოლიოებში მინაწერი შენიშვნები და მითითებები. განსაცვიფრებელი იყო ამ ხანდაზმული კაცის შრომის უნარი, ხალისი, მეხსიერება და ენერგია. ერთხელ მარტო გამგზავნა სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში ქიზიყელ მანდილოსანზე — ბოლლაურაზე გავრცელებული თქმულებების დასაძებნად და მოსაპოვებლად. ბოლლაურაზე იმდენი ვერაფერი აღმოვაჩინე, სამაგიეროდ სხვა მასალა შემიგროვდა კარგი, და თვის ბოლოს ორასგვერდიანი ხელნაწერით დავბრუნდი.

თბილისში საღამოს ექვსი საათისათვის ჩამოვედი და პირდაპირ ინსტიტუტისაკენ გავწიე. ვიცოდი, ბატონი გოგლა იქ დამხვდებოდა, — ამ დროს თითქმის ყოველთვის ინსტიტუტში იყო, ხოლო ახალი და კარგი მასალა უზომოდ ახარებდა.

ვარაუდმა არ მიმტყუნა — გოგლა მართლაც თავის კაბინეტში დამხვდა, მაგრამ კარებთან მთხოვნელების დიდი რიგი იდგა და მაშინვე ვერ შევედი, უკან მივდექი და ჩემს ჯერს დაველოდე.

ღია კარში უცბად თვითონვე გამოჩნდა, ზღურბლზე შედგა, ხელები წირთხლებს მიაბჯინა და შეკრებილ ხალხს გადმოხედა. ბოლოს მეც დამინახა და ხმამაღლა დამიძახა:

— შენ აქ საიდან?

ხმასა და სახეზე შევატყვე, რომ კარგ ხასიათზე იყო და მეც იმავე კილოზე შევბედე:

— ჩამოვედი, ბატონო გოგლა!

— მერე, რაღას ელოდები?

მე ხალხს გადავხედე. გოგლამ უფრო აუწია ხმას:

— მე ხომ გითხარით, თქვენ ნება რთული გაქვთ და რიგს არ დაელოდოთ-მეთქი? შემოდი!

ფოლკლორული ლაშქრობის მონაწილეთ ყოველთვის გვაფრთხილებდა, — რა საქმეზეც უნდა მივსულიყავით მასთან, თუნდაც პირადზე, რიგს არ უნდა დაველოდებოდით, დროზე უნდა მოგვეთავებინა ყველაფერი, რომ საქმეს ერთი წუთითაც არ მოვმცდარიყავით. თქვენთვის ყოველი წუთი ძვირად ღირსო, გვეტყოდა ხშირად, კაცი გაბერილ ტიკსა ჰგავს, წუთში იფუკება და თავისი ცოდნაც თან მიაქვს, და, ვინ იცის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი წუთიერი დაგვიანება რა დიდ საუნჯეს დაუკარგავს შთამომავლობასო.

— ჰირნახულს როგორი პირი უჩანს? — მკითხა შესვლისთანავე.

— უხვი და თავანკარი, — მივუგე და ორასგვერდიანი ხელნაწერით გაბერილი საქაღალდე მაგიდაზე დავუდე. გოგლამ ხელნაწერს მარჯვენა ხელი დაადო და შემეკითხა:

— ღალა როგორიღაა? — ღალას შინაარსს ეძახდა.

— კიდევ უკეთესი.

ჩამოჯდა და მეც სკამზე მიმითითა.

— აღმოჩნდა რამე? — ამას ბოლღაურაზე მეკითხებოდა.

— ბევრი არაფერი, — ვუთხარი ცოტა დარცხვენით და დავუმატე, — სამაგიეროდ სხვა მასალა ჩავიწერე ისეთი, რომ მოგეწონებათ.

— რა ბედენაა, მასალა ყველა ერთნაირი საშური და საჭიროა. — თქვა დინჯად. ცოტა ხანს ჩაფიქრებული იჯდა, მერე ხმადაბლა მითხრა, — ახლა წადი, დაისვენე. დილაზე შინ მოდი და ერთად გადავათვალიეროთ.

— რომელ საათზე მოვიდე?

— ათზე მოდი... ჰო, ზუსტად ათზე.

* * *

დილას სრულ ათზე დავრეკე ზარი. კარი თვითონ გამიღო და სამუშაო ოთახში შემიძღვა. საშინაოდ ეცვა — თივთიკიანი ჯუბაჩა და თბილი ქოშები, თავზე თუშური ქუდი ეხურა.

ტახტთან პატარა ოთხკუთხა მაგიდა იდგა, მაგიდაზე ხელნაწერები იყო გაშლილი. ჩემი საქაღალდე ტახტის თავთით, მარმარილოს მრგვალ მაგიდაზე იდო.

— უკვე გადავხედე, — მითხრა, — მომეწონა, კარგი მასალაა. — სკამი მარმარილოს მაგიდასთან მიმიწია, — ნახე, გასინჯე, — თვითონ ტახტზე ჩამოჯდა, კალამი აიღო და მაგიდაზე გაშლილ ხელნაწერებზე დაიხარა. საქაღალდე გავხსენი და გავოცდი: ბატონ გოგლას არა თუ გადაეხედა, ეს ორასგვერდიანი ტომი ფურცელ-ფურცელ გადაეკითხა და, როგორც ჩვეულებად ჰქონდა, არეებსა და სქოლიოებზე შენიშვნებიც მიეწერა.

„როდის მოასწრო, როდისღა ეძინა? ან ეძინა კი სულაც თუ არა?" ვფიქრობდი გაკვირვებული და მალულად ვუჭვრეტდი, მაგრამ სახეზე დაღლილობისა და უძილობის არავითარი კვალი არ ემჩნეოდა. კალამშემართული თითქოს მუქარით დაჰყურებდა ხელნაწერს. იმხანად მოთხრობების წიგნს „ნატვრის ხეს" ამზადებდა და, არ ვიცი, ახალ მოთხრობას წერდა, თუ ძველს ასწორებდა, — საქმეს მთელი გულისყურით ჩაღრმავებოდა და თავის თავს აღარაფერში ჰგავდა. მუდამ ხალვათი, მშვიდი სახე უზომოდ გამკაცრებოდა და მუხის კუნძივით დაკუნთვოდა. აზრის შინაგან მიმდინარეობას თითქოს გარეთაც გამოექონა და უნებურად მხრები და ხელებიც აეყოლიებინა: კალამს ნაჯახივით იქნევდა, დაუზოგავად ჩეხდა სტრიქონებს, ახალს წერდა, კვლავ შლიდა და კვლავ ახალს წერდა. თითქოს აღარც სუნთქავდა, დროდადრო თითქოს შეკრთებოდა — მთელი ტანით შეტოკდებოდა და მხრებმოწურული ასაფრენად გამზადებულ ბერარწივს წააგავდა.

უცბად კალამი დადო, ეტყობოდა რაღაც დაასრულა, მხრებში გაიშალა, ხალვათად ამოისუნთქა და ცისფერი თვალები ხანგრძლივად მომაშტერა:

— ბოლღაურა... ბოლღარია... ბოლღარნი... — ჰა, რას იტყვი, — შემეკითხა უცბად, ამ გარეგნულ მსგავსებაში შინაარსიც საერთო ხომ არ იქნება?

— რა გითხრათ-მეთქი, თქვენ უკეთ იცით.

— ჰოდა, არც მე ვიცი, — თქვა როგორღაც მიამიტურად. მერე ისევ ჩაფიქრდა, მზერა მოპირდაპირე კედელს გაუშტერა და ერისა და სარწმუნოების წინაშე ქართველი ქალის დიდი ღვაწლი გაიხსენა. ლაპარაკობდა დინჯად, ჩაფიქრებით:

— დიდია, განუზომლად დიდია ქართველი ქალის ღვაწლი, მაგრამ, დაფასება არა აქვს. არ ვაფასებთ, ზარმაცები ვართ, არაფერს ვაკეთებთ... „ოთარაანთ ქვრივის" შემდეგ ქართველ მანდილოსანზე — ქართველ დედაზე, ცოლზე, დაზე, ერთი სტრიქონიც რიგიანი არაფერი დაწერილა. ღირსი კია, ეპოსების, ეპოპეების ღირსია ქართველი ქალი. ვისაც საქართველოს გაცნობა უნდა, ჯერ ქართველი ქალი უნდა გაიცნოს. ქართველი ქალი არცერთ სხვა ქალს არა ჰგავს, — სულ სხვა ჯილაგია, სხვა ჯიში.

— განა ახლაც გვყავს ასეთი ქალები? — ჩავურიე განგებ, აბა რას იტყვის-მეთქი.

სახეზე უკმაყოფილობა დაეტყო, — არ მოეწონა ეს ნიჰილისტური შეკითხვა. ეროვნულ ნიჰილიზმს საერთოდ ვერ იტანდა.

— ახლაც გვყავს და მერეც გვეყოლება. — მითხრა წყენით და ცერად გამომხედა. — ვიცი, რასაც გულისხმობ. მოდის აყოლები წინათაც იყვნენ. თითო ოროლა ქარაფშუტა არც მომავალში გამოილევა, მაგრამ ისინი ანგარიშში ჩასაგდებად არ ღირან. ქართველი ქალი კი იყო, არის და იქნება! — დაასრულა ბეჯითი რწმენით და წამოდგა.

მე გამოვემშვიდობე და წამოვედი.

* * *

გიორგი ლეონიძე ყოველ წამსა და წუთს მთელ საქართველოსთან იყო და საქართველოც მუდამ მასთან იყო. საქართველოს ყველა კუთხეში ჰქონდა საქმე და ბევრსაც მოგზაურობდა: დღეს რომ მესხეთ-ჯავახეთს დახედავდა, ხვალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთს ეწვეოდა, ზეგ ქართლს, იმერეთს, ან გურია-სამეგრელოს მოინახულებდა. გოგლას ჩასვლა ან უბრალოდ გზად გავლა ხალხს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა და რაიონის თავკაცებთაგან უსათუოდ სახელდახელოდ შეხვედრა მოჰყვებოდა.

ამ შეხვედრებს სიტყვით ერქვა სახელდახელო — უცბად ეწყობოდა და იმიტომ, — თორემ შინაარსითა და მასშტაბით არცერთ ხანგრძლივ ნამზადებ და ორგანიზებულ შეხვედრას არ ჩამოუვარდებოდა, გულწრფელობითა და ხალისით კიდევაც სჭარბობდა. ამისი მიზეზიც თვითონვე იყო: თავისი მდიდარი, მადლიანი ქართულით, მოსწრებული შენიშვნებითა და დინჯი კახური იუმორით მეტი ხალისი შეჰქონდა და უფრო გულთბილ, შინაურ ელფერს აძლევდა.

მახსოვს, ერთი ასეთი შეხვედრა 1962 წელს თელავის საზოგადოებამ მოუწყო. თეატრში ტევა აღარ იყო — დერეფნები და კიბეებიც ხალხით იყო გაჭედილი. ოფიციალური ნაწილი და მასპინძელთა მილოცვა-მისალმებები რომ მოთავდა, ჯერი გოგლას მხლებლებზე მიდგა. სიტყვა ახალგაზრდა მწერალს, ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკს ნოდარ შამანიძეს მისცეს.

ნოდარმა თელაველებს მიმართა:

— ძმანო კახელნო, აი თქვენი თანამემამულის, დღეს თქვენი სტუმრის, გოგლა ლეონიძის სიყვარულში შეგეჯიბრებით და დამიჯერეთ, გაჯობებთ კიდეც...

ნოდარის გამოსვლა ყველას ძალიან მოეწონა და ტაშით რამდენჯერმე შეაწყვეტინეს სიტყვა. უფრო ხანგრძლივად და აღტაცებით უკრავდნენ ტაშს ლოჟებსა და პარტერის წინა რიგებში, სადაც უმეტესად ახალგაზრდა მანდილოსნები და ქალიშვილები ისხდნენ. ქალიშვილებმა ყვავილებიც ესროლეს. გოგლამ ეს შეამჩნია, უცბად წამოდგა, პატარა შენიშვნის ნება მომეცითო, თქვა და პარტერის წინა რიგებს მიმართა:

— ეს ამხანაგი, თმა რომ შავი აქვს, სასიძო ბიჭი არ გეგონოთ, შინ ცოლი და სამი შვილი ელოდება.

ხარხარმა კედლები შეაზანზარა, მაგრამ გოგლას არც მისი უმცროსი მეგობარი ჩამორჩა. სიცილი რომ შეწყდა, „პატარა შენიშვნის“ გამო „მცირე განმარტების უფლება“ ითხოვა და თქვა:

— არ მინდა შევეკამათო ბატონ გოგლას, მაგრამ რა ვქნა, მისმა შენიშვნამ დიდ საგონებელში ჩამაგდო: აქეთობას, შინიდან რომ წამოვედი, ორი შვილი მყავდა, ხოლო ის მესამე რომელია, როდის ან საიდან გაჩნდა ჩემს სახლში, თვითონ აღარ ვიცი.

ასეთი „პაექრობები“ უფრო ალამაზებდა ამ ხასიათის შეხვედრებსა და საღამოებს, ხალხსაც ურიცხვს იზიდავდა, დარბაზის დატოვება და შინ წასვლა აღარავის უნდოდა, კომისიის თავმჯდომარემ, რომ იტყვიან, ძალისძალად გამოჰგლიჯა ხალხს ხელიდან თავისი სათაყვანო სტუმარი და გაიყვანა სცენიდან.

* * *

უფრო ხშირად ვხვდებოდი გოგლას მას შემდეგ, რაც ლიტერატურის ინსტიტუტი მთაწმინდიდან ზემელზე, ლენინის ქუჩაზე გადმოვიდა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ, როცა დრო ჰქონდა და ჩვენც იქ ვიყავით, კაბინეტში შეგვიწვევდა და საუბარს გაგვიბამდა.

ბატონი გოგლა ბევრის მომსწრე და მნახველი იყო და მეხსიერებაც საოცარი ჰქონდა. იგონებდა სიყრმისა და სიჭაბუკის დროინდელ ამბებს და ნანახსა და განცდილს თავისებურ ანალიზს უკეთებდა. ზოგჯერ სტალინს გაიხსენებდა, მაგრამ მასზე ბევრი საუბარი არ უყვარდა.

— ძალიან დიდი პიროვნება იყო, მეტისმეტად დიდი, — იტყოდა ფიქრში წასული და გაჩუმდებოდა.

უფრო ხშირად გვესაუბრებოდა საქართველოს წარსულზე, მივიწყებულ ქართულ ადათწესებზე და, რაღა თქმა უნდა, პოეზიასა და ლიტერატურაზე.

ლიტერატურაში ჭეშმარიტად ფენომენი იყო. ცოდნით ყველა დროისა და ეპოქის კვალიფიციურ მკვლევართა დონეზე იდგა. სულ ერთი იყო, საუბარი ვის შეეხებოდა — იაკობ ხუცესსა და გიორგი მერჩულეს, თუ ილიასა და აკაკის. ასევე ზედმიწევნით იცოდა უახლესი ქართული მწერლობაც, მაგიდაზე მუდამ ეწყო გალაკტიონის, ტიციანის, პაოლოს, ვალერიან გაფრინდაშვილისა და სხვა თანატოლთა და თანამოკალმეთა წიგნები. უყვარდა მათი გახსენება და მათზე საუბარი. განსაკუთრებით გულისტკივილით იხსენიებდა ტიციან ტაბიძეს — ნაღდი პოეტი იყოო; ამბებს თანდათან შორს გაჰყვებოდა, თანდათან მთლიანად მინებდებოდა მოგონებებს. ასეთ დროს სახე შესამჩნევად დაუნაღვლიანდებოდა და ჯდომაც თავისებური იცოდა: სკამის საზურგეზე დუნედ გადაწვებოდა, ან ცალი მკლავით მაგიდას ჩამოეყრდნობოდა და ნელა, აუჩქარებლად ჰყვებოდა. ხმა ძლიერ უთრთოდა და ოდნავ მილულულ თვალებშიც სინანულის ჩრდილი უკრთოდა.

უცბად დაალწევდა თავს მოგონებებს და წამოდგებოდა. — ახლა წავიდეთ და ხინკალი ვჭამოთ, — გვეტყოდა ნახევრად ხუმრობით, რესტორან „გემოში“ შეგვიყვანდა და შეწყვეტილ საუბარს წასულების მოგონებითა და პოეზიის სადღეგრძელოთი დააბოლოვებდა.

ბოლო დროს გულსა და წნევას უჩიოდა და ღვინო ექიმებისაგანაც აკრძალული ჰქონდა, მაგრამ ზომიერად ყოველთვის სვამდა. ექიმე-

ეროვნული

ბის რეჟიმს უნდობლად უყურებდა. ჩვენი სისხლ-ხორცი ოდითგანვე ღვინით არის ნაპატივები და როგორ შეიძლება ქართველ კაცს ღვინო აეკრძალოსო, იტყოდა წყენით, — ჩვენი ექიმები ძალიან სცდებიან, რომ მწოლიარე ავადმყოფსაც კი გარკვეული დოზით ღვინოს არ უნიშნავენ, ასე იყო მიღებული ძველ ქართულ მედიცინაში და ჯანმრთელობაც მეტი იყო. ქართველ კაცს ულვინობა გონებრივადაც ფიტავს და ჯანითაც აჩაჩანაკებსო.

* * *

ზემოთ შემთხვევით არ მითქვამს და არც გადამიჭარბებია, რომ გოგლა ლეონიძე განუშორებლად მთელ საქართველოსთან იყო და საქართველოც მუდმივ მასთან იყო-მეთქი. იშვიათად გამოერეოდა ისეთი დღე, რომ გოგლას საქართველოს რომელიმე კუთხიდან სტუმარი არ ჰყოლოდა. დღეს რომ ინგილო მოინახულებდა „ჩონ გოგლას“, ხვალ სვანი ან ხევსური ეწვეოდა. ზეგა და მაზეგ კი მოხევე, მესხი ან აჭარელი მოაკითხავდა. რა საქმისა და სპეციალობის ხალხს აღარ ნახავდით მასთან: მუშები, გლეხები, მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, ინჟინრები... ერთი რჩევისათვის იყო მოსული, მეორეს რაღაც გასაჭირი ედგა და შველასა და შემწეობას სთხოვდა, ხოლო მესამე და მეოთხე, უბრალოდ, სიყვარულს, დიდი ხნის უნახაობასა და კიდევ ნახვისა და მოკითხვის სურვილს მოეყვანა.

„გოგლას კარზე“ განსაკუთრებით მრავლად იყრიდნენ თავს დამწყები მწერლები და პოეტები, და თვითონ გოგლაც განსაკუთრებული მზრუნველობითა და გულისხმიერებით ეკიდებოდა მათ, — გადაუდებელ საქმეს გადადებდა, აკითხებდა, უსმენდა, დასაწუნს პირუთვნელად უწუნებდა, მოსაწონსაც იქვე მოუწონებდა და კარგის ავტორს სწორ გზასა და მიმართულებას მისცემდა.

ერთხელ, ამ საყოველთაო გულისხმიერებით გათამამებულმა, გავბედე და ერთი ჩემი მოთხრობა „მონადირის ნაამბობი“ მივუტანე. კაბინეტში მარტოკა იყო, მაგრამ ბევრი არაფერი უთქვამს, მარტო თემა მკითხა, მოთხრობა დაიტოვა და, ხვალ შუადღისას გამოიარეო, მითხრა.

მოთხრობას უკვე იცნობდნენ ჩემი თანატოლები და ორ-სამ უფროსი თაობის მწერალსაც წაკითხული ჰქონდა. ახალგაზრდებიცა და ხანდაზმულნიც ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილნი, ერთი აქებდნენ, მეორენი — არა, მაგრამ ენას ორივე ჯგუფი მიწონებდა, ბატონმა გოგლამ კი სწორედ ენა დამიწუნა, და არა მარტო დამიწუნა, — დამტუქსა კიდეც, — მთაში გაზრდილმა კაცმა ამაზე უკეთესი ქართული როგორ არ იციო. თუმცა მოთხრობა მაინც მომიწონა და „მნათობში“ გრიგოლ აბაშიძესთან [illegible]-ბინა, — ნიჭიერი მწერალია და ამ მოთხრობას ყველაზე უკეთ ის გაიგებსო.

„მნათობში“ იმავე დღეს წაველი, მაგრამ სადარბაზოდან უკანვე გამოვბრუნდი. ბატონ გოგლას დატუქსვამ სერიოზულად დამაფიქრა. სიმართლე რომ ვთქვა, მე მთლიანად არც ქებას ვიზიარებდი, არც — წუნს, მაგრამ ენა თვითონაც მომწონდა და ასეთი მკაცრი შენიშვნის გამო თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი. მოთხრობა ერთ ღამეში მგონი ათჯერ გადავიკითხე, მაგრამ მახინჯი და დასაწუნი ერთი სიტყვაც ვერ აღმოვაჩინე. ბოლოს გადავწყვიტე, მოთხრობა მანამ არ დაშებეჭდა, სანამ არ გავარკვევდი, რაში იყო საქმე — გოგლა ლეონიძე „ცდებოდა“ თუ მე, და „მნათობში“ სხვა მოთხრობა მივიტანე.

ერთი წლის შემდეგ კრებულის მზადებას შევუდექი, „მონადირის ნაამბობიც“ მოვნახე, გადავიკითხე და ბატონი გოგლას წყრომის მიზეზიც მაშინ გავიგე: იმდენი მახინჯი და ქართულისათვის შეუფერებელი ფორმა და გამოთქმა აღმოვაჩინე, რომ თვითონვე გამიკვირდა. მოთხრობა, რა თქმა უნდა ჩავასწორე, უფრო სწორად, გადავამუშავე და კრებულში ისე შევიტანე, მაგრამ როცა ეს ამბავი იმავე კაბინეტში ბატონ გოგლას ვუამბე და ჩემს მაშინდელ ურწმუნობაშიც გამოვუტყდი, ისე მიპასუხა, თითქოს თვითონ არაფერ შუაში იყო.

— კარგად გიქნია, ეგრე უნდა, მაშ! ახალგაზრდებს სწორედ ეგ გაკლიათ, — მითხრა მოკლედ, პალტო და ქუდი საკიდარზე ჩამოჰკიდა და შემეკითხა, — ახალს რას აკეთებ?

* * *

ბოლო ხანებში გოგლას ისე ხშირად ველარ ვხვდებოდი. ფოლკლორულმა ექსპედიციამ თავისი საქმე ძირითადად ამოწურა. წევრები მიმოვიფანტენით — მუდმივი სამსახურები დავიწყეთ და ის საქმიანი, ცხოველი ურთიერთობაც რამდენადმე შენელდა. მაგრამ იმათ, ვინც ამ ხნის მანძილზე გოგლასთან შედარებით უფრო დაახლოვდნენ, მისვლა-მოსვლა მთლიანად არ შეუწყვეტიათ. ასე ვიყავი მეც. თვეში ერთ-ორჯერ აუცილებლად შევივლიდი ინსტიტუტში და თუ ძალიან მოუცლელი არ იყო, მოვინახულებდი.

კაბინეტში მარტო იშვიათად მინახავს. ყოველთვის ვიღაც ჰყავდა — ხან მთხოვნელი, ან კოლეგა, ან მეგობარი. ხოლო თუ მარტო იყო, უსათუოდ ახალი ლექსი უნდა ეწერა. მაგიდაზე თითქმის ყოველთვის ლექსის სტრიქონებით აჭრელებულ ფურცლებს ვხედავდი. თავისი მრავალმხრივი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობიდან ლექსს, პოეზიასა და საერთოდ ლიტერატურას გამორჩეული ყურადღებით ეკიდებოდა. და ეს ბუნებრივიც იყო, — იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი თავისი კაცური ღირსებით, სისხლ-ხორცითა და რწმენით პოეტი იყო, გული მუდამ რითმით უცემდა და ლექსიც განუშორებლად თან ახლდა, — თითქოს ხილულად დაჰფარფატებდა თავზე და გაბადრულ სახეს თავისი შარავანდედის ნათელს აფრქვევდა.

კარგი ლექსი საკუთარიც და სხვისიც უზომოდ ახარებდა, ქართული ლიტერატურის სიახლე, თუნდაც სულ მცირე, ბავშვივით აღაფრთოვანებდა. სიახლეს კი უფრო ახალგაზრდობისაგან მოელოდა და მოითხოვდა კიდეც. ალბათ ამის გამო იყო, რომ ყოველ მისვლაზე, მისვლისთანავე ამ კითხვას შემაგებებდა:

— ახალს რას აკეთებ?

მაშინაც ჩვეულებრივ სანახავად შევიარე — მთელი თვე იყო, რაც არ მენახა, — მაგრამ კაბინეტის კარები გამოკეტილი დამხვდა. ინსტიტუტში არც სხვა ვინმე ჩანდა და დერეფნებსა და ოთახებში უცნაურ სიჩუმესა და სიცარიელეს დაესადგურებინა. ბოლოს ბუღალტერიაში შევიხედე, ბუღალტერი და მოლარე მგლოვიარეებივით ისხდნენ და თვალებზე ნამტირალეობა ემჩნეოდათ. სანამ მე ვიკითხავდი, ბუღალტერმა თვითონვე მითხრა:

— ძალიან მძიმედ ყოფილა...

— ვინა თქვა?

— ეს-ეს არის გავიგეთ.

— ხალხი სადღაა?

— ყველა წავიდა. ჩვენღა დავრჩით. — და თითქოს თავს იმართლებსო, დაუმატა, — რა გვექნა, ინსტიტუტს ისე ხომ ვერ მივატოვებდით.

კიბე ჩავირბინე, იქვე, ვერის ბაზრის წინ, ტაქსი გავაჩერე და წყნეთში ავვარდი.

მთელი ინსტიტუტი იქ დამხვდა. თანამშრომლებში ორი იმდენი ნაცნობ-უცნობი ერია. შიგნით რა ხდებოდა, დაბეჯითებით არავინ იცოდა, ექიმთა კონსილიუმი ჯერ თვითონაც არკვევდა და ავადმყოფთან არავის უშვებდა. ხალხი დაღვრემილი სახით მიმოდიოდა ეზოში, ჭიშკრის ირგვლივ, და კონსილიუმის საბოლოო დასკვნას სარწმუნოებრივი იმედითა და სასოებით მოელოდა.

* * *

ამ დღიდან ხალხის ნაკადი განუწყვეტლივ დიოდა წყნეთისაკენ და მნახველთა და მომკითხავთა რიცხვიც დღითიდღე მატულობდა, თუმცა ყველამ იცოდა, რომ თვალით ვერ ნახავდა — ექიმები კვლავ თავისებურად ჯიუტობდნენ და ოჯახის წევრებს გარდა სიახლოვეს არავის აკარებდნენ. მაგრამ შორით ამბის კითხვა ხალხს სათაკილოდ მიაჩნდა, თითოეული თავს მოვალედ თვლიდა, ადგილზე მისულიყო და საქართველოს სახალხო პოეტისა და ერის დიდი მოჭირნახულის — გიორგი ლეონიძის ჯანმრთელობის ამბავი იქ გაეგო.

ერთ საღამოს აივანზე, მოაჯირის გაყოლებით ვისხედით. აივანი ლეგა ტილოს ფარდით იყო გადატიხრული და ტიხარს იქიდან ექიმების ნელი ბჭობა ისმოდა. მერე ექიმები გამოვიდნენ, ჩაეძინაო, თქვეს და ეზოში ჩავიდნენ.

გვერდით ინსტიტუტის თანამშრომლები მესხდნენ. — უნდა შევიდე და ვნახო, — გადავუჩურჩულე მათ და აივნის სიღრმისაკენ ფეხაკრეფით წავედი. ნახვა მართლაც ძალიან მინდოდა. მე იგი ყოველთვის მხნე მენახა, ყოველთვის შემართული, სიცოცხლის წადილს, ხალისსა და ენერგიას აყოლილი, და ვერაფრით ვერ წარმომედგინა გოგლა ლეონიძე ავადმყოფი, მწოლიარე, ფერმიხდილი და დაუძლურებული.

არც ჰგავდა. საწოლი აივნის მარცხენა კუთხეში იდგა. გულაღმა იწვა, ბალიშებზე ოდნავ შემაღლებულად. ძილი უკვე გაჰყინჩებოდა. მარცხენა ხელი ძირს ჩამოსცურებოდა და თითებით იატაკს ეხებოდა. გარეგნულად ავადმყოფობის პაწია ნიშანწყალიც არ ეტყობოდა — არც ფერი შესცვლოდა, არც — იერი. ისევ ის მთვარისფერი, ბადრი სახე, — ზედ თითქოს ნეტარი ღიმილი მოჰფენოდა და ოდნავ ღიად დარჩენილი ტუჩებიც თითქოს ღიმილს გაეპო.

ერთი პირობა ძირს ჩამოცურებული ხელის აწევა და საბანზე დასვენება განვიზრახე, მაგრამ ვერ გავბედე, — არ გაეღვიძოს-მეთქი. ხარულად სუნთქავდა — მშვიდად, ღონივრად ფშვინავდა და ბალიშზე მხრებმიყრდნობილი თითქოს წამოდგომას აპირებდა.

უკან ისევ ნელა, ფეხაკრეფით გამოვბრუნდი და თან იმედითა და რწმენით სავსე გული გამოვიტანე, რომ გოგლა ლეონიძე დღეს თუ არა, ხვალ ისევ წამოდგება და კვლავ ჩვეული რახით დაიბუბუნებს-მეთქი. მაგრამ გუმანი არ ამიხდა, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, — მესამე დღეს მეხივით გავარდა ავი ამბის მაცნე ხმა, — გარდაიცვალა გიორგი ლეონიძე!

ამ სამმა სიტყვამ მთა-ბარიანად შეძრა საქართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მივჩერებივარ ნათელს მიღმიერს"...

ვახტანგ ხარჩილავას პირველი წიგნი 1979 წლის მიწურულს გამოსცა გამომცემლობა „მერანმა"; მასში შესულ ლექსთა უდიდესი ნაწილი კი 70-იანი წლების პირველ ნახევარშია დაწერილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ხნის მანძილზე ვახტანგ ხარჩილავა იზრდებოდა როგორც შემოქმედი, იხვეწებოდა მისი პოეტური ოსტატობა, გემოვნება, ძლიერდებოდა მისი პასუხისმგებლობისა და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის გრძნობა, უფრო მკაფიოდ ყალიბდებოდა მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ლექსებმა დროის პირველი სერიოზული გამოცდა წიგნად გამოსვლამდე ჩააბარეს წარმატებით — ბევრი მათგანი ქართველმა მკითხველმა ადრევე წაიკითხა ჩვენი ლიტერატურული პრესის ფურცლებზე. ყველა გამოქვეყნებული ლექსი არც შესულა პირველ კრებულში, მაგრამ მაინც ასე შედარებით სრულად და ხელშესახებად ახალგაზრდა შემოქმედი პირველად შეხვდა პოეზიის მოყვარულთ. სადღეისოდ საკმაო დროა გასული იმისათვის, რათა გამოითქვას აზრი ამ შეხვედრის შესახებ და ჩემი აზრიც ძირითადად ემთხვევა საერთოს — ეს შეხვედრა ბედნიერი და სასიხარულო იყო.

ვინც ინტერესით წაიკითხა ვახტანგ ხარჩილავას „ალტერნატივა", არ შეიძლება არ აღელვებოდა და არ დაეფიქრებინა ამ ღრმა აზრით სავსე ლექსებს. სისადავე, ალეგორია და სიმბოლოებით ხატვა ვ. ხარჩილავას პოეზიის მოუცილებელი თვისება და, იმავდროულად, — ღირსებაც არის, რამეთუ ავტორი ბრწყინვალედ ფლობს ჭეშმარიტი პოეტური აზროვნებისათვის საჭირო რთულ და მდიდარ არსენალს.

„ნაპირები ვართ ჩვენ ყველანი ერთმანეთისათვის... შუქურები ვართ ჩვენ ყველანი ერთმანეთისთვის... ვარსკვლავები ვართ ჩვენ ყველანი ერთმანეთისთვის, გზებს ერთმანეთის განლაგების მიხედვით ვიგნებთ" — ასე პირველივე სტრიქონებიდან გვიტაცებს ეს პატარა წიგნი, ფაქიზად და წიგნის სულში წვდომით რომ მოუხატავს ახალგაზრდა მხატვარს — ციალა გაჩეჩილაძეს.

შეუძლებელია, რომ რამე ჭეშმარიტად ღირებულისა და მნიშვნელოვანის შემქმნელი გახდე, თუ არ ძალგიძს მთელი არსებით უერთგულო ბეთჰოვენის დევიზს — „ტანჯვის გზით ბედნიერებისაკენ!" არ არსებობს პოეზიაშიაც სხვა გზა ადამიანის სულის უიდუმალეს ზრახვათა წიაღში ჩაღრმავებისა და გაცხადებისა, რაც პოეზიის ერთი უპირველეს დანიშნულებათაგანია. მაგრამ, ამასთან ერთად, აუცილებელია დიდი უნარიც რაღაც იდუმალი და ქვეცნობიერი ძალის გამოხმობისა საკუთარი სულის სიღრმიდან, სისხლხორცში გამჯდარი მადლი კაცურკაცობისა, ნიჭი თეთრისა და შავის გარჩევისა, ჭვრეტა ნათელმხილველისა... წარმოუდგენელია ყოველივე ამის გარეშე ასე, სულის ფსკერამდე ჩაწვდომით დახატო სურათი — დრამატიზმით აღსავსე ხილვა: „ბერი კოლხები მღეროდნენ ჩელას, მერე ბალახად დგებოდნენ თვითონ და მოსდგომოდა პრიალა ცელი მზეგადასული სიცოცხლის მინდორს" (უსათაურო „ბერი კოლხები თიბავდნენ ბალახს"). პეიზაჟის თავისთავადი სილამაზე ვ. ხარჩილავას ნაკლებ აინტერესებს, თუ მას ადამიანთან, მის ცხოვრებასთან რაიმე ხელშესახებ მიმართებაში არ დაინახავს. მისი პოეტური სამყაროს ცენტრში ადამიანი დგას, ყველაფერი სხვა მის გარშემო და მისთვისვე არსებობს და იმდენად აინტერესებს ამ სამყაროს შემოქმედს, რამდენადაც ფასეულსა და მნიშვნელოვანს წარმოადგენს ესა თუ ის ნივთი თუ მოვლენა ადამიანისათვის. ადამიანთან კავშირში, ადამიანის სულის სიღრმეთა წვდომის თვალსაზრისით.

აქ მჟღავნდება პოეტის ერთი არსებითი ნიშანთვისება: ვ. ხარჩილავა არ არის მხოლოდ სტატიკური, ხილული სამყაროს მხატვრული ასლის გადაღებისათვის მოწოდებული მხატვარი. იგი, პირველ რიგში, ფიქრის, ძიებისა და განსჯის პოეტია. მისი ლირიკა ინტელექტუალური პოეზიის უაღრესად ეროვნული ხასიათისა და ფორმის გამოვლინებაა. მის ლექსებში არაერთი საინტერესო და მოულოდნელი მხატვრული სახე გვხვდება, სადაც ვ. ხარჩილავა გვევლინება როგორც ძალზე საინტერესო პოეტური ხედვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მქონე შემოქმედი, მაგრამ არც ერთი მისი მხატვრული სახე თუ შედარება არსად არ გვაფიქრებინებს, რომ იგი თვითმიზნური ან ხელოვნური, ნაძალადევად შექმნილი იყოს, როგორც ეს, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად იგრძნობა არაერთი თანამედროვე პოეტის სტრიქონების კითხვისას. ვახტანგ ხარჩილავას საუკეთესო ლექსებში სწორედ ასეთ ხალას და მაღალმხატვრულ სახეებში ცხადდება სათქმელი და ეს სრულიად ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ხდება; პოეტს ქართული ლექსის ბუნების წიაღიდან ამოაქვს თითოეული შემთხვევისათვის ყველაზე ოპტიმალური შეხამება აზრის, ფორმის და მუსიკისა და, ერთი შეხედვით, ამას ყოველგვარი დაძაბვის გარეშე აღწევს, ამიტომ მის არცერთ ლექსს არ ეტყობა ე. წ. „გაკეთების“ კვალი. ამ კრებულში შესული ყველა ლექსი ერთი ამოსუნთქვით დაწერილის შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ მით უფრო შეუძლებელია არ იგრძნო და არ დააფასო ის ჭეშმარიტი საფუძველი, რაც სინამდვილეში განაპირობებს ამას: ავტორის დიდი პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, მკითხველის და პოეზიის წინაშე. არცერთი ზედმეტი ჟესტი, ზედმეტი ნიუანსი, რაიმე პოზა მის ლექსში თვალში არ გვხვდება. როგორც პოეტი, ვ. ხარჩილავა ქართული ლექსის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ტრადიციებისა და ფორმების ღირსეული მემკვიდრეა. მისი ლექსები მუდამ გამოხატავენ წრფელსა და გულიდან ამოღებულ სათქმელს; პოეტი თავისუფალი თუ ვერსიფიკაციული ლექსის ერთნაირად უშუალო და მხატვრულად საინტერესო გადაწყვეტას პოულობს.

„ამაღეო მოდილიანი“ კრებულის ერთ-ერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი ლექსია არა მხოლოდ იმით, რომ საინტერესო ნაწარმოებია თავისთავად, არამედ იმით, რომ იგი ავტორის შემოქმედებითი პრინციპის, მისი პოეტური მრწამსის ერთ არსებით მომენტს შეიცავს: „ეგ სახე რად მინდა, ეგ თქვენი ნიღაბი, ის უნდა დავხატო, რაც ნიღბის მიღმაა...“ რა მძაფრად გამოხატავს ეს სიტყვები ყოველგვარი დრომოჭმულისაგან თავის არიდების, გატკეპნილი გზებით სიარულის უარყოფის შინაგან მოთხოვნილებას; ის, რაც თავის დროზე სიახლე იყო, დრომ ჩვენი ცხოვრების ჩვეულებრივ ამბად აქცია. რაც და როგორც თავის დროზე ვიღაცამ თქვა და გააკეთა, მისი განმეორება არავითარ გამართლებას არ იმსახურებს. ვ. ხარჩილავა ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედის სათქმელს ამბობს, როცა წერს: „რაც გაგიცხადეთ და გაგიმხილეთ, უკვე თქვენია და არა ჩემი...“ მის დაუცხრომელ გულს და გონებას უკვე სხვა სათქმელი და სახილველი იტაცებს: „მივჩერებივარ ნათელს მიღმიერს და შუბლზე მთვარის მეცემა ცრემლი“. მაგრამ პოეტი გულუბრყვილო მეოცნებედ მოგვეჩვენებოდა მხოლოდ, თვითვე რომ არ გრძნობდეს თუ რაოდენ ძნელია „ნიღბის მიღმურის“ დანახვა და დახატვა... „თქვენ იცით სიმართლემდე რა შორია, რა მტკივნეულია სინათლესთან შეხება“. ადამიანში შემოქმედებითი საწყისის, შთაგონების პირველმიზეზთა ძიების პრობლემას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ვ. ხარჩილავას წიგნში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ თემებს ავტორი არაერთხელ დაუბრუნდება მომავალშიც: ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრება ხომ სწორედ პირველი დაეჭვებით, დაფიქრებითა და კითხვით იწყება: „ის, რაც ჩანს — არის! მაგრამ უჩინარს როგორ მიეცეს სახე და ფერი?“ ასე იწყება ავტორის ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი. კითხვები... კითხვები... „კითხვები ყველგან: კითხვა პასუხში, კითხვა ფიქრში და თვითონ კითხვაში“; „მაშინ გავქრები, როცა ამოვხსნი, როცა გავიგებ ქვეყნად ყველაფერს“. ოსტრიფიანი ლექსი „ცხოვრება“ კვლავ კითხვას გვთავაზობს: „ძველი სპექტაკლი და ძველი სცენა“ (სადაც ყოველივე ასე ნაცნობი და ჩვეულებრივია ერთის შეხედვით), „მაშინ რა არის ის, რაც გვიზიდავს, მოვალთ ერთხელ და წასვლა არ გვინდა, ვზივართ ჯიუტად და ზედამხედველს ძლივს რომ გავყავართ ამ დარბაზიდან?“ და მიუხედავად იმისა, რომ ამ კითხვაზე პასუხის მოძებნა ძნელია, პოეტის ადამიანური პოზიცია მაღალია და მყარი. ამ პოზიციის გამოხატულებაა მისი ყველა ლექსი. „ალტერნატივაში“ კი პირდაპირ და ზუსტადაა ჩამოყალიბებული მისი არსი: „ბნელის და ნათლის, დღისა და ღამის დიდი ომია კაცთა ცხოვრება და სულ გახსოვდეს: ამ ომში ორი დროშით თუ ალმით არ იომება“. ასე უბრალოდ და ნათლად აყალიბებს პოეტი თავისი მოქალაქეობრივი მრწამსის გამომხატველ ფორმულას. ასეთ ლექსებს სწორედ ასეთი გულწრფელობა და სისადავე ესადაგება ყველაზე უკეთ.

ვახტანგ ხარჩილავა თავისი არა ერთი სხვა ლექსითაც ამტკიცებს, რომ მშვენივრად ფლობს პოეტური მეტყველების კულტურას. ლექსის ნათელი და მაღალი იდეა არც საჭიროებს ფორმის განსაკუთრებულ ორიგინალობას, მოულოდნელი და უცნაური სახეებით მოკაზმავს. ყოველივე ამის გარეშეც მისი ლექსი მხატვრულად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, იცნობა ავტორისეული ხელწერა მისი კითხვისას. „ალტერნატივა“ აღიქმება, როგორც ავტორის ერთ-ერთ საპროგრამო ლექსი, ცდა ავტორისა, თავისებურად გაეაზრებინა ცნობილი, მარადიული საკითხი, ადამიანის სულიერ-მორალური სიმტკიცისა და კეთილშობილების გამოვლენას რომ უკავშირდება, მისასალმებელია და წარმატებითაც დამთავრებული.

მოქალაქეობრივი შეგნების სულისკვეთებითაა გაჟღენთილი ვ. ხარჩილავას არაერთი ლექსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სად ვიაროთ, როგორ ვიაროთ, სად ცხოვრობს შენი ლურჯი ყვავილი“... ეს არ გახლავთ სკეპტიკოსის წუთიერი განწყობილება. პოეტს აქვს დაეჭვების, დაფიქრებისა და აღელვების გულსატკენი მიზეზი: „დაეხეტება ჩვენს უგრძნობელ სამყაროში ადამიანი და ამაოდ ეძებს მახლობელს, ჩაკეტილია ყველა თავის მყუდრო ციხეში“... ადამიანის გაუცხოვება, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა, მერკანტილისტური და პრაგმატისტული ტენდენციების წინა პლანზე წამოწევა პიროვნებისა და საზოგადოების კონფლიქტის მთავარი მიზეზის როლში გამოდის; ამ პრობლემას ვ. ხარჩილავა შესანიშნავ ლექსში „როდესაც ვუსმენ ჰენდელს“ ხელახლა, ამჯერად სულ სხვა კუთხით უბრუნდება. მიუხედავად იმისა, რომ აქ ლამის უკიდურეს დაძაბულობამდე მიდის კაცურ-კაცური ტკივილისა და უკმარობის გრძნობა, ავტორი ახერხებს მაღალი ჰუმანიზმისა და კეთილშობილი ოპტიმიზმის იდეალები ოსტატურად ჩააქსოვოს ამ მუსიკათა და სინათლით ზეაწეულ ლექსში: „ძმებო, სნეულნო, ჩვენც ამ მუსიკით და სიყვარულით განვიკურნებით“. „და კიდევ ხევდით, ნათელი ხევდით, რომელიც ტანში ჟრჟოლად ტრიალებს, კიდევ რამდენი უნდა ვიაროთ, რომ მივაღწიოთ ადამიანებს. ეს გზა წვიმიან დღეების გავლით და ტანჯვის გავლით მოვა თქვენამდე. ის თქვენ მოგიტანთ ნათელ სიმშვიდეს, ღამეს ცისკრისფრად აგიფერადებთ“...

ვ. ხარჩილავა სასიცოცხლო ძარღვებითაა დაკავშირებული ეროვნული სულის უკეთილშობილეს თვისებებთან. „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიათ“ — საუკუნეთა წყვდიადიდან გამოღწეული ეს იმედიანი გუგუნი ქართველი ერისა ღირსეულ გამოძახილს პოულობს ახალგაზრდა ქართველი კაცის სულში. მის ლექსშიც შემთხვევით როდია ნახსენები არაქართველი კომპოზიტორი („როდესაც ვუსმენ ჰენდელს“). ამით სწორედ იმის ხაზგასმა სურს ავტორს, რომ სიკეთე, სიყვარული, — ეს ვიწრო ნაციონალური ცნებები როდია, რომ სწორედ ხელოვნება, მშვენიერება, სიკეთე, ძმობა და საყოველთაო სიყვარულია ის ძლევამოსილი ბერკეტი, ძეხორციელთა მოდგმის ბედნიერების, ფიზიკური გადარჩენისა და მარადიული არსებობის შენარჩუნების მისია რომ აკისრია.

იმ ფაქტს, რომ ვ. ხარჩილავას ლექსების უმრავლესობა კითხვის ფორმითაა დაწერილი, ხოლო თითქმის ყველა ლექსი — პირველ პირში, ვერ ავხსნით ვერც შემთხვევითობით და ვერც მხოლოდ სტილურ თავისებურებად მივიჩნევთ; ამას გაცილებით ღრმა მიზეზები უდევს საფუძვლად, პოეტიც აუცილებლად თვლის პირველ რიგში თავის არსებობაში ჩაღრმავებასა და საკუთარი სულის წიაღ დავანებულ იდუმალებათა არსში გარკვევას. საინტერესოა ამ მხრივ ლექსი „მხედავენ ცხადად, მაინც მეძებენ“ [illegible] მისი ფინალი: („...მე ხხვებს რა ვუთხრა...“), „როცა თვითონაც ჩემს თავს დავეძებ, ვყვირი, ვეძახი, ვდგები, ვეცემი, ვნახავ, მივრბივარ, წლებიც მირბიან, ისიც თან მიჰყავთ და ვერ ვეწევი“... ადამიანი ხომ დროსთან, ეპოქასთან ურთულესი, დღემდე აუხსნელი კანონზომიერებებით დაკავშირებული უიდუმალესი ფენომენია ამ ზღვარ დაუდებელ სამყაროში. რაც უფრო წინ მიიწევს ის დროსა და ზევით — სულიერ-ინტელექტუალური განვითარებას მრუდზე, მით უფრო ფართოვდება მისი თვალთახედვაში მოქცეული ინტერესების, პრობლემებისა და ხედვის არე. ეს მომენტიც მინიშნებულია მოყვანილ ციტატაში.

თვითშეცნობისა და თვითანალიზის მომენტი სულიერი მარტვილობის განცდასაც გულისხმობს. მეორეს მხრივ კი აქვე იღებს სათავეს შემოქმედის წყაროსთვალი. ვ. ხარჩილავა საინტერესო კუთხით ეხება ამ მომენტს: „ნუ მომაგონებთ ახლა სადა ხართ, ან სადაური წვიმა გახველებთ. მე დაგივიწყებთ ყველას ამაღამ, არ მინდა ვინმე რომ გამახსენდეს. ღამის ტაბლასთან მარტო მივჯდები, სარკმელს აავსებს წვიმის სურნელი, თქვენ, დობილებო და ძმაბიჭებო, ამაღამ მაინც ნუ მესტუმრებით. მე ჩემს თავს უნდა ვუსმინო მარტო, იმ ხმებს, რომლებიც მე მესმის მხოლოდ. ორკესტრანტებო, მოსვლისთვის გმადლობთ, მაგრამ ამ კონცერტს ასრულებს სოლო“.

ვ. ხარჩილავას კრებულში შესულია ლექსების ერთი რკალი, რომელსაც ეპიგრაფად შეიძლება წავუმძღვაროთ იტალიელი პოეტის, სალვადორე ქვაზიმოდოს ეს მინიატიურული ლექსი: „თითოეული ჩვენთაგანი დგას დედამიწის შუაგულში... და უცებ საღამოვდება“. აღნიშნული რკალის ლექსები თავისებურად ეხმიანებიან ამ ტკივილს. მოვიყვან ერთ ნაწყვეტს: „ამ უსასრულო სივრცეებში მოსრიალე მარცვალს მკენკავს ქარი და მღარავს წვიმა განუწყვეტელი. ეგების ვეღარ ამოვცენდე ვეღარც ჯეჯილად, ვერც ალვის ხედ და ვერც ქანდაკებად, ისე მცირე ვარ, ისე სუსტი, ისე პატარა, რომ მეეჭვება ვარ თუ არა ამ სამყაროში. ალბათ მარტოდენ სიზმარი ვარ, მარადისობას სულ ერთი წამით დასიზმრებული...“ მეორე ლექსში ვკითხულობთ: „მთვარის ხნისა ვარ, რიცხვი ოცდარვა ამომაჭერი ბეჭზე ქურუმო, დაგვემსხვრა ღამის გზებზე ორთავეს ცა, ჩვენი ლურჯი აქვარიუმი. არ აღივსება კვლავ, რაც სავსეა და აწ წვეთ წვეთად უნდა დავიქცე“. ამ ლექსის ფინალშიც კვლავ ძეხორციელის მოუშუშებელი სატკივარი, „ხმად ლალადისა უდაბნოსა შინა“ შთენილი კითხვაა წამოჭრილი: „რა იყო ესე ზრდა და აღვსება, რატომ ავყავდით ამ ბილიკს ცამდის, გაჩენის დღიდან თუ ცახცახებდა ჩვენში უძლური

მოხუცის ლანდი“. აქ თავისით ამოტივტივდება ტერენტი გრანელის ტრაგიზმით გაჟღენთილი მონოლოგი: „მაღალო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია!...“ მე შორსა ვარ იმის მტკიცებიდან, რომ ვ. ხარჩილავა ტერენტის სულიერი მემკვიდრეა, მაგრამ მასთან ერთგვარი ნათესაობა მაინც საცნაურია: შინაგანი სინათლე, სიწმინდე და ადამიანური სატკივართა გულთან მიტანის დიდი უნარი ორივესთვის თანდაყოლილი თვისებაა. (რამდენიმე წლის წინათ „ციხკარში“ დაიბეჭდა ვ. ხარჩილავას ლექსი გრანელზე. როცა „ალტერნატივა“ ბოლომდე წავიკითხე და ეს ლექსი ვერ ვნახე, სარჩევში დავუწყე ძებნა შემთხვევით ხომ არ გამომრჩა მეთქი...).

მაგრამ ვ. ხარჩილავას დაეჭვება, ხევდა და გულდაწყვეტა არსად არ მიდის ხკეპსისამდე, გულის გატეხვამდე და სიცოცხლეზე, ბუნების ამ უპირველეს და უბადლო საოცრებაზე — ხელის ჩაქნევამდე. სულით და ხორცით ჯანსაღ თანამედროვე ადამიანს და მით უფრო პოეტს ეს არც ეპატიება. ადამიანი ბუნებით მოიმედე და აქტიური არსებაა. პოეტის სინანული სრულიად ბუნებრივი და გასაგებია, რამეთუ მარადიული სიცოცხლისათვის მოწოდებული პოეზია მის შემოქმედსაც უცხოველებს დაუძლეველ სურვილს მარადი სისხლსავსეობისა და სულიერი ზეობისას... ისევ გვახსენდება ტერენტი გრანელი: „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“... ვ. ხარჩილავას თავისებურად აქვს გააზრებული სიცოცხლის აზრი და მშვენიერება: „ჩვენ ვართ წვიმები, ციდან მიწამდე მანძილით არის გაზომილი ჩვენი ცხოვრება... ამა ტკივილთა დამღერება მოვასწროთ იქნებ სანამ მოვფრინავთ, სანამ სული ჰაერში გვიდგას“. სხვა ლექსში კი უფრო იმედიანი ხმით აცხადებს: „მთელი ცხოვრება შეიძლება იცხოვრო ერთ დღეს, მთელი ცხოვრება შეიძლება ერთ სიმღერაში რომ დაიმღერო და შეუვარება, შეყვარება, თვით შეყვარებაც თუნდაც სიკვდილის წინადღესაც არ არის გვიან“.

ვ. ხარჩილავას საუკეთესო ლექსები მთლიანობისა და მონოლითურობის გარეშე არ არსებობენ. მისთვის არაა დამახასიათებელი რაიმე თემის, განწყობილების ცალმხრივი და სწორხაზოვანი განვითარება. ოპტიმისტური ნაკადი, რომელიც ამშვენებს და ღირსებას ჰმატებს მის პირველ წიგნს, არცერთ მის ლექსში შიშველი და მაღალი პოეზიის რანგში აუყვანელი ფრაზებით არ შემოდის. ლექსი „სწრაფვა“, რომელიც კრებულის პირველი ლექსის გაგრძელებად აღიქმება (რადგან შესანიშნავად ეხმიანება მასში გამოხატულ კეთილშობილ იდეალს), წარმოადგენს მშვენიერ ჰიმნს ადამიანთა გულებს შორის უწმინდესი და ურღვევი კავშირისა, ბედნიერების, სინათლის, მაღალი იდეალებისაკენ მათი ერთობლივი სწრაფვისათვის [illegible] ამავე დროს, ეს თვით შემოქმედის [illegible] სწრაფვაც არის, მარადიული და ზღვარუქონელი: „უხსოვარ დროში ამოგვყარა მიწამ სიღრმიდან თვისი სიცოცხლის გამოცხადებად და მოგვაშენა ყველგან წვალებით“, — ასე იწყება „სწრაფვა“. მთლიანად მომყავს ლექსის მეორე ნაწილი: „ვინ არ შემოგვკრა გამეტებით ბასრი ნაჯახი, ძველ ჰრილობებში ბინდისფერი ბიბინებს ხავსი... ფესვზე გვაყრიდნენ ზიზღს, სიძულვილს და ბოროტებას, რომ გავეზარდეთ ამ შხამიან მინერალებით და ერთმანეთი შეგვძულებოდა. მაინც გადარჩა სიყვარულის დიდი ნათელი, — ჩამოვიხვენოთ ერთმანეთის ჩრილებქვეშ, ძნებო!“ მესამე ნაწილში კაცობრიობის მარადიული ლტოლვის, მზის, სინათლის, სიმაღლისაკენ ლტოლვის გლობალური სურათია მოცემული: „რაც თავი გვახსოვს, ზევით, ზევით კენწეროსაკენ მიცოცავს ბავშვი, მტკაველ-მტკაველ მიიწევს მაღლა, მზე უფრო ახლოს რომ დაინახოს და ჩვენც თანდათან ვიზრდებით და თან მიგვყავს იგი მაღლა და მაღლა“. საყოველთაო გაფრთხილებად გაისმის ეს სიტყვები მომდევნო ნაწილიდან: „არ უნდა ჩაქრეს ჩვენი სანთლები, თორემ უსიერ ბილიკებზე გზას ვერ გავიგნებთ ერთმანეთისკენ“. ლექსის ფინალური ნაწილი კი ნათელი და ამაღლებული ოპტიმიზმით, დიდი შინაგანი სითბოთია გამსჭვალული და რაღაც ზღაპრულად მშვენიერი ხილვის წარმოდგენით გვხიბლავს: „გვამხნევებს მიწა, ზევით, ზევით მიგვაფრენს მიწა, მიგვაქვს ზეცისკენ მისი ხმა და მისი ოცნება, ისე მაღლები უნდა გავხდეთ, რომ აქ, მიწაში გვედგას ფესვები სიცოცხლისა, ხოლო მცხუნვარე მზის მკერდზე გვქონდეს მიყრდნობილი კენწეროები“. ამ ლექსის ხუთივე ნაწილი ავსებს, ამდიდრებს და ასრულებს ერთმანეთს და მშვენიერისა და ამაღლების წარუშლელი განცდა იქმნება ამ გზით. უნდა შევნიშნო, რომ მთელი წიგნიც ასევე ერთიანობაში იკითხება და ეს ამ წიგნის კიდევ ერთი უდაო ღირსებაა. განწყობილების დაუქუცმაცებლად, ლექსიდან ლექსში გადადის ნათელი ტალღა. როცა კრებულის კითხვას ვამთავრებთ უნებლიეთ გვახსენდება სტრიქონები მისი ერთ-ერთი ლექსიდან: „ცაში ვიყავით, დღეს ჩვენს ოცნებას მოელო ბოლო, ვბრუნდებით უკვე. ატირებული ანგელოზები თავსაფრებივით გვიქნევენ ღრუბლებს. გათავდა, ქვევით უნდა დავეშვათ...“ „მაგრამ ხომ იყო ის სასწაული, ცოტახნით, მაგრამ ხომ იყო მაინც“... და განა ერთეულებია ასეთი ხალასი ლირიზმით ამეტყველებული ლექსები ამ წიგნში. არ შეიძლება შინაგანი მღელვარების გარეშე წაიკითხო ისეთი ლექსები, როგორიცაა „შენ ყოველივე უწყი და იცი“, „ცხენი“, „კორიდა“, „ბოლო დღე“, „ნოემბრის მწუხრი უკვე სწვევია“, „გა-

ლავნის იქით ბრწყინვალებს მნათი“, „ღამის თოვლივით უნათლესი“...

ვახტანგ ხარჩილავას პოეტურ და მოქალაქეობრივ ინტერესთა წრეში არ შეიძლებოდა არ მოქცეულიყო ურბანიზაციის მტკივნეული პროცესის მიერ აღძრული პრობლემები. ამ თემას ეხება ლექსები „თქვე საცოდავო ქალაქის ხეებო“, „ზღვისპირეთი. ზაფხული“, „ქალაქელ მამაკაცებს ენატრებათ ხშირი ტყეები“... თავისი მხატვრული ღირსებებით ამათგან განსაკუთრებით მინდა გამოვყო ერთი: „დღეს ვიღაც ქალი კაფეში იჯდა, მელოტი კაცი მოესვა გვერდით და თვალებს, როგორც გაბზარულ ფინჯანს გამოპარვოდა ბრჭყვიალა წვეთი“. „...ტიროდა სხვისი რძალი თუ ცოლი, ჩვენ კი ვმღეროდით და ღვინოს ვსვამდით. ბოლოს შეგვხედა ქალმა ვედრებით, თითქოს რაღაცის გამხელა სურდა. ჩვენ არ გვეცალა, ბედნიერები მოუცლელები არიან მუდამ“. ერთი შეხედვით ლირიკული გმირიც, მის თანამეინახეებთან ერთად, სხვისი სატკივარ-საწუხარისადმი შორიდან და პასიურ, უხულგულო მაყურებლად წარმოგვიდგება. მაგრამ ავტორს აქ სწორედ ადამიანური სისუსტის ის გამოვლენა გამოაქვს სამზეოზე, რომელზეც ხშირად ვერ ვმაღლდებით ხოლმე და როგორღაც „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირის“ ვიწრო, მეშჩანურ წრეში ვრჩებით. ეს ლექსი ამ დახაგმობი პოზიციისაგან თავის დაღწევის შინაგანი მოთხოვნილების გამოძახილია.

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთ ნაწილს. შევეხე ვ. ხარჩილავას პირველ პოეტურ კრებულში შემავალი ლექსებისა და იძულებული ვარ გვერდი ავუარო არაერთ საინტერესო ლექსსა და მოტივს ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებისა, თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ მისი სახით ქართულ პოეზიას უალრესად საინტერესო, მკაფიოდ გამოკვეთილი თავისი თაობიდან და დიდი იმედის მომცემი პოეტი შეემატა. მაჭარი დაღვინებულია, მაგრამ დავარგებული და დაძველებული ღვინო მაინც სხვაა. „როცა მიაღწევს თავის სიმაღლეს, ხე კვდება, რადგან არ ძალუძს გაზრდა და თუ ვჩერდებით, ჩვენც ნუ ვინაღვლებთ, დასრულებულა სავალი გზათა“ — ამბობს ვ. ხარჩილავა ერთ ლექსში. მაგრამ თავის ჭეშმარიტ შესაძლებლობათა ზიმაღლემდე მას ჯერაც ძნელი და შორი გზა უდევს და არის ყოველგვარი საფუძველი ვირწმუნოთ, რომ კვლავაც მხნედ და მუხლჩაუხრელად გააგრძელებს იგი ამ ფეხბედნიერად დაწყებულ გზას. სულით და გულით მოხარული ვიქნებოდი, რომ ხვალ და ზეგ ჩვენი თაობის რაც შეიძლება მეტი პოეტის უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი წიგნები წამეკითხა, რომლებითაც ღირსეულად იამაყებოდა ქართული ხალხი, რამეთუ არცერთ ჩვენთაგანს არ უნდა ავიწყ[illegible]უდეს, რომ პოეზია ეროვნული სულის ყველაზე უტყუარ სასინჯ ქვას წარმოადგენს პირველ ყოვლისა. და თავის მხრივ კი ყოველი თაობა პირნათელი და წელგამართული უნდა მოვიდეს ამ წმინდათა წმინდა საკურთხეველთან. რუსთაველისა და გალაკტიონის სამშობლოს კი, სადაც ოდითგან მღეროდნენ „ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს ირემსა მაღლის მთისასა“, სრული უფლება აქვს ყოველი თაობიდან მოითხოვოს არა ერთი და ორი ასეთი პოეტი და მესიტყვე ერისა, რომლებითაც ყველაზე ფართო მასშტაბებით შეეძლება იამაყოს.

წიგნის ჭეშმარიტ ღირსებას ხომ მისი მხატვრული დონე განსაზღვრავს მხოლოდ და არა თემატური ყოვლისმომცველობა, ან თემატური პროპორციები. ვ. ხარჩილავას პირველი წიგნი ნათლად გვიჩვენებს, რომ მისი ავტორი დგას იმ პატრიოტულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, რომელიც თანამედროვე ინტელიგენციის ყველაზე ბრძოლისუნარიან და მოწინავე შემოქმედებით ინტელიგენციას ეკადრება და შეჰფერის. ყველა დროსა და ეპოქაში ერის სულიერი ცხოვრების წინსვლასა და გეზს ხომ ამ მოწინავე ადამიანთა სულიერი მისწრაფებები, მოთხოვნილებები და შესაძლებლობანი განსაზღვრავდნენ. განა პატრიოტიზმი და მაღალი იდეური დონე არ განაპირობებს პოეტის პასუხისმგებლობასა და შინაგან პატიოსნებას, რომ მშობელ ხალხს მხოლოდ და მხოლოდ გულიდან ამოღებული ლექსები შესთავაზოს და არა რაიმე ჯურის ხალტურა და ყალბი პათეტიკით შენიღბული უბადრუკი სუროგატი მხატვრული პროდუქციისა?

დაბოლოს, კვლავ ვ. ხარჩილავას ლექსი, მისი პირველი წიგნის ბოლო ლექსი მინდა მოვიშველიო. „პოეტი“ — ასეთია ამ პატარა ლექსის სათაური: „გათენების მსგავს ბურუსშია სივრცე და მიირწევა უმსუბუქესი ამ ლაჟვარდებზე. ნუ გაალვიძებთ, ნუ დაუყრით ნათელ ბილიკზე (რომელზეც ასე ბედნიერი მიეხეტება), თქვენი კარიდან ახვეტილ ნაცარს. ყელზე მობმული მთვარის სხივებით ის სადღაც მიჰყავთ და ნურასოდეს შეეცდებით მის მობრუნებას, რადგან სიშორე და მანძილი სჭირდება მუდამ, რომ დაგინახოთ ყველა ერთად და შეუყვარდეთ“.

ვუსურვოთ ვახტანგ ხარჩილავას, რომ მის შემოქმედებას ბოლომდე შერჩენოდეს „საკუთარი სიმაღლე, ფორმა და აზოვანება“ და კვლავაც მინდიასეული გრძნეულებით უთვალთვალებდეს „ნათელს მილმიერს“...

იმედი ჯახუა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

14633
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ